ს ტ ე ნ დ ა ლ ი

<u>ი ტ ა ლ ი უ რ ი ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი</u>

ვ ა ნ ი ნ ა ვ ა ნ ი ნ ი

ანუ

ამბავი კარბონაროების უკანასკნელი შეთქმულებისა,

რომელიც პაპის სახელმწიფოში იქნა აღმოჩენილი

ეს მოხდა გაზაფხულის ერთ საღამოს, მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში. მთელი რომი აღელვებული იყო: სახელგანთქმულ ბანკირს, ბატონ დუკა ბ.-ს დიდი ზეიმი გაემართა თავის ახალ სასახლეში, ვენეციის მოედანზე. ამ სასახლის გასამშვენიერებლად მოტანილი იყო ყველაფერი, რასაც კი იტალიის დიდებული ხელოვნება ან პარიზისა და ლონდონის წარმოება იძლევა ფუფუნებისა და სამკაულის დარგში. დიდძალ საზოგადოებას მოეყარა თავი. კეთილშობილი ინგლისელი ქერა და თავდაჭერილი მზეთუნახავები დიდ პატივისცემად თვლიდნენ ამ ზეიმში მონაწილეობის მიღებას. მრავალი მათგანი მოვიდა. რომის უმშვენიერესი ქალები მათ ეჯიბრებოდნენ სილამაზით. შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომლის თვალთა ელვარება და გიშრისფერი თმა ამჟღავნებდა, რომ იგი რომაელი იყო. გვერდით მამა მოჰყვებოდა. მთელმა საზოგადოებამ თვალი გააყოლა. მის ყოველ მოძრაობაში გულზვიადობა ჩანდა.

უცხოელები გაოცებულნი იყვნენ ამ საღამოს ბრწყინვალებით. ვერც ერთი მეფის ზეიმი ამას ვერ შეედრება ევროპაშიო, ამბობდნენ ისინი. მეფეებს არა აქვთ რომაული ხუროთმოძღვრების სტილით აშენებული პალატები და იძულებულები არიან თავიანთი კარის მანდილოსნები მოიწვიონ. ბატონი დუკა ბ. კი მხოლოდ მშვენიერ ქალებს ეპატიჟებოდა. განსაკუთრებით ამ საღამოს მას ბედნიერი არჩევანი მოეხდინა. მამაკაცები თავბრუდასხმულებივით იყვნენ. კითხვა დაიბადა: ვინ იყო ულამაზესი ამდენ შესანიშნავ ქალს შორის. ერთხანს ყოყმანში იყვნენ, მაგრამ ბოლოს თვალგიზგიზა და შავთმიანი თავადის ქალი ვანინა ვანინი ამ დიდი საღამოს დედოფლად იქნა გამოცხადებული. მაშინვე უცხოელებმა და ახალგაზრდა რომაელებმა დატოვეს სხვა დარბაზები და მის გარშემო მოიყარეს თავი. მისმა მამამ, თავადმა ასდრუბალე ვანინიმ, მოისურვა ქალს

პირველად ორიოდე გერმანელ მთავართან ეცეკვა. შემდეგ ვანინამ რამდენიმე საკმაოდ ლამაზი და საკმაოდ კეთილშობილი ინგლისელის მიპატიჟება მიიღო. მათმა გახევებულმა გარეგნობამ ქალს თავი მოაწყინა. ის მეტ სიამოვნებას ხედავდა ახალგაზრდა ლივიო საველის წვალებაში: ეს ყმაწვილი ძლიერ შეყვარებული ჩანდა. უბრწყინვალეს ახალგაზრდა კაცად ითვლებოდა რომში, ამას გარდა, შთამომავლობით ისიც თავადიშვილი იყო, მაგრამ მისთვის რომ რომანი მიგეცათ წასაკითხად, ოციოდე გვერდის შემდეგ თავის ტკივილს მოიმიზეზებდა და გადააგდებდა. ეს ვანინას თვალში დიდ ნაკლს წარმოადგენდა.

შუაღამისას ახალი ამბავი მოიტანეს, რამაც საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: იმ საღამოს წმინდა ანგელოზის ციხიდან გადაცმული გაპარულიყო ერთი ახალგაზრდა კარბონარო და, როცა ციხის უკანასკნელ სადარაჯო რაზმამდე მიეღწია, მეტისმეტი რომანტიკული გამბედაობის ზეგავლენით, მახვილით იერიში მიეტანა ჯარისკაცებზე, მაგრამ თვითონაც დაჭრილიყო. გუშაგები ქუჩებში სისხლის კვალს მისდევდნენ და იმედი ჰქონდათ ლტოლვილს ამ ღამითვე დაიჭერდნენ კიდეც.

ვიდრე ამ ამბავზე იყო საუბარი, ლივიო საველიმ ცეკვა გაათავა ვანინასთან, რომლის სინარნარემ და წარმატებამ მას თავბრუ დაახვია და, სანამ დასხდებოდნენ, თითქმის სიყვარულით გაშმაგებულმა ჰკითხა:

_ მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ვის შეუძლია თქვენ თავი მოგაწონოთ.

_ ახალგაზრდა კარბონაროს, რომელიც ეს არის ციხიდან გაქცეულა, _ უპასუხა ვანინამ, _ ყოველ შემთხვევაში, მან მეტი გააკეთა, ვიდრე ჩვეულებრივმა მოკვდავმა, რომელიც ამქვეყნად გაჩენას სჯერდება.

თავადი ასდრუბალე თავის ქალს მიუახლოვდა. ეს მდიდარი კაცი უკვე კარგა ხანია ანგარიშს აღარ აწარმოებდა თავის მოურავთან, რომელიც მამულის შემოსავალს მასვე აძლევდა სესხად და მეტად დიდ სარგებელსაც ართმევდა. ქუჩაში რომ შეგხვედროდათ, ბებერი მსახიობი გეგონებოდათ. ვერც კი შეამჩნევდით, რომ თითებზე ხუთი თუ ექვსი უზარმაზარი ალმასის ბეჭედი ჰქონდა წამოცმული. მისი ორივე ვაჟი იეზუიტი გახდა და შემდეგ საგიჟეთში მოკვდა. მან კიდეც დაივიწყა ისინი. მაგრამ დიდად ნაწყენი იყო, რომ მის ერთადერთ ქალს, ვანინას არ უნდოდა გათხოვება. უკვე ცხრამეტი წლისა იყო და უარყო უბრწყინვალესი წინადადებანი. რა მოსაზრებით? ალბათ, იმავეთი, როლითაც სულა ხელმძღვანელობდა, როცა დიქტატორობიდან გადადგა: მას სძაგდა რომაელები.

მეორე დღეს ვანინამ შეამჩნია, რომ მამამისი, რომელიც საშინლად დაუდევარი კაცი იყო და არასოდეს გასაღებს ხელში არ დაიჭერდა, გულმოდგინედ კეტავდა მესამე სართულზე ამავალი კიბის კარს. იმ სართულის ფანჯრები ფორთოხლის ხეებით შემკულ ბანზე გადიოდა. ვანინა სადარბაზოდ წავიდა ქალაქში. როცა შინ დაბრუნდა, შეამჩნია, სასახლის ეზოს მთავარ ჭიშკარში ლამპრობისთვის ემზადებოდნენ, და ეტლი უკანა ჭიშკრიდან შეაყვანინა. ზევით აიხედა და დაინახა, რომ ერთი ფანჯარა ზემო სართულში, რომელიც მამამისმა ისეთი მზრუნველობით დაკეტა, გაღებული იყო. მან გაისტუმრა მხლებელი ქალი, პალატის სახურავზე ავიდა და რკინის ბადიან სარკმლიდან ფორთოხლის ხეებიან ბანს გადახედა. გაღებული ფანჯარა ორიოდე ფეხის ნაბიჯზე იყო მისგან. «უეჭველია, ამ ოთახში ვიღაც დაბინავებულა, _ გაიფიქრა მან. _ მაგრამ ვინ?» მეორე დღეს ვანინამ პატარა კარის გასაღები იშოვა და ბანზე ჩუმად ავიდა.

ფეხაკრეფით მიუახლოვდა ფანჯარას, რომელიც წინანდებურად ღია დახვდა. ფარდა ნახევრად გადაწეული იყო. ოთახის სიღრმეში საწოლი ჩანდა, ლოგინზე ვიღაც იწვა. პირველად ვანინას უკან დახევა უნდოდა, მაგრამ თვალი მოჰკრა ქალის კაბას, რომელიც სკამზე იყო გადაფენილი. უკეთ დააცქერდა მწოლარე ადამიანს და შეამჩნია, რომ ქერა და ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო. სკამზე გასისხლიანებული კაბა გადაეფინა, სისხლის კვალი აჩნდა ქალის ფეხსაცმელებსაც, მაგიდაზე რომ ეწყო. უცნობი შეინძრა. ვანინამ შეამჩნია, რომ იგი დაჭრილი უნდა ყოფილიყო. მკერდზე სისხლიანი ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული. ეს ნაჭერი ზონრებით იყო შეკრული, ეტყობოდა, ჭრილობა დასტაქრის ხელით არ იყო შეხვეული...

ვანინამ ისიც შეამჩნია, რომ მამამისი ყოველდღე თავის ოთახში იკეტებოდა და შემდეგ უცნობის სანახავად ზევით ადიოდა, ჩქარა უკან ბრუნდებოდა, ეტლში ჯდებოდა და კონტ ვიტელესკის მეუღლესთან მიემგზავრებოდა. მისი წასვლისთანავე ვანინა პალატის ბანზე ადიოდა, საიდანაც უცნობის დანახვა შეიძლებოდა. მისი მგრძნობიარე გული ამ უბედური ახალგაზრდა ქალის მხარეზე იყო, უნდოდა, მისი თავგადასავალი გაეგო. სკამზე გადაკიდული კაბა, როგორც ჩანდა, მახვილით იყო გახვრეტილი. ერთ დღეს მან უცნობი უფრო გარკვეულად დაინახა: ცისფერი თვალები ზევით აღეპყრო, ალბათ, ლოცულობდა. უცებ მშვენიერი თვალები ცრემლით აევსო. თავადის ქალმა თავი ძლივს შეიკავა, ისე უნდოდა გამოლაპარაკება. მეორე დღეს ბანზე დამალვა გაბედა მამის ამოსვლამდე. დაინახა, როგორ შევიდა ბატონი ასდრუბალე უცნობთან. ხელში სურსათით სავსე პატარა კალათა ეჭირა. თავადს შეშფოთებული სახე ჰქონდა და ბევრი არაფერი

უთქვამს. ისე ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ, თუმცა ფანჯარა ღია იყო, ვანინამ ვერ გაიგონა მისი სიტყვები. თავადი ჩქარა წავიდა.

«ალბათ, ამ საბრალო ქალს საშიში მტრები ჰყავს, _ გაიფიქრა ვანინამ, _ რაკი მამაჩემი, რომელიც ასეთი უზრუნველი ხასიათისაა, ვერ ბედავს, ვინმეს გაენდოს და ყოველდღე გაჭირვებით ას ოც საფეხურს ადის კიბეზე».

ერთ საღამოს, როცა ვანინა ფანჯრიდან უცნობს ფრთხილად უცქეროდა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ყოველივე გამოაშკარავდა. ვანინა მუხლებზე დაეცა და წამოიძახა:

_ მე თქვენ მიყვარხართ, თქვენი ერთგული ვარ.

უცნობმა ანიშნა, შემოდიო.

_ პატიებას ვითხოვ, _ უთხრა ვანინამ. _ ჩემმა უგუნურმა ცნობისმოყვარეობამ, ალბათ, შეურაცხყოფა მოგაყენათ! ვფიცავ, საიდუმლოებას შევინახავ და, თუ თქვენი ნება არ იქნება, აღარასოდეს მოვალ.

_ განა არის ისეთი ადამიანი, რომელსაც თქვენი შეხედვა ბედნიერებად არ ეჩვენოს? თქვენ ამ სასახლეში ცხოვრობთ?

_ რასაკვირველია, _ უპასუხა ვანინამ. _ გეტყობათ, ვერ მიცნობთ. მე ვანინა ვარ, თავად ასდრუბალეს ქალი.

უცნობმა გაკვირვებით შეხედა და საშინლად გაწითლდა, შემდეგ უთხრა:

_ მოწყალება მოიღეთ და ყოველდღე მინახულეთ, მაგრამ თავადმა არაფერი არ უნდა იცოდეს ჩვენი შეხვედრისა.

ვანინას გული აუჩქროლდა: ეჩვენა, რომ უცნობს კეთილშობილი ქცევა ჰქონდა. უეჭველი იყო, ამ საბრალო ახალგაზრდა ქალს რომლიღაც ძლიერი ადამიანისათვის მიეყენებინა შეურაცხყოფა; შეიძლება, ეჭვიანობის წუთში მას თავისი საყვარელიც შემოაკვდა. ვანინას ვერ წარმოედგინა, რომ ამ ქალის უბედურების მიზეზი მდაბალი საქციელი ყოფილიყო. უცნობმა უთხრა: მხარში დავიჭერ, იარამ მკერდამდე მიაღწია და მეტისმეტად მტანჯავსო, ხშირად პირი სისხლით მაქვს სავსეო.

_ და თქვენ დასტაქარიც კი არა გყავთ! _ წამოიძახა ვანინამ.

_ მოგეხსენებათ, რომში დასტაქრებმა პოლიციას ყოველივე დაწვრილებით უნდა აცნობონ დაჭრილთა შესახებ, რომელთაც ისინი ექიმობენ. თავადი თვით მიხვევს ხოლმე ამ ტილოს ნაჭრით იარას.

უცნობი თავს როდი აცოდებდა. ვანინას იგი გაგიჟებით უყვარდა კიდეც. მაგრამ ერთმა გარემოებამ დიდად გააკვირვა ახალგაზრდა ქალი: მან შეამჩნია, რომ სერიოზული ლაპარაკის დროს უცნობი ხანდახან თითქოს სიცილს ძლივს იკავებდა.

_ ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენს სახელს მეტყვით, _ უთხრა ვანინამ.

_ კლემენტინეს მეძახიან.

_ ძალიან კარგი, ძვირფასო კლემენტინე, ხვალ ხუთი საათისათვის მოვალ.

მეორე დღეს ვანინას მისი ახალი მეგობარი ძალიან ავად დახვდა.

_ მინდა, დასტაქარი მოგიყვანოთ, _ უთხრა ვანინამ, როცა პირზე კოცნით მიესალმა.

_ არა, ამას სიკვდილი მირჩევნია. აბა, ჩემს კეთილისმყოფლებს ხიფათში როგორ გავაბამ?

_ რომის მმართველის, მისი უსამღვდელოესობის _ საველი კატანცარას დასტაქარი ჩვენი ერთი მსახურის შვილია, _ უპასუხა მკვირცხლად ვანინამ, _ ჩვენი ერთგულია და, თავისი მდგომარეობის წყალობით, არავისი ეშინია. როგორც ჩანს, მამაჩემი საკმაოდ ვერ აფასებს მის ერთგულებას. მინდა, იგი მოვაწვევინო.

_ მე არ მინდა დასტაქარი! _ წამოიძახა უცნობმა ისეთი გაცხარებით, რომ ვანინას საშინლად გაუკვირდა. _ ხშირად მინახულეთ და, თუ ღმერთმა ჩემი საიქიოს გაწვევა ინება, ბედნიერი მოვკვდები თქვენს მკერდზე.

მეორე დღეს უცნობი უარესად იყო.

_ თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, _ უთხრა ვანინამ გამოთხოვების დროს, _ დასტაქარს გაასინჯეთ თავი.

_ ექიმი თუ მოვიდა, ჩემი ბედნიერება გაქარწყლდება.

_ ახლავე კაცს გავგზავნი მის მოსაყვანად, _ დაიჟინა ვანინამ.

უცნობმა ქალი უსიტყვოდ შეაჩერა და ხელზე გაშმაგებით კოცნა დაუწყო. ხანგრძლივი დუმილი დამყარდა; უცნობს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ბოლოს, ხელი გაუშვა და, თითქოს სიკვდილის წინ აღსარებას ამბობსო, უთხრა:

_ ერთი რამ უნდა გაგიმჟღავნოთ. გუშინწინ მოგატყუეთ, როცა გითხარით, კლემენტინე მქვია-მეთქი. მე ერთი უბედური კარბონარო ვარ...

გაოცებულმა ვანინამ სკამი უკან გადადგა და მაშინვე ზეზე წამოდგა.

_ ვგრძნობ, ჩემი აღსარება დამაკარგვინებს ერთადერთ მადლს, რომელიც ცხოვრებასთან მაკავშირებს, მაგრამ ვერ ვიკადრებ თქვენს მოტყუებას. მე პიეტრო მისირილი მქვია, ცხრამეტი წლისა ვარ; მამაჩემი ხელმოკლე დასტაქარია სანტა ანჯელოში,

მე კი კარბონარო ვარ. ჩვენი შეთქმულება აღმოაჩინეს, რომანიიდან რომში ბორკილგაყრილი მომიყვანეს. ცამეტი თვე ვეგდე საკანში, რომელიც დღე და ღამე ჭრაქით იყო განათებული. ერთმა გულმოწყალე ადამიანმა ჩემი ხსნა განიზრახა. დედაკაცის ტანისამოსი ჩამაცვეს. როცა სატუსაღოდან გამოვდიოდი და უკანასკნელი ბჭის დარაჯებს გვერდს ვუვლიდი, ერთმა მათგანმა კარბონაროებს შეაგინა. მაშინვე სილა გავაწანი. გარწმუნებთ, ეს იყო არა უქმი ზვიადობის, არამედ უბრალო გულმავიწყობის შედეგი. ხიშტით დამჭრეს, მთელი ღამე რომის ქუჩებში მდიეს და, როცა სრულიად გამომეცალა არაქათი, ერთი კარგაღებული სახლის კიბეზე ავირბინე. მომესმა, რომ ჯარისკაცებიც კვალდაკვალ მომყვნენ, და ბაღში გადავხტი, ფეხქვეშ ჩავუვარდი უცნობ ქალს, რომელიც იქ სეირნობდა.

_ კონტ ვიტელესკის მეუღლეს, მამაჩემის მეგობარს, _ თქვა ვანინამ.

_ რაო! განა მან გითხრათ? _ წამოიძახა მისირილიმ. _ იმ მანდილოსანმა, რომლის სახელი არასოდეს არ უნდა წარმოითქვას, სიკვდილს გადამარჩინა. როცა ჯარისკაცები ჩემს დასაჭერად შემოდიოდნენ, მამათქვენს უკვე ეტლით მოვყავდი იქიდან. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ. რამდენიმე დღეა მხარში მიღებული ხიშტის ჭრილობა სუნთქვას მიშლის. ვკვდები და სასოწარკვეთილი ვარ იმიტომ, რომ ვერასოდეს ვეღარ გიხილავთ.

ვანინა მოუთმენლად უსმენდა; მერე საჩქაროდ წავიდა. მისირილიმ მის მშვენიერ თვალებს ვერავითარი სიბრალული ვერ შეამჩნია; მხოლოდ ამაყი, შეურაცხყოფილი ადამიანის გამომეტყველება ამოიკითხა.

ღამით დასტაქარი შემოვიდა, იგი მარტო იყო. მისირილი სასოწარკვეთილებას მიეცა. ეშინოდა, ვერასოდეს ვიხილავ ვანინასო. გამოკითხვა დაუწყო დასტაქარს, რომელმაც ჭრილობა შეუხვია, მაგრამ მანაც არაფერი უპასუხა. ვერც მეორე დღეს ათქმევინა რამე. პიეტროს თვალები არ შორდებოდა იმ აივნის ფანჯარას, საიდანაც ვანინა იხედებოდა ხოლმე. ერთხელ, შუაღამისას, მოეჩვენა, თითქოს აივნის ჩრდილში ვიღაც იდგა. ნუთუ ვანინა იყო?

ვანინა ყოველ ღამით მოდიოდა და ლოყით ეკვროდა კარბონაროს ფანჯრის მინას.

«თუ კიდევ დაველაპარაკე, დავიღუპები, _ ფიქრობდა იგი. _ არა, არასოდეს აღარ უნდა ვინახულო».

ამ გადაწყვეტილებისთანავე მას თავისდა უნებურად გაახსენდა მეგობრობა ამ ახალგაზრდა კაცთან, რომელიც ასე სულელურად ქალად მიიღო. და აი, ახლა იგი უნდა დაევიწყებინა, ასეთი ტკბილი და გულთბილი წუთების შემდეგ. ვანინა შეძრწუნებული

იყო იმ ცვლილებით, რომელიც მის აზროვნებაში მოხდა მას შემდეგ, რაც მისირილიმ თავისი სახელი და გვარი გაუმჟღავნა: ქალის ჩვეულებრივი ფიქრის საგნები თითქოს ლეჩაქით დაიფარა და შორეულ სივრცეში ჩაინთქა.

ერთ კვირასაც არ გაუვლია ამის შემდეგ და ფერმკრთალი და მთრთოლვარე ვანინა ახალგაზრდა კარბონაროს ოთახში შევიდა დასტაქართან ერთად. იმის სათქმელად მოსულიყო, მამაჩემი დავიყოლიოთ, თავის ნაცვლად რომელიმე მსახური დაგინიშნოს მომვლელადო. ათ წუთსაც არ დარჩენილა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ხელახლა მოჰყვა დასტაქარს. ერთ დღეს, როცა მისირილი უკეთ იყო, ისე რომ ვანინას იგი გადარჩენილად მიაჩნდა, კარბონაროს ოთახში მარტო შესვლა გაბედა. ქალის დანახვაზე მისირილიმ თავი სამოთხეში იგრძნო, მაგრამ გადაწყვიტა, თავისი სიყვარული დაემალა: უწინარეს ყოვლისა, არ უნდოდა მამაკაცის ღირსება დაეთმო. ვანინას სახეზე სირცხვილის სიწითლე ეკრა. ეშინოდა სიყვარულის სიტყვების მოსმენისა, მაგრამ დიდად გაოცებული დარჩა, როცა ვაჟის მხრივ კეთილშობილი და გულმოდგინე, მაგრამ ნაკლებ ნაზი მეგობრობა დაინახა. ქალი ოთახიდან ისე გავიდა, ვაჟი არ ცდილა მის შეჩერებას.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჟი ასევე მოიქცა, ისევ მოკრძალებული თავმდაბლობით საუკუნო მადლიერების სიტყვები უთხრა. «ნუთუ მარტო მე ვარ შეყვარებული?» _ ჰკითხავდა თავის თავს ახალგაზრდა ქალი. მისი თავმოყვარეობა შელახული იყო, იგი მწვავედ გრძნობდა თავისი სიგიჟის უსაზღვროებას. შეეცადა მხიარულების, გულცივობის ნიღაბი აეფარებინა, დააძვირა ავადმყოფთან სიარული, მაგრამ თავს იმდენი ძალა ვერ დაატანა, სრულიად აღეკვეთა იქ მისვლა.

მისირილის სიყვარულის ცეცხლი წვავდა, მაგრამ თავისი მდაბიო წარმოშობა ახსოვდა, ახსოვდა აგრეთვე ვალდებულება თავისივე თავის წინაშე და გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, იმ შემთხვევაში დაემდაბლებინა თავი და სიყვარული გაემჟღავნებინა, თუ ვანინა მას მთელი კვირის განმავლობაში არ ინახულებდა. ახალგაზრდა თავადის ქალის ქედმაღლობა თანდათან იდრიკებოდა.

«რა ვუყოთ, _ ფიქრობდა ქალი, _ ამ კაცთან ჩემი სიამოვნებისათვის მივდივარ და არასოდეს გამოვუტყდები, რომ იგი ჩემში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს».

ვანინა უფრო დიდხანს რჩებოდა მისირილისთან, რომელიც მას ისე ესაუბრებოდა, თითქოს ოცი კაცი მაინც უგდებდა ყურს. ერთხელ ქალმა მთელი დღე ისე გაატარა, თითქოს სიძულვილის მეტს არაფერს გრძნობდა ვაჟისადმი, თავის თავს სიტყვას აძლევდა, ჩვეულებრივზე უფრო გულგრილი და სასტიკი ყოფილიყო, მაგრამ როცა საღამოთი მასთან

შევიდა, გამოუტყდა, მიყვარხარო. იმწამსვე თითქოს ერთიანად მისი გახდა და არაფერზე უარის თქმა აღარ შეეძლო.

თუმცა ვანინამ დიდი უგუნურება ჩაიდინა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ბედნიერი იყო. მისირილი აღარ ფიქრობდა თავის ადამიანურ ღირსებაზე: იგი შეყვარებული იყო, როგორც შეიძლება შეყვარებული იყოს პირველად ცხრამეტი წლის კაცი, და ისიც იტალიაში. ვნებიან სიყვარულში იმდენი კეთილსინდისიერება გამოიჩინა, რომ ამ ახალგაზრდა, ამაყ თავადის ქალს გამოუტყდა, თუ რა პოლიტიკას ხმარობდა მისი გულის მოსანადირებლად. არ ელოდა, რომ ასე ბედნიერი იქნებოდა. ოთხმა თვემ ჩქარა განვლო. ერთ მშვენიერ დღეს დასტაქარმა თავისუფლება მიანიჭა ავადმყოფს. «რა უნდა ვქნა? _ ფიქრობდა მისირილი, _ ფარულად დავრჩე ულამაზეს რომაელ ქალთან? მაშინ საზიზღარი მტარვალები, რომელთაც ცამეტი თვე საპატიმროში გამატარებინეს ისე, რომ დღის სინათლე არ მაჩვენეს, იფიქრებენ, გული გასტეხია და შეშინებულაო. იტალიავ, შენ მართლაც უბედური იქნებოდი, თუ შენმა შვილებმა ასე ადვილად მიგატოვეს».

ვინინა დარწმუნებული იყო, რომ პიეტროსთვის მუდამ მის გვერდით ყოფნა უდიდესი ბედნიერება იქნებოდა. მართლაც, ვაჟი მეტისმეტად ბედნიერი ჩანდა. მაგრამ გენერალ ბონაპარტის ერთი სიტყვა მწარე საყვედურად გაისმოდა ყმაწვილის სულში და მის ქალებთან დამოკიდებულებას დაღს ასვამდა. 1796 წელს, როცა გენერალი ბონაპარტი ბრეშიიდან გადიოდა, ქალაქის უხუცესებმა, რომელთაც იგი გალავნის ბჭეებამდე მიაცილეს, უთხრეს, ბრეშიელებს ყველა იტალიელზე მეტად უყვართ თავისუფლებაო.

_ ჰო, _ უპასუხა ბონაპარტმა, _ მათ თავიანთ საყვარლებთან უყვართ თავისუფლებაზე ლაპარაკი...

* * *

მისირილიმ ცოტა არ იყოს, შეჭირვებული სახით უთხრა ვანინას:

_ როგორც კი დაღამდება, უნდა წავიდე.

_ ეცადე, შინ გათენებამდე დაბრუნდე, მე დაგელოდები.

_ გათენებისას რამდენიმე მილით ვიქნები დაშორებული რომს.

_ ძალიან კარგი, _ უთხრა ვანინამ ცივად, _ მაგრამ საით მიდიხარ?

_ რომანიაში, შურის საძიებლად.

_ რადგან მდიდარი ვარ, _ განაგრძო ვანინამ სრულიად შეუშფოთებელი სახით, _ იმედი მაქვს, იარაღსა და ფულს გამომართმევთ.

მისირილი ქალს ჩააცქერდა ცოტა ხანს, შემდეგ გადაეხვია:

_ ჩემო სიცოცხლევ, შენ ყველაფერს მავიწყებინებ, თვით ჩემს ვალდებულებასაც; მაგრამ რამდენადაც უფრო კეთილშობილია შენი გული, მით უკეთ უნდა გესმოდეს ჩემი.

ვანინამ ბევრი იტირა და ბოლოს პიეტრო დაითანხმა, რომ მხოლოდ მაზეგ დატოვებდა რომს.

_ პიეტრო, _ უთხრა ქალმა მეორე დღეს, _ თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ ამა თუ იმ ცნობილ კაცს, მაგალითად, შეძლებულ თავადიშვილს, შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს თავისუფლების საქმეს, თუ ავსტრია სადმე მოშორებით დიდ ომში ჩაებაო.

_ ეს უეჭველია, _ უპასუხა გაოცებულმა პიეტრომ.

_ ძალიან კარგი! თქვენ გრძნობიერი გული გაქვთ, არაფერი გაკლიათ, გარდა მაღალი მდგომარეობისა. მე თქვენ გთავაზობთ ჩემს ხელს და ორას ათას ოქროს მზითვად. ვკისრულობ აგრეთვე მამაჩემის თანხმობის მიღებას.

პიეტრო მუხლებზე დაეცა მის წინაშე. ვანინას სიხარულით სახე გაუბრწყინდა.

_ გაგიჟებით მიყვარხართ, _ ეუბნებოდა ვაჟი, _ მაგრამ მე სამშობლოს ერთი საწყალი მსახური ვარ. რამდენადაც უბედურია იტალია, მით უფრო ერთგული უნდა ვიყო მისი. ბატონი ასდრუბალეს თანხმობის მისაღებად ბეჩავი როლი უნდა ვითამაშო რამდენიმე წლის განმავლობაში. არა, ვანინა, უარს გეუბნები.

მისირილი ცდილობდა უკანდასახევი გზა გადაეჭრა ამ სიტყვებით, მაგრამ ძალას კარგავდა.

_ ჩემი უბედურება ისაა, _ წამოიძახა მან, _ რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და რომის დატოვება ჩემთვის უდიდესი სატანჯველია. ეჰ, რატომ არ არის იტალია განთავისუფლებული მტარვალებისაგან! რა სიამოვნებით ჩავჯდებოდი შენთან ერთად ხომალდში, რათა ამერიკაში წავსულიყავით საცხოვრებლად!

ვანინა ყინულივით ცივი იყო. სატრფოს უარმა შეურაცხყო მისი ქედმაღლობა, მაგრამ არ გასულა ორი წუთი და იგი მისირილის გადაეხვია.

_ არასოდეს არ მჩვენებიხარ ასეთი საყვარელი, _ წამოიძახა ქალმა, _ ჰო, ჩემო პაწია სოფლელო დასტაქარო, შენი ვარ სამუდამოდ. შენ ისეთივე დიდი ადამიანი ხარ, როგორიც ძველი რომაელები იყვნენ.

ყოველივე გაქრა: მომავლის იდეებიც, კეთილგონიერების შინაგანი ხმაც. ერთი წუთით სრული სიყვარული იგემეს. როცა გონს მოვიდნენ, ვანინამ თქვა:

_ ჩქარა დაგეწევი რომანიაში. ჩემთვის პორეტას აბანოებს დავანიშნინებ. გავჩერდები ჩვენს კოშკში, რომელიც სან ნიკოლოში გვაქვს, ფორლის მახლობლად.

_ იქ მთელს ჩემს სიცოცხლეს შენს გვერდით გავატარებ! _ წამოიძახა მისირილიმ.

_ ამიერიდან ჩემი ხვედრია, ყველაფერს შევებრძოლო, _ უპასუხა ვანინამ და ამოიოხრა. _ შენი გულისთვის დავიღუპები, მაგრამ არა უშავს რა. შეგიძლია თუ არა პატივახდილი ქალიშვილის სიყვარული?

_ განა შენ ჩემი ცოლი არა ხარ, მუდმივ სათაყვანებელი ცოლი? მე შევძლებ შენს სიყვარულსა და შენს დაცვას.

ამის შემდეგ ვანინა სადარბაზოდ უნდა წასულიყო. როგორც კი ქალი გავიდა, ვაჟმა იგრძნო, ბარბაროსულად ვიქცევიო.

«რა არის სამშობლო? _ გაიფიქრა მან. _ იგი არ არის ცოცხალი არსება, რომელსაც ჩვენ მადლობა უნდა გადავუხადოთ სიკეთისათვის და რომელიც უბედური იქნება და დაგწყევლის კიდეც, თუ უყურადღებობას გამოვიჩენთ. სამშობლო და თავისუფლება თითქოს წამოსასხამს ჰგავს, ე. ი. ისეთ საგანს, რომელიც ჩემთვის სასარგებლოა და უნდა ვიყიდო, თუ მამაჩემმა არ მიანდერძა. მე მიყვარს სამშობლო და თავისუფლება იმიტომ, რომ ორთავ სასარგებლოა ჩემთვის. თუ ისინი არაფრად მჭირდებიან, თუ ისინი ისევე გამომადგებიან, როგორც წამოსასხამი ცხელ აგვისტოში, ასე ძვირად რისთვის ვიყიდო? ვანინა მშვენიერია, მას გასაოცარი სული აქვს! მამაკაცები შეეცდებიან, თავი მოაწონონ; იგი დამივიწყებს. სად იპოვება ისეთი ქალი, რომ ერთი სატრფოს მეტი არ ჰყოლოდეს? რომაელ თავადიშვილებს, რომელნიც მეზიზღებიან, როგორც მოქალაქეები, ბევრი უპირატესობა აქვთ ჩემთან შედარებით. ისინი, ალბათ, მომხიბლავნი არიან. ეჰ, თუ ვანინას მოვშორდი, დამივიწყებს და სამუდამოდ დავკარგავ».

შუაღამისას ვანინა მის სანახავად მოვიდა. ვაჟმა ქალს უამბო, როგორი ყოყმანი განიცადა მარტო ყოფნის დროს და როგორ აწონ-დაწონა მისი სიყვარულის გულისათვის ეს დიდი სიტყვა: სამშობლო. ვანინა სიხარულით ცას ეწია.

«თუ ჩემმა სატრფომ აუცილებელი არჩევანი უნდა მოახდინოს სამშობლოსა და ჩემს შორის, უპირატესობა ჩემს მხარეზე იქნება», _ ფიქრობდა ქალი.

მახლობელი ეკლესიის საათმა სამჯერ ჩამოჰკრა. მოვიდა უკანასკნელი გამოთხოვების წუთი. პიეტრომ თავი გაითავისუფლა თავისი მეგობრის მკლავებიდან. იგი უკვე პატარა კიბეზე ჩადიოდა, როცა ვანინამ, რომელიც ცრემლს ძლივს იკავებდა, ღიმილით უთხრა:

_ შენთვის რომ ბეჩავ გლეხის ქალს მოევლო, ნუთუ არაფერს გაუკეთებდი მადლობის ნიშნად? არ ეცდებოდი, სამაგიერო მიგეზღო? ვინ იცის, რა მოგელის? შენ მოგზაურობას აპირებ მტრების ქვეყანაში. მაჩუქე სამი დღე, თითქოს საწყალი ქალი ვიყო და ჩემი შრომის სანაზღაუროს მაძლევდე.

მისირილი დარჩა. ბოლოს, მან მაინც დატოვა რომი. პასპორტის შემწეობით, რომელიც ერთ საელჩოში იყიდა, მან თავის ოჯახს მიაღწია. მისმა გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია. აღარ ეგონათ, თუ ცოცხალი იყო. მეგობრებს უნდოდათ, მისი დაბრუნება ერთი ან ორი ჟანდარმის მოკვლით აღენიშნათ.

_ ნუ მოვკლავთ ნურც ერთ იტალიელს, რომელსაც იარაღის ხმარება შეუძლია, თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს, _ თქვა მისირილიმ. _ ჩვენი სამშობლო ბედნიერი კუნძული როდია ინგლისივით: ჩვენ ჯარისკაცები გვაკლია, რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ ევროპის მეფეების შემოჭრას.

რამდენიმე დღის შემდეგ მისირილიმ, რომელსაც კვალდაკვალ ჟანდარმები დაედევნენ, ორი მათგანი მოკლა ვანინას მიერ ნაჩუქარი დამბაჩით. ხელისუფლებამ მისი თავი ძვირად შეაფასა.

ვანინა არ ჩნდებოდა რომანიაში. მისირილის ეგონა, დამივიწყაო და მისი თავმოყვარეობა შებღალული იყო. იგი ბევრს ფიქრობდა უფსკრულზე, რომელიც საყვარელი ქალისაგან ჰყოფდა. გულის აჩუყებისა და წარსული ბედნიერების გახსენების წუთებში აზრად მოუვიდა, რომში დაბრუნებულიყო იმის გასაგებად, თუ რას შვრებოდა ვანინა. ეს გიჟური აზრი თითქმის იმარჯვებდა მისი ვალდებულების შეგნებაზე, როცა ერთ საღამოს ისე უცნაურად ჩამოჰკრეს მწუხრის ზარი, თითქოს მნათე გონებადაბნეული იყო. ეს იყო შეკრების ნიშანი ძმადშეფიცულ კარბონაროებისათვის, რომელთაც მისირილი მიეკედლა რომანიაში დაბრუნების შემდეგ. იმ ღამესვე ყველამ თავი მოიყარა ტყეში, განდეგილის სენაკთან. ორმა მწირმა, რომელნიც ხაშხაშით იყვნენ გაბრუებულნი, ვერც კი შეამჩნიეს, რისთვის იყენებდნენ მათ ქოხს. მისირილიმ, რომელიც ისედაც დაჯავრიანებული მოვიდა, გაიგო, რომ მათი ბელადი დაეჭირათ. თუმცა ძმობაში ორმოცდაათი წლის კაცებიც შედიოდნენ, ვისაც შეთქმულებებში ჯერ კიდევ მიურატის 1815 წლის ლაშქრობის დროიდან ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა, მაგრამ კარბონაროები მაინც მას უპირებდნენ ბელადად არჩევას. ამ მოულოდნელმა პატივისცემამ გული აუჩქროლა პიეტროს. როცა მარტოდმარტო დარჩა, გადაწყვიტა, აღარ ეფიქრა

ახალგაზრდა რომაელ ქალზე და მთელი თავისი აზრი და გონება ბარბაროსებისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის მიეძღვნა.[1]

ორი დღის შემდეგ მისირილიმ იმ მოხსენებაში, რომელიც წარუდგინეს, როგორც შეთქმულთა ბელადს, წაიკითხა, თავადის ქალი ვანინა სან ნიკოლოში მოვიდა და თავის კოშკში დაბინავდაო. ამ სახელის წაკითხვამ მას უფრო შეშფოთება მოჰგვარა, ვიდრე სიამოვნება. ცდილობდა, სამშობლოს ერთგულება დაეცვა და იმ ღამესვე არ გაქცეულიყო სან ნიკოლოს კოშკისკენ. ამაოდ ცდილობდა, ვანინაზე არ ეფიქრა და თავისი ვალდებულება შეესრულებინა გონივრულად. მეორე დღესვე ინახულა. ქალს წინანდებურად უყვარდა. მამას მისი გათხოვება სდომებია და ამიტომ დაგვიანებია გამომგზავრება. ქალმა ორი ათასი ცეხინი მოუტანა. ამ მოულოდნელმა დახმარებამ დიდად შეუწყო ხელი მისირილის განმტკიცებას ახალ თანამდებობაზე. სატევრები დაუკვეთეს კუნძულ კორფუზე, მოისყიდეს პირადი მდივანი პაპის ლეგატისა, რომელსაც კარბონაროების დაჭერა ჰქონდა დაკისრებული. შეიძინეს იმ ხუცების სია, რომელნიც ჯაშუშებად ემსახურებოდნენ მთავრობას.

ამ დროს დამთავრდა ერთი შედარებით ნაკლები უგუნური შეთქმულება. აქ არ გამოვუდგები ყოველი წვრილმანის აღწერას, ვიტყვი მხოლოდ, საქმე რომ გამარჯვებით დაგვირგვინებულიყო, ეს უწინარეს ყოვლისა, მისირილისთვის იქნებოდა სასახელო. მისი წყალობით რამდენიმე ათასი მეამბოხე აჯანყდებოდა დანიშნულ დროს და იარაღით ხელში ბელადების მოსვლას დაუცდიდა. გადამწყვეტი წუთი ახლოვდებოდა, მაგრამ შეთქმულება ჩაიშალა ბელადების დატუსაღების გამო.

როცა ვანინა რომანიაში მივიდა, დარწმუნდა, რომ მისირილის გულში სამშობლოს ტრფიალს გაენელებინა ყოველივე სხვა გრძნობა. ახალგაზრდა რომაელი ქალის თავმოყვარეობა შელახული იყო. ამაოდ შეეცადა, თავდაჭერილობა გამოეჩინა. შავი ნაღველი შემოაწვა. გაკვირვებით შეამჩნია, რომ რამდენჯერმე დასწყევლა კიდეც თავისუფლება. ერთ დღეს, როცა იგი ფორლიში მივიდა მისირილის სანახავად, ვეღარ დამალა გულისტკივილი, აქამდე რომ თავისი სიამაყით იმორჩილებდა.

_ თქვენ ნამდვილად გიყვარვართ როგორც ქმარს, მაგრამ ჩემთვის ეს არა კმარა, _ უთხრა მისირილის.

[1] Liberal i'nItalia de'n barbari! – პეტრარკას საბრძოლო შეძახილი 1350 წელს, რომელიც შემდგომში გაიმეორეს იულიუს II-მ, მაკიაველმა და კონტ ალფიერიმ.

მაშინვე თვალები ცრემლებით აევსო. ეს იყო სირცხვილის ცრემლები, რომ თავი დაიმდაბლა და საყვედურსაც კი ამბობდა. მისირილიმ ამ ტირილზე ისე უპასუხა, როგორც მოუცლელ ადამიანს შეეფერებოდა. უცებ ვანინას აზრად მოუვიდა, ვაჟი მიეტოვებინა და რომში დაბრუნებულიყო. ქალი რაღაც მწვავე სიამოვნებას გრძნობდა, რომ თავის თავს სჯიდა სისუსტისთვის, რაიცა ეს იყო გამოიჩინა. რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა: იგი ღირსი არ იქნებოდა მისირილისა, თუ არ მიატოვებდა მას. სიამოვნებით ფიქრობდა იმ მტკივნეულ გაოცებაზე, რაიცა ვაჟს მოიცავდა, როცა ქალს ამაოდ დაუწყებდა ძებნას. მაგრამ ჩქარა მას საშინლად გული ატკინა იმ აზრმა, რომ ვერ მოიპოვა იმ მამაკაცის სიყვარული, რომლისთვისაც ამდენი სიგიჟე ჩაიდინა. ლაპარაკი დაიწყო და მთელი ძალ-ღონით შეეცადა მისთვის სიყვარულის ერთი სიტყვა მაინც გამოეგლიჯა. ვაჟი მას გონებაგაფანტულად ალერსიან სიტყვებს ეუბნებოდა, მაგრამ ბევრად მეტი სიღრმე ჩანდა მის გრძნობაში, როცა თავის პოლიტიკურ გეგმებს მიუბრუნდა და გულისტკივილით წამოიძახა:

_ ეჰ, თუ ეს საქმე კეთილად არ დამთავრდა, თუ მთავრობამ კიდევ აღმოაჩინა შეთქმულება, სამშობლოდან უნდა გადავიხვეწო!

ვანინა უძრავად იდგა. ერთი საათი იყო, გრძნობდა, უკანასკნელად ვხედავ ჩემს სატრფოსო. ვაჟის სიტყვები საბედისწერო შუქს ფენდა მის სულს. ქალი ფიქრობდა, კარბონაროებმა რამდენიმე ათასი ცეხინი მიიღეს ჩემგან, შეუძლებელია, ეჭვი შეიტანონ ჩემს ერთგულებაში შეთქმულების მიმართო.

ბოლოს ვანინა გამოერკვა და პიეტროს უთხრა:

_ გსურს თუ არა, ჩემთან ერთად ოცდაოთხი საათი გაატარო სან ნიკოლოს კოშკში? შენს კრებულს ამ საღამოთი არ სჭირდება შენი თანდასწრება. ხვალ დილით სან ნიკოლოში გავისეირნოთ - ეს დაამშვიდებს შენს მღელვარებას და სულიერ სიმშვიდეს დაგიბრუნებს, რაც ასეთი დიდი საქმეების შესასრულებლად გესაჭიროება.

პიეტრო დაეთანხმა.

ვანინა გავიდა, რათა სამგზავროდ მომზადებულიყო და, ჩვეულებისამებრ, გასაღებით დაკეტა პატარა ოთახი, რომელშიაც ვაჟი ჰყავდა დამალული.

ვანინა გაიქცა ერთ თავის ყოფილ მოახლისას, რომელიც გათხოვილი იყო და მის ქმარს საწვრილმანო ჰქონდა გაღებული ფორლიში. ამ დედაკაცის ბინაში შესვლისთანავე მან ლოცვანის არშიაზე საჩქაროდ ზედმიწევნით აღნიშნა ადგილი, სადაც იმავე ღამით შეთქმულები უნდა შეკრებილიყვნენ. თავისი დაბეზღება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

«ამჟამად შეთქმულებაში მონაწილეობას იღებს ცხრამეტი წევრი. აი, მათი სახელები და მისამართები». როცა ეს სია, მისირილის გვარის გამოკლებით, შევსებულ იქნა, ვანინამ გადასცა დედაკაცს, რომელსაც სავსებით ენდობოდა:

_ მიართვი ეს წიგნი კარდინალ-ლეგატს, წაიკითხოს, რაც აქ წერია და წიგნი უკან დაგიბრუნოს. აი, ათი ცეხინი. თუ ოდესმე ლეგატმა შენი სახელი წარმოთქვა, სიკვდილისაგან ვერაფერი გიხსნის. მაგრამ იცოდე, თვითონ მე სიკვდილს გადამარჩენ, თუ ლეგატს აქ დაწერილ სტრიქონებს წააკითხებ.

ყოველივე საუცხოოდ მოეწყო. ლეგატი დაშინებული იყო და დიდკაცური გულზვიადობა აღარ გამოიჩინა. ნება დართო მდაბიო უცნობ დედაკაცს, ნიღაბაფარებული შესულიყო მასთან მოსალაპარაკებლად; მხოლოდ მოითხოვა, ხელები შეეკრათ. ასე ხელშეკრული შეიყვანეს მეწვრილმანის ცოლი ამ დიდკაცთან, რომელიც ისე მისჯდომოდა უზარმაზარ, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას, თითქოს სანგარში ყოფილიყო ჩასაფრებული.

ლეგატმა წაიკითხა ლოცვანის წარწერა. წიგნი მოშორებით ეჭირა, რადგან უხილავი საწამლავისა ეშინოდა; შემდეგ მეწვრილმანის ცოლს დაუბრუნა. არ გასულა ორმოცი წუთი, რაც ვანინამ თავისი საყვარელი დატოვა, და მან უკვე თვალი მოჰკრა უკან დაბრუნებულ დედაკაცს. მაშინვე მისირილისთან აირბინა იმ იმედით, რომ ამიერიდან ვაჟი სამუდამოდ მისი იქნებოდა. ვანინამ პიეტროს უთხრა, ქალაქში არაჩვეულებრივი მოძრაობაა, ჟანდარმების რაზმები გამოჩნდნენ ისეთ ქუჩებში, სადაც ისინი არასოდეს უნახავთო.

_ დამიჯერე, _ უთხრა ქალმა, _ ახლავე გავემგზავროთ სან ნიკოლოში.

მისირილი დაეთანხმა. ისინი ქვეითად მივიდნენ ეტლამდე, რომელიც ქალაქიდან ნახევარი ლიეს მანძილზე უცდიდა მათ. ეტლში ერთგული და უხვად დაჯილდოებული მოახლე იჯდა.

სან ნიკოლოს კოშკში ვანინამ, რომელიც თავისი უცნაური საქციელით იყო შეშფოთებული, გაორკეცებული სინაზე გამოიჩინა სატრფოსადმი. მაგრამ, როცა სიყვარულზე ლაპარაკობდა, ეგონა, კომედიას ვთამაშობო. წინა დღით მას სინდისის ქენჯნა არ უგრძვნია, როცა ეხვეოდა და გამცემლობა ჩაიდინა, მაგრამ ახლა სატრფოს მკერდში იკრავდა და ფიქრობდა:

«მე ვიცი ერთი სიტყვა, რომლის წარმოთქმა საკმაოა, რომ შეძრწუნდეს და სამუდამოდ შემიძულოს».

შუაღამისას ერთი მსახური უცბად შემოვარდა ოთახში. ეს კაცი კარბონარო იყო, მაგრამ ქალმა ეს ამბავი აქამდე არ იცოდა. მაშასადამე, მისირილის მისთვის ზოგი რამ დაუმალავს, თვით ასეთი წვრილმანიც კი. ვანინას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ამ კაცმა შეატყობინა მისირილის, ღამით ფორლიში ალყა შემოარტყეს ცხრამეტი კარბონაროს ბინებს და ყველანი დაატუსაღეს, როცა საიდუმლო კრებიდან ბრუნდებოდნენო. ამ მოულოდნელი თავდასხმის მიუხედავად ცხრა კაცი გაქცეულიყო. ჟანდარმებს დანარჩენი ათი ციხეში წაეყვანათ. გალავანში შესვლისთანავე ერთი მათგანი ღრმა ჭაში ჩავარდნილიყო და თავი დაეხრჩო.

ვანინას უჭირდა თავის შეკავება. საბედნიეროდ, პიეტრომ ვერაფერი შეამჩნია; ადვილად შეეძლო კი მის თვალებში დანაშაული ამოეკითხა.

_ ამ წუთში, _ დაუმატა მსახურმა, _ ფორლის მცველმა რაზმმა ყველა ქუჩა შეკრა. ჯარისკაცები იმდენად ახლო დგანან ერთიმეორესთან, რომ ადვილად შეუძლიათ დალაპარაკება. მოქალაქეებს ქუჩაში მხოლოდ იმ ადგილას შეუძლიათ ერთი მხრიდან მეორეზე გადავიდნენ, სადაც ასისთავები დგანან.

ამ კაცის წასვლის შემდეგ პიეტრო ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა.

_ ამ წუთში შეუძლებელია რაიმეს გაკეთება, _ თქვა მან ბოლოს.

ვანინა ცოცხალ-მკვდარი იყო. იგი ცახცახებდა, როცა მისი თვალები პიეტროს თვალებს ხვდებოდა.

_ რა მოგდით, რა უცნაური სახე გაქვთ? _ ჰკითხა პიეტრომ, მაგრამ მაშინვე ფიქრებში წავიდა და თავი დაანება მის ცქერას.

მხოლოდ შუადღისას გაბედა ქალმა მისირილისთვის ეთქვა:

_ აი, კიდევ ერთი შეთქმულებაც აღმოაჩინეს. იმედი მაქვს, ახლა მაინც დამშვიდდებით ცოტა ხნით.

_ სრულიად დავმშვიდდები, _ უპასუხა მისირილიმ ღიმილით, რამაც ქალი შეაკრთო.

* * *

ვანინას აუცილებლად უნდა ენახა სან ნიკოლოს სოფლის მღვდელი, რომელიც, შეიძლება, იეზუიტების ჯაშუში იყო. როცა ვახშმობისას უკან დაბრუნდა, დაინახა, რომ პაწია ოთახი, სადაც მისი სატრფო იმალებოდა, ცარიელი იყო. გიჟივით შემოირბინა

მთელი სახლი, მაგრამ ვერსად ნახა. სასოწარკვეთილი ქალი ხელახლა შევიდა პატარა ოთახში და მხოლოდ ახლა შეამჩნია წერილი.

«ლეგატთან მივდივარ, ტყვედ უნდა ჩავბარდე, ჩვენი საქმის რწმენა დავკარგე, ზეცა ჩვენი წინააღმდეგია. ვინ გაგვცა? ალბათ, იმ უბედურმა, რომელიც ჭაში ჩავარდნილა. რადგან ჩემი სიცოცხლე სასარგებლო აღარ არის საცოდავი იტალიისათვის, არ მინდა, ჩემმა ამხანაგებმა, რაკი მარტო მე დავრჩი თავისუფალი, წარმოიდგინონ, თითქოს ისინი მე გავეცი. მშვიდობით! თუ გიყვარვართ, ეცადეთ შური იძიოთ ჩემს მაგიერ. დაღუპეთ, მოსპეთ უსინდისო მოღალატე, რომელმაც გაგვცა, თუნდ იგი მამაჩემი იყოს».

ვანინა სკამზე დაეცა ღონემიხდილი: უსაშინლეს ტანჯვას განიცდიდა, ენა აღარ ემორჩილებოდა, თვალები გამშრალი ჰქონდა და ეწვოდა.

ბოლოს დაიჩოქა:

_ ღმერთო ძლიერო! მიიღე ჩემი აღთქმა: დიახ, მე დავსჯი უსინდისო გამყიდველს, მაგრამ ჯერ თავისუფლება დაუბრუნე პიეტროს.

ერთი საათის შემდეგ ვანინა უკვე რომისკენ მიდიოდა. დიდი ხანია მამა უკან იწვევდა. ქალის შინ არყოფნის დროს მას გაერიგებინა მისი გათხოვების საქმე და თანხმობა მიეცა თავად ლივიო საველისთვის. ვანინამ ვერც კი მოასწრო სახლში შესვლა, მამამ ამაზე ლაპარაკი ჩამოუგდო. დიდად გაოცებული დარჩა, რაკი ქალმა მაშინვე თანხმობა მისცა. იმ საღამოსვე გრაფ ვიტელესკის მეუღლისას მამამ ვანინას თითქმის ზეიმით წარუდგინა ბატონი ლივიო. ქალი მას დიდხანს ესაუბრა. ეს იყო მეტად მოხდენილი გარეგნობის ყმაწვილი კაცი, საუკეთესო ცხენები ჰყავდა. თუმც გონებამახვილობა არ აკლდა, მაგრამ იმდენად მჩატე ხასიათისა იყო, რომ მთავრობა სრულიად სანდო პირად თვლიდა. ვანინას იმედი ჰქონდა, ადვილად მოვხიბლავ და შუამავლად გამოვიყენებო. რადგან იგი მისი ყოვლად სამღვდელოესობის კატანცარას ძმისწული იყო, ჯაშუშები ვერ გაბედავდნენ თვალყურის დევნებას.

რამდენიმე დღის განმავლობაში ვანინა მოწყალე თვალით უცქეროდა ამ სანდომიან ყმაწვილს, შემდეგ უცებ გამოუცხადა, ვერასოდეს ჩემი ქმარი ვერ გახდები, რადგან მეტისმეტად თავქარიანი ხარო.

_ თქვენ რომ უსუსური არ ყოფილიყავით, თქვენი ბიძის ხელქვეითნი არაფერს დაგიმალავდნენ. მაგალითად, რას უპირებენ კარბონაროებს, რომელნიც უკანასკნელად ფორლიში აღმოაჩინეს?

ორი დღის შემდეგ დონ ლივიო მოვიდა და უთხრა, ფორლიში დაჭერილი კარბონაროები ყველანი გაიქცნენო. ქალმა მას მიაპყრო თავისი დიდი შავი თვალები, რომლებშიც უღრმესი ზიზღის გამომხატველი ღიმილი კრთოდა და მთელ საღამოს ერთი სიტყვის თქმაც კი არ აღირსა. მესამე დღეს დარცხვენილი დონ ლივიო გამოუტყდა, მართლაც მომატყუესო.

_ მაგრამ მე ვიშოვე ბიძაჩემის კაბინეტის გასაღები, იქ ვნახე ქაღალდები, სადაც აღმოვაჩინე, რომ გავლენიანი კარდინალებისა და პრელატების კომისია საიდუმლოდ იკრიბება და მსჯელობს, სად გაასამართლონ ეს კარბონაროები _ რავენაში თუ რომში. ფორლიში დაჭერილი ცხრა კარბონარო და მათი ბელადი, ვინმე მისირილი, რომელმაც იმდენი უგუნურება გამოიჩინა, რომ თვით დანებდა მთავრობას, ამ წუთში წმინდა ლეოს[2] კოშკში სხედანო.

სიტყვა «უგუნურობის» გაგონებაზე ვანინამ გამანადგურებელი თვალებით შეხედა თავადს.

_ მე მინდა თქვენი ბიძის კაბინეტში შეგყვეთ და ჩემი საკუთარი თვალით ვნახო ოფიციალური ქაღალდები; თქვენ, ალბათ, ცუდად წაგიკითხავთ.

ამ სიტყვების გაგონებზე ლივიოს ტანში ჟრუანტელმა დაუარა: ვანინა თითქმის შეუძლებელ რამეს სთხოვდა, მაგრამ ამ ქალის ახირებული ხასიათი კიდევ უფრო აღვივებდა მის სიყვარულს. ორიოდეს დღის შემდეგ მამაკაცურად, კოხტად გამოწყობილმა ვანინამ, თითქოს საველი კატანცარას მსახური ყოფილიყოს, შეძლო პოლიციის მინისტრის კაბინეტში შესვლა და ნახევარი საათის განმავლობაში ხელს ურევდა მის საიდუმლო ქაღალდებში. სიხარულით გული აუჩქროლდა, როცა ბრალდებულ პიეტრო მისირილის საქმე აღმოაჩინა. ხელები აუკანკალდა. ამ გვარის წაკითხვის დროს გული კინაღამ წაუვიდა. რომის მმართველის პალატიდან გამოსვლისთანავე ვანინამ დონ ლივიოს ნება დართო მისთვის ეკოცნა.

_ თქვენ კარგად უძლებთ გამოცდას, რომელსაც მე გიწყობთ, _ უთხრა ქალმა ვაჟს.

ამ სიტყვების შემდეგ ახალგაზრდა თავადიშვილი მზად იყო ვანინას გულისთვის ცეცხლი წაეკიდებინა ვატიკანისთვის. იმ საღამოს საფრანგეთის ელჩს ზეიმი ჰქონდა. ვანინამ ბევრი იცეკვა და ისიც თითქმის მარტო დონ ლივიოსთან. ყმაწვილი მთვრალი იყო ბედნიერებით. საჭირო იყო ვანინას მისთვის მოფიქრების დრო არ მიეცა.

---

[2] სან ლეოს კოშკი _ მდებარეობს რომანიაში, რიმინისთან ახლოს. ამ ციხე-კოშკში დაიღუპა სახელმოხვეჭილი კალიოსტრო. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ის დაახრჩვეს.

_ მამაჩემი ხანდახან ახირებულია, _ უთხრა ერთ დღეს ვანინამ. _ ამ დილით ორი მსახური გააგდო. ორივე ჩემთან მოვიდა ტირილით. ერთმა მთხოვა, თქვენს ბიძასთან, რომის მმართველთან დამაყენეთო. მეორეს ფრანგების არტილერიაში უმსახურია ჯარისკაცად და ახლა წმინდა ანგელოზის ციხეში სურს ადგილის შოვნა.

_ ორივეს მე დავაყენებ სამსახურში, _ საჩქაროდ უთხრა ახალგაზრდა თავადიშვილმა.

_ განა მე ამასა გთხოვთ? _ უპასუხა ამაყად ვანინამ. _ მე უცვლელად გიმეორებთ იმ საბრალო ადამიანების თხოვნას. ორივემ სწორედ ის უნდა მიიღოს, რასაც თხოულობენ.

არაფერი იყო ამაზე ძნელი შესასრულებელი. მისი უსამღვდელოესობა კატანცარა წინდახედული კაცი იყო და თავის სახლში მხოლოდ ისეთ მსახურებს იყვანდა, რომელთაც კარგად იცნობდა. ვანინა გარეგნულად თითქოს მხიარულად იყო, მაგრამ სინდისის ქენჯნით იტანჯებოდა და თავს დიდად უბედურად თვლიდა. საქმის ნელი მსვლელობა უზომოდ ტანჯავდა. მოურავმა ფული უშოვა. არ იცოდა, რა ექნა: დაეტოვებინა მამის სახლი და რომანიაში წასულიყო სატრფოს განთავისუფლების საცდელად, თუ არა. თუმცა ეს აზრი უგუნური გახლდათ, იგი მაინც მზად იყო, თავი გაეწირა. მაგრამ ბედმა შეიბრალა.

ორიოდე დღის შემდეგ დონ ლივიომ უთხრა:

_ ათი კარბონარო მისირილის შეფიცულთა ჯგუფიდან რომში გადმოჰყავთ, თუმცა გასამართლების შემდეგ რომანიაში უნდა დააბრუნონ დასასჯელად. აი, რა გაიგო ჩემმა ბიძამ პაპისაგან ამ საღამოს. ეს საიდუმლოება რომში მარტო თქვენ და მე ვიცით. კმაყოფილი ხართ?

_ თქვენ ნამდვილი მამაკაცი ხდებით, _ უპასუხა ვანინამ, _ მაჩუქეთ თქვენი სურათი.

ერთი დღით ადრე, სანამ მისირილის რომში გადმოიყვანდნენ, ვანინამ რაღაც საქმე მოიმიზეზა ჩიტა კასტელანაში წასასვლელად. ამ ქალაქის ციხეში ათევინებდნენ ღამეს იმ კარბონაროებს, რომელნიც რომანიიდან რომში გადაჰყავდათ. მან დილით დაინახა მისირილი, როცა სატუსაღოდან გამოჰყავდათ: ფორანზე იჯდა მიჯაჭვული; ძალიან ფერმკრთალი ეჩვენა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, სრულიადაც არ იყო სულით დაცემული. ერთმა ხნიერმა დედაკაცმა იის თაიგული ესროლა; მისირილიმ ღიმილით მადლობა გადაუხადა.

ვანინამ თავისი სატრფო დაინახა და თითქოს მთელი მისი სული განახლდა, მხნეობა მოემატა. ცოტა ხნის წინათ მან წარმატება მიანიჭა მღვდელ-მონაზონს, გვარად კარის, ღატაკთა მოწესეს წმინდა ანგელოზის კოშკში, სადაც მისი სატრფო უნდა

დაემწყვდიათ. მან ეს კეთილი მღვდელი მოძღვრად აირჩია; რომში კი დიდ პატივად ითვლება თავადის ქალის და ისიც ქალაქის მმართველის სარძლოს მოძღვრობა.

ფორლის კარბონაროების პროცესმა ცოტა ხანს გასტანა. უკიდურესობის პარტიამ, რომელიც წინააღმდეგი იყო მათი რომში გადაყვანისა, შური იძია და მათ გასასამართლებელ კომისიაში ყველაზე მკაცრი და გულმოდგინე პრელატები შეიყვანა. კომისიას თვით პოლიციის მინისტრი თავმჯდომარეობდა.

შეთქმულთა საწინააღმდეგო კანონი ნათელია: ფორლის კარბონაროებს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდათ; ამისდა მიუხედავად, თავს დიდი გააფთრებით იცავდნენ. მსაჯულებმა მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, ზოგიერთმა მათი წამებაც კი მოითხოვა - ხელის მოკვეთა და სხვა. პოლიციის მინისტრს, რომლის წარმატება ისედაც უზრუნველყოფილი იყო, რაკი ამ თანამდებობის შემდგომი საფეხური კარდინალობაა, აღარ სჭირდებოდა კარბონაროებისთვის ხელების მოკვეთა. როცა მან განაჩენი პაპს წარუდგინა, სასჯელი რამდენიმე წლის დატუსაღებით შეაცვლევინა ყველა ბრალდებულისთვის; მხოლოდ პიეტრო მისირილი გამოაცალკევეს. მინისტრი ამ ყმაწვილში საშიშ ფანატიკოსს ხედავდა; ესეც არ იყოს, მას სიკვდილი უკვე მისჯილი ჰქონდა ორი ზემოთ ნახსენები ჟანდარმის მკვლელობისათვის. ვანინამ განაჩენისა და სასჯელის შეცვლის ამბავი მაშინვე გაიგო, როგორც კი მინისტრი პაპისგან უკან დაბრუნდა.

მეორე დღეს ყოვლადსამღვდელო კატანცარა შუაღამისას თავის პალატში დაბრუნდა და ვერ იპოვა თავისი მესაწოლე ყრმა. გაკვირვებულმა მინისტრმა რამდენჯერმე დარეკა. ბოლოს, ერთი გამოჩერჩეტებული ბებერი მსახური შემოვიდა. გულმოსულმა მინისტრმა ამჯობინა, თვით გაეხადა ტანთ. კარები ჩაკეტა. საშინლად ცხელოდა. ტანისამოსი გაიხადა, დაახვია და სკამისკენ ისროლა. ტანისამოსი ისეთი ძალით იყო ნასროლი, რომ სკამს გადასცილდა და მუსლინის ფარდას მოხვდა ფანჯარასთან ისე, რომ იქ დამალული ადამიანის სხეული გამოიკვეთა. მინისტრი საწოლს ეცა და დამბაჩას სტაცა ხელი. სანამ ფანჯრისკენ მიბრუნდებოდა, მას წინ შეეგება სრულიად ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მისი მსახურის ტანისამოსი ეცვა და ხელში დამბაჩა ეჭირა. დანახვისთანავე მინისტრმა დამბაჩა დაუმიზნა, ჭაბუკმა სიცილით უთხრა:

_ თქვენო უსამღვდელოესობავ, ნუთუ ვერ ცნობთ ვანინა ვანინის?

_ რას ნიშნავს ეს უხამსი ხუმრობა? _ უპასუხა გაბრაზებულმა მინისტრმა.

_ გულდამშვიდებით ვილაპარაკოთ, _ მიუგო ახალგაზრდა ქალმა. _ უწინარეს ყოვლისა, თქვენი დამბაჩა დატენილი არ არის.

გაკვირვებული მინისტრი დარწმუნდა, რომ ეს მართლაც ასე იყო. მაშინვე ჟილეტის ჯიბიდან ხანჯალი ამოიღო.[3]

ვანინამ მომხიბლავი და ამასთანავე მბრძანებლური კილოთი უთხრა:

_ დავსხდეთ, თქვენო უსამღვდელოესობავ.

და ქალი წყნარად ჩაჯდა სავარძელში.

_ ეს მაინც მითხარით, მარტო ხართ თუ არა? _ ჰკითხა მინისტრმა.

_ მარტოდმარტო, გეფიცებით! _ წამოიძახა ვანინამ.

მინისტრმა ინება, თვითონვე დარწმუნებულიყო: ოთახი შემოიარა და ყოველი კუთხე დაათვალიერა, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა ვანინასაგან სამი ნაბიჯის დაშორებით.

_ რა სარგებლობა მექნებოდა, _ თქვა ვანინამ ალერსიანი და აუღელვებელი ხმით, _ რომ დღეები შემემოკლებინა თქვენისთანა კეთილგონიერი ადამიანისათვის? ალბათ, თქვენს ადგილს სუსტი და თავქარიანი მინისტრი დაიჭერდა, რომელიც თავის თავსაც დაღუპავდა და სხვებსაც.

_ მაშ, რა გნებავთ, ქალბატონო? _ ჰკითხა გულმოსულმა მინისტრმა, _ ეს სცენა არ მომწონს და არც მინდა გაგრძელდეს.

_ ის, რაც ნათქვამს უნდა დავუმატო, _ უპასუხა ვანინამ ამაყი და ნაკლებ ალერსიანი ტონით, _ უფრო თქვენ შეგეხებათ, ვიდრე მე. მოითხოვენ, რომ კარბონარო მისირილი ცოცხალი გადარჩეს. თუ სიკვდილით დასაჯეს, იცოდეთ, ერთი კვირის შემდეგ თქვენც მას გაჰყვებით. პირადად მე არა ვარ ამ საქმით დაინტერესებული. გიჟური ქცევა, რაიცა თქვენ არ მოგწონთ, მე ჩავიდინე, ერთი მხრივ, თავის გასართობად და, მეორეც კიდევ, ერთი ჩემი მეგობარი ქალის გულისთვის. მე მინდოდა აგრეთვე, _ დააბოლოვა ვანინამ წინანდელი მეგობრული ტონით, _ სამსახური გამეწია ერთი ჭკვიანი ადამიანისათვის, რომელიც ჩქარა ჩემი ბიძა გახდება და, ალბათ, დიდად აამაღლებს თავის ოჯახს.

მინისტრს პირქუში გამომეტყველება შეეცვალა: უეჭველია, ვანინას სილამაზემ ხელი შეუწყო ამ ჩქარ ცვლილებას. მთელს რომში ცნობილი იყო, რომ ყოვლად სამღვდელო კატანცარამ იცოდა ლამაზი ქალის გემო, დამბაჩით შეიარაღებული ვანინა კი მართლაც

[3] რომაელ პრელატს, რასაკვირველია, ძალა არ შესწევდა არმიის კორპუსისათვის მამაცად გაეწია სარდლობა, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებია პარიზში პოლიციის მინისტრად მყოფ დივიზიის გენერალს იმ დროს, როცა მალემ ამბოხება მოაწყო. მაგრამ ის არასოდეს ასე ადვილად არ დააჭერინებდა თავს საკუთარ სახლში: შეეშინდებოდა, კოლეგები მასხარად ამიგდებენო. რომაელი, რომელმაც იცის, რომ ხალხს სძულს, მუდამ კარგადაა შეიარაღებული. ავტორი არ თვლის, რომ აუცილებელია, განმარტოს მთელი რიგი სხვა წვრილმანი განსხვავებანი პარიზელისა და რომაელის ქცევასა და ლაპარაკში. მას სრულიადაც არ სურს, შეარბილოს ეს განსხვავება და საჭიროდ თვლის, გაბედულად აღწეროს ისინი. ავტორის მიერ აღწერილ რომაელებს არა აქვთ პატივი, ფრანგები იყვნენ.

სანდომიანი იყო საველის დარბაზის ყრმის ტანსაცმელში, თხელ აბრეშუმის მაღალ წინდებსა, წითელ ჟილეტსა და ცისფერ, მოსირმულ წამოსასხამში.

_ ჩემო სარძლოვ, _ თქვა მინისტრმა თითქმის სიცილით, _ თქვენ სიგიჟეს სჩადიხართ და, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი არ იქნება.

_ იმედი მაქვს, ისეთი ჭკვიანი კაცი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, საიდუმლოებას შემინახავს, განსაკუთრებით დონ ლივიოსთან, _ უპასუხა ვანინამ. _ და რადგან, ჩემო ძვირფასო ბიძავ, მინდა დავალებული დამრჩეთ, მე თქვენ ერთ კოცნას მოგიძღვნით, თუ ჩემი მეგობარი ქალის ნაცნობს გადაარჩენთ.

ეს ნახევრად სახუმარო ტონი დიდად დამახასიათებელია რომაელი ქალებისათვის: ისინი ამრიგად უდიდეს საქმეებს აგვარებენ. ვანინამ მისი შემწეობით შეძლო, ეს შეხვედრა, რომელიც დამიზნებული დამბაჩებით დაიწყო, დარბაზობად გადაექცია.

მაგრამ ყოვლად სამღვდელო კატანცარამ ამაყად უკუაგდო ყოველივე შიში და განუმარტა თავის სარძლოს, რა დიდი დაბრკოლება გადაეღობებოდა მისირილის გადარჩენის საქმეში. საუბრის დროს მინისტრი ვანინასთან ერთად ოთახში დასეირნობდა. მან ბუხრიდან გადმოიღო ლიმონის წვენით სავსე ბროლის ჭურჭელი და ჭიქაში ჩაასხა, პირთან მიტანას აპირებდა, მაგრამ ვანინამ ჭიქა გამოსტაცა, ცოტა ხანს ხელში დაიჭირა და ბაღში გადააგდო.

_ ფრთხილად იყავით! თქვენი სიკვდილი უნდოდათ. აქ ყველაფერი მოწამლულია. მე ჩემს მომავალ ბიძას სიცოცხლე შევუნარჩუნე, რათა საველის ოჯახში სრულიად ხელცარიელი არ შევსულიყავი.

გაოცებულმა კატანცარამ მადლობა გადაუხადა თავის სარძლოს და იმის იმედიც მისცა, მისირილის ვიხსნიო.

_ ხელშეკრულება დადებულია! და ამის დამამტკიცებელია, აი, ეს საზღაური, - წამოიძახა ვანინამ და აკოცა.

მინისტრმა მიიღო ეს საზღაური.

_ უნდა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასო ვანინა, მე თვით არ მიყვარს სისხლი. ამას გარდა, თქვენ უთუოდ საკმაოდ ხნიერად გეჩვენებით, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდა ვარ, რომ შეიძლება იმ ხანამდე ვიცხოვრო, როცა დღეს დაღვრილი სისხლი ლაქად გადაიქცევა.

საათმა ორჯერ ჩამოჰკრა, როცა ყოვლად სამღვდელო კატანცარამ ვანინა თავისი ბაღის ჭიშკრამდე მიაცილა.

მესამე დღეს, როცა მინისტრი პაპს წარუდგა, თავს მეტად უხერხულად გრძნობდა და არ იცოდა, როგორ დაეწყო, მაგრამ მისმა უწმინდესობამ უთხრა:

_ უწინარეს ყოვლისა, ერთი ადამიანის შეწყალება უნდა გთხოვოთ. ფორლის კარბონაროებიდან ერთს სიკვდილი მიუსაჯეს. ეს აზრი ძილს მიფრთხობს, ის კაცი უნდა გადავარჩინოთ.

რაკი მინისტრმა დაინახა, რომ პაპი მის ფარულ განზრახვას მიმხრობოდა, მრავალი საწინააღმდეგო მოსაზრება წარუდგინა, მაგრამ ბოლოს მაინც სათანადო დეკრეტი შეადგინა, რომელსაც, ჩვეულების წინააღმდეგ, თვით პაპმა მოაწერა ხელი.

ვანინა ფიქრობდა, შეიძლება, ჩემი საყვარელი შეიწყალონ, მაგრამ შეეცდებიან მის მოწამვლასო. წინადღით მისირილიმ ვანინას მოძღვრისაგან დიდძალი ნამცხვარი მიიღო და ამასთანავე რჩევაც, ხელი არ ახლო სახელმწიფო საჭმელსო.

შემდეგ ვანინამ გაიგო, ფორლის კარბონაროები ხელახლა წმინდა ლეოს კოშკში გადაჰყავთო, და გადაწყვიტა მისირილის ნახვას ცდილიყო, როცა ტუსაღებს ჩიტა კასტელანაში ჩამოატარებდნენ. ქალი ამ ქალაქში ტუსაღების მოყვანამდე ერთი დღით ადრე ჩავიდა. აქ დახვდა მღვდელ-მონაზონი კარი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ჩამოსულიყო. მოძღვარმა სატუსაღოს ზედამხედველისაგან ნებართვა მიიღო, რომ მისირილის შუაღამის ლოცვა მოესმინა ციხის სამლოცველოში. კიდევ მეტს მიაღწიეს: თუ მისირილი დათანხმდებოდა პაემანზე ხელფეხშეკრული მისულიყო, მედილეგე სამლოცველოს კარს ამოეფარებოდა და ამრიგად, თვალწინ ეყოლებოდა ტუსაღი, რომლისთვისაც იგი პასუხს აგებდა, მაგრამ მის ლაპარაკს ვერ გაიგონებდა.

ბოლოს დადგა დღე, როცა ვანინას ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ის დილიდანვე ჩაიკეტა სატუსაღოს სამლოცველოში. ვის შეუძლია აღწეროს ის აზრები, რომელიც ქალს აღელვებდა ამ გაუთავებელი დღის განმავლობაში? უყვარდა თუ არა მისირილის იმდენად, რომ შეცოდება ეპატიებინა? მართალია, შეთქმულება გასცა, მაგრამ სამაგიეროდ სიცოცხლე შეუნარჩუნა. ვანინას იმედი ჰქონდა, თუ მისირილის მშფოთავ და ტანჯულ სულში გონება გაიმარჯვებდა, იგი დათანხმდებოდა, იტალია დაეტოვებინა მასთან ერთად: მისი შეცოდება ხომ მისი დიდი სიყვარულით იყო გამოწვეული. როცა საათმა ოთხჯერ დაჰკრა, შორიდან ქვაფენილზე ცხენოსანი ჟანდარმების თქარათქური მოესმა. თითოეული მათი ნაბიჯი თითქოს გამოხმაურებას პოულობდა მის გულში. ჩქარა მან გაარჩია იმ ფორნების ბორბლების ჭრიალი, რომლითაც ტუსაღები გადმოჰყავდათ. ცხენოსნები და ეტლები პატარა მოედანზე შეჩერდნენ, საპატიმროს წინ. ქალმა დაინახა, როგორ გადმოიყვანა ორმა

ჟანდარმმა მისირილი ფორნიდან, სადაც იგი მარტო იჯდა. იმდენად დამძიმებული იყო ბორკილებით, რომ განძრევა არ შეეძლო. «ცოცხალი მაინც არის, _ გაიფიქრა ქალმა და თვალები ცრემლით აევსო, _ ჯერ კიდევ არ მოუწამლავთ!» საშინლად მტანჯველი ღამე დაუდგა. საკურთხევლის სანათური, რომელიც მეტისმეტად მაღლა ეკიდა და რომლისთვისაც მედილეგეს ზეთი დაეზოგა, მკრთალად ანათებდა ამ პირქუშ საყდარს. ვანინას თვალები გაოცებული უცქეროდნენ იმ დიდკაცების საფლავებს, რომელნიც საშუალო საუკუნეებში დახოცილიყვნენ ამ სატუსაღოში. მათ ქანდაკებებს მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა.

უკვე დიდი ხანი გავიდა, ყოველი ხმაურობა შეწყდა. ვანინა ბნელ ფიქრებში იყო წასული. შუაღამის საათმა დაჰკრა. უცებ ქალს წყნარი ხმაური მოესმა, თითქოს ღამურა შემოფრენილიყოს. უნდოდა სადმე გაქცეულიყო, მაგრამ თითქმის გულწასული მიესვენა საკურთხევლის კანკელს. იმწუთშივე მის მახლობლად ორი მოჩვენება გაჩნდა ისე, რომ არ გაუგონია მათი ნაბიჯის ხმა. ესენი იყვნენ მედილეგე და მისირილი, რომელიც ისე იყო შეჯაჭვული, თითქოს რკინის ჯავშანი სცმოდეს. მედილეგემ სანათური ჩამოიღო და ვანინას გვერდით დადო დაბალ კანკელზე, რათა კარგად შეძლებოდა თავისი ტუსაღის დანახვა; შემდეგ უკან დაიხია კარებისკენ. ვანინა მაშინვე მისირილის გადაეჭდო ყელზე, მაგრამ მოხვევის დროს მხოლოდ მისი ცივი და ეკლიანი რკინა იგრძნო.

«ვინ დაადო ეს ბორკილები?» _ ფიქრობდა ქალი. იგი არავითარ სიამოვნებას აღარ გრძნობდა, როცა თავის სატრფოს ეხვეოდა. ამ გულისტკივილს მეორე მოჰყვა, კიდევ უფრო მწვავე; უცებ გაიფიქრა: ალბათ, მისირილიმ იცის ჩემი დანაშაული და იმიტომ შემხვდა ასე ცივადო.

_ ძვირფასო მეგობარო, _ წარმოთქვა ყმაწვილმა ბოლოს, _ ვწუხვარ, რომ თქვენ ასეთი სიყვარული გამოიჩინეთ ჩემდამი; ამაოდ ვცდილობ გამოვარკვიო, რით დავიმსახურე იგი. დამიჯერეთ, დავუბრუნდეთ უფრო ქრისტიანულ გრძნობებს, დავივიწყოთ მოჩვენებანი, რომელთაც გზა აგვიბნიეს. მე არ შემიძლია თქვენი გავხდე. ყოველი ჩემი საქმე მარცხით თავდება. შეიძლება ეს იმ მომაკვდინებელი ცოდვით აიხსნებოდეს, რასაც ბოლოს ჩავდივარ. თუნდაც უბრალო ადამიანური კეთილგონიერების მოსაზრებით მე ჩემს მეგობრებთან უნდა ვყოფილიყავი იმ საბედისწერო ღამეს, როცა ისინი დაიჭირეს ფორლიში. რატომ ჩემს სადარაჯოზე არ აღმოვჩნდი სახიფათო წუთში? რატომ უნდა გამომეწვია ჩემი იქ არყოფნით უმკაცრესი ეჭვები? მე სხვა გულისთქმამ შემიპყრო და იტალიის თავისუფლება წამით დამავიწყდა.

ვანინა გაოცებისაგან გონს ვერ მოსულიყო, იმდენად შეცვლილი ეჩვენა მისირილი. თუმცა არც ისე გამხდარი იყო, მაგრამ ოცდაათი წლის კაცის შეხედულება ჰქონდა. ვანინამ ეს ცვლილება საპატიმროს და ცუდ მოპყრობას მიაწერა და ტირილი დაიწყო.

_ ეჰ, _ თქვა მან, _ მედილეგეებმა კი აღმითქვეს, კარგად მოვეპყრობითო.

საქმე ისაა, რომ სიკვდილის მოახლოებამ ახალგაზრდა კარბონაროს გულში ყველა ის რელიგიური გრძნობა გააღვიძა, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა იტალიის თავისუფლებისათვის თავის განწირვას. თანდათან ვანინასთვის ნათელი გახდა, რომ გასაოცარი ცვლილება, რაიცა მან თავის სატრფოს შეამჩნია, ზნეობრივი ხასიათისა იყო და არა ცუდი ფიზიკური პირობების შედეგი. ამან ქალი კიდევ უფრო დატანჯა.

მისირილი დუმდა, ვანინა გულამოსკვნილი ტიროდა. თვით ვაჟსაც, ცოტა არ იყოს, გული აუჩუყდა:

_ ამქვეყნად რომ ვინმე მყვარებოდა, ეს თქვენ იქნებოდით, ვანინა! მაგრამ, მადლობა ღმერთს, ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს: ან საპატიმროში მოვკვდები, ან იტალიის თავისუფლებისათვის დავდებ თავს.

ხელახლა დუმილი ჩამოვარდა. ვანინას არ შეეძლო ლაპარაკი, გაურკვევლად ლუღლუღებდა. მისირილიმ დაუმატა:

_ მოვალეობის გრძნობა მკაცრია, ჩემო მეგობარო, მაგრამ გმირობა რა საჭირო იქნებოდა, ცოტაოდენი დაბრკოლება რომ არ ყოფილიყო გადასალახავი. სიტყვა მომეცით, არასოდეს არ შეეცდებით ჩემს ნახვას.

რამდენადაც ბორკილები ნებას აძლევდა, ოდნავ ხელი გაანძრია და თითები გაუწოდა ვანინას.

_ თუ რჩევის ნებას მისცემთ ადამიანს, რომელიც ძვირფასი იყო თქვენთვის, მისთხოვდით იმ ღირსეულ მამაკაცს, მამათქვენმა რომ აგირჩიათ. ნურაფერს გაუმხელთ, რაც მისთვის საწყენი იქნება, მაგრამ ჩემს ნახვას ნუღარ ეცდებით, ვანინა, ამიერიდან უცნობი ვიყოთ ერთმანეთისთვის. თქვენ საკმაოდ დიდი თანხა შესწირეთ სამშობლოს საქმეს. თუ ოდესმე იგი მტარვალებისაგან განთავისუფლდა, ეს თანხა უკლებლივ უკან დაგიბრუნდებათ ეროვნული ქონებიდან.

ვანინა ცოცხალ-მკვდარი იყო. ლაპარაკის დროს პეიტროს თვალი მხოლოდ ერთხელ აენთო, როცა სამშობლოს სახელი წარმოთქვა.

ბოლოს, ახალგაზრდა თავადის ქალს სიამაყის გრძნობამ უშველა. მას თან წამოეღო ალმასები და პატარა ქლიბები. მისირილისთვის პასუხი აღარ გაუცია, ისე გაუწოდა ეს ნივთები.

_ ვღებულობ, რადგან ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე, _ უთხრა ყმაწვილმა. _ როგორმე უნდა გავიქცე, მაგრამ არასოდეს აღარ შევხვდებით, გეფიცებით თქვენი ახალი ქველმოქმედების სახელით. მშვიდობით, ვანინა! აღმითქვით, არასოდეს წერილს არ მომწერთ და არასოდეს არ ეცდებით ჩემს ნახვას. დაუთმეთ ჩემი თავი სამშობლოს, თქვენთვის უკვე მკვდარი ვარ. მშვიდობით.

_ არა, _ უპასუხა ვანინამ გააფთრებით, _ მე მინდა იცოდე, რა მოვიმოქმედე შენი სიყვარულის გულისთვის.

მაშინ ქალმა ვაჟს უამბო ყოველივე, რაც ჩაიდინა მას შემდეგ, რაც მისირილიმ წმინდა ნიკოლოს კოშკი დატოვა, რათა პაპის ლეგატს წარსდგომოდა. ბოლოს დაუმატა:

_ ყოველივე ეს არაფერია, მე კიდევ მეტი ვქენი შენი სიყვარულის გულისთვის.

და თავისი გამცემლობის ამბავი უთხრა.

_ აჰ, შხამიანო გველო! _ წამოიძახა გაცოფებულმა პიეტრომ, თავს დაესხა და შეეცადა, მოეკლა თავისი ბორკილებით, მაგრამ პირველივე ყვირილის გაგონებაზე მედილეგემ მოირბინა და მისირილი შეაჩერა.

_ აჰა, ასპიტო, არ მინდა შენი ვალი გამყვეს, _ მიაძახა მისირილიმ ვანინას, სახეში ალმასები და ქლიბები მიაყარა და ჩქარი ნაბიჯით გაშორდა.

ვანინა განადგურებული დარჩა, რომში დაბრუნდა. ცოტა ხნის მერე გაზეთი იუწყებოდა, ვანინა ვანინი თავად ლივიო საველის მისთხოვდაო.

ჩენჩი

ნამდვილი ამბავი ჯაკომო და ბეატრიჩე ჩენჩის და მათი დედინაცვლის _ ლუკრეცია პეტრონი-ჩენჩის სიკვდილისა. ეს ადამიანები მამისა და ქმრის მკვლელობისათვის დასჯილ იქნენ უკანასკნელ შაბათს, 1599 წლის სექტემბრის 11-ს, ჩვენი წმინდა მამის, პაპი კლემენტ VIII-ის _ ალდობრანდინის _ ზეობის დროს.

უგვანო ცხოვრება, რომელსაც ყოველთვის მისდევდა ფრანჩესკო ჩენჩი, დაბადებული რომში და ერთი ჩვენი უმდიდრესი თანამოქალაქეთაგანი, მისი დაღუპვით

დამთავრდა. მან გამოიწვია აგრეთვე ნაადრევი სიკვდილი თავისი ვაჟიშვილებისა, ღონიერი და მამაცი ყმაწვილებისა და თავისი ასულის ბეატრიჩესი, რომელიც, თუმცა თექვსმეტი წლისაც კი არ იყო, როცა სიკვდილით დასაჯეს (ამ ოთხი დღის წინათ), მაინც უმშვენიერეს ქალად ითვლებდა პაპის სამეფოსა და მთელს იტალიაში. ხმა გავრცელდა, რომ ბატონმა გვიდო რენიმ, ბოლონიის სახელოვანი სამხატვრო სკოლის მოწაფემ, მოისურვა საბრალო ბეატრიჩეს სურათის დახატვა წარსულ პარასკევს, მისი სიკვდილით დასჯის წინა დღეს. თუ ამ დიდმა მხატვარმა ისევე კარგად დაამთავრა ეს საქმე, როგორც სხვა ნახატები შეასრულა ჩვენს სატახტო ქალაქში, შთამომავლობას შეეძლება წარმოდგენა იქონიოს, როგორი იყო ამ საუცხოო ქალის მშვენიერება, რათა მომავალმა თაობამ აგრეთვე დავიწყებას არ მისცეს უმაგალითო უბედურება და გასაოცარი სულიერი ძალა, ამ ნამდვილმა რომაელმა ქალმა რომ გამოიჩინა. მე გადავწყვიტე ამეწერა ყოველივე, რაც მისი დამღუპველი ყოფაქცევის შესახებ გავიგე ან რაც ჩემი თვალით ვნახე მისი დიდებული ტრაგედიის დღეს.

ის პირები, რომელთაც ცნობები მომცეს, თვით ყოველმხრივ გაცნობილნი იყვნენ ამ საქმის იდუმალ მხარეებს, რაიცა რომში დღემდე არავინ იცოდა, თუმცა თვე-ნახევარია აქ მხოლოდ ჩენჩის პროცესზე ლაპარაკობდნენ. ყოველივეს თავისუფლად ავწერ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია ჩემი ნუსხა რომელიმე პატივსაცემ არქივში შევინახო, საიდანაც მას მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოიტანენ. ჩემთვის დიდად სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ვალდებული ვარ ამ საბრალო ბეატრიჩე ჩენჩის დანაშაული ვაღიარო; ეს ქალი კი ყველას, ვინც კი მას იცნობდა, ისევე გასაღმერთებლად და პატივსაცემად მიაჩნდა, როგორც მისი საშინელი მამა სიძულვილისა და შეჩვენების ღირსად.

შეუძლებელია უარყოფა, რომ ამ კაცმა ზეცისგან გასაოცრად შორსმჭვრეტელი ჭკუა და ახირებული ხასიათი მიიღო: იგი იყო შვილი ბატონი ჩენჩისა, რომელიც პაპი პიუს V-ის (გისლიერის) დროს მოლარეთუხუცესის (ფინანსთა მინისტრის) ადგილზე იქნა დანიშნული. როგორც ცნობილია, ეს წმინდა პაპი გამსჭვალული იყო სამართლიანი სიძულვილით ერეტიკოსების წინააღმდეგ და მთელი ძალ-ღონე თავისი დიდებული ინკვიზიციის აღდგენას მოანდომა. იგი ზიზღით ეპყრობოდა თავისი სახელმწიფოს საერო მმართველობას. ასე რომ, ბატონმა ჩენჩიმ, რომელიც მოლარეთუხუცესად იყო კარგა ხნის განმავლობაში 1572 წლამდე, მოახერხა ას სამოცი ათასი პიასტრის წმინდა შემოსავალი დაეტოვებინა ამ შემაძრწუნებელი ადამიანისთვის, რომელიც მისი შვილი და ბეატრიჩეს მამა იყო.

გარდა ამ სიმდიდრისა, ფრანჩესკო ჩენჩის გამბედავი და ჭკვიანი კაცის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. ამ მხრივ ახალგაზრდობის დროს ვერავინ შეედრებოდა რომში. ეს სახელი მით უფრო აძლიერებდა პაპის სასახლეში და მთელი ხალხის თვალში, რომ მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი ისეთი ხასიათისა იყვნენ, რომელთაც საზოგადოება ადვილად აპატიებს ადამიანს. მრავალი რომაელი დღეს გულისტკივილით იგონებს აზრისა და მოქმედების თავისუფლებას, რომლითაც განსვენებული ლეონ X-ის ან პავლე III-ის დროს ვტკბებოდით. უკვე ამ უკანასკნელი პაპის დროს დაიწყეს ლაპარაკი ახალგაზრდა ფრანჩესკო ჩენჩიზე, მისი უკუღმართი სიყვარულის ამბებზე, რომელიც გამარჯვებით მთავრდებოდა კიდევ უფრო უკუღმართი გზების შემწეობით.

პაპი პავლე III-ის დროს, როცა კიდევ შეიძლებოდა საიდუმლოების განდობა, ლაპარაკობდნენ, ფრანჩესკო ჩენჩი დახარბებულია არაჩვეულებრივ განცდებს, რასაც შეუძლია ახალი და შემაშფოთებელი გრძნობები გამოიწვიოსო (peripezie di nuova idea). ვინც ასე ამბობს, ეყრდნობა, მაგალითად, მის შემოსავალ-გასავლის დავთრებში ნაპოვნ ასეთი შინაარსის ჩანაწერებს:

«ტოსკანელაში თავგადასავლებსა და peripezie-ებზე სამიათას ხუთასი პიასტრი (ეს 1837 წელს შეადგენდა თითქმის სამოციათას ფრანკს) et non fucaro (და ეს არც იმდენად ძვირია)».

შეიძლება იტალიის სხვა ქალაქებში არც კი იცოდნენ, რომ ჩვენი ბედი და ცხოვრების წესი რომში იცვლება ტახტზე მჯდომარე პაპის ხასიათის მიხედვით. მაგალითად, ცამეტი წლის განმავლობაში, კეთილი პაპის, გრიგოლ XIII-ის (ბუონკომპანის) მეფობის დროს ყოველივე ნებადართული იყო რომში, ყველას შეეძლო თავისი მტერი გაეგმირა მახვილით - ამისათვის არ დაისჯებოდა, მხოლოდ ცოტაოდენი სიფრთხილე იყო საჭირო. ამ გადაჭარბებულ შემწყნარებლობას გადაჭარბებული სიმკაცრე მოჰყვა ხუთი წლის განმავლობაში, როცა ის დიდი პაპი სიქსტე V მეფობდა, რომელზედაც, ისევე როგორც იმპერატორ ავგუსტუსზე ითქვა, უმჯობესი იყო ან სულ არ მოსულიყო ამქვეყნად, ან მუდამ აქ დარჩენილიყოო. მის დროს სიკვდილით დასაჯეს უბედური ადამიანები იმ მკვლელობისა ან მოწამვლისათვის, რომელიც უკვე ათი წელიწადია დავიწყებული იყო, მაგრამ დამნაშავეს აღსარებაში გამხელილი ჰქონდა კარდინალ მონტალტოსათვის, მერმინდელ სიქსტე V-თვის.

განსაკუთრებით გრიგოლ XIII-ის დროს დაიწყეს ლაპარაკი ფრანჩესკო ჩენჩის შესახებ. მან შეირთო დიდი შეძლების პატრონი ქალი, რომელიც სხვაფრივადაც

შეეფერებოდა ესოდენ სახელოვან დარბაისელს. იგი უკვე შვიდი შვილის დედა იყო, როცა გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ ფრანჩესკო ჩენჩიმ მეორე ცოლი შეირთო, ლუკრეცია პეტრონი, იშვიათი სილამაზის ქალი, განსაკუთრებით სახელგანთქმული თავისი ბრწყინვალე თეთრი კანის ფერით, მაგრამ ცოტაოდენ სრულტანიანი, რაიცა საერთო ნაკლია ჩვენი რომაელი ქალებისა. ლუკრეციასთან მას ბავშვები არ ჰყოლია.

უმცირესი ნაკლი, რომელიც შეიძლებოდა ფრანჩესკო ჩენჩისათვის დაგვეყვედრებინა, იყო მისი მიდრეკილება სამარცხვინო სიყვარულისადმი, ხოლო მისი უდიდესი ბიწიერება ურწმუნოება იყო. არავის არ უნახავს, რომ იგი ოდესმე ეკლესიაში შესულიყოს. სამჯერ ციხეში ჩასვეს თავისი ბილწი სიყვარულისთვის, მაგრამ თავი დაიხსნა ორასი ათასი პიასტრის შემწეობით, რომელიც ქრთამად მისცა პაპების გავლენიან ხელისუფალთ.

როცა მე ფრანჩესკო ჩენჩი პირველად ვნახე, მას უკვე შევერცხლილი თმა ჰქონდა. ეს იყო პაპი ბუონკომპანის ზეობაში, როცა ყოველივე ნებადართული გახლდათ გამბედავი ადამიანისათვის. იგი დაახლოებით ხუთი წყრთისა და ოთხი გოჯის სიმაღლისა იყო, ახოვანი შეხედულება ჰქონდა, თუმცა მეტად გამხდარი ჩანდა. ამბობდნენ, არაჩვეულებრივად ღონიერიაო; შეიძლება, თვითონ ავრცელებდა ამ ხმას. დიდი და მეტყველი თვალები ჰქონდა, მაგრამ ზედა ქუთუთოები ცოტათი გამობერვოდა. დიდი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა, თხელი ტუჩები და მომხიბლავი ღიმილი. ეს ღიმილი შემაძრწუნებელი ხდებდა, როცა ფრანჩესკო ჩენჩი რომელიმე თავის მტერს ჩააცქერდებოდა ხოლმე. ცოტაოდენი აღელვება ან გაღიზიანება იყო საკმაო, რომ აცახცახებულიყო. ჩემს ახალგაზრდობაში, პაპი ბუონკომპანის დროს, გზად შევხვდი, როცა ცხენით რომიდან ნეაპოლში მიდიოდა, ალბათ, რომელიმე თავისი საყვარელი ქალის სანახავად. იგი მიდიოდა სან ჯერმანოს და ფაჯოლის ტყის ბილიკით და სრულიად არ უფრთხოდა ავაზაკებს. ამბობდნენ, ამ გზის გავლას ოც საათსაც კი არ ანდომებსო. მუდმივ მარტო მოგზაურობდა, წინასწარ არავის აფრთხილებდა. როცა მისი პირველი ცხენი დაიღლებოდა, მეორეს ყიდულობდა ან იტაცებდა. სულ ცოტაოდენი მიზეზი იყო საკმაო, რომ ადამიანისთვის მახვილი ჩაეცა. მაგრამ უნდა ითქვას, ჩემს ახალგაზრდობაში, ე. ი. როცა იგი ორმოცდარვა თუ ორმოცდაათი წლისა იყო, ვერავინ გაუბედავდა წინააღმდეგობის გაწევას. მისი უდიდესი სიამოვნება მტრის საბრძოლველად გამოწვევა იყო.

მას კარგად იცნობდნენ მისი უწმინდესობის სამეფოების ყოველ კუთხეში. ხელგაშლილი იყო, მაგრამ ამასთანავე იმდენად გულღრძო, რომ არასოდეს შეურაცხყოფას არ ივიწყებდა და კარგა ხნის შემდეგ შეურაცხმყოფელს მკვლელს უგზავნიდა შურის საძიებლად.

ერთადერთი კეთილი საქმე, რომელიც მან გააკეთა თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, იყო ეკლესიის აშენება წმინდა თომას სახელზე თავისი სასახლის ფართო ეზოში, მდინარე ტიბრის ნაპირას. მაგრამ ეს სათნო მოქმედებაც გამოწვეული იყო ახირებული სურვილით, თვალწინ ჰქონოდა ყველა თავისი ბავშვის საფლავი. შვილები სძულდა ძლიერი და არაბუნებრივი სიძულვილით, თვით პატარაობის დროსაც კი, როცა მათ არაფრით შეეძლოთ მამის წყენა.

აი, აქ მინდა ყველანი დავასაფლავოო, ხშირად ეტყოდა იგი მწარე სიცილით მუშებს, რომელთაც ეკლესიის ასაგებად ამუშავებდა. სამი უფროსი ვაჟიშვილი - ჯაკომო, ქრისტეფორე და როკო სწავლის მისაღებად ესპანეთში გაგზავნა, სალამანკის უნივერსიტეტში. მაგრამ როცა ისინი ამ შორეულ ქვეყანაში ჩავიდნენ, ვერაგულად მოუსპო ფულის გაგზავნა, თითქოს მათი წვალება რაღაც უჩვეულო სიამოვნებას ჰგვრიდა. მრავალი წერილის მოწერის შემდეგ, რომელნიც უპასუხოდ დარჩნენ, საბრალო ახალგაზრდები იძულებულნი გახდნენ, გზადაგზა გროშები ესესხათ ან ემათხოვრათ და, ამრიგად, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

როცა რომში ჩავიდნენ, ნახეს, რომ მათი მამა კიდევ უფრო პირქუში, მკაცრი და უგულო გამხდარიყო, ვიდრე ოდესმე და, უსაზღვრო სიმდიდრის მიუხედავად, არც ტანსაცმლის მიცემა სურდა მათთვის და არც ფულისა, რაც საჭირო იყო ლუკმა-პურის საყიდლად. ეს უბედურები იძულებული გახდნენ მიემართათ პაპისთვის, რომელმაც აიძულა ფრანჩესკო ჩენჩი შვილებისთვის პატარა ულუფა დაენიშნა. ამ მცირედი დახმარების მიღებისთანავე ისინი განშორდნენ მამას.

ჩქარა ამის შემდეგ ფრანჩესკო ჩენჩი უხამსი სიყვარულის გულისათვის მესამედ და უკანასკნელად ჩასვეს ციხეში. ამ შემთხვევის გამო ძმებმა აუდიენცია სთხოვეს ჩვენს წმინდა მამას, აწ სვებედნიერად მსუფევ პაპს და შეევედრნენ, სიკვდილით დაესაჯა მათი მამა ფრანჩესკო ჩენჩი, რომელიც, მათი სიტყვით, არცხვენდა მთელ ოჯახს. კლემენტ VIII-ს მართლაც სურდა მისი მოკვდინება, მაგრამ არ განახორციელა თავისი პირვანდელი განზრახვა, რათა არ დაეკმაყოფილებინა ამ გადაგვარებული შვილების თხოვნა და ისინი სამარცხვინოდ გარეკა დარბაზიდან.

როგორც ზემოთ ვთქვით, მამა ციხიდან გამოვიდა დიდი ქრთამის შემწეობით, რომელიც ერთ-ერთ გავლენიან პირს მისცა. ადვილი გასაგებია, ვაჟების უცნაურმა ქცევამ კიდევ უფრო გააძლიერა მისი სიძულვილი შვილებისადმი. იგი მათ წყევლიდა ყოველ ფეხის გადადგმაზე, ხოლო ორ საბრალო ქალს, რომელნიც მასთან ცხოვრობდნენ სასახლეში, ყოველდღე ჯოხით სცემდა.

ფხიზელი ზედამხედველობის მიუხედავად, უფროსმა ქალმა დიდის გაჭირვებით მოახერხა, თხოვნა მიერთმია პაპისთვის. იგი ემუდარებოდა მის უწმინდესობას, ან გაეთხოვებინა, ან მონასტერში შეეყვანა. კლემენტ VIII-ს შეეცოდა უბედური ახალგაზრდა ქალი და კარლო გაბრიელის მიათხოვა, ერთი უკეთილშობილესი ოჯახის შვილს გუბიოში. მისმა უწმინდესობამ მამა აიძულა კარგი მზითვიც მიეცა.

ამ მოულოდნელმა უსიამოვნებამ დიდად განარისხა ფრანჩესკო ჩენჩი და რადგან ეშინოდა, ბეატრიჩეს მერმისში უფროსი დის მაგალითისთვის არ წაებაძა, იგი თავისი უზარმაზარი სასახლის ერთ-ერთ დარბაზში ჩაკეტა. არავის უფლება არ ჰქონდა ბეატრიჩესთან შესულიყო. ქალი ამ დროს თოთხმეტი წლისა ძლივს იქნებოდა, მაგრამ მთლად გაფურჩქვნილიყო და მთელი თავისი მომხიბლავი მშვენიერებით ბრწყინავდა. იგი დაჯილდოებული იყო მხიარული ხასიათით, სულიერი სიფაქიზითა და რაღაც განსაკუთრებული გონებამახვილობით, რისი მსგავსიც სხვა ქალში აღარ შემხვედრია. ფრანჩესკო ჩენჩის თვით მიჰქონდა მისთვის საჭმელ-სასმელი... საფიქრებელია, ამ ონავარ მხეცს მაშინ შეუყვარდა ბეატრიჩე, ან შეიძლება მოეჩვენა, რომ შეყვარებულია, რათა მომაკვდინებელი ტანჯვა-წამება მიეყენებინა თავისი უბედური ქალისთვის. ხშირად ელაპარაკებოდა უფროსი დის ვერაგ საქციელზე, ბრაზდებოდა თავისივე სიტყვების გაგონებაზე და ბოლოს ჯოხის ცემით ბნედავდა ბეატრიჩეს.

იმ დროს, როცა ეს ამბები ხდებოდა, მისი ვაჟი როკო ჩენჩი რომელიღაც მეძეხვეს შემოაკვდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ ქრისტეფორე ჩენჩიც მოკლულ იქნა პაოლო კორსო დე მასას მიერ. ამ შემთხვევაშიც მან თავისი ბნელი ურწმუნოება გამოიჩინა და თავისი ორი ვაჟის დასაფლავებაზე ერთი გროშის დახარჯვაც კი არ მოისურვა კელაპტრისთვის. როცა თავისი ვაჟის, ქრისტეფორეს ბედი გაიგო, წამოიძახა, მხოლოდ მაშინ ვიგრძნობ ცოტაოდენ სიხარულს, როდესაც ყველა ჩემი შვილი მიწაში მეყოლება, და როგორც კი უკანასკნელი მათგანი მოკვდება, ბედნიერების ნიშნად ცეცხლს წავუკიდებ ჩემს სასახლესო. მთელი რომი გაკვირვებული იყო ამ სიტყვებით, მაგრამ ყოველივე მოსალოდნელად მიაჩნდათ ამ

ადამიანისაგან, რომელიც სასახელოდ თვლიდა, რომ უდიერად ეპყრობოდა არა მარტო მთელ ქვეყანას, არამედ თვით პაპსაც.

(ამ ადგილიდან სრულიად შეუძლებელი ხდება, მივდიოთ რომაელ მთხრობელს, რომელიც მეტად ბუნდოვნად გვიამბობს უცნაურ საქციელზე, რითაც ფრანჩესკო ჩენჩის თავის თანამედროვეთა გაკვირვება ნდომებია. ამ კაცის საზიზღარი განზრახვების მსხვერპლნი, როგორც ჩანს, მისი უბედური ცოლი და ქალიშვილი შეიქნენ).

მაგრამ ეს ყოველივე როდი იკმარა. იგი შეეცადა მუქარითა და ძალმომრეობით პატივი აეხადა თავისი საკუთარი ქალის ბეატრიჩესთვის, რომელიც უკვე მოწიფული და მშვენიერი იყო. სრულიად გაშიშვლებული ურცხვად წვებოდა მის ლოგინში, ან შიშველივე მასთან დასეირნობდა თავისი სასახლის დარბაზებში; შემდეგ ცოლის დასაძინებელ ოთახში შეჰყავდა, რათა საბრალო ლუკრეციას ლამპრების შუქზე დაენახა, რას უშვრებოდა ბეატრიჩეს.

იგი ცდილობდა ამ საცოდავი ქალისთვის ჩაეგონებინა შემაძრწუნებელი მწვალებლური აზრი, რომლის გადმოცემას აქ ძლივს ვბედავ: როცა მამა საკუთარ ქალს შეუუღლდება, მათი შვილები აუცილებლად წმინდანები იქნებიან, და ყველა დიდი წმინდანი, რომელსაც ეკლესია იხსენიებს, ამრიგად გაჩნდა, ე. ი. მათი პაპა მათივე მამა იყოო.

როცა ბეატრიჩე წინააღმდეგობას უწევდა მამის შეჩვენებულ სურვილებს, იგი მას ჯოხის ცემით აოსებდა ისე, რომ ბედშავმა ქალმა ვეღარ აიტანა ასეთი უბედური ცხოვრება და გადაწყვიტა თავისი დის მაგალითისთვის წაებაძა. მან ჩვენს წმინდა მამას _ პაპს თხოვნა წარუდგინა და თავისი ბედი დაწვრილებით აუწერა; მაგრამ, ალბათ, ფრანჩესკო ჩენჩის წინასწარი ღონისძიება მიეღო, როგორც ჩანს, ამ თხოვნას არ მიუღწევია მის უწმინდესობამდე, ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელი გახდა მისი აღმოჩენა არზების სამდივნოში, როცა ბეატრიჩეს სატუსაღოში ყოფნის დროს მის დამცველს დიდად დასჭირდა ეს ქაღალდი. ეს არზა აგრეთვე ბეატრიჩეს დედინაცვლის _ ლუკრეციას სახელითაც იყო დაწერილი.

ფრანჩესკო ჩენჩიმ გაიგო მათი განზრახვა და ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიმკაცრით გაორკეცებდა ორი უბედური ქალის წვალებას.

სიცოცხლე მათთვის აუტანელი გახდა: ისინი დარწმუნდნენ, რომ მათ ვერაფერს უშველიდა იმ ხელმწიფის მართლმსაჯულება, რომლის კარისკაცები მოსყიდულნი იყვნენ ფრანჩესკოს ძვირფასი საჩუქრებით და გადაწყვიტეს, უკიდურესი ღონისძიებისთვის

მიემართათ, რამაც, თუმცა, ორივე ქალი დაღუპა, მაგრამ სამაგიეროდ, მათ ტანჯვასაც ბოლო მოუღო ამქვეყნად.

უნდა ითქვას, რომ ცნობილი ეპისკოპოსი გუერა ხშირად დადიოდა ჩენჩის სასახლეში. ეს იყო ახოვანი და მეტად ლამაზი მამაკაცი, ამას გარდა, ბედისაგან საგანგებო ნიჭი ჰქონდა მიმადლებული: რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი, საუცხოოდ დააბოლოებდა. ფიქრობდნენ, მას უყვარდა ბეატრიჩე და აზრად ჰქონდა მანტიის გახდა და მისი შერთვა, მაგრამ, თუმცა, გუერა დიდი სიფრთხილით მალავდა თავის განზრახვას, ფრანჩესკო ჩენჩიმ მაინც შეიძულა იგი, რადგან შეატყო, რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის შვილებთან. როცა მისი უსამღვდელოესობა გაიგებდა, ბატონი ჩენჩი სასახლეში არ იმყოფებაო, საქალებოში ადიოდა და რამდენიმე საათს მათთან საუბარში და მათი ჩივილის მოსმენაში ატარებდა. როგორც ჩანს, პირველად ბეატრიჩემ გაბედა, ბატონ გუერასათვის გაემჟღავნებინა თავიანთი განზრახვა. ცოტა ხნის შემდეგ იგიც მათი თანამზრახველი გახდა. ბოლოს, ბეატრიჩეს განმეორებითი თხოვნის შემდეგ, უფალი გუერა დათანხმდა, ეს უცნაური განზრახვა გაენდო ჯაკომო ჩენჩისათვის, რომლის თანხმობის მიუღებლად შეუძლებელი იყო რაიმეს გაკეთება, რადგან, როგორც უფროსი ძმა, იგი ოჯახის მეთაურად ითვლებოდა ფრანჩესკოს შემდეგ.

ეს კაცი სულ ადვილად ჩააბეს შეთქმულებაში. ჯაკომოს მამა უკიდურესი სისასტიკით ეპყრობოდა და არავითარ დახმარებას არ უწევდა, რაიცა მისთვის საგრძნობი იყო, როგორც უკვე ცოლიანი და დაწვრილშვილებული ადამიანისათვის. თავის შესაყრელად და მოსალაპარაკებლად, თუ როგორ მოეკლათ ფრანჩესკო ჩენჩი, მისი უსამღვდელოესობის, გუერას ბინა აირჩიეს. მთელი ეს საქმე წარმოებულ იქნა სათანადო წესების დაცვით. ყოველი წვრილმანისათვის დედინაცვლისა და ქალის დასტური იქნა მიღებული. ბოლოს, როცა შეთქმულებმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღეს, მათ მიმართეს ფრანჩესკო ჩენჩის ორ ყმას, რომელნიც უძლეველი სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულნი ბატონის წინააღმდეგ. ერთ მათგანს მარციო ერქვა. ეს იყო გულკეთილი კაცი, მეტად მოყვარული ფრანჩესკოს უბედური შვილებისა. იგი დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო მკვლელობაში და ამრიგად ესიამოვნებინა მათთვის. მეორე მათგანი, ოლიმპიო, თავად კოლონას მიერ პეტრელას ციხისთავად იყო დანიშნული ნეაპოლის სამეფოში, მაგრამ ფრანჩესკო ჩენჩიმ თავისი დიდი გავლენა გამოიყენა და თავადს გააძევებინა იგი.

ყოველ წვრილმანში შეუთანხმდნენ ამ ორ კაცს. რადგან ფრანჩესკო ჩენჩის განცხადებული ჰქონდა, რომის ცუდი ჰაერის ასაცილებლად ზაფხულის გატარებას პეტრელას კოშკში ვაპირებო, გადაწყვიტეს, მის მოსაკლავად თორმეტიოდე ნეაპოლელი ყაჩაღისათვის მოეყარათ თავი. ოლიმპიომ იკისრა მათი შოვნა. მათ პეტრელას მახლობელ ტყეში დამალავდნენ, შეატყობინებდნენ, თუ როდის გაუდგებოდა გზას ფრანჩესკო ჩენჩი, ისინი მას მოიტაცებდნენ და ოჯახს აცნობებდნენ, მხოლოდ დიდი გამოსასყიდი თანხის შემდეგ გავათავისუფლებთო. მაშინ შვილები იძულებულნი გახდებოდნენ, რომში დაბრუნებულიყვნენ ავაზაკების მიერ მოთხოვნილი ფულის შესაგროვებლად. ისინი თითქოს ვერ მოახერხებდნენ ამ თანხის დროზე შოვნას, და ავაზაკებიც, მუქარის თანახმად, მოკლავდნენ ფრანჩესკო ჩენჩის. ამრიგად, ვერავინ აიღებდა ეჭვს, ვინ იყო ამ მკვლელობის მოთავე და წამქეზებელი.

მაგრამ, როცა ზაფხული დადგა და ფრანჩესკო ჩენჩი რომიდან პეტრელასკენ გაემგზავრა, ჯაშუშმა გვიან გააგებინა ეს ამბავი ტყეში დამალულ ყაჩაღებს და მათ ვეღარ მოასწრეს შარაგზაზე ჩამოსვლა. ჩენჩიმ დაუბრკოლებლივ მიაღწია პეტრელას კოშკს, ხოლო ყაჩაღებს მოსწყინდათ მსხვერპლის ლოდინი და სხვა ადგილას წავიდნენ საძარცვავად.

ჩენჩი, როგორც გამოცდილი და იჭვიანი მოხუცებული, არასოდეს არ გამოდიოდა კოშკიდან. წელთა სიმძიმე, რაც მისთვის აუტანელი იყო, კიდევ უფრო აუარესებდა მის უგუნებობას, და იგი აორკეცებდა სიმკაცრეს ორი საბრალო ქალის მიმართ: ეგონა, ისინი დასცინიან ჩემს უძლურებასო.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ბეატრიჩემ კოშკის გალავანთან მოიხმო მარციო და ოლიმპიო. ღამით, როცა მამას ეძინა, იგი მათ ელაპარაკა ქვედა სარკმლიდან და უფალ გუერას სახელზე დაწერილი წერილები გადაუგდო. ამ წერილების შემწეობით შეთანხმდნენ, რომ გუერას ათასი პიასტრი უნდა აღეთქვა მარციოსა და ოლიმპიოსათვის, თუ ისინი თვითვე იკისრებდნენ ფრანჩესკო ჩენჩის მოკვლას. ამ ფულის ერთი მესამედი მის უსამღვდელოესობას უნდა გადაეხადა რომში საქმის შესრულებამდე, ხოლო ორი მესამედი ლუკრეციას და ბეატრიჩეს გაეღოთ, როცა საქმის მოგვარების შემდეგ ისინი ფრანჩესკო ჩენჩის სკივრს დაეპატრონებოდნენ.

ამას გარდა შეთანხმდნენ, მკვლელობა ღვთისმშობლობას მომხდარიყო, და ამ მიზნით ორივე მამაკაცი დიდის მოხერხებით კოშკში შეაპარეს. მაგრამ ლუკრეცია შეაჩერა

ღვთისმშობლის დღესასწაულის პატივისცემამ და მან აიძულა ბეატრიჩე, ერთი დღით გადაედოთ ეს საქმე, რათა ორმაგი ცოდვა არ ჩაედინათ.

მეორე დღეს, 1598 წლის სექტემბრის ცხრას, საღამოთი დედამ და შვილმა დიდის სიფრთხილით ხაშხაში დაალევინეს ფრანჩესკო ჩენჩის, და ეს ესოდენ ძნელი მოსატყუებელი ადამიანი ღრმა ძილს მიეცა.

შუაღამისას ბეატრიჩემ თვით შეიყვანა მარციო და ოლიმპიო კოშკში, შემდეგ ლუკრეცია და ბეატრიჩე მათ მძინარე მოხუცის ოთახში შეუძღვნენ. იქ მამაკაცები დარჩნენ, რათა საქმე მოეთავებინათ, ხოლო დედაკაცები მეზობელ ოთახში გავიდნენ და იქ იწყეს ლოდინი. უცებ მათ დაინახეს, რომ მამაკაცები მათთან შევარდნენ გაფითრებულნი და გონებააბნეულნი.

_ რა ამბავია? _ წამოიძახეს ქალებმა.

_ განა სიმდაბლე და სირცხვილი არ არის უმწეო მძინარე მოხუცის მოკვლა? _ უპასუხეს მათ: _ სიბრალულმა ხელი მოგვკვეთა.

ამ თავის მართლების გაგონებაზე ბეატრიჩე აღშფოთდა და მათ ლანძღვა დაუწყო:

_ განა თქვენ მამაკაცები გქვიათ? ამდენ ხანს ემზადეთ და ახლა მძინარე კაცის მოკვლა ვერ გაგიბედავთ? ალბათ, მაშინ უფრო შეშინდებოდით, ფხიზელისთვის რომ შეგეხედათ პირდაპირ! და ამისთვის გინდათ ფული მიიღოთ? კარგი, რაკი თქვენ ესოდენ მხდალნი ყოფილხართ, მე თვითონ მოვკლავ მამაჩემს, მაგრამ იცოდეთ, ვერც თქვენ იცოცხლებთ დიდხანს!

მკვლელები აანთო ამ ორიოდე მძაფრმა სიტყვამ. ესეც არ იყოს, შეეშინდათ, რომ დაპირებული საფასური შეუმცირდებოდათ და მედგრად შევიდნენ ოთახში, სადაც ქალებიც შეჰყვნენ. ერთ მკვლელთაგანს ხელში დიდი ლურსმანი ეჭირა, თვალზე დაუმიზნა მძინარე მოხუცს, მეორე ჩაქუჩით თავში ჩაურჭო ეს ლურსმანი. მეორე ლურსმანი ყელში ჩაურჭეს და, ამრიგად, ეს უბედური სული, რომელიც ამდენი ცოდვით იყო დამძიმებული, ეშმაკებმა გაიტაცეს; სხეულმა ფართხალი დაიწყო, მაგრამ ამაოდ.

საქმის გათავების შემდეგ ახალგაზრდა ქალმა ოლიმპიოს ვერცხლით სავსე დიდი ქისა აჩუქა, ხოლო მარციოს _ ოქრომკედით მოქარგული შალის წამოსასხამი, რომელიც მის მამას ეკუთვნოდა; შემდეგ, ორივენი გაისტუმრა.

როცა ქალები მარტო დარჩნენ, ცხედარს თავიდან და ყელიდან ლურსმნები ამოაძრეს, შემდეგ გვამი შალის საბანში გახვიეს და აივანზე გაათრიეს, რომელიც მიტოვებული ბაღისკენ გადიოდა. აქედან გადააგდეს ანწლში, მრავლად რომ იზრდებოდა

იმ განმარტოებულ ადგილას. რადგან ამ პატარა აივნის კუთხეში ფეხის ადგილი იყო, მათ იმედი ჰქონდათ, როცა მეორე დღეს მსახურები ანწლში მოხუცის გვამს ნახავდნენ, იფიქრებდნენ, ღამით გამოსულა, ფეხი დასცდენია და ძირს ჩავარდნილაო.

მართლაც ასე მოხდა. როცა დილით გვამი ნახეს, კოშკში დიდი ხმაური ატყდა, ქალებმაც ხმამაღლა გამოიტირეს მამისა და ქმრის ესოდენ სამწუხარო სიკვდილი. მაგრამ, თუმცა ბეატრიჩეს შეურაცხყოფილი ქალწულის გამბედაობა ჰქონდა, მოკლებული იყო ცხოვრების გამოცდილებას: დილითვე მან ციხის მრეცხავ ქალს სისხლით გასვრილი შალის საბანი მისცა და უთხრა, ნურაფერი გაგიკვირდება, რადგან მთელი ღამე სისხლი მდიოდაო. ამრიგად, ერთხანად ყოველივე მოწესრიგდა.

ფრანჩესკო ჩენჩი დიდებულად დაასაფლავეს, ხოლო ქალები რომში დაბრუნდნენ, რათა ის სიმშვიდე ეგემნათ, რაც დიდი ხანია, ამაოდ ეწადათ. მათ ეგონათ, საბოლოო ბედნიერებას მივაღწიეთო, რაკი არ იცოდნენ, რა ხდებოდა ნეაპოლში.

ღვთის მართლმსაჯულებამ, რომელსაც არ სურდა, ესოდენ საშინელი მკვლელობა დაუსჯელი დარჩენილიყო, ინება, რომ როგორც კი სატახტო ქალაქში მსაჯულთუხუცესმა გაიგო, რაც პეტრელას კოშკში მოხდა, მაშინვე სამეფო კომისარი გაგზავნა გვამის სანახავად და საეჭვო პირების დასაპატიმრებლად.

სამეფო კომისარმა ყველანი დააპატიმრა, ვინც ციხეში ცხოვრობდა. მთელი ეს ხალხი ნეაპოლში წაიყვანეს შებოჭილი, მაგრამ მათ ჩვენებაში არაფერი არ აღმოჩნდა საეჭვო; მხოლოდ მრეცხავმა ქალმა თქვა, ბეატრიჩესაგან გასისხლიანებული შალი მივიღეო. მას ჰკითხეს, შეეცადა თუ არა ბეატრიჩე აეხსნა, რად იყო შალზე ამოდენა სისხლის კვალიო; დედაკაცმა უპასუხა, ბეატრიჩემ ეს ბუნებრივ ავადმყოფობას მიაწერაო. შემდეგ ჰკითხეს, შეიძლება თუ არა ამდენი სისხლი ამგვარი ავადმყოფობით ყოფილიყო გამოწვეულიო; დედაკაცმა უპასუხა, - არა, ეს შეუძლებელია და, ამას გარდა, საბანზე დაქცეული სისხლი მეტად ღია ფერისა იყოო.

ეს ცნობები მაშინვე რომის სამსჯავროს გაუგზავნეს, მაგრამ რამდენიმე თვე გავიდა, სანამ ფრანჩესკო ჩენჩის შვილების დატუსაღებას მოიფიქრებდნენ. ლუკრეციას, ბეატრიჩეს და ჯაკომოს შეეძლოთ ათასჯერ დაეღწიათ თავი, ან ფლორენციაში წასულიყვნენ, ვითომდა სალოცავად, ან ჩივიტა ვეკიაში ხომალდში ჩამსხდარიყვნენ, მაგრამ ღმერთმა მათ ასეთი მხსნელი აზრი არ შთააგონა.

როცა მისმა უსამღვდელოესობამ, გუერამ გაიგო, რა ხდებოდა ნეაპოლში, მაშინვე შესაფერი ადამიანები მონახა მარციოსა და ოლიმპიოს მოსაკლავად, მაგრამ მხოლოდ

ოლიმპიოს მოკვლა მოახერხეს ტერნიში. ნეაპოლის სამსჯავრომ დააპატიმრებინა მარციო, და ისიც მაშინვე ყველაფერში გამოტყდა.

ეს გამანადგურებელი ჩვენება საჩქაროდ გადაეცა რომის სამსჯავროს, რომელმაც ბოლოს გადაწყვიტა, დაეჭირა და კორტე საველას სატუსაღოში მოეთავსებინა ფრანჩესკო ჩენჩის ვაჟიშვილები, ჯაკომო და ბერნარდო და მისი ქვრივი ლუკრეცია.

ბეატრიჩე მამის სასახლეში დატოვეს და მოისართა რაზმი დაუყენეს მცველად. მარციოც ნეაპოლიდან გადმოიყვანეს და საველას სატუსაღოში მოათავსეს. აქ იგი პირისპირ წაუყენეს ორივე ქალს, რომელნიც ყოველივეს დაჟინებით უარყოფდნენ. ბეატრიჩეს არ უნდოდა ეცნო ოქრომკედიანი წამოსასხამი, რომელიც მან მარციოს აჩუქა. მსაჯულის მიერ დაკითხვის დროს ეს ავაზაკი აღაფრთოვანა ახალგაზრდა ქალის მომხიბლავმა სილამაზემ და გასაოცარმა მჭევრმეტყველებამ და უარყო ყოველივე, რაც ნეაპოლში აღიარა. იგი აწამეს, მაგრამ მაინც არაფერში გამოტყდა; ამჯობინა, წამებით მომკვდარიყო: ეს იყო ბეატრიჩეს სილამაზის სამართლიანი პატივისცემა.

ამ კაცის სიკვდილის შემდეგ, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, მოსამართლეებმა იფიქრეს, რომ საკმაო საბუთი არ ჰქონდათ, ეწამებინათ ჩენჩის ორი ვაჟიშვილი ან მისი ცოლი და ქალი. ოთხივენი წმინდა ანგელოზის ციხეში გადაიყვანეს, სადაც მათ რამდენიმე თვე უშფოთველად გაატარეს.

* * *

თითქოს ქარიშხალმა განვლო და რომში არავის ეჭვი არ ჰქონდა, რომ ამ მშვენიერ და გამბედავ ახალგაზრდა ქალს, რომელმაც ასეთი ცხოველი ყურადღება გამოიწვია, ჩქარა გაათავისუფლებდნენ, მაგრამ უცებ, საუბედუროდ, მართლმსაჯულებას ხელში ჩაუვარდა ის ყაჩაღი, რომელმაც ტერნიში ოლიმპიო მოკლა. რომში მოყვანისთანავე მან ყოველივე აღიარა.

მის უსამღვდელოესობას გუერას, რომელიც შებღალულ იქნა ამ ავაზაკის ჩვენებით, წინადადება მიეცა, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო სამსჯავროს წინაშე. უეჭველად, სატუსაღო ელოდა, შეიძლება სიკვდილიც კი მიესაჯათ. მაგრამ ამ საოცარმა ადამიანმა, რომელსაც ბედმა ყოვლისშემძლეობა მიანიჭა, თავი გადაირჩინა ისე, რომ ადამიანს სასწაულმოქმედება ეგონება. იგი ულამაზეს მამაკაცად ითვლებოდა პაპის კარზე და ისე კარგად იყო ცნობილი მთელს რომში, რომ დამალვის იმედი ვერ ექნებოდა; ამას გარდა, ქალაქის კართან მცველები იდგნენ, შეიძლება, მის სახლსაც დარაჯობდნენ სასამართლოში

გაწვევის შემდეგ. უფალ გუერას მაღალი ტანი, სრულიად თეთრი პირისახე, მოხდენილი ქერა წვერი და იმავე ფერის საუცხოო თმა ჰქონდა.

იმ წუთშივე ერთი მენახშირე იშოვა, ტანისამოსი გამოართვა, თავი და წვერი გაიპარსა, სახე შეიღება, ორი სახედარი იყიდა და დაიწყო რომის ქუჩებში კოჭლობით სიარული და ნახშირის გაყიდვა. მან საუცხოოდ შეითვისა ტლანქი და ბრიყვული სახის გამომეტყველება და მთელი ქალაქი შემოიარა შავი პურის და ნივრის ჭამით. იმავე დროს კი მოისართა რამდენიმე ასეული დაეძებდა არა მარტო რომში, არამედ ყველა გზებსა და ბილიკებზე. ბოლოს, როცა ქალაქის მცველები მის გარეგნობას შეეჩვივნენ, გაბედა რომიდან გასულიყო, ნახშირით დატვირთული სახედრები კი წინ მიუძღოდნენ. გზაში მოისართა რამდენიმე რაზმი შეხვდა; მათ არც კი უფიქრიათ მისი გაჩერება. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი წერილი გამოაგზავნა. დედამ ფული გაუგზავნა მარსელში. ამბობენ, საფრანგეთში იბრძვის, როგორც ჯარისკაციო.

ტერნელი მკვლელის აღსარებამ და მისი უსამღვდელოესობის, გუერას გაქცევამ დიდი გაოცება გამოიწვია რომში და იმდენად გააღვივა და დაასაბუთა ეჭვი ჩენჩების წინააღმდეგ, რომ ისინი წმინდა ანგელოზის კოშკიდან საველას სატუსაღოში გადაიყვანეს.

როცა ორივე ძმა წამების განსაცდელში მისცეს, მათ სრულიად ვერ გამოიჩინეს ყაჩაღი მარციოს სულდიდობა, პირიქით, ყოველივე აღიარეს. ქალბატონმა ლუკრეცია პეტრონიმ, რაკი განებივრებული, ფუფუნებას შეჩვეული და, ამასთანავე, სრული ტანის მანდილოსანი იყო, ვერ გაუძლო თოკით დაკითხვას, ყოველივე თქვა, რაც კი იცოდა.

მაგრამ ასევე როდი მოიქცა ბეატრიჩე ჩენჩი - ეს სიცოცხლით და მხნეობით აღსავსე ახალგაზრდა ქალი. მსაჯულმა მოსკატიმ ვერც კეთილი სიტყვებით გააწყო რამე და ვერც მუქარით. ბეატრიჩემ თოკის განსაცდელი ვაჟკაცურად აიტანა, ერთი წუთითაც არ შეცვლილა სახეზე. მსაჯულმა ვერასგზით ისეთი პასუხი ვერ გამოსტყუა, რაც მას ოდნავ მაინც შებღალავდა, კიდევ მეტს ვიტყვით, თავისი გონებამახვილობით ქალმა სრულიად დააბნია მსაჯული, რომელსაც მისი გამოკითხვა ჰქონდა დაკისრებული. იგი იმდენად გააოცა ამ ახალგაზრდა ქალის ყოფაქცევამ, რომ საჭიროდ დაინახა, ყოველივე მოეხსენებინა მისი უწმინდესობის, აწ სვეტედნიერად მსუფევი პაპის, კლემენტ VIII-თვის. მისმა უწმინდესობამ კეთილინება და სასამართლოს საქმეები შეისწავლა. მას შეეშინდა, რომ მსაჯული ულისე მოსკატი, რომელიც ესოდენ ცნობილი იყო ღრმა ცოდნით და უაღრესი გონებრივი გამჭრიახობით, არ მოხიბლულიყო ბეატრიჩეს სილამაზით და ამიტომ ლმობიერება არ გამოეჩინა დაკითხვის დროს. ამით აიხსნება, რომ მისმა

უწმინდესობამ მას წაართვა ამ პროცესის ხელმძღვანელობა და უფრო მკაცრ მსაჯულს გადასცა. მართლაც, ამ ბარბაროსმა გამბედაობა იქონია, შეუბრალებლად ეწამებინა ეს მშვენიერი სხეული (დაკითხვის დროს ბეატრიჩე თმით იყო ჩამოკიდებული. აქ ხელნაწერში ისეთი რამეებია აღწერილი, რომ თანამედროვე ადამიანი მის წაკითხვასაც ვერ გაუძლებს; თექვსმეტი წლის რომაელმა ქალმა კი, რომელიც საყვარელმა კაცმაც მიატოვა, ყოველივე მხნედ აიტანა).

იმ დროს, როცა იგი თოკზე იყო ჩამოკიდებული, ახალმა მსაჯულმა მისი დედინაცვალი და ძმები მოაყვანინა. დანახვისთანავე ჯაკომომ და ქალბატონმა ლუკრეციამ შესძახეს:

_ ცოდვა ჩადენილია. უნდა მოვინანიოთ, ხოლო ხორცი არ უნდა ვაგლეჯინოთ ამაო ჯიუტობით.

_ მაშ, თქვენ გინდათ, ჩვენი ოჯახი შეარცხვინოთ და უპატიოდ მოკვდეთ? _ უპასუხა ახალგაზრდა ქალმა... დიდად შემცდარი ხართ, მაგრამ დაე, ასე იყოს, რადგან ასეთია თქვენი სურვილი.

შემდეგ მოისართ მიუბრუნდა:

_ ჩამომხსენით, წამიკითხონ დედაჩემის ჩვენება. მე დავადასტურებ, რაც დასადასტურებელია და უარვყოფ, რაც უარსაყოფელია.

ჩამოხსნეს და მან აღიარა ყოველივე, რაც მართალი იყო. მაშინ ყველას ბორკილები აჰყარეს. რადგან ხუთი თვე იყო გასული, რაც ბეატრიჩეს ძმები არ ენახა, მან მოისურვა მათთან ერთად კერძის მიღება: ამრიგად, ოთხივემ საკმაო მხიარული დღე გაატარა.

მაგრამ მეორე დღეს ისინი ხელახლა გათიშეს: ორივე ძმა ტორდინონას სატუსაღოში გადაიყვანეს, ხოლო ქალები საველას სატუსაღოში დატოვეს. როცა ჩვენმა წმინდა მამამ _ პაპმა მათი ჩვენების ოქმები წაიკითხა, ბრძანა, დაუყოვნებლივ ოთხივე გაუხედნელი ცხენების კუდებზე მიებათ და ისე დაეხოცათ.

მთელი რომი ათრთოლდა, როცა ეს მკაცრი განაჩენი გაიგო. მრავალი კარდინალი და თავადიშვილი წარსდგა პაპის წინაშე მუხლის მოსაყრელად და სათხოვნელად, რომ იმ უბედურთათვის თავდაცვის ნება მიეცათ.

_ განა მათ თავიანთ მოხუც მამას კი მისცეს დრო თავდაცვისათვის? _ უპასუხა აღშფოთებულმა პაპმა.

ბოლოს, საგანგებო მოწყალების სახით, მან კეთილინება მათთვის ოცდახუთი დღის ვადა მიეცა. მაშინვე რომის პირველმა ადვოკატებმა წერა დაიწყეს ამ პროცესისთვის,

რომელმაც მთელი ქალაქი აავსო ძრწოლითა და სიბრალულით. ოცდამეხუთე დღეს ყველანი მისი უწმინდესობის წინაშე წარსდგნენ. პირველად ნიკოლო დე ანგალისმა დაიწყო, მაგრამ ორი სტრიქონის წაკითხვაც ვერ მოასწრო თავისი სიტყვიდან, რომ კლემენტ VIII-მ შეაწყვეტინა:

_ როგორც ჩანს, რომში მოიპოვებიან ადამიანებიც, რომელნიც თავიანთ მამას კლავენ და ადვოკატებიც, რომელნიც ამ ადამიანებს იცავენ!

ყველანი დადუმებულნი იყვნენ, როცა სახელოვანმა ფარინაჩიმ გაბედა ხმის ამაღლება:

_ ყოვლად წმინდა მამაო, _ თქვა მან, _ ჩვენ აქ მოვედით არა დანაშაულის დასაფარავად, არამედ, შეძლებისამებრ, იმის დასამტკიცებლად, რომ ყველანი დამნაშავენი არ არიან ამ საქმეში.

პაპმა ანიშნა, ილაპარაკეო, და ფარინაჩიმ სამ საათზე მეტი ილაპარაკა; შემდეგ მისმა უწმინდესობამ ადვოკატებს მათი ნაწერები ჩამოართვა, ხოლო ისინი შინ გაისტუმრა.

ალტიერი სხვებს ჩამორჩა, ეშინოდა პაპის გულისწყრომისა, მუხლი მოიდრიკა და უთხრა: რადგან უბედურთა და ტვირთმძიმეთა დამცველი ვარ, არ შემეძლო, უარი მეთქვა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაზეო.

პაპმა უპასუხა:

_ ჩვენ გვაკვირვებს არა თქვენი, არამედ დანარჩენთა მოქმედება.

პაპმა არ ისურვა დასაძინებლად დაწოლა და მთელი ღამე ადვოკატების ნაწერების კითხვაში გაატარა. მუშაობაში წმინდა მარჩელოს კარდინალი მოიშველია. მისი უწმინდესობა იმდენად გულაჩუყებული იყო, რომ ბევრს იმედი მიეცა. ვაჟების გადასარჩენად ადვოკატებმა მთელი დანაშაული ბეატრიჩეს დააკისრეს. რადგან პროცესში დამტკიცდა, რომ მრავალჯერ მამამ ძალმომრეობა იხმარა ბოროტის განზრახვით, დამცველებს იმედი ჰქონდათ, ქალს აპატიებენ მკვლელობას, როგორც ადამიანს, ვინც კანონიერად იცავდა თავსო; ხოლო თუ დანაშაულის მთავარ ჩამდენელს სიცოცხლეს აჩუქებდნენ, როგორ დასჯიდნენ სიკვდილით ძმებს, რომელნიც მის მიერ იყვნენ შეცდენილნი?

იმ ღამის შემდეგ, რომელიც კლემენტ VIII-მ მსაჯულის მოვალეობის ასრულებაში გაატარა, მან ბრძანა, ბრალდებულნი სატუსაღოში დაებრუნებინათ და საკანში მოეთავსებინათ. ამ გარემოებამ დიდი იმედი გამოიწვია ქალაქში, რომელიც მთელ ამ საქმეში მხოლოდ ბეატრიჩეს ხედავდა. მას თუმცა უყვარდა მისი უსამღვდელოესობა

გუერა, მაგრამ არასოდეს არ შეულახავს უმკაცრესი სათნოების კანონები: მაშასადამე, შეუძლებელი იყო მისთვის მართლმსაჯულებას მხეცური ბოროტმოქმედება დაებრალებინა. მისი დასჯა შეიძლებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ თავდაცვის უფლება გამოიყენა. რას უზამდნენ, მამის ზრახვებს რომ დამორჩილებოდა? განა ადამიანის მართლმსაჯულებას კიდევ უფრო უნდა გაედიდებინა ამ არსების უბედურება, რომელიც ესოდენ საყვარელი, სიბრალულის ღირსი და დაჩაგრული იყო? გაწამებული ცხოვრების შემდეგ, რომელმაც მას თავს ყოველგვარი უბედურება დაატეხა, სანამ თექვსმეტი წელი შეუსრულდებოდა, ნუთუ ბოლოს უფლება არ ჰქონდა ნაკლებ საშინელი დღეები ეგემნა? თითქოს ყოველი ადამიანი რომში მის დამცველად იყო მოწოდებული. განა ეს ქალი გამართლებული არ იქნებოდა, რომ იმწამშივე, როცა ფრანჩესკო ჩენჩიმ დანაშაულის ჩადენა განიზრახა, იგი მახვილით გაეგმირა?

პაპი კლემენტ VIII გულკეთილი და მოწყალე იყო. იმედი მოგვეცა, ცოტა არ იყოს, შერცხვებოდა იმ სიცხარისა, ადვოკატების სიტყვების მოსმენის დროს რომ გამოიჩინა და აპატიებდა სუსტ ქალს, რომელმაც ძალა ძალით მოიგერია, მართალია, არა პირველი ბოროტმოქმედების დროს, მაგრამ, როცა ხელახლა აპირებდნენ მის ჩადენას. მთელი რომი აღელვებული იყო განაჩენის მოლოდინში, როცა პაპმა ცნობა მიიღო, ძალდატანებით მოკლეს კეთილშობილი მანდილოსანი კონსტანცია სანტა კროჩეო. მისმა შვილმა პაოლო სანტა კროჩემ მახვილით განგმირა ეს სამოცი წლის მოხუცი ქალი, ვინაიდან დედას არ უნდოდა იგი მთელი თავისი ქონების მემკვიდრედ დაემტკიცებინა. მოხსენებაში ნათქვამი იყო, სანტა კროჩე გაიქცა და მის გზა-კვალს ვერ მივაგენითო. პაპს აგრეთვე გაახსენდა მასინის მიერ ჩადენილი ძმის მკვლელობა, ცოტა ხნის წინათ რომ მოხდა. ახლო ნათესავების ასეთი ხშირი მკვლელობით სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მისმა უწმინდესობამ გადაწყვიტა, რომ ნება არ ჰქონდა შეწყალებისა. ის საბედისწერო ამბავი რომ შეიტყო, რომელიც სანტა კროჩეს შეეხებოდა, პაპი მონტე კავალოს სასახლეში იმყოფებოდა. აქ იგი ექვს სექტემბერს მივიდა, რათა მეორე დღის ცისკრისთვის ახლო ყოფილიყო ანგელოზთა წმინდა მარიამის ეკლესიასთან, სადაც ერთი გერმანელი კარდინალი ეპისკოპოსად უნდა ეკურთხებინა.

პარასკევს, 22 საათზე (საღამოს 4 საათზე) მან მოიხმო რომის მმართველი ფერანტე ტავერნა და საკუთარი პირით ეს სიტყვები გადასცა:

_ განდობთ ჩენჩის საქმეს, რათა დაუყოვნებლივ იზრუნოთ სამართლის აღსრულებისათვის.

მმართველი თავის სასახლეში დაბრუნდა დიდად აღელვებული ახლად მიღებული ბრძანების გამო; მაშინვე სიკვდილის განაჩენი გამოიტანა და კონგრეგაცია შეკრიბა სასჯელის დასაწესებლად.

შაბათს, დილით, 1599 წლის სექტემბრის 11-ს რომის უპირველესი დიდებულნი, ნუგეშისმცემელთა ძმობის წევრნი, მივიდნენ კორტა საველას სატუსაღოში, სადაც ბეატრიჩე და მისი დედინაცვალი იყვნენ დამწყვდეულნი და ტორდინონას სატუსაღოში, სადაც ჯაკომო და ბერნარდო ჩენჩები იმყოფებოდნენ. მთელი ღამის განმავლობაში პარასკევიდან შაბათამდე რომაელი დიდებულნი, რომელთაც იცოდნენ, რაც ხდებოდა, მონტე კავალოს სასახლიდან უმთავრესი კარდინალების სასახლეებში დარბოდნენ, რათა გამოეთხოვათ, რომ ქალები მაინც სატუსაღოში დაესაჯათ და არა სამარცხვინო ეშაფოტზე, და აგრეთვე შეეწყალებინათ ახალგაზრდა ბერნარდო ჩენჩი, რომელიც თხუთმეტი წლისაც კი არ იყო და შეთქმულებაში ვერ იქნებოდა გარეული. ამ საბედისწერო ღამეს განსაკუთრებული გულმოდგინეობა გამოიჩინა კეთილშობილმა კარდინალმა სფორცამ, მაგრამ თუმცა იგი დიდად გავლენიანი თავადი იყო, მაინც ვერაფერს გახდა. სანტა კროჩეს დანაშაული ფულის გულისთვის ჩადენილი დანაშაული იყო, _ ამბობდა ის, _ ბეატრიჩემ კი საკუთარი პატივის გადასარჩენად ჩაიდინა დანაშაულიო.

იმ დროს, როცა უძლიერესი კარდინალები ასეთ უნაყოფო ნაბიჯებს დგამდნენ, ჩვენმა დიდმა იურისკონსულტმა ფარინაჩიმ იმდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ პაპთან შეიჭრა, მისი უწმინდესობის წინაშე წარდგომისთანავე ამ გასაოცარმა ადამიანმა მოახერხა მის სინდისზე ზეგავლენის მოხდენა და ბოლოს თავი იმდენად მოაწყინა, რომ ძალით გამოგლიჯა ბერნარდო ჩენჩის სიცოცხლე.

როცა პაპმა ეს დიდი შეწყალების სიტყვა წარმოთქვა, დილის ოთხი საათი იქნებოდა (შაბათი, სექტემბრის თერთმეტი). მთელი ღამის განმავლობაში წმინდა ანგელოზის ხიდის მოედანზე ამ სასტიკი ტრაგედიის მზადება წარმოებდა. მაგრამ სიკვდილის განაჩენის ყველა აუცილებელი ნუსხები მხოლოდ დილის ხუთი საათისათვის იქნა გადაწერილი, ასე რომ, უკვე ექვსი საათი იყო, როცა საბედისწერო ცნობის საუწყებლად წავიდნენ იმ უბედურ ადამიანებთან: მათ უშფოთველად ეძინათ.

ახალგაზრდა ქალმა პირველ წუთში ძალაც კი ვერ მოიკრიბა ტანთ ჩასაცმელად. იგი გულის გამგმირავად კიოდა და საშინელ სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი.

_ ღმერთო ჩემო, განა შესაძლებელია, რომ ასე მოულოდნელად მოვკვდე?

ლუკრეცია პეტრონის არაფერი წარმოუთქვამს შეუფერებელი: მან ჯერ დაიჩოქა და ილოცა, შემდეგ წყნარად დაარიგა თავისი ქალი და სატუსაღოს სამლოცველოში შეიყვანა, სადაც უნდა მომზადებულიყვნენ იმ დიდი გზისთვის, რომელიც ცხოვრებიდან სიკვდილისაკენ მიდის.

ამ სიტყვამ სულიერი სიმშვიდე დაუბრუნა ბეატრიჩეს. რამდენადაც თავდაპირველად თავშეუკავებლობა და აღშფოთება გამოიჩინა, იმდენად კეთილგონიერი და გამგონე გახდა შემდეგ, როცა დედინაცვალმა მისი დიდი სული გამოიწვია. ამ წუთიდან იგი სიმტკიცის სარკე იყო და თაყვანისცემას იწვევდა მთელ რომში.

ბეატრიჩემ ნოტარიუსი მოითხოვა ანდერძის დასაწერად, და მაშინვე მოჰგვარეს. განაწესა, მისი გვამი პეტრე მოციქულის ეკლესიაში მიეტანათ მონტორიოში; სამასი ათასი თეთრი უანდერძა სტიგმატიკოსთა ორდენის მონაზვნებს: ეს თანხა ორმოცდაათი ღარიბი ქალის მზითევს უნდა მოხმარდესო. ამ მაგალითმა ააღელვა ქალბატონი ლუკრეცია, რომელმაც აგრეთვე ანდერძი დაწერა და განაწესა, მისი გვამი წმინდა გიორგის ეკლესიაში დაემარხათ; მან ამავე ეკლესიას ას ხუთი ათასი თეთრი უანდერძა ღარიბთათვის მოწყალების დასარიგებლად და მრავალი სხვა სათნო ანდერძი დატოვა.

რვა საათზე მათ აღსარება თქვეს, წირვა მოისმინეს და წმინდა ზიარება მიიღეს. მაგრამ წირვაზე წასვლამდე ქალბატონმა ბეატრიჩემ განსაჯა, რომ შეუფერებელი იყო მთელი ხალხის დასანახად ეშაფოტზე იმ მდიდრული ტანისამოსით ასვლა, მათ რომ ეცვათ, და ორი კაბა მოატანინა - ერთი თავისთვის, მეორე დედინაცვლისათვის. ეს კაბები მონაზვნების ტანსაცმლის მსგავსად იყო შეკერილი: არავითარი მორთულობა არ ჰქონდა მკერდსა და მხრებზე, მხოლოდ დანაოჭებული იყო და ფართო სახელოები ჰქონდა. დედინაცვლის კაბა შავი ჩითისგან იყო შეკერილი, ყმაწვილი ქალისა კი ცისფერი აბრეშუმისაგან და წელზე მსხვილი თოკი ჰქონდა შემორტყმული.

როცა კაბები მოიტანეს, ქალბატონი ბეატრიჩე, რომელიც მუხლმოდრეკილი იყო, წამოდგა და ქალბატონ ლუკრეციას მიმართა:

_ ქალბატონო დედაჩემი, ჩვენი ვნების საათი ახლოვდება. კარგი იქნება, თუ მოვემზადებით, ამ ტანსაცმელს ავიღებთ და ერთმანეთს უკანასკნელ სამსახურს გავუწევთ შემოსვის დროს.

* * *

წმინდა ანგელოზის ხიდის მოედანზე დიდი ეშაფოტი იყო აღმართული დასაჯდომი ფიცრითა და მანაიით (მანაია _ ერთგვარი გილიოტინაა). ცამეტ საათზე (დილის რვა საათზე) მოწყალების ორდენმა თავისი დიდი ჯვარი მოიტანა სატუსაღოს ბჭესთან. სატუსაღოდან პირველად ჯაკომო ჩენჩი გამოვიდა, კარის დირეზე სასოებით მუხლი მოიდრიკა, ლოცვა წარმოთქვა და ჯვარცმულის წმინდა წყლულებს ეამბორა. მას მოჰყვა მისი უმცროსი ძმა ბერნარდო ჩენჩი, რომელიც აგრეთვე ხელებშეკრული იყო, ხოლო თვალებზე პატარა ფიცარი ჰქონდა აფარებული. უზარმაზარი ბრბო იყო თავმოყრილი და დიდი ჩოჩქოლიც ატყდა იმის გამო, რომ ფანჯრიდან ქოთანი გადმოვარდა და კინაღამ თავზე დაეცა მომნანიებელთა ორდენის ერთ წევრს, რომელიც მებაირაღის გვერდით იდგა და ხელში ანთებული ლამპარი ეჭირა.

ყველანი ორ ძმას უცქეროდნენ, როცა მოულოდნელად მათ რომის სარანგი მიუახლოვდა და უთხრა:

_ ბატონო ბერნარდო, ჩვენმა პატრონმა სიცოცხლე გიწყალობათ: დამორჩილდით, თქვენს ნათესავებს გაჰყევით და მათთვის ილოცეთ.

მაშინვე ორმა ნუგეშისმცემელმა მას პატარა ფიცარი ჩამოაცილა, თვალებზე რომ ჰქონდა აფარებული. ჯალათმა ფორანზე დასვა ჯაკომო ჩენჩი და ტანისამოსი გახადა, რათა მარწუხით ეწამებინა. შემდეგ ჯალათი ბერნარდოს მიუახლოვდა, დაამოწმა შეწყალების წარწერა, ხელზე ბორკილები ახსნა, ფორანში ჩასვა და რადგან გატიტვლებული იყო მარწუხით წამების მოლოდინში, ოქრომკედით ნაქსოვი შალის ძვირფასი წამოსასხამი წამოასხა (ამბობენ, ეს იგივე წამოსასხამი იყო, რომელიც ბეატრიჩემ მარციოს აჩუქა პეტრელას ციხეშიო). უზარმაზარი ბრბო, რომელიც ქუჩაში, ფანჯრებში და სახურავებზე იდგა, უცებ შეინძრა, გაისმა ყრუ ხმაური, ლაპარაკობდნენ, ეს ბავშვი შეწყალებულიაო.

დაიწყეს ფსალმუნის გალობა და პროცესია ნელის ნაბიჯით ნავონეს მოედნით საველას სატუსაღოსკენ დაიძრა. სატუსაღოს ბჭესთან მისვლისთანავე მებაირაღე გაჩერდა, ორივე ქალი გამოვიდა, მათ მუხლმოდრეკით ილოცეს წმინდა ძელის წინაშე და შემდეგ ქვეითად გზას გაუდგნენ. ჩაცმულნი იყვნენ, როგორც ზევითაა ნათქვამი, დიდი აბრეშუმის პირბადეები თითქმის სარტყელამდე სწვდებოდათ.

ქალბატონ ლუკრეციას, როგორც ქვრივს, შავი თავსაბურავი ჰქონდა და შავი ხავერდის უქუსლო მაშიები ეცვა; ხოლო ახალგაზრდა ქალის პირბადე ცისფერი აბრეშუმისა იყო, ისევე როგორც მისი კაბა. ამას გარდა, ბეატრიჩეს მხრებზე მოსირმული შალი ეხვია, იისფერი შალის ქვედატანის კალთები უჩანდა და თეთრი ხავერდის მაშიები

ეცვა; მაშიები ლაზათიანად იყო შეკრული შინდისფერი თასმებით. ამ ტანსაცმელში იგი არაჩვეულებრივად მოხდენილად მიდიოდა და ყველას თვალები ცრემლებით ევსებოდა, როცა მას წყნარად მიმავალს ხედავდნენ პროცესიის უკანასკნელ რიგებში.

ქალებს ორივე ხელი თავისუფალი ჰქონდათ; მხოლოდ მკლავები შეებოჭათ ისე, რომ ჯვრის დაჭერა შესძლებოდათ. მათი ტანისამოსის სახელოები მეტად ფართო იყო, ისე რომ ვიწრო სამაჯურიანი პერანგი ჩანდა, როგორც ჩვენი ქვეყნის ჩვეულებას შეეფერება.

ქალბატონი ლუკრეცია ნაკლებ გულადი იყო და განუწყვეტლივ ტიროდა, ახალგაზრდა ბეატრიჩე კი, პირიქით, დიდ შეუდრეკელობას იჩენდა: იგი თვალს აპყრობდა ყოველ ეკლესიას, რომლის წინაც პროცესია გაივლიდა, მუხლს იდრეკდა ერთი წუთით და მტკიცე ხმით ამბობდა:

_ შენ გევედრები, მაცხოვარო!

ამ დროს საბრალო ჯაკომო ჩენჩის მარწუხებით აწამებდნენ ფორანში. იგი დიდ მოთმინებას იჩენდა.

პროცესიამ ძლივს გაატანა წმინდა ანგელოზის ხიდის მოედანზე, იმდენად გაჭედილი იყო იგი ეტლებითა და ხალხით. მაშინვე ორივე ქალი განათებულ სამლოცველოში შეიყვანეს, შემდეგ ჯაკომო ჩენჩიც მათ შეუერთეს.

ახალგაზრდა ბერნარდო, ოქრომკედიანი წამოსასხამით დაფარული, პირდაპირ ეშაფოტზე აიყვანეს. მაშინ ყველამ იფიქრა, შეწყალებული არ არის და მასაც სიკვდილი ელისო. საბრალო ბავშვს შიშით გული წაუვიდა, როგორც კი ორი ნაბიჯი გადადგა ეშაფოტზე. ცივი წყლით მოასულიერეს და იქვე, მანაიას პირდაპირ დასვეს.

ჯალათი წავიდა ქალბატონ ლუკრეცია პეტრონის მოსაყვანად. ხელები უკვე ზურგზე ჰქონდა შეკრული, მხრებზე რიდე აღარ ეფარა. იგი მოედანზე გამოჩნდა მედროშის თანხლებით, თავი შავი აბრეშუმის პირბადით ჰქონდა შეკრული. მუხლი მოიდრიკა და ჯვარცმულის წმინდა წყლულებს ეამბორა. უთხრეს, მაშიები ქვაფენილზე დაეტოვებინა. რადგან სრული ტანისა იყო, გაუჭირდა ზევით ასვლა. როცა ეშაფოტზე ავიდა და შავი აბრეშუმის პირბადე მოხადეს, დიდად შეწუხდა, რომ საქვეყნოდ გამოუჩნდა შიშველი მკერდი და მხრები. ჯერ მკერდზე დაიხედა, შემდეგ მანაიას შეხედა, მორჩილების ნიშნად წყნარად ასწია მხრები: თვალები ცრემლით აევსო. მან თქვა:

_ ღმერთო ჩემო!.. და თქვენ, ჩემო ძმებო, ილოცეთ ჩემი სულის სახსნელად.

რადგან არ იცოდა, რა უნდა ექნა, უფროს ჯალათს _ ალექსანდრეს ჰკითხა, როგორ მოვიქცეო. მან უთხრა, ფიცარზე გადაჯექ ისე, თითქოს ცხენზე იჯდეო, მაგრამ მისი

ქალური მორცხვობა შეურაცხყო ამ მოძრაობამ და კარგა ხანი მოანდომა, სანამ დაჯდებოდა (შემდეგი აღწერილობა ძნელი ასატანია თანამედროვე მკითხველისათვის: საკმაოა ვიცოდეთ, ამ უბედური ქალის მორცხვობამ გამოიწვია ის, რომ მკერდში დაიჭრა, სანამ მოკვდებოდა. ჯალათმა მისი თავი ბრბოს უჩვენა და შემდეგ შავი აბრეშუმის პირბადეში გაახვია).

როცა მანაიას ხელახლა აწყობდნენ ბეატრიჩესათვის, ერთი-ორი ფიცარნაგი, რომელიც ცნობისმოყვარე ხალხით იყო სავსე, ჩაინგრა და მრავალი ადამიანი დაიღუპა. ამრიგად, ისინი ბეატრიჩეზე ადრე წარსდგნენ ღვთის წინაშე.

როცა ბეატრიჩემ დაინახა, რომ მებაირაღე ეკლესიისკენ მოდიოდა მის წასაყვანად, იკითხა:

_ ქალბატონი დედაჩემი უკვე გარდაიცვალა?

უთხრეს, დიახ, გარდაიცვალაო. მაშინვე მუხლებზე დაეცა ჯვრის წინაშე და გულმოდგინედ ილოცა მისი სულისათვის. შემდეგ ხმამაღლა დიდხანს ელაპარაკა ჯვარცმულს.

_ მეუფეო, შენ ჩემთვის მობრუნდი და მე ნებსით გამოგყვები, სასოებას არ აღვიკვეთ, რომ შემიწყალებ დიდად ცოდვილს...

შემდეგ წარმოთქვა მრავალი ფსალმუნი და სიტყვა ღვთის სადიდებლად. როცა ბოლოს თოკით აღჭურვილი ჯალათი გამოჩნდა, უთხრა:

_ შებოჭე ჩემი სხეული, რომელიც უნდა დაისაჯოს და ახსენი ეს სული, რომელმაც უკვდავებასა და საუკუნო დიდებას უნდა მიაღწიოს.

მაშინვე წამოდგა, ილოცა, მაშიები კიბის ქვეშ დატოვა, ეშაფოტზე ავიდა, მკვირცხლად გადააბიჯა ფიცარს, კისერი მანაიას მიუშვირა და თვითვე გასწორდა მშვენივრად, რათა ჯალათის ხელის შეხება აეცილებინა. ამ მარდი მოძრაობით მან მოახერხა, რომ იმ წუთში, როცა პირბადე ახადეს, მაყურებელ საზოგადოებას არ დაუნახავს მისი მკერდი და მხრები. რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და თავის მოჭრა დაგვიანდა. ამ ხნის განმავლობაში ქალი იესო ქრისტესა და ყოვლად წმინდა ქალწულს მოუწოდებდა (ერთი იმდროინდელი ავტორი მოგვითხრობს, რომ კლემენტ VIII-ს დიდად ეშინოდა, ბეატრიჩე საუკუნოდ არ წაწყმედილიყო. პაპმა იცოდა, რომ ეს ქალი თავს უსამართლოდ დასჯილად თვლიდა. ამიტომ იმ წუთში, როცა ბეატრიჩემ თავი მანაიას მიუშვირა, წმინდა ანგელოზის კოშკიდან, საიდანაც ეშაფოტი ძლიერ კარგად ჩანდა, ზარბაზანი გაისროლეს. პაპი, რომელიც მონტე კავალოში ლოცულობდა, ამ ნიშანს უცდიდა, რათა იმ წუთშივე ცოდვები

განეტევებინა ბეატრიჩესთვის. ამით აიხსნება დაყოვნება ამ მრისხანე მომენტის დროს, რასაც მემატიანე აღნიშნავს). ქალის სხეული ათრთოლდა საბედისწერო წუთში.

საბრალო ბერნარდო ჩენჩის, რომელიც ისევ ეშაფოტზე იჯდა, ხელახლა გული წაუვიდა და ნუგეშისმცემელთ ნახევარ საათზე მეტი დასჭირდათ მის მოსასულიერებლად. მაშინ ეშაფოტზე გამოჩნდა ჯაკომო ჩენჩი, მაგრამ აქაც უნდა გამოვტოვოთ მეტად სასტიკი სურათის აღწერა. ჯაკომო ჩენჩი კეტით იქნა მოკვდინებული.

ბერნარდო მაშინვე სატუსაღოში წაიყვანეს და, რადგან საშინლად შეხურვებული იყო, სისხლი გამოუღეს.

რაც შეეხება საწყალ ქალებს, ისინი კუბოში ჩადეს და ეშაფოტის მახლობლად დაასვენეს პავლე მოციქულის ქანდაკების გვერდით, რომელიც წმინდა ანგელოზის ხიდის თავშია აღმართული. ისინი იქ დატოვეს ნაშუადღევის ხუთის თხუთმეტ წუთამდე. თითოეულ კუბოსთან ოთხი თეთრი ცვილის სანთელი ენთო.

შემდეგ მათი ცხედრები ჯაკომო ჩენჩის ნეშტთან ერთად ფლორენციის კონსულის სასახლეში გადაიტანეს. საღამოს 9 საათსა და მეოთხედზე საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი და დიდძალი ყვავილებით შემკობილი ახალგაზრდა ქალის ცხედარი გადატანილ იქნა მონტორიოს წმინდა პეტრეს ტაძარში. იგი მომხიბლავად მშვენიერი იყო: ადამიანი იფიქრებდა, სძინავსო. ბეატრიჩე დაკრძალულ იქნა რაფაელ ურბინელის მიერ მოხატული ფერიცვალების დიდი საკურთხევლის წინ. მას თან ახლდა რომის ფრანცისკანელთა ორდენის ყველა წევრი ორმოცდაათი კელაპტრით ხელში; ხოლო ლუკრეცია პეტრონი საღამოს ათ საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაში მიასვენეს.

ამ ტრაგედიას ურიცხვი ბრბო დაესწრო. ყველგან, სადაც თვალი მისწვდებოდა, ეტლებით და ხალხით გატენილი ქუჩები ჩანდა. კიბეები, ფანჯრები და სახურავები ცნობისმოყვარეებით იყო სავსე. ისეთი მცხუნვარე მზე ანათებდა, რომ მრავალ მაყურებელს გული წაუვიდა, ბევრს ხურვება დააწყებინა, და როცა 19 საათზე (ორს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა) ყოველივე გათავდა და ბრბო დაიშალა, მრავალი მაყურებელი გაისრისა, მრავალი კიდევ ცხენებმა გადათელეს: დახოცილთა რიცხვი ძალიან დიდი იყო.

ქალბატონი ლუკრეცია პეტრონი დაბალი ტანის მანდილოსანი იყო, და თუმცა უკვე ორმოცდაათი წლისა გახლდათ, ჯერ ისევ შერჩენოდა სილამაზე. მას მშვენიერი სახის ნაკვთები ჰქონდა, პატარა ცხვირი, შავი თვალები, თეთრყირმიზი სახე, თხელი, წაბლისფერი თმა.

ბეატრიჩე ჩენჩი, რომელიც ჩვენს გულში მუდამ სინანულს გამოიწვევს, ზუსტად თექვსმეტი წლისა გამხდარიყო. ტანით პატარა იყო, ზომიერად სრული, ლოყაზე ფოსოები ჩაღრმავებოდა ისე, რომ მკვდარს, ყვავილებში ჩაფლულს, თითქოს ეძინა და გეგონებოდათ, ახლაც, როგორც სიცოცხლეში, ისევ იცინოდა. მას პატარა პირი ჰქონდა, ქერა, ბუნებრივად ხვეული თმა. როცა ეშაფოტზე ადიოდა, კულულები თვალებზე გადმოუცვივდა და ამან ისეთი ეშხი შესძინა, რომ ყველას სიბრალული აღეძრა გულში.

ჯაკომო ჩენჩი დაბალი ტანის სრული მამაკაცი იყო, თეთრი სახის კანი და შავი წვერი ჰქონდა. იმ დროს ოცდათექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა.

ბერნარდო ჩენჩი პირწავარდნილი და იყო, და ვინაიდან მასავით გრძელ თმას ატარებდა, როცა ეშაფოტზე გამოჩნდა, ბევრს ბეატრიჩე ეგონა.

მზე ისე აჭერდა, რომ ამ ტრაგედიის ბევრი მაცქერალი იმავ ღამეს გარდაიცვალა.

სხვათა შორის, სიცხემ იმსხვერპლა უბალდინო უბალდინი, იშვიათი სილამაზის ახალგაზრდა კაცი, რომელიც მანამდე სავსებით ჯანმრთელი იყო. იგი იყო ძმა ბატონი რენცისა, რომელიც ესოდენ ცნობილია რომში. ამრიგად, ჩენჩთა აჩრდილებს მოზრდილი ამალა გაჰყვა საიქიოს.

გუშინ, ე. ი. ოთხშაბათს, 1599 წლის სექტემბრის თერთმეტს, სანტა მარჩელოს მომნანიებლებმა, წმინდა ძელის დღესასწაულის გამო, თავიანთი უპირატესობა გამოიყენეს, რათა სატუსაღოდან გაეთავისუფლებინათ ბატონი ბერნარდო ჩენჩი, რომელიც ვალდებულია ერთ წელიწადში ოთხასი ათასი თეთრი გადაუხადოს სიქსტეს ხიდის ყოვლადწმინდა სამებას.

(მიწერილია სხვა ხელით)

მისი შთამომავალნი არიან ფრანჩესკო და ბერნარდო ჩენჩები, რომელნიც დღესაც ცოცხლობენ.

ცნობილმა ფარინაჩიმ, რომელმაც თავისი დაჟინებით ახალგაზრდა ჩენჩი სიკვდილს გადაარჩინა, შემდეგ გამოაქვეყნა თავისი სიტყვები. ამ კრებულში მხოლოდ შემოკლებით შეიტანა სიტყვა ნომერი 66, რომელიც კლემენტ VIII-ის წინაშე წარმოთქვა ჩენჩის ოჯახის დასაცავად. ეს ლათინური სიტყვა ექვს დიდ გვერდს დაიჭერდა და, სამწუხაროდ, არ შემიძლია აქ დავურთო. ეს სიტყვა ნიმუშია იმისა, თუ როგორ მსჯელობდნენ 1599 წელს, და საკმაოდ გონივრულადაც მეჩვენება. მრავალი წლის შემდეგ, როცა ფარინაჩიმ თავისი სიტყვები დასასტამბად გაგზავნა, ჩენჩის დასაცავ სიტყვას შემდეგი მიაწერა; «ყველა სიკვდილით დაისაჯა, გარდა ბერნარდოსი, რომელსაც ქონების კონფისკაცია და კატორღა

მიუსაჯეს. აიძულეს ისიც, რომ დანარჩენთა სიკვდილით დასჯას დასწრებოდა, რაც მან შეასრულა კიდეც». დასასრული მეტად მგრძნობიარედ არის დაწერილი, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველი უკვე დაღალა ამ გრძელმა ამბავმა.

ვიოლანტე პალიანო

ზედმიწევნით სწორი თარგმანი ძველი ამბისა, რომელიც 1566 წელს აღიწერა.

თუმცა ჯიოვანი პიეტრო კარაფა უკეთილშობილეს ოჯახს ეკუთვნოდა ნეაპოლის სამეფოში, მაგრამ ისეთი ფიცხი, ტლანქი და მოუხეშავი იყო, რომ ადამიანს მეჯოგე ეგონებოდა. სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ანაფორა ჩაიცვა და რომში წავიდა, სადაც დახმარება გაუწია მისმა ბიძაშვილმა _ კარდინალმა და ნეაპოლის არქიეპისკოპოსმა - ოლივერო კარაფამ. ალექსანდრე VI-მ, იმ დიდმა, ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე ადამიანმა იგი თავისი დარბაზის ყრმად გახადა, იულიუს II-მ ჩიეტის არქიეპისკოპოსად აკურთხა, პაპმა პავლემ კარდინალის ხარისხი მიანიჭა, ხოლო ბოლოს, 1555 წლის 23 მაისს, კარდინალთა კრებაზე, სადაც მონაწილეებს შორის საშინელი ბრძოლა და კამათი ატყდა, იგი პაპად იქნა არჩეული პავლე IV-ის სახელით. მაშინ სამოცდათვრამეტი წლისა იყო. მაგრამ ახალი პატრონის სიმკაცრემ და მძაფრმა ღვთისმოსაობამ მალე შეაშფოთა იგივე ადამიანები, რომელთაც მას წმინდა პეტრეს ტახტზე მოუწოდეს.

ამ მოულოდნელი არჩევანის ამბავმა ნამდვილი რევოლუცია გამოიწვია ნეაპოლსა და პალერმოში. ორიოდე დღის შემდეგ რომში გამოჩნდა მრავალი წევრი კარაფათა სახელოვანი გვარისა. ყველამ თანამდებობა მიიღო, მაგრამ პაპმა განსაკუთრებული წარჩინება მიანიჭა თავისი ძმის, გრაფ მონტორიოს შვილებს.

უფროსი, დონ ჟუანი, უკვე ცოლიანი იყო. იგი პალიანოს დუკად დაინიშნა. მისი სამფლობელო, რომელიც მარკო ანტონიო კოლონას წაართვეს, მრავალ სოფელსა და დაბას შეიცავდა. მეორე ძმისწული მისი უწმინდესობისა, დონ კარლოსი, მალტის რაინდი, ომებში ნამყოფი მხედარი იყო. იგი დაინიშნა კარდინალად, ბოლონიის ლეგატად და პირველ მინისტრად. მამა-პაპისა არ იყოს, მასაც ეჯავრებოდა მთელ ქვეყანაზე უძლიერესი ხელმწიფე, ესპანეთისა და ინდოეთის მეფე _ ფილიპე II და არც კი მალავდა ამ

სიძულვილს. რაც შეეხება მესამე ძმას, დონ ანტონიო კარაფას, რომელიც აგრეთვე ცოლიანი იყო, პაპმა მონტებელოს მარკიზად დანიშნა. ბოლოს პავლე IV-მ გადაწყვიტა, თავისი ძმის ქალი საფრანგეთის ტახტის მემკვიდრის, ანრი მეორის ვაჟისათვის მიეთხოვებინა. პაპს განზრახვა ჰქონდა, მისთვის მზითვად მიეცა ნეაპოლის სამეფო, რომელიც ესპანეთის მეფის, ფილიპე II-თვის უნდა წაერთმიათ. კარაფათა ოჯახს სძულდა ეს ძლიერი ხელმწიფე, რომელმაც ისარგებლა მათი შეცდომებით და, როგორც შემდეგ დაინახავთ, კიდეც მოსპო ისინი.

წმინდა პეტრეს ტახტზე, რომელიც ამ დროს უძლიერესი ტახტი იყო დედამიწაზე და თვით ესპანეთის ბრწყინვალე თვითმპყრობელსაც კი ჩრდილავდა, პავლე IV-მ, ისევე როგორც მრავალმა მისმა მომდევნო პაპმა, სამაგალითო სათნოება გამოიჩინა. ეს იყო დიდი პაპი და დიდი წმინდანი. იგი ცდილობდა ბოროტმოქმედება მოესპო ეკლესიაში და დაეგვიანებინა საეკლესიო კრება, რომლის მოწვევას ყოველი მხრიდან სთხოვდნენ რომის სასახლეს; მაგრამ ამ უკანასკნელის ბრძნული პოლიტიკა იმხანად კრების მოწვევას შეუძლებლად თვლიდა.

იმდროინდელი ჩვეულების მიხედვით, რომელიც დავიწყებულია ჩვენი თანამედროვეების მიერ, ხელმწიფე ადვილად არ ენდობოდა ისეთ ხელისუფალთ, რომელთაც, შეიძლებოდა, პატრონის ინტერესებისაგან განსხვავებული საკუთარი ინტერესები ჰქონოდათ. ამიტომ, მისი უწმინდესობის სამფლობელოებს მისი სამი ძმისწული განაგებდა დესპოტურად. კარდინალი პირველი მინისტრი იყო და თავისი ბიძის ნებისყოფაზე დიდ გავლენას ახდენდა, პალიანოს დუკა წმინდა ეკლესიის ჯარის მხედართმთავარი იყო, ხოლო მარკიზი მონტებელო, როგორც სასახლის დარაჯთა რაზმის უფროსი, არავის უშვებდა კარიბჭეზე, გარდა სანდო პირებისა. მაგრამ ამ ყმაწვილმა კაცებმა იმთავითვე დიდი ძალმომრეობა გამოიჩინეს. მათ დაიწყეს თავიანთი მოწინააღმდეგეების ქონების მითვისება. ხალხმა არ იცოდა, ვისთვის მიემართა სამართლის მოსაპოვებლად. საფრთხე ელოდა არა მარტო მათ საკუთრებას, არამედ (საშინელებაა ამის თქმა უბიწო ლუკრეციას სამშობლოზე) მათი ცოლებისა და ქალიშვილების ღირსებასაც. დუკა პალიანო და მისი ძმები იტაცებდნენ ულამაზეს ქალებს. ამისათვის საკმაო იყო, ვინმე უბედური მოსწონებოდათ. ხალხი გაკვირვებული იყო, როცა ხედავდა, რომ ძმები არავითარ მოკრძალებას არ გრძნობდნენ სისხლით კეთილშობილთა წინაშეც. კიდევ მეტი, მათ წმინდა მონასტერთა გალავანიც კი ვერ აკავებდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ხალხს ვერ მოესაზრა, ვისთვის შეეჩივლა, იმდენად

დიდი იყო შიში, რომელსაც ეს სამი ძმა იწვევდა ყოველ ადამიანში, ვინც საქმისათვის ან რამის სათხოვნელად მიდიოდა პაპთან; თვით უცხოელ ელჩებსაც კი თავხედურად ექცეოდნენ.

დუკამ თავისი ბიძის აღზევებამდე შეირთო ვიოლანტე დი კარდონე, ესპანეთიდან გადმოსახლებული ოჯახის ქალი, რომელიც ნეაპოლში უმაღლესი არისტოკრატიის წრეს ეკუთვნოდა.

მისი გვარი Seggio di nido-ში იყო აღნუსხული.

ვიოლანტე სახელგანთქმული იყო იშვიათი სილამაზით. ჯადოქრობას იჩენდა, როცა მამაკაცისთვის თავის მოწონება უნდოდა, მაგრამ განსაკუთრებით ცნობილი იყო უზომო გულზვიადობით. უნდა ითქვას, რომ დიდი სულგრძელობა გამოიჩინა სიკვდილის წინ და არაფერში გამოუტყდა კაპუცინელ ბერმონაზონს, რომელმაც აღსარება ათქმევინა. ზეპირად იცოდა და არნახული გრაციით კითხულობდა პოეტ არიოსტოს «შმაგ ორლანდოს», ღვთაებრივი პეტრარკას სონეტებს, პეკორონეს მოთხრობებს და სხვ. მაგრამ კიდევ უფრო მომხიბლავი იყო, როცა კეთილინებებდა და მოსაუბრეებს თავისი სულის სიღრმიდან წარმოშობილ შთამაგონებელ იდეებს გადასცემდა.

მას ჰყავდა ვაჟი, რომელსაც დუკა დე კავის უწოდებდნენ. მისი ძმა, გრაფი ფერანდო დ'ალიფე რომში გადავიდა, სადაც სიძის წარჩინებულმა მდგომარეობამ მიიზიდა.

პალიანოს დუკას ბრწყინვალე ამალა ჰყავდა. ნეაპოლის და რომის კეთილშობილი ახალგაზრდობა ცდილობდა მისი ამალის წევრი გამხდარიყო, მაგრამ პატრონისთვის ყველაზე მეტად ძვირფასი იყო მარჩელო კაპეჩე, ახალგაზრდა ნეაპოლელი რაინდი, განთქმული თავისი გონებითა და ღვთიური სილამაზით, რომელიც ზეცით ჰქონდა მიმადლებული.

ვიოლანტე პალიანოს უახლოესი მეგობარი იყო დიანე ბრანკაჩიო, ოცდაათი წლის ქალი, ახლობელი ნათესავი მისი მაზლის, მარკიზ მონტებელოს მეუღლისა. რომში ლაპარაკობდნენ, ამ თავის მეგობართან ქალბატონი ვიოლანტე როდი იჩენს სიამაყეს, პირიქით, ყველა თავის საიდუმლოებას ანდობსო. მაგრამ ეს საიდუმლოებანი მხოლოდ პოლიტიკის დარგს შეეხებოდნენ. ვიოლანტე პალიანომ სხვებში იცოდა ვნებათა ღელვის გაღვივება, მაგრამ თვითონ არასოდეს არ აჰყვებოდა გულისთქმას.

კარდინალ კარაფას რჩევით პაპმა ომი გამოუცხადა ესპანეთის მეფეს და საფრანგეთის მეფემ პაპს მაშველი ჯარი გამოუგზავნა დუკა გიზის ხელმძღვანელობით.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ პალიანოს სასახლის შინაურ ამბებს.

კაპეჩე ბოლო დროს გიჟივით იყო. ის ახირებულად იქცეოდა. საბრალო ყმაწვილს გაშმაგებით შეუყვარდა თავისი პატრონის მეუღლე, მაგრამ ვერ ბედავდა გრძნობის გამხელას. საბოლოოდ მაინც არ კარგავდა იმედს, რომ მიზანს მიაღწევდა, რადგან ქალი გამწყრალი იყო ქმარზე, რომელსაც ის ათვალწუნებული ჰყავდა. დუკა პალიანო ყოვლისშემძლებელი ადამიანი იყო რომში და ქალბატონმა ვიოლანტემ დაბეჯითებით იცოდა, რომ თითქმის ყოველდღე სილამაზით განთქმული რომაელი ქალები მის ქმართან დადიოდნენ საკუთარ სასახლეში; ეს კი მისთვის აუტანელი შეურაცხყოფა იყო.

პავლე IV-ის კაპელანებს შორის იყო ერთი პატივსაცემი სამღვდელო პირი, რომელთანაც მისი უწმინდესობა თავის კურთხევანს კითხულობდა. ამ პირმა თავგანწირულებისა ან, შეიძლება, ესპანეთის ელჩის შთაგონების წყალობით, გაბედა პაპისათვის გაემხილა მისი ძმისწულების ბოროტმოქმედებანი. ღვთისნიერი მღვდელმთავარი ავად გახდა მწუხარების გამო, არ უნდოდა ნათქვამი დაეჯერებინა, მაგრამ ყოველი მხრიდან უტყუარ საბუთებს აწვდიდნენ. 1559 წლის პირველ იანვარს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც დაადასტურა პაპის ეჭვები და, შეიძლება, გადამწყვეტი ნაბიჯი გადაადგმევინა კიდეც მის უწმინდესობას. ეს დღე მაცხოვრის წინადაცვეთის დღეა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო დაამძიმა ჩადენილი ბოროტმოქმედება სათნოებით აღსავსე მღვდელმთავრის თვალში. ანდრეა ლანფრანჩიმ, დუკა პალიანოს მდივანმა, დიდებული ვახშამი გაუმართა კარდინალ კარაფას და, რადგან სურდა ნაყროვნობასთან ერთად ავხორცობითაც დაკმაყოფილებულიყო, მოიპატიჟა ცნობილი, ერთი მეტად ლამაზი და მდიდარი მეძავი ქალი კეთილშობილ ქალაქ რომში _ მარტუჩია. ბედისწერამ ინება, რომ დუკას არჩეული აზნაური კაპეჩე, რომელიც ფარულად ეტრფოდა მის მეუღლეს და ულამაზეს კაცად ითვლებოდა მსოფლიოს დედაქალაქში, დაკავშირებული ყოფილიყო მარტუჩიასთან. ამ საღამოსაც მან ქალს ძებნა დაუწყო ყველა იმ ადგილას, სადაც კი ეგულებოდა. ვერსად ვერ იპოვა, მაგრამ გაიგო, ლანფრანჩის ოჯახში ვახშამია გამართულიო. ეჭვი აიღო, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა და შუაღამისას იქ მივიდა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმის თანხლებით.

მოულოდნელ სტუმარს კარი გაუღეს და დღესასწაულზე მიიპატიჟეს, მაგრამ რამდენიმე ნაძალადევი სიტყვის შემდეგ მან მარტუჩიას ანიშნა, ადექი და თან წამომყევიო. სანამ ახალგაზრდა ქალი ყოყმანობდა და შეშფოთებული ელოდა, რაღაც არასასიამოვნო უნდა მოხდესო, კაპეჩე ზეზე წამოდგა, მიუახლოვდა, ხელი ჩასჭიდა და ძალით გაყვანა დაუპირა. კარდინალი, რომლის პატივსაცემადაც იყო მოსული ეს ქალი, წინ აღუდგა

ახალგაზრდა რაინდს; მაგრამ კაპეჩე თავისას არ იშლიდა და ძალაზე იდგა. კარდინალს არ ეცვა მისი მაღალი ხარისხის შესაფერისი ტანისამოსი. მან მახვილი იშიშვლა და წინააღმდეგობა გაუწია ქალის გატაცების მსურველს იმ სიმტკიცითა და ვაჟკაცობით, რომლითაც მთელ რომში იყო ცნობილი. ბრაზმორეულმა მარჩელომ თავისი შეიარაღებული მხლებლები შემოაყვანინა; მაგრამ ისინი უმეტეს ნაწილად ნეაპოლელნი იყვნენ და, როცა ჯერ დუკას მდივანი იცნეს, ხოლო შემდეგ უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილი კარდინალი, მახვილები ჩააგეს და მოჩხუბართა დაშოშმინებას შეეცადნენ.

ამ შეხლა-შემოხლის დროს მარტუჩიამ მოხერხებულად გაითავისუფლა ხელი, იდროვა და დარბაზიდან გაიპარა. მარჩელომ მისი წასვლა ჩქარა შეამჩნია და უკან დაედევნა თავისი რაზმითურთ.

ღამის წყვდიადი ნიადაგს ქმნიდა ყოველგვარი ჭორისათვის. მეორე დღეს, დილით, ქალაქში მხოლოდ კარდინალსა და მარჩელო კაპეჩეს შორის მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებაზე იყო ლაპარაკი. საეკლესიო ჯარის მხედართმთავარმა, დუკა პალიანომ, საქმის მდგომარეობა ბევრად უფრო რთულად წარმოიდგინა, ვიდრე ნამდვილად იყო, და რადგან, ცოტა არ იყოს, მწყრალად იყო თავის ძმასთან, იმავე ღამით დააჭერინა ლანფრანჩი, ხოლო მეორე დილით თვით მარჩელოც სატუსაღოში ჩასვა. შემდეგ გამოაშკარავდა, რომ შეტაკების დროს არავინ მომკვდარიყო და ამ ადამიანების დატუსაღება მხოლოდ აძლიერებდა სამარცხვინო ამბავს, რომელიც მარტო კარდინალს ატყდებოდა თავს. დატუსაღებულნი საჩქაროდ გაათავისუფლეს და სამი ძმის განუსაზღვრელი ხელისუფლება გაერთიანდა, რათა მთელი ეს საქმე მიჩქმალულიყო. თავდაპირველად იმედი ჰქონდათ, რომ ამას შეძლებდნენ, მაგრამ მესამე დღეს ამ ამბავმა პაპის ყურამდე მიაღწია. მან მოიხმო თავისი ორი ძმისწული და ესაუბრა ისე, როგორც ასეთ სათნოებით სავსე და ღრმად შეურაცხყოფილ ხელმწიფეს შეეფერებოდა.

იანვრის ხუთს, როცა კარდინალების უმრავლესობა კონგრეგაციაში შეიკრიბა, წმინდა პაპმა პირველმა წარმოთქვა სიტყვა ამ საშინელი საქმის გამო. იგი შეეკითხა კარდინალებს, როგორ გაბედეთ და ყოველივე მაშინვე არ მაცნობეთო:

_ თქვენ დუმხართ! ეს სამარცხვინო ამბავი კი ბღალავს იმ უზენაეს ღირსებას, რომლითაც თქვენა ხართ მოსილნი! კარდინალმა კარაფამ გაბედა საზოგადო ადგილას გამოჩენილიყო საერო ტანსაცმელში გამოწყობილი, ამოწვდილი მახვილით ხელში. და რა მიზნით? რათა ხელთ ეგდო უსირცხვილო მეძავი ქალი.

ადვილი წარმოსადგენია, რა სამარისებური დუმილი დამყარდებოდა კარისკაცებს შორის ამ სიტყვების გაგონებისთანავე. ოთხმოცი წლის მოხუცი ილაშქრებდა საყვარელი ძმისწულის წინააღმდეგ, რომელიც მანამდე სულ თავის ნება-სურვილზე დაატარებდა. აღშფოთებულმა პაპმა მოითხოვა, კარდინალის ვარშამანგი ჩამოერთმიათ მისი ძმისწულისათვის.

პაპის მრისხანება კიდევ უფრო გააღვივა ტოსკანის გრან-დუკას დესპანმა, რომელმაც შესჩივლა, პირველი მინისტრი-კარდინალი ისევ და ისევ კადნიერად იქცევაო. კარდინალი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ესოდენ ძლიერი იყო, ჩვეულებისამებრ ეახლა მის უწმინდესობას. პაპმა ოთხი საათის განმავლობაში მისაღებ ოთახში გააჩერა ყველას დასანახად, შემდეგ შეატყობინა, შენი მიღება არ მსურსო და შინ გაისტუმრა. შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორ შეილახებოდა კარდინალ-მინისტრის უზომო თავმოყვარეობა. იგი გულდამწვარი იყო და არა მოდრეკილი; ფიქრობდა, რომ წლებით დატვირთული მოხუცი, თავისი ოჯახის მუდმივი სიყვარულით გამსჭვალული, ნაკლებ შეჩვეული ამქვეყნიური საქმეებისათვის ზრუნვას, იძულებული გახდებოდა ხელახლა მისი ძალ-ღონისა და გამჭრიახობისათვის მიემართა. მაგრამ წმინდა პაპის სულში სათნოებამ გაიმარჯვა: მან მოიწვია კარდინალები, დიდხანს უსიტყვოდ უცქირა მათ; ბოლოს, ცხარე ცრემლით ატირდა; შემდეგ თავს ძალა დაატანა და მონანიებას მოჰყვა.

_ ღრმა მოხუცებულობამ და ეკლესიის საქმეებისათვის ზრუნვამ, _ თქვა მან, _ სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ყოვლივე ბოროტმოქმედება აღმოვფხარი, მაიძულა საერო ხელისუფლება ჩემი ძმისწულებისთვის მიმენდო. მათ ეს ნდობა ბოროტად გამოიყენეს და ისინი სამუდამოდ უნდა განვდევნო.

შემდეგ წაკითხულ იქნა შერისხვის წიგნი, რომლითაც ძმისწულებს ერთმეოდათ ყოველივე ღირსება და მიყრუებულ სოფლებში იგზავნებოდნენ: კარდინალი _ პირველი მინისტრი გაძევებულ იქნა ჩივიტა ლავინიაში, პალიანოს დუკა _ სორიანოში, ხოლო მარკიზი _ მონტებელოში. ამავე განაჩენით დუკას ჩამოერთვა მისი ჩვეულებრივი ჯამაგირი, რომელიც სამოცდათორმეტ ათას პიასტრს აღწევდა (მილიონზე მეტს 1838 წლის ანგარიშით).

ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ამ მკაცრი განაჩენის შეუსრულებლობაზე: მთელ რომს სძაგდა ძმანი კარაფანი, მთელი ხალხი მათი მტერი და მეთვალყურე იყო.

დუკა პალიანო თავისი ცოლისძმის, გრაფ დ'ალიფესა და ლეონარდო დელ კარდინეს თანხლებით დაბა სორიანოში დასახლდა, ხოლო დუკას მეუღლე თავისი დედამთილითურთ სოფელ გალეზეში, ორიოდე ლიეს მანძილზე სორიანოდან.

ეს ძალიან ლამაზი ადგილებია; მაგრამ ეს ადამიანები გადასახლებულნი იყვნენ, გაძევებულნი რომიდან, სადაც ცოტა ხნის წინათ ასე კადნიერად ბატონობდნენ.

მარჩელო კაპეჩეც თავის ქალბატონს გაჰყვა იმ მივარდნილ სოფელში. ეს ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ მთელი რომი მოკრძალებით ეპყრობოდა და რომელიც თავის მაღალ ხარისხს გულზვიადად იყენებდა, დღეს უბრალო გლეხკაცებით იყო გარშემორტყმული. ისინი გაოცებულნი შესცქეროდნენ მას. ეს გაოცება ვიოლანტეს თავის დაქვეითებას აგონებდა. დუკას მეუღლეს არაფერი ჰქონდა სანუგეშო: პაპი იმდენად ხნიერი იყო, რომ, ალბათ, უცებ მოკვდებოდა და ვერ მოასწრებდა თავისი ძმისწულების აღდგენას. თვით ძმებს, სამწუხაროდ, სძულდათ ერთმანეთი. იმასაც კი ამბობდნენ, რომ დუკა და მარკიზი, რომელნიც კარდინალის მსგავსად არ იყვნენ აყოლილნი ვნებათა ღელვას, შეძრწუნდნენ მისი გარყვნილებით და იქამდე მივიდნენ, რომ კიდეც დაასმინეს თავიანთ ბიძასთანო.

* * *

ამ რისხვის დროს მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც დუკას მეუღლესა და თვით კაპეჩეს საუბედუროდ გამოააშკარავა, რომ ამ ყმაწვილში ნამდვილ ვნებას მარტუჩია კი არა, სულ სხვა ვინმე იწვევდა.

ერთ დღეს, როცა დუკას მეუღლემ მარჩელო მოიხმო, რათა რაღაც განკარგულება მიეცა, ისინი მარტოდმარტო აღმოჩნდნენ დარბაზში; ასეთი შემთხვევა კი ძლიერ იშვიათი იყო და წელიწადში ერთხელ ან ორჯერ თუ მოხდებოდა. როცა ახალგაზრდა რაინდმა დაინახა, რომ დარბაზში მესამე პირი არ იყო, დიდხანს იდგა გარინდებული და სიტყვა ვერ დაძრა. შემდეგ კარი გააღო, დარწმუნდა, ყურს არავინ მიგდებსო, და გაბედა შემდეგი სიტყვების წარმოთქმა:

_ ქალბატონო, ნურც შეწუხდებით და ნურც განმირისხდებით იმ უცნაური სიტყვებისათვის, რომლის თქმასაც გიბედავთ. დიდი ხანია სიცოცხლეზე მეტად მიყვარხართ. თუ იმდენი უგუნურება გამოვიჩინე, რომ კადნიერი მიჯნურის თვალებით შევხედე თქვენს ღვთაებრივ სილამაზეს, ამისათვის მე კი არ უნდა დამძრახოთ, არამედ ის ზებუნებრივი ძალა, რომელიც მიბიძგებს და მაღელვებს. სიკვდილით დასასჯელივით ვარ,

ვიწვი, მაგრამ არ გთხოვთ იმ ცეცხლის განელებას, რომელშიც ჩემი სხეული იფერფლება; მხოლოდ სულგრძელობას და შებრალებას ვითხოვ თქვენი მორჩილი მონისთვის; იგი ეჭვითა და თავმდაბლობითაა აღსავსე.

როგორც ეტყობოდა, დუკას მეუღლე გაოცებული და ნაწყენი დარჩა.

_ მარჩელო, რა შემამჩნიე ისეთი, რომ გაკადნიერდი და სიყვარული გამიმჟღავნე? განა ჩემი საქციელი და ჩემი ლაპარაკი იმდენად დაშორებულია მართებულ წესებს, რომ საბუთი მოგეცი ასეთი თავხედობისათვის? როგორ გაბედე და წარმოიდგინე, რომ შემიძლია შენ დაგნებდე ან სხვა მამაკაცი შევიყვარო, გარდა ჩემი მეუღლისა და მბრძანებლისა? მე გაპატიებ შენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, იმიტომ რომ ახლა გიჟივით ხარ, მაგრამ გაფრთხილდი და ხელახლა არ შეცდე, თორემ გეფიცები, პირველი და მეორე შეცოდებისათვის ერთბაშად დავასჯევინებ შენს თავს.

დუკას მეუღლე დარბაზიდან განრისხებული გავიდა. მართლაც, კაპეჩემ შებღალა კეთილგონიერების კანონები: მას თავისი გრძნობა უნდა ენიშნებინა და კი არ გამოეთქვა. ყმაწვილი კაცი დარცხვენილი დარჩა, ეშინოდა კიდეც, ქალს ქმრისთვის არ ეამბნა ყოველივე.

მაგრამ შემდგომმა ამბებმა არ გაამართლა მისი შიში. განმარტოებულ სოფელში გულზვიად ვიოლანტე პალიანოს არ შეეძლო ყმაწვილის მიერ გაბედულად ნათქვამი სიტყვები არ გაენდო თავისი საყვარელი სეფე ქალისთვის, დიანე ბრანკაჩიოსთვის. ეს იყო ოცდაათი წლის ქალი, გამსჭვალული ანთებულ ვნებათა ღელვით. მას მოწითალო თმა ჰქონდა (მემატიანე რამდენჯერმე აღნიშნავს ამ გარემოებას; როგორც ჩანს, ამით ხსნის დიანე ბრანკაჩიოს წინდაუხედაობას). დიანეს გაშმაგებით უყვარდა დომიციანე ფორნარი, მარკიზ მონტებელოს აზნაური. ამ ქალს ფორნარი ქმრად უნდოდა, მაგრამ განა მარკიზი და მისი მეუღლე, რომელნიც დიანე ბრანკაჩიოსთან სისხლის ნათესაობით იყვნენ დაკავშირებულნი, ნებას მისცემდნენ, რომ მათ ყმას მისთხოვებოდა? ამ დაბრკოლების გადალახვა თითქოს შეუძლებელი იყო.

მხოლოდ ერთი გზა არსებობდა მიზნის მისაღწევად: საჭირო იყო მარკიზის უფროსი ძმის, პალიანოს დუკას ნდობის მოპოვება, დიანე კი სრულიად სასოწარკვეთილი არ იყო ამ მხრივ. დუკა მას უფრო ნათესავად თვლიდა, ვიდრე მოახლედ. ეს მარტივი და გულკეთილი მამაკაცი იყო და ბევრად ნაკლებ აქცევდა ყურადღებას ეტიკეტის მოთხოვნილებას, ვიდრე მისი ძმები. თუმცა დუკა ისე იყენებდა თავის წარჩინებულ მდგომარეობას, როგორც ახალგაზრდა კაცს შეეფერება და სრულიადაც ერთგული არ იყო

თავისი ცოლისა, მაგრამ ნაზად უყვარდა ის და უარს ვერ ეტყოდა თხოვნის შესრულებაზე, თუ ვიოლანტე ცოტა დაჟინებას გამოიჩენდა.

კადნიერი აღსარება, რომელიც კაპეჩემ დუკას მეუღლეს გაუმხილა, მოულოდნელ ბედნიერებად ეჩვენა პირქუშ დიანეს. მისი ქალბატონის კეთილგონიერება მანამდე სასოწარკვეთილებას ჰგვრიდა. თუ ვიოლანტე ვნებათა ღელვას იგრძნობდა, თუ ის შეცდომას ჩაიდენდა, დიანე მისთვის საჭირო გახდებოდა და ამ უკანასკნელსაც ყოველმხრივ შეეძლებოდა მისი გამოყენება.

იმის მაგივრად, რომ დუკას მეუღლისათვის ჯერ მისი ვალდებულება შეეხსენებინა, ხოლო შემდეგ ის საშინელი საფრთხე, რომელიც ესოდენ მრავალრიცხოვან და ნათლად მხედველ სასახლეში მოელოდა, ვნებათა ღელვით ანთებულმა დიანემ თავის ქალბატონს საუბარი დაუწყო მარჩელო კაპეჩეზე ისე, როგორც თავის თავს დომიციანე ფორნარიზე ესაუბრებოდა. მუდამდღე უხდებოდა პირისპირ დარჩენა დუკას მეუღლესთან და შემთხვევა ეძლეოდა, გრძელი საუბარი გაება მარჩელო კაპეჩეზე, გაეხსენებინა მისი სილამაზე, ნაღვლიანი სახე და მომხიბლავი თვისებები. ეს ყმაწვილიც ნეაპოლის საუკეთესო წრეს ეკუთვნოდა, ისევე როგორც დუკას მეუღლე; მისი საქციელიც კეთილშობილი იყო. მას ხომ არაფერი აკლდა, გარდა შეძლებისა, რათა ყოველმხრივ გათანასწორებოდა თავის ქალბატონს, რომელიც ასე კადნიერად უყვარდა; ბრმა ბედისწერას კი ყოველდღე შეეძლო მისთვის სიმდიდრე მიენიჭებინა.

დიანე ბრანკაჩიომ სიამოვნებით შეამჩნია, რომ ასეთი საუბრის შემდეგ დუკას მეუღლე გაორკეცებული ნდობით ეპყრობოდა მას.

დიანემ აღარ დააყოვნა და ეს გარემოება მარჩელო კაპეჩეს აცნობა. იმ ზაფხულში პაპანაქება სიცხე იდგა და დუკას მეუღლე ხშირად დადიოდა სასეირნოდ გალეზეს მახლობელ ტყეში. როცა მზე გადაიხრებოდა, ქალბატონი ვიოლანტე ზღვის სიოს ჩასასუნთქავად ადიოდა საუცხოო გორაკზე, რომელიც შუაგულ ტყეში იყო ამართული. აქედან ზღვა ხელისგულივით ჩანდა ორი ლიეს მანძილზე.

მარჩელოს შეეძლო ამ ტყეში ყოფილიყო ისე, რომ ეტიკეტის სასტიკი კანონები არ დაერღვია. ამბობენ, ყმაწვილი იქ იმალებოდა და მხოლოდ მაშინ ეჩვენებოდა დუკას მეუღლეს, როცა ეს უკანასკნელი კარგ გუნებაზე იყო დიანე ბრანკაჩიოს საუბრის წყალობითო. მარჩელოს დიანე აძლევდა ნიშანს.

დიანემ დაინახა, მისი ქალბატონი მზად იყო საბედისწერო სიყვარულის ნებას დაჰყოლოდა, რომელიც მან ჩაუნერგა, და თვითონაც სავსებით დანებდა თავის მძვინვარე

გულისთქმას. ახლა უფრო დარწმუნებული იყო, რომ გაჰყვებოდა დომიციანე ფორნარის. მაგრამ დომიციანე გონიერი, ცივი და თავდაჭერილი ყმაწვილი იყო. მას არა თუ არ იზიდავდა, პირიქით, არასასიამოვნოდ ეჩვენებოდა თავისი ანთებული სატრფოს ვნება. დიანე ბრანკაჩიო კარაფათა ოჯახის მახლობელი ნათესავი იყო. დომიციანე დარწმუნებული იყო, რომ მახვილით განგმირავდნენ, როგორც კი მის სიყვარულს საშინელი კარდინალი კარაფა გაიგებდა, რომელიც, თუმცა დუკა პალიანოზე ახალგაზრდა იყო, მაგრამ ნამდვილად მთელ ოჯახს მეთაურობდა.

დუკას მეუღლემ უკვე დაუთმო კაპეჩეს გულისთქმას, როცა ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ დომიციანე ფორნარი გაქრა იმ სოფლიდან, სადაც მარკიზ მონტებელოს ოჯახი იყო გადასახლებული. გამოირკვა, რომ ნეტუნოს ნავსადგურში მისულიყო და გემში ჩამჯდარიყო. ალბათ, სახელიც გამოიცვალა. მას შემდეგ არავის არაფერი გაუგია მისი.

ვის შეუძლია დიანეს სასოწარკვეთილება აღწეროს? პალიანოს მეუღლემ კარგა ხანს ისმინა მისი ბედის სამდურავი და ბოლოს აგრძნობინა, ეს სასაუბრო საგანი ამოწურულად მიმაჩნიაო. დიანე ხედავდა, რომ საყვარელმა აითვალწუნა. მის გულს უმწვავესი ტკივილები ტანჯავდა. თავისებურად გაიგო ის მოწყენილობაც, რაიცა დუკას მეუღლემ იგრძნო მისი დაუსრულებელი მოთქმის გამო. წარმოიდგინა, ალბათ, დუკას მეუღლემ აიძულა დომიციანე ფორნარი, თავი დაენებებინა ჩემთვის, და მანვე მისცა ფული სამოგზაუროდო. გაახსენდა აგრეთვე, რომ ერთხელ მისმა ქალბატონმა რამდენიმე გამაფრთხილებელი სიტყვა უთხრა: ესეც თავისი უგუნური ეჭვის გამართლებად მიიჩნია. ეჭვს ჩქარა შურისძიება მოჰყვა. დიანემ დუკას აუდიენცია სთხოვა და უამბო ყოველივე, რაც მის ცოლსა და მარჩელოს შორის ხდებოდა. დუკამ როდი დაიჯერა ქალის ნაამბობი.

_ წარმოიდგინეთ, ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩემი მეუღლისთვის არაფერი შემიმჩნევია უმართებულო. ის არ აჰყვა სასახლისა და ბრწყინვალე მდგომარეობის ცდუნებას რომში. მომხიბლავი და დიდგვარიანი თავადიშვილები, თვით საფრანგეთის ჯარის მთავარსარდალი დუკა გიზი, ამაოდ შეეცადნენ მისი გულის მონადირებას, და თქვენ ფიქრობთ, რომ ახლა უბრალო მეაბჯრეს დანებდა?

სამწუხაროდ, დუკა მეტად მოწყენილი იყო სორიანოში; ამას გარდა, დაბა მხოლოდ ორიოდე ლიეთი იყო დაშორებული მისი მეუღლის საცხოვრებელ სოფელს და ამიტომ დიანეს ადვილად შეეძლო დუკას ნახვა და მასთან ლაპარაკი ისე, რომ ქალბატონ ვიოლანტეს ეჭვიც არ აუღია. დიანეს გასაოცარი ნიჭი ჰქონდა: ვნებათა ღელვამ იგი მჭევრმეტყველი გახადა. ყოველივე წვრილმანს უამბობდა დუკას. შურისძიება მის

ერთადერთ სიამოვნებად გადაიქცა. მისი სიტყვით, კაპეჩე თითქმის ყოველ ღამით თერთმეტ საათზე შედიოდა დუკას მეუღლის დასაძინებელ ოთახში და მხოლოდ დილის ორ ან სამ საათზე გამოდიოდა. ამ საუბარმა თავდაპირველად იმდენად სუსტი შთაბეჭდილება მოახდინა დუკაზე, რომ მან თავი არ შეიწუხა, შუაღამით ორიოდე ლიე გაევლო და მოულოდნელად თავისი ცოლის ოთახში შესულიყო.

მაგრამ ერთხელ, როცა დუკა გალეზეში იმყოფებოდა, მზის ჩასვლისას მასთან დიანე შევიდა თმაგაწეწილი, დუკას მივარდა და უთხრა, ეს არის მარჩელო კაპეჩე ქალბატონ ვიოლანტეს ოთახში შევიდაო. დუკა ცუდ გუნებაზე იყო იმ წუთში, მახვილი აიღო, თავისი ცოლის ოთახისაკენ გაიქცა და მოულოდნელად ფარული კარიდან შევიდა. იქ მართლაც მარჩელო კაპეჩე აღმოჩნდა. შეყვარებულთ ფერი ეცვალათ მის დანახვაზე, მაგრამ სხვაფრივ მათ ქცევაში არაფერი იყო დასაძრახისი. დუკას მეუღლე ლოგინში იწვა და ქაღალდზე დღიურ გასავალს ნიშნავდა, ოთახში მოახლე ქალიც იყო; მარჩელო სამი ნაბიჯის დაშორებით იდგა საწოლიდან.

დუკა აფთარივით ყელში ეცა მარჩელოს, მეზობელ ოთახში შეათრია და უბრძანა, ძირს დაეგდო თავისი მახვილი და დაშნა; შემდეგ მცველებს დაუძახა და სორიანოს სატუსაღოში წააყვანინა.

დუკას მეუღლე თავის სასახლეში დარჩა სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ.

დუკა პალიანო არ იყო ულმობელი. ეტყობოდა, მას აზრად ჰქონდა მიეჩქმალა ეს ამბავი, რათა იძულებული არ გამხდარიყო, ის უკიდურესი ღონისძიება მიეღო, რომელსაც მისგან ღირსება მოითხოვდა. თქვა, მარჩელო სულ სხვა დანაშაულისთვისაა დაჭერილიო და ისარგებლა რა იმით, რომ ორი თუ სამი თვის წინათ მარჩელომ რამდენიმე ვეებერთელა გომბეშო იყიდა ძვირად, ხმა გაავრცელა, ყმაწვილ კაცს ჩემი მოწამვლა უნდოდაო. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა საქმის ვითარება და კარდინალმა რამდენჯერმე ჰკითხა კიდეც თავის ძმას, როდის აპირებ კადნიერ დამნაშავეთა სისხლით ოჯახის სირცხვილის მობანვასო.

დუკამ მოიშველია თავისი ცოლისძმა, გრაფი დ'ალიფე და თავისი ოჯახის მეგობარი, ანტონიო ტორანდო. ერთგვარი სამსჯავრო შეადგინეს და მარჩელო კაპეჩეს ბრალდებად წარუდგინეს დუკას მეუღლის შეცდენა.

ცვალებადმა წუთისოფელმა ინება, რომ პავლე IV-ს მომდევნო პაპი, პიუს IV, ესპანეთის პარტიის მომხრე ყოფილიყო. მას არ შეეძლო რამეზე ეთქვა უარი ფილიპე II-თვის, რომელიც კარდინალისა და პალიანოს დუკას სიკვდილს მოითხოვდა. ორივე ძმა

წარსდგა სახელმწიფოს სამსჯავროს წინაშე, და მათი გასამართლების ოქმი გვამცნობს მარჩელო კაპეჩეს სიკვდილის ამბავსაც.

ერთი მრავალი მოწმეთაგანი შემდეგს ლაპარაკობს:

_ ჩვენ სორიანოში ვიყავით. ჩემს პატრონს, დუკას, ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა გრაფ დ'ალიფესთან... საღამოთი მოგვიანებით ჩავედით ქვედა სართულში, სადაც დუკამ თოკი მოამზადებინა დამნაშავის დასაკითხად. იქ ვიყავით: დუკა, გრაფი დ'ალიფე, ბატონი ანტონიო ტორანდო და მე.

პირველი მოწმე კაპიტანი კამილიო გრიფონე იყო, კაპეჩეს გულითადი მეგობარი. დუკამ უთხრა:

_ მეგობარო, სიმართლე თქვი: რას შვრებოდა მარჩელო ჩემი ცოლის ოთახში?

_ არაფერი ვიცი. სამი კვირაა მარჩელოსთან წაჩხუბებული ვარ.

რადგან მოწმე გაჯიუტდა და არ გამოტყდა, ბატონმა დუკამ მცველებს დაუძახა. სორიანოს მამასახლისმა გრიფონე თოკით შეკრა, მცველებმა თოკი მოსწიეს და დამნაშავე ოთხი გოჯით დააშორეს დედამიწას. კაპიტანი ამრიგად ეკიდა თხუთმეტი წუთის განმავლობაში, შემდეგ თქვა:

_ ძირს დამწიეთ, ყოველივეს ვიტყვი, რაც ვიცი.

როცა მიწაზე ჩამოსვეს, მცველები გარეთ გავიდნენ და ჩვენ მარტო დავრჩით მოწმესთან.

_ მართალია, მარჩელო რამდენჯერმე მივაცილე დუკას მეუღლის ოთახამდე, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი; ეზოში ვუცდიდი ნაშუაღამევის პირველ საათამდე.

მცველებს დაუძახეს და დუკას ბრძანებით კაპიტანი ხელახლა ასწიეს ისე, რომ მისი ფეხები მიწას არ ეხებოდა. მაშინვე წამოიძახა:

_ ძირს დამიშვით და სიმართლეს მოგახსენებთ... მართალია, კარგა ხნის წინათ შევამჩნიე, რომ მარჩელოსა და თქვენს მეუღლეს უყვარდათ ერთმანეთი. მინდოდა კიდეც თქვენი ბრწყინვალებისა ან ბატონ ლეონარდოსათვის მეცნობებინა. ქალბატონი ყოველ დილით გზავნიდა ვინმეს მარჩელოს ამბის შესატყობად, ძღვენსაც უგზავნიდა, სხვათა შორის, საგანგებოდ მომზადებულ და მეტად ძვირფას მურაბას. მარჩელოს დავუნახე ოქროს ძეწკვი, რომელიც, ალბათ, ქალბატონმა აჩუქა.

ამ განცხადების შემდეგ კაპიტანი სატუსაღოში გაგზავნეს. შემოიყვანეს დუკას მეუღლის მეკარე. მანაც განაცხადა, არაფერი ვიციო. თოკით შეკრეს და ჰაერში ასწიეს. ნახევარი საათის შემდეგ თქვა:

_ ძირს დამწიეთ, ვიტყვი, რაც ვიცი.

როცა ძირს დასვეს, კვლავ ისა თქვა, არაფერი ვიციო. ხელახლა ზევით ასწიეს. ნახევარი საათის შემდეგ ძირს ჩამოუშვეს და მან აგვიხსნა, სულ ცოტა ხნის წინათ დამნიშნეს დუკას მეუღლის სამსახურშიო. რადგან შესაძლებელი იყო ამ კაცს მართლაც არაფერი სცოდნოდა, სატუსაღოში დააბრუნეს. ამ მოწმეების დაკითხვამ დიდი დრო წაიღო, იმიტომ რომ მცველები შემოჰყავდათ და გაჰყავდათ, უნდოდათ დაეჯერებინათ, საქმე დუკას მოწამვლის განზრახვას ეხებაო.

შუაღამე უკვე გადასული იყო, როცა დუკამ მარჩელო კაპეჩე შემოაყვანინა. მცველები გავიდნენ და კარი ჩაკეტეს. დუკამ ჰკითხა:

_ რას აკეთებდით ჩემი მეუღლის ოთახში, სადაც ნაშუაღამევის პირველ, ორ, ხშირად ოთხ საათამდე რჩებოდით?

მარჩელომ ყოველივე უარყო. მცველებს დაუძახეს და ჩამოჰკიდეს. თოკის მოჭერამ ხელები უღრძო; ტკივილი ვერ აიტანა და ითხოვა, ძირს ჩამოეშვათ. სკამზე დასვეს, მაგრამ ჩვენება დაებნა; ძნელი იყო მისი სიტყვების გაგება. ხელახლა მცველები მოითხოვეს და ჩამოჰკიდეს. კარგა ხანმა განვლო, სანამ ძირს ჩამოშვებას ითხოვდა.

_ მართალია, დუკას მეუღლის ოთახში შევდიოდი ასეთ შეუფერებელ დროს, მაგრამ ქალბატონი დიანე ბრანკაჩიო მიყვარდა, მისი ბრწყინვალების მოახლე ქალი. სიტყვა მივეცი, შეგირთავ-მეთქი; მანაც ყოველივე მომანიჭა, გარდა ისეთი რამისა, რაც პატიოსნებას შელახავდა.

მარჩელო სატუსაღოში წაიყვანეს და პირში წაუყენეს კაპიტანსა და დიანეს, ამ ქალმა კი მისი ნათქვამი უარყო.

შემდეგ მარჩელო ხელახლა დარბაზში შემოიყვანეს.

_ ბატონო დუკავ, _ თქვა მან, _ თქვენმა ბრწყინვალებამ სიცოცხლის ჩუქება აღმითქვა, თუ სრულ სიმართლეს ვიტყვი. საჭირო აღარ არის ხელახლა გაბაწვრა; ყოველივეს მოგახსენებთ.

დუკას მიუახლოვდა და მთრთოლვარე და გაურკვეველი ხმით წასჩურჩულა: მართალია, თქვენი მეუღლის ალერსი ვიგემეო. ამ სიტყვების გაგონებისთანავე დუკა მარჩელოს ეცა და ლოყაზე უკბინა, შემდეგ მახვილი იშიშვლა და უნდოდა დამნაშავე განეგმირა. მაშინ მე შევაჩერე და ვუთხარი: კარგი იქნება, თუ მარჩელო თავის ხელით დაწერს, რაც აღიარა. ეს გასამართლებელი საბუთი იქნება თქვენი ბრწყინვალებისათვის-მეთქი. საწერ-კალამი შემოიტანეს, მაგრამ თოკს ისე დაეშავებინა მარჩელოს ხელები, რომ

ძლივს დაწერა ორიოდე სიტყვა: «დიახ, მე ვუღალატე ჩემს პატრონს; დიახ, მე შევბღალე მისი ღირსება!»

დუკა თავზე ადგა მარჩელოს. იმ წუთშივე ეცა, სამჯერ მახვილი ჩასცა და იქვე მოკლა. დიანე ბრანკაჩიოც იქვე იდგა, სამიოდე ფეხის ნაბიჯზე. უფრო მკვდარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს: უეჭველია, საშინლად ნანობდა თავის ნამოქმედარს.

_ კეთილშობილი დედ-მამის შემრცხვენელო ქალო! _ უყვირა მას დუკამ, _ შენ ხარ ჩემი შერცხვენის ნამდვილი მიზეზი! ღირსი ხან სამაგიერო მოგიზღო ღალატისათვის!

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე თმაში ხელი წაავლო, თავი გადაუწია და დანით ყელი გამოუღადრა. უბედურმა ქალმა სისხლის ტბა დააყენა და მიწაზე დაეცა უსულოდ.

დუკამ ორივე გვამი ორმოში ჩააგდებინა სატუსაღოს მახლობლად.

პავლე IV-ს თავის მახლობლად მთელი ოჯახიდან მხოლოდ ახალგაზრდა კარდინალი, ალფონსო კარაფა ჰყავდა დატოვებული. მან საჭიროდ სცნო, ყოველივე ეამბნა თავისი ბიძისთვის. პაპმა არაფერი თქვა, მხოლოდ იკითხა:

_ დუკას მეუღლეს რაღა უყვეს?

რომში ყველანი ფიქრობდნენ, ეს სიტყვები უბედური ქალის სიკვდილს გამოიწვევსო. მაგრამ დუკას ვერ გადაეწყვიტა ამ დიდი მსხვერპლის შეწირვა, შეიძლება იმიტომ, რომ ვიოლანტე ორსულად იყო, ან შეიძლება იმ უდიდესი სინაზის ზეგავლენითაც, რომელსაც იგი თავისი ცოლისადმი გრძნობდა წარსულში.

* * *

სამი თვის შემდეგ იმ დიდი ქველმოქმედების დღიდან, რომელიც წმინდა პაპმა პავლე IV-მ ჩაიდინა, როცა თავისი სახლეული შერისხა, იგი ავად გახდა, ხოლო სამი თვის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1559 წლის აგვისტოს თვრამეტს.

კარდინალი კარაფა წერილს წერდა თავის ძმას, პალიანოს დუკას, და უთვლიდა: ჩვენი ღირსების აღსადგენად შენი ცოლის სიკვდილია საჭიროო. ახლა, რადგან მათი ბიძა გარდაიცვალა და კარდინალმა არ იცოდა, როგორი იქნებოდა ახალი პაპის შეხედულება, ის ცდილობდა, ყველაფერი ჩქარა გათავებულიყო.

დუკა უბრალო, გულკეთილი ადამიანი იყო და ნაკლებ მგრძნობიარედ ეპყრობოდა ღირსების საგნებს, ვიდრე კარდინალი. დიდად უძნელდებოდა ამ საშინელი ღონისძიების მიღება, რომელსაც მისგან მოითხოვდნენ. ახსოვდა, რომ თვითონ მრავალჯერ უღალატა თავის ცოლს და თავიც არ შეუწუხებია თავისი საქციელის დასამალავად; ამ გარემოებას კი

შეეძლო შურისძიების გრძნობა გამოეწვია ესოდენ ამაყ ქალში. კარდინალმა წირვის მოსმენისა და წმინდა ზიარების მიღების შემდეგ, სანამ კონკლავში შევიდოდა, ხელახლა მისწერა თავის ძმას, დიდად მტანჯავს ასეთი დაყოვნებაო, თანაც აფრთხილებდა: თუ ჩვენი ოჯახის პატივს არ აღადგენ, აღარ ჩავერევი შენს საქმეებში და არც დახმარებას გაგიწევ კონკლავში ახალი პაპის წინაშეო. ერთმა უღირსმა მოსაზრებამ, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ღირსების საკითხთან, დუკა აიძულა საბედისწერო გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა დუკას მეუღლეს სასტიკად დარაჯობდნენ, მან მოახერხა შეეთვალა მარკო ანტონიო კოლონასათვის: თუ როგორმე გადამარჩენ, სამაგიეროდ პალიანოს ციხეს ჩაგაბარებ ჩემი ერთგული ციხისთავის შემწეობითო; თავადი კოლონა კი დუკას უმთავრესი მტერი იყო პალიანოს სამფლობელოს დაკარგვის შემდეგ.

1559 წლის აგვისტოს ოცდახუთს დუკამ გალეზეში მოისართა ორი რაზმი გაგზავნა. 30 აგვისტოს იქვე მივიდნენ დუკას ნათესავი ლეონარდო დელ კარდინე და დუკას ცოლისძმა, გრაფი ფერანდო დ’ალიფე. ისინი დუკას მეუღლის სახლში შევიდნენ, რათა მისთვის სიცოცხლე მოესპოთ. ქალმა წარბის შეუხრელად მოისმინა სიკვდილის უწყების ამბავი, მოისურვა მხოლოდ აღსარების თქმა და ლოცვის მოსმენა. შემდეგ, როცა ეს ორი მამაკაცი მიუახლოვდა, ქალმა შეატყო, რომ მათ შორის სრული თანხმობა არ იყო და იკითხა, გაქვთ თუ არა დუკას ბრძანება ჩემს მოსაკვდინებლადო.

_ დიახ, ქალბატონო, _ უპასუხა ლეონარდო დელ კარდინემ.

დუკას მეუღლემ მოისურვა ამ ბრძანების ნახვა; ბატონმა ფერანდომ აჩვენა.

(მე ვიპოვე დუკა პალიანოს პროცესის ოქმში იმ ბერების ჩვენება, რომელნიც ამ საშინელ ამბავს დაესწრნენ. მათი ჩვენება ბევრად მაღლა დგას, ვიდრე სხვა მოწმეებისა, რაიცა, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ ბერებს არ ეშინოდათ სამსჯავროს წინაშე ლაპარაკისა, ხოლო დანარჩენი მოწმეები, მეტად თუ ნაკლებად, მათი პატრონის დანაშაულის თანამონაწილეები იყვნენ).

კაპუცინელმა ძმამ ანტონიო პავიელმა შემდეგი დაამოწმა:

_ ლოცვის შემდეგ დუკას მეუღლემ სასოებით მიიღო წმინდა ზიარება და იმ დროს, როცა ჩვენ მას ვამხნევებდით, ოთახში შემოვიდა მისი ძმა, გრაფი დ’ალიფე, თოკითა და ცერის სიმსხო ჯოხით, რომელსაც ნახევარი ადლის სიგრძე ექნებოდა. დუკას მეუღლეს პირისახეზე ცხვირსახოცი ააფარა, ხოლო ამ უკანასკნელმა, სრულიად გულგრილად კიდევ უფრო ქვევით ჩამოაწევინა ეს ცხვირსახოცი, რათა გრაფისათვის არ ეცქირა. შემდეგ გრაფმა ყელზე თოკი მოაბა, მაგრამ, რადგან კარგად ვერ მოარგო, ხელახლა მოაძრო და რამდენიმე

ნაბიჯით დაშორდა. როცა დუკას მეუღლემ მისი ნაბიჯის ხმა გაიგონა, ცხვირსახოცი ასწია და იკითხა:

_ რა მოხდა?

გრაფმა უპასუხა:

_ თოკი არ ვარგოდა; მინდა, სხვა მოვიტანო, რომ ზედმეტი ტანჯვა არ მოგაყენოთ.

ამ სიტყვების შემდეგ გარეთ გავიდა. ცოტა ხანში უკან დაბრუნდა ახალი თოკით, თვალებზე ხელახლა ცხვირსახოცი ჩამოაფარა, ყელზე თოკი მოაბა, კვანძში ჯოხი გაუყარა, დაატრიალა და ამრიგად დაახრჩო. ამ ამბის დროს დუკას მეუღლე სრულიად ჩვეულებრივი ტონით ლაპარაკობდა.

მეორე კაპუცინელმა ძმამ, ანტონიო სალაცარმა, თავისი ჩვენება შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

_ მინდოდა, დარბაზიდან გავსულიყავი, რათა დუკას მეუღლის სიკვდილს არ დავსწრებოდი, მაგრამ მან მითხრა: «ნუ დამტოვებ, ღვთის გულისათვის».

შემდეგ ბერი სიკვდილის ამბავს გადმოგვცემს, რომელიც სრულიად არ განირჩევა ზემორე მოთხრობილისაგან; მხოლოდ უმატებს:

_ იგი მოკვდა, როგორც ნამდვილ ქრისტიანს შეეფერება; ხშირად იმეორებდა: მე მწამს, უფალო, მე მწამსო.

ბერებმა, როგორც ჩანს, თავიანთი უფროსებისაგან სათანადო ნებართვა მიიღეს, და თავიანთ ჩვენებაში იმეორებენ: დუკას მეუღლე მუდამ გვარწმუნებდა, უცოდველი ვარო. ეს ხდებოდა როგორც საუბრის, ისე აღსარების დროს, განსაკუთრებით, წმინდა ზიარების წინ ჩამორთმეული აღსარების დროსო. თუ ის დამნაშავე იყო, ამ გულზვიადობის გამო პირდაპირ ჯოჯოხეთში იქნება შთაგდებულიო.

ძმა ანტონიო პავიელისა და ბატონ ლეონარდო დელ კარდინეს პირისპირ წაყენების დროს ბერმა თქვა:

_ ჩემმა თანამოძმემ უთხრა გრაფს: კარგი იქნება, დუკას მეუღლეს მოლოგინებას ვაცლიდეთ: ის შვიდი თვის ორსულია; მოუნათლავად არ უნდა დავკარგოთ პაწია უბედური სული, რომელსაც თავის მკერდქვეშ ატარებსო.

ამის საპასუხოდ გრაფმა დ'ალიფემ განაცხადა:

_ თქვენ მოგეხსენებათ, რომში უნდა წავიდე; არ მინდა, იქ ნიღაბაფარებული გამოვჩნდეო (ე. ი. შური არ ვიძიო შერცხვენისათვისო).

როგორც კი დუკას მეუღლემ სული დალია, კაპუცინელებმა მოითხოვეს, დაუყოვნებლივ გაეჭრათ, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ბავშვის მონათვლა; მაგრამ გრაფმა და ბატონმა ლეონარდომ ყური არ ათხოვეს მათ მუდარას.

მეორე დღეს დუკას მეუღლე ადგილობრივ ეკლესიაში დიდი ზეიმით დამარხეს (მე წავიკითხე დასაფლავების ოქმი). ამ ამბავმა, რომელიც მაშინვე მთელ კუთხეს მოედო, როდი მოახდინა შთაბეჭდილება: დიდი ხანია, ამას ელოდნენ. უკვე რამდენჯერმე გალეზესა და რომში ხმა გავრცელდა კიდეც ამის შესახებ. ამას გარდა, მკვლელობა ქალაქგარეთ, და ისიც პაპის ტახტის დაქვრივების დროს, აღარაფერს წარმოადგენდა არაჩვეულებრივს. კონკლავი, რომელიც პავლე მეოთხის სიკვდილს მოჰყვა, მეტად მღელვარე იყო და ოთხ თვეს გაგრძელდა.

1559 წელს, ქრისტეშობისთვის ოცდაექვსს, საბრალო კარდინალი კარლო კარაფა იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო კანდიდატის არჩევაში, რომელიც ესპანეთის მიერ იყო წარმოდგენილი და, მაშასადამე, უარს ვერ ეტყოდა ფილიპე II-ს, თუ ის მკაცრ ღონისძიებას მოითხოვდა თვით კარდინალ კარაფას წინააღმდეგ. ახალმა პაპმა მიიღო პიუს IV-ის სახელი.

კარდინალი რომ თავისი ბიძის სიკვდილის დროს გადასახლებული არ ყოფილიყო, შეიძლება არჩევნების ხელმძღვანელი გამხდარიყო ან, ყოველ შემთხვევაში, ხელს მაინც შეუშლიდა თავისი მტრის დასახელებას.

ცოტა ხნის შემდეგ დაატუსაღეს კარდინალიცა და დუკაც: უეჭველია, ფილიპე II-ს ნაბრძანები ჰქონდა მათი დაღუპვა. მათ პასუხი უნდა ეგოთ თოთხმეტი საბრალმდებლო მუხლისათვის. დაჰკითხეს ყველა, ვისაც რამე განმარტების მიცემა შეეძლო ამ თოთხმეტი მუხლის შესახებ. ეს პროცესი კარგად აწარმოეს. მისგან ორი დიდი ტომი შედგა; ორივე დიდის ინტერესით წავიკითხე. ყოველ გვერდზე გვხვდება ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი დეტალები, რომელთაც ჩვეულებრივი მემატიანეები არ თვლიან ისტორიაში შეტანის ღირსად. სხვათა შორის, იქ მოთხრობილია, რომ ესპანეთის პარტია ცდილობდა კარდინალ კარაფას ფარულად მოკვლას, როცა იგი ყოვლისშემძლე მინისტრი იყო.

უნდა ითქვას, რომ კარდინალი და დუკა დასჯილ იქნენ ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც სხვისთვის იმ დროს არ ჩაითვლებოდა დანაშაულად. სახელდობრ იმისათვის, რომ მოღალატე ცოლი და მისი საყვარელი მოაკვლევინეს. მაგალითად, რამდენიმე წლის შემდეგ თავადმა ორსინიმ ტოსკანის გრან-დუკას და შეირთო, ორგულობა დასწამა და

ტოსკანაში მოაწამვლინა მისი ძმის თანხმობით, მაგრამ არასოდეს ეს მისთვის დანაშაულად არ ჩაუთვლიათ. ასე დაიღუპა მრავალი თავადის ქალი მედიჩების გვარიდან.

როცა კარაფათა საქმის გამოძიება დამთავრდა, გრძელი დასკვნა დაიწერა, რომელიც რამდენჯერმე განიხილა კარდინალთა კონგრეგაციამ. კარდინალი კარლო კარაფა დამნაშავედ იქნა ცნობილი, როგორც მკვლელობის ჩამგონებელი, ხოლო დუკა დონ ჟუან კარაფა - როგორც შემსრულებელი.

1561 წლის მარტის სამს პიუს IV-მ კონსისტორია მოიწვია. რვა საათის მსჯელობის შემდეგ პაპმა ძმათა კარაფათ განაჩენი გამოუტანა ამ სიტყვებით: Prout in schedulâ (დაე, სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნას).

მეორე დღეს, საღამოთი, მსაჯულთუხუცესმა მოისართა უფროსი გაგზავნა წმინდა ანგელოზის კოშკში, რათა სიკვდილის განაჩენი შეესრულებინა.

პირველად დუკას საქმე მოითავეს. იგი წმინდა ანგელოზის კოშკიდან გადაყვანილ იქნა ტორდინონეს სატუსაღოში, სადაც ყოველივე მზად იყო. იქ დუკას, გრაფ დ'ალიფესა და დონ ლეონარდო დელ კარდინეს თავი მოკვეთეს.

დუკამ ეს საშინელი წუთი აიტანა, არა მარტო როგორც კეთილშობილმა რაინდმა, არამედ როგორც ქრისტიანმა, რომელიც მზად არის, ყოველივე მოითმინოს ღვთის სიყვარულისათვის. მან საუცხოო სიტყვებით მიმართა თავისი ბედის თანამოზიარეებს, რათა ისინი განემტკიცებინა სიკვდილის წინ; შემდეგ ანდერძი დაწერა თავისი ვაჟისათვის.

მოისართა უფროსი დაბრუნდა წმინდა ანგელოზის კოშკში და სიკვდილი აუწყა კარდინალ კარაფას, მხოლოდ ერთი საათი მისცა მოსამზადებლად. კარდინალმა მეტი სულიერი სიძლიერე გამოიჩინა, ვიდრე მისმა ძმამ. მან ნაკლები სიტყვა წარმოთქვა, სიტყვები კი გამამხნევებელი ძალაა სულმოკლეთათვის. ამ საშინელი უწყების მოსმენის შემდეგ კარდინალმა მხოლოდ ჩაილაპარაკა დაბალი ხმით:

_ მაშ, უნდა მოვკვდე! ეჰ, პაპო პიუს! ეჰ, მეფეო ფილიპე!

შემდეგ აღსარება თქვა, წაიკითხა შვიდი ფსალმუნი სინანულისა, სკამზე დაეშვა და ჯალათს უთხრა:

_ აღასრულეთ!

ჯალათმა იგი აბრეშუმის ზონარით დაახრჩო. ზონარი გაწყდა; საჭირო გახდა ორჯერ გამოცვლა. კარდინალმა ჯალათს შეხედა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაც კი არ აღირსა.

(დამატებული შენიშვნა)

რამდენიმე წლის შემდეგ, წმინდა პაპმა პიუს V-მ გადაასინჯვინა ეს პროცესი და განაჩენი გააბათილა: კარდინალისა და მისი ძმის ღირსება აღადგინეს, ხოლო მთავარი ბრალმდებელი, რომელმაც ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მათ სიკვდილს, ჩამოახრჩვეს. პიუს V-მ განკარგულება გასცა, ეს პროცესი მოსპობილიყო. წიგნთსაცავებში დაცული ასლები დაწვეს: აკრძალულ იქნა მათი შენახვა, შემნახველს შეჩვენება ემუქრებოდა. მაგრამ პაპს როდი უფიქრია, რომ პროცესის ერთი ასლი მის საკუთარ წიგნთსაცავში იყო დაცული. აქედან არის გადმოღებული ყველა ის ნუსხა, რომელნიც დღეს სხვადასხვა ადგილას მოიპოვება.

წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია

არისტი და დორანტი მოგვითხრობენ ამ სიუჟეტს, რამაც შთააგონა ერასტი, მათი მაგალითისთვის მიებაძა.

30 სექტემბერი

მე ვთარგმნი იტალიურ ქრონიკას, სადაც მოთხრობილია რომაელი თავადის მეუღლისა და ფრანგი რაინდის ამბავი.

ეს მოხდა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს, 1726 წელს. იმხანად რომში ყვაოდა ყველა ბოროტებანი ნეპოტიზმისა. არასოდეს პაპის სასახლე არ ყოფილა ესოდენ ბრწყინვალე. მეფობდა ბენედიქტე XIII (ორსინი) ან, უკეთ ვთქვათ, მისი დისწული. თავადი კამპობასო მისი სახელით განაგებდა ყველა მის დიდსა და პატარა საქმეს. უცხოელები ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ რომში: აქ თავს იყრიდნენ იტალიელი თავადები, ესპანელი დიდებულები, რომელთაც ჯერ კიდევ ბლომად ჰქონდათ ამერიკაში შეძენილი ოქრო. ყოველ მდიდარ, ქედმაღალ კაცს შეეძლო რომში ეცხოვრა ისე, რომ კანონს არ დამორჩილებოდა. როგორც იტალიელებს, ისე უცხოელებს თითქოს სხვა საქმე არ ჰქონდათ, გარდა სიყვარულის ქსელის გაბმისა და ფუფუნებაში ცხოვრებისა.

პაპის რძლები, კონტ ორსინისა და თავად კამპობასოს მეუღლეები, სარგებლობდნენ მისი უწმინდესობის სიძლიერითა და სასახლის პატივისცემით. მაგრამ სილამაზე

აამაღლებდა ამ ქალებს, თუნდაც ისინი საზოგადოებაში უფრო დაბალ საფეხურზე მდგარიყვნენ. ორსინის მეუღლე მხიარული და გაბედული იყო; კამპობასოს მეუღლე განირჩეოდა სინაზითა და ღვთისმოსაობით; მხოლოდ ეს ნაზი გული ადვილად ემორჩილებოდა ვნებათა ქარიშხალს.

არ ვიტყვი, რომ ისინი აშკარა მტრები ყოფილიყვნენ: ყოველდღე ერთმანეთს ხვდებოდნენ პაპის სასახლეში, ხშირად ერთიმეორესაც ესტუმრებოდნენ, მაგრამ ქიშპობდნენ სილამაზით, გავლენით, სიმდიდრით.

კონტეს ორსინი ნაკლებ ლამაზი იყო, მაგრამ ბრწყინვალე, მოძრავი, დახელოვნებული, თვალთმაქცი. სატრფოები ჰყავდა, მაგრამ თავს არ იწუხებდა მათთვის. ისინი თითო დღეს მეფობდნენ მორიგეობით. ბედნიერებას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა ორასიოდე სტუმარს შეკრებდა დარბაზში და მათ შორის გამოჩნდებოდა დედოფლის მსგავსად. ბევრს დასცინოდა თავის რძალს, თავად კამპობასოს მეუღლეს, რომელიც გულმოდგინედ სამი წლის განმავლობაში ყველგან ერთ ესპანელ დუკას ატარებდა და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, უბრძანა, რომი დაეტოვებინა ოცდაოთხ საათში, თუ სიცოცხლე რამედ უღირდა.

_ მისი წასვლის შემდეგ ჩემს კეთილშობილ დას აღარ გაუცინია, _ ამბობდა ორსინის მეუღლე. _ აი, უკვე რამდენიმე თვეა, რაც ეს უბედური ქალი დნება ჩვენს თვალწინ მოწყენილობისა თუ სიყვარულის გამო, ხოლო მისი ქმარი იმდენად თვალთმაქცია, რომ მის უწმინდესობას არწმუნებს, ეს ყოველივე უაღრესი სათნოებისა და ღვთისმოსაობის შედეგიაო. მაგრამ ჩქარა ეს სათნოება ამ ქალბატონს ესპანეთში გაგზავნის სალოცავად.

კამპობასოს მეუღლეს სრულიადაც არ ენატრებოდა ესპანელი რაინდი, რომელმაც ეს ორი წელიწადია, თავი საშინლად მოაწყინა. თუ მოენატრებოდა, უმალვე უკან მოიხმობდა, ვინაიდან იმ გულწრფელი და პირდაპირი ხასიათის ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც არ მალავენ არც გულგრილობასა და არც ვნებათა ღელვას. ასეთი ქალები ხშირად გვხვდებიან რომში. იგი ღრმად მორწმუნე იყო. თუმცა ოცდასამი წლისა ძლივს იქნებოდა, მისი მშვენიერება სავსებით გაშლილი იყო. ხანდახან ფერხთქვეშ უვარდებოდა თავის ბიძას და ემუდარებოდა, ლოცვა-კურთხევა მიემადლებინა მისთვის (შეიძლება ყველამ არ იცოდეს, რომ პაპის კურთხევა ცოდვათა განტევებას ანიჭებს აღსარების უთქმელადაც, გარდა ორი-სამი უსაშინელესი ცოდვისა). ლმობიერი ბენედიქტე XIII ცრემლებს აფრქვევდა გულაჩუყებული.

_ წამოდექ, ძვირფასო რძალო, შენ ჩემი ლოცვა-კურთხევა როდი გჭირდება; ჩემზე მეტად ღირსი ხარ ღვთის მოწყალებისა.

ამ შემთხვევაში მისი უწმინდესობა, თუმცა შეუცდომელი იყო, ისევე სცდებოდა, როგორც მთელი რომი. ბალბინე კამპობასო დაბნედილი იყო სიყვარულით, მისი მიჯნურიც თანაუგრძნობდა, მაგრამ ქალი მაინც დიდად უბედური იყო. უკვე რამდენიმე თვე იქნებოდა, ყოველდღე მალულად ხვდებოდა მხედარ სენესეს, ლუი XV-ის ელჩის, დიუკ სენტ-ენიანის დისწულს.

ახალგაზრდა სენესე იყო შვილი ფილიპე ორლეანელის ერთი სატრფო ქალისა. მას იმთავითვე ბედი სწყალობდა. უკვე დიდად დაჯილდოებული იყო, როგორც სამხედრო პირი, თუმცა ჯერ კიდევ არ მიეღწია ოცდაორი წლისთვის. მას ბედნიერი აშიკის ჩვეულებები ჰქონდა, მაგრამ გულზვიადობას როდი იჩენდა. ყველგან და ყველაფერში მხიარულებას და გართობას ეძებდა, თავქარიანი, მამაცი და გულკეთილი იყო; შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულქმნილი ნიმუში იყო ფრანგთა კეთილშობილი ჯიშისა. ამ მამაკაცმა პირველ წუთშივე მოხიბლა ბალბინე კამპობასო.

_ მე თქვენ არ გენდობით, _ უთხრა ქალმა რაინდს, _ თქვენ ხომ ფრანგი ხართ. გაფრთხილებთ, თუ რომში გაიგეს, რომ თქვენ ფარულად გხვდებით და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ეს თქვენი ნათქვამია, იმ წამშივე შეგიძულებთ.

თავადის მეუღლე ჯერ ეთამაშებოდა სიყვარულს, მაგრამ ჩქარა გაშმაგებულმა გულისთქმამ გაიტაცა. სენესესაც უყვარდა, მაგრამ მათი სიყვარული უკვე რვა თვე გრძელდებოდა, დრო კი იტალიელი ქალის ვნებას აღვივებს, ხოლო ფრანგი მამაკაცის გრძნობასა კლავს. დაკმაყოფილებული თავმოყვარეობა რამდენადმე ანუგეშებდა გულმოსუყებულ რაინდს. მან პარიზში უკვე თავად კამპობასოს მეუღლის ორი თუ სამი სურათი გაგზავნა; მაგრამ, რადგან ეს კაცი აკვანშივე უხვად დაჯილდოებული იყო ბედნიერებითა და ღირსებით, უზრუნველად ეკიდებოდა თვით თავმოყვარეობის საკითხებსაც კი, აგრერიგად რომ აშფოთებს მის თანამემამულეთა გულებს.

სენესეს სრულიად არ ესმოდა თავისი სატრფოს ხასიათი, ამიტომ ხშირად ართობდა მისი ახირებული თვისებები. ხშირად, ძალიან ხშირად, მაგალითად, წმინდა ბალბინეს დღეს, რაინდს უხდებოდა ქალის აღგზნებული სარწმუნოებრივი სინდისის დაშოშმინება. სენესემ მას ვერ დაავიწყა რელიგია, როგორც ეს მდაბიო იტალიელ ქალებს მოსდით. რაინდი ქალს იმორჩილებდა ცოცხალი ძალით, მაგრამ ბრძოლა ხშირად ახლდებოდა.

ეს პირველი დაბრკოლება იყო, რომელიც ცხოვრებაში შეხვდა ბედის მიერ უხვად დაჯილდოებულ ყმაწვილ კაცს, და ის თავს ვალდებულად თვლიდა, ნაზი და ყურადღებიანი ყოფილიყო თავად კომპობასოს მეუღლის მიმართ. სენესეს რომში მხოლოდ ერთადერთი სანდო პირი ჰყავდა, საფრანგეთის ელჩი დიუკ სენტ-ენიანი; მას სამსახურსაც უწევდა თავისი სატრფოს შემწეობით, რომელმაც ყველაფერი იცოდა. ამ გარემოებამ ელჩის თვალში ფასი შეჰმატა ახალგაზრდა მხედარს, ეს კი ამ უკანასკნელის თავმოყვარეობას, დიახაც, ესალბუნებოდა. ბალბინე კამპობასო ამ მხრივ სრულიად განსხვავდებოდა სენესესგან, ოდნავადაც ყურადღებას არ აქცევდა თავისი მიჯნურის საზოგადოებრივ მდგომარეობას. მისთვის შეყვარება და შეძულება ყველაფერი იყო. «მე ამ კაცს მსხვერპლად ვწირავ ჩემს საუკუნო ცხონებას, _ ამბობდა თავის გულში ქალი, _ ის კი ფრანგია და მწვალებელი. განა მას შეუძლია სამაგიერო მომიზღოს?» მაგრამ გაჩნდებოდა სენესე და მისი ძალდაუტანებელი, საუცხოო მხიარულება აკვირვებდა ბალბინე კამპობასოს და აღტაცებას იწვევდა მასში. მომზადებული სიტყვები ქრებოდა, ბნელი აზრები იფანტებოდა. ასეთი მდგომარეობა, ესოდენ უჩვეულო ამ ამაყი სულისთვის, გრძელდებოდა სენესეს წასვლის შემდეგაც. ბოლოს, ქალი დარწმუნდა, რომ არ შეეძლო არც ფიქრი, არც ცხოვრება ამ ვაჟის გარეშე.

რომაელები, რომელნიც ორი საუკუნის განმავლობაში ყველაფერში ესპანელებს ჰბაძავდნენ, ბოლოს ნელ-ნელა ხელახლა ფრანგებისკენ იხრებოდნენ. თანდათან შეიგნეს ამ ერის ხასიათი, რომელსაც ყველგან ბედნიერების ღიმილი მიაქვს, სადაც კი შეიჭრება. ეს ხასიათი მაშინ მხოლოდ საფრანგეთში გვხვდებოდა, 1789 წლის რევოლუციის შემდეგ კი აღარსად აღარ გვხვდება. ეს იმით აიხსნება, რომ შეუშფოთებელ მხიარულებას უზრუნველობა სჭირია, საფრანგეთში კი აღარავისთვის არ არსებობს მტკიცე სარბიელი, თვით გენიოსისთვისაც, თუკი ის მართლაც დაიბადა. იმ კლასსა, რომელსაც სენესე ეკუთვნოდა და ერის დანარჩენ ნაწილს შორის აშკარა ომი წარმოებს.

იმხანად არც რომი იყო ისეთი, როგორსაც დღეს ვხედავთ. 1726 წელს იქ არავინ იფიქრებდა, რა მოხდებოდა სამოცდაშვიდი წლის შემდეგ, როცა რამდენიმე მღვდლის მიერ მოსყიდულმა ბრბომ იაკობინელ ბასვილს გამოსჭრა ყელი, რომელსაც, მისი თქმით, ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქის განათლება სურდა.

ბალბინე კამპობასომ პირველად სენესეს გულისთვის დაკარგა კეთილგონიერება და თავს ხან ზეცაში გრძნობდა, ხან საშინელი უბედურების უფსკრულში. რაკი სენესემ ამ თავდაჭერილ და გულწრფელ ქალში ერთხელ დასძლია სარწმუნოებრივი გრძნობა,

რომელიც მისთვის გონებაზე უფრო ძვირფასი იყო, სიყვარული შეუჩერებელი სიჩქარით გაიშალა და ვნების სიგიჟეში გადავარდა.

თავად კამპობასოს მეუღლე ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მის ყოვლად უსამღვდელოესობას – ფერატერას. თავისი მზრუნველობით ხელი შეუწყო მის კეთილდღეობას და წარმატებას. და, წარმოიდგინეთ, რა უნდა მოსვლოდა ამ ქალს, როცა ფერატერამ აცნობა, მხედარმა სენესემ მოუხშირა სიარულს კონტ ორსინის მეუღლესთან, და ამ უკანასკნელმა მისი გულისთვის გააძევა სახელოვანი საჭურისი, რომელიც მისი მიჯნურის ხარისხს ატარებდა რამდენიმე კვირის განმავლობაშიო.

ჩვენი მატიანე იმ საღამოდან იწყება, როცა ბალბინე კამპობასომ ეს საბედისწერო ცნობა მიიღო.

ქალი უძრავად იჯდა მოვარაყებული ტყავის დიდ სავარძელში. მის გვერდით, შავი მარმარილოს პატარა მაგიდაზე, ორი დიდი მაღალფეხებიანი ვერცხლის ლამპარი იდგა, სახელოვანი ბენვენუტო ჩელინის ქმნილება, რომელიც ანათებდა ან, უკეთ ვთქვათ, უფრო ცხადყოფდა პალატის ქვედა სართულის სიბნელეს. კედლები შემკული იყო სურათებით, რომელთაც მკრთალი ფერი გადაჰკროდათ ჟამთა ვითარების გამო, იმიტომ რომ ამ დროს დიდი მხატვრების მეფობა უკვე შორეულ წარსულად ითვლებოდა.

თავადის მეუღლის პირისპირ, თითქმის მის ფერხთა ქვეშ, შავი ხის დაბალ სკამზე, რომელსაც გვერდებზე მძიმე ოქროს სამკაულები ჰქონდა, მოხდენილად იჯდა მხედარი სენესე. ქალი მას უცქეროდა იმ წუთიდან, როცა იგი ამ დარბაზში შემოვიდა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს მისთვის და, როგორც ეტყობოდა, სრულიადაც არ ფიქრობდა მას გადახვეოდა.

1726 წელს პარიზი უკვე გემოვნებისა, გარეგნული სილაზათის მსოფლიო სატახტო ქალაქი იყო. სენესე იქიდან იწერდა თავისი შიკრიკების შემწეობით ყველაფერს, რაც საჭირო იყო ულამაზესი ფრანგის გარეგნობის გამოსაჩენად. თუმცა ამ ყმაწვილს მტკიცე თავდაჯერება ჰქონდა, რაკი თავისი ბიძის, ცნობილი აშიკის, კანილიაკის ხელმძღვანელობით უკვე პარიზში რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა სასახლის მშვენიერ მანდილოსნებს შორის, მაგრამ ამ წუთში სახეზე მაინც, ცოტა არ იყოს, შეშფოთება ეტყობოდა. ბალბინე კამპობასოს საუცხოო ოქროსფერი თმა ოდნავ გასწეწოდა, ხოლო დიდი ცისფერი თვალები ვაჟისთვის მიეპყრო; მათი გამომეტყველება ძნელი გამოსაცნობი იყო. რა იყო ეს _ შურისძიება და სიძულვილი, თუ უძირო სიღრმე ვნებიანი სიყვარულისა?

_ მაშასადამე, თქვენ აღარ გიყვარვართ? _ წარმოთქვა ქალმა ბოლოს მთრთოლვარე ხმით.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ომი გამოცხადებული იყო.

ქალს ძვირად უჯდებოდა სენესეს დაკარგვა, ყმაწვილი კაციც მზად იყო, ათასი გიჟური სიტყვა ეთქვა, ოღონდ თავიდან აეცილებინა მძიმე სცენა, მაგრამ თავად კამპობასოს მეუღლე იმდენად ამაყი იყო, რომ სამერმისოდ ვერ გადადებდა ახსნა-განმარტებას. კეკლუცი ქალისთვის ეჭვიანობა თავმოყვარეობის საქმეა, საზოგადოების ქალისთვის _ ჩვეულებისა, ხოლო ქალი, რომელსაც ვაჟი ვნებიანად და გულწრფელად უყვარს, მეშურნეობას განიცდის, რაკი შეგნებული აქვს თავისი უფლებები. მაგრამ ეს მძაფრი გულისთქმა, რომელიც ადვილად ჩნდება რომის ნიადაგზე, ერთგვარად ართობდა კიდეც სენესეს. ფრანგი რაინდი მასში გრძნობდა უცნობი უფსკრულის მომხიბვლელობას. აქ სული თითქოს ერთიანად იშიშვლებდა თავს. კონტ ორსინის მეუღლეს სრულიად არ ჰქონდა ეს თავისებურება.

მაგრამ ამჯერად დუმილი დიდხანს გაგრძელდა და ახალგაზრდა ფრანგმა, რომელიც დახელოვნებული არ იყო იტალიელი ქალის გულში დაფარულ გრძნობათა განჭვრეტაში, ჩქარა დაიბრუნა გულგრილობა და გონიერება. ამ წუთში ის ნაწყენიც იყო: ამ დაბალ დარბაზში მიწის ქვეშ გაყვანილი გვირაბით შემოვიდა და მის საუცხოო ახალთახალ ტანისამოსს, რომელიც წინადღით პარიზიდან მიიღო, ობობას ქსელი მოსდებოდა. ამ გარემოებამ სენესე ცუდ გუნებაზე დააყენა; ესეც არ იყოს, ობობები ეზიზღებოდა.

სენესემ ქალის თვალებში სიმშვიდე ამოიკითხა. პასუხის გაცემას საყვედურის თავიდან აცილება ერჩივნა, მაგრამ უხერხულობას განიცდიდა და ამიტომ თავი სერიოზულად ეჭირა.

«უმჯობესი არ არის, ამ შემთხვევით ვისარგებლო და სიმართლე გავუმჟღავნო? მან კითხვა მომცა. ეს მოსაწყენი საუბარი სანახევროდ გათავებულია. როგორც ჩანს, მე არ ვარ გაჩენილი სიყვარულისთვის... მე არასოდეს არაფერი მინახავს ასეთი მშვენიერი, როგორც ეს ქალია თავისი უცნაური თვალებით... ეს კია, რომ ჭირვეული ხასიათი აქვს: მაიძულებს, აქ მოსასვლელად რაღაც საზიზღარ ხვრელებში ვიძრომიალო. მაგრამ იგი იმ ხელმწიფის ძმისწულია, რომელთანაც ჩემმა მეფემ გამომგზავნა. კიდევ მეტი: იგი ქერაა, ამ ქვეყანაში კი ყოველ ქალს შავი თმა აქვს. ეს საუცხოო თავისებურებაა. ყოველდღე მესმის, როგორ შესხმას უძღვნიან მის სილამაზეს ადამიანები, რომელნიც სანდონი არიან გემოვნების

მხრივ. მათ არც კი იციან, რომ მე ვარ ამ მშვენიერების ბედნიერი მფლობელი. რაც შეეხება ძალაუფლებას, რომელიც მამაკაცს უნდა ჰქონდეს თავის საყვარელზე, ამ მხრივაც გული საგულესა მაქვს. საკმაოა, ერთი სიტყვა ვუთხრა, და იგი მიატოვებს ამ სასახლეს, ამ ოქროს ავეჯეულობას, დაივიწყებს ბიძის მეუფებას, თან გამყვება საფრანგეთის მივარდნილ პროვინციაში და ჩემს მამულში იცხოვრებს უფერულად... ღმერთმანი, ასეთი დასასრული სრულიადაც სახარბიელოდ არ მიმაჩნია. ორსინის მეუღლე ნაკლებ ლამაზია, ის ცოტათი უფრო მეტად მაფასებს, ვიდრე იმ საჭურისს, რომელიც გუშინ გავაძევებინე, მაგრამ მან იცის ცხოვრება: მასთან შეიძლება ეტლით მისვლა და, დარწმუნებული ვარ, არც ისე ძლიერ ვუყვარვარ, რომ ოდესმე სცენა გამიმართოს».

ამ ხანგრძლივი დუმილის დროს ქალის თვალები არ მოშორებია ყმაწვილი კაცის სახეს.

«მე მას კვლავ ვეღარ ვიხილავ», გაიფიქრა ქალმა. უცებ წამოდგა, ვაჟს გადაეხვია, დაუკოცნა სახე და თვალები, რომელნიც ახლა აღარ ინთებოდნენ ბედნიერების ალმურით.

მხედარი სენესე თავისივე თავის პატივისცემას დაკარგავდა, თუ მაშინვე ყოველივე არ დავიწყებოდა, რაც იმ წუთს დაშორების შესახებ იფიქრა; მაგრამ ქალი იმდენად აღელვებული იყო, რომ თავის მეშურნეობას ვერ დაივიწყებდა.

ერთი წუთის შემდეგ სენესე გაკვირვებით უყურებდა მას: სიბრაზის ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა ლოყებზე. «ეს როგორ მოხდა! _ ბუტბუტებდა ქალი, _ მე თავი დავიმდაბლე იმდენად, რომ მას ღალატზე ველაპარაკები, საყვედურს ვეუბნები, თუმცა ჩემს თავს შევფიცე, არასოდეს არაფერს ვაგრძნობინებ-მეთქი! ეს სიმდაბლეც არ ვიკმარე! თავი ვერ შევიკავე, გულისთქმას დავნებდი! აჰ, უმსგავსო, სულმდაბალო დედაკაცო!.. არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს».

ცრემლები მოიწმინდა და თითქოს დამშვიდდა.

_ რაინდო, უნდა გავათავოთ, _ თქვა მან წყნარად: _ თქვენ ხშირად გხედავენ გრაფის მეუღლესთან... _ ქალი საშინლად გაფითრდა. _ თუ იგი გიყვარს, იარე ყოველდღე, მაგრამ აქ ნურასოდეს დაბრუნდები... _ ქალი შეჩერდა, თითქოს თავისდა უნებურად ელოდა, სენესე იტყვის რასმეო. შემდეგ ოდნავ შესამჩნევი თრთოლვითა და ყრუ ხმით განაგრძო: _ ეს სიკვდილის განაჩენი იქნება ჩემთვისაც და თქვენთვისაც.

ამ მუქარამ იმოქმედა მხედრის მერყევ სულზე. იგი გაკვირვებული იყო სინაზისა და გულისწყრომის ცვალებადობით და გაეცინა. ქალის ტუჩები უცებ საშიშმა სიწითლემ დაჰფარა. «სიბრაზე სულს შეუხუთავს, _ გაიფიქრა სენესემ, _ ახლავე დამბლა დაეცემა».

ქალს მივარდა, უნდოდა საკინძე შეეხსნა. ქალმა ხელი ჰკრა მოულოდნელი სიძლიერით. სენესემ შეამჩნია, იგი თითქოს რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. ოდნავ უკან დაიხია. ეს ზედმეტი იყო, იმიტომ რომ ქალი მას ვერც კი ამჩნევდა, მხოლოდ ლაპარაკობდა წყნარი და მიმქრალი ხმით, თითქოს აღსარებას ამბობდა.

_ ახალგაზრდაა, თანაც მისი ეროვნებისთვის დამახასიათებელი მოურიდებლობა აქვს და შეურაცხყოფას მაყენებს, მითვალწუნებს; უეჭველია, ორსინის უამბობს, რარიგ დავიმცირე თავი მის წინაშე... მე კი ჩემი თავის რწმენა არა მაქვს; არ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, თავს შევიკავებ ამ მომხიბლავი სახის დანახვაზე-მეთქი... _ ხელახლა დუმილი ჩამოვარდა, რაც მეტად მოსაწყენად ეჩვენა მხედარს. ბოლოს, თავადის მეუღლე ადგა და კიდევ უფრო ყრუ ხმით გაიმეორა: _ ეს უნდა გათავდეს.

სენესემ, რომელსაც მოხვევნამ სერიოზული ახსნა-განმარტება დაავიწყა, ხუმრობა დაიწყო რომის საზოგადოების უკანასკნელ ჭორებზე.

_ მარტო დამტოვეთ, რაინდო, _ შეაწყვეტინა თავადის მეუღლემ, _ ძლიერ ცუდად ვგრძნობ თავს...

«ეს ქალი მოწყენილია, _ გაიფიქრა სენესემ, _ ხოლო არაფერი ისე გადამდები არაა, როგორც მოწყენილობა».

თავადის მეუღლემ იგი თვალებით გააცილა დარბაზის ბოლომდე.

_ მე კი მინდოდა, ჩემი ბედი ამ თავქარიანი ადამიანისათვის მიმენდო, _ ჩაილაპარაკა ქალმა მწარე ღიმილით. _ საბედნიეროდ, მისმა უადგილო ხუმრობამ გამომაფხიზლა. რამდენი სისულელეა ამ მამაკაცში! საკვირველია, როგორ მიყვარდა ეს არსება, რომელსაც ასე ნაკლებ ესმის ჩემი! მას სურს ჩემი გართობა გონებამახვილობით, როცა საქმე მისსა და ჩემს სიცოცხლეს ეხება. აი, რა საბედისწერო და ბნელ უფსკრულში ჩავვარდი. აი, სად იწყება ჩემი უბედურება!

ქალი სავარძლიდან წამოდგა საშინლად გაბრაზებული. უცებ მისმა ფიქრებმა სხვა მიმართულება მიიღო: «რარიგ მშვენიერი იყო მისი თვალები, როცა ამას მეუბნებოდა! უნდა მართალი ვთქვა, რაინდის განზრახვა სრულიადაც არ იყო დასაძრახისი. მან გაიცნო ჩემი უბედური ხასიათი, უნდოდა ჩემთვის დაევიწყებინა ის მწუხარება, რომელიც ასე მაღელვებდა, და არ მოისურვა მიზეზის გაგება. ეჰ, ჩემო ძვირფასო, განა მე ვიცნობდი ბედნიერებას, სანამ შენ შეგიყვარებდი?»

ქალმა აღტაცებით მოიგონა თავისი სატრფოს ღირსებანი. ნელ-ნელა გრაფ ორსინის მეუღლის მშვენიერება წარმოუდგა თვალწინ. მისმა სულმა ხელახლა ყოველივე თალხ

ფერში დაინახა, ხოლო გული უმძაფრესი ეჭვიანობის ტანჯვამ მოიცვა. მართლაც, უკვე ორი თვე იყო, საბედისწერო წინათგრძნობა აღელვებდა. იგი შეღავათს გრძნობდა მხოლოდ იმ წუთში, როცა მასთან სენესე იყო, მაგრამ ყოველთვის, როცა მის მკლავებში ნეტარებას არ ეძლეოდა, რაღაც სიმწრის გრძნობით ელაპარაკებოდა.

ქალმა საშინელი საღამო გაატარა. მწუხარებამ ძალა გამოაცალა და თითქოს დააწყნარა კიდეც; გადაწყვიტა, იქნებ არც უყვარს გრაფის მეუღლე სენესეს, მოველაპარაკებიო: «მან გაბრაზებული მნახა, მაგრამ არ იცის, რას ვუჩივი; შეიძლება ორსინისას მხოლოდ იმიტომ დადის, რომ, როგორც მოგზაურს, სურს გაიცნოს იმ ქვეყნის საზოგადოება, სადაც იმყოფება, განსაკუთრებით ხელმწიფის ოჯახი. თუ მხედარ სენესეს წარმომიდგენენ, თუ იგი აშკარად ივლის ჩემს სასახლეში, შეიძლება აქაც მთელი საათები გაატაროს, ისევე როგორც ორსინისას ატარებს!.. არა! _ წამოიძახა მან გულისწყრომით, _ მე მხოლოდ სულმდაბლობას ჩავიდენ, მას თუ მოველაპარაკე. მივაღწევ მხოლოდ იმას, რომ თავს შევაზიზღებ. კაცმა მართალი თქვას, ორსინის დაუდგრომელი ხასიათი, რომელსაც ხშირად ასეთი ზიზღით ვკიცხავდი, უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ჩემი, განსაკუთრებით ფრანგის თვალში. მე შექმნილი ვარ იმისათვის, რომ მოწყენილად ვიცხოვრო ესპანელთან. რა არის მუდმივ პირქუშობაზე უფრო უაზრო, თითქოს ცხოვრება თავისთავად საკმაოდ პირქუში არ იყოს!.. რა მეშველება, თუ ჩემი რაინდი დავკარგე, რომელმაც სიცოცხლის ძალა შემმატა და გულში ცეცხლი გამიღვივა, რაც ბუნებით მაკლდა».

* * *

ბალბინე კამპობასომ აკრძალა სტუმრების მიღება, მაგრამ ეს ბრძანება არ ეხებოდა მონსინიორ ფერატერას, რომელიც მასთან მოვიდა ანგარიშის ჩასაბარებლად და უამბო, რა ხდებოდა ორსინისას დილის პირველ საათამდე. მისი უსამღვდელოესობა კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავადის მეუღლეს სიყვარულის საქმეებში, წუხანდელი ღამის შემდეგ კი დარწმუნდა, რომ სენესე დაუახლოვდებოდა გრაფ ორსინის მეუღლეს, თუ დაახლოებული არ იყო კიდეც...

«ღვთისმლოცველი ქალი უფრო გამომადგება, _ ფიქრობდა იგი, _ ვიდრე საზოგადოების ქალი. ეს უკანასკნელი ყოველთვის თავის საყვარელს მისცემს უპირატესობას, ხოლო თუ ეს საყვარელი ერთ მშვენიერ დღეს რომაელი აღმოჩნდა, მას შეიძლება ისეთი ბიძა ეყოლოს, რომელიც კარდინალობას მოინდომებს. თუ მე თავადის მეუღლე მოვაქციე, იგი, უწინარეს ყოვლისა, თავისი მოძღვრისთვის იზრუნებს. მას ისეთი მგზნებარე ხასიათი აქვს, რომ ყველაფერს გამიკეთებს თავის ბიძასთან».

პატივმოყვარე პრელატმა სასიამოვნო მომავალზე ოცნებას მისცა თავი. ის თითქოს ხედავდა თავადის მეუღლეს, რომელიც თავისი ბიძის წინაშე იჩოქებდა, რათა პრელატისათვის კარდინალის წოდება გამოეთხოვა. პაპიც მეტად კმაყოფილი იქნებოდა მისი საქციელისა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი თავადის მეუღლეს მოაქცევდა, პაპისათვის უტყუარი საბუთებით დაემტკიცებინა, რომ ამ ქალს ახალგაზრდა სენესე უყვარდა. პაპი, როგორც სათნო, გულწრფელი და ფრანგების მოძულე ადამიანი, მუდმივ მადლიერი დარჩებოდა დამბეზღებლისა, რომელიც დაარღვევდა მისი უწმინდესობისათვის ესოდენ არასასიამოვნო სიყვარულის კავშირს. ფერატერა ფერარის უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდა, დიდი შეძლება ჰქონდა და ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო... იგი აღფრთოვანებული იყო საკარდინალო ვარშამანგის მიღების იმედით და პირდაპირ სასწაულებს ახდენდა: მან გაბედა მკვეთრად შეეცვალა თავისი როლი თავადის მეუღლის წინაშე. იმ ორი თვის განმავლობაში, როცა სენესე აშკარა უყურადღებობას იჩენდა ქალისადმი, პრელატს სახიფათოდ მიაჩნდა შეტევა, და რაკი სენესეს ხასიათს არ იცნობდა, ისიც პატივმოყვარე ეგონა.

მკითხველს მოსაწყენად მოეჩვენება საუბარი პატივმოყვარე პრელატთან ახალგაზრდა ქალისა, რომელიც გაგიჟებული იყო სიყვარულითა და ეჭვით. ფერატერამ ქალს გულახდილად და დაწვრილებით გააცნო სამწუხარო სინამდვილე. ასეთი შემაშფოთებელი დასაწყისის შემდეგ მას აღარ გაძნელებია იმ სარწმუნოებრივი გრძნობისა და ვნებიანი ღვთისმოსაობის გაღვიძება, რომელნიც ახალგაზრდა რომაელი ქალის გულში თვლემდნენ: მას მართლაც წრფელი რწმენა ჰქონდა.

_ ყოველი ბიწიერი გულისთქმა უბედურებითა და გაწბილებით უნდა დამთავრდეს, _ ეუბნებოდა ქალს პრელატი.

უკვე კარგა ხანია გათებული იყო, როცა ფერატერა კამპობასოს სასახლიდან გამოვიდა. ახლადმოქცეულს აღთქმა დაადებინა, რომ იმ დღეს არ მიიღებდა სენესეს. ეს აღთქმა ძვირად არ დაჯდომია თავადის მეუღლეს: ქალი თავის თავს ღვთისმოსავად თვლიდა, ნამდვილად კი ეშინოდა თავისი სისუსტით რაინდის ზიზღი არ გამოეწვია.

ეს გადაწყვეტილება მტკიცედ სრულდებოდა ოთხ საათამდე. სენესე ჩვეულებრივ ამ დროს მოდიოდა. ვაჟმა გაისეირნა ქუჩაში, კამპობასოს კოშკის უკან, დაინახა ნიშანი, რომელიც აუწყებდა, შეხვედრა შეუძლებელიაო, და მეტად კმაყოფილი გაემგზავრა გრაფ ორსინის მეუღლესთან.

ბალბინე კამპობასო ფიქრობდა, ალბათ, გავგიჟდებიო. უცნაური აზრები და გადაწყვეტილებანი ერთმანეთს ცვლიდნენ თავბრუდამხვევი სიჩქარით. უცებ პალატის დიდ კიბეზე დაეშვა მთვარეულივით, ეტლში ჩაჯდა და მეეტლეს შესძახა: «ორსინის სასახლე!»

აუტანელი ტანჯვა მისდაუნებურად მოქიშპე ქალისკენ მიაქანებდა. ორსინის მისაღებ დარბაზში შევიდა, სადაც ორმოცდაათამდე სტუმარს მოეყარა თავი. გამოჩენილი რომაელები, ყველა ჭკვიანი და ხელისუფლების მოყვარული ადამიანები, რომლითაც დახშული ჰქონდათ კამპობასოს სასახლის კარი, თავს იყრიდნენ ორსინის სასახლეში. თავადის მეუღლის მოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: ყველანი მოწიწებით ფეხზე წამოდგნენ. მან ეს ხალხი ყურადღების ღირსიც არ გახადა, მხოლოდ თავის მოქიშპეს უცქეროდა, თითქოს აღტაცებული და მოჯადოებული იყო. რძლის თითოეული მშვენიერი ნაკვთი მახვილივით უსერავდა გულს. პირველი ქათინაურების შემდეგ ორსინის მეუღლემ იგრძნო, რომ ბალბინე დაფიქრებული და ნაღვლიანი იყო, სტუმრებს მიუბრუნდა და განაგრძო თავისი ბრწყინვალე და ძალდაუტანებელი საუბარი.

«რამდენად უფრო შეეფერება მისი მხიარულება მხედარ სენესეს, ვიდრე ჩემი შმაგი და მოსაწყენი ვნებათა ღელვა!» _ ფიქრობდა ბალბინე კამპობასო.

რაღაც შეუცნობელი თაყვანისცემისა და სიძულვილის გრძნობით გატაცებული ყელზე მოეხვია კონტესს. ახლა მხოლოდ მის მომხიბლავ სხეულს ხედავდა, რომელიც შორიდანაც და ახლოდანაც ერთნაირად სათაყვანებლად მიაჩნდა. ადარებდა თავის საკუთარ თმას, თვალებს, სხეულს მის თმას, თვალებსა და სხეულს. ამ უცნაურმა გამოცდამ თავი შეაზიზღა: ეჩვენა, თითქოს ყველაფერში მისი მეტოქე ჯობნიდა.

ამ მოძრავ და აჩოჩქოლებულ ბრბოში უმოძრაო და პირქუში ბალბინე კამპობასო ბაზალტის ქანდაკებას ჰგავდა. სტუმრები შემოდიოდნენ და გადიოდნენ. ეს ჟრიამული აწუხებდა და შეურაცხყოფდა მას, მაგრამ ძნელი სათქმელია, რა მოუვიდა, როცა მოულოდნელად მსახურმა წვეულთ ბატონი სენესეს მოსვლა აუწყა. მათი კავშირის დაწყების დღიდანვე შეთანხმებულნი იყვნენ, რომ სენესე იშვიათად დაელაპარაკებოდა საზოგადოებაში და თავდაჭერილი იქნებოდა, როგორც ეს შეეფერება უცხოელ დიპლომატს, რომელიც თვეში ორჯერ თუ სამჯერ ხვდება ხელმწიფის უახლოეს ნათესავ ქალს.

სენესე მას ჩვეულებრივი მოწიწებით მიესალმა, შემდეგ გრაფ ორსინის მეუღლეს მიუბრუნდა და საუბარი გაუბა მხიარული, თითქმის მეგობრული ტონით, რომელიც

მყარდება ჭკვიან ქალებთან, როცა ისინი მამაკაცს კარგად ღებულობენ და ხშირადაც ხედავენ. კამპობასო განადგურებული იყო. «ორსინის მეუღლემ მე დამანახა, როგორი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვიქნები», _ გაიფიქრა მან. შინ დაბრუნდა უაღრესად სასოწარკვეთილი, როგორც ადამიანი, რომელმაც ლამისა საწამლავის მიღება გადაწყვიტოს. ის სიამოვნება, რაც მას სენესეს სიყვარულმა მიანიჭა, ვერ აიწონიდა აუტანელ ტანჯვას, იმ ღამით რომ განიცადა. ამბობენ, რომაელი ქალის სულს ტანჯვისთვის აქვს სხვა ქვეყნის ქალებისთვის სრულიად უცნობი ენერგიის სალაროებიო.

მეორე დღეს სენესემ ხელახლა გაიარა კოშკის გვერდით და უარყოფითი ნიშანი დაინახა. იგი გზას მხიარულად გაუდგა, მისი თავმოყვარეობა მაინც ცოტათი შელახული იყო: «ცხადია, იმ დღეს ჩემთვის დათხოვნის ბრძანება მოუცია. კარგია, მისი ცრემლი მაინც ვნახო», _ ფიქრობდა რაინდი. მან განიცადა სიყვარულის მაგვარი გრძნობა, როცა გაიფიქრა, რომ სამუდამოდ კარგავდა ასეთ მშვენიერ ქალს და ისიც პაპის რძალს. გაიარა მიწაში გათხრილი უსუფთაო ტალანი, რომელიც ყოველთვის ეჯავრებოდა და კარი შეაღო ქვედა სართულის დიდ დარბაზში, სადაც მას ჩვეულებრივ ღებულობდა თავადის მეუღლე.

_ ეს რას ნიშნავს? როგორ ბედავთ აქ შემოსვლას? _ წარმოთქვა ქალმა გაკვირვებით.

«ამ გაკვირვებას გულწრფელობა აკლია, _ გაიფიქრა ახალგაზრდა ფრანგმა, _ იგი ამ დარბაზში მხოლოდ მაშინაა, როცა მე მიცდის».

სენესემ ხელი მოჰკიდა. ქალი შეკრთა; მისი თვალები ცრემლით აივსო. იგი მხედარს ისე მშვენიერი ეჩვენა, რომ ერთი წუთით ხელახლა იგრძნო სიყვარული. ქალსაც დაავიწყდა აღთქმა, რომელიც ორი დღის წინათ ღმერთს მისცა, და ვაჟს გადაეხვია: «და აი, ამ ბედნიერებას მომავალში ჩემი მეტოქე იგემებს“... სენესემ ჩვეულებისამებრ ახლაც ცუდად გაიგო რომაელი ქალის სული და გაიფიქრა, ალბათ სურს, განშორება მეგობრული იყოს და კავშირი გაწყვიტოს ისე, რომ წესიერება არ დაირღვესო. «ჩემთვის, როგორც სამეფო საელჩოს წევრისთვის, შეუფერებელია, მტრად გადავიკიდო იმ ხელმწიფის რძალი, რომელთანაც მივლინებული ვარ», _ გაიფიქრა მან. მხედარმა ერთგვარი სიამაყე იგრძნო, რომ ბედნიერი გამოსავალი იპოვა და გონივრული საუბარი დაიწყო: «ჩვენ ვიცხოვრებთ სასიამოვნოდ შეკავშირებულნი. რა შეგვიშლის ხელს, ბედნიერები ვიყოთ? ვინ გაგვკიცხავს? სიყვარულის ადგილს კეთილგანწყობილი და ნაზი მეგობრობა დაიჭერს. თქვენგან მე მხოლოდ ერთ უპირატესობას მოვითხოვ: დროგამოშვებით შევძლო ამ ადგილას მოსვლა, სადაც ახლა ვიმყოფები. ჩვენი ურთიერთობა სასიამოვნო დარჩება».

თავადის მეუღლემ ჯერ ვერ გაიგო მისი ლაპარაკი. როცა მიუხვდა, გაქვავდა, თვალები გაუშტერდა. ბოლოს, უკანასკნელმა წვეთმა, სასიამოვნო ურთიერთობის შეთავაზებამ ქალი აიძულა ვაჟის ლაპარაკი შეეწყვიტა. მან ყრუ და ნელი ხმით თქვა:

_ ერთი სიტყვით, თქვენ საკმაოდ ლამაზ ქალად მთვლით და ფიქრობთ, საქმეში გამომიყენოთ!

_ მაგრამ, ძვირფასო და კეთილო მეგობარო, განა თქვენი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული არ არის? _ უპასუხა სენესემ, რომელიც მართლაც გაკვირვებული იყო: - როგორ შეიძლება, აზრად მოგივიდეთ რაიმე საჩივარი. საბედნიეროდ, ჩვენს სიახლოვეზე არავის ჰქონია ეჭვი. მე პატიოსანი კაცი ვარ. ერთხელ კიდევ გაძლევთ სიტყვას, ვერასოდეს ძეხორციელი ვერ გაიგებს, რა ბედნიერება მხვდა წილად.

_ ვერც ორსინის მეუღლე? _ იკითხა ქალმა გულგრილი ტონით, რომელმაც ხელახლა შეაცდინა სენესე.

_ განა თქვენთვის ოდესმე დამისახელებია ქალები, რომელნიც მიყვარდა, სანამ თქვენი მონა გავხდებოდი?

_ მიუხედავად ჩემი მოწიწებისა თქვენი პატიოსანი სიტყვისადმი, არ მინდა, შემთხვევის ანაბარა დავრჩე, _ თქვა ქალმა მტკიცე ტონით, რომელმაც ბოლოს გაკვირვება გამოიწვია ახალგაზრდა ფრანგში. _ მშვიდობით, სენესე!..

რადგან ყმაწვილი კაცი ცოტათი ყოყმანობდა და წასვლას არ აპირებდა, მან დაუმატა:

_ მოდი, მაკოცე.

როგორც ეტყობოდა, ქალმა სინაზე იგრძნო. შემდეგ ხელახლა მტკიცედ გაუმეორა:

_ მშვიდობით, რაინდო სენესე!..

ქალმა მაშინვე კაცი გაგზავნა ფერატერას მოსახმობად.

_ მე მოგიხმეთ იმისთვის, რომ შური ვიძიო.

პრელატი აღტაცებული დარჩა. «ეს ქალბატონი სახელს იტეხს; ის ჩემი მსხვერპლი იქნება სამუდამოდ», _ გაიფიქრა მან.

* * *

ორი დღის შემდეგ აუტანელი სიცხე დაიჭირა და სენესე შუაღამისას კორსოზე წავიდა გრილი ჰაერის ჩასასუნთქავად. მთელი რომის საზოგადოებას იქ მოეყარა თავი. როცა შინ დასაბრუნებლად ეტლში ჩაჯდომას აპირებდა, შეამჩნია, რომ მსახურს

სიმთვრალისაგან ენა დაბმოდა, მეეტლე კი არსად ჩანდა. მსახურმა წაილუღლუღა, მეეტლე მტერს შეებაო.

_ აა, ჩემს მეეტლესაც მტრები ჰყოლია! _ თქვა სენესემ სიცილით.

შინ ქვეითად დაბრუნდა, მაგრამ მეორე თუ მესამე ქუჩაზე შეამჩნია, რომ ვიღაცეები ფეხდაფეხ მისდევდნენ. ოთხი თუ ხუთი კაცი ჩერდებოდა, როცა ის შეჩერდებოდა, და ფეხს უჩქარებდა, როცა იგი აჩქარდებოდა. «შემიძლია მოვუხვიო და კორსოზე სხვა გზით დავბრუნდე, მაგრამ ეს არამზადები ამად არ ღირან; საკმაოდ კარგად ვარ შეიარაღებული», _ გაიფიქრა სენესემ და სატევარი იძრო.

ამრიგად, სენესემ გაიარა ორი თუ სამი მიყრუებული ქუჩა, რომელიც სრულიად უკაცური იყო. ესმოდა, რომ მდევრები ფეხდაფეხ მისდევდნენ. უცებ ზევით აიხედა და დაინახა პატარა ეკლესია, რომელიც წმინდა ფრანჩესკოს ორდენის ბერებს ეკუთვნოდა. ფანჯრები უცნაურად იყო განათებული. იგი ბჭეს ეცა და ძლიერად დააკაკუნა მახვილის ტარით. მდევრები ორმოციოდე ნაბიჯის მანძილზე იყვნენ. ბერმა კარი გააღო, სენესე ეკლესიაში შევარდა. ბერმა რკინის ურდულზე გადაკეტა კარი საჩქაროდ. იმ წუთშივე მკვლელებმა კარს ფეხი ჰკრეს.

_ წაწყმედილები! _ ჩაილაპარაკა ბერმა.

სენესემ მას ერთი ცეხინი მისცა.

_ ცხადია, მე მომდევენ! _ თქვა მან.

ეკლესიაში ათასი სანთელი მაინც იქნებოდა ანთებული.

_ ეს რას ნიშნავს! მღვდელმსახურება ხდება ამ დროს? _ ჰკითხა მან ბერს.

_ თქვენო ბრწყინვალებავ, ამაზე განსაკუთრებული ნებართვა გვაქვს მისი მეუფება თანამოსაყდრე კარდინალისაგან.

მთელი ვიწრო სტოვა წმინდა ფრანჩესკოს ბორცვის ეკლესიისა დაკავებული იყო დიდებულად გაწყობილი მავზოლეუმით. სულთათანას გალობდნენ.

_ ვინ არის ეს მიცვალებული? ვინმე თავადიშვილია? _ იკითხა სენესემ.

_ ალბათ, _ უპასუხა ბერმა, _ იმიტომ, რომ არაფერი არ დაუზოგავთ; მაგრამ დაკარგულია ფულიცა და სანთელიც; უფალმა წინამძღვარმა გვითხრა, განსვენებული ცოდვების მოუნანიებლად გარდაიცვალაო.

სენესე კუბოს მიუახლოვდა. მან შეამჩნია ფრანგული საღერბო ფარი. მისი ცნობისმოყვარეობა გაორკეცდა. სულ ახლო მივიდა და თავისი საკუთარი ღერბი იცნო, ზედ ლათინური წარწერა ჰქონდა:

«Nobilis homo Iohannes Norbertus Senece, eques, decessit Romae».

«კეთილშობილი იოანე ნორბერტ სენესე, მხედარი, გარდაიცვალა რომში».

_ მე პირველი ადამიანი ვარ, _ გაიფიქრა სენესემ, _ რომელსაც პატივი აქვს, თავის საკუთარ დასაფლავებას დაესწროს... თუ არ ვცდები, იმპერატორ შარლ V-ის გარდა ეს სიამოვნება არავის განუცდია... მაგრამ, ცოტა არ იყოს, გული დამიმძიმდა ამ ეკლესიაში.

მან მეორე ცეხინი მისცა ბერს.

_ მამაო, გამიყვანე ამ მონასტრიდან უკანა კარით.

_ დიდი სიამოვნებით, - უპასუხა ბერმა.

ქუჩაში გასვლისთანავე მარჯვენა და მარცხენა ხელში თითო დამბაჩა დაიჭირა და გაიქცა. მდევრები კვლავ ფეხდაფეხ დაედევნენ. როცა თავის სასახლეს მიაღწია, შეამჩნია, კარი მოხურული იყო და შესავალთან ვიღაც იდგა. «აი, ერთი მკვლელთაგანი», _ გაიფიქრა სენესემ, დამბაჩა მოიმარჯვა, მაგრამ თავისი მსახური იცნო.

_ კარი გააღე! _ დაუყვირა მას.

კარი ღია იყო. საჩქაროდ სახლში შევიდნენ და ჩაკეტეს.

_ აჰ, ბატონო, ბევრი გეძებეთ. სამწუხარო ამბებია: თქვენი საბრალო მეეტლე ხანჯლებით აუკუწავთ. თავდამსხმელები, თურმე, მუქარას გითვლიდნენ. ბატონო, ვიღაცას თქვენი მოკვლა აქვს გადაწყვეტილი...

მსახურმა ვერც კი მოასწრო ამ სიტყვების დამთავრება, თოფიდან გასროლილმა ტყვიებმა სენესეცა და ისიც ერთად დააწვინეს ბაღში გამავალი ფანჯრის მახლობლად. თითოეული მათგანი რამდენიმე ტყვიით მაინც იყო განგმირული.

ორი წლის შემდეგ თავად კამპობასოს მეუღლე მთელს რომში პატივცემული იყო, როგორც უმაღლესი სათნოების ნიმუში, ხოლო მისმა მეუფებამ ფერატერამ უკვე კარგა ხანია კარდინალის ვარშამანგი მიიღო.

მიუტევეთ ავტორს მისი შეცდომები.

მეტისმეტი კეთილგანწყობილება დამღუპველია

1589 წელს მომხდარი ამბავი

ასეთი სახელწოდება მისცა ერთმა ესპანელმა დრამატურგმა ამბავს, რომელიც მან ტრაგედიად გადააკეთა. მე სრულიადაც არა მაქვს განზრახული, ესპანელ დრამატურგს დავესესხო ზიზილ-პიპილები, რის შემწეობითაც მისი ფანტაზია ცდილობს, მონასტრული ცხოვრების ეს პირქუში აღწერილობა შეალამაზოს. ზოგ-ზოგი მისი გამონაგონი მართლაც ზრდის ინტერესს, მაგრამ მე მაინც მსურს ჩემი სურვილის ერთგული დავრჩე და აღვწერო XVI საუკუნის უბრალო, მაგრამ ძლიერი ვნებებით შეპყრობილი ადამიანები, რომელთაგანაც თანამედროვე ცივილიზაცია მომდინარეობს. მე ამ ამბავს სრულიად შეულამაზებლად მოგითხრობთ იმ სახით, როგორითაც, ცოტა თუ ვინმე შეგეწიათ, შეძლებთ ეპარქიის არქივებში წაიკითხოთ, სადაც ყველა საბუთის დედანი და კონტ ბუონდელმონტეს თავშესაქცევი მოთხრობა ინახება.

ტოსკანის ერთ-ერთ ქალაქში, რომელსაც არ დავასახელებ, 1589 წელს იყო და დღესაც არსებობს ერთი პირქუში, მაგრამ დიდებული დედათა მონასტერი. მისი თითქმის ორმოცდაათი ფუტის სიმაღლის ჩაშავებული კედლები მთელ უბანს დაღვრემილ შესახედაობას აძლევს. მონასტრის სამი კედელი ქუჩებზე გამოდის, მეოთხე მხრიდან კი მას ბაღი აქვს, რომელიც ქალაქის ზღუდემდე უწევს. ბაღს არც ისეთი მაღალი ყორე არტყია. ამ სააბატოში, რომელსაც ჩვენ სანტა რიპარატას სააბატოს დავარქმევთ, მხოლოდ და მხოლოდ უკეთილშობილესი ოჯახის ქალიშვილებს იღებენ. 1587 წლის 20 ოქტომბერს სააბატოს ყველა ზარი ერთად ახმიანდა. ეკლესია, რომელიც ყველა მორწმუნეთათვის ღია იყო, მორთული გახლდათ მდიდრული, ოქროს ფოჩით გაწყობილი საუცხოო წითელი აბრეშუმის ფარდებით. ტოსკანის ახალი დიდი დუკას, ფერდინანდ I-ის სატრფო წმინდა და¡ ვირგილია წინა საღამოს სანტა რიპარატას წინამძღვრად დანიშნეს და ადგილობრივ ეპისკოპოსს მთელი თავისი ბერ-მონაზვნებით მისთვის ეს ვარშამანგი უნდა დაემტკიცებინა. მთელ ქალაქში მღელვარება სუფევდა და სანტა რიპარატას მეზობელ ქუჩებში იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ტევა აღარ იყო.

კარდინალი ფერდინანდ დე მედიჩი, რომელმაც ის იყო თავისი ძმა ფრანჩესკო შეცვალა, თუმცა ამის გამო არც კარდინალის ვარშამანგზე უთქვამს უარი, ოცდათექვსმეტი წლისა გახლდათ. ის უკვე ოცდახუთი წელიწადი იყო კარდინალად, ვინაიდან თერთმეტი წლისას დაუმტკიცეს ეს მაღალი წოდება. ფრანჩესკოს მმართველობას, რომელიც ჩვენს დროშიც ცნობილია თავისი სიყვარულით ბიანკა კაპელოს მიმართ, ყველა იმ უგუნურებათა დაღი ესვა, გართობის სიყვარულს რომ შეუძლია ჩაუნერგოს მთავარს, რომელიც ხასიათის სიმტკიცით არ გამოირჩევა. ფერდინანდსაც ასეთი ზნე სჭირდა. მისი

სიყვარული ობლატთა ორდენისა და ვირგილიას მიმართ ყველასათვის ცნობილი იყო ტოსკანაში, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ უფრო თავისი უბიწოებით იყო ცნობილი. იმ დროს, როცა პირქუში, ფიცხი, მძაფრ ვნებათა ღელვას აყოლილი დიდი დუკა ფრანჩესკო აინუნშიც არ აგდებდა თავის სასიყვარულო ინტრიგებით გამოწვეულ მითქმა-მოთქმას, მთელი ქვეყანა და¡ ვირგილიას მაღალ სათნოებაზე ლაპარაკობდა. ობლატების ორდენი, რომელსაც ეს მონაზონი მიეკუთვნებოდა, ნებას აძლევდა თავის მონაზვნებს, წელიწადის თითქმის ორი მესამედი მშობლების სახლში გაეტარებინათ, და ვირგილიაც ყოველდღე ხედავდა კარდინალ მედიჩის, როცა კი ის ფლორენციაში იმყოფებოდა. ამ ავხორცობის მოყვარულ ქალაქს ორი გარემოება აკვირვებდა მდიდარი ახალგაზრდა თავადის სასიყვარულო ინტრიგებში, ვისაც ძმის მაგალითების წყალობით ყველაფრის ნება ეძლეოდა. და¡ ვირგილია, წყნარი, მოკრძალებული და ფრიად შეზღუდული გონების ქალი, არც ლამაზი იყო და ახალგაზრდა კარდინალი მას ერთთავად ორი თუ სამი ქალის თანდასწრებით ხვდებოდა, რომლებიც ერთგული მეგობრები იყვნენ რესპუჩოს კეთილშობილი ოჯახისა, საიდანაც წარმოსდგებოდა სამეფო გვარის შთამომავლის ეს უცნაური შეყვარებული.

დიდი დუკა ფრანჩესკო 1587 წლის 19 ოქტომბერს საღამო ჟამს გარდაიცვალა. 20 ოქტომბერს ჯერ შუადღეც არ იყო, რომ მისი კარის უწარჩინებულესი დიდებულები და ყველაზე უფრო მდიდარი ნეგოციანტები (არ უნდა დავივიწყოთ, რომ მედიჩები წარმოშობით მხოლოდ ვაჭრები იყვნენ. მათი ნათესავები და მეფის კარის ყველაზე გავლენიანი პირები ჯერ ისევ ვაჭრობას ეწეოდნენ, რის წყალობითაც ეს კარისკაცნი არც ეგრერიგად უსარგებლონი იყვნენ, როგორც დღევანდელი მეფის კარის დიდებულები არიან). და¡ ვირგილიას მეტად უბრალო სახლში ეახლნენ. ქალს დიდად გაუკვირდა, ამოდენა ხალხი რომ დაინახა თავმოყრილი.

ახალ დიდ დუკას სურდა სიბრძნე და გონივრულობა გამოეჩინა, ხელი შეეწყო ქვეშევრდომთა ბედნიერი ცხოვრებისთვის, და რაც მთავარია, ინტრიგები მოესპო თავის კარზე. ძალაუფლების ხელში აღებისთანავე შენიშნა, რომ მისი სამფლობელოს ყველაზე მდიდარ ქალთა სააბატოს, რომელიც თავშესაფარი იყო ყველა კეთილშობილი გვარის ქალიშვილისათვის, ვისაც თავიანთი ოჯახების ბრწყინვალებას მსხვერპლად სწირავდნენ და დღესდღეობით სანტა რიპარატას სააბატოდ იწოდებოდა, წინამძღვარი არა ჰყავდა. ფერდინანდმა ამ თანამდებობაზე თავისი საყვარელი ქალი უყოყმანოდ დანიშნა.

სანტა რიპარატას სააბატო მიეკუთვნებოდა წმინდა ბენედიქტეს ორდენს, რომლის წესდებაც მონაზვნებს მონასტრის გალავნიდან გამოსვლის უფლებას არ აძლევდა. კეთილგონიერ ფლორენციელებს ფრიად გაუკვირდათ, როცა დუკა-კარდინალმა სავსებით შეწყვიტა ახალ წინამძღვართან შეხვედრა; მაგრამ ასე ერთგვარი სულიერი სიფაქიზის გამო ირჯებოდა, რასაც ყველა მიუხვდა და, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს საყოველთაოდ იქნა დაგმობილი მისი კარის ყველა მანდილოსნის მიერ. ის არასოდეს თავს ნებას არ აძლევდა რომელიმე სხვა ქალთან პირისპირ დარჩენილიყო. როცა მისი ამგვარი ყოფაქცევა ყველასათვის აშკარა გახდა, კარისკაცთ ყურადღება თავის მონასტერში გამოკეტილ დაj ვირგილიასაკენ მიმართეს. ყველამ შენიშნა, რომ მიუხედავად უკიდურესად მოკრძალებული ხასიათისა, დაj ვირგილია უგრძნობელი არ დარჩა ახალი მონარქის ყურადღების ამ ერთადერთი ფორმის მიმართ, რისი გამოხატვის საშუალებას ეს უაღრესად უბიწო ქალი იძლეოდა.

სანტა რიპარატას მონასტერს ხშირად ფრიად საჩოთირო ამბების განხილვა უხდებოდა. ფლორენციის უმდიდრესი ოჯახებიდან გამოსული ქალიშვილები არ თანხმდებოდნენ, უდრტვინველად განშორებოდნენ ესოდენ ბრწყინვალე, ესოდენ მდიდარი ქალაქის საზოგადოებას, რომელიც იმ დროს მთელი ევროპის სავაჭრო ცენტრი იყო, და როცა მონასტერში მიდიოდნენ, სინანულით იყურებოდნენ უკან. ხშირად ისინი ხმამაღლა გამოთქვამდნენ აღშფოთებას მშობლების უსამართლობის გამო, ხან სიყვარულში ჰპოვებდნენ ნუგეშს და ხშირად ხდებოდა, რომ ქიშპობა და მეშურნეობა მონასტერში ფლორენციის მაღალ საზოგადოებასაც ააფორიაქებდა ხოლმე. ასეთი მდგომარეობის შედეგად სანტა რიპარატას წინამძღვარი ხშირად ეწვეოდა ხოლმე იმხანად ტახტზე მჯდომ დიდ დუკას. რაც შეიძლება ნაკლებად რომ დაერღვიათ წმინდა ბენედიქტეს წესდება, დიდი დუკა ქალს ერთ-ერთ თავის საზეიმო ეტლს უგზავნიდა, სადაც ორი სეფექალი ჯდებოდა და წინამძღვარს დიდი დუკას მეტად ვრცელ სააუდიენციო დარბაზამდე აცილებდა Via larga-ზე. «განმარტოებული სჯის მოწმე» ორი მანდილოსანი, როგორც მათ ეძახდნენ, კართან ჯდებოდა სავარძელში, წინამძღვარი კი მიუახლოვდებოდა დუკას, დარბაზის მეორე ბოლოში რომ იჯდა. ასე და ამრიგად, «განმარტოებული სჯის მოწმეთ» არ შეეძლოთ გაეგონათ, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ.

ზოგჯერ დუკა თვითონ მიდიოდა სანტა რიპარატას ეკლესიაში. მას ქოროს მესერს უხსნიდნენ და წინამძღვარი აქ გამოდიოდა მის უმაღლესობასთან სასაუბროდ.

ამგვარი აუდიენციები აგრერიგად არ შეეფერებოდა დიდ დუკას. მათ შეიძლება უფრო მეტად გაეღვივებინათ გრძნობა, რომელიც დუკას, პირიქით, უნდოდა ჩაეხშო. მაგრამ სანტა რიპარატას მონასტერში მალე ფრიად საჩოთირო ამბავმა იჩინა თავი. მონასტრის სიმშვიდე დაარღვია და ფელიჩე დელი ალმიერის სამიჯნურო ოინებმა. დელი ალმიერის ოჯახი ერთ-ერთი უძლიერესი და უმდიდრესი იყო ფლორენციაში. სამ ძმათაგან ორნი, რომელთა პატივმოყვარეობასაც ახალგაზრდა ფელიჩე შესწირეს, ამას წინათ გარდაიცვალნენ, მესამე კი უშვილო იყო, და ოჯახმაც წარმოიდგინა, რომ მას ზეციური რისხვა მოეწია. დედამ და ცოცხლად დარჩენილმა ძმამ, მიუხედავად იმისა, რომ ფელიჩეს სიღარიბის აღთქმა ჰქონდა დადებული, ვითომდა საჩუქრებიაო, ქონების უკან მიცემა დაუწყეს, რაც მანამდე ჩამორთმეული ჰქონდა იმისათვის, რომ მისი ძმების პატივმოყვარეობა მთელი თავისი სიდიადით გამოჩენილიყო.

იმ ხანებში სანტა რიპარატას მონასტერი ორმოცდასამ მონაზონს ითვლიდა. ყოველ მათგანს თავისი «კეთილშობილი პირისფარეში» ჰყავდა. ესენი ხელმოკლე აზნაურთა ოჯახებიდან გამოსული ქალები იყვნენ, რომლებიც სხვა სუფრაზე სადილობდნენ და მონასტრის ხაზინიდან თვეში ერთ სკუდოს ღებულობდნენ პირადი ხარჯებისათვის. მაგრამ ერთი უცნაური წესის თანახმად, რომელიც არ იყო აგრერიგად ხელსაყრელი მონასტრის მშვიდი ცხოვრებისათვის, «კეთილშობილ პირისფარეშად» მხოლოდ ოცდაათი წლის ასაკამდე შეიძლებოდა ყოფნა. ამ ასაკს მიღწეული ქალიშვილები თხოვდებოდნენ, ანდა მონაზვნებად შედიოდნენ უფრო დაბალი ორდენის მონასტრებში.

უკეთილშობილესი ოჯახებიდან გამოსულ ქალებს ნება ეძლეოდათ ხუთ პირისფარეშამდე ჰყოლოდათ, ხოლო და ფელიჩე დელი ალმიერი კი რვას თხოულობდა. მონასტრის ყველა ქალი, რომლებზეც ეჭვი იყო მიტანილი, რომ ისინი სამიჯნურო ინტრიგებში იყვნენ გაბმული, _ ასეთი კი თხუთმეტი თუ თექვსმეტი იყო, _ ფელიჩეს ემხრობოდნენ, ხოლო დანარჩენი ოცდაექვსი მონაზონი თავს დიდად შეურაცხყოფილად გრძნობდა და იმუქრებოდა, მთავართან ვიჩივლებთო.

ახალ წინამძღვარს, კეთილ და ვირგილიას არ გააჩნდა იმდენი ჭკუა, რომ ესოდენ სერიოზული საქმე მოეგვარებინა და, ეჭვს გარეშეა, ორივე მხარე თხოულობდა მისგან, რომ ამ უთანხმოების გადაწყვეტა მას მთავრისათვის ეთხოვა.

ხელმწიფის კარზე უკვე ყველა ალმიერის ოჯახის მეგობარი ლაპარაკობდა, - გასაკვირი იქნება, ესოდენ წარჩინებული წარმოშობის ქალიშვილს, როგორიც ფელიჩეა, და მასავით ნათესაობისაგან ასე ულმობლად განწირულს, ნება არ მისცენ თავის გემოზე

ისარგებლოს ქონებითო, მით უმეტეს, რომ ასეთი უწყინარი სურვილები აქვსო. უფრო ხანში შესული და უფრო ხელმოკლე მონაზონთა ოჯახები კი შემთხვევას არ კარგავდნენ, რათა ეპასუხათ, - არავის უნახავს ისეთი მონაზონი, რომელმაც სიღარიბის აღთქმა დადო, თვითონ კი ხუთი პირისფარეშის სამსახურსაც აღარ სჯერდებაო.

დიდმა დუკამ გადაწყვიტა, აღეკვეთა ეს შეხლა-შემოხლა, რასაც შეეძლო ქალაქში მღელვარება გამოეწვია. მინისტრებიც აჩქარდნენ, მალე მიიღე სანტა რიპარატას წინამძღვარიო. ხოლო რაკი ეს ციური სათნოებით შემკული, საუცხოო ხასიათის ქალი, ალბათ, არ ისურვებდა თავისი ერთიანი საღმრთო საქმეებით გართული გონება ესოდენ წვრილმანი კინკლაობის გასარჩევად მოეხმარა, თვითონ დიდ დუკას უნდა მოეხსენებინა მისთვის მზა გადაწყვეტილება, ხოლო სინიორა წინამძღვარს მისი შესრულების მეტი არაფერი დასჭირდებოდა. «კი მაგრამ, როგორ უნდა გამოვიტანო გადაწყვეტილება, _ კითხულობდა კეთილგონიერი მეუფე, _ როცა წარმოდგენა არა მაქვს, რა საბუთებს მოიყვანს ორივე მხარე?» ესეც არ იყოს, მას სრულიადაც არ სურდა, მცირედი რამ მიზეზისათვის გადაემტერებინა ყოვლისშემძლე ალმიერის ოჯახი.

დუკას ჰყავდა ახლო მეგობარი, გრაფი ბუონდელმონტე, რომელიც მასზე ერთი წლით უმცროსი იყო, ესე იგი, ოცდათხუთმეტი წლისა გახლდათ. ისინი აკვნიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს, რადგანაც ერთი და იგივე ძიძა ჰყოლოდათ, ლამაზი და შეძლებული გლეხის ქალი კაზენტონოდან. კონტი ბუონდელმონტე მეტად მდიდარი, მეტად წარჩინებული ადამიანი, ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი კაციც იყო, მაგრამ აღუშფოთველი და გულგრილი ხასიათით გამოირჩეოდა. მან გადაჭრით შორს დაიჭირა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, დიდმა დუკა ფერდინანდმა რომ შესთავაზა ფლორენციაში ჩამოსვლისთანავე.

_ ის კი არა, აი, თქვენს ადგილას ტახტზე ვიტყოდი უარს, _ მიუგო კონტმა. _ თვითონვე განსაჯეთ, როგორ მენდომება მთავრის მინისტრობა და ნახევარი მოსახლეობის ამხედრება იმ ქალაქში, სადაც მთელი ცხოვრების გატარებს ვაპირებ.

სანტა რიპარატას მონასტერში მომხდარმა განხეთქილებებმა დიდ გასაჭირში ჩააგდო დუკა და მისი კარი. მანაც გადაწყვიტა, კონტისთვის მიემართა მეგობრული დახმარებისათვის. კონტი კი თავის მამულებში ცხოვრობდა და მათ დიდ მზრუნველობასა და მოვლა-პატრონობას უწევდა. ყოველდღე, იმისდა მიხედვით, თუ წელიწადის რა დრო იყო, ორ საათს ან ნადირობდა, ან თევზაობდა, და არავის მოუკრავს ყური, სატრფო ჰყავსო. დიდად უკმაყოფილო დარჩა, დუკამ წერილით ფლორენციაში რომ გაიწვია. კიდევ უფრო

მეტად შეწუხდა, როცა დუკამ უთხრა, კეთილშობილი მონასტრის _ სანტა რიპარატას მეურვედ მინდა დაგნიშნოო.

_ მერწმუნეთ, მაგ ადგილს ის მერჩია, თქვენი უმაღლესობის პირველი მინისტრი ვყოფილიყავი, _ მიუგო კონტმა. _ ქვეყნად ყველაზე უფრო სულიერ სიმშვიდეს ვეტრფი და როგორ მოვერევი მე იმ გაცოფებულ კრავებს?

_ არჩევანი თქვენზე იმიტომ შევაჩერე, ჩემო მეგობარო, რომ თქვენს სულს ერთი დღის განმავლობაშიც კი არც ერთი ქალი არ დაჰპატრონებია. მე ასეთი ბედნიერებისაგან შორსა ვარ. თავს რომ ნება მივცე, ყველა იმ უგუნურებებს ჩავიდენ, რაც ჩემმა ძმამ ბიანკა კაპელოს გულისთვის ჩაიდინა.

აქ დიდი დუკა მოჰყვა ინტიმური გრძნობების გადმოშლას, იქნებ როგორმე დავითანხმო მეგობარიო.

_ იცოდეთ, _ უთხრა მან კონტს, _ თუ კიდევ ერთხელ თვალი მოვკარი იმ მშვენიერ ქალიშვილს, რომელიც სანტა რიპარატას წინამძღვრად დავადგინე, ჩემს თავზე პასუხს აღარ ვაგებ.

_ მერე რა არის აქ ცუდი? _ მიუგო კონტმა. _ თუკი საყვარლის ყოლა ბედნიერებად მიგაჩნიათ, რატომ არ გაიჩენთ ერთ სატრფოს? მე თუ საყვარელი არ გავიჩინე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა ქალი გაცნობიდან სამი დღის მერე თავს მაბეზრებს ჭორიკანობითა და წვრილმანი ხასიათით.

_ მე ხომ კარდინალი ვარ, _ განაგრძო დიდმა დუკამ. _ მართალია, პაპმა მხედველობაში მიიღო, რომ გვირგვინი მარგუნა ბედმა და ნება დამრთო კარდინალის ვარშამანგზე უარი მეთქვა და ცოლიც შემერთო, მაგრამ სულაც არ მსურს ჯოჯოხეთის გეენამ დამწვას. თუ დავქორწინდი, ისეთ ქალს შევირთავ, რომელიც არ მეყვარება და მხოლოდ ტახტის მემკვიდრეს მოვთხოვ და არა სასიამტკბილო წადილის მოკვლას.

_ მაგაზე რა მეთქმის, _ მიუგო კონტმა, _ თუმცა კი ვეჭვობ, ყოვლისშემძლე ღმერთი ასეთ წვრილმანებამდე მდაბლდებოდეს. ეცადეთ, თქვენი ქვეშევრდომნი ბედნიერი და პატიოსანი ადამიანები გახადოთ, სატრფო კი თუნდაც ოცდათექვსმეტი გაიჩინეთ, რა ბედენაა!

_ ერთიც არ მინდა გავიჩინო, _ სიცილით მიუგო დუკამ, _ ეს საფრთხე კი თავიდან არ ამცდება, თუ სანტა რიპარატას წინამძღვარს კიდევ ერთხელ მოვკრავ თვალს. მას, უეჭველია, ბადალი არა ჰყავს დედამიწის ზურგზე, მაგრამ სრულიად არა აქვს უნარი

მართოს არამცთუ ამ ქვეყანას ძალით მოგლეჯილი ქალიშვილებით სავსე მონასტერი, არამედ ზნეკეთილ მორწმუნე მოხუცებულთა კრებულიც კი.

კონტი საგონებელში ჩააგდო იმან, რომ დუკა ასე გაურბოდა და¡ ვირგილიას ნახვას. «თუ მან დაარღვია ეს უცნაური ფიცი, დადებული მაშინ, როცა პაპისაგან ცოლის შერთვის ნებართვა მიიღო, _ გულში გაივლო კონტმა ფერდინანდზე ფიქრისას, _ ისეთი კაცია, რომ მთელ სიცოცხლეს წამებაში გალევს». მეორე დღეს კონტი სანტა რიპარატას მონასტერში მივიდა, სადაც ისეთი ცნობისმოყვარეობითა და პატივით მიიღეს, როგორიც მთავრის წარმომადგენელს შეეფერებოდა. ფერდინანდ I-მა ერთ-ერთი თავისი მინისტრის პირით წინამძღვარსა და მონაზვნებს შეუთვალა, ჩემი სამთავროს საქმეები დროს აღარ მიტოვებენ თქვენს მონასტერს მივხედო და ამიერიდან მონასტრის გამგებლობას სამუდამოდ ვაკისრებ კონტ დე ბუონდელმონტეს, ვისი სიტყვაც კანონი იქნებაო.

გულმიამიტ წინამძღვართან გამოსაუბრების შემდეგ კონტი აღშფოთებული დარჩა დიდი დუკას ცუდი გემოვნებით: ქალი არც ჭკუით ბრწყინავდა და არც ცოტად თუ ბევრად გვარიანი შესახედავი იყო. კონტს ფრიად ბოროტ ადამიანებად მოეჩვენა ის მონაზვნები, რომელნიც ცდილობდნენ, ფელიჩე დელი ალმიერისთვის ხელი შეეშალათ ორი ახალი პირისფარეში აეყვანა. კონტმა მოითხოვა, ფელიჩე მისაღებ ტალანში გამოეძახათ. ქალმა კადნიერად შემოუთვალა, მაგის დრო არა მაქვსო. ამან გუნებაში გააცინა კონტი, რომელსაც დაკისრებული საქმე თავშესაწყენ მოვალეობად მიაჩნდა და უკვე ნანობდა, რომ დუკას ამ სამსახურის გაწევაზე დაეთანხმა.

კონტმა განაცხადა, ჩემთვის სულ ერთია, ვის დაველაპარაკები, თვითონ ფელიჩეს თუ მის პირისფარეშებსო და ბრძანა, ხუთივე პირისფარეში მისაღებ ოთახში მომგვარეთო. მხოლოდ სამნი მოვიდნენ და თავიანთი ქალბატონის შემონათვალი მოახსენეს, - ორი პირისფარეშის გარეშე იოლად ვერ წავალო. ამაზე კონტმა მთავრისაგან ნაბოძები უფლებებით ისარგებლა და მონასტერში ორი თავისი მსახური შემოაყვანინა. მათ კონტს გაჯიუტებული პირისფარეშები მოჰგვარეს და მანაც ერთი საათის განმავლობაში ფრიად თავი შეიქცია ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილების ლაქლაქით, უმეტესწილად ერთად რომ ლაპარაკობდნენ. მხოლოდღა მაშინ მიხვდა, ცოტად თუ ბევრად, ხელმწიფის წარმომადგენელი, რა ხდებოდა მონასტერში, როცა ქალიშვილებმა თავისდა შეუმჩნევლად ყველაფერი დაფქვეს. აქ მხოლოდ ხუთი თუ ექვსი ხნიერი მონაზონი იყო. ოციოდე მონაზონი ახალგაზრდა იყო, მაგრამ ღვთისმოსავი, ხოლო დანარჩენთ, ახალგაზრდებსა და ლამაზებს, ყველას ქალაქში საყვარელი ჰყავდა. კაცმა რომ თქვას, ძალიან იშვიათად კი

ხვდებოდნენ, მაგრამ როგორ ხვდებოდნენ? კონტმა არ მოისურვა ეს ფელიჩეს პირისფარეშებისათვის ეკითხა, მაგრამ განიზრახა მონასტრის გარშემო ჯაშუშები დაეყენებინა და რაც შეიძლებოდა, ჩქარა გაეგო ყველაფერი.

კონტი დიდად გააკვირვა იმის გაგებამ, რომ ზოგიერთ მონაზონს შორის გულითადი მეგობრობა არსებობდა და უმთავრესად სწორედ ეს იყო მიზეზი მონასტრის შინაური შუღლისა. მაგალითად, ფელიჩეს უგულითადესი მეგობარი იყო როდელინდა დე პ... ხოლო ჩელიანას, ფელიჩეს შემდეგ მონასტრის ულამაზესი ქალიშვილის მეგობარი იყო ახალგაზრდა ფაბიენა. თითოეულ მათგანს თავისი კეთილშობილი პირისფარეში ჰყავდა, რომელსაც ის ცოტად თუ ბევრად სწყალობდა. მაგალითად, მარტონამ, წინამძღვრის პირისფარეშმა, იმით მოიპოვა თავისი ქალბატონის წყალობა, რომ მასზე უფრო დიდ ღვთისმოსაობას იჩენდა. მარტონა ყოველდღე წინამძღვრის გვერდით მუხლმოდრეკილი ხუთი-ექვსი საათი ლოცულობდა, მაგრამ მოახლე ქალები ამბობდნენ, ეს დრო ეცოტავებაო.

კონტმა ისიც შეიტყო, რომ ორი მონაზვნის, ალბათ, ფელიჩესა და როდელინდას შეყვარებულებს როდერიკო და ლანჩელოტო ერქვათ. მაგრამ ის დაერიდა ამის თაობაზე პირდაპირი შეკითხვების მიცემას.

პირისფარეშებთან გატარებული ერთი საათი კონტს სულაც არ მოეჩვენა გრძელი, სამაგიეროდ დაუსრულებლად მოეჩვენა ფელიჩეს, რომელმაც თავისი ღირსების შეურაცხყოფად ჩათვალა დიდი დუკას მოადგილის საქციელი, მას რომ ერთდროულად ხუთი პირისფარეშის მომსახურებაზე ააღებინა ხელი. ფელიჩე თავს ვეღარ იოკებდა და როცა შორიდან მისაღებ ოთახში გაცხოველებული ლაპარაკი შემოესმა, შიგ შევარდა, თუმცა გრძნობდა, რომ ასეთი გამოჩენა, რაც აშკარად მოუთმენლობით იყო გამოწვეული, სასაცილოდ უნდა მოსჩვენებოდათ მას შემდეგ, რაც მთავრის წარმომადგენლის ოფიციალურ მოწვევაზე უარით უპასუხა. «მაგრამ იმ თავხედს ჭკუას ვასწავლი», _ გაიფიქრა ფელიჩემ, რომელიც დედამიწის ზურგზე ყველაზე ქედმაღალი ქალი გახლდათ. და აი, სწრაფად შევიდა მისაღებ ტალანში, ხელმწიფის წარგზავნილს ოდნავ დაუკრა თავი და ერთ პირისფარეშს უბრძანა, უკან გამომყევიო.

_ სინიორა, თუ ეს ქალი თქვენს ნებას დაჰყვა, ჩემს კაცებს ისევ ვუხმობ მონასტერში და ისინიც უმალვე უკან მომგვრიან მას.

_ მე მას ხელს ჩავკიდებ და მერე ვნახოთ, გაბედავენ თუ არა თქვენი კაცები ძალმომრეობას.

_ ჩემი კაცები, სინიორა, ამ ტალანში მასაც მოიყვანენ და თქვენც.

_ აჰ, მეც?

_ დიახ, თქვენც. ხოლო თუ საჭიროდ ჩავთვლი, თქვენ თავს ამ მონასტრიდან აპენინების მწვერვალებში ჩაკარგულ რომელიმე უბადრუკ მონასტერში გადავაყვანინებ და იქ თქვენი სულის გადასარჩენად გააგრძელებთ მოღვაწეობას. მე ამის გაკეთებაც შემიძლია და ბევრი სხვა რამისაც.

კონტმა შეამჩნია, რომ ხუთ პირისფარეშს ფერი ეცვალა. ფელიჩესაც გაუფითრდა ლოყები, რამაც ის კიდევ უფრო მშვენიერი გახადა.

«ეს ჭეშმარიტად ყველაზე ლამაზი ქალია, ვინც კი ოდესმე მინახავს, _ გაიფიქრა კონტმა, _ უნდა გავაჭიანურო ეს სცენა». საუბარი მართლაც გაგრძელდა და ორმოცდახუთ წუთს გასტანა. ლაპარაკში ფელიჩემ დიდი ჭკუა და განსაკუთრებით ზვიადი ხასიათი გამოიჩინა, რითაც მთავრის წარგზავნილმა დიდად შეიქცია თავი. საუბრის დასასრულს მოსაუბრეებმა შესამჩნევად შეარბილეს კილო. კონტს ფელიჩე აგრერიგად ლამაზი აღარ ეჩვენებოდა. «ისევ გული უნდა მოვაყვანინო», _ გაიფიქრა მან. კონტმა ფელიჩეს შეახსენა, რომ მას მორჩილების ფიცი ჰქონდა დადებული; ხოლო თუ მომავალში ოდნავ მაინც წინააღმდეგობას გაუწევთ დიდი დუკას ბრძანებებს, მე რომ დავალებული მაქვს მონასტრისათვის გადმოსაცემად, თქვენი სულის სახსნელად ფრიად სასარგებლოდ ჩავთვლი ნახევარი წლით აპენინების ყველაზე მოსაწყენ მონასტერში გადაგიყვანონო, დასძინა მან.

ამ სიტყვების გაგონებაზე ფელიჩე საშინლად განრისხდა და მშვენიერი შესახედავი გახდა. მან უპასუხა, წმინდა მარტვილნი უფრო მეტსაც იტანდნენ რომაელ იმპერატორთა ბარბაროსობისაგანო.

_ მე იმპერატორი არ გახლავართ, სინიორა, და წმინდა მარტვილნიც მთელ საზოგადოებას იმით არ აღელვებდნენ, რომ კიდევ ორი პირისფარეში ჰყოლოდათ ზედმეტად, როცა უკვე ხუთი ასეთი კეკლუცი ქალიშვილი ჰყავდათ, როგორიც ესენი არიან.

ამ სიტყვებზე კონტმა ფელიჩეს თავი ცივად დაუკრა, პასუხიც კი არ აცალა ეთქვა, ტალანიდან გავიდა და ქალი გაშმაგებული დატოვა.

კონტი თავის მამულს აღარ დაბრუნებია, ფლორენციაში დარჩა საცხოვრებლად, რადგანაც ძალიან აინტერესებდა, რა ხდებოდა სინამდვილეში სანტა რიპარატას მონასტერში. კონტმა ქალაქის კარიბჭესთან, ფიეზოლეს გზაზე რომ გადის, მონასტრისა და

მისი დიდი ბაღების გარშემო დუკას პოლიციის მიერ მოცემული ჯაშუშები დააყენა. ჯაშუშებმა ყველაფერი შეატყობინეს, რისი გაგებაც სურდა. როდერიკო ლ., ქალაქის ერთ-ერთი უმდიდრესი და ფუქსავატი კაცი, ფელიჩეს შეყვარებული იყო, ხოლო მის უახლოეს მეგობარს, სათნო როდელინდას სატრფიალო კავშირი ჰქონდა გაბმული ლანჩელოტო პ.-სთან, რომელმაც ფლორენციის ომში პიზასთან დიდად ისახელა თავი. ამ ახალგაზრდებს დიდი სიძნელეების გადალახვა უხდებოდათ მონასტერში შესაღწევად. აქ სისასტიკე გააძლიერეს, უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც ტახტზე დიდი დუკა ფერდინანდი დაჯდა, მონასტერში სრულიად აღკვეთეს უწინდელი შეღავათები. წინამძღვარ ვირგილიას, დიახაც უნდოდა განაწესი მთელი სისასტიკით შეესრულებინა, მაგრამ საამისო ჭკუა არ მოსდევდა, მისი ხასიათიც არ შეესაბამებოდა ამ კეთილ ზრახვებს. კონტს დაქირავებულმა მსტოვრებმა შეატყობინეს, რომ როდერიკო, ლანჩელოტო და კიდევ ორი სხვა ყმაწვილი კაცი, რომელთაც მონასტერში სამიჯნურო კავშირი ჰქონდათ მონაზვნებთან, თვეში ერთხელ უსათუოდ ხვდებოდნენ თავიანთ სატრფოებს. მონასტერს ისეთი დიდი ბაღები ჰქონდა, რომ ეპისკოპოსი ძალაუნებურად შეურიგდა ორი ჭიშკრის არსებობას, რომლებიც ქალაქის გალავნის ჩრდილოეთის მხარეს ხრიოკ, უშენ ადგილზე გადიოდა. თავიანთი მოვალეობის ერთგულმა მონაზვნებმა, ასეთები კი მონასტერში უამრავი იყო, ეს ყველაფერი ისე დაწვრილებით არ იცოდნენ, როგორც ახლა კონტმა იცოდა, მაგრამ ეჭვობდნენ კია და ამ უკანონობით სარგებლობდნენ, რათა წინამძღვრის იმ განკარგულებებს არ დამორჩილებოდნენ, რომლებიც არ ეამებოდათ.

კონტი ადვილად მიხვდა, რომ ვიდრე ამ მონასტერს ისეთი სუსტი ქალი ეყოლებოდა სათავეში, როგორიც წინამძღვარი იყო, იქ ძალიან გაძნელდებოდა წესრიგის აღდგენა. მან თავისი მოსაზრება გააცნო დიდ დუკას, რომელმაც დაავალა, რაც შეიძლება დიდი სისასტიკე გამოეჩინა. მაგრამ ეტყობოდა დუკა იმასაც არ ინდომებდა, რომ თავისი ძველი შეყვარებულისთვის ეწყენინებინა და მისი უსუსურობის გამო სხვა მონასტერში გადაეყვანა.

კონტი სანტა რიპარატაში დაბრუნდა მტკიცე გადაწყვეტილებით _ ყველა ღონისძიება ეხმარა, რათა რაც შეიძლება ჩქარა განთავისუფლებულიყო მძიმე მოვალეობისაგან, რომელიც ასე წინდაუხედავად იკისრა. ფელიჩემ კი, ჯერაც ისევ გაჯავრებულმა, - როგორ გამიბედა კონტმა ასეთი ლაპარაკიიო, გადაწყვიტა, პირველივე შეხვედრით ესარგებლა და ისეთი ზვიადური კილოთი ელაპარაკა, რომელიც მის კეთილშობილ წარმოშობასა და იმ მდგომარეობას შეეფერებოდა, საზოგადოებაში რომ

ეჭირა. კონტმა მონასტერში მისვლისთანავე ფელიჩე გამოიძახა, რათა, უპირველეს ყოვლისა, თავისი დავალების ყველაზე მძიმე ნაწილი მოეთავებინა. როცა ფელიჩე მისაღებ პალატში შევიდა, უკვე ბობოქრობდა გულისწყრომისგან, მაგრამ კონტს მაინც ძალიან ლამაზი ეჩვენა, _ ის კი ამ საკითხის საუკეთესო მცოდნე იყო. «სანამ ამ სახის მშვენიერებას წავშლიდეთ, მოდი და ჯერ კარგად გავძღეთ მისი ცქერით», _ გაიფიქრა მან. ფელიჩეც მოაჯადოვა ამ ლამაზი მამაკაცის გონივრულმა და თავდაჭერილმა საუბარმა. იგი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი შავი ტანისამოსით, რომლის ტარებას აუცილებლად თვლიდა მონასტერში მოვალეობის შესრულების დროს.

«მე მოველოდი, _ ფიქრობდა ფელიჩე, _ რომ ოცდათხუთმეტი წლის ასაკს მიღწეული კაცი ისეთივე სასაცილო ბერიკაცი იქნებოდა, როგორებიც ჩვენი მოძღვარნი არიან, მაგრამ თურმე არა. ჩემს წინაშე ნამდვილი მამაკაცია, რომელიც ღირსია ამ სახელისა. მართალია, ამ კაცს ძალიან ლამაზი ტანსაცმელი არ აცვია, რაც როდერიკოს და სხვა ჩემი ნაცნობი ყმაწვილების ლამაზი გარეგნობის ერთ-ერთი პირობაა, ტანსაცმელში ბევრად უფრო ნაკლები ხავერდი და ოქრომკედის ნაქარგობაა, მაგრამ მისი საქმე არ არის? თუ მოინდომა, ასეთნაირ ღირსებას სწრაფად მოიპოვებს, ხოლო იმ ყმაწვილკაცებს ძალიან გაუჭირდებოდათ კონტ ბუონდელმონტეს ჭკვიანური, საზრიანი და ნამდვილად წარმტაცი საუბრისათვის მიებაძათ. ფელიჩე თავის თავს ხეირიანად ვერ აძლევდა ანგარიშს, თუ რა სძენდა ასეთ თავისებურ იერს ამ მაღალ-მაღალ, შავი ხავერდის ტანსაცმლით შემოსილ კაცს, რომელთანაც აგერ უკვე ერთი საათი იყო, ნაირნაირ თემებზე საუბრობდა.

თუმცა კონტი ერიდებოდა ყველაფერს, რასაც კი ფელიჩეს გაღიზიანება შეეძლო, ის მაინც არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა მისთვის ყველაფერი დაეთმო იმ მამაკაცთა მსგავსად, რომლებიც ამ ლამაზსა და მბრძანებლური ხასიათის ქალს ხვდებოდნენ, ვისაც, როგორც ხმები ადასტურებდა, საყვარლებიც ჰყავდა. რაკი კონტი მისგან არაფერს გამოელოდა, უბრალოდ და ბუნებრივად ექცეოდა ფელიჩეს და მხოლოდ ერიდებოდა თავიდანვე იმ საკითხების შეხებას, რაც ქალის გულისწყრომას გამოიწვევდა. მაგრამ მათ მაინც მოუხდათ ზვიადი მონაზვნის მოთხოვნათა შესახებ ჩამოეგდოთ საუბარი, როცა მონასტერში გამეფებულ უწესრიგობაზე დაიწყეს მსჯელობა.

_ ქალბატონო, ამ განხეთქილებათა მიზეზი არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ მონასტრის ერთ ყველაზე უფრო შესანიშნავ მანდილოსანს სურვილი აქვს, შესაძლებელია, ერთი მხრივ სამართლიანიც, ორი პირისფარეშით მეტი იყოლიოს, ვიდრე სხვას ჰყავს.

_ განხეთქილებათა მიზეზი სუსტი ხასიათის წინამძღვარია, რომელსაც უნდა ისეთი გაუგონარი სისასტიკით მოგვეპყრას, რაზეც უწინ წარმოდგენაც არავის ჰქონია. შესაძლებელია, არსებობს ისეთი მონასტრები, სადაც ნამდვილად ღვთისმოსავი ქალიშვილები ცხოვრობენ, რომელთაც მოსწონთ ცხოვრებისაგან განდგომა და ნამდვილად ოცნებობენ შეასრულონ სიღარიბის, მორჩილებისა და სხვადასხვა აღთქმები, ჩვიდმეტი წლის ასაკში რომ დაადებინეს. ხოლო ჩვენ კი მშობლებმა აქ იმიტომ გამოგვამწყვდიეს, რომ მთელი საგვარეულო ქონება ჩვენი ძმებისათვის დაენარჩუნებინათ. ჩვენ ხომ საკუთარი სურვილით არ მოვედით აქ, არამედ იმიტომ, რომ საშუალება არა გვქონდა გავქცეულიყავით და სადმე სხვაგან დაგვედო ბინა, გარდა მონასტრისა, რაკი ჩვენს მამებს აღარ სურდათ, მათ პალაცოებში დავრჩენილიყავით საცხოვრებლად. სხვათა შორის, მანამდე, სანამ ვითომდა კეთილგონიერების კარნახით ამ უკვე ძალადაკარგულ ფიცსა და აღთქმებს დაგვადებინებდნენ, ყველამ ერთი ან რამდენიმე წელიწადი დავყავით მონასტერში პანსიონერებად. ყოველი ჩვენგანი მოელოდა, რომ იგივე თავისუფლებით ისარგებლებდა, რითაც ყველა მონაზონი სარგებლობდა ამ ხანებში. იმ დროს კი, დამერწმუნეთ, სინიორ მეურვევ, ჭიშკარი ქალაქის ზღუდესთან გათენებამდე ღია იყო ხოლმე და ყოველი მონაზონი სრულიად თავისუფლად იღებდა ბაღში თავის მეგობრებს. არავის თავში არ მოსდიოდა ასეთი ცხოვრების ყაიდა დაეგმო და ჩვენც გვეგონა, მონაზვნები რომ ვხდებოდით, ისეთივე თავისუფლება გვექნებოდა და ისეთივე ბედნიერი ცხოვრება გველოდა, როგორიც იმ ჩვენს დებს, რომლებიც მშობლებმა, მიუხედავად თავიანთი სიძუნწისა, მაინც გაათხოვეს. მართალია, მას შემდეგ, რაც ქვეყანას ისეთი მთავარი მართავს, ვინც თავისი ცხოვრების ოცდახუთ წელიწადს კარდინალი იყო, ყველაფერი შეიცვალა. თქვენ, სინიორ მეურვევ, ნება გაქვთ ამ მონასტერში ჯარისკაცები და მსახურებიც კი შემოიყვანოთ, როგორც ამას წინათ ჩაიდინეთ. დიახ, ისინი ძალმომრეობას იხმარენ, როგორც თქვენმა მსახურებმა დაიმორჩილეს ძალით ჩემი პირისფარეშები მხოლოდ იმ ერთადერთი, მაგრამ სავსებით საკმარისი საბუთით, რომ მათზე ძლიერნი იყვნენ. მაგრამ არ უნდა წარმოიდგინოთ, თითქოს ჩვენზე რაიმე კანონიერი ძალაუფლება გაქვთ. ჩვენ ამ მონასტერში ძალით მოგვიყვანეს, ფიცი და აღთქმა ძალით დაგვადებინეს ჩვიდმეტი წლის ასაკში. ბოლოს, ის მოსაწყენი ცხოვრება, ახლა ჩვენთვის რომ დაგიწესებიათ, სულაც არა ჰგავს იმას, რომელსაც აქ ჩვენს თვალწინ ეწეოდნენ მონაზვნები, როცა ფიცსა და აღთქმას ვდებდით. თუ მაინცდამაინც გინდათ ის აღთქმა კანონიერად ჩათვალოთ, ჩვენ ხომ მხოლოდ იმაზე დავდეთ პირობა, რომ მათსავით

გვეცხოვრა, თქვენ კი მოითხოვთ ისე ვიცხოვროთ, როგორც მათ არასოდეს უცხოვრიათ. გამოგიტყდებით, სინიორ მეურვევ, რომ ჩემი თანამოქალაქეების პატივისცემას ძვირად ვაფასებ. რესპუბლიკის დროს საცოდავ ქალიშვილებს, რომელთა დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ისინი მდიდარ ოჯახებში დაიბადნენ და ჰყავდათ ძმები, ასე სამარცხვინოდ ვერავინ შეავიწროვებდა. მე ყოველთვის მინდოდა ეს საჯაროდ, ანდა რომელიმე გონიერი კაცისთვის მაინც მეთქვა. ხოლო რაც შეეხება იმას, რამდენი პირისფარეში მეყოლება, მაგას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. ჩემთვის ორიც სრულიად საკმარისი იქნებოდა, არამცთუ ხუთი ან შვიდი. მე შემეძლო გავჯიუტებულიყავი და შვიდი პირისფარეში მომეთხოვა, სანამ ვინმე არ იკისრებდა ნიღაბი აეხადა იმ უღირსი თაღლითობისათვის, რისი მსხვერპლიც ჩვენა ვართ; ამაზე ზოგი რამ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მაგრამ, რაკი თქვენი ხავერდის ტანისამოსი ძლიერ გშვენით, სინიორ მეურვევ, გიცხადებთ, რომ წელს უარს ვამბობ ჩემს უფლებაზე _ იმდენი პირისფარეში ვიყოლიო, რამდენის შენახვაც შემიძლია.

კონტი ბუონდელმონტე მეტად გაართო ამგვარმა ამბოხმა და კვლავ განაგრძო ეს საუბარი, თან ისეთი სულელური საწინააღმდეგო მოსაზრებები მოიყვანა, როგორიც კი მოახერხა. მომხიბლავი ფელიჩე მის მოსაზრებებს ცოცხლად და ჭკვიანურად პასუხობდა. კონტი გაკვირვებას კითხულობდა ამ ოცი წლის ქალიშვილის თვალებში, რაკი ესოდენ გონივრულად განმსჯელი კაცისაგან ასეთი უაზრობები ესმოდა.

კონტი ფელიჩეს დაემშვიდობა. გამოიძახა წინამძღვარი, რომელსაც ჭკვიანური დარიგებები მისცა და დიდ დუკას მოახსენა, მღელვარება სანტა რიპარატას მონასტერში დაცხრაო. მისგან დიდი ქება მიიღო ესოდენ ბრძნული მოქმედების გამო და ისევ თავის მამულებს მიუბრუნდა. «და აი, მაინც ხომ არის ოცი წლის ქალიშვილი, _ ფიქრობდა კონტი ხანდახან, _ რომელიც ქალაქის ულამაზეს ქალად ჩაითვლებოდა, ხალხში რომ ეცხოვრა, და თანაც ჭკვიანურად მსჯელობს».

მალე მონასტერში დიდი ამბები მოხდა. ყველა მონაზონი ისე გულღიად არ მსჯელობდა, როგორც ფელიჩე, მაგრამ უმრავლესობა ახალგაზრდა ქალიშვილებისა დიდად მოსაწყენ ცხოვრებას ეწეოდა. მათი ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ კარიკატურებს ხატავდნენ და სატირულ სონეტებს თხზავდნენ მთავარზე, რომელმაც მას შემდეგ, რაც ოცდახუთ წელიწადს კარდინალად იჯდა, იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა, რომ ტახტზე ასვლისას თავის შეყვარებულთან პაემნები შეწყვიტა, ის წინამძღვრად დანიშნა და დაავალა, რაც შეიძლებოდა შეევიწროებინა მშობლების კრიჟანგობის გამო მონასტერში ჩაყრილი ქალიშვილები.

როგორც უკვე მოგახსენეთ, თვინიერი როდელინდა ფელიჩეს ახლო მეგობარო იყო. მათი მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ფელიჩე გამოუტყდა, კონტ ბუონდელმონტესთან, ოცდათექვსმეტ წელს მიტანებულ კაცთან საუბრის შემდეგ ჩემი შეყვარებული როდერიკო მეტად მოსაწყენ კაცად მეჩვენებაო. მოკლედ რომ ვთქვათ, ფელიჩეს ეს პატივსადები კონტი შეუყვარდა. დაუსრულებელი საუბრები ამ თემაზე მასა და როდელინდას შორის ხანდახან ღამის ორსა თუ სამ საათამდე გრძელდებოდა; ხოლო წმ. ბენედიქტეს წესდების მიხედვით, რომელიც წინამძღვარს მთელი მისი სისასტიკით სურდა აღედგინა, ყოველი მონაზონი თავის სენაკში მზის ჩასვლიდან ერთი საათის შემდეგ უნდა შებრუნებლიყო, რასაც მათ მწუხრის ზარი ამცნობდა.

მიამიტი წინამძღვარი თავს ვალდებულად თვლიდა, მაგალითის მიმცემი ყოფილიყო. ზარის ხმაზე თავის სენაკში იკეტებოდა და სწამდა, რომ ყველა მონაზონი მის მაგალითს მიმართავდა. ყველაზე ლამაზ და ყველაზე მდიდარ მონაზვნებს შორის გამოირჩეოდნენ ცხრამეტი წლის ფაბიენა, მონასტრის თითქმის ყველაზე თავქარიანი ქალიშვილი და მისი გულითადი მეგობარი ჩელიანა. ორივენი გულმოსულები იყვნენ ფელიჩეზე, რომელსაც, როგორც ეს ქალები ამბობდნენ, სძულდა ისინი. საქმე ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ფელიჩეს ესოდენ საინტერესო სასაუბრო გაუჩნდა როდელინდასთან, ის უკვე ცუდად შენიღბული, ან უკეთ რომ ვთქვათ, აშკარა ათვალწუნებით უყურებდა სხვა მონაზვნებს. ფელიჩე ყველაზე ლამაზი იყო, ყველაზე მდიდარი და, რა თქმა უნდა, ყველაზე ჭკვიანიც. ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ მონასტერში, სადაც ასეთი მოწყენილობა სუფევდა, ქალთა შორის დიდი სიძულვილი აღძრულიყო. ფაბიენამ თავისი ქარაფშუტობით წინამძღვარს ამბავი მიუტანა, ფელიჩე და როდელინდა ხშირად ბაღში ღამის ორ საათამდე რჩებიანო. წინამძღვარმა კონტისაგან ნებართვა მიიღო, რათა დუკას ერთი ჯარისკაცი გუშაგად დაეყენებინათ მონასტრის ბაღის ჭიშკართან, რომელიც ქალაქის ზღუდის ჩრდილოეთ მხარეს, უშენ ადგილზე გადიოდა. წინამძღვარმა განკარგულება გასცა, ჭიშკარზე ვეებერთელა კლიტეები ჩამოეკიდათ და ყოველ საღამოს, მუშაობის დამთავრებისას, უმცროსი მებაღე, სამოცი წლის მოხუცი კაცი წინამძღვარს ჭიშკრის გასაღებს აბარებდა. წინამძღვარი იმწამსვე ჭიშკრის მეორე კლიტით დასაკეტად მოხუც მეკარე ქალს გზავნიდა, რომელიც მონაზვნებს ჭირის დღესავით ეჯავრებოდათ. მიუხედავად ასეთი ზომებისა, წინამძღვარმა დიდ დანაშაულად ჩათვალა ღამის ორ საათამდე ქალიშვილების ბაღში დარჩენა. მან ბრძანა, ფელიჩე მოეყვანათ და ამ კეთილშობილ ქალს, რომელიც ახლა თავისი გვარის მემკვიდრე გამხდარიყო, ისეთი

ამპარტავნული კილოთი ელაპარაკა, რასაც, ალბათ, ვერასდროს გაბედავდა, თუ რომ დუკას მფარველობით არ ჰქონოდა ზურგი გამაგრებული. ფელიჩე მით უფრო შეურაცხყო წინამძღვრის მწარე საყვედურმა, რომ მას შემდეგ, რაც კონტი ბუონდელმონტე გაიცნო, მხოლოდ ერთხელ მოიწვია თავისი შეყვარებული როდერიკო და ისიც იმისათვის, რომ მასხარად აეგდო. თავის გულისწყრომაში ფელიჩემ საკმაო მჭევრმეტყველება გამოიჩინა, ხოლო გულუბრყვილო წინამძღვარმა, მართალია, ენის მიმტანი არ დაასახელა, მაგრამ ისეთი წვრილმანები ილაპარაკა, რომელთა მიხედვით ფელიჩე ადვილად მიხვდა, რომ ეს უსიამოვნება ფაბიენას წყალობა იყო.

ფელიჩემ მაშინვე გადაწყვიტა შური ეძია. ამ გადაწყვეტილებამ სულიერი სიმშვიდე მოჰგვარა; უსიამოვნებას მისთვის ძალა გაეორკეცებინა.

_ იცით თუ არა, სინიორა, რომ მე ღირსი ვარ ცოტაოდენი სიბრალულისა? _ უთხრა ფელიჩემ წინამძღვარს. _ ერთიანად დაკარგული მაქვს სულიერი სიმშვიდე. ჩვენი ორდენის დამაარსებელს, წმინდა ბენედიქტეს უდიდესმა სიბრძნემ უკარნახა, როცა დააწესა, რომ არც ერთი სამოც წელზე ახალგაზრდა კაცი არ გაეჭაჭანებინათ ჩვენს მონასტრებში. კონტ ბუონდელმონტეს, დიდი დუკას ნაცვალს ამ მონასტრის გამგებლობაში, გრძელი საუბარი მოუხდა ჩემთან, რათა პირისფარეშთა რიცხვის გაზრდის სულელური განზრახვა მოეშლევინებინა. ეს არის საღად მოაზროვნე კაცი. მასში შერწმულია წინდახედულობის უდიდესი გრძნობა და გამჭრიახი ჭკუა. და მე უფრო მეტად მოვიხიბლე კონტის, ჩვენი მთავრის ნაცვლის ამ დიდი ღირსებებით, ვიდრე ეს ღვთისა და წმინდა ბენედიქტეს მსახურს შეეფერება. უზენაესმა მოინდომა მზვაობრობისათვის დავესაჯე: კონტი გაგიჟებამდე შემიყვარდა. მეშინოდა, ცუდი მაგალითით ჩემი მეგობარი როდელინდა არ შემეცდინა, მაგრამ გავბედე და მაინც გამოვუტყდი ამ ვნებაში, რომელიც იმდენადვე დანაშაულებრივია, რამდენადაც ჩემდაუნებური. და აი, იმიტომ, რომ ის ხშირად რჩევას მაძლევს და მამშვიდებს, იმიტომ, რომ ხანდახან იმასაც კი ახერხებს, ძალა შთამბეროს ბოროტი სულის ცთუნების წინააღმდეგ, ის ხანდახან გვიანობამდე გვერდიდან არ მშორდებოდა, მაგრამ ეს ყოველთვის ჩემი თხოვნით ხდებოდა. კარგად ვიცოდი, როგორც კი როდელინდა დამტოვებდა, მაშინვე კონტიზე დავიწყებდი ფიქრს.

წინამძღვარმა, რასაკვირველია, შემთხვევა არ გაუშვა და გზააბნეულ კრავს უგრძელესი შეგონებით მიმართა. ფელიჩემ კიდევ მრავალი აზრი გამოთქვა განზრახ და ამით უფრო მეტად გააგრძელა წინამძღვრის ქადაგება.

«ახლა, _ გაიფიქრა ფელიჩემ, _ ამბები, ჩემსა და როდელინდას შურისძიების შემდეგ რომ დატრიალდება, ისევ მოიყვანენ მონასტერში სანუკვარ კონტს. ამგვარად, გამოვასწორებ შეცდომას, რომელიც მაშინ ჩავიდინე, როცა ძალიან ჩქარა დავუთმე პირისფარეშთა საკითხში. იმან შემაცდინა ჩემდა უნებურად, რომ მინდოდა, მეც გამომეჩინა გონიერება ესოდენ საღი გონების კაცთან. იმას ვეღარ მივხვდი, რომ ამით კონტს სრულიად მოვუსპე შემთხვევა, კიდევ ჩამოსულიყო ჩვენს მონასტერში, ვითარცა მეფის ნაცვალი. აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ ახლა ასეთი მოწყენილი ვარ. ის გამოპრანჭული თოჯინა როდერიკო, რომელიც ხანდახან მართობდა, ახლა ძალიან სასაცილოდ მეჩვენა და სულ ჩემი ბრალია, რომ ჩვენს გულითად კონტს ვეღარა ვხედავ. ამიერიდან მე და როდელინდამ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენმა შურისძიებამ ისე აურ-დაურიოს საქმეები, კონტის ჩამოსვლა მონასტერში აუცილებელი შეიქნეს. ჩვენს საცოდავ წინამძღვარს საიდუმლო პირზე არ დაადგება და სავსებით შესაძლებელია, დიდხანს არ დაგვტოვოს ერთად, როცა კონტთან მომიწევს შეხვედრა. დარწმუნებული ვარ, დიდი დუკა კარდინალის ყოფილი საყვარელი ამ არაჩვეულებრივ და გულგრილ კაცს ჩემს სიყვარულს არ დაუმალავს. სასეირო სანახაობა გაიმართება, რაც მას, ალბათ, გაამხიარულებს. ან ძალიან ვცდები, ან არადა, არც ისე ადვილი უნდა იყოს იმ კაცის გაბრიყვება ყველა იმ სისულელეებით, რომლებსაც აქ გვიქადაგებენ, რომ მორჩილებაში გვიყოლიონ. ეს არის, რომ ჯერ ვერ უპოვია თავისი ღირსი ქალი; მაგრამ ეს ქალი ან მე ვიქნები, ანდა თავს შევწირავ».

ამ დროიდან მოყოლებული, ფელიჩესა და როდელინდას მოწყენილობა გაფანტა შურისძიების განზრახვამ, რამაც მთელი მათი აზრები მოიცვა და დრო დაიკავა.

«რაკი ფაბიენა და ჩელიანა ასე გამწარებით ეძებენ სიგრილეს ბაღში ცხელ ღამეებში, უნდა ისე მოვაწყო, რომ მათმა პირველმა პაემანმა შეყვარებულებთან დიდი სკანდალი გამოიწვიოს. ეს მონასტრის ჭკუადამჯდარ მონაზვნებს შეუნელებს ჩვენი შუაღამის სეირნობით გამოწვეულ გულისწყრომას. პირველსავე პაემანზე, რომელსაც ფაბიენა და ჩელიანა ლორენცოს და პიერ-ანტონიოს დაუნიშნავენ, როდერიკო და ლანჩელოტო ჭიშკრის გარეთ ხრიოკზე დაწყობილ სიპებს უკან დაიმალებიან. როდერიკო და ლანჩელოტო, რასაკვირველია, არ მოკლავენ იმ ქალბატონების შეყვარებულებს, ოდნავ გაჰკენწლავენ ხმლებით ისე, რომ სისხლი წამოუვიდეთ. როცა ქალები თავიანთ შეყვარებულებს ასეთ დღეში დაინახავენ, განგაშს ასტეხენ და სულაც იმის თავი აღარ ექნებათ, რომ მათ სასიყვარულო საუბარი გაუბან».

ამ მახის გასაბმელად დობილებმა გადაწყვიტეს, რომ კარგი იქნებოდა, როდელინდას კეთილშობილ პირისფარეშს, ლივიას წინამძღვრისათვის ერთი თვის შვებულება ეთხოვა. ამ მოხერხებულ ქალიშვილს წერილები გაატანეს როდერიკოსთან და ლანჩელოტოსთან. ქალმა ჭაბუკებს გადასცა ფულიც, რომლის შემწეობითაც ამ ყმაწვილებს ჯაშუშები უნდა მიეჩინათ ლორენცო ბ.-სთვის და ფაბიენას შეყვარებულ პიერ-ანტონიო დ.-სთვის. ეს ორი ყმაწვილი კაცი, რომლებიც ყველაზე წარჩინებულ ოჯახებს ეკუთვნოდნენ და დიდ მოდაშიც იყვნენ ქალაქში, ერთად შედიოდნენ ხოლმე მონასტერში. მას შემდეგ, რაც ამ მხარის გამგებელი დიდი დუკა გახდა, ეს საქმე ბევრად უფრო გაძნელდა. ბოლოს და¡ ვირგილიამაც გამოსთხოვა კონტ ბუონდელმონტეს ნებართვა, რათა ქალაქის ზღუდის ჩრდილოეთ ნაწილში უშენ ადგილზე გამავალ ჭიშკართან გუშაგი დაეყენებინათ.

კეთილშობილი პირისფარეში ლივია ყოველდღე ფელიჩესა და როდელინდასთან მოდიოდა ანგარიშის ჩასაბარებლად, უამბობდა, როგორ მზადდებოდა თავდასხმა ჩელიანასა და ფაბიენას შეყვარებულებზე. მზადება თვენახევარს გაგრძელდა. მათ როგორმე უნდა გაეგოთ, რომელ ღამეს აირჩევდნენ ლორენცო და პიერ-ანტონიო მონასტერში მოსასვლელად. ახალმა ხელმწიფემ დიდი სიმკაცრეები შემოიღო და ასეთ საქმეებში სიფრთხილეც ერთიორად გაიზარდა; ესეც არ იყოს, ლივია დიდ დაბრკოლებებს წააწყდა როდერიკოსთან მოლაპარაკების დროს. ყმაწვილს ძალიან კარგად ეგრძნო, რომ სატრფოს მასზე გული აეყარა და გადაჭრით უარი ეთქვა, - ფელიჩეს შურის საძიებლად ფაბიენასა და ჩელიანას სამიჯნურო საქმეებში არ ჩავერევი, თუ ქალი პაემანს არ დამინიშნავს და თავისი პირით არ მიბრძანებსო. ფელიჩე კი კონტ ბუონდელმონტეზე ფიქრებით იყო გართული და არაფრით ამ პირობაზე არ თანხმდებოდა. «მე კარგად მესმის, _ წერდა ფელიჩე როდერიკოს მოურიდებელი გულახდილობით, _ რომ ბედნიერებისათვის შეიძლება სული წაიწყმიდო. მაგრამ სული წავიწყმიდო ყოფილი შეყვარებულის ნახვის ფასად, იმ ადამიანისათვის, ვისი მეუფება უკვე დამთავრდა, ამაზე არასოდეს დავთანხმდები; მაგრამ მე შემიძლია ერთხელ კიდევ დავთანხმდე თქვენს ნახვას, ღამით, რათა სიმართლე გითხრათ. მე თქვენ დანაშაულის ჩადენას სრულიადაც არ გთხოვთ, ამიტომ არც თქვენა გაქვთ უფლება სამაგიეროდ დიდი ჯილდო მოითხოვოთ, თითქოსდა ვინმე თავხედის მოკვლას თხოულობენ თქვენგან. არ შეგცდეთ და ჩვენი მტრების შეყვარებულებს ისეთი ჭრილობები არ მიაყენოთ, რომ მათ ვეღარ შეძლონ ბაღში შემოსვლა, რათა იმ ქალებს წარმოუდგნენ, ვისაც იქ მოვუყრით თავს. ამით ჩვენს

შურისძიებას ყოველგვარ ეშხს დაუკარგავთ და მე თქვენ ჩაგთვლით ერთ ქარაფშუტა კაცად, ვინც ერთი ბეწო ნდობის ღირსიც კი არ არის. მინდა იცოდეთ, რომ სწორედ ამ ნაკლის გამოა, რომ ჩემს მეგობრობას აღარ იმსახურებთ».

როგორც იყო, ეს საგულდაგულოდ მომზადებული შურისძიების ღამეც დადგა. როდერიკო და ლანჩელოტო თავიანთი კაცების დახმარებით მთელი დღე თვალყურს ადევნებდნენ ლორენცოსა და პიერ-ანტონიოს მოქმედებას. მათი გულმოდგინეობის წყალობით გაირკვა, რომ მეორე ღამეს თურმე სანტა რიპარატას კედელზე აპირებდნენ გადაცოცებას. ერთი ფრიად შეძლებული ვაჭარი, რომლის სახლი კორდეგარდიის მეზობლად იყო, საიდანაც მონასტრის ჭიშკრის მცველი გუშაგი იგზავნებოდა სადარაჯოდ, იმ ღამეს ქალიშვილს ჯვარსა წერდა. ამ მდიდარი ვაჭრის მსახურებად გადაცმულმა ლორენცომ და პიერ-ანტონიომ ამ შემთხვევით ისარგებლეს და მათი ბატონის სახელით საღამოს ათ საათზე კორდეგარდიის მცველებს ერთი კასრი ღვინო მოუტანეს. ჯარისკაცებმა ამ ძღვენს დიდი პატივი მიაგეს. კუნაპეტი ღამე იყო. ლორენცო და პიერ-ანტონიო მონასტრის კედელზე გადასვლას შუაღამისას აპირებდნენ. უკვე საღამოს თერთმეტი საათიდან კედელთან ჩასაფრებულმა როდერიკომ და ლანჩელოტომ სიხარულით დაინახეს, რომ ყარაული გვარიანად შემთვრალმა მეორე ყარაულმა შეცვალა, რომელსაც რამდენიმე წუთში ჩაეძინა.

ფელიჩემ და როდელინდამ შენობიდან შენიშნეს, როგორ დაიმალნენ ფაბიენა და ჩელიანა ბაღის კედლის მახლობლად მდგარი ხეების ქვეშ. ჯერ შუაღამე არ დამდგარიყო, რომ ფელიჩემ წინამძღვრის გაღვიძება გაბედა, რომელთანაც დიდი გაჭირვებით მოახერხა შესვლა. კიდევ უფრო მეტად გაუჭირდა მისთვის გაეგებინებინა, შეიძლება დანაშაული მოხდეს და ამის შესატყობინებლად ვარ მოსულიო. ბოლოს და ბოლოს, როცა ფელიჩემ ნახევარი საათი დაკარგა ახსნა-განმარტებებში, და სხვათა შორის, შიშისაგან კანკალებდა, ცილისმწამებელი არ ვეგონო ვინმესო, წინამძღვარმა გამოუცხადა, თუ ასეთი დანაშაული მართლაც მოხდა, აღარ ღირს მას წმ. ბენედიქტეს განაწესის დარღვევაც დავუმატოთო. განაწესი კი სასტიკად კრძალავდა მზის ჩასვლის შემდეგ ბაღში ფეხის გადგმას. საბედნიეროდ, ფელიჩეს მოაგონდა, რომ ბაღში ჩაუსვლელადაც შეიძლებოდა შენობის დერეფნებით გასულიყვნენ პატარა სათბურის სახურავზე, რასაც ტერასად იყენებდნენ და ძალიან დაბლა იყო სწორედ იმ ჭიშკრის გვერდით, ყარაული რომ დარაჯობდა. სანამ ფელიჩე წინამძღვარს გულისხმაში ჩააგდებდა, როდელინდამ თავისი დეიდა გააღვიძა - ხნიერი, მეტად ღვთისმოსავი ქალი, მონასტრის წინამძღვრის მოადგილე.

მართალია, წინამძღვარი ფელიჩეს სათბურის სახურავზე გაჰყვა, მაგრამ ის ნალაპარაკევს არამც და არამც არ იჯერებდა. ძნელი წარმოსადგენია მისი განცვიფრება, გულისწყრომა და აღშფოთება, როცა ცხრა თუ ათი ფუტით ტერასაზე დაბლა ორი მონაზონი შეამჩნია, რომლებიც ასე შეუფერებელ დროს თავისი სენაკებიდან გამოსულიყვნენ, თუმცა თავდაპირველად ვერ იცნო, რომ ესენი ფაბიენა და ჩელიანა იყვნენ.

_ უღმერთოებო! _ შეჰყვირა მან და შეეცადა თავისი ხმისათვის დამაჯერებლობა მიეცა, _ უსირცხვილო ქარაფშუტებო! ეგრე ემსახურებით მაღალ ღმერთს? გახსოვდეთ, წმინდა ბენედიქტე, თქვენი მფარველი ზეციდან გადმოგყურებთ და შეძრწუნებულია იმის დანახვაზე, რომ მის წესდებას ასე ბღალავთ. გონს მოდით, ზარმა უკვე დიდი ხანია მწუხრისა დარეკა, თქვენს სენაკებში დაბრუნდით და დაუყოვნებლივ ლოცვად დადექით ეპიტიმიის მოლოდინში, რასაც ხვალ დილას დაგადებთ.

ძნელი ასაწერია, თუ რაოდენმა განცვიფრებამ და შეშფოთებამ მოიცვა ჩელიანა და ფაბიენა, როცა მათ თავს ზემოთ განრისხებული წინამძღვრის გამყივანი ხმა გაისმა. მათ ლაპარაკი შეწყვიტეს და ადგილზე გაირინდნენ, მაგრამ ამ დროს უფრო მოულოდნელმა ამბავმა თავზარი დასცა მათაც და წინამძღვარსაც. ქალებს ასე რვა-ათი ნაბიჯის მოშორებით ჭიშკრის გარედან გამალებული ხმლების ჩახაჩუხი მოესმათ. მალე მათ ყურამდე დაჭრილთა ყვირილმა და გმინვამაც მოაღწია. რაოდენ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ ჩელიანა და ფაბიენა, როცა ლორენცოსი და პიერ-ანტონიოს ხმა იცნეს! მათ ჭიშკრის სათადარიგო გასაღები ჰქონდათ და კარს მივარდნენ გასაღებად, და თუმცა ჭიშკარი ძალიან დიდი იყო, მაინც იმდენი ქნეს, რომ ანჯამებზე შემოატრიალეს. ჩელიანა უფროსი იყო და უფრო გამბედავი. მან პირველმა გაბედა ბაღიდან გასვლა, რამდენიმე წამში ისევ უკან შემობრუნდა და თავისი შეყვარებული ლორენცო შემოიყვანა, რომელიც, ეტყობოდა, სახიფათოდ იყო დაჭრილი და ფეხზე ძლივს იდგა. ის ყოველ ნაბიჯზე მომაკვდავივით გმინავდა და მართლაც, ათი ნაბიჯიც კი არ გაიარეს ბაღში, რომ მიუხედავად ჩელიანას მცდელობისა, დაეცა და თითქმის იმწამსვე სული განუტევა. ჩელიანამ ყოველივე სიფრთხილე დაივიწყა, ხმამაღლა ჩასძახოდა და, როცა მიხვდა, რომ ვაჟი აღარ უპასუხებდა, მის გვამზე დაიხარა და მწარედ დაიწყო მოთქმა.

ეს ყველაფერი პატარა სათბურის სახურავიდან ოც ნაბიჯზე მოხდა. ფელიჩე კარგად მიხვდა, რომ ლორენცო უკვე გარდაიცვალა, ან კვდებოდა, და ძნელი აღსაწერია, რა სასოწარკვეთილება დაეუფლა. «ყველაფერი ჩემი მიზეზით მოხდა, _ ფიქრობდა იგი, _

როდერიკო, როგორც ჩანს, ბრძოლამ გაიტაცა და ლორენცო მოკლა. ბუნებით ულმობელია, ისეთი პატივმოყვარეა, რომ ერთი ბეწო შეურაცხყოფასაც კი თავის დღეში არავის აპატიებს. ჯერაც ვერ მოუნელებია, რომ რამდენიმე მასკარადზე ლორენცოს ცხენები და მისი კაცების ლივრეები მისას ამჯობინეს».

ფელიჩეს მკლავებში თავზარდაცემული, თითქმის გულწასული წინამძღვარი ეჭირა. რამდენიმე წამიც არ გასულა, რომ ბაღში საცოდავი ფაბიენა შემოვიდა, რომელსაც თავისი უბედური საყვარელი პიერ-ანტონიო მოჰყავდა, ისიც სასიკვდილოდ დაჭრილი და სულთმობრძავი. მაგრამ ამ საშინელი სურათის ხილვით გამოწვეულ საერთო დუმილში ვაჟის ფაბიენასადმი მიმართული სიტყვები გაისმა:

_ ეს მალტელი რაინდი დონ ჩეზარე იყო. კარგად ვიცანი, მაგრამ თუ დამჭრა, არც მე დავაკელი და დავასვი ნიშანი.

დონ ჩეზარე პიერ-ანტონიომდე მოსწონდა ფაბიენას. ამ ახალგაზრდა მონაზონმა თითქოს სრულიად შეწყვიტა თავის სახელზე ფიქრი. ის ხმამაღლა მოუხმობდა ღვთისმშობელს და წმინდანს, ვისი სახელიც ერქვა, აგრეთვე თავის კეთილშობილ პირისფარეშს ეძახდა და აინუნშიაც არ აგდებდა, რომ მთელ მონასტერს გააღვიძებდა. ეს იმიტომ, რომ ნამდვილად უყვარდა პიერ-ანტონიო. ქალი ცდილობდა მისთვის რამე ეშველა, სისხლი შეეჩერებინა, ჭრილობები გადაეხვია. ასეთმა გულწრფელმა გრძნობამ ბევრ მონაზონში გამოიწვია სიბრალული. დაჭრილს გარს შემოერტყნენ, ზოგი ჩირაღდნების მოსატანად გაიქცა. მომაკვდავი დაფნის ხეზე მიყრდნობილი იჯდა, მის წინ ფაბიენა დაჩოქილიყო და მზრუნველობით უვლიდა. ერთხანს გასაგებად ლაპარაკობდა, კვლავ გაიმეორა, მალტელი რაინდი დონ ჩეზარე იყო, რომ დამჭრაო, მერე უეცრად ხელები აიქნია და სულიც განუტევა.

ჩელიანა ფაბიენას მივარდა, რათა მისი მოთქმა-გოდება შეეწყვიტა. როცა დარწმუნდა, რომ ლორენცო მკვდარი იყო, თითქოს კიდეც დაავიწყდა ის და იმ საშიშროებაზე დაიწყო ფიქრი, რაც მასა და მის საყვარელ მეგობარ ფაბიენას მოელოდა. გულწასული ფაბიენა თავისი შეყვარებულის უსულო სხეულზე დაეცა. ჩელიანამ წამოსწია და შეანჯღრია, რომ გონზე მოეყვანა.

_ მე და შენ სიკვდილი არ აგვცდება, თუ არ გამაგრდი, _ თავი ახლო მიუტანა და ყურში ჩასჩურჩულა მას, რათა ტერასის მოაჯირზე გადმომდგარ წინამძღვარს, რომელსაც ათი-თხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე კარგად ხედავდა, მისი სიტყვები არ გაეგონა. _ გონს მოდი, _ განაგრძო ჩელიანამ, _ ახლა შენს სახელზე იზრუნე, იფიქრე, რა განსაცდელი

გელის! მრავალი წლის განმავლობაში ბნელსა და მყრალ დილეგში ამოგალპობენ. ახლავე შეწყვიტე მოთქმა და ეცადე, დარდი გულიდან გადაიგდო.

ამ დროს წინამძღვარი ტერასიდან ჩამოვიდა, ფელიჩეს ხელზე დაეყრდნო და გაუბედურებულ მონაზვნებს მიუახლოვდა.

_ თქვენ კი, სინიორა, _ მიმართა მას ჩელიანამ ამაყი და მტკიცე ხმით, _ თუ სიმშვიდე გსურთ და თქვენთვის ძვირფასია კეთილი სახელი ჩვენი კეთილშობილი მონასტრისა, მოახერხეთ, როგორმე დადუმდეთ და დიდ დუკასთან ამ საქმეზე დავიდარაბა არ ატეხოთ. თქვენც ხომ გიყვარდათ, თუმცა, როგორც ყველა ამბობს, გონივრულად იქცეოდით, და ამაშია თქვენი უპირატესობა ჩვენს წინაშე. მაგრამ თუ დიდ დუკასთან ამ საქმეზე სიტყვა წამოგცდათ, მალე მთელ ქალაქში მითქმა-მოთქმა ატყდება და იტყვიან, სანტა რიპარატას წინამძღვარს, რომელმაც თვითონ ადრეულ სიყმაწვილეში გამოსცადა სიყვარული, იმდენი ნებისყოფა არ შესწევს, რომ თავისი მონასტრის მონაზვნებს უხელმძღვანელოსო. ჩვენ ხომ დაგვღუპავთ, სინიორა, მაგრამ თავსაც წააგებთ უეჭველად. დამეთანხმეთ, სინიორა, _ მიუბრუნდა ის წინამძღვარს, რომელიც ამ დროს ოხრავდა და ვაი-ვიშით აყრუებდა იქაურობას, _ ამ წუთში არც კი იცით, როგორ უნდა იმოქმედოთ მონასტრისა და თქვენივ თავის გადასარჩენად.

და რაკი წინამძღვარი შეცბუნებული იდგა და ხმას არ იღებდა, ჩელიანამ განაგრძო:

_ უწინარეს ყოვლისა, ჩუმად უნდა იყოთ; შემდეგ მთავარია, ეს ორი გვამი ახლავე აქედან გავიტანოთ და, რაც შეიძლება, შორს წავიღოთ. თუ ესენი აქ იპოვეს, ყველანი დავიღუპებით, ჩვენცა და თქვენც.

საცოდავი წინამძღვარი მძიმედ ოხრავდა და ისეთი აღელვებული იყო, პასუხის გაცემასაც ვერ ახერხებდა. ფელიჩე მის გვერდით აღარ იყო. როცა მან წინამძღვარი ორ გაუბედურებულ მონაზონთან მიიყვანა, თვითონ უხმოდ გაშორდა, რადგანაც ყველაზე მეტად ეშინოდა, მონაზვნებს არ ეცნოთ.

_ შვილნო ჩემნო, გააკეთეთ ის, რასაც საჭიროდ ჩათვლით, რაც თქვენ შესაფერისად მიგაჩნიათ, _ როგორც იყო წარმოთქვა საცოდავმა წინამძღვარმა ჩამქრალი ხმით, შეძრწუნებულმა იმის ფიქრით, ეს რა საშინელ დღეში ჩავვარდითო. _ მე შევძლებ, დავფარო ჩვენი სირცხვილი, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ თვალი უზენაესი მართლმსაჯულებისა მუდამ ხედავს ჩვენს ცოდვებს.

ჩელიანამ ყური არ ათხოვა წინამძღვრის სიტყვებს.

_ თქვენ ის მოახერხეთ, რომ სიჩუმე დაიცვათ, თქვენგან სხვა არაფერს მოითხოვენ, _ რამდენჯერმე შეაწყვეტინა მან წინამძღვარს.

შემდეგ, როცა მათ წინამძღვრის მესაიდუმლე ქალი მარტონა მიუახლოვდა, მას მიუბრუნდა:

_ დამეხმარეთ, ჩემო კარგო. საქმე მთელი მონასტრის პატივს ეხება, საქმე ეხება თვითონ წინამძღვრის სახელსა და სიცოცხლეს. თუ რამე წამოსცდა, ჩვენ კი დაგვღუპავს, მაგრამ ჩვენი წარჩინებული ოჯახები ამ საქმეს ისე არ დატოვებენ, რომ შური არ იძიონ.

ფაბიენა ზეთისხილის ხესთან მუხლმოყრილი ქვითინებდა და ძალა არ შესწევდა, ჩელიანას მიხმარებოდა.

_ ადექი და შენს სენაკში წადი, _ უთხრა ჩელიანამ. _ უწინარეს ყოვლისა, თუ ტანისამოსზე სისხლის ლაქები გაქვს, მოიცილე. ერთ საათში შენთან მოვალ და ერთად ვიტიროთ.

ამის შემდეგ ჩელიანამ მარტონას დახმარებით ჯერ თავისი შეყვარებულის გვამი, ხოლო მერე პიერ-ანტონიოსი ოქრომჭედელთა ქუჩაზე გადაიტანა, რომელიც ბაღის ჭიშკრიდან ათი წუთის სავალზე მდებარეობდა. ჩელიანასა და მარტონას გზაზე არავინ შეხვედრიათ. მეორე, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, ურომლისოდაც მათ ჭკვიანურ ღონისძიებებს არავითარი ფასი არ ექნებოდა, ჯარისკაცი, რომელიც ბაღის ჭიშკართან დარაჯობდა, მოშორებით ქვაზე იჯდა და ეტყობა, ჩასძინებოდა. ჩელიანა ჯერ ამაში დარწმუნდა და მერე დაიწყო გვამების გამოტანა ბაღიდან. როცა მეორე გზა გააკეთეს და უკან ბრუნდებოდნენ, ჩელიანამ და მისმა მშველელმა დიდი შიში ჭამეს: ღამის წყვდიადი ოდნავ გაიცრიცა; ალბათ, უკვე ღამის ორი საათიც იყო. მათ ბაღის ჭიშკართან საკმაოდ გარკვევით გაარჩიეს სამი ჯარისკაცი, მაგრამ უარესი ის იყო, რომ ჭიშკარი თითქოს დაეკეტათ.

_ აი, ჩვენი წინამძღვრის პირველი სისულელე, _ უთხრა ჩელიანამ მარტონას. _ მას, ალბათ, მოაგონდა, რომ წმ. ბენედიქტეს განაწესის მიხედვით ჭიშკარი ღამით დაკეტილი უნდა იყოს. ჩვენს მშობლებთან უნდა გავიქცეთ. ისეთი მკაცრი და პირქუში მთავარი გვყავს, რომ შეიძლება ამ საქმეში თავი წავაგო. შენ კი, მარტონა, არაფერში დამნაშავე არა ხარ. ჩემი ბრძანებით მეხმარებოდი, გადამეტანა გვამები, რომელთა ბაღში დატოვება მონასტერს სახელს გაუტეხდა. ამ ქვების უკან დავიჩოქოთ და დავიმალოთ.

ორი ჯარისკაცი მათკენ მოემართებოდა. ისინი ბაღის ჭიშკრიდან კორდეგარდიაში ბრუნდებოდნენ. ჩელიანამ სიხარულით შეამჩნია, რომ ჯარისკაცები სიმთვრალისაგან

ფეხზე ძლივს იდგნენ. ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ის, რომელიც მანამდე ყარაულობდა ჭიშკარს და თავისი მაღალი ტანით გამოირჩეოდა, არაფერს ეუბნებოდა თანამგზავრს იმ ღამეს მომხდარ შემთხვევაზე და მართლაც, შემდგომში, სასამართლოს პროცესის დროს დაკითხვაზე თქვა, ვიღაც შეიარაღებული და ძალიან კარგად ჩაცმული ყმაწვილი კაცები მოვიდნენ და იქვე რამდენიმე ნაბიჯზე ბრძოლა გამართესო. იმ საშინელ სიბნელეში შვიდი თუ რვა კაცი გავარჩიე, მაგრამ ჩხუბში ჩარევას მოვერიდეო. შემდეგ ყველანი მონასტრის ბაღში შევიდნენო.

როგორც კი ორივე ჯარისკაცმა ჩაიარა, ჩელიანა და მარტონა ჭიშკარს მიუახლოვდნენ და დიდი სიხარულით შენიშნეს, რომ ის უბრალოდ იყო მიხურული. ეს ჭკვიანური ფანდი ფელიჩეს საქმე იყო. როცა ის წინამძღვარს განშორდა, დაინახა, რომ ჭიშკარი ყურთამდე ღია იყო და ჩელიანას და ფაბიენას რომ არ ეცნოთ, იქით გაიქცა. ძალიან ეშინოდა, რომ როდერიკოს, ვის შეხვედრასაც იმ წუთში გაურბოდა, შემთხვევით არ ესარგებლა და ბაღში არ შემოსულიყო მასთან შესახვედრად. ფელიჩემ კარგად იცოდა როდერიკოს გაუფრთხილებლობა და შეუპოვარი ხასიათი და ეშინოდა, ვაითუ ჩემი შერცხვენა მოინდომოს, რაკი შემამჩნია, რომ მასზე გული გავიგრილეო. ფელიჩე ალაყაფის კართან ხეებს უკან დაიმალა, თან ყველაფერი გაიგონა, რაც ჩელიანამ წინამძღვარს და მარტონას უთხრა, და როცა ჩელიანამ და მარტონამ გვამები გაიტანეს და ჯარისკაცების ფეხის ხმაც შემოესმათ, რომლებიც გუშაგის შემცვლელებად მოდიოდნენ, ჭიშკარი მიხურა.

ფელიჩემ დაინახა, როგორ ჩაკეტა ჩელიანამ თავისი გასაღებით ალაყაფის კარი და როგორ მიიმალა. მხოლოდ ამის შემდეგ წავიდა ფელიჩე ბაღიდან. «აი, ასეთია შურისძიება, ჩემს გულს რომ აუწერელ სიხარულს ჰგვრის!» _ გაიფიქრა მან. ღამის დანარჩენი მან როდელინდასთან გაატარა და ქალები ცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ, რა მოვლენებმა გამოიწვიეს ესოდენ ტრაგიკული დასასრული.

საბედნიეროდ, დილაადრიან მონასტერში როდელინდას კეთილშობილი პირისფარეში დაბრუნდა და როდერიკოსგან გრძელი წერილი მოიტანა. როდერიკომ და ლანჩელოტომ, როგორც ჭეშმარიტმა ვაჟკაცებმა, არ ისურვეს მიემართათ დაქირავებული მკვლელებისათვის, რომლებიც მრავლად იყვნენ ფლორენციაში და მარტო დაესხნენ თავს ლორენცოს და პიერ-ანტონიოს. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, ვინაიდან ისინი ზუსტად ასრულებდნენ მითითებებს, სულ უკან იხევდნენ და ცდილობდნენ, მოწინააღმდეგეებისათვის მსუბუქი ჭრილობები მიეყენებინათ. მართლაც, მათ მხოლოდ მხრებში გაჰკენწლეს ოდნავ მოწინააღმდეგეები და სრულიად დარწმუნებული იყვნენ, რომ

მათ ასეთი ჭრილობები არ დახოცავდა. მაგრამ სწორედ იმ წუთში, როცა უკან აპირებდნენ მობრუნებას, გაკვირვებით დაინახეს, რომ პიერ-ანტონიოს ვიღაც შლეგი გაშმაგებით თავს დაესხა. თავდამსხმელის შეძახილებზე ისინი მიხვდნენ, რომ ეს მალტელი რაინდი დონ ჩეზარე იყო. როცა დაინახეს, რომ სამნი იყვნენ ორი დაჭრილის წინააღმდეგ, საჩქაროდ განშორდნენ იმ ადგილს. მეორე დღეს მთელი ფლორენცია დიდად განცვიფრდა, როცა მოულოდნელად აღმოაჩინეს ყმაწვილ კაცთა გვამები. ისინი ქალაქის ყველაზე კეთილშობილ და ყველაზე მდიდარ ჭაბუკთა შორის თითით საჩვენებელი ვაჟკაცები იყვნენ. ამ მკვლელობამ უმთავრესად იმით მიიქცია ყურადღება, რომ მსხვერპლნი საზოგადოების უმაღლეს ფენებს ეკუთვნოდნენ. თავაშვებული ფრანჩესკოს გამგებლობის დროს, რომელიც ახლა მკაცრმა ფერდინანდმა შეცვალა, ტოსკანა ერთგვარად ესპანეთის პროვინცია იყო და ქალაქში ყოველწლიურად ასზე მეტი მკვლელობა ხდებოდა. მაღალ საზოგადოებაში, რომელსაც ლორენცო და პიერ-ანტონიო ეკუთვნოდნენ, დიდი კამათი ატყდა იმის თაობაზე, ორთაბრძოლაში დაიხოცნენ ეს ყმაწვილები, თუ რაიმე შურისძიების მსხვერპლნი გახდნენო.

მომხდარი ამბის მეორე დღეს მონასტერში სრული სიმშვიდე მეფობდა. მონაზონთა უმრავლესობა ბაიბურშიც არ იყო, თუ რა მოხდა ღამით. გამთენიისას, მებაღის მოსვლამდე მარტონა ბაღში ჩავიდა, რათა სადაც სისხლი იყო დაღვრილი, იმ ადგილებში მიწა მოესწორებინა და წუხანდელი შემთხვევის კვალი მოესპო. ამ ქალიშვილმა, რომელსაც თვითონაც ჰყავდა საყვარელი, გონივრულად შეასრულა ჩელიანას მითითება და, რაც მთავარია, წინამძღვართან არაფერი წამოსცდენია. ჩელიანამ მას მშვენიერი ალმასებით მოჭედილი ჯვარი აჩუქა. მარტონა ალალი ქალიშვილი იყო და ჩელიანას ასე გადაუხადა მადლობა:

_ არის ერთი რამ, რაც ჩემთვის ყველა ალმასზე ძვირფასია. მას მერე, რაც ეს ახალი წინამძღვარი მოვიდა ჩვენს მონასტერში, ხშირად დამიმცირებია თავი მის ლოლიაობაში, მაგრამ ერთი ბეწო შეღავათიც ვერ მივიღე მისგან, რომ ჩემს თაყვანისმცემელ ჯულიანო რ.-ს შევხვედროდი. ეგ წინამძღვარი ჩვენ უბედურებას მოგვიტანს. ოთხ თვეზე მეტია, რაც ჯულიანოს არ ვუნახივარ; ბოლოს და ბოლოს, დამივიწყებს და ეგ იქნება. თქვენი მეგობარი სინიორა ფაბიენა რვა მეკარე დათა რიცხვშია. იტყვიან, «ხელი ხელსა ჰბანსო...» ხომ ვერ შეძლებს სინიორა ფაბიენა იმ დღეს, როცა კართან იმორიგეევებს, გარეთ გამიშვას, რომ ჯულიანოს შევხვდე, ან ის შემოვუშვათ ჩემთან?

_ რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ, _ მიუგო ჩელიანამ, _ მაგრამ ფაბიენა, ალბათ, იტყვის. ყველაზე საშიში ის იქნება, წინამძღვარმა თქვენი აქედან გასვლა არ შეამჩნიოსო. ძალიან შეჩვეულია, რომ გამუდმებით გვერდით ჰყავდეთ. ჯერჯერობით ეცადეთ, ცოტა ხნით თვალს მოეფაროთ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომელი სხვა მონაზონიც უნდა ყოფილიყო ჩვენი სინიორა წინამძღვრის გარდა, ფაბიენას სულ არ გაუჭირდებოდა თქვენი თხოვნის შესრულება.

ჩელიანა ამას რომ ამბობდა, გუნებაში რაღაც გეგმა ჰქონდა.

_ მთელი დღეები შენს შეყვარებულს დასტირი, _ უთხრა ფაბიენას, _ იმაზე კი არ ფიქრობ, რა საშინელი განსაცდელი გვემუქრება. წინამძღვარს უნარი არ შესწევს დაჩუმდეს და ადრე თუ გვიან ჩვენი ამბავი მკაცრი დიდი დუკას ყურამდე მიაღწევს. ის თავისი ტახტიდან ისეთ აზრებს ქადაგებს, რაც ოცდახუთ წელიწადს კარდინალად ნამყოფ კაცს შეეფერება. ჩვენი დანაშაული რელიგიის თვალსაზრისით ყველაზე მძიმე დანაშაულია; ერთი სიტყვით, წინამძღვრის სიცოცხლე _ ჩვენი სიკვდილია.

_ მაგით რისი თქმა გინდა? _ შეჰყვირა ფაბიენამ და თვალები შეიმშრალა.

_ მე იმის თქმა მინდა, რომ შენ უნდა შენს მეგობარს ვიტორია ამანატის სთხოვო, როგორმე მოგცეს ის უებარი პერუჯიული სამსალა, რომელიც თვითონ ქმრისაგან მოწამლულმა მომაკვდავმა დედამისმა მისცა. მისი ავადმყოფობა რამდენიმე თვეს გაგრძელდა და ცოტა ვინმემ თუ შეიტანა ეჭვი საწამლავში. ჩვენს წინამძღვარსაც ასე დაემართება.

_ შენმა გეგმამ ლამის ჭკუიდან შემშალოს! _ შესძახა სათნო ფაბიენამ.

_ მე მესმის შენი შეძრწუნება და თვითონაც გავიზიარებდი მას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წინამძღვრის სიცოცხლე ფაბიენას და ჩელიანას სიკვდილს უდრის. ჩვენი წინამძღვარი ამ საქმეზე არ დაჩუმდება... მისი ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ ყველაფერში დაარწმუნოს კარდინალი დიდი დუკა, რომელიც არ ფარავს თავის აღშფოთებას იმ დანაშაულებრივი მოქმედებებით, რაც, მისი აზრით, ჩვენს უბედურ მონასტრებში უწინ გამეფებული თავისუფლების შედეგია. შენი ბიძაშვილი ძალიან მეგობრობს მარტონასთან, რომელიც 158... წელს გაკოტრებული და განადგურების პირას მისული მისი გვარის ერთ-ერთი შტოს შთამომავალია. მარტონას გაგიჟებამდე უყვარს ერთი ლამაზ-ლამაზი აბრეშუმის ფეიქარი, რომელსაც ჯულიანო ჰქვია. ჰოდა, კარგი იქნებოდა, რომ შენმა ბიძაშვილმა მას ეს პერუჯიული სამსალა მისცეს, როგორც ძილის

წამალი, ვითომდა, მისი გულისგამაწყალებელი თვალთვალის შესასუსტებლად, და ეს წამალი ნახევარ წელიწადში ბოლოს მოუღებს ჩვენს წინამძღვარს.

ამ ხანებში კონტ ბუონდელმონტეს რაღაც შემთხვევის გამო მთავრის კარზე მოუხდა მისვლა და დიდმა დუკამ, ფერდინანდმა მას მიულოცა: თქვენი წყალობაა, სანტა რიპარატას მონასტერში სანიმუშო სიწყნარე რომ სუფევსო. მთავრის სიტყვებმა კონტი შეაგულიანა, მონასტერში წასულიყო და თვითონვე ენახა თავისი ნახელავი. ადვილი წარმოსადგენია მისი განცვიფრება, როცა წინამძღვარმა უამბო ორი კაცის მკვლელობა, რისი მოწმეც თვითონ გახდა. კონტი კარგად მიხვდა, რომ წინამძღვარ ვირგილიას სრულიად არ შესწევდა უნარი, ცოტა ოდნავ მაინც განემარტა მისთვის, რა მიზეზით მოხდა ორი კაცის მკვლელობა. «აქ მხოლოდ ფელიჩეს, იმ ჭკუის კოლოფს, რომელიც ექვსი თვის წინათ ჩემი პირველად ჩამოსვლის დროს თავისი მსჯელობით ცოტა არ იყოს მაბნევდა, შეუძლია შუქი მოჰფინოს ამ საქმეს, _ გაიფიქრა მან, _ მაგრამ მას იმ ზომამდე აქვს თავი გაჭედილი მონაზვნების მიმართ საზოგადოებისა და მათი მშობლების უსამართლო დამოკიდებულებით, რომ ვეჭვობ, მოისურვოს ჩემთან ლაპარაკი.

დიდი დუკას ნაცვლის მონასტერში მისვლამ ფელიჩეს ენით აუწერელი სიხარული მოჰგვარა. როგორც იქნა, ეღირსა ამ კაცის ნახვა, რომელიც უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ყველა მისი ღონისძიების ერთადერთი მიზეზი იყო! სრულიად საწინააღმდეგო მოქმედება მოახდინა კონტის ჩამოსვლამ ჩელიანასა და მის მეგობარ ახალგაზრდა ფაბიენაზე: ორივეს თავზარი დაეცა.

_ შენმა გაუთავებელმა ყოყმანმა ლამის დაგვღუპოს, _ უთხრა ჩელიანამ ფაბიენას, _ ამ უნიათო წინამძღვარს პირზე არაფერი დაადგება. ახლა ჩვენი სიცოცხლე კონტის ხელშია. ორი გამოსავალი დაგვრჩენია... აქედან გავიქცეთ, მაგრამ რა სახსრებით ვიცხოვრებთ? ჩვენი ძუნწი ძმები ხელზე დაიხვევენ, რომ დანაშაულში ეჭვმიტანილი ვართ და ლუკმა-პურსაც არ მოგვაწვდიან. ძველ დროში, როცა ტოსკანა ესპანეთის პროვინცია იყო და სხვა არაფერი, იმ უბედურ ტოსკანელებს, რომელთაც სდევნიდნენ, საფრანგეთისათვის შეეძლოთ თავის შეფარება; მაგრამ ახლა კარდინალი დიდი დუკა ცდილობს, ამ სახელმწიფოს დაუახლოვდეს და ესპანეთის უღელი გადაიგდოს. თავშესაფარს ვერსაც ვპოვებთ. აი, სადამდე მიგვიყვანა, ჩემო საწყალო მეგობარო, შენმა ბავშვურმა მიამიტობამ. სულ ერთია, ბოროტმოქმედებას გვერდს ვერ ავუვლით, რადგანაც იმ საბედისწერო ღამეს მომხდარი ამბების ერთადერთი საშიში მოწმეები წინამძღვარი და მარტონა არიან. როდელინდას დეიდა ხმას არ ამოიღებს: არ მოისურვებს, სახელი

გაუტეხოს ამ მონასტერს, რომელიც მისთვის ასე ძვირფასია. მარტონა წინამძღვარს ძილის წამალს მისცემს და, რასაკვირველია, ენას კბილს დააჭერს, როცა გამოვუტყდებით, რომ ის ძილის წამალი საწამლავი იყო. ეგეც არ იყოს, ძალიან კარგი ქალიშვილია და თანაც ჯულიანოს სიყვარულით ჭკუასა კარგავს.

ჩვენ რომ აქ ფელიჩესა და კონტის ოსტატური საუბარი გადმოვცეთ, სიტყვა ძალიან გაგვიგრძელდება. ფელიჩეს შესანიშნავად ახსოვდა, რომ შეცდომა ჩაიდინა, როცა მოახლე ქალების საკითხში ადვილად დაუთმო კონტს. ამ სრულიად ზედმეტი გულწრფელობის შედეგად კონტი ნახევარ წელიწადს აღარ გამოჩენილა მონასტერში. ფელიჩემ თავს სიტყვა მისცა, ასეთი შეცდომა აღარ გაემეორებინა. კონტმა დიდი თავაზიანობით სთხოვა ფელიჩეს, მასთან სალაპარაკოდ მისაღებ ტალანში გამოსულიყო. ამ მოწვევის მიღებაზე ფელიჩე სიხარულისაგან ცას ეწია. მან მთელი თავისი ქალური ღირსება მოიკრიბა, რათა შეხვედრა მეორე დღისათვის გადაედო. მაგრამ როცა მისაღებ ტალანში შევიდა, სადაც კონტი მარტო იყო, ფელიჩემ, მიუხედავად იმისა, რომ კონტისაგან მსხვილკადონიანი გისოსი ჰყოფდა, უეცრად ისეთი მოკრძალება იგრძნო, რაც თავის დღეში არ გამოუცდია. ეს ამბავი საშინლად გაუკვირდა და უღრმესმა სინანულმა აიტანა იმის გამო, რომ ასეთი საქციელი ჩაიდინა, თუმცა ერთ დროს ესოდენ ოსტატური და თავშესაქცევი ეჩვენებოდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ ფელიჩე კონტის სიყვარულში გამოუტყდა წინამძღვარს, რათა ეს ამბავი კონტის ყურამდე მისულიყო. მაშინ ფელიჩეს სულაც ასერიგად არ უყვარდა კონტი, როგორც ახლა; მაშინ მხოლოდ გართობა უნდოდა იმით, რომ დაეპყრო გული ამ დიდი კაცისა, ვინც დუკამ მონასტრის საქმეების გასაძღოლად დანიშნა, როგორც თავისი წარმომადგენელი. ახლა ფელიჩეს სულ სხვა გრძნობები ამოძრავებდა. მისი ბედნიერებისათვის აუცილებელი იყო, კონტს ის მოსწონებოდა; თუ ამას ვერ მოახერხებდა, თავს უბედურად ჩათვლიდა. რას იფიქრებდა ეს ღირსშესანიშნავი პიროვნება წინამძღვრის იმ უცნაურ ახალ ამბავზე? ვაითუ კონტმა იგი არასაკადრისად ჩათვალოს, _ ეს აზრი აწვალებდა ფელიჩეს. საჭირო იყო ლაპარაკის დაწყება. კონტი მის წინაშე იჯდა, სერიოზული სახე ჰქონდა და მის ღრმა ჭკუას ხოტბას ასხამდა. უკვე უთხრა თუ არა წინამძღვარმა? ახალგაზრდა მონაზვნის მთელი ყურადღება ამ მნიშვნელოვან საკითხს უტრიალებდა. თავისდა საბედნიეროდ, გადაწყვიტა და სინამდვილეში სწორედ ასე გახლდათ, რომ იმ საბედისწერო ღამეს ორი გვამის დანახვით თავზარდაცემულ წინამძღვარს, ალბათ, მთლად გადაავიწყდა ის უმნიშვნელო წვრილმანი, რაც ახალგაზრდა მონაზვნის სულელური სიყვარული იყო.

კონტი, თავის მხრივ, ხედავდა, რომ ეს მშვენიერი ქალიშვილი საშინლად აფორიაქებული იყო და არ იცოდა, რისთვის მიეწერა ეს ამბავი. «ნუთუ ბრალი მიუძღვის რამეში?» _ ფიქრობდა იგი. ეს აზრი მას, ესოდენ კეთილგონიერ კაცს, ძალიან აღელვებდა. ამ ეჭვმა კონტის ყურადღება ახალგაზრდა მონაზვნის პასუხებისაკენ მიმართა მთელი სიღრმითა და სერიოზულობით. ეს ისეთი პატივი იყო, რაც დიდი ხანია, არც ერთი ქალის სიტყვებისათვის მას არ მიუგია. კონტი აღტაცებაში მოიყვანა ფელიჩეს საზრიანობამ. ქალმა საუბარში მიაგნო ისეთ კილოს, რომელიც კონტისათვის მაამებელი იყო, თუმცა მონასტრის ჭიშკართან მომხდარ საბედისწერო შეტაკებებზე თავს იკავებდა და გადაწყვეტით არაფერს ეუბნებოდა. საათნახევრის საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც კონტს ერთი წუთითაც არ მოუწყენია, ის ახალგაზრდა მონაზონს დაემშვიდობა და სთხოვა, რამდენიმე დღეში კიდევ მიმიღეო სასაუბროდ. ამ სიტყვებმა ფელიჩეს სულს ციური ნეტარება მოჰგვარა.

კონტი დიდად დაფიქრებული გავიდა სანტა რიპარატას სააბატოდან. «უცნაური ამბები, რაც ამ წუთში მოვისმინე, თავისთავად ცხადია, დუკას უნდა მოვახსენო, _ გაიფიქრა მან. _ მთელი ქვეყანა თავს იმტვრევს, რამ იმსხვერპლა ეს ორი უბედური, ესოდენ ბრწყინვალე და მდიდარი ყმაწვილი კაციო. მეორე მხრივ კი, ამ სასტიკი ეპისკოპოსის ხელში, რომელიც ამას წინათ ჩვენმა დუკა-კარდინალმა დაგვინიშნა, ერთი სიტყვაც რომ ვუთხრა მომხდარ ამბავზე, ეს იმას ნიშნავს, რომ იმ უბედურ მონასტერს ესპანური ინკვიზიციის მთელი საშინელება დავატეხო თავს. ჩვენი მრისხანე ეპისკოპოსი ერთს კი არა, ხუთ-ექვს საცოდავ ქალიშვილს დაღუპავს, და ვინ იქნება მათ სიკვდილში დამნაშავე, თუ არა მე, მაშინ როცა საკმარისია ცოტაოდენ ბოროტად გამოვიყენო დუკას ნდობა, რომ ყველაფერი მშვიდობით მოგვარდეს. თუ დუკას ყველაფერი გაგებული აქვს, რაც მოხდა და მისაყვედურებს, ვეტყვი: «თქვენი მრისხანე ეპისკოპოსის შიშმა დამადუმა-მეთქი».

კონტი ვერ ბედავდა თავის თავს გამოტყდომოდა, რა მიზეზითაც უნდოდა გაჩუმება. ის დარწმუნებული არ იყო, მშვენიერ ფელიჩეს არ მიუძღვის ბრალიო, და მთელი მისი არსება შიშის ზარს მოეცვა იმის გაფიქრებაზე, რომ საფრთხეში ჩააგდებდა საწყალ ქალიშვილს, რომელსაც მშობლები და საზოგადოება ესოდენ ულმობლად მოექცნენ. «ეს ქალიშვილი მთელი ფლორენციის მშვენება იქნებოდა, მშობლებს რომ გაეთხოვებინათ», _ ფიქრობდა კონტი.

ამაზე ცოტა ხნით ადრე კონტმა საუცხოო ნადირობა მოაწყო სიენას ჭაობნარში, რომლის ნახევარიც მისი კუთვნილება იყო, და უწარჩინებულესი კარის დიდებულები და ფლორენციის უმდიდრესი ვაჭრები მიიწვია. მან ბოდიში მოიხადა, რომ ნადირობას თვითონ ვერ დაესწრებოდა. ფელიჩე ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა პირველი საუბრის მეორე დღესვე მონასტრის წინა ეზოში კონტის ცხენების მოუთმენელი ფლოქვების ცემა შემოესმა. დიდი დუკას ნაცვალმა გადაწყვიტა, მისთვის არაფერი გაემხილა, მაგრამ იგრძნო, რომ თავის თავზე დიდი ვალდებულება აიღო: მონასტრისთვის მეთვალყურეობა გაეწია, რათა მომავალში სიმშვიდე არ დარღვეულიყო; ხოლო საამისოდ საჭირო იყო ჯერ ის გაერკვია, რა მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ორ მონაზონ ქალს თავიანთი შეყვარებულების დაღუპვაში. წინამძღვართან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ კონტმა რვა თუ ათი მონაზონი, მათ შორის ფაბიენაც და ჩელიანაც, მოიწვია სალაპარაკოდ. მას საშინლად გაუკვირდა, როცა წინამძღვრის ნათქვამი გამართლდა და დარწმუნდა, რომ რვა მონაზონს არაფერი ჰქონდა გაგონილი იმ საბედისწერო ღამეს მომხდარი ამბის შესახებ. კონტი პირდაპირ შეკითხვებს მხოლოდ ჩელიანას და ფაბიენას აძლევდა, მაგრამ ისინი ყველაფერს უარყოფდნენ: ჩელიანას დიდი სულიერი სიმტკიცით ეჭირა თავი, რაც ადამიანს ყველა უბედურებაზე მაღლა აყენებს, ხოლო ახალგაზრდა ფაბიენა ისე იქცეოდა, როგორც სასოწარკვეთილი უბედური ქალიშვილი, რომელსაც შეუბრალებლად ახსენებენ ყველა მისი მწუხარების მიზეზებს. ქალი საშინლად გამხდარიყო და ეტყობოდა, ჭლექი ეწყებოდა. საცოდავი ვერ ურიგდებოდა თავისი შეყვარებულის, პიერ-ანტონიოს დაღუპვას.

_ მე მოვკალი მე, _ ეუბნებოდა ჩელიანას, როცა განმარტოებით დიდხანს შეჰყვებოდნენ ხოლმე ლაპარაკს. _ მხედველობაში უნდა მიმეღო, როგორ შევლახე მისი წინამორბედის, მრისხანე დონ ჩეზარეს პატივმოყვარეობა, როცა მას განვშორდი.

ფელიჩე, შევიდა თუ არა მისაღებ ტალანში, მიხვდა, წინამძღვარს თავი ვერ შეეკავებინა და დიდი დუკას ნაცვლისათვის გაემჟღავნებინა, რომ ფელიჩეს მასზე გული შევარდნოდა. ამის გამო კეთილგონიერი ბუონდელმონტე ახლა სულ სხვანაირად იქცეოდა. ამან თავდაპირველად ძალიან დააბნია ფელიჩე - ის ერთთავად წითლდებოდა. კონტთან ხანგრძლივი საუბრის დროს ფელიჩე თავისდაშეუმჩნევლად მომხიბლავად იქცეოდა, მაგრამ არაფერში გამოტყდა. წინამძღვარმა სრულიად არაფერი იცოდა გარდა იმისა, რაც თავისი თვალით ნახა, ხოლო ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ხეირიანად ვერაფერი დაენახა. არც ჩელიანა და ფაბიენა ტყდებოდნენ. კონტმა თავგზა დაკარგა. «თუ

კეთილშობილი პირისფაშების და მოახლე ქალების დაკითხვაზე გადავედი, ეს იგივე იქნება, რომ ეპისკოპოსი ჩავრიოთ ამ საქმეში. ისინი თავიანთ მოძღვარს ყველაფერს დაუფქვავენ აღსარებაზე და მონასტერს ინკვიზიცია დაატყდება თავს».

მეტად შეწუხებული კონტი ყოველდღე მოდიოდა სანტა რიპარატაში. მან გადაწყვიტა, დაეკითხა ყველა მონაზონი, შემდეგ ყველა კეთილშობილი პირისფარეში, ბოლოს, ყველა მოსამსახურე. კონტმა სრულიად მოულოდნელად გახსნა სამი წლის წინათ აქ მომხდარი ბავშვის მკვლელობის საქმე, რომლის შესახებ პატაკი მას ერთ-ერთმა სასულიერო სასამართლო პროცესის წევრმა გადასცა, როცა ეს პროცესი ეპისკოპოსის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მაგრამ ის დიდად იყო გაკვირვებული, რომ სააბატოს ბაღში შესული ორი სასიკვდილოდ დაჭრილი ყმაწვილი კაცის ამბავი სრულიად არავინ იცოდა, გარდა წინამძღვრისა, ჩელიანასი, ფაბიენასი, ფელიჩესა და მისი მეგობრის, როდელინდასი. როდელინდას დეიდა ისეთნაირად შენიღბულ პასუხებს იძლეოდა, რომ ეჭვმიუტანელი დარჩა. ისეთ დიდ შიშს იწვევდა ახალი ეპისკოპოსი - მონსინიორი***, რომ წინამძღვრისა და ფელიჩეს გარდა ყველა სხვა მონაზონი ჩვენებებში მართალსა და ტყუილს ერთმანეთში ურევდნენ ყოველთვის ერთი და იმავე გამოთქმებით. კონტი ყოველ თავის სტუმრობას მონასტერში ფელიჩესთან გრძელი საუბრით ამთავრებდა, რაც ქალისთვის ბედნიერება იყო. საუბრები რომ უფრო გაგრძელებულიყო, ქალი ახალ წვრილმან ცნობას აწვდიდა ყოველდღე კონტს ორი რაინდის დაღუპვის შესახებ. იმ საკითხებში კი, რომლებიც პირადად მას ეხებოდა, პირიქით, დიდ გულწრფელობას იჩენდა. გამოუტყდა, სამი საყვარელი მყავდაო. ბოლოს, ისე გაუშინაურდა, რომ მთელი თავისი სამიჯნურო საქმეები გადმოულაგა. ესოდენ ლამაზი და ჭკვიანი ქალის გულახდილობამ კონტი დააინტერესა და მან არ დააყოვნა ამაზე უდიდესი სულიერი სიფაქიზით ეპასუხა.

_ არ შემიძლია, თქვენი ნაამბობის სანაცვლოდ ასეთივე საინტერესო რამ მოგითხროთ, _ ეუბნებოდა ფელიჩეს კონტი. _ არ ვიცი, როგორ გაგიბედოთ და, დღემდე ყველა წარმომადგენელი თქვენი სქესისა, რომელიც კი საზოგადოებაში შემხვედრია, მათი ხასიათის მიმართ სიძულვილის გრძნობას უფრო მიღვიძებდნენ, ვიდრე მათი სილამაზისადმი აღტაცებას.

კონტის ხშირმა სიარულმა მონასტერში ჩელიანას სიმშვიდე დაუკარგა. თავის მწუხარებაში სულ უფრო და უფრო ღრმად ჩაფლული ფაბიენა თანდათან ნაკლებ წინააღმდეგობას უწევდა თავისი დობილის რჩევებს. როცა მონასტრის კარში მისი

დარაჯობის რიგი დადგა, კარი გააღო, თავი მიიბრუნა და წინამძღვრის მესაიდუმლე ქალის - მარტონას მიჯნური, ფეიქარი ჯულიანო მონასტერში შეუშვა. ვაჟმა იქ მთელი ერთი კვირა გაატარა, სანამ ფაბიენამ თავისი მორიგეობის დღეს მას ისევ კარი გაუღო. ამდენ ხანს შეყვარებულის სენაკში გამოკეტილი ჯულიანო, ეტყობა, ჩიოდა და მისი წუწუნით გულაჩუყებულმა მარტონამაც უთუოდ მაშინ შეაპარა ძილის წამალი წინამძღვარს, რომელიც არც დღისით და არც ღამით გვერდიდან არ იცილებდა.

ერთ საღამოს, ერთ ახალგაზრდა და მეტად ღვთისმოსავ მონაზონს, ჯულიას, როცა საერთო საძინებელი ოთახისაკენ მიდიოდა, მარტონას ოთახიდან ლაპარაკი შემოესმა. ფეხაკრეფით კარს მიუახლოვდა, გასაღების ჭუჭრუტანაში შეიხედა და ლამაზ-ლამაზი ყმაწვილი კაცი დაინახა, რომელიც სუფრას უჯდა, ვახშმობდა და იცინოდა. ჯულიამ კარზე დააკაკუნა, მაგრამ მაშინვე შეეშინდა, რომ მარტონას შეეძლო კარი გაეღო, შიგ შეეშვა, ახალგაზრდა კაცთან ერთად გამოეკეტა და ჯულია წინამძღვართან დაებეზღებინა; ისიც, რასაკვირველია, მარტონას დაუჯერებდა, რადგანაც მარტონა ერთი წუთითაც არ სცილდებოდა წინამძღვარს. ჯულია საშინლად აღელდა. მან უეცრად წარმოიდგინა, რომ მარტონა, რომელიც ბევრად მასზე ღონიერი იყო, უკან დაედევნა ამ გამოყრუებულ და ბნელ დერეფანში, სადაც ჯერ ლამპები არ აენთოთ. შეშინებული მონაზონი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა, მაგრამ გაიგონა, რომ მარტონამ კარი გააღო. მან გაიფიქრა, ალბათ, მიცნოო, წინამძღვართან მივიდა და ყველაფერი უამბო. საშინლად აღშფოთებული წინამძღვარი მარტონასთან გამოიქცა, მაგრამ ჯულიანო იქ აღარ დახვდა, რადგანაც მას ბაღისთვის შეეფარებინა თავი. იმ ღამეს, როცა წინამძღვარმა თვით მარტონას კეთილი სახელისათვის საჭიროდ ჩათვალა თავის ოთახში დაეწვინა ქალი და განუცხადა, ხვალ დილით მონასტრის მოძღვრის თანხლებით თვითონვე წავალ და შენი სენაკის კარს ბეჭედს დავადებ, სადაც, როგორც ბოროტი ენები ლაპარაკობენ, მამაკაცი არის დამალულიო, გაღიზიანებულმა მარტონამ, წინამძღვარს ვახშმად შოკოლადს რომ უმზადებდა, შიგ როგორც დაავალეს, უზომო ძილის წამალი გაურია.

მეორე დღეს წინამძღვარმა ვირგილიამ უცნაური და ძლიერი ნერვული შეტევა იგრძნო. როცა სარკეში ჩაიხედა, დაინახა, სახიდან იყო შეშლილი და გადაწყვიტა, ვკვდებიო. პერუჯიის საწამლავის თავდაპირველი მოქმედება ისეთია, რომ მიღებისთანავე ადამიანს ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ჭკუიდან იშლება. ვირგილიამ გაიხსენა, რომ კეთილშობილი მონასტრის სანტა რიპარატას წინამძღვრების ერთ-ერთი უპირატესობა იყო სიკვდილის წინ თვით მონსინიორ ეპისკოპოსისაგან მიეღოთ ზიარება. პრელატს მისწერა

და ისიც მაშინვე მონასტერში მოვიდა. წინამძღვარმა თავისი ავადმყოფობაც მოახსენა და ორი ყმაწვილი კაცის მკვლელობის ამბავიც უამბო. ეპისკოპოსმა სასტიკად დატუქსა, რატომ დროზე არ შემატყობინე ესოდენ უჩვეულო დანაშაულებრივი შემთხვევაო. წინამძღვარმა მიუგო, დუკას ნაცვალმა კონტ ბუონდელმონტემ გადაჭრით მირჩია, ეს საქმე საქვეყნოდ არ გამეტანაო.

_ როგორ ბედავს ის ერისკაცი თქვენს პირდაპირ ვალდებულებას საქვეყნოდ გატანა დაარქვას.

როცა ჩელიანამ გაიგო, მონასტერში ეპისკოპოსი მოვიდაო, ფაბიენას უთხრა:

_ დავიღუპეთ. ეს ფანატიკოსი პრელატი, რომელსაც განზრახული აქვს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავისი ეპარქიის მონასტრებში ოცდაათის კრების წესები შემოიღოს, კონტ ბუონდელმონტეს მსგავსად ლოლიაობას არ დაგვიწყებს.

ფაბიენა ჩელიანას ტირილით მკლავებში ჩაუვარდა.

_ სიკვდილი სულაც არ მაშინებს, მაგრამ სიკვდილისას ორმაგად ვიქნები სასოწარკვეთილი, რადგანაც შენი დაღუპვის მიზეზიც გავხდი, თანაც ამით საცოდავი წინამძღვრის სიცოცხლეს ვერ გადავარჩენ.

ფაბიენა იმწუთშივე იმ მონაზვნის სენაკში წავიდა, რომელიც იმ საღამოს კარში უნდა მდგარიყო დარაჯად. მან დაწვრილებითი ახსნა-განმარტების გარეშე უთხრა, რომ საქმე ეხებოდა მარტონას ღირსებისა და სიცოცხლის გადარჩენას, რომელიც შეცდა და თავის სენაკში მამაკაცი მიიღო. ბოლოს, გაუთავებელი ხვეწნის შემდეგ მონაზონი დათანხმდა საღამოს თერთმეტი საათის შემდეგ კარი ღია დაეტოვებინა და ცოტა ხნით მოსცილებოდა მას.

ამასობაში ჩელიანამ მარტონას შეუთვალა, ქანდარაზე მოსულიყო. ეს იყო დიდი შენობა, ერთგვარი მეორე ეკლესია, და ხალხისთვის განკუთვნილი დარბაზიდან მესერი ჰყოფდა. ქანდარის სოფიტი იატაკიდან ორმოც ფუტზე იყო ამაღლებული. მარტონამ შუა ქანდარაზე მუხლებზე დაიჩოქა, რომ მისი დაბალი ხმით ლაპარაკი არავის გაეგონა. ჩელიანამ მის გვერდით დაიჩოქა.

_ აი, ქისა... _ უთხრა მარტონას. _ რაც კი მე და ფაბიენას გაგვაჩნდა, სულ აქ არის. დღეს ან ხვალ საღამოს ისე მოვაწყობ, რომ მონასტრის ჭიშკარი ცოტა ხნით ღია დარჩეს. ჯულიანოს უთხარი, გაიქცეს და ცოტა ხნის შემდეგ შენც თავს უშველე. დარწმუნებული იყავი, რომ წინამძღვარმა ვირგილიამ ყველაფერი უამბო მრისხანე ეპისკოპოსს, ვისი სამსჯავროც, ეჭვს გარეშეა, ან თხუთმეტი წლის პატიმრობას მოგისჯის ან სიკვდილს.

მარტონამ მოინდომა ფეხებში ჩავადნოდა ჩელიანას.

_ რას სჩადიხარ, უგუნურო! _ შეჰყვირა ჩელიანამ და მოასწრო დროზე შეეჩერებინა მარტონა. _ რატომ არ გეშინია, ჯულიანო და შენ ყოველ წუთში შეიძლება დაგიჭირონ. ვიდრე აქედან გაიქცეოდე, გულდასმით ეცადე, თვალით არავის დაენახო, მეტადრე იმათ მიაქციე ყურადღება, ვინც წინამძღვრის მისაღებ ოთახში შედის.

როცა მეორე დღეს კონტი ბუონდელმონტე მოვიდა, იქ მას დიდი ცვლილებები დახვდა. წინამძღვრის მესაიდუმლე მარტონა ღამით სადღაც გამქრალიყო. წინამძღვარი ისე დასუსტდა, რომ კონტის მიღების წინ იძულებული გახდა განკარგულება გაეცა მისაღებ ტალანში სავარძლით გაეყვანათ. ის კონტს გამოუტყდა, ყველაფერი ეპისკოპოსს ვუამბეო.

_ მაშასადამე, სისხლიც დაიღვრება და საწამლავთანაც გვექნება საქმე! _ შესძახა კონტმა...

(აქ სტენდალის ხელნაწერი წყდება).*

*1830 წლის 15 აპრილს სტენდალმა მოულოდნელად შეწყვიტა ეს ამბავი და არშიაზე შენიშვნა დაურთო, უფრო გვიან დავამთავრებ იტალიური ხელნაწერის მიხედვითო. იქვე მოყვანილია რანდენიმე სტრიქონი, რის მიხედვითაც ნაწილობრივ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ დაასრულებდა ავტორი ამ მოთხრობას.

კონტ ბუონდელმონტეს ფელიჩეს გადარჩენა სურს, მაგრამ ფელიჩე უარზეა, რადგანაც არ უნდა, როდელინდა მარტო დატოვოს განსაცდელში. ამისათვის კონტი მას კიდევ უფრო მეტად აფასებს. მაგრამ როდელინდა ჭლექით კვდება და ფელიჩე მონასტრიდან გარბის. კონტი მას ბოლონიაში დაასახლებს, და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ტოსკანიდან ხშირად მიდის მასთან სტუმრად.

თუ რა ბედი ეწიათ დანარჩენ მონაზვნებს, ამის შესახებ შეგვიძლია ძალიან მოკლედ მოვიყვანოთ 1829 წელს პარიზში გამოცემული «ბაიაროს მონასტერი, XVI საუკუნის ქრონიკა», საიდანაც სტენდალმა უმეტესწილად ამოიღო ეს კარგა მოზრდილი ამბავი და გვიამბო მოთხრობაში: «მეტისმეტი კეთილგანწყობილება დამღუპველია». გაგრძელება რომ გასაგები იყოს, მონაზვნებს იმ სახელებით მოვიხსენიებთ, რომლებიც სტენდალმა მისცა, და არა იმით, რომლებიც ხსენებულ გამოცემაში გვხვდება.

ნეაპოლის ქორეპისკოპოსმა საიდუმლოდ და დიდი სიმკაცრით წარმართა მონაზონთა პროცესი. ჩელიანას და ფაბიენას მოწამვლით სიკვდილი მიესაჯათ, დანარჩენ მონაზვნებს, დანაშაულის მიხედვით, ზოგს ათი წლის, ზოგს – სამუდამო პატიმრობა.

განაჩენის გამოცხადებისას შემზარავი ყვირილი ატყდა. ერთ-ერთი მონაზონი ფანჯარას ეცა და ბაღში გადავარდა, მეორემ ხანჯალი ჩაიცა მკერდში.

ჩელიანას აღუშფოთებელი ზიზღი ეხატება სახეზე. მან სულმოუთქმელად გადაჰკრა შხამი და იგივეს ურჩევს ფაბიენასაც, რომელიც კვნესის და ოხრავს. მერე ისიც გადაჰკრავს საწამლავს. შედეგი არ იგვიანებს.

ორივე ქალიშვილი იატაკზე გორავს კონვულსიურად. მკაფიოდ ჩანს მონაზვნის სამოსლით დაფარული მათი სხეულების სილამაზე. ჩელიანას საუცხოო შავი თმა გაშიშვლებულ ყელსა და მხრებზე ჩამოეშლება. დამსწრენი ვერ უძლებენ დიდხანს ამ სანახაობას და მეზობელ დარბაზში გადიან. «შესაძლებელია, ესოდენ უდრეკ სულს არასოდეს დაუსადგურებია ესოდენ მშვენიერ სხეულში; როგორ დასანანია! რა თვალები აქვს, რა თმა!» - ამბობს ქორეპისკოპოსი.

მაგრამ რაკი სიკვდილი სწრაფად არ მოდის, ჩელიანა ძალას მოიკრებს, წამოდგება, მაგიდაზე სამხილ ნივთთა შორის პატარა ხანჯალს იპოვის და გულში ჩაიცემს.

ვიტორია აკორამბონი

დიუშეს დი ბრაჩანო

როგორც ჩემი, ისე მკითხველის საუბედუროდ, ეს სრულიადაც არ არის რომანი, არამედ ზუსტი თარგმანია ნამდვილ ამბავზე აგებული მოთხრობისა, რომელიც 1585 წლის დეკემბერს დაიწერა პადუაში.

რამდენიმე წლის წინათ, მანტუაში ყოფნის დროს, ვეძებდი ესკიზებსა და მომცრო ზომის სურათებს, რომლებიც ჩემი სახსრების პატრონი კაცისათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა. განსაკუთრებით მინდოდა შემეძინა იმ მხატვართა ნაწარმოებები, რომლებიც 1600 წლამდე მოღვაწეობდნენ, რადგანაც ამ დროისათვის სამუდამოდ ჩაკვდა თვითმყოფადობა იტალიური გენიისა, ჯერ კიდევ 1530 წელს დიდად რომ შეირყა ფლორენციის დაცემისას.

ერთმა საკმაოდ მდიდარმა და ფრიად ხელმოჭერილმა მოხუცმა პატრიციუსმა სურათების მაგივრად შემომთავაზა, მისგან მეყიდა მეტად ძვირად ღირებული, ძველ ჟამთა სვლისაგან ჩაყვითლებული ხელნაწერები. ვთხოვე, ნება მოეცა, მათთვის თვალი გადამევლო. დამეთანხმა და თან დასძინა, თქვენი კეთილსინდისიერების იმედი მაქვს, და უთუოდ დაივიწყებთ თქვენს მიერ წაკითხულ თავშესაქცევ ამბებს იმ შემთხვევაში, თუ ხელნაწერებს არ შეისყიდითო.

ეს პირობა ჭკუაში დამიჯდა. სულ თვალები დავითხარე და მოკლე ხანში გადავიკითხე სამასი თუ ოთხასი რვეული, სადაც ორი-სამი საუკუნის წინათ უწესრიგოდ შეეკრიბათ ტრაგიკულ შემთხვევათა აღწერანი, დუელში გამოსაწვევი წერილები,

ხელშეკრულებანი ზავის დადებაზე მეზობელ დიდებულთა შორის, მოსაზრებები ნაირნაირ თემებზე და სხვა მრავალი. მოხუცმა მფლობელმა ხელნაწერებში დიდძალი ფული მოითხოვა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ საკმაოდ ძვირად მოვიპოვე უფლება, გადმომეწერა ზოგიერთი ამბავი, რომელიც ყველაზე მეტად მომეწონა და 1500-იანი წლების იტალიელთა ზნე-ჩვეულებებს ასახავდა. ამჟამად ჩემს ხელთაა ასეთი მოთხრობების ოცდაორი in folio რვეული, და თუ მკითხველი მოთმინებით აღიჭურვება, აქ სწორედ ერთ-ერთი ამ მოთხრობის ზუსტ თარგმანს წაიკითხავს. მე ვიცნობ XVI საუკუნის იტალიის ისტორიას და ეჭვი არ მეპარება, რომ ქვემოთ მოთხრობილი ამბავი სრული ჭეშმარიტებაა. პატარა შრომა როდი დამჭირდა, ისე გადმომეცა ძველებური საზეიმო, უშუალო, მეტისმეტად ბუნდოვანი იტალიური სტილი, ნართაულად რომ ლაპარაკობს იმ მოვლენებსა და იდეებზე, რითაც სიქსტე V-ის პაპობის დროინდელი (1585 წ.) საზოგადოება იყო გართული, რომ მას არავითარი კვალი არ დასჩენოდა ცრურწმენებს ასერიგად მოკლებული ჩვენი საუკუნის ახალი ლიტერატურის და იდეების გავლენისა.

ხელნაწერთა უცნობი ავტორი ფრთხილი კაცია: ის არასოდეს მსჯელობს მოვლენაზე, არასოდეს ალამაზებს მას. მარტო იმასა ცდილობს, უტყუარად მოგვითხროს ამბავი, და თუ ხანდახან თავისდა უნებურად მეტისმეტ მჭევრმეტყველებას იჩენს, ეს იმიტომ მოსდის, რომ 1585 წელს პატივმოყვარეობა აფექტაციის შარავანდით არ მოსავდა ყველა ადამიანურ საქციელს. იმ დროში ადამიანები ფიქრობდნენ, რომ მეზობელზე ზემოქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საკუთარ აზრებს რაც შეიძლება მკაფიოდ გამოთქვამ. 1585 წელს კარის მასხარათა და პოეტთა გარდა არავინ ფიქრობდა, საზოგადოება მეტყველების ხელოვნებით მოეხიბლა. ამ დროს ჯერ ვერ გაიგონებდით შეძახილს: «მოვკვდები თქვენი უმაღლესობის ფეხთქვეშ», როს გასაქცევად გამზადებულნი ფოსტის ცხენებსღა ელოდნენ. ამგვარი ღალატი არ სჩვეოდათ ჯერ. საერთოდ, ცოტას ლაპარაკობდნენ და ყოველი კაცი მისთვის თქმულ სიტყვას უკიდურესი ყურადღებით ეკიდებოდა.

ამგვარად, მოწყალეო მკითხველო, ნურც იფიქრებთ, რომ აქ იპოვით მძაფრ, ცოცხალ სტილს, რომელიც მოდურ აზრებსა და გრძნობებზე მარჯვედ გადაუკრავს ხოლმე სიტყვას... ნურც იმ წარმტაც განცდებს ელით, ჟორჟ სანდის რომანებში რომ გვხვდება. ეს დიდი მწერალი ვიტორია აკორამბონის ბედუკუღმართი ცხოვრებიდან ჭეშმარიტ შედევრს შექმნიდა. ჩემს მიერ შემოთავაზებულ ნამდვილ მოთხრობას შეიძლება უფრო მოკრძალებული უპირატესობა ჰქონდეს, უპირატესობა ისტორიულობისა. თუ ოდესმე

საღამოჟამს თქვენს საფოსტო ეტლში მარტო მჯდომი ჩაუფიქრდებით ადამიანის გულის შეცნობის უდიდეს ხელოვნებას, მაშინ თქვენი მსჯელობის საფუძვლად შეგიძლიათ ქვემომოყვანილი მოთხრობის გარემოებანი აიღოთ. ავტორი ყველაფერზე მოგვითხრობს, ყველაფერს გვიხსნის, არავითარ სამუშაოს არ უტოვებს ადამიანის ფანტაზიას. მან ეს მოთხრობა გმირი ქალის სიკვდილიდან თორმეტი დღის შემდეგ დაწერა.

ვიტორია აკორამბონი დაიბადა ფრიად წარჩინებულ ოჯახში, ურბინოს საჰერცოგოს პატარა ქალაქ აგუბიოში. ბავშვობიდანვე ყველას ყურადღებას იპყრობდა თავისი განსაკუთრებული, იშვიათი სილამაზით, მაგრამ მარტო სილამაზე როდი შეადგენდა მის უმთავრეს მომხიბლაობას. ვიტორია დაჯილდოებული იყო ყოველგვარი სიკეთით, რაც კეთილშობილი წარმოშობის ქალიშვილში აღტაცებას იწვევს. და მაინც, მის უამრავ არაჩვეულებრივ ღირსებათაგან არაფერი იყო ისეთი ღირსშესანიშნავი, შეიძლება ითქვას, ისე მომაჯადოებელი, როგორც მისი დიდად თავისებური მშვენიერება, პირველი შეხედვისთანავე რომ იპყრობს ყოველი მნახველის გულსა და ნებისყოფას. ვიტორიას სიწრფელეში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგანაც მისი მიამიტობა აუწერელ დამაჯერებლობას სძენდა ყოველ მის სიტყვას. ესოდენ არაჩვეულებრივი სილამაზით დაჯილდოებული ვიტორია თავიდანვე ნდობას იწვევდა მნახველში. თუ რომ მარტო თვალით დაგენახათ, ეგების გულგრილი დარჩენილიყავით მისი ჯადოსნური მომხიბლაობისადმი, მაგრამ საკმარისი იყო, მისი ნაუბარი მოგესმინათ და მაშინვე ამ საოცარი მშვენიერების ტყვეობაში მოექცეოდით.

მრავალი წარჩინებული რაინდი თხოულობდა ვიტორიას ხელს ქალაქ რომში, სადაც წმ. პეტრეს ტაძრის ახლოს რუსტიკუჩის მოედანზე ვიტორიას მამა ცხოვრობდა პალაცოში. მრავალი შეხლა-შემოხლა გამოუწვევია ეჭვიანობასა და მოქიშპეობას, მაგრამ ბოლოს ქალის მშობლებმა უპირატესობა მიანიჭეს ფელიჩე პერეტის, კარდინალ მონტალტოს დისშვილს. ეს კარდინალი შემდგომში პაპი სიქსტე V გახდა და დღესაც სვეკეთილად მართავს ქვეყანას.

კარდინალის დის - კამილა პერეტის ვაჟიშვილი ფელიჩე უწინ ფრანჩესკო მინიუჩად იწოდებოდა. ფელიჩე პერეტი მას შემდეგ დაირქვა, რაც ბიძამისმა დიდის ამბით იშვილა.

პერეტის სახლში შესულმა ვიტორიამ თავისდა შეუგნებლად იქაც პატივისცემა აღუძრა ყველას თავისი ღირსებებით, რომელნიც მისთვის საბედისწერონი იყვნენ და მას ყველგან პირველ ადგილზე აყენებდნენ, სადაც კი გამოჩნდებოდა. ერთი სიტყვით,

როგორც კი ამ ქალს თვალს მოჰკრავდით, მაშინვე მისი თაყვანისმცემელი ხდებოდით.* [*რამდენადაც მახსოვს, მილანოში ამბროზიანულ ბიბლიოთეკაში დაცულია ვიტორია აკორამბონის მიერ შეთხზული ფრიად კაზმული, გრძნობით აღსავსე სონეტები და სხვა ლექსები. შემდგომში მის არაჩვეულებრივ ხვედრზე მრავალი კარგი სონეტი დაიწერა. როგორც ჩანს, მისი ჭკუა სავსებით უთანაბრდებოდა მის სანდომიანობასა და სილამაზეს]. ჭეშმარიტად სიგიჟემდე მიდიოდა მისდამი ქმრის სიყვარული. ვიტორიას დედამთილი კამილა და თვითონ კარდინალი მონტალტოც მხოლოდ იმაზე ზრუნავდნენ, რომ ამ ქალის სურვილები გამოეცნოთ და დაუყოვნებლივ დაეკმაყოფილებინათ. მთელი რომი განცვიფრებული იყო, როცა ხედავდა, თუ როგორი უცვლელი სიამოვნებით ასრულებდა ვიტორიას ყოველგვარ გულისწადილს ეს მარტივი ყოფის მოყვარული კარდინალი, ყოველგვარი ფუფუნებისადმი ზიზღით რომ იყო ცნობილი. ახალგაზრდა, თვალისმომჭრელად ლამაზი, საყოველთაო თაყვანისცემით გარემოცული ვიტორია ზოგჯერ ფრიად ძვირადღირებული ხუსტურების ნებას აძლევდა თავის თავს.

ის თავისი ახალი ნათესავებისაგან საჩუქრად იღებდა საუკეთესო სამკაულებს და უძვირფასეს თვალ-მარგალიტს, ერთი სიტყვით, ყველაზე იშვიათ ძვირფასეულობას, რაც კი იმდროინდელი რომის საკმაოდ მდიდარ მაღაზიებში გამოჩნდებოდა ხოლმე.

თავისი მკაცრი წესებით ესოდენ ცნობილი კარდინალი მონტალტო მშვენიერი რძლის სიყვარულით ვიტორიას ძმებსაც ისე ეპყრობოდა, თითქოს ისინი მისი ღვიძლი დისშვილები ყოფილიყვნენ. როგორც კი ოტავიო აკორამბონი ოცდაათი წლისა შესრულდა, კარდინალ მონტალტოს შუამდგომლობით ურბინოს დუკამ ფოსომბრონის ეპისკოპოსად დაადგინა, ხოლო პაპმა გრიგოლ XIII-მ ხარისხი უმალვე დაუმტკიცა. მარჩელო აკორამბონიმ, უზომოდ თავაწყვეტილმა ყმაწვილმა, რომელსაც რამდენიმე დანაშაული ედებოდა ბრალად, დიდის ვაი-ვაგლახით დააღწია თავი corte-ს* [*ასე ეწოდებოდა შეიარაღებულ რაზმს, რომელიც ვალდებული იყო, თვალყური ედევნებინა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის. 1580 წელს ესენი იყვნენ ჟანდარმები და პოლიციის აგენტები. მათ მეთაურს ერქვა ბარჯელო, რომელიც პირადად აგებდა პასუხს მონსინიორ რომის გუბერნატორის (პოლიციის პრეფექტის) ბრძანებათა შესრულებაზე] დევნას, რაც შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. კარდინალმა მასაც თავისი კალთა გადააფარა და მარჩელომაც შეძლო სიმშვიდე მოეპოვებინა.

ვიტორიას მესამე ძმა ჯულიო აკორამბონის კარდინალმა ალესანდრო სფორცამ თავისი კარის უმაღლესი თანამდებობა უბოძა, როგორც კი კარდინალმა მონტალტომ სიტყვა შეაწია.

ერთი სიტყვით, ადამიანებმა რომ თავიანთი ბედნიერების გაზომვა უზომოდ გაუმაძღარი საკუთარი სურვილებით კი არ იცოდნენ, არამედ იმ კეთილდღეობით, რასაც სინამდვილეში ფლობენ, მაშინ ვიტორიას ქორწინება კარდინალ მონტალტოს დისწულთან აკორამბონის ოჯახს ადამიანური ბედნიერების მწვერვალად უნდა ჩაეთვალა. მაგრამ გონივრულობას მოკლებულმა, საზღვარს გადაცილებულმა და ნაკლებად საიმედო უპირატესობათა წყურვილმა ბედ-იღბლის უდიდესი წყალობით აღვსილ ადამიანებს შეიძლება უცნაური და სახიფათო აზრები ჩააგონოს.

ეჭვს გარეშეა, თუ უფრო მაღალი მდგომარეობის მიღწევის წყურვილით ამოძრავებულმა ვიტორიას რომელიმე ნათესავმა კიდევაც შეუწყო ხელი, რომ ამ ქალისათვის ქმარი ჩამოეშორებინათ, _ როგორც ბევრი ეჭვობდა რომში, _ მას მალე შესაძლებლობა მიეცა დარწმუნებულიყო, თუ რაოდენ უფრო გონივრული იქნებოდა, შედარებით დაბალი მდგომარეობის სიკეთეს დასჯერებოდა, ვინაიდან ახლო მომავალში უსათუოდ მიაღწევდა ყოველივეს, რასაც კი მისი პატივმოყვარეობა ინატრებდა.

და აი, ვიტორია დედოფალივით ცხოვრობდა თავის სახლში. ერთ საღამოს, ცოტა ხანსაც არ გაევლო, რაც ფელიჩე პერეტი და მისი ცოლი ლოგინში ჩაწვნენ, რომ ერთმა ქალმა, სახელად კატარინამ, ბოლონიის მკვიდრმა და ვიტორიას პირისფარეშმა, ფელიჩეს წერილი გადასცა. ეს წერილი მოეტანა კატარინას ძმას, დომენიკო დ'აკვავივას, მეტსახელად მანჩინოს (ცაციას). ამ კაცს რამდენიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და რომიდან იყო გაძევებული, მაგრამ ფელიჩემ მას კატარინას თხოვნით კარდინალი ბიძის მფარველობა მოუპოვა და ახლა მანჩინო ხშირად დადიოდა ფელიჩესთან, როგორც სავსებით ენდობოდა მას.

ზემოხსენებული წერილი მარჩელო აკორამბონის ხელმოწერილი იყო, - ვიტორიას სწორედ იმ ძმისა, რომელიც მის ქმარს განსაკუთრებით უყვარდა. მარჩელო უფრო ხშირად რომს გარეთ იმალებოდა, მაგრამ ხანდახან მაინც ბედავდა ქალაქში შემოსვლას და ასეთ შემთხვევებში თავშესაფარს ფელიჩეს სახლში ჰპოვებდა.

ესოდენ უდროო დროს გამოგზავნილ წერილში მარჩელო თავის სიძეს, ფელიჩე პერეტის მიმართავდა და ემუდარებოდა, დაუყოვნებლივ დამეხმარეო, თან დასძენდა, მონტეკავალოს პალაცოსთან გიცდი, ერთ მეტად სასწრაფო საქმეზე უნდა მოგელაპარაკოო.

ფელიჩემ უცნაური წერილის შინაარსი ცოლს გაუზიარა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ ხმლის გარდა სხვა იარაღი არ წაუღია. მხოლოდ ერთი მსახურის თანხლებით, რომელსაც ანთებული ჩირაღდანი ეჭირა, ფელიჩე უკვე სახლიდან აპირებდა გასვლას, რომ მას წინ გადაუდგნენ დედამისი კამილა, თვითონ ვიტორია და სახლში მცხოვრები სხვა ქალები. ყველა დაბეჯითებით ემუდარებოდა, ასე გვიან სახლიდან არ გასულიყო. და რაკი ის არ აპირებდა შეესმინა ქალების თხოვნა, ესენი მუხლებზე დაეცნენ და ტირილით დაუწყეს ხვეწნა, ყურად ეღო მათი მუდარა.

ქალები, განსაკუთრებით კი კამილა, დაშინებული იყვნენ მოარული ხმებით საშინელ შემთხვევებზე, ყოველდღე რომ ხდებოდა და დაუსჯელი ჩაივლიდა ხოლმე იმ ხანებში. ეს იყო გრიგოლ XIII-ის პაპობის ხანა, აღსავსე გაუგონარი ავაზაკური შემთხვევებითა და შფოთით. კიდევ ერთმა გარემოებამ შეაშფოთა ქალები. როცა მარჩელო რომში შემოპარვას ბედავდა, მას ჩვეულებად არ ჰქონდა ფელიჩეს სახლიდან გაწვევა და ახლა ასეთი თხოვნა, ისიც ღამის საათებში, მეტად საეჭვოდ მიიჩნიეს.

ჭაბუკური გამბედაობით აღვსილმა ფელიჩემ არ მოისურვა შეესმინა შიშის გრძნობით ნაკარნახევი მოსაზრებები, ხოლო, როცა შეიტყო, რომ წერილი მოიტანა მანჩინომ, კაცმა, რომელიც ძალიან უყვარდა და რომლისთვისაც არაერთხელ კეთილი საქმე გაუკეთებია, ვეღარაფრით შეაჩერეს და სახლიდან გავიდა.

როგორც უკვე ვთქვით, მას წინ ერთადერთი მსახური მიუძღოდა ხელში ანთებული ჩირაღდნით. გადადგა თუ არა უბედურმა ყმაწვილმა კაცმა რამდენიმე ნაბიჯი მონტეკავალოს მოედანზე, იმწამსვე არკებუზებიდან ნასროლი სამი ტყვიით განგმირული დაეცა. როგორც კი მკვლელებმა წაქცეული ფელიჩე დაინახეს, მისცვივდნენ და ხანჯლებით დაუწყეს აკუწვა, სანამ არ დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად მკვდარი იყო. საბედისწერო ამბავი მყისვე ფელიჩეს დედასა და ცოლს შეატყობინეს, ხოლო მათი შემწეობით უბედურმა ამბავმა ბიძამის კარდინალამდეც მიაღწია.

კარდინალს არავითარი მღელვარება არ გამოუხატავს, სახეც არ შეცვლია. მან ბრძანა სამოსელი მიეცათ, ხოლო შემდეგ ღმერთს მიანდო თავისი თავი და ესოდენ მოულოდნელად გამქრალი სული. შემდეგ რბალთან მივიდა და უდიდესი სიმშვიდით ბოლო მოუღო ქალთა გოდებასა და ყვირილს, მთელი სახლი რომ გაეყრუებინა. ისეთნაირად იმოქმედა ქალებზე, რომ ამ წუთიდან მოყოლებული, ვიდრე მიცვალებულს სახლიდან გაიტანდნენ, ძეხორციელს არ დაუნახავს და არც გაუგონია ამ ქალთაგან არაფერი ისეთი, რაც ოდნავ მაინც არასაკადრისი იქნებოდა წესიერი ოჯახის ქალთათვის,

როცა იქ დიდი ხანია ელიან რომელიმე წევრის სიკვდილს. რაც შეეხება თვით კარდინალ მონტალტოს, ვერავინ მოახერხა მისთვის თუნდაც მწუხარების ნატამალი შეენიშნა. არ შეუცვლია ცხოვრების ნირი და არც გარეგნობა. რომი, რომელიც ჩვეული ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს ამ უკიდურესად შეურაცხყოფილი კაცის სულ უმნიშვნელო საქციელსაც კი, მალე დარწმუნდა ამაში.

მოხდა ისე, რომ ფელიჩეს მოკვლის მეორე დღესვე კარდინალთა კონსისტორია იქნა მოწვეული. მთელი ქალაქი დარწმუნებული იყო, რომ კარდინალი მონტალტო პირველ დღეებში მაინც აარიდებდა თავს მოვალეობის შესრულებას. იქ ხომ მრავალრიცხოვან მოწმეთა, და მერე როგორ ცნობისმოყვარე მოწმეთა თვალწინ უნდა წამდგარიყო! ყველა საგანგებო ყურადღებას გამოიჩენდა მის სულ უმცირესი, სავსებით ბუნებრივი სისუსტის გამოვლინების მიმართ, რისი დამალვაც, თავისთავად ცხადია, უფრო შეშვენის ისეთ ადამიანებს, ვისაც ესოდენ მაღალი თანამდებობა უჭირავს და კიდევ უფრო მაღლა მიისწრაფვის. ცხადია, ყველა დაეთანხმება იმ აზრს, რომ ადამიანმა, რომელსაც განზრახული აქვს ყველა დანარჩენზე მაღლა დადგეს, არ უნდა გამოამჟღავნოს, რომ მათგან არაფრით განსხვავდება.

მაგრამ ის პირნი, ასე რომ მსჯელობდნენ, ორმაგად შეცდნენ, ვინაიდან, ჯერ ერთი, კარდინალი მონტალტო, როგორც სჩვეოდა, ერთ-ერთი პირველთაგანი გამოჩნდა სხდომათა დარბაზში, მეორეც ისა, რომ თვით ყველაზე უფრო გამჭრიახმა ადამიანებმაც ვერ შეძლეს შეენიშნათ, რომ გული მოემდედრებინა. პირიქით, როცა მისი მოძმენი შეეცადნენ ნუგეშის სიტყვებით მიემართათ თავზარდამცემი ამბის გამო, მან ყველა იქ მყოფნი განცვიფრებაში მოიყვანა. ამ ადამიანის სიმტკიცე და ესოდენ აშკარა სულიერი აღუშფოთველობა ქალაქში მითქმა-მოთქის საგანი შეიქნა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კონსისტორიაზე დამსწრე ზოგიერთმა პირმა, ვინც უფრო გაწაფული იყო კარის ცხოვრების ხელოვნებაში, ეს გარეგნული სიმშვიდე უგრძნობლობას კი არ მიაწერა, არამედ გულჩათხრობილობას. მალე ეს აზრი კარის დიდებულთა უმრავლესობამ გაიზიარა, ვინაიდან ადამიანმა თავი ყოველთვის ისე უნდა მოაჩვენოს, თითქოს ის არ არის აგრერიგად თავმოყვარეობაშელახული იმ უთუოდ ყოვლისშემძლე პიროვნების მიერ, რომელსაც შემდგომში შეუძლია უმაღლესი თანამდებობის მიღწევაში გადაეღობოს.

როგორიც უნდა ყოფილიყო მიზეზი ამ მოჩვენებითი გულგრილობისა, ერთი რამ ცხადია: ხსენებულმა მოვლენამ საშინლად განაცვიფრა მთელი რომი და გრიგოლ XIII-ის

კარი. მაგრამ დავუბრუნდეთ კონსისტორიის აღწერას. როცა ყველა კარდინალი შეიკრიბა, დარბაზში პაპი შემოვიდა. მან მაშინვე კარდინალ მონტალტოს მიაპყრო მზერა და მისი უწმინდესობის სახეზე ყველამ ცრემლი შენიშნა. კარდინალის სახე კი ისევ უშფოთველობას გამოხატავდა.

საყოველთაო გაკვირვებამ კიდევ უფრო იმატა, როცა იმავე სხდომაზე კარდინალმა მოტალტომ სხვა კარდინალებთან ერთად მისი უწმინდესობის ტახტის წინაშე მუხლი მოიყარა, რათა მასზე დაკისრებულ დავალებებზე ანგარიში ჩაებარებინა. მაგრამ პაპმა ხმის ამოღებაც არ აცალა და აქვითინდა. ბოლოს, როცა მის უწმინდესობას ლაპარაკის უნარი ისევ დაუბრუნდა, იგი შეეცადა მონტალტოსათვის ნუგეში ეცა დაპირებით, რომ რაც შეიძლება სწრაფ და მკაცრ მართლმსაჯულებას მოახდენდა ესოდენ საშინელ დანაშაულზე. მაგრამ კარდინალმა პაპს ფრიად მორჩილად გადაუხადა მადლობა და თხოვნით მიმართა, მომხდარ ბოროტმოქმედებაზე ძიებას ნუ დანიშნავთ, ვინაიდან მე, ჩემი მხრივ, ალალი გულით ვაპირებ მივუტევო დამნაშავეს, ვინც არ უნდა იყოს იგიო. ამ თხოვნის შემდეგ, რაც კარდინალმა სულ რამდენიმე სიტყვით გამოხატა, იგი მაშინვე მასზე დაკისრებულ დავალებათა მოხსენებაზე გადავიდა, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს განსაკუთრებული.

კონსისტორიაზე დამსწრე ყველა კარდინალს პაპისა და მონტალტოსათვის მიეპყრო მზერა და თუმცა სულაც არ არის ადვილი კარისკაცთა გამოცდილი თვალის მოტყუება, მაინც ვერავინ იტყოდა დარწმუნებით, რომ კარდინალ მონტალტოს სახეზე იოტისოდენა მღელვარება მაინც ასახულიყოს მისი უწინდესობის ცრემლების დანახვაზე, რომელმაც, მართალი მოგახსენოთ, მთლად დაკარგა წონასწორობა. კარდინალ მონტალტოს კი, მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ მის უწმინდესობას მოახსენებდა, ერთი წუთითაც არ დაუკარგავს სიმშვიდე. ეგზომ დიდმა გულგრილობამ თვით პაპიც გააკვირვა, მან თავი ვერ შეიკავა და კონსისტორიის დასასრულს თავის საყვარელ ძმისშვილს, კარდინალ სენ-სისტოს უთხრა: «Veramente costui è un grand frate!» (ჭეშმარიტად, ეს კაცი უდიდესი ბერმონაზონია»).* [*აქ ავტორი გადაკრულად გველაპარაკება ფარისევლობაზე, რასაც ბოროტი ენები ბერებს მიაწერდნენ. სიქსტე V ღარიბ-ღატაკი ბერი იყო და მას დევნიდნენ მისი ორდენის წევრები. იხ. მისი ცხოვრება, თავშესაქცევად აღწერილი ისტორიკოს გრეგორიო ლეტის მიერ, რომელიც სხვაზე მეტად როდი ცრუობს. ფელიჩე პერეტი 1580 წელს მოკლეს. ბიძამისი პაპად აირჩიეს 1585 წელს].

კარდინალ მონტალტოს საქციელი სრულიად არ შეცვლილა შემდგომ დღეებშიც. თანახმად ჩვეულებისა, ის ძველებურად იღებდა კარდინალებს, პრელატებს და რომაელ

თავად-აზნაურებს, რომლებიც სამძიმარს უცხადებდნენ, და არც ერთხელ არავისთან, თვით უახლოეს მეგობრებთანაც კი არ დაუკარგავს სიმხნევე და ჩივილისა თუ მწუხარების სიტყვა არ წამოსცდენია. წუთისოფლის წარმავლობაზე მოკლე მსჯელობის შემდეგ, რასაც საღმრთო წერილის ტექსტებითა და ეკლესიის მამათა გამოთქმებით ამოწმებდა და ამაგრებდა, ის ჩქარობდა თემა შეეცვალა და ლაპარაკი გადაჰქონდა ქალაქის ახალ ამბებზე ან მოსაუბრის კერძო საქმეებზე, თითქოს აქეთ უნდოდა დაემშვიდებინა ნუგეშისმცემელნი.

რომი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ელოდა კარდინალის შეხვედრას თავად პაოლო ჯორდანო ორსინისთან, დუკა დი ბრაჩანოსთან, რომელსაც ფელიჩე პერეტის მკვლელობას აბრალებდნენ. ყველა ფიქრობდა, კარდინალი მონტალტო ვერ შეძლებს თავის შეკავებას და უეჭველად მღელვარებას გამოამჟღავნებს, როცა თავადს პირისპირ შეეყრება და გამოესაუბრებაო.

როცა თავადი კარდინალის სახლში შედიოდა, ქუჩაში და შესასვლელთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სახლის ყველა ოთახი კარის დიდებულებით გაიჭედა, იმდენად დიდი სურვილი ჰქონდათ, ორივე მოსაუბრეს სახეებზე დაკვირვებოდნენ. მაგრამ ვერავინ შეძლო რაიმე განსაკუთრებული შეენიშნა ან ერთის, ან მეორის სახეზე. კარდინალ მონტალტოს კარის ეტიკეტის არც ერთი წესი არ დაურღვევია. სახეზეც მხიარული და მეტად თავაზიანი გამომეტყველება აღბეჭდოდა თავადთან ლაპარაკის დროს.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა თავადი პაოლო ეტლში ჩაჯდა თავის შინაკაცებიანად, თავი ვეღარ შეიკავა, რომ სიცილით არ ეთქვა: «In fatto, è vero che costui è un grand frate!» («დასწყევლოს ეშმაკმა, ეს კაცი მართლაც უდიდესი ბერმონაზონიაო!»), თითქოს ამით უნდოდა დაედასტურებინა რამდენიმე დღის წინათ პაპის მიერ ნათქვამი სიტყვები.

გამჭრიახი ჭკუის ადამიანები ფიქრობდნენ, კარდინალ მონტალტოს მისმა თავდაჭერილობამ ამ საქმეში პაპის ტახტისკენ გაუხსნა გზაო, ვინაიდან ბევრს შეექმნა აზრი, რომ თავისი ბუნებრივი სათნოებისა და ღვთისმოსაობის გამო არ შეეძლო, ან არ უნდოდა ვინმესთვის ვნება მიეყენებინა მაშინაც კი, როცა რისხვის სერიოზული საფუძველი ჰქონდა.

ფელიჩე პერეტის არავითარი წერილობითი განკარგულება არ დაუტოვებია თავის ცოლზე. მაშასადამე, ქალი მშობლიურ სახლში უნდა დაბრუნებულიყო. კარდინალ მონტალტოს განკარგულებით წასვლის წინ ვიტორიას ჩააბარეს კაბები და

ძვირფასეულობა, ერთი სიტყვით, ყველა საჩუქარი, რაც მისი დისწულის ცოლობაში ჰქონდა მიღებული.

ფელიჩე პერეტის სიკვდილის მესამე დღეს ვიტორია თავისი დედით თავად ორსინის პალაცოში გადასახლდა. ერთნი ფიქრობდნენ, თითქოს ქალებმა ეს ნაბიჯი პირადი უსაფრთხოების გამო გადადგეს: ხმები დაირხა, corte* [Corte თავადთა პალაცოებში ვერ ბედავდა შეღწევას] ემუქრებოდა მათ, ვინაიდან ფიქრობდნენ, მათი დასტურით მოხდა მკვლელობა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მათ ყველაფერი უწყოდნენო; სხვებს კი დაეჩემებინათ (და შემდგომმა მოვლენებმა, როგორც დავინახავთ, დაადასტურეს ეს ვარაუდი), რომ ასეთი ნაბიჯი მათ იმის გამო გადადგეს, რათა ვიტორია თავად ორსინიზე დაქორწინებულიყო, რადგანაც ის ვიტორიას შეჰპირებოდა, როგორც კი დაქვრივდები, შეგირთავო.

ასე იყო თუ ისე, თუმცა ყველას ერთმანეთში შესდიოდა ეჭვი, ვერც მაშინ, ვერც შემდგომში ვერავინ გაიგო, თუ ვინ იყო ნამდვილი დამნაშავე ფელიჩეს მკვლელობაში. და მაინც უმრავლესობა ამ ამბავს თავად ორსინის მიაწერდა, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ის ვიტორიას ეტრფოდა და ეს სიყვარული არავის თვალთაგან არ იყო დამალული. ამ საქმის ყველაზე დამაჯერებელი სამხილი კი ის გახდა, რომ მკვლელობის შემდეგ თავადმა ვიტორიაზე იქორწინა. თავისი მდგომარეობით ეს ქალი იმდენად დაბლა იდგა თავადზე, რომ მხოლოდ ვნების დაუძლეველ ძლევამოსილებას თუ შეეძლო ეკარნახა მისთვის ასეთი ქორწინება.* [*თავად ორსინის პირველი ცოლი, რომლისგანაც მას ჰყავდა ვაჟიშვილი, სახელად ვირჯინიო, ტოსკანის დიდი დუკას, ფრანცისკ I-ისა და კარდინალ ფერნანდო მედიჩის და იყო. თავადმა ეს ქალი ღალატისათვის მოაკვლევინა მისი ძმების თანხმობით. ასეთი იყო ესპანელთა მიერ შემოტანილი პატიოსნების კანონები იტალიაში. ცოლის ღალატი ძმებს ისევე შეურაცხყოფას აყენებდა, როგორც ქმარს]. რამდენიმე დღის შემდეგ ხმა დაირხა, თითქოს რომის გუბერნატორმა მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე ჩეზარე პალანტიერი, რომიდან გაძევებული მეტად თავაწყვეტილი ზნის ყმაწვილი კაცი. მაგრამ ვერც ამან შეიყვანა შეცდომაში ხალხი, რომელსაც თავისი ვარაუდები ჰქონდა მკვლელობის შესახებ.

წერილში პალანტიერი იტყობინებოდა, მის უგანათლებულესობას, ქალაქის გამგებელს არ სჭირდება თავის შეწუხება ფელიჩე პერეტის მკვლელის საძებნელად, რადგანაც ეს თვითონ მე, პალანტიერი ვარო. მე მივუგზავნე ახალგაზრდა პერეტის მკვლელები მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩხუბი მოხდაო.

ბევრი თვლიდა, რომ მკვლელობა აკორამბონის ოჯახის დასტურით მოხდა. ეჭვი ჰქონდათ ვიტორიას ძმებზე, რომელნიც, ალბათ, აცდუნა ესოდენ ყოვლისშემძლე და მდიდარ თავადთან დამოყვრების პატივმოყვარე სურვილმა. უმთავრესად, მარჩელოზე მიიტანეს ეჭვი. რადგანაც წერილი, რითაც უბედური ფელიჩე სახლიდან გაიტყუეს, მძიმე სამხილი იყო მის წინააღმდეგ. თვითონ ვიტორიაც გაილანძღა, როცა ქმრის სიკვდილის შემდეგ სასწრაფოდ გადასახლდა ორსინის პალაცოში, როგორც თავადის მომავალი მეუღლე. ძნელი დასაჯერებელიაო, ამბობდა ყველა, რომ ასე თვალის დახამხამებაში შეიძლებოდეს მოკლე დაშნებზე გადასვლა, როცა ჯერ გრძელი ხანჯალი არ გიხმარიაო.

რომის გუბერნატორმა მონსინიორ პორტიჩიმ გრიგოლ XIII-ის განკარგულებით მკვლელობის ძიება ჩაატარა. გამოკვლევიდან ჩანს, რომ corte-ს მიერ დაჭერილი ხსენებული დომენიკო, მეტსახელად მანჩინო წამების (tormentato) დაწყებამდე გამოტყდა და 1582 წლის 24 თებერვალს მეორე დაკითხვაზე შემდეგი ჩვენება მისცა:

ყველაფერში დამნაშავეა ვიტორიას დედა. მას ეხმარებოდა ბოლონიელი cameriera-ც, რომელმაც მკვლელობის შემდეგ მყისვე ბრაჩანოს ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავიო (ეს ციხე-სიმაგრე თავად ორსინის ეკუთვნოდა, სადაც corte ვერ ბედავდა ფეხის შედგმას), ხოლო ბოროტმოქმედების შემსრულებლები იყვნენ გუბიონელი მაკიონე და ბრაჩანოელი პაოლო ბარკა, spezzate (ჯარისკაცები) ერთი სინიორისა, ვისი სახელიც არ მოიხსენიება საპატიო მიზეზთა გამოო.

ამ «საპატიო მიზეზებს», როგორც მე ვფიქრობ, დაემატა კარდინალ მონტალტოს დაჟინებული თხოვნა, შეეწყვიტათ ძიება. და მართლაც, მალე სასამართლოს პროცესზე ლაპარაკი შეწყდა, მანჩინო სატუსაღოდან გამოუშვეს precetto-თი (ბრძანებით), დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნებულიყო და იქიდან თავი არ გამოეყო საგანგებო ნებართვის გარეშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილით დაისჯებოდა. ეს კაცი 1583 წელს წმ. ლუდოვიკოს დღეს გაათავისუფლეს, ეს დღე კი კარდინალ მონტალტოს დაბადების დღეც იყო. ამ გარემოებამ უფრო დამარწმუნა იმაში, რომ საქმე ამ უკანასკნელის თხოვნით დამთავრდა ასე. სუსტი ნებისყოფის გრიგოლ XIII-ის მმართველობის დროს ამგვარ პროცესს შეიძლებოდა დიდად არასასიამოვნო ამბები მოჰყოლოდა და არავითარი დადებითი შედეგი არ მოეტანა.

ამგვარად, corte-ს ღონისძიებები შეჩერებულ იქნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პაპამ გრიგოლ XIII-მ არ მოისურვა თანხმობის მიცემა თავად პაოლო ორსინის, დუკა დი ბრაჩანოს შეუღლებაზე პერეტის ქვრივთან. ამ უკანასკნელს მისმა უწმინდესობამ

განსაკუთრებული სახის პატიმრობა მიუსაჯა და თავადსა და ქვრივს უბრძანა, მისი ან მის მონაცვლეთა საგანგებო ნებართვის გარეშე ჯვარი არ დაეწერათ.

გრიგოლ XIII 1585 წლის დამდეგს გარდაიცვალა. თავადი პაოლო ორსინი სწავლულ კანონმცოდნეებს შეეკითხა, რომელთაც მოახსენეს, რომ მათი აზრით, ბრძანებამ დაკარგა ძალა მისი გამომცემელი მმართველის გარდაცვალებასთან ერთად. თავადმაც გადაწყვიტა, აღარ დაეცადა ახალი პაპის არჩევისათვის და ვიტორიაზე ჯვარი დაიწერა. მაგრამ ჯვრისწერა ისე ჩქარა ვერ მოხდებოდა, როგორც ეს თავადს სურდა, ერთი მხრივ, იმიტომ რომ მას უნდოდა თანხმობა მიეღო ვიტორიას ძმებისგან (ხოლო ოტავიო აკორამბონის, ფოსომბრონის ეპისკოპოსს გადაჭრით ჰქონდა ამაზე უარი ნათქვამი), მეორე მხრივ კი იმიტომაც, რომ არ ეგონათ გრიგოლ XIII-ის მონაცვლის არჩევა ასე ადრე თუ მოხდებოდა. ერთი სიტყვით, თავადმა ჯვარი სწორედ იმ დღეს დაიწერა, როცა პაპად ამ საქმესთან ესოდენ ახლოს მდგომი კარდინალი მონტალტო აირჩიეს, ესე იგი, 1585 წლის 24 აპრილს. სავსებით შესაძლებელია, ეს შემთხვევით მოხდა, მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ თავადმა მოინდომა ეჩვენებინა, corte-სი როგორც გრიგოლ XIII-ის ხელში არ მეშინოდა, ისე არც ახალი პაპის ხელში მეშინიაო.

ამ ქორწინებამ დიდად შეურაცხყო სიქსტე V (ეს სახელი კარდინალ მონტალტომ პაპად გახდომის დროს მიიღო). ის უკვე გამოთხოვებოდა ბერმონაზვნისათვის შესაფერის აზროვნებას და იმ ხარისხის შესაფერისად ამაღლებულიყო სულით, რომელზეც მაღალმა ღმერთმა დააყენა.

მართალია, პაპს არავითარი რისხვის სიტყვები არ დასცდენია, მაგრამ როდესაც თავადი ორსინი სხვა რომაელ წარჩინებულ სინიორთა ჯგუფით უწმინდეს მამას მისი არჩევის დღეს ფეხზე ამბორისათვის ეახლა გულში ფარული განზრახვით, როგორმე ამოეკითხა ამ კაცის სახეზე, ვის ხასიათსაც მანამდე ასე ნაკლებად იცნობდნენ, რის მოლოდინში უნდა ყოფილიყო და რისი შიში უნდა ჰქონოდა. იგი მიხვდა, რომ ხუმრობის დრო წასულიყო. ახალმა პაპმა თავადს რაღაც უცნაურად შეხედა და მისალმებაზე არ უპასუხა. თავადმა ორსინიმ გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ გამოერკვია, რას უპირებდა უწმინდესი მამა.

თავისი პირველი ცოლისძმის, ფერნანდოს _ კარდინალ მედიჩის და ესპანელი დესპანის შემწეობით მან პაპთან აუდიენცია მოითხოვა და მიიღო კიდეც მის სამყოფელში. აქ მან უწმინდეს მამას წინასწარ შემზადებული სიტყვით მიმართა: სრულიად არ უხსენებია წარსული ამბები, სიხარული გამოთქვა მისი ახალი ვარშამანგის გამო, ხოლო

შემდეგ, როგორც ერთგულმა ქვეშევრდომმა და მსახურმა, მას მთელი თავისი ქონება და ჯარი შესთავაზა.

პაპმა* [*სიქსტე V, რომელიც პაპად 1585 წელს იქნა არჩეული, სამოცდარვა წლისა იყო და ხუთ წელიწადსა და ოთხ თვეს იჯდა ტახტზე. მას ბევრი ჰქონდა საერთო ნაპოლეონთან] თავადს გულისყურით მოუსმინა და ბოლოს მიუგო, მე სხვაზე მეტად მსურს, რომ პაოლო ჯორდანო ორსინის ცხოვრება და საქციელი მომავალში ორსინის გვარისა და ჭეშმარიტად ქრისტიანი რაინდის ღირსეული იყოსო. მერე განაგრძო, თუ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, რა იყო თავადი წარსულში პაპის ტახტისა და თვით მისი, პაპის მიმართ, ეს თვითონ თავადის სინდისმა უკეთ იცისო. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მას, თავადს, შეუძლია დარწმუნებული იყოს ერთ რამეში, სახელდობრ იმაში, რომ თუ ადვილად აპატია ყველაფერი, რაც ფელიჩე პერეტის და ფელიჩე კარდინალ მონტალტოს წინააღმდეგ ჩაიდინა, მომავალში არავითარ დანაშაულს აღარ აპატიებს პაპი სიქსტეს წინააღმდეგო. შედეგად ამისა, პაპი თავადს წინადადებას აძლევს, დაუყოვნებლივ განდევნე შენი სახლიდან და სამფლობელოდან ყველა გაძევებული მაწანწალა და უკეთურნი, რომლებიც აქამდე იქ თავშესაფარს პოულობდნენო.

სიქსტე V-ს საუბრისას როგორი კილოც არ უნდა აერჩია, მსმენელს ადვილად დაიყოლიებდა. როცა განრისხებული იყო და იმუქრებოდა, მისი თვალები თითქოს ცეცხლს აკვესებდნენ. ერთი სიტყვით, თავადი პაოლო ორსინი, რომელსაც ცამეტი წლის განმავლობაში პირველად ესმოდა ასეთი ლაპარაკი და შეჩვეული იყო ყველა დროში პაპები შიშის ქვეშ ჰყოლოდა, სიქსტე V-ის პასუხის შემდეგ თავის მდგომარეობას დაუფიქრდა. როგორც კი მისი უწმინდესობის სახლიდან გავიდა, მაშინვე კარდინალ მედიჩისაკენ გაეშურა, რათა მისთვის ყოველივე ეამბნა. კარდინალის რჩევით თავადმა გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გაეყარა მის პალაცოსა და მამულში თავშეფარებული კანონით დევნილი ბოროტმოქმედნი. ის შეეცადა აგრეთვე რაიმე საპატიო საბაბი მოემიზეზებინა, რათა ესოდენ შეუპოვარი მღვდელთმთავრის გამგებლობის ქვეშ მყოფი ქვეყანა მიეტოვებინა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის თავადი პაოლო ორსინი მეტისმეტად გასუქდა. მისი თითო ფეხი ჩვეულებრივი ადამიანის ტანს უდრიდა, და ერთი ეს ვეებერთელა ფეხი დაავადებული ჰქონდა სნეულებით, რომელსაც lupa (მჭამელა) ჰქვია. ამ სნეულებას ასე იმიტომ ეძახიან, რომ ის უნდა იკვებებოდეს დიდძალი უმი ხორცით, რასაც

სხეულის დაზიანებულ ნაწილზე ადებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ავზნიანი სითხე წყლულის გარშემო ხორცს ამოჭამს.

აქაოდა ეს სნეულება უნდა ვიმკურნალოო, თავადი პადუას მახლობლად მდებარე ქალაქ ალბანოს ცნობილ წყლებზე წავიდა, რომელიც ვენეციის რესპუბლიკას ექვემდებარებოდა. თავადი ორსინი ახალი მეუღლითურთ ივნისის შუა რიცხვებში გაემგზავრა წყლებზე. ალბანო მისთვის სავსებით საიმედო თავშესაფარი იყო, რადგანაც ორსინის სახლი და ვენეციის რესპუბლიკა მრავალი წლის განმავლობაში იყვნენ დაკავშირებული ურთიერთმეგობრობით.

ჩავიდა თუ არა თავადი იმ ადგილებში, სადაც საშიში აღარაფერი ჰქონდა, მაშინვე სხვადასხვა სასახლეებში მოწყობასა და დროსტარებაზე დაიწყო ზრუნვა. ამ მიზნით სამი საუცხოო პალაცო დაიქირავა. ერთი _ პალაცო დანდოლი, ვენეციაში, ზეკას ქუჩაზე, მეორე _ პალაცო ფოსკარინი პადუაში, ულამაზეს მოედანზე, არენა რომ ეწოდება; მესამე კი სალოში შეარჩია, ტბა გარდას თვალწარმტაც ნაპირზე. ეს პალაცო ოდესღაც სფორცა პალავიჩინის გვარს ეკუთვნოდა.

ვენეციის სენატორები (ვენეციის რესპუბლიკის მთავრობა) ფრიად დიდი სიხარულით შეხვდნენ მათს სამფლობელოში ესოდენ დიდგვაროვანი თავადის ჩამობრძანებას და მას მაშინვე საკმარისად მსხვილი condotta შესთავაზეს (ესე იგი, მნიშვნელოვანი ყოველწლიური თანხა, რაც იმაზე უნდა მოეხმარა, რომ ორი-სამი ათასი კაცისაგან რაზმი შეედგინა და თვითონვე გაეწია სარდლობა). თავადმა მოხერხებულად აიცდინა თავიდან ეს წინადადება. მან სენატორთ უპასუხა, ჩემი ოჯახის ბუნებრივი და შთამომავლობითი მიდრეკილების გამო, სულით და გულით მზადა ვარ ვემსახურო უგანათლებულეს რესპუბლიკას, ოღონდ უხერხულად მიმაჩნია კიდევ ზედმეტი ვალდებულება ვიკისრო, როცა უკვე კათოლიკე მეფის სამსახურში ვარო. ესოდენ გადამწყვეტმა პასუხმა თითქოს ცივი წყალი გადაასხა სენატორებს. თავდაპირველად სენატორებს სურდათ ვენეციაში თავადისთვის დიდი ზარ-ზეიმით მოეწყოთ შეხვედრა, ხოლო მისი პასუხის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ის ყველა სხვა კერძო პირის კვალობაზეც კარგად შევიდოდა ვენეციის რესპუბლიკაში.

როცა თავად ორსინის ეს ყველაფერი შეატყობინეს, იფიქრა, ფეხი აღარ დაედგა ვენეციაში. ის უკვე პადუის მიდამოებში იმყოფებოდა, როცა გადაწყვიტა გვერდი აეხვია ამ საუცხოო ადგილისათვის, და მთელი თავისი ამალით გაემართა სალოში, ტბას გარდას

ნაპირას მისთვის გამზადებულ სახლში. იქ მთელი ზაფხული დიდ დროსტარებასა და თავის შექცევაში გაატარა.

როცა სახლ-სამყოფის გამოცვლის დრომ მოაწია, თავადმა რამდენჯერმე შორიახლოს იმოგზაურა და მიხვდა, რომ კვლავინდებურად ვეღარ იტანდა დაღლილობას. შეეშინდა, ავადმყოფობამ ხომ არ დამრია ხელიო. მაინც რამდენიმე დღით ვენეციაში მოისურვა წასვლა, მაგრამ მისმა ცოლმა ვიტორიამ გადააფიქრებინა და დაითანხმა, ისევ სალოში დავრჩეთო.

ზოგნი ფიქრობდნენ, თითქოს ვიტორია აკორამბონიმ შეამჩნია, რომ თავადის - მისი მეუღლის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა, და მას სალოში დარჩენა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით გადააწყვეტინა, რათა შემდგომში ის იტალიიდან შვეიცარიის ერთ-ერთ თავისუფალ ქალაქში წაეყვანაო. ვითომდა ამ გზით სურდა, თუ თავადი მოკვდებოდა, თავისი თავიცა და პირადი ქონებაც გადაერჩინა.

ღმერთმა უწყის, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ვარაუდი, ოღონდ ყველაფერი სხვანაირად მოხდა, ვინაიდან თავადს სალოში ათ ნოემბერს თავისმა სატკივარმა ისევ შეუტია და მაშინვე დაებადა წინათგრძნობა იმისა, რაც მოელოდა.

თავად ორსინის თავისი საწყალი ცოლი შეეცოდა. მან წარმოიდგინა, თუ როგორ მარტო, უსახსროდ და სახელგატეხილი რჩებოდა ეს სილამაზის გაფურჩქვნის ასაკში მყოფი ქალი, რომელიც იტალიის ყველა მთავრის მიერ შერისხული იყო; არც ორსინის ოჯახს უყვარდა და არც იმის იმედი უნდა ჰქონოდა, ოდესმე კიდევ გათხოვდებოდა. ვინაიდან თავადი სულგრძელი და კეთილშობილი ადმაიანი იყო, მან საკუთარი გულისწადილით ანდერძი შეადგინა, რითაც უნდოდა უბედური ქალის სიცოცხლე უზრუნველეყო. ორსინიმ ცოლს ძვირფასეულობა და ნაღდი ფული უანდერძა ასი ათასი პიასტრის* [*1837 წელს ეს შეადგენდა 2.000.000 ფრანკს] რაოდენობით, ცხენების, ეტლებისა და სხვა მოძრავი ქონების ჩაუთვლელად, რითაც ამ მოგზაურობის დროს სარგებლობდა. დანარჩენი ქონება თავადმა დაუტოვა ვირჯინიო ორსინის, ერთადერთ ვაჟიშვილს პირველი ცოლისაგან, რომელიც ტოსკანის დიდი დუკას, ფრანცისკ I-ის და იყო და თავადმა ძმების თანხმობით ღალატისთვის მოაკვლევინა.

მაგრამ რაოდენ არამყარია ყველა განაზრახი ადამიანისა! სწორედ ის განკარგულებანი, რომელთა შემწეობითაც პაოლო ორსინი ფიქრობდა მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფას თავისი ბედუკუღმართი ახალგაზრდა ცოლისათვის, ამ ქალის უბედურებისა და დაღუპვის მიზეზი შეიქნა.

თორმეტ ნოემბერს, ანდერძის ხელის მოწერის შემდეგ, თავადმა ცოტათი უკეთ იგრძნო თავი. ცამეტში დილას ხელი გაუხსნეს და ექიმებმა, რომელნიც მხოლოდ უსასტიკეს დიეტაზე ამყარებდნენ იმედს, თავადს ყოველგვარი საჭმლის მიღება აუკრძალეს.

მაგრამ, როგორც კი ექიმები ოთახიდან გავიდნენ, თავადმა მოითხოვა სადილი მიერთმიათ. წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია და მანაც იმდენი ჭამა და სვა, რამდენსაც ჩვეულებრივ ჭამდა და სვამდა. ძლივს მოასწრო თავადმა სადილის დამთავრება, რომ გრძნობა დაკარგა და მზის ჩასვლამდე ორი საათით ადრე სულიც დალია.

ქმრის უეცარი სიკვდილის შემდეგ ვიტორია აკორამბონი თავისი ძმის, მარჩელოს და განსვენებული თავადის მთელი სახლეულის თანხლებით პადუაში გადავიდა და იქ არენის მახლობლად ფოსკარინის სასახლეში დაბინავდა, თავად ორსინის რომ ჰქონდა დაქირავებული.

მალე ვიტორიასთან მისი ძმა ფლამინიო ჩამოვიდა, რომელიც კარდინალ ფარნეზეს კეთილგანწყობილებით სარგებლობდა. მაშინ ვიტორიამ დაიწყო ზრუნვა, რათა მისთვის ქმრის მიერ ნაანდერძევი თანხა გადაეცათ, რაც სამოცი ათას პიასტრს აღწევდა. ეს თანხა ვიტორიასთვის ორი წლის განმავლობაში უნდა გადაეხადათ ნაღდ ფულად. გარდა ამისა, მთელი მზითევი, მოძრავი ქონება და ძვირფასეულობაც მის ხელში უნდა გადასულიყო. თავადმა ორსინიმ ანდერძში განკარგულება გასცა, რათა რომში, ან სადმე სხვაგან, სადაც დუკას მეუღლე მოისურვებდა, მისთვის ათი ათას პიასტრად ღირებული პალაცო და ექვსი ათას პიასტრად ღირებული ვენახი (აგარაკი) შეესყიდათ. თავადს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ მისი მეუღლის სუფრაცა და მომსახურებაც მისი მდგომარეობის შესაფერისი იქნებოდა. ვიტორიას განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ორმოცი კაცი და ამდენივე ცხენი.

სინიორა ვიტორია დიდ იმედებს ამყარებდა ფერარის, ფლორენციისა და ურბინოს მფლობელთა მფარველობაზე, აგრეთვე კარდინალების _ ფარნეზესა და მედიჩის მზრუნველობაზე, რომელნიც განსვენებულმა თავადმა თავისი ანდერძის აღმსრულებლებად დანიშნა. უნდა შევნიშნოთ, რომ ანდერძი პადუაში იქნა შედგენილი და განსახილველად გადაეცა პადუის უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორებს, ფრიად პატივცემულ ბატონებს: პარიცოლის და მენოკიოს, ამჟამად ცნობილ იურისკონსულტებს.

პადუაში ჩამოვიდა თავადი ლოდოვიკო ორსინი, რათა თავისი მოვალეობა შეესრულებინა განსვენებული ძმისა და მისი ქვრივის მიმართ, ხოლო შემდეგ კვლავ

კუნძულ კორფუზე აპირებდა დაბრუნებას, სადაც გუბერნატორად იყო დანიშნული ვენეციის რესპუბლიკის მიერ.

პირველი უთანხმოება თავად ლოდოვიკოსა და სინიორა ვიტორიას შორის განსვენებული დუკას ცხენების გამო წარმოიშვა, რომლებიც, თავადის აზრით, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მოძრავ ქონებად. მაგრამ დუკას მეუღლემ დაუმტკიცა, რომ ისინი სწორედ მოძრავ ქონებად ჩაითვლებოდა, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ საბოლოო დადგენილებამდე ეს ცხენები ვიტორიასთან დარჩებოდა. ვიტორიამ თავის თავდებად წარმოადგინა ვენეციის რესპუბლიკის კონდოტიერი, ძალიან მდიდარი აზნაური, თავისი სამშობლოს ერთ-ერთი საუკეთესო მოქალაქე _ ბერგამოელი სინიორ სოარდი. მეორე უთანხმოება მოხდა ვერცხლის ჭურჭლის თაობაზე, რაც განსვენებულ დუკას გირაოს სახით მიეცა თავად ლოდოვიკოსათვის, რომელსაც, თავის დროზე, რაღაც ფულადი თანხა ესესხებინა ძმისთვის. ყველაფერი კანონიერად გადაწყდა, ვინაიდან უგანათლებულესი ფერარელი დუკა შეეცადა ზუსტად შეესრულებინა განსვენებული თავადი ორსინის ანდერძი.

ეს მეორე საქმე 23 დეკემბერს, კვირა დღეს გადაწყდა.

კვირა ღამეს ვიტორია აკორამბონის სახლში ორმოცი კაცი შეიჭრა. მათ უცნაურად შეკერილი ჯვალოს ტანსაცმელი ეცვათ და სახეები დაფარული ჰქონდათ. მხოლოდ ხმებით თუ იცნობდით, თორემ სხვანაირად შეუძლებელი იყო მათი ცნობა. კაცები ერთმანეთსაც რაღაც მეტსახელებით მიმართავდნენ.

ამ ადამიანებმა, უწინარეს ყოვლისა, დუკას მეუღლეს დაუწყეს ძებნა და როცა იპოვეს, ერთმა მათგანმა უთხრა:

_ ახლა თქვენ უნდა მოკვდეთ.

და სულის ამოთქმაც არ დააცალა, ლოცვის უფლებაც არ მისცა, მარცხენა ძუძუს ქვეშ ჩასცა ვიწრო ხანჯალი. ბოროტმოქმედმა ხანჯალი ქალის მკერდში მიატრიალ-მოატრიალა და რამდენჯერმე ჩაეკითხა უბედურს, მოგხვდა თუ არა გულშიო. ბოლოს ქალმა სული დალია. ამასობაში სხვები დუკას მეუღლის ძმებს ეძებდნენ. ერთი მათგანი, მარჩელო, შინ არ აღმოჩნდა და, ამგვარად, სიცოცხლე შეინარჩუნა, მეორე კი ხანჯლებით აკუწეს. მთელ სახლში გულგამგმირავი ტირილი და ყვირილი იდგა. მკვლელებმა ძირს დაყრილ დახოცილთა გვამები დატოვეს, სამკაულებითა და ფულით სავსე ზარდახშა გაიტაცეს და გაიქცნენ.

ამ ამბავმა უმალვე პადუელ ხელისუფალთა ყურამდე მიაღწია. მათ განკარგულება გასცეს გვამები შეემოწმებინათ და ვენეციაში კაცი აფრინეს.

ორშაბათს, დილიდან საღამომდე ხალხი გუნდ-გუნდად მიედინებოდა ფოსკარინის პალაცოსა და განდეგილთა ეკლესიასთან, რათა გვამებისათვის შეეხედა. ყველას გული სიბრალულით ევსებოდა, მეტადრე ლამაზი დუკას მეუღლის დანახვაზე. ისინი უდროოდ დაღუპულ ახალგაზრდა ქალს დასტიროდნენ და dentibus fremebant (კბილების ღრჭენით) ლაპარაკობდნენ მკვლელებზე, მაგრამ მკვლელთა ვინაობა ჯერ არავინ იცოდა.

Corte-მ რამდენიმე ფრიად სერიოზული სამხილის საფუძველზე ეჭვი შეიტანა, რომ ბოროტმოქმედება ზემოხსენებული თავადი ლოდოვიკოს ბრძანებით, ან ყოველ შემთხვევაში, მისი თანხმობით იქნა ჩადენილი. თავადი გამოიძახეს, მაგრამ ვინაიდან მან Corte-ში (სასამართლოს შენობაში), სადაც მისი უბრწყინვალესობა კაპიტანი იმყოფებოდა, ორმოცი შეიარაღებული კაცით მოისურვა შესვლა, გზა გადაუღობეს და უთხრეს, რომ მხოლოდ სამი ან ოთხი კაცი შეეყვანა შიგ. მაგრამ იმ წუთში, როცა ეს სამნი შედიოდნენ, დანარჩენებმაც იხუვლეს, მცველები მიჰყარ-მოჰყარეს და, ამგვარად, ყველამ შეაღწია შენობაში.

როცა თავადი ლოდოვიკო მისი უბრწყინვალესობა კაპიტნის წინაშე წარსდგა, ასეთი შეურაცხყოფის გამო უკმაყოფილება გამოთქვა და ფიცი დაიწყო, ჯერ არც ერთი მთავარი ამგვარად არ მომქცევიაო. როცა მისმა უბრწყინვალესობა კაპიტანმა ჰკითხა, იცით თუ არა რამე სინიორა ვიტორიას მკვლელობასა და წუხანდელ ამბებზეო, მან უპასუხა, ვიცი და უკვე განკარგულება გავეცი, ამის შესახებ მართლმსაჯულებას მოახსენონო. თავადს უთხრეს, ჩავიწერთ თქვენს ჩვენებასო, მაგრამ მან მიუგო, ჩემი წოდების ადამიანები სულაც არ არიან ვალდებულნი ასეთი ფორმალობა შეასრულონ და, საერთოდ, არც უნდა იქნან გამოძახებული დაკითხვაზეო.

თავადმა ლოდოვიკომ ითხოვა, ნება მომეცით, ფლორენციაში თავად ვირჯინიო ორსინის მსრბოლის ხელით წერილი გავუგზავნო, სადაც მას მომხდარ ბოროტმოქმედებას და სასამართლო პროცესის ამბავს შევატყობინებო. ნამდვილი წერილის მაგივრად მან ხელისუფალთ ყალბი წერილი აჩვენა და ნებართვაც მიიღო.

მაგრამ როგორც კი მსრბოლი ქალაქის კარიბჭეს გასცდა, ის დააკავეს და საგულდაგულოდ გაჩხრიკეს. თავად ლოდოვიკოს მიერ ნაჩვენებ წერილს გარდა უპოვეს მეორე წერილი, რომელიც მსრბოლს ჩექმაში ჰქონდა დამალული. მეორე წერილი შემდეგი შინაარსისა იყო:

«სინიორ ვირჯინიო ორსინის.

დიდად პატივცემულო სინიორ, ჩვენ სისრულეში მოვიყვანეთ ის საქმე, რაზეც ერთმანეთთან ვიყავით შეპირებული. ეგეც არ იყოს, ისე გავაბრიყვეთ პატივსაცემი ტონდინი (ეს, ალბათ, Corte-ს უფროსის სახელი იყო, რომელმაც თავადი დაჰკითხა), რომ მე აქ უპატიოსნეს ადამიანად მთვლიან. ყოველივე საკუთარი ხელით მოვიმოქმედე. ნუღარ დააყოვნებთ თქვენთვის ცნობილი ადამიანების გამოგზავნას».

ამ წერილმა სასტიკად განარისხა სასამართლოს წევრები. წერილი სასწრაფოდ ვენეციაში გაგზავნეს, მერე კი განკარგულება გასცეს, ქალაქის კარიბჭე ჩაეკეტათ და კარისკაცებს უბრძანეს, არც დღისით და არც ღამით არ დაეტოვებინათ ქალაქის კედლები. გამოიცა ბრძანებულება, სადაც ხელისუფალნი სასტიკად დასჯას უქადნენ ყველას, ვინც მკვლელებს ხელს დააფარებდა და მართლმსაჯულებას მათ ვინაობას არ შეატყობინებდა. მკვლელს, რომელიც თავის თანამონაწილეს დააბეზღებდა, პატიებასა და ფულად ჯილდოსაც კი ჰპირდებოდნენ. მაგრამ შობის წინადღეს (24 დეკემბერს), ასე, საღამოს შვიდ საათზე, ვენეციიდან ჩამოვიდა ალოიზიო ბრაგადინო სენატის ფართო რწმუნებულებითა და ბრძანებულებით, რათა ზემოხსენებული თავადი ლოდოვიკო და მისი თანამზრახველნი ცოცხალნი თუ მკვდარნი დაუყოვნებლივ დაეკავებინათ.

ხსენებული სინიორ ალოიზიო ბრაგადინო, მცველთა უფროსი და პოდესტა ციხე-სიმაგრეში შეიკრიბნენ.

მთელს ქვეითსა და ცხენოსან ლაშქარს სახრჩობელით (della forca) დაემუქრნენ და უბრძანეს, შეიარაღებულიყვნენ და ალყა შემოერტყათ ზემოხსენებულ თავად ლოდოვიკოს სახლისთვის, რომელიც ციხე-სიმაგრის მეზობლად მდებარეობდა და წმ. ავგუსტინეს საყდარს ეკვროდა არენას მოედანზე.

მეორე დღეს (შობა დღეს) ქალაქში ბრძანება გააკრეს, რომელიც წმ. მარკოზის შვილებს მოუწოდებდა, იარაღით ხელში სინიორ ლოდოვიკოს სახლს შემორტყმოდნენ. იმ პირთ, ვისაც იარაღი არ ჰქონდა, ციხე-სიმაგრეში იწვევდნენ, საიდანაც თავზე საყრელად შეიძლებოდა იარაღის მიღება. ეს ბრძანება ორი ათას დუკატს ჰპირდებოდა ჯილდოდ ყველას, ვინც Corte-ს სინიორ ლოდოვიკოს ცოცხალს თუ მკვდარს მიჰგვრიდა; ხუთას დუკატად კი ყოველი მისი კაცის თავი იყო შეფასებული. უიარაღო ადამიანებს თავადის სახლთან მიახლოება ეკრძალებოდათ, რათა მოჩხუბართათვის ხელი არ შეეშალათ იმ შემთხვევაში, თუ თავადის დამქაშები თავდასხმას გაბედავდნენ.

თავადის მიერ დაკავებული სახლის პირდაპირ ძველი ციხის გალავანზე დააყენეს სიათები, ცეცხლმტყორცნები და ზარბაზნები. ამდენივე იარაღი დადგეს ახალი ციხის გალავანზეც, საიდანაც ზემოხსენებული სახლის უკანა მხარე მოჩანდა. იმავე მხარეს განლაგებულ იქნა ცხენოსანი რაზმი ისეთი ვარაუდით, რომ თუ გაჭირდებოდა, საძრაობა ჰქონოდა. მდინარე ბრენტის ნაპირი სკამძელებით, კარადებითა და ფორნებით ჩახერგეს, რომლებიც საფარის მაგივრობას გასწევდნენ. ასე ფიქრობდნენ ალყაშემორტყმულთათვის გზა მოეჭრათ, თუ ისინი დააპირებდნენ მიჯრილი რიგებით წამოსულიყვნენ შეტევაზე. საფარს მეზარბაზნეები და ჯარისკაცები ალყაშემორტყმულთა სიათებისაგანაც უნდა დაეცვა.

ბოლოს, მტრის დასაშინებლად, უკეთუ ის თავდასხმას დააპირებდა, მდინარეზე, თავადის სახლის პირდაპირ და ორივე მხარეზე დააყენეს კანჯოები მუშკეტონებითა და სხვადასხვა სახეობის იარაღით აღჭურვილი კაცებით, თან ყველა ქუჩაზე ბარიკადები გამართეს.

სანამ ამ სამზადისში იყვნენ, თავადისაგან წერილი მოიტანეს, სადაც ის ფრიად ზრდილობიანი გამოთქმებით ჩიოდა, წინასწარ, საქმის გაურჩევლად ბოროტმოქმედად მთვლიან და ისე მექცევიან, როგორც მტერს და როგორც თითქმის მეამბოხესო. ეს წერილი ლივეროტოს მიერ იყო შედგენილი.

27 დეკემბერს სამი აზნაური ადგილობრივ წარჩინებულთა რიცხვიდან ქალაქის ხელისუფლებმა სინიორ ლოდოვიკოსთან გაგზავნეს, ვის სახლშიც ორმოცი სამხედრო საქმეში ფრიად დახელოვნებული ყოფილი ჯარისკაცი იმყოფებოდა. როცა წარგზავნილები იქ მივიდნენ, ჯარისკაცები ფიცრებისა და ძველი ლეიბებისაგან საფარს აწყობდნენ და თავიანთ სიათებს ამზადებდნენ.

სამმა აზნაურმა მთავარს განუცხადა, რომ ქალაქის ხელისუფალთ გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი ძალით ხელში ჩაგდება. ურჩევდნენ, დაგვნებდიო და დასძენდნენ, ვიდრე საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე არ მისულა, ჯერ ისევ შეიძლება რაიმე შეწყნარების იმედი იქონიოთო. ამაზე სინიორ ლოდოვიკომ უპასუხა, თუ სახლის გარშემო დაყენებულ მცველებს მოხსნით, მზად ვარ ხელისუფალთ ვეახლო ამ საქმეზე მოსათათბირებლად ორი-სამი ჩემი კაცითო, ოღონდ იმ პირობით, თუ უფლება მექნება, როცა მოვისურვებ, შინ დავბრუნდეო.

მოციქულებმა თავადის წერილობითი წინადადება წამოიღეს და სასამართლოს წევრებთან დაბრუნდნენ, მაგრამ მათ შორს დაიჭირეს თავადის წინადადებანი, მეტადრე

მას შემდეგ, რაც დიდად სახელოვან პიუს-ენეას და სხვა ცნობილ აზნაურთ ჰკითხეს რჩევა. მოციქულები თავადთან დაბრუნდნენ და განუცხადეს, რომ თუ უსიტყვოდ არ დაგვნებდებით, თქვენს სახლს არტილერია ძირფესვიანად აღგვის დედამიწის პირიდანო. ამაზე თავადმა მიუგო, სიკვდილი მირჩევნია ასეთ მორჩილებასო.

მაშინ ქალაქის ხელისუფალთ შეტევის ნიშანი მისცეს და, მართალია, ერთი ბათქით მთელი სახლის დანგრევა შეიძლებოდა ერთიანად, გადაწყვიტეს, თავდაპირველად ფრთხილად ემოქმედათ იმ იმედით, იქნებ ალყაშემორტყმულებმა იარაღი დაყარონო.

ამ აზრმა გაიმარჯვა და ამის შედეგად მოხერხდა წმ. მარკოზის ტაძრის სახსრების დაზოგვა, რაც, უსათუოდ, ალყაშემორტყმული პალაცოს დანგრეული ნაწილების აღდგენას დასჭირდებოდა. მაგრამ ეს აზრი ყველამ როდი გაიზიარა. სინიორ ლოდოვიკოს კაცებს უყოყმანოდ რომ დაეწყოთ იერიში, შეტაკების წარმატებით დაგვირგვინება ფრიად საეჭვო იქნებოდა. ესენი ძველი ჯარისკაცები იყვნენ. თოფის წამალიც ჰქონდათ, საომარი საჭურველიც; მათ გააჩნდათ სიმამაცე, და, რაც მთავარია, ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იყვნენ გამარჯვებით. თუ დამარცხდებოდნენ კიდეც, განა არ ერჩივნათ ტყვიით დახოცილიყვნენ, ვიდრე ჯალათის ხელით? თანაც ვის ეომებოდნენ? უბადრუკ, ომის საქმეებში გამოუცდელ მეალყეებს. ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ხელისუფალთ თავიანთი ლმობიერება და გულკეთილობა სანანებლად დარჩენოდათ.

და აი, მეალყეებმა პალაცოს კოლონადას ყუმბარები დაუშინეს, მერე კი უფრო მაღლა დაუმიზნეს და თანდათანობით დაანგრიეს ფასადის კედელი მის უკან. ამასობაში სახლში ჩასაფრებული კაცები გამალებით ისროდნენ სიათებს, მაგრამ მათი ნასროლით მხოლოდ ერთი ვიღაც დაიჭრა მხარში.

სინიორ ლოდოვიკო გაშმაგებული ყვიროდა: «დასცხე! დასცხე მაგათ! ომია! ომი!» გამწარებული ტყვიებს ასხამდა კალის ჭურჭლისაგან და სარკმელთა ტყვიის ალათებისაგან, თან იმუქრებოდა, შეტევაზე გადმოვალო, მაგრამ მეალყეები სხვა გზას დაადგნენ. მათ უფრო მსხვილი კალიბრის ზარბაზნები წამოსწიეს წინ.

პირველივე ბათქზე შენობის დიდი ნაწილი ჩამოინგრა და კედლის ნამსხვრევებს კამერინოელი პანდოლფო ლეუპრატიც თან ჩამოჰყვა. ეს ყველასათვის ცნობილი ყაჩაღი ძალიან მამაცი ვაჟკაცი იყო. იგი ვიჩენცო ვიტელის მკვლელობის გამო პაპის სამფლობელოდან იყო გაძევებული, ხოლო მისი თავი ფრიად პატივცემულ სინიორ ვიტელის მიერ ოთხას პიასტრად იყო შეფასებული. ზემოხსენებული პანდოლფო და მისი მეგობრები ვიჩენცო ვიტელის თავს დასხმოდნენ, როცა ის ეტლით მიემგზავრებოდა და

თავად ლოდოვიკო ორსინის განკარგულებით ხანჯლებით აეკუწათ. ჩამოვარდნით გაოგნებულ პანდოლფოს განძრევის თავი აღარ ჰქონდა. სენატის ერთ-ერთი მსახური, დაშნით შეიარაღებული კაიდი ლისტა მას მივარდა და მარდად მოჰკვეთა თავი, რომელიც სასწრაფოდ ციხე-სიმაგრეში წაიღო და ხელისუფალთ მიართვა.

ამას კიდევ მოჰყვა ზარბაზნის ბათქი და კედლის მეორე ნაწილიც ჩამოანგრია. კედელთან ერთად ჩამოვარდა პერუჯიელი კონტი დი მონტემელინო, რომელიც ყუმბარისაგან მთლად დაფლეთილი, ნანგრევებში დაიღუპა.

შემდგომ ამისა, სახლიდან გამოვიდა ვინმე პოლკოვნიკი ლორენცო, კამერინოელი აზნაური, მეტად მდიდარი კაცი, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა დამტკიცებული თავისი ვაჟკაცობა და თავადის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მას გადაეწყვიტა, ისე არ მომკვდარიყო, სანამ მტრის ჯავრს არ იყრიდა. პოლკოვნიკ ლორენცოს სიათა უნდოდა ესროლა, და კიდევაც მოახერხა იარაღის მომარჯვება, მაგრამ, ალბათ, ეს ღვთის ნება იყო, თოფმა უმტყუნა და იმავე წუთში თვითონ დაეცა განგმირული. ეს ტყვია ისროლა ერთმა ბეჩავმა სკოლის მასწავლებელმა სან-მიქელედან, მაგრამ როცა ეს უკანასკნელი მოკლულისკენ გაეშურა თავის მოსაკვეთად იმ იმედით, რომ დაპირებულ თანხას მიიღებდა, სხვებმა, უფრო ყოჩაღებმა და, რაც მთავარია, მასზე უფრო ღონივრებმა, დაასწრეს, მოიტაცეს პოლკოვნიკის ქისა, ქამარი, თოფი, ფული და ბეჭდები, და თავიც მოჰკვეთეს.

როცა ეს ადამიანები დაიხოცნენ, ვისზეც თავადი ლოდოვიკო ყველაზე დიდ იმედებს ამყარებდა, ის სულით დაეცა და აშკარა გახდა, რომ სულ აღარ აპირებდა ხელის განძრევას. სინიორ ფილენფიმ, სამოქალაქო ტანსაცმლით შემოსილმა მისმა მოურავმა და მდივანმა, აივანზე თეთრი ცხვირსახოცი ააფრიალა, რაც დანებების ნიშანი იყო; მერე ქუჩაში გამოვიდა და, თანახმად სამხედრო წესისა, ქალაქის ხელისუფალთა მთავარსარდალმა ანსელმო სუარდომ ხელკავი გაუყარა და ციხე-სიმაგრეში მიიყვანა. სინიორ ფილენფი მაშინვე დაჰკითხეს და მანაც განაცხადა, - სრულიად არა ვარ დამნაშავე იმაში, რაც მოხდა, ვინაიდან მხოლოდ შობის უქმის ძალზე დავბრუნდი ვენეციიდან, სადაც თავადის საქმეებმა შემაყოვნეს რამდენიმე დღითო.

მას ჰკითხეს, რამდენი კაცი ჰყავს თავადსო.

_ ოცი თუ ოცდაათი, _ მიუგო ფილენფიმ.

როცა მათი გვარების დასახელება მოსთხოვეს, ფილენფიმ მიუგო, - მათგან ცხრა თუ ათი კაცი ჩემსავით დიდგვაროვანნი არიან, თავადის სუფრაზე სადილობენ და ამიტომ

ვიცი მათი გვარები, ხოლო დანარჩენნი კი ამას წინათ მოსული მაწანწალები არიან და მათ სრულიად არ ვიცნობო.

პოლკოვნიკ ლივეროტოს ძმის ჩათვლით მან ცამეტი კაცი დაასახელა.

მალე ქალაქის გალავანზე დაყენებული ზარბაზნებიც აგრიალდნენ. თავადის კაცები რომ ხელიდან არ გაეშვათ, ჯარისკაცები მეზობელ სახლებში გამაგრდნენ. ზემოხსენებულმა თავადმა, რომელსაც ისეთივე საშიშროება ელოდა, რაც იმ სამს, რომელთა სიკვდილი ზემოთ აღვწერეთ, თავის კაცებს უთხრა, - მაგრად იყავით, ვიდრე ჩემი ხელით დაწერილ წერილს არ მიიღებთ პირობითი ნიშნითო. შემდეგ იმ ანსელმო სუარდოს დანებდა, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. მაგრამ ვინაიდან ქუჩებში ხალხის ტევა აღარ იყო და ბარიკადებიც აღემართათ, სინიორ ლოდოვიკო ეტლით ვერ წაიყვანეს, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ. გადაწყდა, რომ ის ფეხით წავიდოდა.

თავადი ლოდოვიკო მარჩელო აკორამბონის კაცებით გარშემორტყმული მიაბიჯებდა. გვერდით მისდევდნენ სინიორ condottier-ები, ანსელმო სუარდო, სხვა სარდლები და ქალაქის თავად-აზნაურნი. ყველა კარგად იყო შეიარაღებული. მათ მისდევდა მოქალაქეთა და ჯარისკაცთა მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმი. სინიორ ლოდოვიკოს მუქი ტანისამოსი ეცვა, წელზე დაშნა ეკიდა, მხარზე ლაბადა ჰქონდა მოხდენილად მოგდებული. მან დამცინავი ღიმილით თქვა: «შებრძოლება რომ მომენდომებინაო!» რითაც, ალბათ, უნდოდა ეთქვა, აუცილებლად გავიმარჯვებდიო. როცა ის ქალაქის ხელისუფალთა წინაშე წარსდგა, სალამი მისცა და უთხრა:

_ სინიორებო, მე ამ აზნაურის ტყვე გახლავართ, _ და ანსელმოზე მიუთითა, _ და დიდად გული მტკივა ყველაფერზე, რაც მოხდა. მაგრამ ამაში მე ბრალი არ მიმიძღვის.

მცველთა უფროსმა განკარგულება გასცა თავადისათვის ჩამოერთმიათ დაშნა, წელზე რომ ეკიდა. მაშინ თავადი აივნის მოაჯირს მიეყრდნო და პატარა მაკრატლით, იქ რომ იდო, ფრჩხილების დაქნას შეუდგა.

ჰკითხეს, კიდევ ვინ იყო თქვენთან ერთად სახლშიო. სხვათა შორის, მან დაასახელა პოლკოვნიკი ლივეროტო და კონტი დი მონტემელინო, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, და დასძინა, პირველის გამოსასყიდად ათი ათას პიასტრს არ დავიშურებდი, მეორისთვის კი საკუთარ სისხლს გავიღებდიო. მერე მოითხოვა ისეთი სადგომი მიეცათ, რომელიც მისი წოდების ადამიანს შეეფერებოდა. როცა თანხმობა მიიღო, თავის კაცებს საკუთარი ხელით მისწერა, იარაღი დაჰყარეთო, და პირობით ნიშნად წერილს თავისი ბეჭედი დაასვა. სინიორ ანსელმოს უთხრა, ჩემს სიათას და ხმალს შენ გიბოძებო და

სთხოვა, როცა ჩემს სახლში ამ იარაღს ნახავ, თუ გიყვარვარ, შენ თვითონვე იხმარე, ვინაიდან ეს იარაღი დიდგვაროვანი კაცისაა და არა უბრალო ჯარისკაცისო.

ჯარისკაცები სახლში შეცვივდნენ და გულდასმით გაჩხრიკეს. თავადის კაცები გამოძახების შემდეგ წყვილ-წყვილად ციხის სატუსაღოში წაიყვანეს. ოცდათოთხმეტი კაცი აღმოჩნდა. დახოცილები ძაღლების საჯიჯგნად დააგდეს და სასწრაფოდ ყოველივე ვენეციას შეატყობინეს.

ბოროტმოქმედების თანამონაწილე თავად ლოდოვიკოს კაცებიდან ბევრმა მოახერხა მიმალვა. ხელისუფლებმა ხალხს მათთვის თავშესაფრის მიცემა აუკრძალეს და სახლების დანგრევითა და ქონების ჩამორთმევით დაემუქრნენ. ყოველი გაქცეულის დასაჭერად ორმოცდაათი პიასტრი დაინიშნა ჯილდოდ. ამ გზით რამდენიმე კაცი ჩაიგდეს ხელში.

ვენეციიდან კანდიაში სინიორ ლატინო ორსინისთან ფრეგატი გაიგზავნა ბრძანებით, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყო ფრიად საჭირო საქმეზე. ფიქრობდნენ, თანამდებობას დაკარგავსო.

გუშინ დილას, წმ. სტეფანეს დღეს, ყოველი კაცი ელოდა, რომ ზემოხსენებულ თავად ლოდოვიკოს დასჯის მოწმე გახდებოდა, ან იმას მაინც გაიგონებდა, სატუსაღოში გაგუდესო. და ყველას გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ ეს არ მოხდა, რამეთუ ასეთი ჩიტი არ შეიძლება დიდხანს დარჩეს გალიაში. მაგრამ მეორე ღამეს სასამართლო შედგა და წმ. იოანეს დღეს, განთიადამდე ცნობილი გახდა, რომ ხსენებული სინიორი მოაშთვეს და ის სიკვდილისათვის სათანადოდ შემზადებული გარდაიცვალა. მისი გვამი მაშინვე ტაძარში იქნა გადატანილი ამ ეკლესიის სასულიერო პირთა და იეზუიტ მამათა თანხლებით. გვამი მთელ დღეს მაგიდაზე იდო შუა ეკლესიაში, გამოუცდელი ხალხის ჭკუის სასწავლებლად და ბრბოს სასეიროდ.

თავადის ანდერძის თანახმად, მეორე დღეს მისი გვამი ვენეციაში წაიღეს და იქ მიაბარეს მიწას.

შაბათს მისი ორი კაცი ჩამოახრჩვეს. პირველი _ ფურიო სავორნიანო მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, მეორე კი _ ერთი დაბალი წოდების კაცი.

ორშაბათს, იმავე წლის წინაუკანასკნელ დღეს, ცამეტი კაცი ჩამოახრჩვეს, მათ შორის, რამდენიმე ფრიად დიდგვაროვანნიც. ამათ გარდა, ორნი, კაპიტანი სპლენდიანო და კონტი პაგანელო მოედანზე გაატარეს და გახურებული შანთებით აწამეს. როცა დასასჯელ ადგილზე მიიყვანეს, სასტიკად სცემეს, თავის ქალები ჩაუმტვრიეს და მერე, სულთმობრძავებს, შაყი ჰკრეს. ეს წარჩინებული ადამიანები, ვიდრე ბოროტი სული

დაეუფლებოდათ, ფრიად მდიდრები იყვნენ. ამბობენ, თითქოს სწორედ კონტი პაგანელო იყო სინიორა ვიტორია აკორამბონის მკვლელი და მან გამოიჩინა ის სისასტიკე, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. ზოგიერთი კი ამ აზრს არ იზიარებს და ამბობს, რომ თავადი ლოდოვიკო თავის წერილში ირწმუნებოდა, საკუთარი ხელით მოვკალი ეს ქალიო, მაგრამ, შესაძლებელია, ეს მან პატივმოყვარეობის გამო განაცხადა, ისევე როგორც რომში ირწმუნებოდა, მე მოვაკვლევინე ვიტელიო. შესაძლებელია, იმის გამოც თქვა, რომ უფრო მეტად მოეგო თავად ვირჯინიო ორსინის გული.

კონტ პაგანელოს, ვიდრე სასიკვდილოდ განგმირავდნენ, მარცხენა ძუძუს ქვემოთ რამდენჯერმე დაჰკრეს ხანჯალი, რათა გულში მოეხვედრებინათ, როგორც თვითონ უყო უბედურ სინიორა ვიტორიას. გულიდან მას სისხლის ღვარი წასკდა. ყველა განცვიფრებული იყო, რომ ამის შემდეგ მან კიდევ ნახევარ საათს იცოცხლა. ეს ორმოცდახუთი წლის კაცი, ეტყობოდა, ძლიერი აღნაგობისა იყო.

სახრჩობელები ისევ დგას, ვინაიდან დღესასწაულის შემდეგ პირველივე დღეს დანარჩენი ცხრამეტი კაცი უნდა დაესაჯათ. მაგრამ იმის გამო, რომ ჯალათი საშინლად დაიღალა, ხალხი კი ამოდენა სიკვდილიანობის გამო მეტად დათრგუნვილიყო, სიკვდილით დასჯა ორი დღით გადაიდო. საეჭვოა, რომელიმე დამნაშავეს სიცოცხლე შეუნარჩუნონ; შეიძლება, გამონაკლისი გახდეს თავად ლოდოვიკოს ერთ-ერთი დაახლოებული კაცი - სინიორ ფილენფი, მისი მოურავი, რომელიც ლამის ნემსის ყუნწში გაძვრეს, _ და ეს სავსებით გასაგებიცაა, _ ისე ცდილობს დაამტკიცოს, არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია მომხდარ ამბავშიო.

პადუის თვით ყველაზე უხუცეს მოქალაქეთაც კი არ ახსოვთ, რომ ოდესმე სასამართლოს ამაზე უფრო სამართლიანი განაჩენით მიესაჯოს სიკვდილი ერთდროულად ამოდენა ხალხისთვის. და ამ სინიორებმა (ვენეციელებმა) კეთილი სახელი და დიდება მოიპოვეს ყველაზე ცივილიზებულ ერებს შორის.

ბოლოს სხვა ხელითაა მიწერილი:

ფრანჩესკო ფილენფის, მდივანსა და maestro di casa-ს, თხუთმეტი წლის პატიმრობა მიესაჯა. მერიქიფეს (coppiere) ონორიო ადამი დი ფერმოს და კიდევ ორ სხვა კაცს _ ერთი წლის პატიმრობა. შვიდი კაცი კატორღაში გაგზავნეს ფეხის ბორკილებით, შვიდი კაცი კი გაათავისუფლეს.

SUORA SCOLASTICA

ამბავი, რომელმაც 1740 წელს მთელი ნეაპოლი ააღელვა

წინასიტყვაობა

ნეაპოლში, სადაც 1824 წელს მომიხდა ყოფნა, საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობდნენ Suora Scolastica-სა და კანონიკ ჩიბოს თავგადასავალზე. მე ყველაფერს დიდი ცნობისმოყვარეობით ვეკიდებოდი და ადვილი წარმოსადგენია, როგორ ჩავეძიებოდი ამ ამბავს. მაგრამ არავის სურდა ცოტად თუ ბევრად გარკვევით მოეთხრო ჩემთვის ეს ამბავი: ყველას სახელის შერცხვენისა ეშინოდა.

ნეაპოლში პოლიტიკაზე არასოდეს ლაპარაკობენ გულახდილად. და აი, ამის მიზეზი: ნეაპოლელი ოჯახი, რომელშიც, მაგალითად, შედის სამი ვაჟიშვილი, ერთი ქალიშვილი, დედა და მამა, სამ სხვადასხვა პარტიას მიეკუთვნება, რომლებსაც ნეაპოლში შეთქმულთა პარტიებს უწოდებენ. ამრიგად, ქალიშვილი თავისი შეყვარებულის პარტიაში შედის, თითოეული ვაჟიშვილი სხვადასხვა პარტიის წევრია, ხოლო დედა და მამა ოხვრით იგონებენ იმ ხელმწიფის კარს, რომელიც მაშინ მეფობდა, როცა ისინი ოცი წლისანი იყვნენ. ოჯახის წევრების ასეთი გათიშულობის შედეგი ის არის, რომ პოლიტიკაზე თავის დღეში სერიოზულად არ ლაპარაკობენ. ერთი ბეწო გაბედულ ან საზღვარს გადაცილებულ მსჯელობაზე თქვენ დაინახავთ, თუ როგორ გაუფითრდება სახე დამსწრეთაგან ორ-სამ კაცს.

საზოგადოებაში ამ უცნაური სახელწოდების ამბის შესახებ შეკითხვებით ვერა გავაწყვე რა და ვიფიქრე, რომ Suora Scolastica-ს ამბავი იმ საშინელ შემთხვევას უნდა ჰგავდეს, რომელიც, მაგალითად, 1820 წელს მოხდა.

ერთმა ორმოცი წლის ულამაზო, მაგრამ ყოველმხრივ მოსაწონმა ქვრივმა მანდილოსანმა თავისი პატარა სახლის ნახევარი მომაქირავა, ერთ ვიწრო შუკაზე რომ მდებარეობდა კაიას საუცხოო ბაღისაგან ასიოდე ნაბიჯზე. ეს იყო იმ მთის ძირში, რომელსაც ყოფილი მეფის მეუღლის, დედოფალ ფლორიდას ვილა ამშვენებს. ეს, შესაძლებელია, ერთადერთი ცოტად თუ ბევრად მშვიდი უბანი იყო ნეაპოლში.

ჩემს ქვრივს ერთი მოხუცი თაყვანისმცემელი ჰყავდა, რომელსაც მე მთელი ერთი კვირის განმავლობაში ველოლიავებოდი. ერთ დღეს, როცა ქალაქში ერთად დავხეტიალობდით და ის მაჩვენებდა ადგილებს, სადაც ლაცარონები ებრძოდნენ გენერალ

შამპიონეს ჯარებს და სადაც ცოცხლად დაწვეს კონტი დე***, მე ჩემს თანამგზავრს შეპარვით ვკითხე, საიდუმლოების ბურუსში რად ხვევენ Suora Scolastica-სა და კანონიკ ჩიბოს ამბავს-მეთქი.

მან მშვიდად მიპასუხა:

_ დუკებისა და თავადების ტიტულებს, ამ ამბის გმირებს რომ ეპყრათ, ჩვენს დროში მათი შთამომავალნი ატარებენ. უთუოდ არ ესიამოვნებათ მათი გვარების გარევა ყველასათვის ესოდენ სამწუხარო ტრაგიკულ ამბავში.

_ განა ეს ამბავი 1820 წელს არ მოხდა?

_ რასა ბრძანებთ? 1820 წელსო? _ შესძახა ჩემმა ნეაპოლელმა თანამგზავრმა და გადაიხარხარა, ასეთი უახლოესი თარიღი რომ ვთქვი. _ რა ბრძანეთ, 1820 წელსო? _ გაიმეორა მან იტალიელთათვის დამახასიათებელი ნაკლებად თავაზიანი სიმკვირცხლით, ასე რომ ეჩოთირება ზრდილი პარიზელის ყურს. _ თუ აგრე გინდათ დააზუსტოთ, მაშინ თქვით 1745 წელს-თქო, ერთი წლის შემდეგ ველეტრისთან ბრძოლისა, რამაც ჩვენს დიდ დონ კარლოსს ნეაპოლის მფლობელობა დაუმკვიდრა. ამ სახელმწიფოში მას კარლ VII-ს ეძახდნენ, ხოლო შემდგომში ესპანეთში, სადაც იმოდენა დიდი საქმეები ჩაიდინა, კარლ III-ს უწოდებდნენ. ჩვენ სამეფო სახლს სწორედ მისგან დაჰყვა ფარნეზეთა დიდი ცხვირი.

ჩვენს დროში ერიდებიან იმ არქიეპისკოპოსის ნამდვილი სახელის ხსენებას, რომელიც მთელი ნეაპოლის ხალხს თავზარსა სცემდა, სანამ მასაც თავზარი არ დასცა საბედისწერო სახელმა «ველეტრი»-მ. გერმანელები ველეტრის გარშემო მთაზე ჩასაფრდნენ და ცდილობდნენ ჩვენი დიდი დონ კარლოსი ჯინეტის სასახლეში მოეხელთებინათ, სადაც ის ცხოვრობდა.

ამბობენ, თითქოს ეგ მოთხრობა, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, ერთმა ბერმა დაწერა. ახალგაზრდა მონაზონი, რომელსაც Suora Scolastica-ს უწოდებენ, დუკა დე ბისინიანოს ოჯახს ეკუთვნოდა. თვითონ ავტორი უდიდეს სიძულვილს ამჟღავნებდა მაშინდელი არქიეპისკოპოსისადმი, დიდი პოლიტიკოსისადმი, რომელმაც მთელი ეს საქმე კანონიკ ჩიბოს მიანდო. შესაძლებელია, ბერს მფარველობას უწევდა ახალგაზრდა დონ ჯენარინო, მარკიზ დე ლას ფლორესების გვარიდან, რომელზეც ხმები დადიოდა, თითქოს თვითონ დონ კარლოსს, ფრიად გალანტურ მეფეს, ეცილებოდა როზალინდის გულის მოპოვებაში და აგრეთვე მოხუც დუკა ვარგას დელ პარდოს, რომელიც თავისი დროის ყველაზე მდიდარი კარის დიდებულად ითვლებოდა. ამ ზარდამცემ მოვლენებში უთუოდ ბევრი ისეთი რამ ერია, რის აღწერასაც შეეძლო შეურაცხყოფა მიეყენებინა ზოგიერთი, 1750

წელს ჯერ კიდევ გავლენიანი პიროვნებისათვის: ამიტომაა, მათი თანამედროვე ბერი რომ ამ ამბების აღწერისას ძალიან ცდილობს შენიღბულად ილაპარაკოს. გაგაკვირვებთ მისი მრავალსიტყვაობა. ის განუწყვეტლივ გიმასპინძლდებათ, ცხადია, მაღალზნეობრივი, მაგრამ სრულიად არაფრისმთქმელი, ყოვლად ცნობილი ჭეშმარიტებებით. ხშირად უნდა დახუროთ ხელნაწერი, რათა დაუფიქრდეთ, რისი თქმა უნდოდა კეთილ მამას. მაგალითად, როცა დონ ჯენარინოს სიკვდილის აღწერაზე ჩერდება, ძნელად თუ გაიგებს კაცი, რისი თქმა უნდოდა.

შესაძლებელია, მოვახერხო რამდენიმე დღით გიშოვოთ ეს ხელნაწერი და აქ წაგაკითხოთ, რადგანაც ისეთი ძნელი დასაძლევია, რომ არ გირჩევთ მის შეძენას. ორი წლის წინათ ნოტარიუს ბ.-ს კანტორაში ჰყიდდნენ და ორ დუკატს ფეხს არ უცვლიდნენ.

ერთი კვირის შემდეგ უკვე ჩემს განკარგულებაში იყო ეს მართლაც დედამიწის ზურგზე ყველაზე ძნელად ასათვისებელი ხელნაწერი. ავტორი წამდაუწუმ სხვა გამოთქმებით ხელახლა იწყებს იმ ამბის თხრობას, რომელიც ის იყო, დაასრულა. საცოდავ მკითხველს კი ჰგონია, ავტორი რაღაც ახალ ამბავს ატყობინებს. ბოლოს ყველაფერი ისე აირევ-დაირევა, რომ უკვე ვეღარ ერკვევი, რაზეა საუბარი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ 1842 წელს მილანელი ან ნეაპოლელი, რომელსაც ფლორენციულ დიალექტზე მთელ თავის სიცოცხლეში ასი სიტყვაც კი არ უთქვამს ზედიზედ, საჭიროდ თვლის ეს მისთვის უცხო დიალექტი იხმაროს, როცა წიგნის დასტამბვა უნდა. პატივცემულ გენერალ კოლეტასაც, ჩვენი საუკუნის უდიდეს ისტორიკოსს, ეს ზნე სჭირდა, რაც ხშირად საგონებელში აგდებდა მის მკითხველს.

საშინელი ხელნაწერი «Suora Scolastica-ს» სახელწოდებით თითქმის სამას ათ გვერდს შეიცავდა. მახსოვს, რამდენიმე გვერდი გადავწერე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ აზრი კარგად გავიგე.

როცა კარგად გავეცანი ამ ამბავს, ჯიქურ აღარავის ვუსვამდი კითხვას. როს გრძელი ლაყბობით დავამტკიცებდი, რომ რომელიმე ფაქტი უკვე კარგად ვიცი, გულგრილი იერით მოვითხოვდი კიდევ რომელიმე სხვა ფაქტის გაშუქებასაც.

რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა დიდმა პიროვნებამ, რომელმაც ორი თვით ადრე უარი მითხრა ჩემს კითხვებზე ეპასუხა, ერთი პატარა სამოცგვერდიანი ხელნაწერი მიშოვა, რომელიც ამ ამბის თანმიმდევრული თხრობა არაა, მაგრამ ზოგიერთ ფაქტზე საკმაოდ სურათოვან წვრილმანებს იძლევა. ხსენებული ხელნაწერი გვაწვდის შმაგი ეჭვიანობის მართალ აღწერას.

თავადის მეუღლემ დონა ფერდინანდა დე ბისინიანომ თავისი მოძღვრისაგან, რომელიც არქიეპისკოპოსს მოესყიდა, მოულოდნელად გაიგო, რომ ახალგაზრდა დონ ჯენარინოს მასზე კი არა, მის გერ როზალინდზე შევარდნოდა გული.

თავადის მეუღლეს ეგონა, მისი მეტოქე მეფე დონ კარლოსს უყვარდა. მან დონ ჯენარინო დე ლას ფლორესს სასტიკი ეჭვი ჩაუნერგა და ამით ქალიშვილზე იძია შური.

* * *

როგორც თქვენთვის ცნობილია, 1711 წელს ლუი XIV-მ, როს ყველა უდიდესი თანატოლი შემოეფანტა და ქალბატონ დე მენტენონის ხელში ფრიად დაკნინდა, თავისი სულელური სიამაყის კარნახით ესპანეთში ბავშვი, ანჟუს დიუკი გაგზავნა სამეფოდ, რომელიც უფრო გვიან ფილიპე V გახდა, შმაგი, გულადი და ღვთისმლოცველი კაცი. უჯობდა კი, როგორც უცხოეთის სახელმწიფოები სთავაზობდნენ, საფრანგეთისთვის ბელგია და მილანის ოლქი შემოემტკიცებინა.

საფრანგეთს ბევრი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ მისმა მეფემ, რომელიც მანამდე იოლად მოპოვებულ წარმატებებსა და იაფფასიან დიდებას სჯერდებოდა, გასაჭირში ჭეშმარიტი სულიერი ახოვნობა გამოიჩინა. დენენის გამარჯვებამ და დიუშეს მალბოროს კაბაზე დაღვრილმა იმ ყაბადაღებულმა ჭიქა წყალმა საფრანგეთს საკმარისად სახელოვანი მშვიდობა მოუტანა.

სწორედ ამ დროს ფილიპე V, რომელიც ისევ ესპანეთის ტახტზე იჯდა, დაქვრივდა. ამ ამბავმა და ბერმონაზვნურმა სათნოებამ ფილიპე V თითქმის ჭკუაზე შეშალა. ასეთ დღეში მყოფმა მაინც მოახერხა პარმაში ერთ სხვენზე ეპოვნა, ესპანეთში წაეყვანა და მერე ცოლად შეერთო სახელგანთქმული ელისაბედ ფარნეზე. ამ დიდებულმა დედოფალმა გონივრულად გაართვა თავი ესპანეთის კარის ამპარტავნულ სისულელეებს, რაც ჯერ ევროპაში გახმაურდა, ხოლო მერე ესპანური ეტიკეტის პატივსაცემი სახელწოდებით ევროპის ყველა მეფის კარზე მიბაძვის საგანი გახდა.

დედოფალმა ელისაბედ ფარნეზემ თავისი ცხოვრების თხუთმეტი წელიწადი იმას მოანდომა, რომ დღეში ათ წუთზე მეტხანს თვალთაგან არ მოუშორებია თავისი გადარეული ქმარი. ამ მეფის კარს, მთელი თავისი დიდებულებისდა მიუხედავად ესოდენ უბადრუკი რომ იყო, მაღალნიჭიერი ჟამთააღმწერელი გამოუჩნდა _ ჭეშმარიტად ღრმა კრიტიკულად მოაზროვნე და ესპანური სულის პირქუში გენიით შთაგონებული დიუკ სენ სიმონი, ერთადერთი ისტორიკოსი, რომელიც კი დღემდე ფრანგულ გენიას წარმოუქმნია.

მას საინტერესო წვრილმანები მოჰყავს იმის შესახებ, თუ რა ძალ-ღონეს ხმარობდა დედოფალი ელისაბედ ფარნეზე იმისთვის, რათა ესპანეთის არმია როგორმე სალაშქროდ დაეძრა, და იმ ორი ვაჟიშვილიდან, რომლებიც მას ფილიპე V-თან ეყოლა, ერთისათვის იტალიის რომელიმე სამთავრო დაემტკიცებინა. ამ ხერხით მას შეეძლო აეცდინა სამწუხარო ცხოვრება, რომელიც ესპანეთის ქვრივ დედოფალს ელოდა და ფილიპე V-ის სიკვდილის შემდეგ თავშესაფარი ჰქონოდა.

ვაჟები, მეფეს პირველი ცოლიდან რომ დარჩა, მთლად ყეყეჩები იყვნენ, როგორც წმინდა ინკვიზიციის მიერ გამოზრდილ კანონიერ უფლისწულებს შეეფერებოდა. ამ ორ ვაჟთაგან რომელიც არ უნდა გამეფებლიყო, უთუოდ გამოუჩნდებოდა ისეთი ფავორიტი, ვინც თავის ჭკუაზე ატარებდა და კიდევაც დაარწმუნებდა, რომ პოლიტიკური საჭიროებისათვის აუცილებელი იყო დედოფალ ფარნეზეს საპყრობილეში ჩაგდება, რომლის მკაცრი კეთილგონიერება და მოქმედების უნარი დიაღაც ეხამუშებოდა ესპანურ სიზანტეს.

დედოფალ ელისაბედის უფროსი ვაჟიშვილი დონ კარლოსი 1734 წელს იტალიას გაემგზავრა. იოლად მოგებულმა ბრძოლამ ბიტონტოსთან მას ნეაპოლის სამფლობელოს ტახტი მოუპოვა. მაგრამ 1743 წელს ავსტრიამ მედგრად შემოუტია. 1744 წლის 10 აგვისტოს ის თავისი მცირერიცხოვანი ესპანური არმიით რომიდან თორმეტი ლიეს დაშორებით, პატარა ქალაქ ველეტრიში იდგა. მისი არმია დაბანაკებულიყო მთა არტემიზოს ძირში, რაღაც ორი ლიეს მანძილზე ავსტრიის ჯარისაგან, რომელიც უფრო ხელსაყრელ ადგილზე იყო განლაგებული, ვიდრე მისი ჯარი.

აგვისტოს თოთხმეტს, განთიადზე, დონ კარლოსს თავის საძინებელში მოულოდნელად თავს წაადგა ავსტრიელთა რაზმი. დუკა ლე ვარგას დელ პარდომ, რომელიც დედოფალმა, მიუხედავად ეზოს მოძღვართუხუცესის წინააღმდეგობისა, თავის ვაჟიშვილს მიუჩინა, დონ კარლოსს ფეხებში მოჰკიდა ხელი და ფანჯრის რაფაზე გადაათრია იატაკიდან ათი ფუტის სიმაღლეზე. ამ დროს კი ავსტრიელი გრენადერები კარს კონდახებით ამტვრევდნენ და რამდენადაც შეეძლოთ, პატივისცემით უყვიროდნენ მეფისწულს, გევედრებით, დაგვნებდიო.

ვარგასი მეფის შემდეგ გადახტა ფანჯარაში, ორი ცხენი მონახა, მეფე უნაგირზე შესვა და ინფანტერიისაკენ გაქუსლა, რომელიც მეოთხედ ლიეზე იყო დაბანაკებული.

_ თქვენი მეფე დაიღუპება, _ მიმართა მან ესპანელებს, _ თუ არ გაიხსენებთ, რომ ესპანელები ხართ. ორი ათასი ერეტიკოსი ავსტრიელი უნდა დავხოცოთ, რომელნიც თქვენი კეთილი დედოფლის ვაჟს ტყვედ უპირებენ ჩაგდებას.

ამ ორიოდ სიტყვამ გამოაფხიზლა ესპანელთა გულადობა. დაიწყეს იმით, რომ ერთიანად გაჟლიტეს ველეტრიდან უკან წამოსული ავსტრიელთა ოთხივე რაზმი, რომლებსაც მეფეზე მოულოდნელი თავდასხმა ჰქონდათ განზრახული. საბედნიეროდ, ვარგასმა ერთი ძველი გენერალი იპოვა, რომელსაც თავშიც არ მოსვლია უცნაური აზრი, გულად ესპანელთა რისხვა ოსტატური მანევრირებით შეენელებინა და არც იმაზე უფიქრია, რა სისულელე იყო 1744 წელს ამგვარად ომის წარმოება. ერთი სიტყვით, ველეტრისთან ბრძოლაში სამი ათასი ავსტრიელი ჯარისკაცი დახოცეს.

ამის შემდეგ დონ კარლოსი ნეაპოლის სამფლობელოს ჭეშმარიტი მეფე გახდა.

დედოფალმა ფარნეზემ ერთ-ერთი თავისი ფავოროტი გაგზავნა დონ კარლოსთან, რომელიც მხოლოდ ნადირობას იყო გადაგებული და დააბარა, ნეაპოლის მცხოვრებთ ავსტრიელები ჭირის დღესავით ეჯავრებათ თავიანთი წვრილმანი ხასიათისა და კრიჟანგობის გამოო.

_ იმ ვაჭრებს, ერთთავად რომ უნდობლობას იჩენენ და წუთიერი შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებიან, რამდენიმე მილიონით მეტი გამოართვით, ვიდრე საჭიროა. მერე თავიანთივე ფულით გაართეთ, ოღონდ კი დოყლაპია მეფე ნუ იქნებით.

მართალია, დონ კარლოსი მღვდლების მიერ იყო გაზრდილი ეტიკეტის მთელი სიმკაცრით, მაგრამ ჭკუა არ აკლდა. თავის კარზე ბრწყინვალე ადამიანები შემოიკრიბა, მოახერხა არნახულ წყალობათა გაცემით თავისთან მიეზიდა დიდგვაროვანი ახალგაზრდები, რომელთაც მაშინ დაამთავრეს სასწავლებელი, როცა ის პირველად ჩამოვიდა ნეაპოლში და ველეტრისთან ბრძოლის დღეს მხოლოდ ოცი წლისანი იყვნენ. ბევრმა ამ ყმაწვილთაგან ავსტრიელთა მოულოდნელი თავდასხმის დროს თავი დადო ველეტრის ქუჩებში, რათა მათსავით ახალგაზრდა მათი მეფე ავსტრიელებს არ ჩავარდნოდა ხელში.

მეფემ მოისყიდა იმ შეთქმულების მონაწილენი, რომელსაც ავსტრია მის წინააღმდეგ აწყობდა და სარგებელიც ნახა. მისი მოსამართლეები საზიზღარ გამცემლებად აცხადებდნენ ყველა რეგვენს, ვინც იმისთვის იყო გაჩენილი, რომ მიმხრობოდა ყველა ხელისუფლებას, რომელსაც მხოლოდ რამდენსამე წელიწადს ეწერა არსებობა.

დონ კარლოსი სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის ბრძანებას არ იძლეოდა, მაგრამ მრავალი საუცხოო მამულის ჩამორთმევას კი დასტური მისცა. ნეაპოლელთა გენიამ, რომელსაც თანდაყოლილი სიყვარული ახასიათებს ფუფუნებისა და ბრწყინვალებისადმი, კარის დიდებულებს უკარნახა, თავიანთი ახალგაზრდა მეფისათვის თავი რომ მოეწონებინათ, ხელგაშლილნი ყოფილიყვნენ. მეფემ გაკოტრების საშუალება მისცა ყველა დიდებულს, რომლებზეც მისმა მინისტრმა ტანუჩიმ უთხრა, ავსტრიის სამეფო კართან აბამენ საიდუმლო კავშირსო. მეფეს წინააღმდეგობას უწევდა ნეაპოლის არქიეპისკოპოსი აკვავივა, ერთადერთი ნამდვილად საშიში მტერი, რომელსაც დონ კარლოსი თავის ახალ სახელმწიფოში შეხვდა.

1745 წლის ზამთარში ველეტრის ბრძოლის შემდეგ დონ კარლოსმა ჭეშმარიტად დიდებული დღესასწაულები გამართა, რამაც მას ნეაპოლელთა გული იმდენადვე მოუნადირა, რამდენადაც მისმა სამხედრო გამარჯვებებმა. სიმშვიდე და დოვლათიანობა აღსდგა ყველგან.

როცა მეფის კარზე საზეიმო დღეებმა და ხელზე ამბორის ცერემონიალმა მოაწია, სასახლეში მეფის დაბადების დღესთან დაკავშირებით რომ უნდა გადაეხადათ, კარლოს III-მ თავის დიდებულებს, რომლებიც, როგორც მისთვის ცნობილი იყო, მისი ერთგულნი იყვნენ, საუცხოო მამულები დაურიგა. მახლობელთა შორის მეგობრულ საუბარში დონ კარლოსი, ვისაც მეფობის უნარი გააჩნდა, მასხარად იგდებდა არქიეპისკოპოსის საყვარლებსა და ხანშიშესულ მანდილოსნებს, ვინც ავსტრიის უგვანო ბატონობას მისტიროდნენ.

მეფემ დუკას წოდება უბოძა ორ-სამ ახალგაზრდა თავადს, ვისი ხარჯებიც მათ შემოსავალს აღემატებოდა. დონ კარლოსს, ბუნებით დიდსულოვან ადამიანს, საშინლად სძულდა ისეთი ხალხი, ვინც ავსტრიელთა მსგავსად ფულის დაგროვებას ცდილობდა.

ახალგაზრდა მეფე ჭკუისა და ამაღლებული გრძნობების პატრონი იყო. ყოველ თავის სიტყვას გარკვევით წარმოთქვამდა, ხოლო მდაბიო ხალხი გაკვირვებას იყო, რომ ხელისუფლება მას ყოველთვის ცუდად არ ეპყრობოდა. ხალხს მეფის დღესასწაულები უყვარდა და შეეჩვია ბეგარის გადახდას, რომლის შემოსავალი ყოველ ექვს თვეში მადრიდსა და ავსტრიაში კი არ იგზავნებოდა, არამედ ნაწილობრივად მხიარულების მოყვარე ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს ურიგდებოდა. ამაოდ ცდილობდა არქიეპისკოპოსი აკვავივა ბერიკაცებისა და ხანდაზმული ქალბატონების დახმარებით ქადაგებებში გადაკრულად მიეთითებინა, მეფის კარზე მიღებული ცხოვრების წესი სახელმწიფოს

საშინელ განადგურებამდე მიიყვანსო. ყოველთის, როცა მეფე ან დედოფალი სასახლიდან გამოდიოდნენ, მისალმებისა და სიხარულის შეძახილები ხალხში მეოთხედი ლიეს მანძილიდან მოისმოდა. შეუძლებელია აღიწეროს, თუ რა ჟივილ-ხივილი იდგა ამ ისედაც მყვირალა ხალხში, რომელიც ამავე დროს ნამდვილად კმაყოფილი იყო.

* * *

იმ ზამთარს, ველეტრისთან ბრძოლის შემდეგ, მრავალი ფრანგი კარის დიდებული ჩამოვიდა რომში, რათა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად იქ ზამთარი გაეტარებინა. სასახლეში ყველანი სიამოვნებით მიიღეს. ყველაზე მდიდარი კარისკაცები თავს მოვალედ თვლიდნენ, ისინი ყველა თავიანთ მეჯლისებზე მიეწვიათ. ძველისძველი ესპანური სიდარბაისლე და ეტიკეტის სიმკაცრე, რაც სრულიად კრძალავდა დილის ვიზიტებს ახალგაზრდა ქალებთან და გადაჭრით უშლიდა ქალებს კაცების მიღებას მათი ქმრების მიერ არჩეული ორი-სამი დუენიას დაუსწრებლად, თითქოს ოდნავ შენელდა ფრანგთა მსუბუქი ზნე-ჩვეულებების გავლენით. რვა თუ ათი იშვიათი მზეთუნახავი საყოველთაო თაყვანისცემას იყოფდნენ ერთმანეთში. მაგრამ ახალგაზრდა მეფე, ფაქიზი მცოდნე სილამაზისა, ირწმუნებოდა, ჩემს კარზე ყველაზე ლამაზი ქალი თავად დე ბისინიანოს ქალიშვილი, ახალგაზრდა როზალინდიაო. ეს თავადი, ავსტრიის ყოფილი გენერალი, მეტად პირქუში და ფრთხილი ადამიანი, არქიეპისკოპოსს თავის კაცად ჰყავდა მიჩნეული. მას ველეტრის ბრძოლამდე, დონ კარლოსის მეფობის ოთხი წლის განმავლობაში, ერთხელაც არ შეუდგამს ფეხი მეფის სასახლეში. მეფეს თავადი ბისინიანო მხოლოდ ორი ხელზე ამბორის დღეს ჰყავდა ნანახი: ერთხელ მისი დაბადების დღეს, მეორეჯერ მისი წმინდანის დღეს, რომლებზე დასწრებაც ყველა კარის დიდებულს ვალდებულებად ეთვლებოდა. მაგრამ მეფის მიერ გამართული საუცხოო ზეიმები იმათ ოჯახებსაც კი იზიდავდა, ვინც, როგორც მაშინ ამბობდნენ ნეაპოლში, «ავსტრიის კანონთა» ერთგული იყო. თავადმა ბისინიანომ ძალაუნებურად დაუთმო თავის მეორე ცოლის, დონა ფერდინანდას დაბეჯითებით თხოვნას, სასახლეში ეარა თავის ქალიშვილთან, მშვენიერ როზალინდთან ერთად, რომელიც მეფე დონ კარლოსმა თავისი სახელმწიფოს ყველაზე ლამაზ ქალად გამოაცხადა.

თავად ბისინიანოს პირველი მეუღლისგან სამი ვაჟი ჰყავდა და ბევრი ზრუნვაც უხდებოდა, რომ მათთვის საზოგადოებაში საკადრისი მდგომარეობა მოეპოვებინა. დუკასა თუ თავადის წოდებები, მისი ვაჟები რომ ატარებდნენ, მეტად გაზვიადებული ეჩვენებოდა

იმ მცირე ქონებასთან შედარებით, რაც მათთვის შეეძლო დაეტოვებინა. ეს მწარე ფიქრები კიდევ უფრო მტკივნეული გახდა, როცა დედოფლის დღეობის პატივსაცემად მეფემ მრავალ ახალგაზრდა კაცს თავის ჯარში სუბლეიტენანტის წოდება მიანიჭა. თავად ბისინიანოს ვაჟები მათ რიცხვში არ აღმოჩნდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ არაფერი უთხოვიათ. მაგრამ, როცა დიდი დღესასწაულის მეორე დღეს მშვენიერი როზალინდი და მისი დედინაცვალი სასახლეში მივიდნენ წვეულებაზე, დედოფალმა, რომელმაც შეამჩნია, რომ უკანასკნელად სასახლის თამაშების დროს როზალინდს არავითარი ნივთი არ ჰქონდა ფანტად მისაცემი, ყმაწვილ ქალს უთხრა:

_ თუმცა ახალგაზრდა ქალები ალმასებს არ ატარებენ, მაგრამ რაკი საჩუქარი თქვენი დედოფლის მეგობრული გრძნობების საწინდარია და მისი შეუვალი ნება-სურვილია, იმედი მაქვს, ამ ბეჭდის ტარებაზე უარს არ იტყვით.

და ალმასით შემკული ბეჭედი მისცა, რომლის ღირებულება რამდენიმე ასეულ დუკატს უდრიდა.

ამ ბეჭედმა მოხუცი თავადი ბისინიანო დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. მისი მეგობარი არქიეპისკოპოსი დაემუქრა, რომ ის თავისი ეპარქიის ყველა მღვდელს უბრძანებდა აღდგომის დროს ცოდვები არ შეენდოთ თავადის ქალის როზალინდისთვის, უკეთუ ის ესპანური ბეჭდის ტარებას დაიწყებდა.

თავადმა თავისი ძველი მოძღვრის რჩევით არქიეპისკოპოსს შესთავაზა mezzo termine-ს სახით იმ ბეჭდის ასლი გაეკეთებინათ და შიგ ჩაესვათ ალმასი სამემკვიდრო სამკაულებიდან, რომლებიც ერთი თავადის მეუღლისგან მეორეზე გადადიოდა გვარიდან გვარში. დონა ფერდინანდამ შორს დაიჭირა ეს ამბავი.

როგორ თუ ჩემი სამკაულების ზარდახშას ძარცვავენო, განრისხდა და თავისი ალმასის დედოფლის ნაჩუქარი ბეჭდით შეცვლა მოითხოვა; მაგრამ მოხუცმა დუენიამ, რომელიც ბისინიანოთა სახლის კამარილას ედგა სათავეში, თავადს ყურში ჩააწვეთა, თუ როზალინდის ბეჭედს საგვარეულო სამკაულებში შეინახავენ, თქვენი სიკვდილის შემდეგ როზალინდს თავის ბეჭედს აღარავინ დაუბრუნებსო. ბერიკაცმა იაზრა, დედოფალმა რომ ეს სიყალბე შეამჩნიოს, ჩემი ქალი ვეღარ შეძლებს წმინდა ჯენაროს სისხლზე დაიფიცოს, ბეჭედი ისევ მე მაქვსო, თუმცა როზალინდს ამის დამტკიცება ადვილად შეეძლო, თუ მამამისის პალაცოში გაიქცეოდა მის მისატანად.

ეს დავა, რასაც თვითონ როზალინდი გულთან არ იკარებდა, კარგი ორი კვირის განმავლობაში აღელვებდა თავადის მთელ ჯალაბს. ბოლოს, თავადის მოძღვრის რჩევით, დედოფლის ნაჩუქარი ბეჭედი ოჯახის უხუცეს დუენიას _ ლიტას გადაეცა შესანახად.

წარჩინებული ნეაპოლელები თავიანთ თავს დამოუკიდებელ მთავრებად თვლიან ხოლმე და ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ინტერესები აქვთ. ამის შედეგად ძმებსა და დებს ერთმანეთისადმი არავითარი სიყვარულის გრძნობა არ გააჩნიათ და მათი ინტერესები მუდამ მათივე პოლიტიკის მოთხოვნილებით განისაზღვრება.

* * *

თავად ბისინიანოს გაგიჟებით უყვარდა თავისი ცოლი, რომელიც ძალიან მხიარული, ძალიან წინდაუხედავი გახლდათ და ოცდაათი წლით უმცროსი იყო მასზე. 1745 წლის ზამთრის იმ დიდი ზეიმების განმავლობაში, რომლებიც ველეტრის ბრძოლის სახელოვან გამარჯვებას მოჰყვა, თავადის მეუღლე ფერდინანდას ერთთავად მეფის კარის ყველაზე ბრწყინვალე ახალგაზრდობა ეხვია გარს. რა დასამალია, რომ ეს წარმატება მას თავისი გერის, ახალგაზრდა როზალინდის წყალობით ჰქონდა, რომელიც მეფემ ულამაზეს ქალად გამოაცხადა თავის კარზე. ყმაწვილკაცებს, თავად ბისინიანოს მეუღლის გარშემო რომ ტრიალებდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ ხანდახან მეფის გვერდითაც აღმოჩნდებოდნენ, და თუკი რომელიმე რაიმე საინტერესოს იტყოდა, მეფე მათ კიდეც გამოელაპარაკებოდა. მეფე დედამისის, ესპანეთის დედოფლის ბრძანებას ასრულებდა, და რათა ესპანელთა პატივი დაემსახურებინა, იშვიათად იღებდა ხმას, მაგრამ უმალ თავის წოდებას ივიწყებდა და როცა ქალი მოსწონდა ხოლმე, მას ისე ესაუბრებოდა, როგორც ყველა სხვა, ჭკუით განთქმული მამაკაცი.

მაგრამ თავად ბისინიანოს მეუღლე სულაც იმიტომ არ იყო ბედნიერი, რომ მეფე მის დასს მიუახლოვდებოდა ხოლმე: მას ის ალაღებდა, რომ მარკიზ ლას ფლორესების ნაშიერი, ჭაბუკი ჯენარინო თავს ევლებოდა. ეს მარკიზები დიდად წარჩინებულები იყვნენ, რადგანაც წარმოდგებოდნენ ესპანეთის უკეთილშობილესი გვარიდან _ მედინა ჩელიდან, რომლებიც სულ ერთი საუკუნის წინათ იყვნენ გადმოსახლებულნი ნეაპოლში. მაგრამ მარკიზი, დონ ჯენარინოს მამა, ყველაზე ხელმოკლე კაცად ითვლებოდა მეფის კარზე. მისი ვაჟიშვილი ოცდაორი წლისაც ძლივს იქნებოდა. ეს იყო მოხდენილი ყმაწვილი, ლამაზი სახისა, მაგრამ რაღაც სერიოზულობა და მედიდურობაც გამოსჭვიოდა მის სახეში, რაც ესპანურ წარმოშობაზე მეტყველებდა. ვაჟს გადაწყვეტილი ჰქონდა, არც

ერთ დღესასწაულს არ დაკლებოდა მეფის სასახლეში, მაგრამ როზალინდს, რომელიც ჯენარინოს გაგიჟებით უყვარდა, ვაჟი მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა. ჯენარინო როზალინდთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდა იმის შიშით, დედინაცვალი გერს სასახლეში აღარ მოიყვანსო.

რათა თავიდან აეცილებინა ასეთი უსიამოვნება, რაც მის სიყვარულს მთლად დაღუპავდა, ჯენარინო თავადის მეუღლეს ეარშიყებოდა გამალებული. ეს იყო ოდნავ სრული ქალი (ის ხომ უკვე ოცდათოთხმეტი წლისა იყო), მაგრამ იმის გამო, რომ მხიარული ხასიათი ჰქონდა და ერთთავად რამით იყო ვნებიანად გატაცებული, დონა ფერდინანდა ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მისი ხასიათი ხელს უწყობდა ჯენარინოს გეგმას, რომელსაც, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდოდა როგორმე მოეცილებინა თავისი მედიდური და არადჩამგდები გამომეტყველება, აგრერიგად რომ არ მოსწონდა როზალინდს.

ჯენარინოს თავის სიცოცხლეში სამი სიტყვაც არ უთქვამს როზალინდისთვის, მაგრამ მისი სულის არც ერთი კუნჭული ვაჟისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. როცა ჯენარინო ცდილობდა ახალგაზრდა ფრანგი დიდებულებისთვის წაებაძა მხიარულებაში, გულღიაობასა და ოდნავ თავქარიანობაშიც, როზალინდის თვალებში სიამოვნებას კითხულობდა. ერთხელ, როცა ვაჟი დედოფლის წინაშე ერთ ფრიად სამწუხარო ამბავს ყვებოდა, მაგრამ რომელიმე ფრანგის მსგავსად არა ტრაგიკული, არამედ სრულიად გულგრილი კილოთი აღწერდა ყოველივეს, შეამჩნია, რომ როზალინდს სახეზე ღიმილმა გადაჰკრა.

დედოფალმა, რომელიც როზალინდის ხნისა იყო, ესე იგი, ოცი წლისა, თავი ვერ შეიკავა და ჯენარინოს ქათინაური უთხრა: აღტაცებული ვარ, რომ თქვენს მოთხრობას ტრაგიკული და ესპანური იერი არა აქვსო. ჯენარინომ როზალინდს გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: თქვენ რომ თავი მოგაწონოთ, იმისთვის ვცდილობ მოვიშორო ეს ქედმაღლური იერი, მთელს ჩემს ოჯახს რომ ახასიათებსო. როზალინდი მიუხვდა და ისეთნაირად გაუღიმა, თვითონ რომ გაგიჟებამდე შეყვარებული არ ყოფილიყო, უსათუოდ მიხვდებოდა, ქალს ვუყვარვარო.

თავად ბისინიანოს მეუღლე თვალს არ აშორებდა ჯენარინოს ლამაზ სახეს, მაგრამ სრულიად ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა მის გულში: სად შესწევდა უნარი, ასეთ ფაქიზ გრძნობებს ჩასწვდომოდა. თავადის მეუღლე მხოლოდ თვალით ტკბებოდა ჯენარინოს დახვეწილი ნაკვთებითა და მთელი მისი გარეგნობის თითქმის ქალური

მიმზიდველობით. გრძლადმოშვებული თმა იმ მოდის მიხედვით, რომელიც დონ კარლოსმა ესპანეთიდან შემოიტანა, ოქროსფრად უბრწყინავდა ჯენარინოს და მისი მოელვარე კულულები ქალიშვილივით წვრილსა და კოხტა კისერზე ეფინებოდა.

ნეაპოლში ცოტას როდი შეხვდებით მშვენიერი მოყვანილობის თვალებს, რომლებიც საუცხოო ბერძნულ ქანდაკებათა თვალებს მოგვაგონებენ. ოღონდ ეს თვალები გამოხატავენ სავსებით ჯანმრთელი ადამიანის კმაყოფილებას, ანდა მათ მუქარის გამომეტყველება აქვთ. მაგრამ არავითარი მუქარა არ გამოიხატებოდა ჯენარინოს ქედმაღლობაში, რისთვისაც მას ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი. როცა ვაჟი თავს ნებას აძლევდა, დიდხანს ეცქირა როზალინდისთვის, მისი თვალები ისე სევდიანად გამოიყურებოდნენ, ფაქიზ დამკვირვებელს შეეძლო ეფიქრა, ეს სუსტი და ცვალებადი ზნის კაცია, თუმცა შეუძლია თავდავიწყებამდე ერთგული იყოსო. ამ თვისების ამოცნობა ერთობ ძნელი იყო: მისი ხშირი, გრძელი წარბები ცისფერ თვალთა ბრწყინვასა და სინაზეს ანელებდნენ.

მეფეს არ აკლდა გამჭრიახობა, როს მისი გული რაიმე გრძნობით იყო შეპყრობილი, და არ დარჩენია შეუმჩნეველი, რომ როზალინდი იმ წუთებში, როცა დარწმუნებული იყო, დედინაცვალი არ მიყურებსო, სიამოვნებით აჩერებდა მზერას ჯენარინოს საუცხოო თმებზე, მაგრამ ვერ ბედავდა ვაჟის ცისფერი თვალებისთვის დიდხანს ეცქირა: ეშინოდა, არავინ მომასწროს თვალიო.

მეფე სულგრძელი იყო და მეშურნეობას არ გრძნობდა ჯენარინოს მიმართ. ეგებ ფიქრობდა კიდეც, ახალგაზრდა, დიდსულოვანსა და ძლევამოსილ მეფეს არ უნდა შინებოდა რაყიფებისა. ყველა აღტაცებული იყო როზალინდის სრულყოფილი სილამაზით, რაც სიცილიურ მონეტებზე ასახულ სახეებს მოგაგონებდათ, მაგრამ ფაქიზი დამკვირვებელი შეამჩნევდა, რომ ეს ერთ-ერთი ისეთი სახე იყო, რომლის დავიწყება შეუძლებელია. შეიძლება ითქვას, რომ მის შუბლსა და არაჩვეულებრივად მიმზიდველი პირის მოხაზულობაში ირეკლებოდა მისი სული. წელი ჰქონდა მაღალი და წერწეტი, გეგონებოდათ, ტანი ერთბაშად აიყარაო. მის მიხრა-მოხრასა და ქცევაში ერთგვარი ბავშვური სიკოხტავე შემორჩენილიყო, მაგრამ სახე მეტყველებდა ცოცხალ ჭკუასა და მეტადრე მხიარულ ხასიათზე, რაც ფრიად იშვიათად გვხვდება ადამიანში, ვინც ბერძნული სილამაზითაა დაჯილდოებული, სილამაზით, მის პატრონს ხანდახან ცოტა სულელურ გამომეტყველებასაც რომ სძენს. შავი თმა როზალინდს მსხვილ კულულებად

ეცემოდა ლოყებზე; თვალებზე გარს ევლებოდა ხშირი გრძელი წამწამები: სწორედ ამ წამწამებმა მოხიბლეს მეფე და ისიც გამუდმებით ხოტბას ასხამდა მათ.

დონ ჯენარინოს ერთი ცუდი ზნე სჭირდა: გუნებაში მუდამ აზვიადებდა თავის მეტოქეთა უპირატესობებს და მისი ეჭვიანობაც საშინელ სიშმაგეში გადადიოდა. ფიქრობდა, როზალინდი მეფე დონ კარლოსს ეტრფისო, თუმცა ქალი ყოველნაირად ცდილობდა გაეგებინებინა, ამ ძლევამოსილ მეტოქეზე არ უნდა იეჭვიანოო. როცა მეფე როზალინდის წინაშე საამურს რასმე იტყოდა, ჯენარინო უეცრად ფითრდებოდა. სწორედ ამავე ეჭვიანობის გამო იყო, რომ ჯენარინოს ასეთ სიამოვნებას ჰგვრიდა მეფესთან ახლოს ყოფნა. ის სწავლობდა დონ კარლოსის ხასიათს და როზალინდისადმი სიყვარულის ნიშნებს, მეფე დროდადრო რომ ამჟღავნებდა. მეფემ ჯენარინოს გულმოდგინება ერთგულების ნიშნად მიიღო და ფრიად ნაამები დარჩა ამით.

ჯენარინო ეჭვიანობდა დონ კარლოსის უფროს კამერჰერზედაც, დიდ ფავორიტ კონტ ვარგას დელ პარდოზე, რომელმაც მეფეს ეგოდენ დიდი სამსახური გაუწია ველეტრისთან ბრძოლის წინა ღამეს. დიუკი ნეაპოლის მეფის კარზე ყველაზე მდიდარ დიდებულად ითვლებოდა. ყველა ამ უპირატესობას ჩრდილავდა მისი ასაკი: დიუკი სამოცდარვა წლისა იყო, მაგრამ ამ ნაკლმა ხელი ვერ შეუშალა მშვენიერი როზალინდის სიყვარული ჩავარდნოდა გულში; ისიც მართალია, რომ კონტი საუცხოო გარეგნობის კაცი იყო, ცხენზე ლამაზად იჯდა, საოცრად ბევრ ფულს ხარჯავდა და იშვიათი ხელგაშლილობით ანიავებდა თავის ქონებას. ეს მფლანგველობის ჟინი მუდამ ყველაში გაკვირვებას იწვევდა და ხელს უწყობდა დუკას თავის ხნოვანებაზე ახალგაზრდად გამოჩენილიყო. ამის გამო არც მეფე აკლებდა თავის წყალობას. დუკა საქორწინო ხელშეკრულებაში თავის მომავალ ცოლს უხვ საჩუქარს ჰპირდებოდა და განზრახული ჰქონდა, როზალინდის მამისთვის ისეთი ქონება შეეთავაზებინა, რომ თავად ბისინიანოს მისთვის უარი არ ეთქვა.

დონ ჯენარინო, რომელსაც მეფის კარზე Francese-ს ეძახდნენ, მართლაც მეტად მხიარული და მეტად ფუქსავატი ყმაწვილი იყო და ყოველთვის უამხანაგდებოდა საფრანგეთიდან იტალიაში ჩამოსულ ახალგაზრდა თავადებს. მეფეს გამორჩეული ჰყავდა ჯენარინო, ვინაიდან ეს მთავარი არასოდეს ივიწყებდა, რომ თუ საფრანგეთის კარი ერთ მშვენიერ დღეს უარს იტყოდა იმ სიმჩატესა და უზრუნველობაზე, რაც თითქოს ყველა მის მოქმედებას წარმართავდა, რეინის დალაშქვრით კიდევაც მოახერხებდა, ყურადღება მიეპყრო ყოვლისშემძლე ავსტრიის სამეფო სახლისა, რომელიც გამუდმებით გადაყლაპვას

უქადდა ნეაპოლს. რა დასამალია, რომ მეფის მუდმივ წყალობაში დარწმუნებული ჯენარინო ხშირად ძალიან თავქარიანადაც იქცეოდა.

ერთ დღეს, როცა ისა და ორი თვის წინათ ვერსალიდან ჩამოსული მარკიზ დე შარო ფეხით მიუყვებოდნენ ვეზუვისაკენ მიმავალ გზას და უკვე მადლენის ხიდზე იყვნენ გასული, აზრად მოუვიდათ განდეგილის ქოხში ასულიყვნენ, მთის ფერდობზე რომ იდგა. იქამდე ფეხით ვერ ავიდოდნენ, რადგანაც უკვე ცხელოდა, რომელიმე მსახურის ნეაპოლში გაგზავნას ცხენების მოსაყვანად კი დიდი დრო დასჭირდებოდა.

ამ დროს დონ ჯენარინომ მათ წინ ასიოდე ნაბიჯის მანძილზე ცხენზე მჯდარი მსახური შეამჩნია, რომლის ლივრეა ვერ იცნო. მსახურს წამოეწია და ქება დაუწყო ანდალუზიურ ცხენს, რომელიც კაცს აღვირით მიჰყავდა.

_ შენს ბატონს ჩემი სალამი მოახსენე და უთხარი, რომ ეს ორი ცხენი მე ვითხოვე განდეგილის ქოხში ასასვლელად. ორ საათში ცხენები შენი ბატონის პალაცოში დაბრუნდებიან. ლას ფლორესის ოჯახის ერთ-ერთ მსახურს ჩემი უღრმესი მადლობის გადახდა დაევალება.

ცხენზე ამხედრებული მსახური ძველი ესპანელი ჯარისკაცი გამოდგა. ის დონ ჯენარინოს მწყრალად შეჰყურებდა და სულაც არ აპირებდა ცხენიდან გადმოხტომას. დონ ჯენარინომ ლივრეის კალთაზე მოსწია, მაგრამ მხარი დაუჭირა, რომ ცხენიდან არ გადმოვარდნილიყო. მერე, რაკი მსახური იძულებული გახდა ჩამომხტარიყო, მოხერხებულად შეახტა ცხენს. საუცხოო ანდალუზიური ცხენი კი, მსახურს აღვირით რომ მიჰყავდა, მარკიზ დე შაროს შესთავაზა.

იმ წუთში, როცა მარკიზი უნაგირზე ჯდებოდა, დონ ჯენარინომ, რომელსაც ცხენი სადავით ეჭირა, იგრძნო, რომ მარცხენა ხელზე ხანჯალი მიაჭირეს. ეს ბებერი ესპანელი მსახური იყო, მომხდურებს რომ უძალიანდებოდა.

_ შენს ბატონს გადაეცი, _ მიმართა დონ ჯენარინომ ჩვეულებრივი მხიარულებით, _ რომ ჩემს გულითად სალამს ვუთვლი და ორ საათში მარკიზ დე ლას ფლორესის თავლის ერთ-ერთ მეჯინიბე ცხენებს უკან მოჰგვრის. ჩვენ კი ვეცდებით, სწრაფად არ ვიაროთ და ცხენები არ დავღალოთ. ეს საუცხოო ანდალუზიური ცხენი ჩემს მეგობარს მშვენივრად გაასეირნებს.

გაშმაგებული მსახური ის იყო, კვლავ ხანჯლით უნდა მივარდნოდა დონ ჯენარინოს, რომ ყმაწვილმა კაცებმა გადაიხარხარეს და ცხენები გაქუსლეს.

ორი საათის შემდეგ ვეზუვიდან დაბრუნებულმა დონ ჯენარინომ თავისი მამის ერთ მეჯინიბეს დაავალა გაეგო, ვინ იყო ცხენების პატრონი, რომ ბედაურები მისთვის დაებრუნებინათ და დონ ჯენარინოსგან სალამი და მადლობა გადაეცათ. ერთი საათის შემდეგ მეჯინიბემ მოირბინა და შიშისაგან ფერწასულმა დონ ჯენარინოს მოახსენა, ცხენები არქიეპისკოპოსისა ყოფილა, რომელმაც შემოგითვალათ, არავითარ სალამსა და მადლობას არ ვიღებ თავხედი ადამიანისგანო.

სამ დღესაც არ გაუვლია, რომ ეს უმნიშვნელო შემთხვევა დიდ ამბად გადაიქცა. მთელი ნეაპოლი იმაზე ლაპარაკობდა, არქიეპისკოპოსი დიდად არის განრისხებულიო.

სასახლეში მეჯლისი გაიმართა. დონ ჯენარინო, როგორც ყველაზე უფრო თავგამოდებული მოცეკვავე, ჩვეულებისამებრ მოვიდა მეჯლისზე. თავადის მეუღლე ბისინიანოსთან და მის გერთან, დონა როზალინდთან მკლავგაყრილი დარბაზებში დასეირნობდა, როცა მეფემ თავისთან იხმო.

_ აბა, ერთი მიამბე, რა ახალი ოინი ჩაგიდენია, არქიეპისკოპოსისგან რომ ორი ცხენი გიქირავებია.

დონ ჯენარინომ ზემოთ მოთხრობილი ამბავი მეფეს რამდენიმე სიტყვით უამბო და დასძინა:

_ მართალია, მსახურის ლივრეა ვერ ვიცანი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ცხენების პატრონი რომელიმე ჩემი მეგობარი იქნებოდა. შემიძლია დაგიმოწმოთ, ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა: ხშირად წაუყვანიათ მამაჩემის საჯინიბოდან სასეირნოდ ცხენები, რომელთაც მე ვხმარობ. შარშან მე თვითონ წავიყვანე სწორედ მაგ ვეზუვის გზაზე ბარონ დი სალერნოს ცხენი, და თუმცა ჩემზე უფროსია, არც კი უფიქრია გაჯავრებულიყო, ვინაიდან, როგორც თქვენს უდიდებულესობას მოეხსენება, მეტად ჭკვიანი კაცია და დიდი ფილოსოფოსი. ასეა თუ ისე, დიდი ხმლების გადაჯვარედინება მოგვიხდება: რაკი პატრონს მე შევუთვალე სალამი და კეთილი სურვილები, თავად უნდა ვიყო შეურაცხყოფილი იმით, რომ არქიეპისკოპოსმა გამაწბილა. მამაჩემის მეჯინიბე ირწმუნება, ის ცხენები არ ეკუთვნის მის უსამღვდელოესობას და არც არასოდეს შემჯდარა ზედო.

_ მეტს ნუღარაფერს მოიმოქმედებ, _ მიუგო მეფემ მკაცრად. _ სულ დიდი, იმის ნებას გაძლევ, კიდევ გამოუცხადო შენი კეთილი სურვილები, თუკი მის უსამღვდელოესობას ჭკუა ეყოფა ეს მიიღოს.

* * *

ორი დღის შემდეგ საქმე უფრო მეტად გართულდა: არქიეპისკოპოსმა განაცხადა, მეფე ისეთნაირად მიხსენიებს, რომ მისი კარის წარჩინებული ახალგაზრდობა სიამოვნებით სარგებლობს შემთხვევით, შეურაცხყოფა მომაყენოსო. ესეც არ იყოს, თავად ბისინიანოს მეუღლე ყველას გასაგონად უჭერდა მხარს ლამაზ ყმაწვილ კაცს, რომელიც მას ყველა მეჯლისებზე აცეკვებდა. ის დაჟინებით ამტკიცებდა, დონ ჯენარინომ ვერ იცნო მსახურის ლივრეა, რომელსაც ცხენები მიჰყავდაო. რაღაც მანქანებით ეს ლივრეა დონ ჯენარინოს ერთ-ერთ მსახურს აღმოაჩნდა, და ის მართლაც არ ჰგავდა არქიეპისკოპოსის მსახურთა ლივრეებს.

ამასთან, დონ ჯენარინო სრულიადაც უარზე არ იყო, ხმლები გადაეჯვარედინებინა ცხენების პატრონთან, რომელმაც ასე ცუდად მიიღო მისი ხუმრობა. დონ ჯენარინო იმაზეც მზად იყო, არქიეპისკოპოსთან მისულიყო და სინანული გამოეთქვა იმის გამო, რომ ესოდენ მარჯვედ ნათხოვნი ცხენები მისი უსამღვდელოესობის კუთვნილება აღმოჩნდა.

შემთხვევამ, რომელიც ჩვენ გიამბეთ, დიდ საგონებელში ჩააგდო მეფე დონ კარლოსი. არქიეპისკოპოსის მცდელობის შედეგად ნეაპოლის ყველა მღვდელი თავიანთ სააღმსარებლოებში შემთხვევით სარგებლობდა და ხმას ავრცელებდა, მეფის კარის ახალგაზრდობა მკრეხელურ ცხოვრებას ეწევა და შემთხვევას ეძებს, არქიეპისკოპოსის მსახურთა ლივრეა შეურაცხყოსო.

მეფე დილაადრიან თავის პორტიჩის სასახლეში წავიდა და ბრძანა, იქ საიდუმლოდ მოეწვიათ ბარონი დი სალერნო, რომელიც ჯენარინომ მასთან პირველ საუბარში დაასახელა. ეს იყო უკეთილშობილესი წარმოშობის კაცი, ფულიც თავზე საყრელი ჰქონდა და მთელ სახელმწიფოში უჭკვიანეს კაცად ითვლებოდა. ბარონი დი სალერნო მეტად ღვარძლიანი კაცი გახლდათ და თითქოს ყოველთვის ცდილობდა შემთხვევა არ გაეშვა, რათა მეფის მმართველობაზე ცუდი რამ ეთქვა. ის პარიზიდან იწერდა «მერკურ გალანს», რამაც დიდად ჭკვიანი კაცის სახელი დაუმკვიდრა, და ახლო მეგობრობა ჰქონდა არქიეპისკოპოსთან, რომელმაც კეთილინება მისი ვაჟიშვილი მოენათლა (სხვათა შორის, ამ ვაჟიშვილმა გულწრფელად შეითვისა ლიბერალური შეხედულებები, რითაც მამამისი თავს იწონებდა და რის შედეგადაც 1792 წელს სახრჩობელაზე მოუხდა ასვლა).

იმ დროში, რომელზეც მოგითხრობთ, ბარონი დი სალერნო დიდი საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში ხვდებოდა მეფე კარლოს III-სა და ბევრ რასმე ატყობინებდა. მეფე ამ კაცს ხშირად სთხოვდა რჩევას, ნეაპოლის მაღალ საზოგადოებას თავი როგორ მოვაწონოო. ბარონის რჩევით ნეაპოლის საზოგადოებაში ხმა დაარხიეს, არქიეპისკოპოსის სასახლეში

მცხოვრებმა ერთმა მისმა ახალგაზრდა ნათესავმა ყური მოჰკრა, თითქოს დონ ჯენარინო იარაღის ხმარებაში ისეთივე მარჯვეა, როგორიც ყველა სხვა ვარჯიშობაში და უკვე სამი შემთხვევა ჰქონდა ორთაბრძოლისა, რომლებიც მისი მოწინააღმდეგეებისთვის არახელსაყრელად დასრულდაო. ამ სამწუხარო ჭეშმარიტებამ თავზარი დასცა არქიეპისკოპოსის ახალგაზრდა ნათესავს, რომლის გამბედაობა მის კეთილშობილ წარმოშობას არ შეეფერებოდა; მართალია, ჯერ განაწყენდა და გაჯავრდა, როცა ცხენები სთხოვეს, მერე წინდახედულად განაცხადა, ცხენები ბიძაჩემს ეკუთვნოდაო.

იმავე საღამოს დონ ჯენარინო არქიეპისკოპოსს ეახლა და მოახსენა, საშინლად შევწუხდები, თუ აღმოჩნდება, რომ ცხენები თქვენს უსამღვდელოესობას ეკუთვნოდაო.

კვირის მიწურულს არქიეპისკოპოსის ნათესავი, რომლის სახელი მალე ცნობილი გახდა, მთელმა ნეაპოლმა სასაცილოდ აიგდო და ისიც იძულებული შეიქნა ქალაქიდან გადახვეწილიყო. ერთი თვის შემდეგ დონ ჯენარინოს სამეფო გვარდიის პირველი პოლკის უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და მეფემ, რომელმაც ვითომ ახლაღა გაიგო, რომ დონ ჯენარინოს ქონება არ შეესაბამებოდა მის მაღალ წარმოშობას, საკუთარი საჯინიბოდან სამი რჩეული ცხენი უბოძა.

ასეთმა წყალობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ვინაიდან მეფე დონ კარლოსს, რომელმაც უხვად იცოდა გაცემა, სასულიერო წოდების მიერ გავრცელებული ხმის მიხედვით, ძუნწი ადამიანის სახელი ჰქონდა. ამ შემთხვევის შემდეგ არქიეპისკოპოსი ცრუ ხმების გავრცელებისათვის დაისაჯა. ხალხმა იფიქრა, ხელმოკლე ოჯახიდან გამოსული თავადი, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, გამომწვევად ეჭირა თავი არქიეპისკოპოსთან, მეფეს იმდენად სჭირდებოდა, რომ უღალატა ჩვეულებას და იშვიათი სილამაზის ცხენებიც კი უბოძა საკუთარი საჯინიბოდანო. ხალხი ისე განერიდა არქიეპისკოპოსს, როგორც ადამიანს, რომელსაც თავს უბედურება დაატყდა.

მთავარეპისკოპოსმა განსაჯა, რომ ყოველგვარი დავიდარაბა, რაც კი ახლა დონ ჯენარინოს შეხვდებოდა, მხოლოდ გაზრდიდა მის სახელს და გადაწყვიტა შურის საძიებლად ხელსაყრელი დრო ეხელთა. მაგრამ რაკი ამ ფიცხელი სულის ადამიანს არ შეეძლო ისე ცხოვრება, რომ ვინმეზე არ გადაენთხია ყელში მომჯდარი ბოღმა, ნეაპოლის ყველა მოძღვარს უბრძანა ხმა გაევრცელებინათ, ველეტრის ბრძოლაში მეფეს არავითარი სიმამაცე არ გამოუჩენიაო, დუკა ვარგას დელ პარდო ხელმძღვანელობდა ყველაფერს და თავისი დაუცხრომელი და დაუზოგველი ხასიათის წყალობით მიათრევდა მეფეს სახიფათო ადგილებში, სადაც თვითონ აღმოჩნდებოდაო.

მეფეს, რომელიც დიაღაც არ იყო დიდი გმირი, შიგ გულში მოხვდა ეს ახალი ცილისწამება, ფართოდ რომ გავრცელდა მთელ ნეაპოლში; ჯენარინოს ახლადმოპოვებული წყალობაც თითქოს ოდნავ შეირყა. ის უხეირო ოინი რომ არა, როცა ვეზუვის დიდ გზაზე დონ ჯენარინომ ასე წინდაუხედავად ითხოვა უცნობისაგან ცხენები, ადამიანისშვილს არ მოუვიდოდა აზრად, ამდენი ელაპარაკა ველეტრის ბრძოლის ამბებზე, ასე ხშირად რომ იხსენებდა ჯართან მიმართვისას.

კარლოსმა ახალგაზრდა ლეიტენანტს, დონ ჯენარინოს უბრძანა, მეფის ცხენთსაშენი მოენახულებინა ***-ში და მისთვის შეეტყობინებინა, თუ რამდენი შავრა ცხენის წამოყვანა შეიძლებოდა იქიდან დედოფლის მსუბუქი კავალერიის ახალი ესკადრონისთვის, რომელიც იმ ხანებში უნდა შეედგინათ.

თავადის მეუღლის, დონა ფერდინანდას უჯიათი ხასიათის წყალობით გამოწვეული შინაური უთანხმოებანი ბისინიანოს ოჯახში ცუდ გუნებაზე აყენებდა მოხუცებულ თავადს, ვაჟიშვილების არახელსაყრელ ბედს ისედაც რომ დაემწუხრებინა; თავადის მეუღლეს კი ძალიან სწყინდა, რომ მისი ზარდახშიდან ამოღებული ალმასის მაგივრად სხვა არ ჩადეს შიგ. თავადის მეუღლე ფიქრობდა, ჩემი ქმარი სიამოვნებით დაარწმუნებს თავის მეგობრებს სასულიერო წოდებიდან, ხელ-ფეხი შეკრული მაქვს იმ არაჩვეულებრივი მოწყალებით, რასაც ახალგაზრდა დედოფალი ჩემი მეუღლის მიმართ იჩენსო. დონა ფერდინანდა ფიქრობდა, რომ მისი ქმარი მოისურვებდა ამ გარემოებიდან ხეირის გამოტანას, თავის მეუღლეს დედოფალთან გაგზავნიდა გერებისთვის რაიმე თანამდებობის სათხოვნელად. როგორც კი დონ ჯენარინომ გაიგო, რომ ***-ის ცხენთსაშენში უნდა წასულიყო, დილითვე ესტუმრა დონა ფერდინანდას. რაკი თავადის მეუღლე გულგრილი არ იყო დონ ჯენარინოს მიმართ და ისიც გაიგო, რომ რამდენიმე დღეს ვერ შეხვდებოდა სასახლეში, თავი მოიავადმყოფა; ქალს აგრეთვე განზრახული ჰქონდა, გამოეჯავრებინა ქმარი, რომელმაც დედოფლის მიერ ნაჩუქარი ბეჭდის საქმე ისე გაარიგა, რომ გულნატკენი დატოვა. მართალია, თავადის მეუღლე უკვე ოცდათოთხმეტი წლისა იყო, ესე იგი, თავის ქმარზე ოცდაათი წლით უმცროსი, იმედს არ კარგავდა, ჯერ კიდევ შემიძლია ახალგაზრდა დონ ჯენარინოს გული ავუჩქროლოო. ოდნავ ტანსრული, მაინც კარგი შესახედავი იყო დონა ფერდინანდა, ხოლო მისი მხიარული ზნე ისეთ იერს აძლევდა, რომ ყველა ახალგაზრდად თვლიდა. ყოველთვის ლაღი, ყოველთვის თავქარიანი, ძალიან ცხარობდა, თუ ეჩვენებოდა, რომ მის მაღალ წარმოშობას არასაკმარისი პატივით ეპყრობოდნენ.

1740 წლის ზამთრის ბრწყინვალე დღესასწაულების დროს მეფის კარზე დონა ფერდინანდას ნეაპოლის უბრწყინვალესი ახალგაზრდობა ერტყა გარს. თვითონ მას კი ყველაზე მეტად გამორჩეული ჰყავდა ახალგაზრდა დონ ჯენარინო, რომლის მეტად კეთილშობილი და ოდნავ ზვიადი მანერები ძალიან მოხდენილ და მიმზიდველ გარეგნობას ეთანხმებოდა. ქცევა ცოცხალი და გულითადი ჰქონდა, ისეთი, ფრანგებს რომ ჩვევიათ, და ესეც ხიბლავდა თავადის მეუღლე დონა ფერდინანდას, ამ მედინა ჩელის გვარის ერთ-ერთი შტოს შთამომავალს, ნეაპოლში სულ საუკუნენახევრის წინათ რომ გადმოსახლებულიყო.

ჯენარინოს საუცხოო ქერა თმა, ულვაშები და ძალიან მეტყველი ცისფერი თვალები ჰქონდა. თავადის მეუღლე განსაკუთრებით ამ ელფერით იყო მოხიბლული, რაც მას ჯენარინოს გოთური წარმოშობის დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნდა. ქალი ხშირად იმეორებდა, ჯენარინო, რომელიც ერთთავად თავისი წინაპარი გოთების გამბედაობასა და გულოვნებას იჩენს, უკვე ორჯერ დაჭრეს იმ ოჯახების ძმებმა თუ ქმრებმა, ვის წიაღშიაც არეულობა შეიტანაო. ჭაბუკს ამ პატარა შემთხვევებმა სიფრთხილე შემატეს, და ის ძალიან იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდა ხოლმე როზალინდს, თუმცა ქალი გვერდიდან არ შორდებოდა დედინაცვალს. მართალია, ჯენარინოს არასოდეს სიტყვაც არ უთქვამს როზალინდისთვის ისეთ დროს, როცა დედინაცვალს არ შეეძლო მისი ნათქვამი გარკვევით მოესმინა, როზალინდი მაინც დარწმუნებული იყო, ყმაწვილ კაცს ვუყვარვარო; და ჯენარინოც თითქმის ასევე იყო დარწმუნებული, რომ ის როზალინდს სიყვარულის გრძნობას უღვიძებდა.

ძალიან გაგვიჭირდებოდა ფრანგი მკითხველისათვის, რომელიც ყველაფრის გამასხარავებასაა შეჩვეული, აგვეხსნა, თუ რა ღრმა და რელიგიური თავშეკავება მალავდა ყველა გრძნობას ნეაპოლის სამფლობელოში, რომელიც ას ათი წლის განმავლობაში ესპანელ ვიცე-მეფეთა ყველა ხუშტურებსა და ტირანიას ემორჩილებოდა.

* * *

ცხენთსაშენში წასვლის წინ ჯენარინომ მწვავე დარდი იგრძნო, რაკი როზალინდს ერთი სიტყვაც ვერ უთხრა. მარტო მეფეზე კი არ ეჭვიანობდა, რომელიც სრულიად აღარ ფიქრობდა დაემალა, ყმაწვილ ქალს რომ შესტრფოდა. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ბოლო დროს სასახლეში ხშირი სიარულის შედეგად მან ერთი გულდასმით დამალული საიდუმლოებაც გახსნა: სწორედ იმ დუკა ვარგას დელ პარდოს, რომელსაც ერთ დროს

ასეთი სამსახური გაეწია დონ კარლოსისთვის ველეტრისთან ბრძოლის დღეს, წარმოედგინა, რომ მისი ყოვლისშემძლეობა მეფის კარზე და დიდი სიმდიდრე, რაც ორასი ათას პიასტრს იძლეოდა წლიურ შემოსავალს, ახალგაზრდა ქალს მის სამოცდაექვს წელსა და მის უცნაურ უხიაკ ხასიათს დაავიწყებინებდა. დუკას აზრად ჰქონდა, თავად ბისინიანოსთვის მისი ქალის ხელი ეთხოვა და სამაგიეროდ ჰპირდებოდა, რომ სამ ცოლისძმაზე მზრუნველობას იკისრებდა. დუკას, მეტად ეჭვიან ადამიანს, როგორც ეს მოხუც ესპანელს შეეფერება, მხოლოდ როზალინდისადმი მეფის სიყვარული აკავებდა, მაგრამ ზუსტად არ იცოდა, რამდენად ძლიერი იყო ეს სიყვარული: შესწირავდა თუ არა დონ კარლოსი თავის წამიერ ჟინს იმისათვის, რომ სამუდამოდ არ მოემდურებინა ფავორიტი, რომელიც მას სახელმწიფოებრივი საქმეების ტვირთის ზიდვაში ეხმარებოდა და ვისაც დღემდე უყოყმანოდ მსხვერპლად შესწირავდა ყველა სხვა მინისტრებს, თუკი ისინი ვარგასის თავმოყვარეობას შებღალავდნენ. მაგრამ ვაითუ ამ მონარქის გულში, რომელიც დაპყრობილი იყო როზალინდის მხიარული და თან წყნარი მელანქოლიით შეპყრობილი ხასიათით, ნამდვილი გრძნობა აღმოცენდა?

ჯენარინომ დანამდვილებით არაფერი იცოდა არც მეფისა და არც დუკა დელ პარდოს სიყვარულზე და იმიტომ იყო, რომ ცხენთსაშენში გამგზავრებისას მისი გული ისეთმა სევდამ მოიცვა, რისი მსგავსიც ჯერ არასოდეს განუცდია; და სწორედ მაშინ შეიპყრეს იგი ნამდვილი სიყვარულის ეჭვებმა. მხოლოდ სამი დღე იყო გასული, რაც როზალინდი არ ენახა და მაშინვე დაეჭვდა ისეთ რამეში, რაშიაც ნეაპოლში ასე იყო დარწმუნებული. ახლა მას აღარ სჯეროდა აღარც ის მღელვარება, რასაც თითქოს ქალის შეხედვისას მის თვალებში კითხულობდა, აღარც ის უკმაყოფილება, როცა ქალიშვილი ხედავდა ხოლმე, რომ დედინაცვალი ვერ მალავდა ჯენარინოს მიმართ დიდ გატაცებას.

ახალგაზრდა ჯენარინო იმდენად მოსაზრებული კი იყო, თავად ბისინიანოს მეუღლე დაერწმუნებინა, თქვენ გეტრფითო. სინამდვილეში კი მას გაგიჟებით უყვარდა როზალინდი და, უფრო მეტიც, სასტიკადაც ეჭვიანობდა. დუკა ვარგას დელ პარდოც, რომელმაც ველეტრისთან ბრძოლის წინა ღამეს სიცოცხლე გადაურჩინა ახალგაზრდა მეფეს და ახლა მისი უდიდესი წყალობით სარგებლობდა, აგრეთვე მოხიბლული იყო ახალგაზრდა როზალინდ დი ბისინიანოს მიამიტი სიტურფით და, განსაკუთრებით, სადა და გულმართალი იერით, მის თვალებში რომ გამოკრთოდა. ვარგას დელ პარდო ისეთი დიდის ამბით ეტრფოდა როზალინდს, როგორც ეს შეჰფერის კაცს, რომელსაც სამგზის ესპანელი გრანდის წოდება აქვს მინიჭებული. მაგრამ ის ბურნუთს ყნოსავდა და პარიკს

ატარებდა. ეს იყო ორი ნაკლი, რაც ნეაპოლელ ქალიშვილებს ჟრუანტელს ჰგვრიდა. მიუხედავად იმისა, რომ როზალინდის მზითვი ოცი ათას ფრანკს არ აღემატებოდა და მას ცხოვრებაში სხვა რამ იმედი არ ჰქონდა, გარდა იმ დროს მოდაში მყოფი სან პეტიტოს კეთილშობილთა მონასტერში შესვლისა, რომელიც ტოლედოს ქუჩის ბოლოს დგას და უმაღლესი წოდების ქალიშვილთა სამარეს წარმოადგენს, ქალი ვერაფრით მიუხვდა დუკა დელ პარდოს ვნებიანი თვალების მზერას. სამაგიეროდ, ის ძალიან კარგად ხვდებოდა ჯენარინოს თვალების გამომეტყველებას იმ წუთებში, როცა თავადის მეუღლე მას არ უყურებდა. ჯენარინოს ეჩვენებოდა, რომ როზალინდი ხანდახან მის მზერას კიდევაც პასუხობდა.

სინამდვილეში ეს სიყვარული უნიადაგო იყო. მართალია, ლას ფლორესის ოჯახი დიდგვაროვანი წარმოშობისა გახლდათ, მაგრამ ამ გვარის მატარებელ მოხუცებულ დუკას, დონ ჯენარინოს მამას, სამი ვაჟიშვილი ჰყავდა და, იმ ქვეყნის კანონების მიხედვით, მან ისე მოაწყო საქმე, რომ უფროსი თხუთმეტ ათას დუკატს იღებდა წლიურ რენტას (დაახლოებით ორმოცდაათ ათას ფრანკს), ხოლო ორი უმცროსი ვაჟი თვეში ოც დუკატს უნდა დასჯერებოდა; სადგომად კი ქალაქსა და ქალაქგარეთ ექნებოდათ სასახლეები.

თუმცა ერთმანეთში სრულიად არ იყვნენ შეთანხმებული, დონ ჯენარინო და როზალინდი ყოველგვარ ფანდებს ხმარობდნენ, რათა თავიანთი გრძნობები თავად ბისინიანოს მეუღლისთვის დაემალათ: ეს კეკლუცი ხასიათის ქალი თავის დღეში არ აპატიებდა ახალგაზრდა მარკიზს იმედის გამტყუნებას.

მისი ქმარი, ყოფილი გენერალი, ცოლზე უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა. იმ ზამთარს, მეფე დონ კარლოსის მიერ მოწყობილ უკანასკნელ დღესასწაულზე, ძალიან კარგად მიხვდა, რომ მრავალი სატრფიალო თავგადასავლებით ცნობილ დონ ჯენარინოს განეზრახა მისი ცოლისთვის ან ქალიშვილისთვის მოეწონებინა თავი. ერთიცა და მეორეც ნაკლებად ეპიტნავებოდა თავადს.

მეორე დღეს, ნასაუზმევს, თავადმა თავის ქალიშვილს უბრძნა მასთან ერთად ეტლში ჩამჯდარიყო, და სიტყვაც არ უთქვამს, ისე წაიყვანა როზალინდი სან პეტიტოს კეთილშობილ მონასტერში. იმ დროს დიდად მოდურ ამ დედათა მონასტერს საუცხოო ფასადი აქვს, რომელიც ტოლედოს ქუჩის ყველაზე მაღლობ ნაწილში მოჩანს მარცხენა მხარეზე სტუდის დიდებული პალაცოს ახლოს. როცა ვომეროს ზეგანზე სეირნობ არენელას თავზე, ამ გრძელ კედელს კარგა დიდ მანძილზე მიჰყვები. მისი დანიშნულებაა უცხო თვალთაგან დაფაროს სან პეტიტოს მონასტრის ბაღები.

თავადმა მარტო მაშინ გახსნა პირი, როცა ქალიშვილი თავის დას, პირქუშ დონა ***-ს გააცნო, თვითონ როზალინდს კი თითქოს ზრდილობის გულისთვის აცნობა, რისთვისაც ის დიდად მადლობელი უნდა დარჩენილიყო მამისა, ამ მონასტრიდან შენს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამოხვალ, ისიც აღთქმის დადების წინადღითო.

როზალინდს სრულიადაც არ გაჰკვირვებია, რაც მოუვიდა. ძალიან კარგად იცოდა, მხოლოდ სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ გაეთხოვებინათ და იმ წუთშიც კი შეჰზარავდა, დუკა ვარგას დელ პარდოზე თუ დასწერდნენ ჯვარს. ესეც არ იყოს, როზალინდი რამდენიმე წლის ნამყოფი იყო სან პეტიტოს მონასტერში აღსაზრდელად, სადაც ახლა ისევ უკან დააბრუნეს და მასზე მხიარული და სასიამოვნო მოგონებები ჰქონდა დარჩენილი. პირველ დღეს დიდად არ შეწუხებულა თავისი მდგომარეობით, ხოლო მეორე დღიდანვე იგრძნო, რომ ვეღარასოდეს ნახავდა დონ ჯენარინოს და, თუმცა ბავშვური ხასიათი ჰქონდა, ამ აზრმა ღრმა სევდა მოჰგვარა. ყოველთვის სიცოცხლით სავსე და უზრუნველი როზალინდი ორ კვირაში მონასტრის ყველაზე ურჩ და მოწყენილ მონაზონთა რიცხვში აღმოჩნდა. ახლა მას აღარ შორდებოდა ფიქრი დონ ჯენარინოზე, რომლის ნახვაც არ ეწერა. შინ, მამამისის პალაცოში ყოფნისას კი დღეში ერთხელ ან ორჯერ თუ მოაგონდებოდა ეს თავაზიანი ყმაწვილი კაცი.

როზალინდის მონასტერში მოსვლის მესამე კვირას მოხდა ისე, რომ მწუხრის ლოცვის დროს მან სრულიად უშეცდომოდ ჩააბულბულა ღვთისმშობლის ლიტანია და მორჩილთა ზედამხედველმა ნება დართო, მეორე დღეს პირველად ასულიყო ბელვედერეზე. ასე ეწოდება ვრცელ გალერეას სან პეტიტოს მონასტრის ფასადის ზემო ნაწილში, რომელიც ტოლედოს ქუჩაზე გამოდის. მას მონაზვნები გულდასმით ამკობენ ვარაყითა და კედლის მხატვრობით.

როზალინდი აღტაცებაში მოიყვანა საუცხოო ეტლების ორმაგმა მწკრივმა, სეირნობის დროს რომ ავსებდა ტოლედოს ქუჩის ზემო ნაწილს. იცნო ეტლებისა და შიგ მჯდარი მანდილოსნების უმრავლესობა. ამ სანახაობამ გაართო, თუმცა გულიც მოუკლა ამავე დროს.

მაგრამ, როგორ აღვწეროთ, თუ რა დიდმა მღელვარებამ მოიცვა იგი, როცა უახლოესი ჭიშკრის თაღქვეშ მდგარი ახალგაზრდა კაცი იცნო, რომელიც გამალებული იქნევდა საუცხოო ყვავილების თაიგულს. ეს ყმაწვილი დონ ჯენარინო იყო. მას შემდეგ, რაც როზალინდი საზოგადოებას მოაშორეს, ყოველდღე მოდიოდა ამ ადგილზე იმ იმედით, ქალი კეთილშობილ მონაზონთა ბელვედერეზე გამოჩნდებაო, და რაკი იცოდა,

როზალინდს ყვავილები ძალიან უყვარდა, მისი ყურადღება რომ მიექცია და თავი დაენახვებინა, ხელში ულამაზესი ყვავილების თაიგულს დაიჭერდა ხოლმე.

დონ ჯენარინოს გული სიხარულით აევსო, როცა შეამჩნია, რომ როზალინდმა დაინახა. მაშინვე რაღაც ანიშნა, მაგრამ როზალინდმა ვერ გაბედა პასუხის მიცემა. მერე მოაგონდა, რომ წმინდა ბენედიქტეს განაწესის მიხედვით, რომელსაც სან პეტიტოს მონასტერში მისდევდნენ, რამდენიმე კვირა გაივლიდა, სანამ კვლავ ბელვედერეზე ასვლის უფლებას მისცემდნენ. მან იქ კიდევ ბევრი მონაზონი ნახა. ყველანი, ან თითქმის ყველანი, გაცხოველებით რაღაცას ანიშნებდნენ თავიანთ თაყვანისმცემლებს. ისინიც, ეტყობოდა, საკმარისად შეაკრთო ამ თეთრსუდარიანი ახალგაზრდა ქალის იქ ყოფნამ, რომელსაც, ალბათ, გაუკვირდებოდა მათი ასეთი მკრეხელური საქციელი და, შესაძლებელია, მონასტრის გარეთაც ეამბნა ეს ვინმესთვის. უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ნეაპოლში ახალგაზრდა ქალები პატარაობიდანვე შეჩვეული არიან თითებით საუბარს, რომელთა სხვადასხვა მდგომარეობა სხვადასხვა ასოს აღნიშნავს. ისინი ამ წესით ხშირად ოც ნაბიჯზე მდგომ ყმაწვილკაცებს ესაუბრებიან, სანამ მათი მშობლები ხმამაღლა ლაპარაკობენ.

ჯენარინო შიშობდა, ვაითუ როზალინდს გულწრფელად უნდა მონაზვნის აღთქმის დადებაო. მან ოდნავ უკან დაიხია ჭიშკრის სიღრმეში და იქიდან ბავშვთა ენით გაუბა ლაპარაკი:

_ მას შემდეგ, რაც ვეღარ გხედავთ, უბედური ვარ. კარგად გრძნობთ თუ არა თავს მონასტერში? გაქვთ თუ არა ნება, ხშირად ახვიდეთ ბელვედერეზე? ისევ გიყვართ თუ არა ყვავილები?

როზალინდი თვალს არ აცილებდა, მაგრამ არაფერს პასუხობდა. ერთბაშად ქალი გაქრა, იქნებ, მორჩილთა ზედამხედველმა დაუძახა, ან ვინ იცის, ნაწყენი დარჩა, დონ ჯენარინო რომ ასე ძუნწად ელაპარაკა. დონ ჯენარინო ძალიან შეწუხდა... მერე ლამაზ ტყეში ავიდა, ნეაპოლს რომ გადმოსცქერის და სახელად არენელა ჰქვია. სან პეტიტოს დიდი ბაღის კედელი არენელამდე უწევს. ჯენარინო კვლავ სევდიანი გაუდგა გზას და ვომეროს ზეგანზე ავიდა, რომელიც ნეაპოლსა და ზღვას გადმოჰყურებს. როცა კიდევ ერთ ლიემდე გაიარა, დუკა ვარგას დელ პარდოს ბრწყინვალე სასახლეს მიადგა. ეს იყო შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე; გარს ქონგურებიანი ჩაშავებული კედლები ერტყა. ეს სასახლე ნეაპოლში ცნობილი იყო თავისი პირქუში შესახედაობით და იმით, რომ ხუშტურიან დუკას იქ მხოლოდ ესპანეთიდან ჩამოყვანილი მსახურები ჰყავდა და ყველა მისი ხნისა

იყო. დუკა ამბობდა, როცა აქა ვარ, თავი ესპანეთში მგონიაო, და ამ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად მან გარშემო ყველა ხის მოჭრა ბრძანა. ყოველთვის, როცა მეფის სამსახური ნებას აძლევდა, დუკა თავის სან ნიკოლოს სასახლეში ჩამოდიოდა სუფთა ჰაერზე.

მოქურუხებულმა შენობამ გაორკეცა დონ ჯენარინოს ნაღველი. როცა უკან დაბრუნებისას მან სან პეტიტოს ბაღის კედელს სევდიანად ჩაუარა, უეცრად ერთმა აზრმა გაუელვა: «ეჭვი არ არის, ყვავილები ისევ უყვარს. მონაზვნებს ამ ვეებერთელა ბაღში, ალბათ, მოჰყავთ ყვავილები, მებაღეებიც ეყოლებათ; აუცილებლად უნდა დავუმეგობრდე მათ».

ამ ფრიად უკაცურ ადგილას ერთი პატარა osteria (სამიკიტნო) იყო. ჯენარინო შიგ შევიდა, მაგრამ თავისი გეგმით თავგზააბნეულმა ვერ გაითვალისწინა, რომ მისი ტანისამოსი იმ ადგილისათვის მეტად მდიდრული იყო და, თავისდა სამწუხაროდ დარწმუნდა, რომ მისი იქ ყოფნა გაკვირვებასა და უნდობლობას იწვევდა. მაშინ დაღლილობა მოიმიზეზა და დარდიმანდულად დაუწყო საუბარი სამიკიტნოს პატრონებსა და უბრალო ხალხს, ვინც რამდენიმე კათხა ღვინის გადასაკრავად იყო აქ შემოსული. ჯენარინოს თავმდაბლურმა ქცევამ ამ ხალხს დაავიწყა მისი ტანისამოსი, ასეთი გარემოებისათვის მეტად მდიდრული რომ ჩანდა. ჯენარინომ არ იუკადრისა სამიკიტნოს პატრონთან და მის სტუმრებთან ერთად მისი დაკვეთით მოტანილი ოდნავ უკეთესი ღვინო შეესვა. ბოლოს, დიდი მცდელობის შემდეგ, შეამჩნია, რომ მისი იქ ყოფნა არავის აღარ ეხამუშებოდა. დაიწყეს ხუმრობა სან პეტიტოს კეთილშობილ მონაზვნებზე და მათ სტუმრებზე, ბაღის კედელზე რომ ძვრებოდნენ მათთან შესახვედრად.

ჯენარინო დარწმუნდა, ასეთი ამბები, რაზეც ნეაპოლში ბევრს ლაპარაკობდნენ, ნამდვილად ხდებოდა. ვომეროელი გულუბრყვილო გლეხები ამაზე ხუმრობდნენ, მაგრამ მაინცდამაინც დიდ აღშფოთებას არ გამოთქვამდნენ.

_ ის საცოდავი ქალიშვილები განა მართლა თავისი მოწოდებით მოდიან მონასტერში, როგორც ამას ჩვენი მღვდელი ბრძანებს. არა, იმიტომ რომ მათ თავიანთი მამების პალაცოებიდან აგდებენ, რათა ყველაფერი მათ ძმებს არგუნონ. არც გასაკვირია, თუ გასართობს ეძებენ. მაგრამ ეს საქმე გაძნელდა ახლანდელი წინამძღვრის, ქალბატონ ანჟელა-მარიას ხელში, რომელიც მარკიზ დე კასტრო პინიანოს გვარისაა. მას თავში ჩაუდია, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მეფის წყალობა მიიღოს და დუკათა გვირგვინი მოუპოვოს თავისი ძმისწულის ოჯახს ამ საცოდავი ქალიშვილების წამებით, რომელთაც

თავის სიცოცხლეში სერიოზულად არც უფიქრიათ ღმერთისა და ღვთისმშობლისათვის აღთქმის მიცემა. გაგიხარდებათ, რომ დაინახოთ, რა მხიარულად დარბიან ბაღში. გეგონებათ, ნამდვილი პანსიონერები არიან და არა მონაზვნები, რომლებიც თავიანთ სულს დაღუპავენ, თუ მხოლოდ იმაზე არ იზრუნებენ, რომ ძალით თავს მოხვეული აღთქმები შეასრულონ. ამას წინათ, ნეაპოლის არქიეპისკოპოსმა, ამ ქალიშვილების მეტად კეთილშობილი წარმოშობისათვის რომ პატივი მიეგო, მათთვის რომის კურიას უფლება გამოსთხოვა, მონაზვნად არა ჩვიდმეტი წლისანი, არამედ თექვსმეტი წლისანი აღკვეცონ. მონასტერში დიდი ზარ-ზეიმით შეხვდნენ ენით აუწერელ პატივისცემას, რასაც ასეთი პრივილეგია საცოდავი გოგონებისთვის წარმოადგენს.

_ თქვენ ბაღი ახსენეთ, _ ჩაურთო ჯენარინომ, _ მე კი მომეჩვენა, რომ ბაღი ძალიან პატარაა.

_ როგორ თუ პატარა? _ შესძახა ყველამ ერთხმად, _ კარგად გეტყობათ, შიგ არასდროს შეგიხედიათ. ათი არპანი მიწაა და უფროსი მებაღე მაესტრო ბეპო ხანდახან თორმეტ კაცს ამუშავებს შიგ.

_ ის უფროსი მებაღე მაესტრო ბეპო კი უთუოდ ვინმე ლამაზი ვაჟკაცია, არა? _ სიცილით იკითხა დონ ჯენარინომ.

_ წინამძღვარი დე კასტრო პინიანო თქვენ ცუდად გიცვნიათ! _ შესძახეს ყოველი მხრიდან, _ მაგისთანა ცოდვას თავის დღეში არ ჩაიდენს! სინიორ ბეპოს დამტკიცება მოუხდა, რომ ის სამოცდაათ წელზე მეტისა იყო. უკანასკნელად მარკიზ დე ლას ფლორესთან მუშაობდა, რომელსაც მშვენიერი ბაღი აქვს ჩეზიში.

ჯენარინო სიხარულისაგან შეხტა.

_ რა მოგდით? _ ჰკითხეს ახალმა მეგობრებმა.

_ არაფერია. ძალიან დავიღალე.

სინიორ ბეპოში მან მამამისის ძველი მებაღე იცნო. იმავე საღამოს გაიკითხა და იოლად გაიგო, თუ სად ცხოვრობდა ის უფროსი მებაღე სინიორ ბეპო და როგორ შეიძლებოდა მისი ნახვა.

დონ ჯენარინომ მეორე დღესვე ინახულა მებაღე. მოხუცი მებაღე სიხარულისგან ატირდა, როცა თავისი ძველი ბატონის, მარკიზ დე ლას ფლორესის უმცროსი ვაჟიშვილი იცნო, რომელიც ხშირად ხელით უტარებია, და უარი ვერაფერზე უთხრა. ჯენარინომ მამის ხელმოჭერილობა დაიჩივლა და მოხუცს გადაკვრით უთხრა, ასიოდე დუკატი დიდად გაჭირვებული მდგომარეობიდან გამომიყვანდაო.

ორი დღის შემდეგ მორჩილი როზალინდი, რომელსაც ახლა და სქოლასტიკას ეძახდნენ, მარტოდმარტო სეირნობდა მშვენიერ ყვავილნარში, ბაღის მარჯვენა ნაწილში. მას მოხუცი ბეპო მიუახლოვდა.

_ მე კარგად ვიცნობდი თავად ბისინიანოთა კეთილშობილ ოჯახს, _ უთხრა მან, _ ახალგაზრდობაში მათ ბაღში ვმუშაობდი და, თუ ნებას დამრთავთ, ერთ ლამაზ ვარდს მოგართმევთ, რომელიც ვაზის ფოთოლში შევახვიე, ოღონდ პირობა მომეცით, მანამ არ გახსნით, სანამ თქვენს სენაკში მარტო არ დარჩებით.

როზალინდმა ვარდი გამოართვა და მადლობის თქმა ვერც კი მოახერხა. ვარდი უბეში ჩაიდო და დაფიქრებული თავისი სენაკისაკენ გაემართა. ვინაიდან როზალინდი თავადის ქალიშვილი იყო და პირველი კლასის მონაზონი უნდა გამხდარიყო, მისი სენაკი სამი ოთახისგან შედგებოდა. შევიდა თუ არა, ლამპარი აანთო; უნდოდა, ლამაზი ყვავილი უბიდან ამოეღო, მაგრამ ყვავილი ყლორტს მოსწყდა და ხელში შერჩა. ყვავილის ფურცლებში ბარათი იყო დამალული. როზალინდს გული ძლიერ აუძგერდა, მაგრამ ბარათი მაშინვე წაიკითხა:

«თქვენი არ იყოს, არც მე ვარ მდიდარი, მშვენიერო როზალინდ, და თუ თქვენ მსხვერპლად გწირავენ თქვენი ძმების კეთილდღეობას, მეც, როგორც ალბათ მოგეხსენებათ, მარკიზ დე ლას ფლორესის მესამე ვაჟი გახლავართ. მას მერე, რაც თქვენ დაგკარგეთ, მეფემ თავისი გვარდიის უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიბოძა და ამ შემთხვევის გამო მამაჩემმა გამომიცხადა, რომ მე, ჩემი მსახურნი და ცხენები ამიერიდან საგვარეულო პალაცოში ვიცხოვრებთ, სმა-ჭამაშიც არაფერი დამეხარჯება, ხოლო დანარჩენში ყოველთვიურად ათი დუკატი უნდა ვიკმარო, რაც ოჯახში უმცროს შვილებს ეძლეოდა ხოლმე.

ასე რომ, ჩემო როზალინდ, ჩვენ ორივენი ერთნაირად ღარიბები ვართ და ერთნაირად დაჩაგრულნი. ხომ არ ფიქრობთ, რომ უეჭველად მთელი ცხოვრება უბედურნი უნდა ვიყოთ? სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, რომელშიც ჩაგვაგდეს, გამბედაობა მემატება გითხრათ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და მშობლების ამ ულმობელმა სიძუნწემ არ უნდა ჰპოვოს მოზიარე ჩვენს ნებისყოფაში. ბოლოს და ბოლოს, უნდა შეგირთოთ. ჩემი წარმოშობის კაცი აუცილებლად იშოვის საარსებო სახსრებს. ქვეყანაზე არაფრის ისე არ მეშინია, როგორც თქვენი უღრმესი ღვთისმოსაობისა. წერილს თუ მომწერთ, ერთი წუთითაც თავში არ გაივლოთ, რომ თქვენი აღთქმების მოღალატე მონაზონი ხართ; პირიქით, თქვენ ის ქალიშვილი ხართ, ვინც უნდა დააცილონ მეუღლეს,

მან გულის კარნახით რომ აირჩია. მოწყალება მოიღეთ და ვაჟკაცურად იყავით, მეტადრე, მე ნუ გამიწყრებით, უკადრისს არაფერს გკადრებთ; მაგრამ გული მიკვდება, როცა ვფიქრობ, რომ შეიძლება მთელი ორი კვირა ვერ გნახოთ, მე კი ასე ძლიერ მიყვარხართ. დღესასწაულებზე, ჩემი ცხოვრების იმ ბედნიერ დროში ერთმანეთს რომ ვხვდებოდით, თქვენდამი პატივისცემა ნებას არ მაძლევდა ასე აშკარად გამომეთქვა ჩემი გრძნობები. ახლა კი, ვინ იცის, მომეცემა თუ არა მეორედ საშუალება წერილის მოწერისა? ჩემმა ბიძაშვილმა ***-მ, რომელსაც ხშირად ვესტუმრები ხოლმე, მითხრა, რომ შეიძლება ორ კვირაზე ადრე ბელვედერეზე ასვლის ნებართვა ვერ მიიღოთ. ყოველდღე, ამ საათებში ტოლედოს ქუჩაზე ვიქნები, შესაძლებელია გადაცმულიც, რადგანაც არ მინდა ჩემმა ახალმა ამხანაგებმა, გვარდიის პოლკის ოფიცრებმა მიცნონ და დამცინონ.

რომ იცოდეთ, როგორ გამოიცვალა და როგორი გაუსაძლისი გახდა ჩემი ცხოვრება მას შემდეგ, რაც თქვენი თავი წამართვეს! ერთის მეტად არ მიცეკვია და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ქალბატონი ბისინიანო თვითონ მოვიდა ჩემს გამოსაწვევად.

ჩვენი ხელმოკლეობის გამო, ალბათ, ყველას დახმარება დაგვჭირდება. თავაზიანად და მეგობრულად მოექეცით მონასტრის ყველა მოსამსახურეს. მოხუცი მებაღე ბეპო მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამომადგა, რომ მან ოც წელიწადს უცვლელად იმუშავა მამაჩემის ბაღში, ჩეზიში.

ხომ არ შეგაშინებთ ის, რაც ახლა უნდა გითხრათ? კალაბრიაში, ზღვის პირას, ნეაპოლიდან ოთხმოც ლიეზე დედაჩემს ერთი მამული აქვს, რომელიც ექვსას დუკატად არის გაცემული არენდად. დედაჩემს ნაზად ვუყვარვარ, და თუ ძალიან ვთხოვე, ისე მოაწყობს საქმეს, რომ მოურავი მე გადმომცემს იმ მამულს არენდად იმავე ექვსას დუკატად წელიწადში. მე, მოგეხსენებათ, ას ოც დუკატს მინიშნავენ წელიწადში. ასე რომ, კიდევ ოთხას ოთხმოცი დუკატის დამატება მომიხდება, სამაგიეროდ, ფერმერის შემოსავალს მივიღებთ. ასეთი ცხოვრება შეიძლება არასაკადრისად ჩათვალონ; მაშინ იძულებული გავხდები გვარი გამოვიცვალო და იმ მამულის სახელი მივიღო, რომელსაც ***N3ქვია.

მაგრამ ვეღარ ვბედავ გაგრძელებას. გეგმა, რომელიც ამ წუთში მოკლედ გაგაცანით, შესაძლებელია, გეჩოთიროთ. როგორ! სამუდამოდ მივატოვოთ კეთილშობილი ნეაპოლი? ამის თავში გავლებაც კი ჩემი მხრიდან დიდი უტიფრობა იყო. ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ იმედს არ ვკარგავ, იქნებ რომელიმე ჩემი უფროსი ძმა მოკვდეს.

მშვიდობით, ძვირფასო როზალინდ. ალბათ, ძალიან საქმიანი გეჩვენებით. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენ რამეზე ვიფიქრე ამ სამი კვირის განმავლობაში, რაც

თქვენგან შორსა ვარ. ჩემი აზრით, ეს არც არის ცხოვრება; ყოველ შემთხვევაში, მომიტევეთ ჩემი უგუნურება».

როზალინდმა არაფერი უპასუხა ამ პირველ წერილზე, რომელსაც შემდგომში ბევრი სხვაც მოჰყვა. ყველაზე დიდი წყალობა, რაც მან იმ დროს ჯენარინოს მიმართ მოიღო, ის იყო, რომ ვაჟს ყვავილები გაუგზავნა მოხუცი ბეპოს ხელით, რომელიც და¡ სქოლასტიკის მეგობარი გახდა, ეგების იმიტომაც, რომ მებაღე ყოველდღე ქალიშვილს რაიმეს უამბობდა ჯენარინოს ბავშვობიდან.

ჯენარინო კი მთელ დღეებს მონასტრის კედლებთან ხეტიალში ატარებდა. საზოგადოებაში ის აღარ გადიოდა. სასახლეში მხოლოდ მაშინ ხედავდნენ, როცა იქ გუშაგად იდგა. გულსაკლავი ცხოვრება ჰქონდა და დიდად არ გაუზვიადებია, როცა და¡ სქოლასტიკას არწმუნებდა, სიკვდილი მწადიაო.

ჯენარინო იმდენად უბედურად თვლიდა თავს ამ არაჩვეულებრივი სიყვარულის გამო, მისი გული რომ მოიცვა, გაბედა და სატრფოს მისწერა, ასეთი ცივი ურთიერთობა წერილების საშუალებით არავითარ სიხარულს არა მგვრისო. უნდოდა პირისპირ შეხვედროდა სატრფოს და იქვე ცოცხალ საუბარში გამოერკვია, რა პასუხს მისცემდა ქალი მის კითხვებს. შეყვარებულს შესთავაზა, ბეპოსთან ერთად მონასტრის ბაღში შემოვალ და თქვენი სენაკის ფანჯრის ქვეშ დაგელოდებითო.

ბევრი ხვეწნის შემდეგ როზალინდი, როგორც იქნა, მოლბა და ჯენარინოს ნება დართო, ბაღში შესულიყო.

ამ პაემნებს იმოდენა მომხიბლაობა ჰქონდა შეყვარებულთათვის, რომ სიფრთხილეზე ხელი აიღეს და ერთურთის ნახვას მოუხშირეს. მალე მოხუცი ბეპოს იქ ყოფნაც ზედმეტად ჩათვალეს. ახლა მოხუცი ბაღის ჭიშკარს ღიას ტოვებდა და ჯენარინო წასვლისას თვითონ კეტავდა ხოლმე.

იმ ჩვეულების მიხედვით, რომელიც თვითონ წმინდა ბენედიქტემ შემოიღო იმ შფოთიან დროში, როცა ყოველი ადამიანი იძულებული იყო თავისი თავი თვითონ დაეცვა, მონაზვნებს, სანამ ღამის სამ საათზე კლიროსზე ავიდოდნენ ცისკრის ლოცვად, ჯერ მონასტრის ეზო-ყურე უნდა მოეთვალიერებინათ. აი, როგორ ასრულებდნენ ამ ჩვეულებას სან პეტიტოს მონასტერში: კეთილშობილი მონაზვნები ღამის სამ საათზე, რასაკვირველია, არ დგებოდნენ. ისინი თავიანთ მაგივრად საცოდავ ქალიშვილებს გზავნიდნენ ქირით ცისკრის ლოცვაზე. ამასობაში აღებდნენ ბაღში მდგარი პატარა სახლის კარს, სადაც სამი მოხუცებული, სამოცდაათ წელს მიღწეული ჯარისკაცი ცხოვრობდა.

კარგად შეიარაღებულ ჯარისკაცებს ბაღში წინ და უკან უნდა ეარათ და აეშვათ დიდი ქოფაკები, რომლებიც მთელი დღე ჯაჭვით იყვნენ დაბმული.

ჩვეულებრივ, ჯენარინოს სტუმრობა მშვიდობიანად მთავრდებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ ღამეს ძაღლებმა ისეთი ყეფა ატეხეს, რომ მთელმა მონასტერმა გამოიღვიძა. ჯარისკაცებმა, რომელთაც ძაღლები აეშვათ, თვითონ კი ისევ დაწოლილიყვნენ, საჩქაროდ მოირბინეს და, ვითომდა ადგილზე ვართო, თოფებიც კი ისროლეს. წინამძღვარს შეეშინდა, მის ოჯახს დუკობა არ წასვლოდა ხელიდან.

ამის მიზეზი ჯენარინო იყო, რომელიც ძალიან გაერთო როზალინდთან საუბარში მის სარკმელთან. მან ძლივძლივობით გააღწია თავი სამშვიდობოს, მაგრამ რაკი გააფთრებული ძაღლები მისდევდნენ უკან, კარის ჩაკეტვა ვეღარ მოასწრო და მეორე დღეს წინამძღვარი ანჯელა კუსტოდე საშინლად განრისხდა, როცა შეიტყო, რომ მონასტრის ძაღლებს არენელას მთელი ტყე და ნაწილობრივად ვომეროს ზეგანიც კი მოერბინათ. მისთვის აშკარა გახდა, რომ იმ დროს, როცა ძაღლების საშინელი ყეფა ატყდა, ბაღის ჭიშკარი ღია იყო.

წინამძღვარი დიდად ზრუნავდა მონასტრის კეთილ სახელზე და დაიჟინა, მოხუცი ყარაულების დაუდევრობითაა, ბაღში რომ ქურდები შემოიპარნენო. ამიტომ ისინი გარეკა და მათ ნაცვლად სხვები დააყენა, რამაც, ცოტა არ იყოს, მღელვარება გამოიწვია მონასტერში: ბევრი მონაზონი უჩიოდა ასეთი მკაცრი ზომების მიღებას.

მონასტრის ბაღი მთლად უკაცური არ ყოფილა ღამ-ღამობით. ბევრი შემოდიოდა, მაგრამ დიდხანს არ ჩერდებდოა. დონ ჯენარინო კი იმდენად იყო შეყვარებული, რომ სატრფოს სენაკში შეშვება ვერ სთხოვა და აკი მონასტრის ყველა სამიჯნურო საქმეც კინაღამ არ დაღუპა. მეორე დღეს მაინც შეუგზავნა როზალინდს გრძელი უსტარი: ემუდარებოდა, ნება მომეცი შენს სენაკში შემოვიდეო; მაგრამ დასტური მხოლოდ მაშინ მიიღო, როცა როზალინდმა საშუალება გამოიგონა თავისი სინდისის ქენჯნა დაეცხრო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, როზალინდის სენაკი, როგორც ყველა თავადის ასულთა სენაკები, რომლებიც პირველი კლასის კეთილშობილი მონაზვნები უნდა გამხდარიყვნენ, სამი ოთახისაგან შედგებოდა. უკანასკნელი ოთახი, სადაც არასოდეს არ შედიოდნენ, უბრალო ფიცრული ტიხრით ესაზღვრებოდა თეთრეულის საკუჭნაოს. ჯენარინომ მოახერხა ტიხრის ერთ-ერთი ფიცარი მოეგლიჯა, რომელიც ერთი ფუტის სიგანის და ასეთივე სისქისა იყო. ჯენარინო თითქმის ყოველ ღამე შედიოდა მონასტერში ბაღით, შეჰყოფდა თავს ამ სარკმელში და დიდხანს ესაუბრებოდა თავის სატრფოს.

ეს ბედნიერება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და ჯენარინო უკვე აპირებდა სხვა უფრო დიდი სიკეთე ეთხოვა ქალიშვილისთვის, როცა ორი ხანდაზმული მონაზონი, რომლებიც თვითონაც იღებდნენ ბაღიდან შეყვარებულებს, ახალგაზრდა მარკიზის სილამაზით მოიხიბლნენ და გადაწყვიტეს, ვაჟი იმ ერთი უბრალო პატარა მორჩილისთვის წაერთმიათ. ეს ქალბატონები გამოესაუბრნენ ჯენარინოს და, რათა საუბრისთვის წესიერი ელფერი მიეცათ, უპირველეს ყოვლისა, საყვედურები უთხრეს იმის გამო, რომ ასე ხშირად შემოდიოდა ბაღში და დედათა მონასტრის წმინდა განდეგილობას არღვევდა.

როგორც კი ჯენარინო მიუხვდა სურვილებს, განუცხადა, სატრფიალო კავშირი ცოდვების განტევებისათვის კი არ გამიბამს, არამედ თავის გასართობადო და ამიტომ გთხოვთ, ჩემს საქმეებში ნუ ჩაერევითო.

ამ უხიაკმა პასუხმა, რასაც დღესდღეობით მსგავს გარემოებაში ვერავინ გაბედავდა, ისე გააცეცხლა ორი ხანდაზმული მონაზონი, რომ მიუხედავად ასეთი შეუფერებელი დროისა, _ ღამის ორი საათი იქნებოდა, _ უყოყმანოდ გაიქცნენ და წინამძღვარი გააღვიძეს.

ახალგაზრდა მარკიზის საბედნიეროდ დამბეზღებელმა მონაზვნებმა ის ვერ იცნეს. წინამძღვარი ჯენარინოს პაპიდა იყო, ბაბუამისის უმცროსი და, მაგრამ იგი სულ სახელ-დიდებასა და თავისი გვარის დაწინაურებაზე ოცნებობდა და რაკი იცოდა, რომ ახალგაზრდა მეფე კარლოს III წესრიგის გაბედული და სასტიკი დამცველი იყო, შეეძლო მასთან ამბავი მიეტანა, თავისი ძმისწულის, ჯენარინოს სახიფათო ოინები მოეხსენებინა და ჭაბუკსაც, ალბათ, ესპანეთში ან, სულ ცოტა, სიცილიაში მაინც უკრავდნენ თავს.

მონაზვნებმა ძლივძლივობით მოახერხეს წინამძღვართან შესვლა და მისი გაღვიძება; მაგრამ როგორც კი ეს ღვთისმოსავი და გულმოდგინე ქალი მიხვდა, რა საშინელ დანაშაულზე იყო ლაპარაკი, მაშინვე დაÿსქოლასტიკის სენაკისკენ გაიქცა.

ჯენარინოს თავისი სატრფოსთვის არ გაუმხელია, ორ ხანშიშესულ მონაზონს რომ შეხვდა, და ის მშვიდად ესაუბრებოდა სქოლასტიკას თეთრეულის საკუჭნაოს მეზობელ ოთახში, როცა მოულოდნელად გაიგონეს, რა საშინელი ჯახუნით გაიღო საწოლი ოთახის კარი.

შეყვარებულებს მხოლოდ ვარსკვლავთა მკრთალი შუქი ანათებდა. ახლა კი მათ ერთბაშად თვალები დაუბრმავა რვა თუ ათი ლამპის კაშკაშა შუქმა, რომლებიც წინამძღვრის უკან მოჰქონდათ.

ჯენარინომ, როგორც ყველამ ნეაპოლში, იცოდა, რა დიდი ხიფათი მოეწევა მონაზონს, ანდა უბრალო მორჩილს, თუ წაასწრეს, რომ მან მამაკაცი მიიღო მის სენაკად

წოდებულ პატარა ბინაში, და ბევრი აღარ უფიქრია, მყისვე გადახტა ბაღში თეთრეულის საკუჭნაოს ფანჯრიდან, კარგა მაღალზე რომ იყო.

დანაშაული აშკარა იყო. სქოლასტიკაც თავის გასამართლებლად არაფერს ამბობდა.

წინამძღვარმა ანჯელა კუსტოდემ მაშინვე დაჰკითხა იგი. წინამძღვარი, მაღალ-მაღალი, ხმელი და სახემკრთალი ორმოცი წლის ქალი, ნეაპოლის სახელმწიფოს უკეთილშობილესი ოჯახის შთამომავალი იყო და მას ყველა ის მორალური ღირსება გააჩნდა, რასაც ასეთი არაჩვეულებრივი გარემოება მოითხოვდა. მას არ აკლდა წესდების სასტიკი დაცვისათვის აუცილებელი გამბედაობა, მეტადრე მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა მეფემ აბსოლუტური მონარქის წოდების ხელობა აითვისა თუ არა, ყველას გასაგონად გამოაცხადა, ყველაფერში კანონის შესრულებას მოვითხოვო, უეჭველსა და განუხრელ შესრულებასო. ამას ზედ ის გარემოებაც დაერთო, რომ წინამძღვარი ანჯელა კუსტოდე შთამომავალი იყო დე კასტრო პინიანოს გვარისა, რომელსაც თავად დე ბისინიანოს გვართან მტრობა ჰქონდა ჯერ კიდევ მეფე დუკა ანჟუელის, წმინდა ლუის ძმის დროიდან.

როცა თავის ოთახში ახალგაზრდა კაცთან საუბარში გართულ საცოდავ სქოლასტიკას შუაღამისას ამოდენა ხალხი ლამპრებით თავს წაადგა, მან რიდისაგან ხელები აიფარა სახეზე. იმდენად იყო დარცხვენილი, რომ ამ პირველ, მისთვის გადამწყვეტ წუთშიც ვერ მოახერხა ისეთ გარემოებაზე მიეთითებინა, რაც შემდგომში ძალიან წაადგებოდა. რამდენიმე სიტყვა, მის ბაგეთ რომ დასცდა, სულაც არ იყო მისთვის სახეირო. მან ორჯერ გაიმეორა:

_ კი მაგრამ, ეს ყმაწვილი კაცი ჩემი მეუღლეა.

ამ სიტყვებმა, რაზეც შეიძლებოდა ისეთი რამ გაეფიქრათ, სინამდვილეში რომ არ მომხდარა, დიდად გაახარა ორი ენატანია მონაზონი. მაგრამ წინამძღვარმა სამართლიანობის გრძნობის კარნახით ყველა იქ დამსწრეთა ყურადღება სწორედ იმას მიაქცია, რომ ოთახების განლაგების მიხედვით ის შეჩვენებული მუსუსი, რომელმაც მონასტრის კარჩაკეტილობის დარღვევა გაბედა, იმავე ოთახში მაინც არ იმყოფებოდა, სადაც გზააბნეული მორჩილი. მან მხოლოდ თეთრეულის ერთ-ერთ საკუჭნაოში შეაღწია მას მერე, რაც ფიცარი მოაგლიჯა მორჩილი სქოლასტიკის ოთახსა და თეთრეულის ოთახის გამყოფ ხის ტიხარს. ცხადია, ყმაწვილი კაცი ქალს ელაპარაკებოდა, მაგრამ მასთან არ შესულა, რამეთუ იმ დროს, როცა თავს წაადგნენ და სქოლასტიკის ბინის მეორე ოთახში შევიდნენ, იმ მუსუსს თეთრეულის საკუჭნაოში მოჰკრეს თვალი, საიდანაც გაიქცა კიდეც.

* * *

საცოდავი სქოლასტიკა იმდენად დაეცა სულით, რომ უდრტვინველად წაჰყვა საპატიმროში, რომელიც თითქმის მიწის ქვეშ მდებარეობდა და ამ კეთილშობილი მონასტრის in pace-ს წარმოადგენდა. ეს in pace გამოჭრილი იყო საკმაოდ რბილ კლდეში, რომელზეც დღეს სტუდის საუცხოო ნაგებობაა აღმართული. ამ საპატიმროში მხოლოდ და მხოლოდ იმ მონაზვნებსა და მორჩილებს ამწყვდევდნენ, რომლებსაც განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი, ან რაიმე საშინელ ბოროტმოქმედებაზე წაასწრეს. ამაზე მეტყველებდა შესასვლელზე ამოჭრილი წარწერა. მაგრამ მორჩილ სქოლასტიკას საამისო არა სჭირდა რა. წინამძღვარი შესანიშნავად ამჩნევდა, ქალიშვილის მიმართ უსამართლობას სჩადიოდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მეფეს ყველაფერში სიმკაცრე უყვარდა, ხოლო თვითონ წინამძღვარი თავისი გვარისთვის დუკას წოდებაზე ოცნებობდა. მან გაიფიქრა, მე უკვე ბევრი გავაკეთე ქალიშვილის სასარგებლოდ, როცა ყველას ყურადღება იმას მივაქციე, რომ მას თავის ოთახში არ შეუშვია ის საძულველი მუსუსი, რომელსაც კეთილშობილი მონასტრის სახელის შერცხვენა უნდოდაო.

სქოლასტიკა მარტო დატოვეს კლდეში გამოჭრილ პატარა საკანში, ხუთი-ექვსი ფუტით დაბლა მეზობელ მოედანზე, რისთვისაც კლდის რბილი ქანი ცოტათი იყო ჩაღრმავებული. როცა ქალიშვილმა თავი დაიმარტოხელა და თვალებს აღარ სჭრიდნენ გაჩახჩახებული ლამპები, რომლებიც თითქოს თავის შერცხვენას უსაყვედურებდნენ, იგრძნო, რომ ვეებერთელა ტვირთი მოეხსნა.

«ბოლოს და ბოლოს, რომელ ამ ქედმაღალ მონაზონს აქვს ნება ასე მკაცრად განმსაჯოს, _ ფიქრობდა როზალინდი, _ მართალია, ვხვდებოდი, მაგრამ არასოდეს ჩემს ოთახში არ შემომიშვია ყმაწვილი კაცი, რომელიც მიყვარს და იმედი მაქვს, რომ ცოლად გავყვები. ყველა ამბობს, ამ ქალებიდან ბევრნი, ვინც ღვთის წინაშე აღთქმა დადო, ღამ-ღამობით სტუმრებს იღებენო. მას შემდეგ, რაც ამ მონასტერში მოვხვდი, ისეთი ამბები ვნახე, რომ ახლა მეც ამ აზრისა ვარ. ეს ქალები აშკარად აცხადებენ, სან პეტიტო სულაც არ არის ისეთი მონასტერი, როგორც ეს ოცდაათის წმინდა (საეკლესიო) კრების დადგენილებით ესმითო; ესე იგი, ეს არ არის თავშეკავებისა და განდგომის მონასტერი. უბრალოდ, ეს ერთი რიგიანი თავშესაფარია, სადაც შეუძლიათ დიდი ხარჯების გაუწევლად შეინახონ საცოდავი კეთილშობილი წარმოშობის ქალები, რომელთაც საუბედუროდ ძმები ჰყავთ. მათ არ სთხოვენ არც თავშეკავებას, არც თვითგანდგომას, არც სულიერ ურვას, რაც კიდევ უფრო გიმატებს დარდს, სიღარიბის გამო რომ მისცემიხარ. მე

კი, ჩემი მხრივ, აქ იმიტომ მოვედი, რომ მშობლების ნებას დავემორჩილე. მე და ჯენარინომ ერთმანეთი შევიყვარეთ, და მართალია, არც ერთს შეძლება არა გვაქვს, მაინც გადავწყვიტეთ ჯვარი დავიწეროთ და საცხოვრებლად ზღვის პირას მდებარე პატარა სოფელში წავიდეთ ნეაპოლიდან ოც ლიეზე, სალერნოს გაღმა მხარეს. დედამისი შეჰპირდა ისე მოაწყოს, რომ ის პატარა მამული, რომელიც ხუთას დუკატს აძლევს შემოსავალს მის ოჯახს, მას გადასცენ. რაკი ჯენარინო უმცროსი შვილია, ის სახარჯოდ ორმოც დუკატს იღებს თვეში. ჩემი ოჯახი უთუოდ არ დამიჭერს იმ სახარჯო ფულს, რომელსაც აქ მაძლევს, რომ თავიდან მომიშოროს. გასაჩივრების შემდეგ კიდევ ათ დუკატს მოგვიმატებენ თვეში. ოცჯერ მაინც ვიანგარიშეთ. ამ პატარა თანხის პატრონთ, მართალია, ლივრეანი ლაქიები არ გვეყოლება, მაგრამ თავს კარგად გავიტანთ; რაც ცხოვრებისათვის აუცილებელია, ყველაფერი გვექნება. ახლა თავი და თავი სიძნელე ის არის, რომ ჩვენი ქედმაღალი მშობლები არ გადაგვიდგნენ, რაკი უბრალო ფერმერებივით გვინდა ცხოვრება. ჯენარინო ფიქრობს, ჩვენი საქმის წარმატებისათის საკმარისი იქნება გვარი გამოვიცვალო და ისეთი დავირქვა, რაც მამაჩემის, დუკას გვართან არაფრით იქნება დაკავშირებული».

ასეთი და სხვა ამისთანა ფიქრები დიდად შველოდნენ საცოდავ სქოლასტიკას, მაგრამ სან პეტიტოს მონასტრის მონაზვნები, _ ისინი კი ას ორმოცდაათნი იყვნენ, _ წინა ღამის შემთხვევას ფრიად სასარგებლოდ თვლიდნენ მონასტრის დიდებისათვის. მთელი ნეაპოლი ლაპარაკობდა, იქ ქალები ღამ-ღამობით თავიანთ შეყვარებულებს იღებენო. აქ კი ხელში ჩაუვარდათ წარჩინებული ოჯახიდან გამოსული ყმაწვილი ქალი, რომელსაც თავის დაცვა არ შეეძლო, და რომელიც შეიძლებოდა წესდების მთელი სიმკაცრით დასჯილიყო. ოღონდ თვალყური უნდა მიედევნებინათ, რომ საქმის გამოძიების დროს ქალს მშობლებთან ურთიერთობა არ გაება, ხოლო, როცა განაჩენს გამოიტანენ, როგორც არ უნდა ცდილიყო ოჯახი, ხელს ვერ შეუშლიდა სასტიკი სასჯელის დადებას, რაც ნეაპოლსა და მთელს სახელმწიფოში კეთილშობილ დედათა მონასტრის ოდნავ შერყეულ სახელს აღადგენდა.

წინამძღვარმა ანჯელა კუსტოდემ თავი მოუყარა შვიდი მონაზვნისაგან შემდგარ კაპიტულს, რომლებიც ყველა მონაზვნების მიერ იყვნენ არჩეულნი სამოცდაათი წლის ასაკს მიღწეულთაგან. სქოლასტიკამ ისევ უარი თქვა პასუხის გაცემაზე. მაშინ ის ერთ ოთახში შეაგდეს, რომლის ერთადერთი ფანჯარაც მაღალ კედელს ებჯინებოდა. სქოლასტიკას დალაპარაკების უფლება არ ჰქონდა. დარაჯად ორი მორჩილი და მიუყენეს, რომლებიც თვალს ერთი წუთითაც არ აშორებდნენ.

სან პეტიტოს მონასტერში მომხდარი შემაშფოთებელი ამბავი, სადაც ნეაპოლის წარჩინებულ ოჯახებს ნათესავები ჰყავდათ, მალე საყოველთაოდ გამოაშკარავდა. არქიეპისკოპოსმა წინამძღვარს ანგარიში მოსთხოვა და მანაც შერბილებულად უამბო ყველაფერი, რათა კეთილშობილი მონასტრის სახელი არ შეერცხვინა.

ვინაიდან თავად ბისინიანოს ოჯახი ახლოს იდგა ყველაფერთან, რაც კი სახელმწიფოში მნიშვნელოვანი ხდებოდა, არქიეპისკოპოსმა, რომელსაც შეეძლო საქმის გამოძიება საარქიეპისკოპოსოს ტრიბუნალში გაეგზავნა (curia archivescovile), გადაწყვიტა, ჯერ მეფისგან აეღო მითითებები. წესრიგის მოყვარული მეფე სასტიკად განარისხა არქიეპისკოპოსის ნაამბობმა. შემდეგში ამბობდნენ, თურმე ვარგას დელ პარდომ, რომელიც არქიეპისკოპოსის აუდიენციას ესწრებოდა, მისთვის უცნობი ვიღაც დაÌსქოლასტიკის თავაშვებული საქციელი რომ მოისმინა, ახალგაზრდა მეფეს ურჩია, რაც შეიძლება დიდი სისასტიკე გამოეჩინა მის საქმეშიო.

_ თქვენს უმაღლესობას არასოდეს უნდა დაავიწყდეს, რომ ვისაც ღმერთის არ ეშინია, იმას არც მეფისა შეეშინდება.

საეპისკოპოსო სასახლეში დაბრუნებულმა არქიეპისკოპოსმა თავისი სამსჯავრო მოიწვია ამ სავალალო საქმის გასარჩევად. ერთი ქორეპისკოპოსი, ორი ფისკალი და ერთი მდივანი ამ ტრიბუნალიდან სან პეტიტოს მონასტერში მივიდნენ, რათა დაკითხვა ჩაეტარებინათ და გამოძიება დაეწყოთ. ვერა და ვერ მოახერხეს ამ ბატონებმა რამე ეთქმევინებინათ და სქოლასტიკისთვის. ის სულ ერთთავად გაიძახოდა:

_ არაფერში მიმიძღვის ბრალი, ჩემი საქციელი უცოდველია. ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი და არც ვიტყვი.

როცა მიიწურა კანონის მიერ დაწესებული ვადა, რაც კიდევ უფრო გაგრძელდა წინამძღვრის წყალობით, რადგანაც მან პროცესის დასასრულს მოინდომა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, სირცხვილი აერიდებინა კეთილშობილი მონასტრისათვის, საარქიეპისკოპოსოს ტრიბუნალმა მიიღო რა მხედველობაში, რომ არ არსებობდა არავითარი სამხილი, ესე იგი, წინამძღვრის ჩვენების მიხედვით, მოწმეებს ერთსა და იმავე ოთახში არ დაუნახავთ და სქოლასტიკა და მამაკაცი, მარტო იმას შეასწრეს თვალი, რომ მამაკაცი მეზობელი ოთახიდან გაიქცა, სქოლასტიკას მიუსაჯა პატიმრობა in pace-ში იმ დრომდე, სანამ არ გამოტყდებოდა, ვინ იყო მამაკაცი, რომელიც მეზობელი ოთახიდან ესაუბრებოდა.

მეორე დღეს, როცა სქოლასტიკა პირველ სამსჯავროზე წარსდგა «უხუცეს მონაზონთა საბჭოს» წინაშე, რომელსაც თვითონ წინამძღვარი წარმართავდა, ამ უკანასკნელმა თითქოს შეიცვალა აზრი მის საქმეზე. ის ფიქრობდა, ავყია საზოგადოების გართობა მონასტერში გამეფებული უწესობით სახიფათო იქნებაო.

_ ხალხი იტყვის: თქვენ სჯით სამიჯნურო კავშირისთვის, რომელიც დამნაშავეთა უგერგილობის გამო აღმოაჩინეთ. ჩვენ კი ვიცით, რომ კიდევ ათასი ამისთანა შემთხვევა არსებობსო. რაკი ჩვენს ახალგაზრდა მეფეს თავი მტკიცე ხასიათის კაცად მიაჩნია და სურს ყველას შეასრულებინოს კანონები, რაც თავის დღეში არავის სმენია ამ სახელმწიფოში, შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს დროებითი მდგომარეობა და მოვიპოვოთ ისეთი რამ, რაც მონასტრისთვის უფრო სახეირო იქნება, ვიდრე ათი საცოდავი მონაზვნის გასამართლებაა ნეაპოლის არქიეპისკოპოსისა და ყველა კანონიკების წინაშე, ვისაც კი ის მოიწვევს თავისი ტრიბუნალის შესადგენად. მე მინდა დასაჯონ ის კაცი, რომელმაც ჩვენს მონასტერში გაბედა შემოპარვა. მეფის კარის ერთი ლამაზი ყმაწვილის ჩაგდება ციხეში უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაში, ვიდრე ასი მონაზვნის გასამართლება. ასეთი ნაბიჯი უფრო სამართლიანიც იქნება: უდიერ საქციელს ხომ მუდამ მამაკაცი ბედავს. სქოლასტიკას ის კაცი თავის ოთახში არ მიუღია და ღმერთმა ქნას, რომ მონასტრის ყველა მონაზონი ასე ფრთხილად იქცეოდეს! და¡ სქოლასტიკა გაგვიმხელს იმ კადნიერი ყმაწვილის სახელს, რომლის წინააღმდეგ მეფის კარზე სარჩელს წარვადგენ და, რაკი ქალს ძალიან პატარა დანაშაული მიუძღვის, ჩვენ მას რაიმე მსუბუქ სასჯელს დავადებთ.

წინამძღვარს ძალიან გაუჭირდა «უხუცესნი» გადმოებირებინა. ბოლოს, რაკი მისი მაღალი წარმოშობა და მეტადრე მისი ურთიერთობა მეფის კართან მათსაზე უფრო ძლიერი იყო, იძულებული გახდნენ დაეთმოთ. წინამძღვარს ეგონა, ტრიბუნალის სხდომა რამდენიმე წუთს გაგრძელდებოდა, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად წარიმართა.

სქოლასტიკამ, როგორც წესი და რიგი იყო, მუხლებზე დაჩოქილმა ლოცვა წაიკითხა ტრიბუნალის წინაშე, მერე მხოლოდ ეს რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა:

_ მე სრულიადაც არა ვთვლი ჩემს თავს მონაზვნად. იმ ყმაწვილ კაცს საზოგადოებაში ვიცნობდი. მართალია, ორივენი ღარიბები ვართ, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს, ვიქორწინოთ.

ეს სიტყვები საფუძველში არღვევდა მონასტრის მცნებასა და ყველაზე დანაშაულებრივი ჩანდა, რაც კი სან პეტიტოს დედათა კეთილშობილ მონასტერში შეიძლებოდა წარმოთქმულიყო.

_ სახელი გვითხარი, სახელი იმ ყმაწვილისა! _ შეაწყვეტინა მოუთმენლად წინამძღვარმა, რადგანაც ეგონა, სქოლასტიკა ქორწინების დასაცავად აპირებდა სიტყვის გაგრძელებას.

სქოლასტიკამ მიუგო:

_ მის სახელს ვერასოდეს გაიგებთ, თავის დღეში ჩემი სიტყვებით ვნებას არ მივაყენებ კაცს, რომელიც ჩემი მეუღლე უნდა გახდეს.

მიუხედავად წინამძღვრისა და უხუცესთა მოთხოვნისა, მორჩილს ვერაფრით ათქმევინეს ჯენარინოს სახელი.

წინამძღვარმა ესეც კი უთხრა:

_ ყველაფერს გაპატიებთ და ახლავე შენს სენაკში გაგიშვებ, თუ ერთ სიტყვას იტყვი.

ქალიშვილი პირჯვარს იწერდა და თავს დაბლა უკრავდა, მაგრამ ხელით ანიშნებდა, ამაზე მეტს ერთ სიტყვასაც ვეღარ ვიტყვიო.

მან კარგად იცოდა, რომ ჯენარინო ამ შეუბრალებელი წინამძღვრის ძმის შვილიშვილი იყო. «თუ გამოვტყდი, _ ფიქრობდა ქალი, _ როგორც ეს ქალბატონები მარწმუნებენ, მაპატიებენ და სასჯელს ამხსნიან, მაგრამ მას სიცილიაში ან ესპანეთში უკრავენ თავს და ვეღარასოდეს ვნახავ; ეს კი სულ უმცირესი უბედურება იქნება, რაც კი შეიძლება მას დააწიონ».

წინამძღვარს ისე მოაყვანინა გული და¡სქოლასტიკის ფეხმოუცვლელმა დუმილმა, რომ მან ყველა თავისი კეთილი განზრახვა დაივიწყა და საჩქაროდ ნეაპოლის არქიეპისკოპოსს მოხსენება მიართვა იმ შემთხვევაზე, რომელიც წინა ღამით მონასტერში მოხდა.

არქიეპისკოპოსი ცდილობდა თავი მოეწონებინა მეფისთვის, რომელსაც სისასტიკის გამოჩენა სურდა, და გულიანად მოეკიდა ამ საქმეს, მაგრამ თუმცა ქალაქის ყველა სამრევლო მღვდელი დაიხმარა და ყველა უშუალოდ საეპისკოპოსოს დაქვემდებარებული ჯაშუში დარაზმა, ვერაფერი აღმოაჩინა და ყველაფერი მეფეს მოახსენა. მეფემ ეს საქმე დაუყოვნებლივ პოლიციის მინისტრს გადაუგზავნა, რომელმაც უთხრა:

_ ჩემი აზრით, თქვენს უმაღლესობას სისხლის დაუღვრელადაც შეუძლია ისეთი განაჩენი გამოიტანოს, რომ ყველას შიში ჩაუდოს გულში. ეს დიდხანს დარჩებათ მეხსიერებაში, მით უფრო, თუ სან პეტიტოს მონასტრის საცვლის საკუჭნაოში შეპარული ყმაწვილი კაცი თქვენი კარის დიდებულია ან ნეაპოლის წარჩინებულ ოჯახს ეკუთვნის.

მეფე დაეთანხმა მინისტრს ამ მოსაზრებაზე და მინისტრმა მას ორას ორმოცდაშვიდი კაცისაგან შემდგარი სია წარუდგინა: თითოეულზე შეიძლებოდა ეჭვის მიტანა, რომ იმ ღამეს კეთილშობილ მონასტერში შეიპარებოდა.

ერთი კვირის შემდეგ ჯენარინო დააკავეს იმ უბრალო მიზეზით, აქაოდა უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში შემჩნეული იყო, რომ ძალიან მომჭირნედ ცხოვრობდა და სიძუნწემდეც კი მიდიოდა, ხოლო იმ ღამის შემდეგ, როცა ბოროტმოქმედება მოხდა, ვითომდა ძირფესვიანად შეცვალა თავისი ცხოვრების ყაიდაო.

რათა გადაეწყვიტათ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა შეიძლებოდა მიეწერათ ამ სამხილისთვის, მინისტრმა წინამძღვარი გააფრთხილა და მანაც და¡ სქოლასტიკა ცოტა ხნით გამოაყვანინა დილეგიდან, სადაც დამწყვდეული იყო. იმ დროს, როცა წინამძღვარი მას ჩააგონებდა, გულწრფელად გამომტყდარიყო, მისაღებში პოლიციის მინისტრი შევიდა და სქოლასტიკის თანდასწრებით ხმამაღლა შეატყობინა, ახალგაზრდა ჯენარინო ლას ფლორესი ამ წუთში მოკლეს სბირებმა, რომლებიც დასაჭერად მისდევდნენო.

სქოლასტიკა გულწასული დაეცა ძირს.

_ ესეც თქვენი დამამტკიცებელი საბუთი! _ ცას ეწია სიხარულით მინისტრი. _ მე ექვსი სიტყვით უფრო მეტი შევიტყვე, ვიდრე თქვენმა მაღალსამღვდელოებამ ექვსი თვის გულმოდგინების შედეგად გაიგეთ.

მაგრამ მინისტრი გააკვირვა იმან, თუ რაოდენ დიდი გულგრილობით შეხვდა კეთილშობილი წინამძღვარი მის შეძახილს.

ეს მინისტრი, ნეაპოლის მეფის კარის ჩვეულების მიხედვით, ერთი უბრალო ვექილი იყო; ამიტომ წინამძღვარმა სავსებით მართებულად ჩათვალა, მის წინაშე რაც შეიძლებოდა ქედმაღლურად დაეჭირა თავი. ჯენარინო მას ძმისწულის შვილად მოსდიოდა და ეშინოდა, ამ ბრალდების საქმეს, რომელშიც მეფე აუცილებლად ჩაერეოდა, ზიანი არ მიეყენებინა მისი წარჩინებული ოჯახისათვის.

მინისტრმა იცოდა, რომ თავადაზნაურობა მას ათვალწუნებით უყურებდა და მხოლოდ მეფის წყალობის იმედი უნდა ჰქონოდა. მან წინანდებურად განაგრძო ძიება, მიუხედავად იმისა, რომ დუკა დე ლას ფლორესი მას შუამდგომლობით მიმართავდა. ამ საქმემ მეფის კარზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მინისტრი, რომელიც ჩვეულებრივ ცდილობდა ხოლმე საქმე არ გაეხმაურებინა, ამჯერად შეეცადა გაებერა მომხდარი ამბავი.

გვარდიის პოლკის უმცროს ლეიტენანტ ჯენარინო ლას ფლორესის და ახალგაზრდა როზალინდ დე ბისინიანოს, იმჟამად სან პეტიტოს მორჩილის, და¡ სქოლასტიკის

ერთმანეთის პირში წაყენება დიდი სასეირო სანახაობა გამოვიდა, რომელზეც მეფის კარის ყველა მანდილოსანმა მოისურვა დასწრება.

ამ შემთხვევის გამო მონასტრის საყდრის შიგა და გარე ნაწილი საუცხოოდ მორთეს. მინისტრმა მანდილოსნები მოიწვია, რათა ისინი დასწრებოდნენ გვარდიის უმცროსი ლეიტენანტის, ჯენარინო ლას ფლორესის საქმის გარჩევას, თან სიტყვაც გადაუკრა, პროცესი ჯენარინოსთვის უმაღლესი ზომის მისჯით დამთავრდება, ხოლო და¡სქოლასტიკისთვის სამისდღემჩიო პატიმრობით in pace-შიო. მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ მეფე ვერ გაბედავდა ასეთი უმნიშვნელო დანაშაულისათვის სიკვდილი მიესაჯა ლას ფლორესთა სახელოვანი გვარის ნაშიერისათვის.

სან პეტიტოს საყდრის შინაგანი ნაწილი დიდი ბრწყინვალებით იყო მოოქრული და მორთული. მრავალი კეთილშობილი მონაზონი სიცოცხლის დასასრულს თავისი ოჯახის ქონების მემკვიდრე გახდებოდა, თუ რომ სიღარიბის აღთქმა არ დაედო. ზოგიერთ სინდისიერ ოჯახში წესად ჰქონდათ მათთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეოთხედი ან მეექვსედი ნაწილი გამოეყოთ იმ ქონების შემოსავლიდან, რომელიც შეიძლებოდა მათ რგებოდა; ოღონდ ამ მონაზონთა სიცოცხლე ხშირად ხანმოკლე იყო.

მთელი ეს თანხები იხარჯებოდა გარე ეკლესიის მოწყობაზე, რომელიც ერისკაცებისთვის იყო განკუთვნილი და შიგა ეკლესიისთვის, სადაც მონაზვნები ლოცულობდნენ და წირვაზე იდგნენ. სან პეტიტოს მონაზონთა ქანდარა იმ ნაწილისაგან, სადაც ხალხს უშვებდნენ, სამოცი ფუტის სიმაღლის მოოქრული გისოსით იყო გამოყოფილი.

პირში წაყენების ცერემონიის დროს ამ გისოსის ვეებერთელა კარი, რომელსაც მხოლოდ ნეაპოლის არქიეპისკოპოსის მისვლისას აღებდნენ ხოლმე, ღია იყო. ყველა წარჩინებული მანდილოსანი ქანდარაზე შეჯგუფულიყო. ეკლესიის გარეთა ნაწილში არქიეპისკოპოსის სავარძელი დადგეს და ადგილები დაუთმეს ყველა დიდგვაროვან, მაგრამ უჩინო მანდილოსანსა და მამაკაცს, ხოლო ეკლესიის მთელ სიგრძეზე გაჭიმული ჯაჭვის იქით, კარებამდე, _ ყველა დანარჩენ მორწმუნეს.

ქანდარის გაყოლებაზე გაჭიმული ვეება მწვანე აბრეშუმის ფარდა, რომლის შუაშიც ოთხი გოჯის სისქე სირმით ნაკერი ღვთისმშობლის დიდი კაშკაშა ვენზელი იყო ამოქარგული და გისოსის მთელ შიგნითა ნაწილს ფარავდა, თაღს მიაბეს და შემდეგ გადასწიეს. ანალოე, რომლის წინაშეც და სქოლასტიკამ ილაპარაკა, თაღის იმ ნაწილის უკან იდგა, სადაც დიდი ფარდა იყო მიმაგრებული. იმ წუთში, როცა მან თავისი მოკლე

ჩვენება დაამთავრა, ფარდა ზემოდან ჩამოეშვა და ქალი სწრაფად გაუჩინარდა, რამაც დიდის ამბით დაასრულა ეს ცერემონია და გულში ყველას შიშისა და სევდის გრძნობა აღუძრა; თითქოს ახალგაზრდა ქალი სამუდამოდ მოაცილეს ცოცხალ ადამიანებს.

ნეაპოლის მეფის კარის მშვენიერი მანდილოსნების სავალალოდ პირზე წაყენების ცერემონია ერთ წუთზე მეტს არ გაგრძელებულა. ახალგაზრდა როზალინდი, კარის მანდილოსანთა გამოთქმით, ასეთი «მოსაწონი» არასოდეს ყოფილა, როგორც მორჩილის იმ სადა სამოსელში. ახლაც ისეთივე ლამაზი იყო, როგორც უწინ, როცა თავის დედინაცვალს, თავად ბისინიანოს მეუღლეს დაჰყვებოდა სასახლის მეჯლისებზე, მაგრამ სახე ახლა ბევრად უფრო ამაღელვებელი ჰქონდა; ძალიან გამხდარიყო და გაფითრებულიყო.

მისი ხმა ოდნავ გასაგონად გაისმა, როცა მონასტრის მთელმა გუნდმა Veni creator იმღერა პერგოლეზეს მუსიკაზე. სიყვარულითა და ბედნიერებით მთვრალმა სქოლასტიკამ, რაკი კვლავ დაინახა თავისი საყვარელი კაცი, რომელიც ერთი წელიწადი იყო, არ ენახა, მხოლოდ ესა თქვა:

_ ამ ბატონს არ ვიცნობ, არც ოდესმე მინახავს.

პოლიციის მინისტრი საშინლად გაბრაზდა, როცა ეს სიტყვები გაიგონა და დაინახა, როგორ ჩამოეშვა ფარდა, რითაც მისთვის ასე მოულოდნელად და სულელურად დამთავრდა ის დიდი წარმოდგენა, რომელიც კარის დიდებულთათვის უნდოდა ეჩვენებინა. მონასტრიდან წასვლისას მას საშინელი მუქარა აღმოხდა.

როცა დონ ჯენარინო საპატიმროში დაბრუნდა, ყველაფერი გადასცეს, რაც მინისტრმა თქვა. მეგობრებმა არ მიატოვეს დონ ჯენარინო, მაგრამ მას სიყვარული როდი ამაღლებდა მეგობრების თვალში. თუ ჩვენ არ გვჯერა ვნებიანი სიყვარული, რომელშიც ჩვენი ტოლი კაცი საიდუმლოდ გამოგვიტყდება, მას ფუქსავატობაში ვდებთ ბრალს, ხოლო თუ გვჯერა, მაშინ შურის გრძნობა აღგვეძვრის ხოლმე.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა დონ ჯენარინომ ამხანაგებს უთხრა, ჩემი პატიოსნება მაიძულებს, და¡ სქოლასტიკა გადავარჩინო ფათერაკს, მას რომ მოელისო. სწორედ ამან მოახდინა უღრმესი შთაბეჭდილება მის მეგობრებზე.

იმ სატუსაღოს მედილეგეს, რომელშიც დონ ჯენარინო იყო დამწყვდეული, ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა. მან თავისი ქმრის მფარველს შეახსენა, ქმარმა რახანია გთხოვათ სატუსაღოს გარეთა კედლების შეკეთებაო. კედლები მართლაც შესაკეთებელი იყო და ამ თხოვნას არავითარი ეჭვის გამოწვევა არ შეეძლო.

_ ჰოდა, რაკი ეს საქმე ეჭვს არ იწვევს, _ დასძინა ლამაზმა ქალმა, _ თქვენს უბრწყინვალესობას შეუძლია ისარგებლოს და ათასი დუკატი გვიბოძოს ჯილდოდ, რაც სამუდამოდ გაგვამდიდრებს. მეგობრები ახალგაზრდა დონ ჯენარინო დე ლას ფლორესისა, რომელიც მხოლოდ იმისთვისაა დაჭერილი, რომ ღამით სან პეტიტოს მონასტერში შეპარვა ედება ბრალად, სადაც, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ნეაპოლის ყველა დიდკაცსა ჰყავს საყვარელი და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ შედიან კიდეც შიგ ღამღამობით, დონ ჯენარინოს მეგობრები-მეთქი, ვამბობ, ჩემს ქმარს ათას დუკატს ჰპირდებიან, ოღონდ ყმაწვილი ციხიდან გააპაროს. ჩემს ქმარს ორი კვირით ან ერთი თვით სატუსაღოში ჩასვამენ და გთხოვთ, მფარველობა გაგვიწიოთ, რომ სულ არ დაითხოვონ და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ აღადგინონ სამსახურში.

მფარველმა ამ გზით მსხვილი ჯილდოს გაცემა მოსახერხებლად მიიჩნია და დათანხმდა.

მარტო ამ დახმარებას არ დასჯერდნენ ახალგაზრდა ტუსაღის მეგობრები. ყველას ნათესავი ჰყავდა სან პეტიტოს მონასტერში. მათთან უფრო გულისყურიანი დამოკიდებულება დაამყარეს და დონ ჯენარინოს ყველაფერს ატყობინებდნენ, რაც და¡ სქოლასტიკის თავს ხდებოდა მონასტერში.

მეგობართა დახმარებით მოხდა ისე, რომ ერთ ქარიშხლიან ღამეს, დაახლოებით პირველ საათზე, იმ დროს, როცა გააფთრებული ქარი და კოკისპირული წვიმა ერთმანეთს ეცილებოდნენ ნეაპოლის ქუჩებზე ბატონობას, ჯენარინო უბრალოდ გამოვიდა ციხის კარიდან, მედილეგემ კი სატუსაღოს ტერასის ნგრევა დაიწყო, საიდანაც ვითომდა ტუსაღი გაეპარა.

დონ ჯენარინოს ეხმარებოდა ერთადერთი კაცი, ესპანელი დეზერტირი, მრავალნაცადი ვაჟკაცი, რომლის უმთავრეს საქმიანობას ნეაპოლში ფათერაკიან საქმეებში ყმაწვილკაცების შემწეობა წარმოადგენდა. დონ ჯენარინომ ისარგებლა ქარის საშინელი ღრიალით და მოხუცი ბეპოს დახმარებით, რომელიც განსაცდელის ჟამსაც კი ერთგული დარჩა მისი, და მონასტრის ბაღში შეიპარა. თუცმა ქარი საშინლად ღმუოდა და კოკისპირულადაც წვიმდა, მონასტრის ძაღლებმა სუნი იკრეს და მაშინვე მისცვივდნენ უცხო ადამიანებს. ღონიერი ძაღლები ჯენარინოს უთუოდ მოერეოდნენ, მარტო რომ ყოფილიყო, მაგრამ ჯენარინო და ესპანელი დეზერტირი ერთმანეთთან ზურგშექცევით დადგნენ, ორი ძაღლი მოკლეს და ერთი დაჭრეს.

ძაღლების ყეფაზე დარაჯი გამოვიდა. დონ ჯენარინომ მას ქისა შეაძლია და შეეცადა გადმოებირებინა, მაგრამ არა გამოუვიდა რა. ეს კაცი ღვთისმოშიში იყო და თავისი წარმოდგენა ჰქონდა ჯოჯოხეთზე, არც სიმამაცე აკლდა. მან თავის დაცვა დაიწყო და დასჭრეს, პირში ცხვირსახოცი ჩასჩარეს და ერთ დიდ ზეთისხილის ხეს მიაბეს.

ამ ორ შეტაკებას ბევრი დრო მოუნდა. ქარიშხალი თითქოს ოდნავ ჩადგა, ყველაზე ძნელი საქმე კი ჯერ წინ იყო: როგორმე vade in pace-ში უნდა შეეღწიათ.

აღმოჩნდა, რომ ორ მორჩილ დას, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ოცდაოთხ საათში ერთხელ სქოლასტიკისთვის მისი ულუფა პური და ტოლჩა წყალი მიეტანათ, იმ ღამეს შეშინებოდათ და ჩაერაზათ ვეებერთელა, რკინით შეჭედილი კარი, რის გაღებასაც ჯენარინო რკინით ან მორგებული გასაღებით ფიქრობდა. ესპანელმა დეზერტირმა, რომელსაც კარგად ეხერხებოდა კედლებზე აცოცება, მას ერთი პატარა შენობის სახურავზე ასვლა უშველა, რომელიც არენელას კლდეში ღრმად გამოჭრილ სან პეტიტოს მონასტრის in pace-ს დილეგთა თავზე იყო აგებული.

მორჩილი დები უფრო მეტად შეშინდნენ, როცა დაინახეს, რომ ზემო სართულიდან ორი ტალახში ამოსვრილი კაცი ჩამოვიდა: კაცები მისცვივდნენ მათ, პირი დაუჩურთეს და გაკოჭეს.

ახლა in pace-ში უნდა შეეღწიათ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო. მართალია, ჯენარინომ მორჩილ დებს გასაღებთა ვეებერთელა აცმა გამოართვა, მაგრამ იქ რამდენიმე ქვაბული იყო ერთნაირად ჩაკეტილი ჩამოსაშვები კარებით და მორჩილნი არასდიდებით არ უჩვენებდნენ, რომელში იყო ჩამწყვდეული და სქოლასტიკა. ესპანელმა უკვე იძრო ხანჯალი და მოინდომა მორჩილთათვის ეჩხვლიტა და აელაპარაკებინა, მაგრამ დონ ჯენარინომ იცოდა და¡სქოლასტიკის არაჩვეულებრივად სათნო ხასიათი და შეეშინდა, ასეთ ძალმომრეობას არ მოგვიწონებსო.

ჯენარინო არ უსმენდა ესპანელს, რომელიც აფრთხილებდა: სინიორ, დროს ვკარგავთ და მერე იძულებული გავხდებით, სისხლი დავღვაროთო. ის ჯიუტად განაგრძობდა ყველა ჩამოსაშვები კარის გაღებას ერთიმეორის შემდეგ და ძახილს.

ბოლოს, თითქმის ერთი საათის უნაყოფო წვალების შემდეგ, მის ძახილს სუსტი ხმით უპასუხეს: ღმერთო, შემიბრალეო. დონ ჯენარინო ხვეული კიბით დაეშვა, რომელსაც ოთხმოცამდე საფეხური ჰქონდა. რბილ ქანში გამოჭრილი კიბის საფეხურები ნატერფალებისაგან ძალიან გადაგლესილიყო და ერთ მეტად დამრეც ბილიკად გადაქცეულიყო, რის გამოც ზედ ფეხის მოკიდება ჭირდა.

და სქოლასტიკას, რომელსაც ოცდაჩვიდმეტი დღე იყო, რაც დღის სინათლე არ ენახა, ესე იგი, ჯენარინოსთან პირში წაყენების შემდეგ, ესპანელის პატარა ლამპამ თვალები დაუბრმავა. ქალს არ ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს. ბოლოს, როცა ტალახში და სისხლში მოთხვრილი დონ ჯენარინო იცნო, გული შეუღონდა და ვაჟის მკლავებში ჩაესვენა.

ამან საშინლად შეაწუხა ყმაწვილი კაცი.

_ დასაკარგი დრო აღარა გვაქვს! _ შესძახა ასეთ საქმეებში გამოცდილმა ესპანელმა. ხელში აიყვანეს გულშეწუხებული და¡სქოლასტიკა და დიდის გაჭირვებით მაღლა აათრიეს ნახევრად დანგრეული კიბით. როცა იმ ოთახში ამოვიდნენ, სადაც მორჩილი დები ცხოვრობდნენ, და სქოლასტიკა თანდათან გონს მოეგო. ესპანელს აზრად მოუვიდა, იგი დიდ რუხ ლაბადაში შეეხვიათ, რომელიც იმ ოთახში მოიხელთეს.

მერე მათ ბაღში გამავალი ჩარაზული კარი გააღეს. ხელში ხმალმომარჯვებული ესპანელი წინ მიუძღოდა. მას უკან მისდევდა ჯენარინო, ხელში სქოლასტიკა ჰყავდა ატატებული, მაგრამ ბაღში ავისმომასწავებელი ხმაური შემოესმათ: ჯარისკაცები მოსულიყვნენ.

ესპანელი დარაჯის მოკვლას აპირებდა, მაგრამ ჯენარინომ აუკრძალა.

_ ჩვენ ხომ მკრეხელები ვართ, თქვენო ბრწყინვალებავ, რაკი მონასტრის ხელუხლებლობას შევეხეთ; ამისათვის უეჭველად უფრო ჩქარა მოგვისჯიან სიკვდილს, ვიდრე მაშინ, კაცი რომ მოგვეკლა. ამ დარაჯმა შეიძლება დაგვღუპოს, უნდა მოვიშოროთ თავიდან.

მაგრამ ჯენარინომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ხეზე ნაუცბადევად მიკრულ დარაჯს თოკები მოეხსნა, სხვა დარაჯებიც გაეღვიძებინა და ჯარისკაცების მოსაყვანად გაქცეულიყო, ტოლედოს ქუჩაზე რომ იყვნენ საგუშაგოში.

_ აქედან ეგრე იოლად ვერ გავაღწევთ თავს, _ შესძახა ესპანელმა, _ მეტადრე სინიორინას გაყვანა გაძნელდება! ტყუილად კი არ გეუბნებოდით, თქვენო ბრწყინვალებავ, სულ ცოტა, სამნი უნდა ვიყოთ-მეთქი.

ამ ლაპარაკის ხმაზე მათ წინ ორი ჯარისკაცი აღიმართა. ესპანელმა პირველს ხმლის წვერი ატაკა და დასცა; მეორეს თოფის მომარჯვება უნდოდა, მაგრამ ბუჩქის ტოტს მოედო და ერთ წუთს შეაყოვნა, ესპანელმაც დრო იხელთა და ხმალი დაჰკრა, მაგრამ ჯარისკაცი არ მოკვდა და ხმამაღლა გმინვას მოჰყვა.

ჯენარინოს ხელში სქოლასტიკა ჰყავდა აყვანილი. ის კარებისკენ გაემართა. ესპანელი ზურგიდან იცავდა. ჯენარინო გარბოდა, ესპანელი კი აქეთ-იქით ხმალს უქნევდა ჯარისკაცებს, რომლებიც თანდათან უახლოვდებოდნენ. საბედნიეროდ, გრიგალი ისევ გაძლიერდა. თავსხმა ხელს უწყობდა ამ არაჩვეულებრივ უკან დახევას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ესპანელის მიერ დაჭრილმა ჯარისკაცმა თოფი ისროლა და ჯენარინო მარცხენა მკლავში მსუბუქად დაჭრა. თოფის ხმაზე ბაღის მეორე ბოლოდან რვა თუ ათმა ჯარისკაცმა მოირბინა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჯენარინომ ამ უკანდახევაში დიდი სიმამაცე გამოიჩინა, ესპანელმა დეზერტირმა კი ჭეშმარიტი სამხედრო ნიჭი.

_ ჩვენს წინააღმდეგ ოცზე მეტი კაცია. ერთი ბეწო შეცდომა, და ჩვენი საქმე წასულია. სინიორინას, როგორც ჩვენს თანამოზიარეს, მოწამვლას მიუსჯიან: ის ვერაფრით დაამტკიცებს, რომ შეთანხმებული არ იყო თქვენს ბრწყინვალებასთან. ამ საქმეებისა კი გამეგება, სხვა თუ არაფერი. სინიორინა დაბურულ ადგილას დავმალოთ, მიწაზე დავაწვინოთ და ზედ ლაბადა დავახუროთ, ჩვენ კი ჯარისკაცებს ვეჩვენოთ და ბაღის მეორე ბოლოსკენ გავიტყუოთ. იქ ისე მოვიქცეთ, ვითომდა კედელზე გადავძვერით და გავიქეცით. მერე ისევ დავბრუნდეთ და სინიორინას გადარჩენა ვცადოთ.

_ ძალიან არ მინდა შენი მიტოვება, _ უთხრა სქოლასტიკამ ჯენარინოს, _ სულაც არ მეშინია და თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ შენთან ერთად მოვკვდები.

ეს პირველი სიტყვები იყო, ქალმა რომ წარმოთქვა.

_ სიარულიც შემიძლია, - დასძინა მან.

ქალს სიტყვები შეაწყვეტინა თოფის სროლამ, რომელიც იქვე, ორი ნაბიჯიდან გაისმა, მაგრამ არავინ დაუჭრია. ჯენარინომ ქალი ისევ ხელში აიყვანა; ის პატარა და გამხდარი იყო და ჯენარინოს არ უჭირდა მისი ტარება. უეცრად იელვა და ჯენარინომ მარცხენა მხარეს თორმეტი თუ თხუთმეტი ჯარისკაცი გაარჩია. იმწამსვე მარჯვნივ გაიქცა და მისი ბედი, რომ იმარჯვა, ვინაიდან თითქმის იმავ წუთში რამდენიმე თოფი ისროლეს და ტყვიებმა პატარა ზეთის ხილის ხე დაცხრილეს...

* * *

დუკა ვარგას დელ პარდო განუწყვეტლივ ფიქრობდა უბედური როზალინდის გაუჩინარებაზე. რა ღონე არ იხმარა, მაგრამ ყოვლად უშედეგოდ, რადგანაც არ იცოდა, რომ ქალმა Suora Scolastica დაირქვა.

დადგა მისი სახელწოდების დღე. ამ დღეს დუკას კარი ფართოდ იყო ღია და ის ყველა ოფიცერს აუდიენციას აძლევდა. საზეიმოდ გამოწყობილი სამხედრო პირნი ფრიად განცვიფრდნენ, როცა მისაღებ ოთახში შემოვიდა ქალი, რომელიც მათ მონასტრის მორჩილ დას მიამსგავსეს. გარდა ამისა, უთუოდ იმ მიზნით, რომ არ ეცნოთ, ქალს გრძელი შავი რიდე ჰქონდა მოხვეული, რაც მას მდაბიო კაცის ქვრივს ამსგავსებდა, დადებულ აღთქმას რომ ასრულებს.

ვინაიდან დუკას ლაქიებმა ქალს გაგდება დაუპირეს, ის მუხლებზე დაეცა, ჯიბიდან გრძელი კრიალოსანი ამოიღო და ბუტბუტით ლოცვას მოჰყვა. ლოცვა არ შეუწყვეტია, სანამ მას დუკას უფროსი კამერდინერი არ მიუახლოვდა და მკლავზე ხელები არ მოჰკიდა. მაშინ ქალმა მას უსიტყვოდ საუცხოო ბრილიანტი უჩვენა და დასძინა:

_ ყოვლად უწმინდეს ქალწულსა ვფიცავ, თქვენს ბრწყინვალებას არავითარ მოწყალებას არა ვთხოვ. ამ ალმასის დანახვაზე ბატონი დუკა მიხვდება, აქ ვინ გამომგზავნა.

ყველაფერმა ამან უდიდესი ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა დუკას და მან საჩქაროდ გაისტუმრა სამი თუ ოთხი მაღალი თანამდებობის პირი, რომლებიც მასთან აუდიენციაზე იყვნენ მისულნი. შემდეგ ჭეშმარიტად კეთილშობილი ესპანური თავაზიანობით მოიბოდიშა უბრალო ოფიცრებთან, თქვენამდე ერთი საცოდავი მონაზონი უნდა მივიღო, რომელსაც სრულიად არ ვიცნობო.

როგორც კი მორჩილი და დუკას კაბინეტში მასთან მარტო დარჩა, მაშინვე მუხლებზე დაეცა.

_ საცოდავი და¡სქოლასტიკა დიდად უბედურია. თითქოს მთელი ქვეყანა ამხედრდა მის წინააღმდეგ. მან დამავალა, ეს ლამაზი ბეჭედი თქვენ დაგიტოვოთ; მითხრა, რომ თქვენ იცნობთ იმ პიროვნებას, რომელსაც ეს ბეჭედი მისთვის უფრო ბედნიერ დროში უჩუქნია. იმ ადამიანის დახმარებით თქვენ შეძლებდით რომელიმე სანდო პირისთვის და¡სქოლასტიკის ნახვა მოგეხერხებინათ, მაგრამ რაკი ის in pace della morte-ში იმყოფება, მონსინიორ არქიეპისკოპოსის საგანგებო ნებართვაა საჭირო.

დუკამ ბეჭედი იცნო და, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, იმდენად აღელდა, რომ ძლივსღა მოახერხა ხმის ამოღება.

_ თქვი, რომელშია... თქვი, რომელ მონასტერშია როზალინდი დამწყვდეული.

_ სან პეტიტოში.

_ მე პატივისცემით ვემორჩილები იმის ბრძანებას, ვინც შენ აქ გამოგგზავნა.

_ დავიღუპები, _ დაუმატა მორჩილმა დამ, _ თუ წინამძღვარნი გაიგებენ, რომ ამ დავალებას ვასრულებ.

დუკამ თავის მაგიდას სწრაფად თვალი მოავლო და ალმასებით მოჭედილი მეფის მინიატურა აიღო.

_ არასოდეს არ მოიცილოთ ეს წმინდა პორტრეტი, რომელიც მუდამ, რაც არ უნდა მოხდეს, უფლებას მოგცემთ მის უმაღლესობასთან აუდიენცია მიიღოთ. აი, ეს ქისა მიეცით სინიორას, რომელსაც Suora Scolastica-ს ეძახით. ეს ცოტაოდენი ფულიც მიიღეთ და მუდამ ჩემი მფარველობის იმედი იქონიეთ.

კეთილი მონაზონი მაგიდასთან შეჩერდა, რათა ქისაში ოქროს ფული დაეთვალა. დუკამ უთხრა:

_ რაც შეიძლება, სწრაფად დაბრუნდით საცოდავ როზალინდთან, ფულს ნუ ითვლით. მე მგონია, უკეთესი იქნება, მალულად იაროთ. ჩემი კამერდინერი ბაღის ჭიშკრით გაგიშვებთ. ერთ-ერთი ჩემი ეტლი ქალაქის ბოლოს გაგიყვანთ. ეცადეთ, თვალით არავის დაენახოთ. რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, ხვალ შუადღის თორმეტიდან ორ საათამდე არენელას ბაღში მოდით. იქაური ჩემი მოჯამაგირეები, დარწმუნებული ვარ, ყველანი ესპანელები არიან.

დუკა ოფიცრებთან გავიდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო, და როცა მოიბოდიშა, ადვილად დაუჯერეს.

_ სინიორებო, ერთი გადაუდებელი საქმე მაიძულებს დაუყოვნებლივ სახლიდან გავიდე. პატივი მექნება ხვალ დილას შვიდ საათზე მიგიღოთ და მადლობა მოგახსენოთ.

დუკა დე ვარგასი დედოფალთან გაიქცა სასახლეში, რომელმაც ცრემლები გადმოღვარა, როცა ოდესღაც როზალინდისათვის ნაჩუქარი ბეჭედი იცნო. დედოფალი და დუკა დე ვარგასი მეფესთან შევიდნენ. ვარგასის შეწუხებულმა სახემ მეფეს გული მოულბო და, ვინაიდან ის დიდი ხელმწიფე იყო, პირველმა გამოთქვა გონივრული მოსაზრება:

_ უნდა ვეცადოთ, არქიეპისკოპოსს ეჭვები არ აღეძრას, თუკი ჩემი პორტრეტის თილისმის წყალობით საცოდავმა მორჩილმა დამ მის ჯაშუშებს როგორმე თავი დააღწია. ახლა მესმის, რატომ გადასახლდა ორი კვირის წინ არქიეპისკოპოსი თავის ***-ის აგარაკზე.

_ თუ თქვენი უდიდებულესობა ნებას დამრთავს, ნავსაყუდელში კაცებს გავგზავნი და ყველა გემზე, რომლებიც ***-ში აპირებენ წასვლას, ემბარგოს დავადებინებ. ყველას, ვინც იმ გემებში ჩაჯდება, ოვოს ციხე-სიმაგრეში წაიყვანენ, სადაც მათ კარგად მოეპყრობიან.

_ წადი და მალე დაბრუნდი, _ უბრძანა მეფემ. _ ასეთი უჩვეულო ზომები, რამაც შეიძლება ხალხი აალაპარაკოს, ტანუჩის (დონ კარლოსის პირველ მინისტრს) მაინცდამაინც თვალში არ მოსდის. მაგრამ ამ საქმეზე არაფერს არ ვეტყვი, ისედაც ძალიან გაჯავრებულია არქიეპისკოპოსზე.

დუკა დე ვარგასმა თავის ადიუტანტს განკარგულებები მისცა და ისევ მეფესთან შებრუნდა, რომელიც ამ დროს გულწასული დედოფლის მოსულიერებას ცდილობდა. ამ კეთილი გულის დედოფალმა წარმოიდგინა, ვაითუ მორჩილი და შენიშნეს, როცა დუკასთან შედიოდა, და მაშინ როზალინდი უკვე მოწამლული იქნებაო. დუკამ დედოფალს ეჭვები ერთიანად განუფანტა.

_ საბედნიეროდ, არქიეპისკოპოსი ნეაპოლში არ ბრძანდება, და როცა ასეთი სიროკო უბერავს, ორი საათი მაინც უნდა ***-მდე მისვლას. კანონიკი ჩიბო, რომელიც არქიეპისკოპოსს ცვლის მისი არყოფნის შემთხვევაში, არა მარტო სასტიკი, ულმობელი კაციც არის, მაგრამ ვერ გაბედავს ვინმეს დასჯას, თუ ამაზე უფროსის განკარგულება არა აქვს.

_ არქიეპისკოპოსის ყველა საქმეებს იმით ჩავფუშავ, რომ კანონიკ ჩიბოს აქ, სასახლეში დავუძახებ და საღამომდე გავაჩერებ. კვირას აუდიენციაზე პატიება მთხოვა თავისი ძმისშვილისთვის, რომელსაც ერთი გლეხი მოუკლავს.

მეფე თავის კაბინეტში გავიდა, რათა ბრძანება მიეცა.

_ დუკა, დარწმუნებული ხარ, რომ როზალინდს გადაარჩენ? _ ჰკითხა დედოფალმა ვარგასს.

_ არქიეპისკოპოსისთანა კაცის ხელში დარწმუნებული როგორ იქნები.

_ ტანუჩი ალბათ მართალია, როცა სურს იმ კაცისაგან გაგვათავისუფლოს და კარდინალი გახადოს.

_ დიახ, _ თქვა დუკამ, _ მაგრამ მისგან რომ გავთავისუფლდეთ, მოგვიხდებოდა რომში დაგვეტოვებინა ელჩად; იმ თანამდებობაზე კი უფრო მეტ ზიანს მოგვაყენებს, ვიდრე აქ, ნეაპოლში.

ამ ხანმოკლე დიალოგის შემდეგ მეფე შემოვიდა და დაიწყო გაუთავებელი თათბირი, რის შედეგადაც დუკა დე ვარგასმა ნებართვა მიიღო, დაუყოვნებლივ წასულიყო სან პეტიტოს დედათა მონასტერში და დედოფლის დავალებით გაეგო, როგორ გრძნობდა თავს ახალგაზრდა როზალინდი ბისინიანოთა გვარიდან, ვინაიდან ხმები დადიოდა, რომ ის უკვე სიკვდილის პირას იყო. მონასტერში ასვლამდე დუკამ მოისაზრა თავადის

მეუღლე დონა ფერდინანდასთან შესულიყო, რათა ხალხს ეფიქრა, მან დედინაცვლისგან შეიტყო როზალინდის დასნეულების ამბავიო. დუკა დე ვარგასი ისე იყო შეშფოთებული, რომ ვერ მოახერხა იმდენ ხანს გაეგრძელებინა სტუმრობა ბისინიანოს პალაცოში, რამდენიც საჭირო იყო.

დუკამ სან პეტიტოს მონასტერში ყველას და, უპირველეს ყოვლისა, შესასვლელ კართან მდგარ მორჩილ დას რაღაც უცნაური დაფანტულობა შენიშნა სახეზე. როგორც დედოფლის წარგზავნილს, დუკას უფლება ჰქონდა დაუყოვნებლივ შესულიყო წინამძღვარ ანჯელა დე კასტრო პინიანოსთან, მაგრამ იგი ოც გულისგამაწყალებელ წუთს აცდევინეს. დარბაზის ბოლოში მოჩანდა ხვეული კიბის დასაწყისი, რომელიც ეტყობოდა, ძალიან ღრმად ჩადიოდა ძირს. დუკამ გაიფიქრა, მშვენიერ როზალინდს ვეღარასოდეს ვიხილავო.

როგორც იქნა, წინამძღვარიც შემოვიდა. მღელვარებისგან სახე ჰქონდა შეშლილი და დუკამ გადაწყვიტა, ის აღარ ეთქვა, რის სათქმელადაც იყო მისული.* [ვფიქრობ, ასეთ აღმაშფოთებელ სცენებს არასოდეს ჰქონია ადგილი; მე ამას მთხრობელის ავსულობას მივაწერ].

_ გუშინ საღამოს თავად ბისინიანოს დამბლა დაეცა. ძალიან ცუდად არის და სურს, სიკვდილის წინ თავისი ქალიშვილი როზალინდი ინახულოს. მე დამავალეს მისი უდიდებულესობისათვის მეთხოვა, განკარგულება გასცეს, რათა სინიორა როზალინდი მონასტრიდან გავიყვანოთ. ამ წარჩინებული გვარის პატივსაცემად მეფემ ისურვა, რომ ხსენებული ბრძანება გადმოგცეთ მე, მისმა უფროსმა კამერჰერმა და არა სხვა ვინმემ.

ამ სიტყვებზე წინამძღვარი დუკა დე ვარგასის წინაშე მუხლებზე დაეცა:

_ მის უმაღლესობას მე თვითონ გავცემ პასუხს ჩემს მოჩვენებითს ურჩობაში. ჩემი მუხლმოდრეკილი დგომაც თქვენს წინაშე, ბატონო დუკა, საუკეთესო საბუთია იმისა, რომ თქვენს პიროვნებასა და თქვენს ღირსებას დიდად პატივსა ვცემ.

_ უკვე მკვდარია! _ შესძახა დუკამ, _ მაგრამ ვფიცავ წმინდა ჯენაროს, მაინც ვინახულებ!

დუკა იმდენად იყო გაშმაგებული, რომ ხმალიც იძრო, კარი გააღო და თავის ადიუტანტს დაუძახა, რომელიც წინამძღვრის პირველ მოსაცდელ ოთახში ელოდა დუკას.

_ ხმალი იშიშვლეთ, დუკა დ'ატრი! ამოიყვანეთ ჩემი ორი ადიუტანტი. აქ სიკვდილ-სიცოცხლის საქმე წყდება: მეფისგან დავალებული მაქვს დავაპატიმრო ახალგაზრდა თავადის ასული როზალინდი.

წინამძღვარი ანჯელა წამოდგა და გაქცევა დააპირა.

_ არ წახვიდეთ, ქალბატონო, _ შესძახა დუკამ, _ თქვენ მხოლოდ მაშინ დამტოვებთ, როცა წმინდა ელმის ციხე-სიმაგრეში წაბრძანდებით პატიმრად. აქ, როგორც ჩანს, შეთქმულება მზადდება.

საშინლად შეშფოთებული დუკა გამწარებით ცდილობდა რაიმე მიზეზი მოეგონა, რომელიც წმინდა მონასტრის შეუვალობის დარღვევას გაამართლებდა. დუკა ფიქრობდა: «თუ წინამძღვარმა როზალინდი არ მიჩვენა, თუ ჩემი დრაგუნების გაშიშვლებულმა ხმლებმა არ შეაშინეს, ამ ვეებერთელა მონასტერში, რომელიც ერთი დიდი სახელმწიფო გეგონებათ, უსათუოდ გზა დამებნევა».

საბედნიეროდ, დუკა, რომელიც მაგრად უჭერდა ხელს წინამძღვარს, ყურადღებით უთვალთვალებდა ყოველ მის მოძრაობას. ქალმა ერთი დიდი კიბისკენ წაიყვანა, რომელიც ვრცელ მიწისქვეშა დარბაზში ჩადიოდა. როცა დუკამ დაინახა, რომ წინამძღვარმა დაუთმო, თანაც დაინამდვილა, სხვა მოწმეები არავინ ჰყავდა, გარდა დუკა დ'ატრისა და ორი დრაგუნისა, რომლებიც კიბეზე უკან მისდევდნენ ჩექმების ბაკუნით, იფიქრა, მუქარაც გამივაო. ბოლოს, ზემოხსენებულ პირქუშ დარბაზს მიაღწია. მას ტრაპეზზე დამაგრებული ოთხი სანთელი ანათებდა. ორი ჯერ ისევ ახალგაზრდა მონაზონი იატაკზე იკრუნჩხებოდა და ეტყობოდათ, საწამლავისაგან სიკვდილის პირზე იყვნენ. ოცი ნაბიჯით უფრო შორს სამი მონაზონი მუხლებზე იყო დაჩოქილი თავიანთი მოძღვრების წინაშე. საკურთხევლის პირდაპირ სავარძელში აუღელვებლად იჯდა კანონიკი ჩიბო, თუმცა ძალიან ფერმკრთალი იყო. მის უკან მდგომ ორ ბრგე ახალგაზრდა კაცს თავები ოდნავ დაეხარათ და ცდილობდნენ, არ შეეხედათ ტრაპეზის ფეხთან მწოლარე მონაზვნებისათვის, რომელთა მუქ-მწვანე აბრეშუმის კაბები მათი კრუნჩხვისაგან ირხეოდნენ.

დუკამ ამ საზარელი სცენის ყველა მონაწილეს თვალი მოავლო და დიდად აღტაცებული დარჩა, როცა სამი მოძღვრის უკან ათ ნაბიჯზე ჩალის სკამზე მჯდარი როზალინდი დაინახა. სულ დაავიწყდა რიდი და გაფრთხილება, მიუახლოვდა და «შენობით» მიმართა:

_ საწამლავი უკვე დალიე?

_ არ დამილევია და არც დავლევ, _ მიუგო როზალინდმა გულგრილად. _ სულაც არ მინდა ამ სულელი ქალიშვილების მაგალითს მივბაძო.

_ ქალბატონო, თქვენ გადარჩენილი ხართ, დედოფალთან უნდა წაგიყვანოთ.

_ ვბედავ, იმედი გამოვთქვა, ბატონო დუკა, რომ თქვენ არ გავიწყდებათ მონსინიორ არქიეპისკოპოსის სასამართლოს უფლებები, _ გააწყვეტინა სავარძელში მჯდომმა აბატმა ჩიბომ.

რაკი იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე, დუკამ ტრაპეზის წინაშე მუხლი მოიყარა და აბატ ჩიბოს უთხრა:

_ ბატონო კანონიკო და უფროსო ეპისკოპოსო, უკანასკნელი კონკორდატის გადაწყვეტილების თანახმად, ასეთი განაჩენები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიყვანება სისრულეში, როცა მათ მეფე შეამაგრებს თავისი ხელმოწერით.

აბატმა ჩიბომ მწყრალად შეაგება:

_ ბატონი დუკა მეტად თამამად მსჯელობს: აქ მყოფი ცოდვილი ქალები კანონის მიერ მსჯავრდებულნი არიან, რაკი მკრეხელობა ჩაიდინეს, მაგრამ ეკლესიას მათთვის არავითარი სასჯელი არ დაუდია. თქვენი სიტყვებისა და იმ ნიშნების მიხედვით, რაც მე მხოლოდ ახლაღა შევამჩნიე, ვფიქრობ, ამ უბედურებმა საწამლავი დალიეს.

დუკა ვარგასმა ნახევარიც ვერ გაიგონა აბატ ჩიბოს ნათქვამიდან, რომლის ხმასაც დუკა დ'ატრის ხმა ფარავდა. ის დაჩოქილიყო ორი მონაზვნის წინ, რომლებიც იატაკის ქვის ფილებზე გორავდნენ. საცოდავებმა სასტიკი ტკივილებისაგან თვითონაც არ იცოდნენ, რას სჩადიოდნენ. ერთი მათგანი, ასე ოცდაათი წლის მეტად ლამაზი ქალი თითქოს ბოდავდა, გულისპირს იგლეჯდა და ყვიროდა:

_ მე! მე! ჩემისთანა გვარიშვილს!

დუკა დე ვარგასი წამოდგა და როზალინდს ისე თავაზიანად მიმართა, გეგონებოდათ, დედოფლის სალონში იყო:

_ განა შესაძლებელია, ქალბატონო, რომ ჯანმრთელობა სრულიად არ შეგრყეოდეთ?

_ საწამლავი არ დამილევია, _ მიუგო როზალინდმა. _ მიუხედავად ამისა, ბატონო დუკა, ძალიან კარგად ვგრძნობ, რომ ჩემს სიცოცხლეს თქვენ უნდა გიმადლოდეთ.

_ მე ამ საქმეში არავითარი დამსახურება არა მაქვს, _ შეეპასუხა დუკა ვარგასი, _ მეფე თავისმა ერთგულმა ქვეშევრდომებმა გააფრთხილეს, რომ ამ მონასტერში ბოროტმოქმედება მზადდებოდა. მან მე დამიძახა და ყოველივე გამანდო. საჭირო იყო შეთქმულთათვის დაგვესწრო. ახლა, _ განაგრძო მან და როზალინდს შეხედა, _ მხოლოდ თქვენს განკარგულებასღა ველი. ხომ არ გნებავთ, ქალბატონო, წამობრძანდეთ და დედოფალს მადლობა გადაუხადოთ?

როზალინდი წამოდგა. დუკამ მას მკლავი შესთავაზა და კიბისკენ წაიყვანა. როცა კარებთან მივიდა, დუკა დ'ატრის უთხრა:

_ თქვენ გავალებთ, ბატონი ჩიბო და აქ მყოფი სხვა ბატონები ცალ-ცალკე ოთახებში ჩაკეტოთ; ჩაკეტეთ წინამძღვარი ანჯელაც. ყველა დილეგის კარი გააღეთ და პატიმრები გამოიყვანეთ. ცალ-ცალკე საკნებში დაამწყვდიეთ ყველა, ვინც გაბედავს და წინააღმდეგობას გაუწევს მისი უმაღლესობის ბრძანებას, რაც მე პატივი მაქვს გადმოგცეთ. მის უმაღლესობას ნებავს, რომ ყველა, ვისაც კი მისი აუდიენციის მიღება სურს, სასახლეში გამოგზავნონ. დროს ნუღარ დაკარგავთ და ვინც აქაა, ყველა ცალ-ცალკე დაამწყვდიეთ. მე კი ექიმებსა და გვარდიის ბატალიონს გამოგიგზავნით.

ამის შემდეგ დუკა დ'ატრის ანიშნა, ცალკე მინდა თქვენთან ლაპარაკიო. კიბეზე რომ გავიდნენ, უთხრა:

_ თქვენც კარგად გესმით, ჩემო დუკა, რომ კარგი არ იქნება, თუ ჩიბომ და წინამძღვარმა პირი შეკრეს და ერთნაირი ჩვენება მოგვცეს. ხუთ წუთში გვარდიის ბატალიონი აქ გაჩნდება, რომლის მეთაურობასაც თვითონ იკისრებთ. ყოველ ქუჩაზე და ბაღში გამავალ კარებთან გუშაგი დააყენეთ. თუ ვინმეს გასვლა მოუნდა, გავიდეს, შემოსვლით კი არავინ შემოუშვათ. უბრძანეთ, ბაღები მოჩხრიკონ. ყველა შეთქმულნი, მათ შორის მებაღეებიც, ციხეში უნდა ჩავსვათ, ცალ-ცალკე საკნებში. იმ უბედურ მოწამლულ ქალიშვილებს შემწეობა აღმოუჩინეთ.

* * *

დუკა დე ვარგასმა გაამდიდრა მორჩილი და, რომელსაც სახელი გამოუცვალა და გენუაში დაასახლა.

დონ ჯენარინოს ღვთისმოშიშობის გიჟური მანია დასჩემდა, როგორც მშვენიერ ბოკას კაპო ლე კაზეში.

როზალინდს კეთილშობილი სურვილი დაებადა, ისევ მონასტერში დაბრუნებულიყო. დონ ჯენარინოს ჰგონია, რომ ის წმინდა ქალწულის ტყვეობაშია. ციურმა თვალმა ცუდად დაცადა. სასოწარკვეთილია, რომ როზალინდი უარს ეუბნება ჯვრისწერამდე დაემორჩილოს იმის შიშით, ჯენარინო უფრო მეტად არ დაიტვირთოს ცოდვებითო.

საშინელი ეჭვებით შეპყრობილი ჯენარინო თავს იკლავს. ამ ამბავმა ლამის ჭკუიდან შეშალოს როზალინდი. მას ეჩვენება, რომ ციურმა თვალმა დაცადა ცუდად. ერთი ვიღაც ფანატიკოსი ცდილობს, ხანჯლით განგმიროს.

როზალინდი ცოლად გაჰყვება სამოცდაცხრა წლის ვარგასს იმ პირობით, რომ ყოველ წელიწადს სამ თვეს მონასტერში გაატარებს, სადაც ჯენარინომ თავი მოიკლა.

როზალინდი ტირის და ქორწინების წინა დღეს უსასოობისაგან ჭკუაზე სცდება: «თუ ჯენარინო ციდან მხედავს, რას ფიქრობს ჩემზე?..»

კასტროელი წინამძღვარი

I

მელოდრამები ისე ხშირად ასახავდნენ XVI საუკუნის იტალიელ ყაჩაღებს და წერითაც იმდენი წერეს მათ შესახებ ადამიანებმა, ვისაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ მათზე, რომ ჩვენ ახლა სრულიად ყალბი წარმოდგენა შეგვექმნა ამ თემაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ყაჩაღები ოპოზიციაში უდგნენ იმ სასტიკ მთავრობებს, რომლებმაც საშუალო საუკუნეების რესპუბლიკები შეცვალეს. ჩვეულებრივ, ახალი ტირანი ყოფილი რესპუბლიკის ყველაზე მდიდარი მოქალაქე ხდებოდა და უბირი ხალხის გული რომ მოენადირებინა, ქალაქს მშვენიერი ეკლესიებითა და საუცხოო სურათებით ამკობდა. ასე იქცეოდნენ პოლენტინები რავენაში, მანფრედები _ ფაენცაში, რიარიონი _ იმოლაში, კანეები _ ვერონაში, ბენტივოლიონი _ ბოლონიაში, და ბოლოს, მათ შორის ყველაზე მშვიდობიანი და ყველაზე მეტად ფარისეველი მედიჩები _ ფლორენციაში. ამ წვრილ-წვრილ სახელმწიფოთა მეისტორიეებს შორის ერთმაც ვერ გაბედა აეწერა ის აურაცხელი მოწამვლანი და მკვლელობები, რაც ამ გამუდმებული შიშით შეპყრობილ ტირანთა ბრძანებით ხდებოდა. უპატივცემულესი მეისტორიეები მათ ჯამაგირზე იმყოფებოდნენ.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ეს ტირანი პირადად იცნობდა მის მოძულე რესპუბლიკელს (როგორც მაგალითად, დიდი ტოსკანელი დუკა კოზიმო _ სტროცის), რომ ბევრ ამ ტირანთაგანს დღე მოუსწრაფეს, აშკარა გახდება ის უღრმესი სიძულვილი და გამუდმებული უნდობლობა, რამაც XVI საუკუნის იტალიელებს დიდად განუვითარა საზრიანობა და სიმამაცე და ესოდენ დიდი ნიჭიერებით დააჯილდოვა მათი

მხატვრები. თქვენ შენიშნავთ, რომ ამ ღრმა ვნებებმა ხელი შეუშალეს ფრიად სასაცილო ცრურწმენის წარმოშობას, რაც ქ-ნ დე სევინიეს დროში პატიოსნებად იწოდებოდა და უმეტესად იმაში მდგომარეობდა, რომ ადამიანები სიცოცხლეს სწირავდნენ მეფეს, რომლის ქვეშევრდომებიც იყვნენ და თავს აწონებდნენ მანდილოსნებს. XVI საუკუნის საფრანგეთში ადამიანის ნამდვილი ფასი, რომელსაც შეეძლო საზოგადოების აღტაცება გამოეწვია, განიზომებოდა მისი გულოვნობით ბრძოლის ველზე და ორთაბრძოლებში. და რაკი გულადობასა და გამბედაობას ქალები აფასებენ, სწორედ ისინი გახდნენ უმაღლესი მსაჯულნი მამაკაცის ღირსებებისა. აი, ამ დროს იშვა «გალანტურობის სული», რამაც შეამზადა ნიადაგი, რათა თანდათანობით მოსპობილიყო ყველა ვნება და თვით სიყვარულიც ახალ სასტიკ ტირანს ანაცვალა, რომელსაც ყველა ვემორჩილებით და რომელსაც პატივმოყვარეობა ჰქვია. მეფეები მფარველობდნენ ამ ახალ მცნებას და ამას თავისი საფუძველიც ჰქონდა: ამან წარმოქმნა ორდენთა ძალაუფლება.

იტალიაში კი, პირიქით, ადამიანს შეეძლო ყველა დარგში გამოეჩინა თავი, გინდ ხმლის ოსტატური მოქნევითა და გინდ ძველისძველი ხელნაწერების შესწავლით. ავიღოთ, მაგალითად, პეტრარკა _ კერპი თავისი დროისა. XVI საუკუნის ქალებს ბერძნული ენის მცოდნე მამაკაცები იმდენადვე და უფრო მეტადაც მოსწონდათ, როგორც მხედრული სიმამაცით სახელგანთქმულნი. აქ ჩვენ ვხედავთ ნამდვილ ვნებებსა და არა ოდენ გალანტურობას. აი, რაშია განსხვავება იტალიასა და საფრანგეთს შორის. აი, რატომ იბადებოდნენ იტალიაში რაფაელები, ჯორჯონეები, ტიციანები, კორეჯოები, საფრანგეთში კი _ დღეს ყველასაგან მივიწყებული ის მხედართმთავრები, რომელთაც აურაცხელი მტერი დახოცეს.

გთხოვთ, მომიტევოთ ესოდენ მწარე სიმართლე. ასე იყო თუ ისე, საშუალო საუკუნეებში იტალიელ წვრილ-წვრილ ტირანთა ულმობელმა შურისძიებებმა ყაჩაღებს ხალხის გული მოუნადირა. ყაჩაღები სძულდათ, როცა ისინი იპარავდნენ ცხენებს, პურს, ფულს, ერთი სიტყვით იმას, რაც ცხოვრების სახსრად იყო საჭირო. მაგრამ გულის სიღრმეში ხალხი მათ მხარეზე იყო და სოფლის გოგოები ყველას ამჯობინებდნენ ისეთ ბიჭს, ვისაც რაიმე გაუფრთხილებელი საქციელი ჩაედინა და სიცოცხლეში ერთხელ მაინც იძულებული გამხდარიყო andar alla machia, ესე იგი, ტყეში გაქცეულიყო და ყაჩაღებთან შეეფარებინა თავი.

ცხადია, ჩვენს დროშიც ყველას ეშინია ყაჩაღებთან შეხვედრისა, მაგრამ საკმარისია ისინი დასაჯონ, და მათ შეიცოდებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ესოდენ ფაქიზი გრძნობების

მქონე, დამცინავი იტალიელები ყველაფერს ამასხარავებენ, რაც ხელისუფლების ნებართვით იბეჭდება, სიამოვნებით კითხულობენ საქვეყნოდ ცნობილ ყაჩაღთა ცხოვრების ქება-დიდების ამსახველ პატარ-პატარა პოემებს. გმირული სული, რასაც ეს ხალხი ამ ამბებში პოულობს, მოქმედებს მათს მხატვრულ აღქმაზე, ყოველთვის რომ ცოცხლობს უბირი ხალხის სულში. ესეც არ იყოს, იმდენად მობეზრებია ერთი და იგივე ოფიციალურ პირთა ხოტბის შესხმა, რომ აღტაცებით იღებს ყველაფერს, რასაც კი ცენზურის ბეჭედი არ აზის. უნდა ითქვას, რომ იტალიაში მდაბიო ხალხი ბევრი ისეთი რამით არის შეჭირვებული, რასაც მოგზაურის თვალი ვერ შეამჩნევს, თუნდაც იქ ათი წელიწადი იცხოვროს. მაგალითად, თხუთმეტიოდე წლის წინათ, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე გონივრული მთავრობები მოსპობდნენ ავაზაკებს* [გასპარონემ, უკანასკნელმა ყაჩაღმა 1826 წელს მოლაპარაკება დაიწყო მთავრობასთან. ის ამჟამად თავისი ოცდათორმეტი ამხანაგით ჩივიტა-ვეკიას ციხე-სიმაგრეშია დამწყვდეული. იძულებული გახდა, ხელისუფლებას დანებებოდა, რადგანაც აპენინის მთებში, სადაც თავს აფარებდა, წყალი შემოაკლდა. ეს არის საკმარისად ჭკვიანი და წარმოსადეგი გარეგნობის კაცი], ხშირი შემთხვევა იყო, როცა ეს უკანასკნელნი სამაგიეროს უხდიდნენ წვრილ-წვრილი ქალაქების ხელისუფალთ მათ მიერ ჩადენილი უკანონობისათვის. ეს ხელისუფალნი შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობდნენ. მაგრამ მათი მწირი ჯამაგირი თვეში ოც ეკიუს არ აღემატებოდა და ისინი, ბუნებრივია, იმ მხარის ყველა მდიდარი ოჯახის სრულ მორჩილებაში ექცეოდნენ, რომელიც ასეთი უბრალო ხერხით უსწორდებოდა თავის მტრებს. თუ ყაჩაღები ყოველთვის ვერ ახერხებდნენ ამ წვრილ-წვრილ დესპოტებთან ანგარიშის გასწორებას, სასაცილოდ მაინც იგდებდნენ და გამომწვევად იქცეოდნენ, რაც უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავს ამ გონებამახვილი ხალხის თვალში. სატირული სონეტი მას ყოველგვარ გაჭირვებაში ნუგეშს სცემს, ხოლო შეურაცხყოფას თავის დღეში არ ივიწყებს. ეს კიდევ ერთი ძირითადი განსხვავებაა იტალიელებსა და ფრანგებს შორის.

XVI საუკუნეში, როცა ქალაქის მმართველი რომელიმე ძლიერი ოჯახისაგან ათვალწუნებულ ვინმე უბედურს სიკვდილს მიუსჯიდა, ყაჩაღები ხშირად თავს ესხმოდნენ საპყრობილეს და ცდილობდნენ პატიმარი გამოეხსნათ. თავის მხრივ, გავლენიანი ოჯახები, რომლებიც აგრერიგად არ ენდობოდნენ მთავრობის მიერ საპყრობილესთან დაყენებულ ათიოდე ჯარისკაცს, თვითონაც ქირაობდნენ დროებით შეიარაღებულ რაზმებს. ესენი იყვნენ ეგრეთწოდებული bravi, რომლებიც საპყრბილის გარშემო დასცემდნენ ბანაკს, რათა სასჯელის ადგილზე წაეყვანათ უბედური დამნაშავე,

რომლის სიკვდილიც ფულით იყო ნაყიდი. თუ ამ ყოვლისშემძლე ოჯახის წევრთა შორის ახალგაზრდა კაციც იყო, ის უდგებოდა სათავეში სახელდახელოდ შეკრებილ რაზმებს.

გეთანხმებით, რომ ასეთი წესი ცხოვრებისა შეურაცხყოფს ჩვენს მორალურ გრძნობას. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს დუელი, მოწყენილობა და მოუსყიდველი მსაჯულები. მაგრამ XVI საუკუნის ზემოხსენებული ჩვეულებანი არაჩვეულებრივად უწყობდნენ ხელს ისეთი ადამიანების ჩამოყალიბებას, რომელნიც ღირსნი იყვნენ ადამიანის სახელი რქმეოდათ. და ბევრი ისტორიკოსი, ვინც ახლაც დიდად არის დაფასებული რუტინული აკადემიური ლიტერატურის მიერ, ცდილობდა მიეჩქმალა ეს ჩვეულებანი, მაგრამ სწორედ მათი წყალობით შეიქმნა XVI საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ესოდენ ძლიერი ხასიათები იტალიაში. ცხადია, თავის დროზე ამ ისტორიკოსთა ფრთხილი სიცრუე ანაზღაურებულ იქნა ყველანაირი პატივით, რისი ბოძებაც ფლორენციელ მედიჩებს, ფერარელ დ'ესტეთ, ნეაპოლელ ვიცე-მეფეებს ძალუძდათ. ერთმა ბედუკუღმართმა ისტორიკოსმა, სახელად ჯანონემ, მოისურვა ეს საბურველი ერთი კუთხიდან აეწია, მაგრამ ვინაიდან სინამდვილის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილის თქმა გაბედა და თანაც ის ფრიად ორაზროვან და ბუნდოვან ფორმებში გახვია, მისი ნაწარმოები საკმაოდ მოსაწყენი გამოვიდა, რამაც ხელი არ შეუშალა იმ გარემოებას, რომ ამ კაცს ოთხმოცდაორი წლის ასაკში 1758 წლის 7 მარტს ციხეში დაელია სული.

თუ იტალიის ისტორია გვინდა ვიცოდეთ, უპირველეს ყოვლისა, არ უნდა წავიკითხოთ ის ავტორები, რომელნიც ოფიციალურად არიან აღიარებულნი. არც ერთ სხვა ქვეყანაში ასე კარგად არ სცოდნიათ სიცრუის ფასი და არსად ასეთი უხვი საზღაური არ გაუღიათ მისთვის* [პაოლო ჯოვიო – კომოს ეპისკოპოსი, არეტინო და სხვა მრავალი ნაკლებ საინტერესო ავტორი, რომელთა სახელი მარტოოდენ აუტანელმა მოწყენილობამ იხსნა, რობერტსონი, როსკო – თავიდან ბოლომდე სიცრუით არიან გაჟღენთილნი. გვიჩარდინი კოზიმო I-ს მიეყიდა, რომელმაც მასხარად აიგდო იგი. ჩვენს დროში მხოლოდ კოლეტამ და პინიოტიმ გაბედეს სიმართლის დაწერა. უკანასკნელს მაინც ეშინოდა, სამსახური არ დავკარგოო, თუმცა სიცოცხლეში არც უფიქრია თავისი თხზულებების გამოქვეყნება].

იტალიაში IX საუკუნის ბარბაროსობის შემდეგ გამოქვეყნებულ პირველ მატიანეში უკვე იხსენიებიან ყაჩაღები, და ისე, თითქოს ისინი უხსოვარი დროიდან არსებობდნენ (იხ. მურატორის კრებული). როცა საზოგადოებრივი კეთილდღეობის, კანონიერებისა და კარგი მმართველობის საუბედუროდ, ხოლო ხელოვნების საბედნიეროდ შუა საუკუნეების რესპუბლიკები განადგურდნენ, ყველაზე მეტად ენერგიული რესპუბლიკელები, ვისაც

თავისუფლება დანარჩენ თანამოქალაქეებზე მეტად უყვარდათ, ტყეებში გაიხიზნენ. თავისთავად ცხადია, რომ ბალიონების, მალატესტების, ბენტიველიოთა და მედიჩებისგან დაჩაგრულ ხალხს უყვარდა მათი მტრები და დიდ პატივსაც სცემდა მათ. წვრილ-წვრილ ტირანთა სისასტიკემ, რომელთაც პირველ უზურპატორთა ძალაუფლება მიიღეს მემკვიდრეობად, მაგალითად, ფლორენციის პირველი დიდი დუკას, კოზიმოს სისასტიკემ, რომელიც აკვლევინებდა რესპუბლიკელებს ვენეციაში და ისინი პარიზშიც კი აფარებდნენ თავს, ამ ყაჩაღთა რიგები გაზარდეს. კერძოდ, დაახლოებით იმ წლებში, როცა ჩვენი გმირი ქალი ცხოვრობდა, ესე იგი, 1550 წელს, ალბანოს მიდამოებში დათარეშობდნენ შეიარაღებულ ყაჩაღთა ბრბოები ალფონსო პიკოლომინის, დუკა დე მონტე მარიანოს და მარკო შარას მეთაურობით და ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ პაპის ჯარისკაცებს, რომლებიც იმ ხანებში ფრიად დიდი სიმამაცით გამოირჩეოდნენ. მოქმედების არე ამ სახელმოხვეჭდილი ბელადებისა, რომლებიც დღემდე აღტაცებას იწვევენ ხალხში, გადაჭიმული იყო პოდან და რავენის ჭაობიდან იმ ტყეებამდე, რომლებიც იმ დროში ვეზუვის მთას ფარავდნენ. მათი გმირობით ესოდენ სახელგანთქმული ფაჯოლის ტყე, ნეაპოლის გზაზე, რომიდან ხუთი ლიეს დაშორებით რომ მდებარეობდა, მარკო შარას მთავარ ბინას წარმოადგენდა. ეს მარკო შარა გრიგოლ XIII-ის პაპობის წლებში ხანდახან რამდენიმე ათას ჯარისკაცს უყრიდა თავს. ამ სახელმოხვეჭილი ავაზაკის დაწვრილებითი თავგადასავალი თანამედროვე თაობას დაუჯერებლად მოეჩვენება, რადგან დღეს ვერავინ გაიგებს, თუ რა აღძრავდა მას სამოქმედოდ. შარა მხოლოდ 1592 წელს დაამარცხეს. როცა შარამ დაინახა, რომ მისი საქმე წასული იყო, ვენეციის რესპუბლიკასთან ხელშეკრულება დადო და მის სამსახურში გადავიდა თავისი ყველაზე ერთგული, ან თუ გნებავთ, ყველა დამნაშავე ჯარისკაცით. თანახმად რომის მოთხოვნისა, ვენეციის მთავრობამ, რომელსაც შარასთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, ყაჩაღს მკვლელები მიუგზავნა, ხოლო მისი მამაცი ჯარისკაცები კუნძულ კანდიაზე გაგზავნა თურქებთან საომრად. მუხანათმა ვენეციელებმა შესანიშნავად უწყოდნენ, რომ კანდიაში შავი ჭირი მძვინვარებდა, და რამდენიმე დღის შემდეგ ხუთასი ჯარისკაციდან, რომლებიც შარამ რესპუბლიკას გადასცა, მხოლოდ სამოცდაშვიდიღა დარჩა ცოცხალი.

ფაჯოლის ტყე, რომლის ბუმბერაზი ხეები ჩამქრალი ვულკანის ფერდობებს ფარავენ, მარკო შარას მეომრული გმირობის უკანასკნელი ასპარეზი გახდა. ყველა მოგზაური დაგვემოწმება, რომ ეს რომის მშვენიერი სანახების ერთ-ერთი ულამაზესი

ადგილია, რომლის პირქუში შესახედაობა თითქოს ტრაგედიისათვის არის შექმნილი. მუქი ფოთლოვანი ტყე ფარავს ალბანოს მთის მწვერვალებს.

ეს საუცხოო მთა თავის წარმოშობას უნდა უმადლოდეს ვულკანის ამოფრქვევას, რაც რომის დაარსებაზე ბევრად უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. შორეულ, პრეისტორიულ ხანაში ეს მთა უეცრად ამოიზიდა ვრცელ დაბლობზე, რომელიც აპენინებსა და ზღვას შუა არის გადაჭიმული. მისი უმაღლესი წერტილია ფაჯოლის მოშავო მცენარეულობით გარშემორტყმული მონტე-კავი. ის ყოველი მხრიდან მოჩანს _ ტერაჩინოდან და ოსტიიდან, რომიდან და ტივოლიდან. დღეს კი სასახლეებით მოფენილი მონტე-ალბანო ამშვენებს სამხრეთის მხრიდან მოგზაურთა მიერ ესოდენ ნაქებ სანახაობას, რომიდან რომ იშლება. მონტე-კავის მწვერვალზე შავ კაპუცინთა მონასტერმა შეცვალა ფერეტრიელი იუპიტერის ტაძარი, სადაც ლათინები მოდიოდნენ, რათა ერთად შეეწირათ მსხვერპლი და რელიგიური კავშირი გაემაგრებინათ. შესანიშნავი წაბლის ხეების ჩრდილით დაცული მოგზაური რამდენიმე საათში აღწევს დანგრეული იუპიტერის ტაძრის მარმარილოს ლოდებს. მაგრამ დღესაც კი, როცა იმ ტყის ჩრდილში ყოფნა ესოდენ სასიამოვნოა, მოგზაური შიშით იყურება ტყის სიღრმეში. მას ავაზაკებისა ეშინია. მონტე-კავის მწვერვალზე ასული მოგზაურნი ტაძრის ნანგრევებში ცეცხლს ანთებენ საჭმლის მოსამზადებლად. ეს ადგილი მთელი რომის ველს გადმოჰყურებს, ხოლო დასავლეთის მხარეს ზღვა ისე მოჩანს, თითქოს ორ ნაბიჯზე იყოს, თუმცა სინამდვილეში ზღვამდე ორი თუ სამი მილია. ზღვაზე თვალი სულ უმცირეს ნავებსაც კი ამჩნევს. სულ პატარა ჭოგრიტის საშუალებითაც შეიძლება კაცმა გემზე ნეაპოლში მიმავალი ადამიანებიც დაინახოს. ირგვლივ გადაჭიმულია თვალწარმტაცი ველი, რომელიც აღმოსავლეთით, პალესტინის ზემოთ აპენინებით მთავრდება, ჩრდილოეთით კი წმინდა პეტრეს ტაძარი და რომის სხვა დიდებული ნაგებობები ესაზღვრება. ვინაიდან მონტე-კავი ძალიან მაღალი არ არის, თვალი ადვილად სწვდება ამ საუცხოო მხარის უმცირეს წვრილმანებსაც, რაც ისტორიული ძეგლების გარეშეც საუცხოო იქნებოდა. და მაინც, ყოველი კორომი, ჩამოქცეული კედლის ყოველი ნანგრევი, ველზე და მთის ფერდობებზე რომ გადარჩენილა, მოგვაგონებენ მის მონაწილეთა პატრიოტიზმითა და სიმამაცით განთქმულ ბრძოლებს, რაზედაც ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს.

ახლა კი შეიძლება მისვლა ფერეტრიელი იუპიტერის ტაძრის ნანგრევებამდე (რომლის ქვები ბერებმა თავიანთი ბაღის ყორეებისათვის გამოიყენეს) ტრიუმფალური გზით, სადაც ოდესღაც პირველი რომაელი მეფეები დაბრძანდებოდნენ. ეს გზა

საგულდაგულოდ თლილი ქვის ფილებითაა მოკირწყლული, და ფაჯოლის ტყის სიღრმეშიც ხშირად შეხვდებით ამ ფილებს.

ჩამქრალი კრატერი ამჟამად გამჭვირვალე წყლითაა სავსე, ხუთ-ექვს მილზე გადაჭიმულა და ვულკანურ კედლებში ღრმად ჩამჯდარ ულამაზეს ტბა ალბანოს ქმნის. მის ნაპირას ოდესღაც მდებარეობდა ალბა, დედა რომისა, ქალაქი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრების გამო ჯერ კიდევ პირველი მეფეების დროს იქნა აღგვილი პირისაგან მიწისა. დღესაც შემორჩენილია მისი ნანგრევები. რამდენიმე საუკუნის შემდეგ ალბადან მეოთხედი ლიეს დაშორებით მთის ფერდობზე, რომელიც ზღვისაკენ არის მიქცეული, თანამედროვე ქალაქი ალბანო წარმოიშვა, მაგრამ იგი ტბისგან ქარაფების მწკრივით არის გამოყოფილი; ასე რომ, არც ქალაქიდან მოჩანს ტბა და არც ტბიდან _ ქალაქი. თუ დაბლობიდან შევხედავთ, ქალაქის თეთრი შენობები მკვეთრად ისახება ტყის მუქმწვანე ფონზე, ამ ვულკანურ მთას რომ ფარავს. ამ ტყეს ძველთაგანვე ყაჩაღები აფარებდნენ თავს და დიდადაც გაუთქვეს სახელი.

ალბანო, სადაც დღეს ექვსი ათასამდე მცხოვრებია, 1540 წელს მხოლოდ სამი ათას სულს ითვლიდა, როცა იქ ქვეყნის უწარჩინებულეს თავადაზნაურთა რიცხვში ბრწყინავდა კამპირეალის ყოვლისშემძლე ოჯახი, რომლის სამწუხარო დასასრულიც მსურს აქ გიამბოთ.

ეს ამბავი ორი საკმაოდ დიდი მოცულობის ხელნაწერიდან მაქვს თარგმნილი: ერთი მათგანი რომაული გახლავთ, მეორე _ ფლორენციული. თარგმნისას ხიფათს არ დავერიდე და შევეცადე შემენარჩუნებინა მათი სტილი, რომელიც ჩვენი ძველი ლეგენდების სტილს წააგავს. თანამედროვეობის დახვეწილი და სადა ენა, ჩემი აზრით, ნაკლებად ესადაგება აქ მოთხრობილ მოვლენებსა და, განსაკუთრებით, ავტორთა მოსაზრებებს. ისინი დაახლოებით 1598 წელს წერდნენ. მკითხველისაგან შენდობას მოვითხოვ როგორც მათთვის, ისე ჩემთვისაც.

II

«მას შემდეგ, რაც ამოდენა ტრაგიკული ამბები აღვწერე, _ ამბობს ფლორენციული ხელნაწერის ავტორი, _ მინდა უკანასკნელ, საამბობლად ყველაზე სამძიმო ამბავს შევუდგე. მოგითხრობთ კასტროს ვიზიტაციონეს მონასტრის ცნობილ წინამძღვარ ელენ დე კამპირეალზე, რომლის სასამართლო პროცესმა და სიკვდილმა ესოდენ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია რომისა და მთელი იტალიის მაღალ საზოგადოებაში. დაახლოებით

1551 წელს ავაზაკები უკვე ბატონობდნენ რომის მიდამოებში, ქალაქის ხელისუფალნი კი მოსყიდულნი იყვნენ ძლიერი ოჯახების მიერ. 1572 წელს, ესე იგი, იმ წელს, როცა ეს პროცესი მიმდინარეობდა, წმ. პეტრეს ტახტზე ავიდა გრიგოლ XIII ბუონკომპანი. ამ წმინდა მამაში თავმოყრილი იყო ყველა მოციქულებრივი სათნოება, მაგრამ ქვეყნის მართვის საქმეში მისთვის შეიძლებოდა სისუსტე გვესაყვედურა. მან ვერც პატიოსანი მოსამართლეების დაყენება მოახერხა, ვერც ყაჩაღების ალაგმვა. დიდად აწუხებდა ყველა ჩადენილი ბოროტმოქმედება, მაგრამ დამნაშავეთა დასჯას ვერ ახერხებდა. ეგონა, თუ ვინმეს სიკვდილს მიუსჯიდა, ამით უმძიმეს პასუხისმგებლობას იკისრებდა. ასეთი თვალსაზრისის შედეგი ის იყო, რომ ყველა გზაზე, რომლებიც მარადიულ ქალაქში მიდიოდა, ბუზებივით ირეოდნენ ყაჩაღები. ამ გზებზე ცოტად თუ ბევრად უშიშრად რომ გემგზავრათ, ყაჩაღებთან მეგობრულად უნდა ყოფილიყავით. ფაჯოლის ტყეზე ნეაპოლის შარაგზა გადიოდა ალბანოზე გავლით და უკვე დიდი ხნიდან მისი უწმინდესობის მოწინააღმდეგე მთავრობა იყო დაბანაკებული. რომი რამდენჯერმე იძულებული გახდა, როგორც თანასწორს თანასწორთან, მოლაპარაკება ეწარმოებინა მარკო შარასთან, ტყეების ერთ-ერთ მბრძანებელთან. ყაჩაღებს მხარს უმაგრებდა ის სიყვარული, რომლითაც ისინი მეზობელი დაბების გლეხობაში სარგებლობდნენ.

ამ ლამაზ ქალაქ ალბანოში, რომელიც ასე ახლოს მდებარეობდა ყაჩაღთა მთავარ სადგომთან, 1542 წელს დაიბადა ელენ დე კამპირეალი. მამამისი ყველაზე მდიდარ პატრიციელად ითვლებოდა ამ მხარეში, რამაც მას უფლება მისცა ცოლად შეერთო ვიტორია კარაფა, დიდძალი ადგილ-მამულის მფლობელი რომ იყო ნეაპოლის სამთავროში. მე შემიძლია დაგისახელოთ რამდენიმე დღესაც ცოცხალი მოხუცებული, რომელიც კარგად იცნობდა ვიტორია კარაფასა და მის ქალს. ვიტორია სამაგალითო იყო თავისი სიფრთხილითა და გონიერებით, მაგრამ მიუხედავად ეგზომ დიდი ჭკუისა, მაინც ვერ მოახერხა განეჭვრიტა თავისი ოჯახის აღსასრული. უცნაური ამბავია! საშინელი უბედურებანი, რაც ჩემი მოთხრობის სამწუხარო თემას შეადგენენ, როგორც მე მგონია, არ შეიძლება დაბრალდეს ამ ამბის არც ერთ მონაწილეს. მე კარგად ვხედავ გაუბედურებულ ადამიანებს, დამნაშავეთ კი ვერა ვპოულობ. ახალგაზრდა ელენის არაჩვეულებრივი სილამაზე და მისი ნაზი სული უდიდეს საფრთხეს უქადდნენ მას, და შეიძლებოდა გამართლებად ჩაგვეთვალა მისი საყვარლის, ჯულიო ბრანჩიფორტესთვის, ისევე როგორც კასტროს ეპისკოპოსს, მონსინიორ ჩიტადინის უმსუბუქებს ნაწილობრივ დანაშაულს ის, რომ ჭკუის ნატამალიც კი არ გააჩნდა. თავის სწრაფ წინსვლას საეკლესიო იერარქიულ

კარიერაში მონსინიორ ჩიტადინიმ პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების და, განსაკუთრებით, თავისი ლამაზი სახის კეთილშობილი გამომეტყველების წყალობით მიაღწია, სახისა, საოცრად წესიერი ნაკვთებით რომ გამოირჩეოდა. წაკითხული მაქვს, რომ მარტო ერთი შეხედვა კმაროდა, რომ ეს კაცი შეგყვარებოდათ.

რაკი არა მსურს ვეპირფერო ვისმე, ვერ დავმალავ, რომ ერთმა წმინდა ბერმა მონტეკავის მონასტრიდან, რომელსაც წმ. პავლესი არ იყოს, ხშირად ხედავდნენ თავის სენაკში მიწიდან რამდენიმე ფუტით აწეულს (რაც მარტოოდენ ღვთის მადლის ძალას თუ მიეწერებოდა)* [ასეთი არაბუნებრივი მდგომარეობა რომის სანახების ხალხში დღესაც კი წმინდანობის უცილობელ ნიშნად ითვლება. 1826 წელს შემჩნეულ იქნა, რომ ერთი ბერი ალბანოდან რამდენჯერმე აიწია მიწიდან ღვთის მადლის წყალობით. მას უამრავ სასწაულს მიაწერდნენ. მასთან ლოცვა-კურთხევის მისაღებად ოცი ლიეს სიშორიდან მოდიოდა ხალხი იმ მხარეში. საზოგადოების უმაღლესი კლასიდან გამოსულმა ქალებმა იგი თავის სენაკში სამი ფუტით აწეული დაინახეს, მაგრამ ერთხელ ბერი უეცრად გაქრა], სინიორ კამპირეალის უწინასწარმეტყველა, რომ მისი გვარი მასთან ერთად გადაშენდებოდა და მას ეყოლებოდა ორი შვილი, რომლებსაც დღეს მოუსწრაფავდნენ. სწორედ ამ წინასწარმეტყველების გამო ვერ იპოვა მან თავის მხარეში ცოლი, და ნეაპოლში წავიდა ბედნიერების საძებნელად, სადაც მან ჰპოვა კიდევაც დიდი ქონებაცა და სათნო მეუღლეც, რომელსაც თავისი დიდი ღირსებების წყალობით თითქოს უნარი შესწევდა შეეცვალა მისი უკუღმართი ბედი, თუკი ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელია. სინიორ კამპირეალი მეტად ქველმოქმედ კაცად ითვლებოდა. ის უხვად არიგებდა მოწყალებას, მაგრამ მოკლებული იყო ფაქიზი აზროვნების უნარს, რის გამოც თანდათან ჩამოშორდა მეფის კარს, რომში იშვიათად ჩადიოდა და ბოლო დროს აღარც კი გამოდიოდა ალბანოს სასახლიდან. თავის მამულებზე ზრუნვაში ათენ-აღამებდა, რომლებიც იმ ნაყოფიერ დაბლობში მდებარეობდნენ, ქალაქსა და ზღვას შორის რომ იყო გადაჭიმული. ცოლის მოთხოვნით საუკეთესო განათლება მისცა ვაჟიშვილს ფაბიოს, რომელიც დიდად ამაყობდა თავისი წარმოშობით და ქალიშვილს ელენს, სასწაულებრივი სილამაზის პატრონს, რაშიც ყველა დარწმუნდება იმ პორტრეტის მიხედვით, რომელიც დღესაც დაცულია ფარნეზეს კოლექციაში. ვიდრე მისი თავგადასავლის წერას შევუდგებოდი, ფარნეზეს პალაცოში მივედი, რათა მენახა ის საამსოფლიო გარსი, რომლითაც ცამ დააჯილდოვა ეს ქალი, ვისმა სავალალო ხვედრმაც ამოდენა მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავის დროზე და დღესაც ბევრს არ აძლევს მოსვენებას. ოდნავ წაგრძელებული სახის ოვალი, მაღალი შუბლი, მუქი ქერა თმა, მხიარული სახის გამომეტყველება, დიდი ღრმა თვალები, უზადოდ შემორკალული

წაბლისფერი წარბები, თხელი ტუჩები - თითქოს სახელოვანი მხატვრის, კორეჯოს ყალმით იყო ნახატი. სხვა პორტრეტებს შორის, რომლებიც მას გარს ერტყმიან ფარნეზეს გალერეაში, ეს ქალი დედოფალი გეგონებათ. ძნელად თუ შეხვდებით მხიარული და დიდებული იერის ასეთ შეხამებას.

როცა ელენმა რვა წელიწადი დაჰყო ქალაქ კასტროში, ამჟამად დანგრეული ვიზიტაციონეს დედათა მონასტრის აღსაზრდელთა შორის, სადაც იმხანად რომაელი დიდებულნი თავიანთ ქალიშვილებს აგზავნიდნენ, ის მშობლიურ სახლში დაბრუნდა. დამშვიდობებისას მან მონასტერს ეკლესიის მთავარი საკურთხევლისათვის ძღვნად საუცხოო ფიალა დაუტოვა. როგორც კი ელენი ალბანოში დაბრუნდა, მამამისმა რომიდან კარგა მოზრდილი ჯამაგირით მოიწვია იმჟამად უკვე ხანში შესული სახელგანთქმული პოეტი ჩეკინო. მან ელენის მეხსიერება გაამდიდრა ღვთაებრივი ვერგილიუსისა და მისი სახელოვანი მოწაფეების - პეტრარკას, არიოსტოს, დანტეს შესანიშნავი ლექსებით.

აქ მთარგმნელი იძულებულია გამოტოვოს გრძელი მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ აფასებდნენ XVI საუკუნეში დიდ პოეტებს. ეტყობა, ელენმა ლათინური ენაც იცოდა. ლექსები, რომლებსაც მას ასწავლიდნენ, ლაპარაკობდნენ სიყვარულზე, სიყვარულზე, რომელიც ჩვენ, 1839 წელს მცხოვრებთ, ფრიად სასაცილოდ მოგვეჩვენებოდა. მე მოგახსენებთ იმ ვნებიან სიყვარულზე, რომელიც უდიდესი მსხვერპლით იკვებება, შეუძლია იარსებოს მხოლოდ იდუმალების გარემოცვაში და მუდამ იქ სუფევს, სადაც ყველაზე საშინელი უბედურება ტრიალებს.

ასეთი იყო სიყვარული, რომელიც ის-ის იყო ჩვიდმეტი წლის ასაკს მიღწეულ ელენს აღუძრა ჯულიო ბრანჩიფორტემ. ეს ღარიბი ყმაწვილი მის მეზობლად ცხოვრობდა მთაზე, ქალაქიდან ერთ მეოთხედ ლიეთი დაშორებულ ერთ პატარა სახლში, ალბას ნანგრევებს შორის, ხასხასა ბალახით დაფარული ასორმოცდაათი ფუტის სიღრმის უფსკრულის ნაპირას, რომლის ძირასაც ტბა ძევს. დიადი, პირქუში ფაჯოლის ტყის განაპირას მდგარი ეს სახლი შემდგომში მონასტერ პალაცუოლას აშენებისას დაანგრიეს. ამ საბრალო ჯულიო ბრანჩიფორტეს არაფერი ებადა, გარდა მხიარული, ხალასი ხასიათისა და იმ ბუნებრივი უზრუნველობისა, რითაც ის თავის სიღარიბეს იტანდა. მისდა საქებრად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მართალია, ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ საკმარისად გამომეტყველი სახე ჰქონდა. მაგრამ ხმები დადიოდა, ვაჟკაცურად იბრძოდა თავად კოლონას უფროსობით bravi-ის რიგებში და ორ თუ სამ ფრიად სახიფათო თავდასხმაშიც კი ჰქონდა მიღებული მონაწილეობაო. მიუხედავად იმისა, რომ ჯულიო ღარიბი კაციც იყო და

ულამაზოც, მას, ალბანოს ლამაზმანების აზრით, ისეთი გული ჰქონდა, რომლის დაპყრობაც ყოველი მათგანისათვის სასახელო იქნებოდა. ყმაწვილ კაცს ყველა კარგად იღებდა და ელენის კასტროს მონასტრიდან დაბრუნებამდე ის იოლ სამიჯნურო თავგადასავლებით კმაყოფილდებოდა.

«როცა რამდენიმე ხნის შემდეგ რომიდან კამპირეალის სასახლეში დიდი პოეტი ჩეკინო ჩამოვიდა, რათა ახალგაზრდა ქალისთვის სიტყვაკაზმული მწერლობა ესწავლებინა, ჯულიომ, რომელიც ჩეკინოს იცნობდა, მას ლექსად დაწერილი უსტარი გაუგზავნა ლათინურ ენაზე. მასში საუბარი იყო იმაზე, თუ რა დიდი ბედნიერებითაა გასხივოსნებული პოეტის მოხუცებულობა, როცა ელენის მშვენიერი თვალები მისკენაა მიმართული და მას ამ ქალის წმინდა სულში შეუძლია ამოიკითხოს პოეტის აზრებით გამოწვეული ალალი სიხარული. იმ ახალგაზრდა ქალების ეჭვიანობამ და სინანულმა, რომელთაც ჯულიო ბრანჩიფორტე ელენის ჩამოსვლამდე თავის ყურადღებას უთმობდა, სრულიად ამაო გახადეს ყოველგვარი სიფრთხილე, რასაც ჭაბუკი ახლად გაჩენილი ვნების დასაფარავად მიმართავდა. უნდა ვაღიარო, რომ ეს სიყვარული ოცდაორი წლის ყმაწვილ კაცსა და ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს შორის ისე წარიმართა, რომ ის სრულიადაც არ იყო მოსაწონი, რადგანაც სიფრთხილეს სრულიად არ იცავდნენ. სამი თვეც არ იყო გასული და სინიორ კამპირეალიმ შეამჩნია, რომ ჯულიო ბრანჩიფორტე ძალიან ხშირად სეირნობდა მისი პალაცოს ფანჯრებს ქვეშ (ეს სასახლე დღესაც კარგად მოჩანს ტბისკენ მიმავალი დიდი გზის შუაზე).

სინიორ დე კამპირეალის პირველსავე ღონისძიებაში მთელი მისი უკმეხობა და პირდაპირობა გამოვლინდა, რაიც ბუნებრივი შედეგი გახლდათ რესპუბლიკის მიერ დაშვებული თავისუფლებისა და ვნებათა დაუფარავი გამოთქმის ჩვევისა, რომელთა ჩახშობაც მონარქიას ჯერ ვერ მოეხერხებინა. შეურაცხყოფილმა იმით, რომ ახალგაზრდა ბრანჩიფორტემ მოუხშირა მისი სახლის წინ სიარულს, ჭაბუკს ასე ტლანქად მიმართა:

_ როგორ ბედავ, ასე ხშირად რომ დახეტიალობ ჩემი სახლის წინ და უტიფრად უყურებ ჩემი ქალის ფანჯრებს? ხეირიანი ტანსაცმელი მაინც გეცვას, რომ დაიფარო ტანის სიშიშვლე. არ მეშინოდეს, მეზობლები ცუდად გაიგებენ ჩემს მოქმედებას-მეთქი, სამი ოქროს ცეხინს მოგცემდი, რომში რომ წასულიყავი და შესაფერისი ტანისამოსი გეყიდა. მაგ შენი ძონძების დანახვა მაინც არ შეურაცხყოფდა ჩემი და ჩემი ქალიშვილის მზერას.

ელენის მამა, რასაკვირველია, აზვიადებდა: ჭაბუკ ბრანჩიფორტეს ტანისამოსს სულაც არ ეთქმოდა ძონძები, - ის მხოლოდ უბრალო ქსოვილისაგან იყო შეკერილი და

დიდი ხნის ნატარები გახლდათ. მიუხედავად ამისა, ეტყობოდა, სუფთა და კარგი მოვლილი იყო. ჯულიო მწარედ შეურაცხყო სინიორ კამპირეალის საყვედურმა და ის დღისით უკვე აღარ ჩნდებოდა მის სახლთან.

როგორც უკვე ვთქვით, ორი კამარა, ძველისძველი აკვედუკის ნარჩენი, რომელთაც კაპიტალური კედლების მაგივრობა გაუწიეს მამა ბრანჩიფორტეს შვილისთვის დანატოვარი სახლის აშენებისას, ალბანოდან სულ ხუთას თუ ექვსას ნაბიჯზე იმყოფებოდა. ამ ამაღლებული ადგილიდან ქალაქში ჩამოსასვლელად ჯულიოს კამპირეალის პალაცოსთან უნდა გაევლო. ელენმა მაშინვე შეამჩნია, რომ უცნაური ყმაწვილი კაცი, რომელსაც, როგორც მეგობარმა ქალიშვილებმა უამბეს, ყველა სხვა ქალთან კავშირი შეეწყვიტა, რათა ერთიანად მისი ჭვრეტის ბედნიერებისათვის შეეწირა თავი, აღარ ჩანდა მათი სახლის წინ.

ერთი ზაფხულის საღამოს, შუაღამე მოტანებული იქნებოდა, ელენი ღია ფანჯარასთან იჯდა და სუნთქავდა ზღვიდან მონაბერი ნიავით, რომელიც კარგად აღწევს ალბანოს ბორცვამდე, თუმცა ის ზღვისგან სამი ლიეს ველით არის დაშორებული. ღამე იყო ბნელი და გარშემო ისეთი ღრმა დუმილი მეფობდა, რომ კაცი ხიდან ჩამოვარდნილი ფოთლის ჩქამსაც კი გაიგონებდა. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი ელენი იქნებ ჯულიოზეც ფიქრობდა, როცა შენიშნა, რომ მის ფანჯარასთან უხმაუროდ გაიქროლა რაღაც ფრინველის ფრთის მსგავსმა საგანმა. შეშინებულმა ქალმა უკან დაიხია. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ეს რომელიმე გამვლელის საქმე იქნებოდა. პალაცოს მესამე სართული, სადაც მისი ფანჯარა იყო, მიწიდან ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე მდებარეობდა. უეცრად ქალმა შეამჩნია, რომ უცნაური საგანი, რომელიც ნელა ირწეოდა მისი ფანჯრის წინ, ყვავილების თაიგული იყო. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მოეჩვენა, ეს თაიგული მიმაგრებული ჰქონდა ლერწმის ორ თუ სამ ღეროს, რომელიც ბამბუკს წააგავს, რომის სანახებში იზრდება და სიგრძით ოც-ოცდაათ ფუტს აღწევს. ლერწმის ღეროები კარგა მაღალი იყო, ქარი კი იმდენად ძლიერი, რომ ჯულიოს უჭირდა თაიგულის გაჩერება სწორედ იმ ფანჯრის პირდაპირ, რომელთანაც, მისი აზრით, ელენი უნდა ყოფილიყო; თან ღამე იმდენად ბნელი იყო, რომ ქუჩიდან ასეთ მანძილზე არაფერი ჩანდა. ფანჯარასთან უძრავად მდგარი ელენი ძლიერ მღელვარებას შეეპყრო. ხელი მოჰკიდოს თაიგულს, მაგრამ ეს ხომ თანხმობა იქნება? სხვათა შორის, ის არ განიცდიდა არც ერთ იმ გრძნობას, რასაც ჩვენს დროში მაღალი წრის, ცხოვრებისათვის კარგად შემზადებულ ყმაწვილ ქალში აღძრავდა ასეთი შემთხვევა. ვინაიდან მამამისი და მისი ძმა ფაბიო შინ იყვნენ, ქალმა

უპირველეს ყოვლისა, გაიფიქრა, სულ მცირე ხმაური და ჯულიოს არკებუზებს დაახლიანო. მას შეეცოდა უბედური ყმაწვილი კაცი, რომელსაც უეჭველი საფრთხე ელოდა. შემდეგ გაიფიქრა, თუმცა ჯულიოს ჯერ ძალიან ცუდად ვიცნობ, ის მაინც მთელს ქვეყანაზე ყველაზე მახლობელი ადამიანია ჩემიანების შემდეგო. ბოლოს, რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ, ელენმა თაიგულს ხელი წაატანა და დაიჭირა. იგრძნო, რომ ყვავილის ღეროზე ბარათი იყო მიმაგრებული. ელენი ფართო კიბეზე გავიდა, რათა წერილი იქ ღვთისმშობლის ხატთან დაკიდული ლამპის შუქზე წაეკითხა. «უბედური! _ გაივლო გულში, როს პირველი სტრიქონების წაკითხვისას ბედნიერებისაგან სახეზე ალმური მოედო, _ თუ დამინახეს, დავიღუპები; ჩემი მშობლები სამუდამოდ გადაემტერებიან ამ საცოდავ ბიჭს!» მერე თავის ოთახში შებრუნდა და ლამპა აანთო. ეს იყო ბედნიერი წუთი ჯულიოსთვის, რომელსაც რცხვენოდა თავისი საქციელისა. და თითქოს ცდილობდა ამ წყვდიად ღამეშიც სადმე დამალულიყო და ერთ-ერთ იმ უცნაურად დატოტვილ მწვანე მუხის ხის ტანს მიკვროდა, რომლებიც დღესაც დგანან კამპირეალის სასახლის პირდაპირ.

წერილში ჯულიოს უდიდესი უბრალოებით მოჰყავდა შეურაცხმყოფელი სიტყვები, რითაც ელენის მამამ მას მიმართა.

«ღარიბი კაცი ვარ, რა დასამალია, _ განაგრძობდა ის, _ თქვენ ძნელად თუ წარმოიდგენთ ჩემი ცხოვრების სიდუხჭირეს. არაფერი მაბადია იმ სახლის მეტი, რომელიც თქვენ, შესაძლებელია, ალბას აკვედუკის ნანგრევებთან კიდევაც შეგინიშნავთ. სახლს გარშემო ბაღ-ბოსტანი აქვს, რომელშიც თვითონვე ვმუშაობ და რომლის ნაყოფითაც თავს ვირჩენ. გარდა ამისა, მაქვს ვენახიც იჯარით გაცემული წელიწადში ოცდაათ ეკიუდ. მართალი გითხრათ, არც კი ვიცი, რას მიქადის ეს ჩემი სიყვარული. რა უფლება მაქვს მოგთხოვოთ, ჩემი გაჭირვება გაიზიარეთ-მეთქი. და მაინც, თუ არ გიყვარვართ, ცხოვრებას ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს. უაზროა იმის თქმა, რომ ჩემს სიცოცხლეს ათასჯერ გავწირავდი თქვენთვის. მონასტრიდან თქვენს დაბრუნებამდე ჩემი ცხოვრება უბედურად არ ჩაითვლებოდა; პირიქით, იგი აღსავსე იყო ყველაზე ბრწყინვალე ოცნებებით; პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ბედნიერების ხილვამ უბედურ კაცად მაქცია. წინათ დედამიწის ზურგზე ვერავინ გაბედავდა ჩემთვის იმ სიტყვების თქმას, მამათქვენმა რომ მითხრა და გული მომიკლა. ჩემი ხანჯალი სწრაფად იძიებდა შურს ჩემს მაგივრად. რაკი სიმამაცითა და იარაღით ძლიერი ვიყავ, ჩემს თავს ყველას თანატოლად ვთვლიდი. არაფერი მკლებია. დღეს ყველაფერი შეიცვალა: მე გავიგე, რა არის შიში. ახლა კი მეყოფა ამოდენა

გულახდილობა, იქნება გძულვართ კიდეც. მაგრამ თუ მიუხედავად ჩემი ღარიბული ტანისამოსისა, ჩემდამი იოტის ოდენა სიბრალულს მაინცა გრძნობთ, დაიმახსოვრეთ, რომ ყოველ საღამოს, როცა კაპუცინთა მონასტერში ბორცვის წვერზე საათი შუაღამეს ჩამორეკს, თქვენი სახლის წინ, დიდი მუხის ქვეშ ვიმალები და იმ ფანჯარას შევყურებ თვალმოუშორებლად, რომელიც, ჩემი აზრით, თქვენი ოთახის ფანჯარა უნდა იყოს. თუ მამათქვენის მსგავსად არ გძულვართ, თაიგულის ერთი ყვავილი გადმომიგდეთ, მაგრამ ეცადეთ, ის თქვენი პალაცოს რომელიმე აივანზე ან ლავგარდანზე არ დავარდეს.»

ელენმა წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა. თვალები თანდათან ცრემლებით აევსო. მღელვარებით ათვალიერებდა მაგარი აბრეშუმის ძამით შეკრულ მშვენიერ თაიგულს. ელენმა სცადა ერთი ყვავილი ამოეძრო, მაგრამ ვერ მოახერხა. მერე ეჭვებმა შეიპყრო: რომაელ ქალიშვილებს სწამთ, რომ ყვავილის გამოძრობა თაიგულიდან, რომელიც სიყვარულის საწინდარია ან რამენაირად მისი გაფუჭება იმას ნიშნავს, რომ ეს სიყვარული დაიღუპება. ეშინოდა, ჯულიო მოთმინებას დაკარგავსო და თავის ფანჯარასთან მიირბინა, მაგრამ იმწუთშივე მოისაზრა, რომ ყველა კარგად დაინახავდა, რადგანაც ოთახი ლამპის შუქით იყო განათებული. ვერ გადაეწყვიტა, როგორი ნიშნის მიცემა გაებედა: რომელიც არ უნდა ყოფილიყო, ყველა მეტისმეტად მრავლისმთქმელი იქნებოდა.

დარცხვენილი თავის ოთახში დაბრუნდა. მაგრამ დრო მიდიოდა. უეცრად ისეთი აზრი დაებადა, რამაც საშინლად ააფორიაქა: ჯულიო იფიქრებს, ელენსაც, მამამისისა არ იყოს, ვეჯავრებიო. მან მაგიდაზე ძვირფასი მარმარილოს პატარა ნივთს მოჰკრა თვალი, თავის ცხვირსახოცში გამოჰკრა და ფანჯრის პირდაპირ მუხის ძირში ისროლა. მერე ვაჟს ანიშნა, წასულიყო. მიხვდა, რომ ჯულიო დაემორჩილა, რადგანაც წასვლისას ყმაწვილი კაცი ქურდულად აღარ დგამდა ნაბიჯს. როცა ჯულიომ მიაღწია კლდოვანი ქედის წვერს, რომელიც ტბასა და ალბანოს უკანასკნელ სახლებს ჰყოფს, მან სამიჯნურო სიმღერა წამოიწყო. ქალმა ღამე მშვიდობისა უსურვა, მაგრამ ამჯერზე ნაკლები მოკრძალებით, და ისევ წერილის კითხვას შეუდგა.

მეორე დღეს და შემდეგ დღეებში ქალმა კვლავ მიიღო წერილები და სატრფოც ნახა. რადგანაც იტალიის სოფლებში არაფერი არ იმალება, მით უმეტეს, რომ ელენი ყველაზე მდიდარი საცოლე იყო იმ არემარეში, სინიორ კამპირეალის ყურში ჩააწვეთეს, ყოველ საღამოს, ნაშუაღამევს, თქვენი ქალიშვილის ფანჯარაში სინათლე ანთიაო. და რაც ამაზე უფრო გასაკვირია, ფანჯარა ღიაა, ელენი კი განათებულ ოთახში დგას, თითქოს მას სრულიადაც არ ეშინოდეს Zinzare-სიო (ეს ერთი მეტად აბეზარი კოღოა, ძალიან რომ

აფუჭებს რომის სანახების საუცხოო საღამოებს. აქ მე მკითხველს კიდევ უნდა ვთხოვო შემწყნარებლობა. ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს უცხო ქვეყნის ზნე-ჩვეულებანი, მზად უნდა იყოს, რომ მოულოდნელ, ჩვენი ცნებებისაგან სრულიად განსხვავებულ ცნებებს წააწყდება). სინიორ კამპირეალიმ თავისი და თავისი ვაჟიშვილის არკებუზები დატენა. საღამოს, როცა თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, მამა-შვილი რაც შეიძლება უხმაუროდ გავიდა დიდი ქვის აივანზე, რომელიც პალაცოს მეორე სართულზე მდებარეობდა, ელენის ფანჯრის ქვეშ. ქვის მოაჯირის მასიური რიკულები მათ წელს ქვემოთ იცავდნენ გარედან ნასროლი ტყვიისაგან. საათმა თორმეტი დაჰკრა. უეცრად მამამ და შვილმა ოდნავი ხმაური გაიგონეს ხეებში, რომლებიც მათი პალაცოს პირდაპირ ქუჩას დაჰყვებოდა. მაგრამ მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ელენის ფანჯარაში შუქი არ გამკრთალა. ქალიშვილს, რომელიც აქამდე მუდამ ბავშვივით გულმართალი და ცოცხალი იყო, მას შემდეგ, რაც შეიყვარა, მთლად გამოეცვალა ხასიათი. ელენმა იცოდა, რომ სულ პატარა გაუფრთხილებლობაც კი დიდ საშიშროებას უქადდა მის მიჯნურს. თუ ისეთი ბობოლა სინიორი, როგორიც მამამისი იყო, ჯულიო ბრანჩიფორტესთანა ღარიბ-ღატაკს მოჰკლავდა, დიდი-დიდი სამი თვით ნეაპოლში გახიზვნა მოუწევდა; ამასობაში მისი რომაელი ამხანაგები საქმეს მოაგვარებდნენ და ყოველივე იმით გათავდებოდა, რომ მას მოუხდებოდა იმ დროს ყველაზე მეტად სათაყვანო ღვთისმშობლის საკურთხევლისთვის ორას-სამას ეკიუდ ღირებული ვერცხლის კანდელის შეწირვა. დილით, საუზმისას, ელენი მამის სახის დანახვაზე მიხვდა, რომ ის რაღაცით იყო განრისხებული. მამა ისეთი გამომეტყველებით შეჰყურებდა მას, როცა ფიქრობდა, ვერავინ მამჩნევსო, რომ ქალი მიხვდა, ნამდვილად ჩემზეა გამწყრალიო. ელენი მაშინვე მამის ოთახში გაიქცა, რათა იქ მისი საწოლის თავთან დაკიდებულ ხუთ საუცხოო არკებუზზე ცოტაოდენი ფხვნილი მოებნია. ფხვნილითვე დაფარა მამის ხანჯლები და სატევრები. მთელი დღე არაჩვეულებრივად მხიარულ გუნებაზე იყო და მთელ სახლში ზევით-ქვევით დარბოდა, ყოველ წუთში ფანჯრებს აწყდებოდა, გადაწყვეტილი ჰქონდა ჯულიოსთვის ნიშანი მიეცა, რომ ის საღამოს არ მოსულიყო, თუკი საბედნიეროდ თვალს მოკრავდა. მაგრამ ამაოდ: საცოდავი ბიჭი ისეთი ნაწყენი იყო მდიდარმა სენიორმა კამპირეალიმ რომ გამოლანძღა, დღისით ალბანოში არასოდეს ჩნდებოდა; მარტოოდენ ვალდებულების გრძნობა აიძულებდა მას ყოველ კვირა დღეს იქ წირვაზე მისულიყო. ელენის დედა, რომელიც ქალიშვილს აღმერთებდა და ყველაფრის ნებას აძლევდა, იმ დღეს სამჯერ გავიდა გარეთ შვილთან ერთად, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი: ელენმა ვეღარ მოჰკრა თვალი ჯულიოს.

ქალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. რაოდენ აღელდა ქალიშვილი, როცა საღამოს, მამის ოთახში იარაღის სანახავად შესულმა დაინახა, რომ ორი არკებუზი დატენილი იყო და რომ ვიღაცის ხელებს ყველა ხანჯალი და სატევარი მოესინჯა. მხოლოდ მაშინ ეფანტებოდა ყურადღება, როცა ცდილობდა თავი მოეჩვენებინა, თითქოს არაფერი იცოდა. საღამოს ათ საათზე თავის ოთახში წავიდა, რომელიც დედის ოთახისაგან პატარა დერეფნით იყო გაყოფილი. კარი გასაღებით გადაკეტა, ერთხანს ფანჯრის მინაზე თავმიდებული იდგა, მერე კი იატაკზე დაწვა ისე, რომ გარედან შეუძლებელი ყოფილიყო მისი დანახვა. წარმოიდგინეთ, როგორი მღელვარებით უგდებდა ყურს საათის რეკვას! ახლა უწინდებურად აღარ უსაყვედურებდა თავს, ასე ჩქარა რომ შეუყვარდა ჯულიო, რასაც შეეძლო ყმაწვილის თვალში დაემცირებინა იგი. ამ ერთმა დღემ უფრო შეუწყო ხელი ჯულიოს წარმატებას, ვიდრე ექვსი თვის ერთგულებამ და ფიცმა. «რიღასთვის მოვიტყუო თავი? _ ეუბნებოდა თავს ელენი, _ განა მთელი გულით და სულით არ მიყვარს ჯულიო?»

თორმეტის ნახევარე ელენმა შეამჩნია, რომ მამა და ძმა ქვის აივანზე ჩასაფრდნენ მისი ფანჯრის ქვემოთ. ორ წუთს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც კაპუცინების მონასტერში საათმა თორმეტი დაჰკრა, რომ ელენმა გარკვევით გაარჩია თავისი შეყვარებულის ნაბიჯების ხმა, დიდი მუხის ქვეშ რომ მიწყდა. მან სიხარულით შენიშნა, რომ მამამისმა და მისმა ძმამ ვერაფერი გაიგონეს. ესოდენ მსუბუქი ჩქამის გაგონება სიყვარულის დიდ მღელვარებას თუ ძალედვა.

«ახლა, _ ფიქრობდა ელენი, _ მომკლავენ, მაგრამ რადაც არ უნდა დამიჯდეს, დღევანდელი წერილი არ უნდა ჩაიგდონ ხელთ: იმ საცოდავ ჯულიოს სასიკვდილოდ გადაეკიდებიან და მოსვენებას არ მისცემენ.» ელენმა პირჯვარი გადაიწერა, ხელით ფანჯრის რკინის მოაჯირს დაეყრდნო და რაფაზე გადაეკიდა, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო. მეოთხედი წუთიც არ გასულიყო, რომ ჩვეულებისამებრ ლერწმის წკეპლაზე მიმაგრებული თაიგული ხელზე მოხვდა. წკეპლას ხელი წაავლო, მაგრამ ისე სწრაფად მოაძრო თაიგული, რომ რტო აივანს მოხვდა. იმწამსვე ორი არკებუზი გავარდა, მერე კი სრული სიჩუმე გამეფდა ირგვლივ. მისმა ძმამ ფაბიომ ვერ გაარკვია სიბნელეში, რა საგანი მოხვდა აივანს, გადაწყვიტა, ეს ალბათ თოკია, რომლის შემწეობითაც ჯულიო ჩემი დის ოთახიდან ჩამოდისო და მისი აივნისკენ ისროლა. მეორე დღეს ელენმა რკინის მოაჯირზე მიჭყლეტილი ტყვიის კვალი ნახა. ხოლო სინიორ დე კამპირეალიმ ქუჩაში გაისროლა თავისი არკებუზი, ქვის აივნის ქვემოთ, რადგანაც ჯულიომ ხელიდან

გავარდნილი წკეპლის შეკავებისას ხმაური გაიღო. როცა ჯულიომ მის თავს ზემოთ ატეხილი ხმაური გაიგონა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და იავნის ქვეშ დაიმალა.

ფაბიომ უმალვე დატენა არკებუზი, ყური არ ათხოვა მამის ლაპარაკს, ბაღში გაიქცა, უხმაუროდ გააღო პატარა ჭიშკარი, რომელიც მეზობელ ქუჩაში გადიოდა, მთავარ ქუჩასთან მიიპარა და პალაცოს აივნის ქვეშ მოსეირნე გამვლელებს დაუწყო თვალთვალი. ამასობაში ჯულიო, რომელსაც იმ ღამეს რამდენიმე მეგობარი ახლდა თან, მისგან ოც ნაბიჯზე იდგა ხეს მიყრდნობილი. ელენს თავისი მიჯნურის ბედი აწუხებდა, აივნის მოაჯირზე გადაიწია და მაშინვე ქუჩაში მდგარ ძმას გამოელაპარაკა ხმამაღლა: ჰკითხა, მოჰკალით თუ არა ქურდებიო.

_ ერთ წუთსაც არ გეგონოთ, რომ მაგ საძაგელი ოინბაზობით გამაბრიყვებთ, _ შესძახა ფაბიომ, რომელიც წინ და უკან დარბოდა ქუჩაში, _ სჯობს ცრემლების საფრქვევად მოემზადო, იმიტომ რომ სიცოცხლეს გამოვასალმებ იმ უტიფარ არამზადას, რომელიც შენი ფანჯრების ქვეშ ხეტიალს ბედავს.

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები ფაბიომ, ელენს დედამ მიუკაკუნა კარზე.

ელენმა კარი საჩქაროდ გააღო, თან დასძინა, თვითონაც არ მესმის, რატომ აღმოჩნდა ეს კარი დაკეტილიო.

_ ჩემთან ნუ თვალთმაქცობ, ჩემო ანგელოზო, _ უთხრა დედამ, _ მამაშენი გაცოფებულია და შეიძლება მოგკლას კიდეც. წამოდი, ჩემს ლოგინში დაწექი და თუ წერილი გაქვს, მე მომეცი, რომ დავმალო.

_ აგერ თაიგული, წერილი შიგ არის, _ უთხრა ელენმა.

ჩაწვნენ თუ არა ლოგინში დედა-შვილი, სინიორ კამპირეალი ცოლის ოთახში შევიდა. ის თავისი სამლოცველოდან მოსულიყო, სადაც გაშმაგებულს ერთიანად ამოებრუნებინა ყველაფერი. ელენი ყველაზე უფრო იმან შეაშინა, რომ მოჩვენებასავით გაფითრებული მამამისი ისე გულდინჯად მოქმედებდა, თითქოს უკვე მიეღო ურყევი გადაწყვეტილება. «აუცილებლად მომკლავს», _ გაიფიქრა ელენმა.

_ ჩვენ გვიხარია, როცა შვილები გვყავს, _ თქვა მან და ქალიშვილის ოთახისკენ გაემართა სიბრაზისაგან მთლად აცახცახებული, თუმცა ცდილობდა მშვიდად სჩვენებოდა ცოლს, _ ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა შვილები გვებადება, მაგრამ როცა ეს შვილები ქალები არიან, აღარაფერი დაგვრჩენია, სისხლის ცრემლები უნდა ვღვაროთ. ღმერთო დიდებულო! სად გაგონილა ასეთი რამ! მათ ქარაფშუტობას შეუძლია პატივი

ახადოს ადამიანს, რომელსაც სამოცი წლის განმავლობაში იოტისოდენადაც არ მოსცხებია ჩირქი!

ამ სიტყვებზე ის ქალიშვილის ოთახში შევიდა.

_ დავიღუპე, _ უთხრა ელენმა დედას, _ წერილები ჯვარცმის ქვეშ მიწყვია, ფანჯრის მხარეს...

დედა მაშინვე ლოგინიდან წამოხტა და ქმარს უკან გაჰყვა. ქალმა ხმამაღლა დაუწყო ჩხუბი, ქმარმა ჩემზე გადმოანთხიოს თავისი რისხვაო. მარჯვედაც მოახერხა. გაშმაგებული მოხუცი ქალიშვილის ოთახში ყველაფერს ამტვრევდა, რაც ხელში ხვდებოდა. ამასობაში დედამ წერილები შეუმჩნევლად აიღო. ერთი საათის შემდეგ, როცა სინიორ დე კამპირეალი ცოლის ოთახის მეზობლად მდებარე თავის ოთახში შებრუნდა და სახლში ყველაფერი მიწყნარდა, დედამ ქალიშვილს უთხრა:

_ აი, შენი წერილები, არ მინდა მათი წაკითხვა, შენი თვალით ნახე, რა დიდ საფრთხეში ჩავვარდით მაგათ გამო! შენს ადგილას რომ ვიყო, სუყველას დავწვავდი, ახლა ნახვამდის, მაკოცე.

ელენი ცრემლთა ფრქვევით თავის ოთახში დაბრუნდა. მოეჩვენა, რომ დედის სიტყვების შემდეგ უკვე აღარ უყვარდა ჯულიო. მერე წერილების დაწვა დააპირა, მაგრამ სანამ ცეცხლში ჩაყრიდა, სულმა სძლია და ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი. იმდენ ხანსა და ისე გულდასმით იკითხა, რომ, როცა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, დედის სასარგებლო რჩევისათვის ყური მიეგდო, მზე უკვე შუბის წვერზე იდგა.

მეორე დღეს კვირა იყო და ელენი დედასთან ერთად ეკლესიაში წავიდა. საბედნიეროდ, მამა არ გაჰყოლიათ. პირველი კაცი, რომელიც ელენმა ეკლესიაში შენიშნა, ჯულიო ბრანჩიფორტე გახლდათ. როგორც კი შეხედა, დარწმუნდა, რომ ის დაჭრილი არ იყო. ქალი ცას ეწია სიხარულით. წუხანდელი ამბავი წაიშალა მისი მეხსიერებიდან. ელენმა ხუთი თუ ექვსი პატარა ბარათი შეამზადა ბინძურ, დაჭმუჭნილ ქაღალდის ნაგლეჯებზე, ყოველთვის რომ ყრია ეკლესიის ფილაქანზე. ყველა ბარათს ერთი და იგივე შინაარსი ჰქონდა: «ყველაფერი გაიგეს, გარდა თქვენი სახელისა; ეცადეთ, მეტი აღარ გამოჩნდეთ ქუჩაში. აქ ხშირად მოვალ ხოლმე».

ელენმა ერთი ქაღალდის ნაგლეჯი ძირს დააგდო და ჯულიოს შეხედა, ვაჟიც მიუხვდა, ქაღალდი სწრაფად აიღო და იქაურობას გაშორდა.

როცა ელენი ერთი საათის შემდეგ შინ ბრუნდებოდა, სასახლის მთავარ კიბეზე ქაღალდის ნაგლეჯი იპოვა, რომელმაც მისი ყურადღება იმით მიიქცია, რომ ორი წვეთი

წყალივით ჰგავდა მის დილანდელ ბარათებს. ისე სწრაფად აიღო ქაღალდი, რომ დედასაც კი არაფერი შეუმჩნევია და წაიკითხა: «ის სამი დღის შემდეგ დაბრუნდება რომიდან, სადაც აუცილებლად უნდა წავიდეს. ბაზრობა დღეს, დაახლოებით ათი საათისათვის, ბაზრის ყაყანსა და აურზაურში იმღერებს».

ჯულიოს წასვლა ელენს უცნაურად ეჩვენა.

«ნუთუ ჩემი ძმის ტყვიებისა ეშინია?» _ ფიქრობდა სევდიანად ელენი. სიყვარული კაცს ყველაფერს აპატიებს, გარდა იმისა, რომ ის თავისი სურვილით მიდის. არ არსებობს ამაზე უარესი წამება. იმის მაგივრად, რომ ტკბილად იოცნებო და იფიქრო, თუ რატომ და რისთვის გიყვარს ადამიანი, სულს უსასტიკესი ეჭვები გიღრღნის. «ნუთუ შესაძლებელია, აღარ ვუყვარდე?» _ ფიქრობდა ელენი იმ სამი გრძელი დღის განმავლობაში, სანამ ბრანჩიფორტე რომს იყო წასული. და უეცრად მისი სევდა აუწერელმა სიხარულმა შეცვალა: მესამე დღეს დაინახა, რომ ჯულიო დღისით, მზისით მათი პალაცოს წინ ქუჩაში სეირნობდა. მას ახალი, თითქმის მდიდრული ტანისამოსი ეცვა. ჯერ არასოდეს გამოჩენილა ასეთი ბრწყინვალებით მისი კეთილშობილი სიარული და მხიარული, ვაჟკაცური სახის გამომეტყველება და მაინც იმდღემდე არასოდეს ულაპარაკიათ ალბანოში ასე ბევრი ჯულიოს სიღარიბეზე. უმთავრესად მამაკაცები ქილიკობდნენ, მეტწილად ყმაწვილები. მანდილოსნები და ქალიშვილები კი ერთთავად აღტაცებაში მოჰყავდა მის საუცხოო გარეგნობას.

ჯულიომ მთელ დღეს ქალაქში ისეირნა: გეგონებოდათ, პატიმრობის იმ თვეების ანაზღაურება უნდოდა, რაც მას სიღარიბემ მიუსაჯა. ჯულიო კარგად იყო შეიარაღებული, როგორც შეყვარებულ კაცს შეეფერება: გარდა დაშნისა და ხანჯლისა, მას ახალი ჯუბის ქვეშ giacco ეცვა (უსახელო ჯაჭვის პერანგი, რომელიც ძალიან მოუხერხებელი იყო სატარებლად, მაგრამ იტალიელთა გულებს ჰკურნავდა იმ საუკუნეში გამძვინვარებული ავადმყოფობისაგან, ესე იგი, შიშისაგან, რომ მტერი ზურგიდან მოჰკლავდა). იმ დღეს ჯულიოს იმედი ჰქონდა ელენს ნახავდა, ესეც არ იყოს, არ უნდოდა მარტო დარჩენა თავის უბრალო სახლში, და აი, რატომ: რანუჩო, მამამისთან ნამსახურევი ძველი ჯარისკაცი, რომელიც მასთან ერთად ათჯერ იყო ლაშქრობაში სხვადასხვა კონდოტიერთა ჯარებში, ხოლო უკანასკნელად მარკო შარას რაზმში იყო ნამყოფი, თავის კაპიტანს თან გაჰყვა, როცა ეს უკანასკნელი ჭრილობებმა აიძულეს სამხედრო საქმეებისთვის თავი დაენებებინა. კაპიტან ბრანჩიფორტეს კიდევაც რომ ჰქონოდა მიზეზი რომში არ ეცხოვრა, იქ ყოველ წუთს შეიძლებოდა მის მიერ მოკლულ ადამიანთა შვილებს შეხვედროდა. თვით

ალბანოშიც არ აპირებდა ადგილობრივ ხელისუფალთა სამადლოდ ყოფნას. იმის მაგივრად, რომ ქალაქში ეყიდა სახლი ან ექირავა, ამჯობინა ისეთ ადგილზე აეშენებინა საცხოვრებელი, საიდანაც მასთან მიმავალ სტუმარს ადვილად დაინახავდა. ალბანოს ნანგრევებს შესანიშნავი მდებარეობა ჰქონდა: აქედან შეიძლებოდა ცნობისმოყვარე მომხვდურისთვის შეუმჩნევლად ტყეში გაქცეულიყო, სადაც მისი ძველი მეგობარი და მფარველი თავადი ფაბრიციო კოლონა მბრძანებლობდა. კაპიტანი ბრანჩიფორტე ნაკლებად იწუხებდა თავს თავისი ვაჟიშვილის მომავალზე ზრუნვით. როცა ეს მხოლოდ ორმოცდაათ წელს მიღწეული, მაგრამ მრავალ ადგილას დაჭრილი კაცი სამსახურიდან გადადგა, ვარაუდობდა, რომ მხოლოდ ათიოდე წელს თუ იცოცხლებდა კიდევ. ამიტომ, სახლი რომ აიშენა, ფულის ხარჯვას მიჰყო ხელი და ყოველწლიურად იმ ქონების მეათეს ხარჯავდა, რაც ქალაქებისა და სოფლების დარბევისას წილად რგებოდა.

ერთი ვენახი შეისყიდა, რომელიც ოცდაათ ეკიუს აძლევდა შემოსავალს მის ვაჟიშვილს. ესეც ერთ-ერთი ალბანოელი მოქალაქის ჯიბრზე გააკეთა. ერთხელ, როცა ბრანჩიფორტე მხურვალედ იცავდა ქალაქის პატივსა და ინტერესებს, იმ კაცს ეთქვა, შენ, რასაკვირველია, როგორც ჩვენი მხარის უმდიდრეს მიწათმფლობელს, უფლება გაქვს რჩევა-დარიგება მისცე ალბანოს მკვიდრთო. კაპიტანმა ვენახი იყიდა და განაცხადა, რომ კიდევ აპირებდა რამდენიმე ვენახის ყიდვას. მაგრამ, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ იმ ოხუნჯს ერთ განმარტოებულ ადგილზე შეხვდა, დამბაჩით გამოასალმა სიცოცხლეს.

ასეთ ცხოვრებაში რვა წელიწადმა განვლო და კაპიტანიც გარდაიცვალა. მის ადიუტანტ რანუჩოს გაგიჟებით უყვარდა ჯულიო, მაგრამ უსაქმურობით თავგაბეზრებული ისევ თავად კოლონას რაზმს დაუბრუნდა. ოღონდ ეს კია, ჩამოდიოდა «თავისი შვილის, ჯულიოს» სანახავად: ასე უწოდებდა რანუჩო ჯულიოს. ერთი სახიფათო თავდასხმის წინ, რომელსაც თავადი თავის პეტრელას ციხეში უნდა გამაგრებოდა, რანუჩომ ჯულიო დაითანხმა და თან წაიყვანა ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად. როცა ჭაბუკს სიმამაცე შეატყო, უთხრა:

_ ჭკუათმყოფელი ადამიანი იმ ას არ იზამს, რომ ალბანოში უკანასკნელი, ყველაზე ღატაკი მოქალაქის მდგომარეობას დასჯერდეს. მამაშენის შვილს, შენისთანა გამბედავ ვაჟკაცს, შეგეძლო ერთ-ერთი უბრწყინვალესი ჩვენი კონდოტიერი გამხდარიყავი და სიმდიდრეც დაგეგროვებინა.

ჯულიოს გულში მოხვდა ეს სიტყვები. მას ცოტა ლათინური ჰქონდა ერთი მღვდლისაგან ნასწავლი. მაგრამ ვინაიდან მამამისი ლათინურის გარდა ყველაფერს

აბუჩად იგდებდა, რასაც მღვდელი ამბობდა, მისი განათლებაც ამით დასრულდა. სამაგიეროდ იმის გამო, რომ ხალხისგან მოშორებით ცხოვრობდა განმარტოებულ სახლში და მისი სიღარიბის წყალობით ყველასაგან იყო მოძულებული, ჯულიომ ცოდნის მაგივრად ისეთი საღი აზრი და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი გამოიმუშავა, რომ ყოველი სწავლული განცვიფრებაში მოვიდოდა. მაგალითად, სანამ ელენს გაუმიჯნურდებოდა, ომი კი უყვარდა, მაგრამ სიძულვილს გრძნობდა ყოველგვარი რბევისადმი, რაც მამამისისა და რანუჩოს თვალში რაღაც იმ პატარა ვოდევილის მსგავსი რამ იყო, რასაც ხალხის გასართობად ასრულებენ უდიდესი ტრაგედიების ბოლოს. იმ დღიდან მოყოლებული, რაც ჯულიომ ელენი შეიყვარა, საღი აზრი, განმარტოებული ოცნებების დროს რომ ჰქონდა შეძენილი, მისთვის უდიდესი განცდების წყარო გახდა. ამ ოდესღაც უზრუნველ ჭაბუკს ეჭვები ღრღნიდა. თან საშუალებაც არ ჰქონდა, ვინმესთვის რჩევა ეკითხა. მისი ვნებიანი სული მწუხარებამ დაამძიმა.

რას იტყვის სინიორ დე კამპირეალი, როცა გაიგებს, რომ ჯულიო უბრალო ყაჩაღია? მაშინ კი ექნება საფუძველი საყვედურებით აავსოს ჯულიო! ჯულიოს მუდამ იმედი ჰქონდა, რომ ჯარისკაცის ხელობა აჭმევდა ლუკმა-პურს იმ დროისათვის, როცა მამამისის რკინის ზარდახშაში გადამალული ოქროს ძეწკვები და სხვა სამკაულები ერთიანად გაიყიდებოდა და გროშიც აღარ დარჩებოდა. თუ ჯულიოს არ აწუხებდა ეჭვები იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა მას, ღარიბ-ღატაკს უფლება მდიდარი სინიორის ქალიშვილი გაეტაცა, ეს იმიტომ, რომ მან იცოდა, იმ ხანებში მამები, რა სიმდიდრის პატრონებიც უნდა ყოფილიყვნენ, მემკვიდრეობას თავის ჭკუაზე არიგებდნენ და სინიორ კამპირეალისაც იქნებ ათასი ეკიუს მეტი არ მიეცა თავისი ქალიშვილისათვის. ჯულიოს სულ სხვა საფიქრალი აწუხებდა: ჯერ ერთი, რომელ ქალაქში დაბინავდებოდნენ მას მერე, როცა ელენს გაიტაცებდა, და მეორეც, რა სახსრებით იცხოვრებდნენ?

როცა სინიორ დე კამპირეალიმ ჯულიოს ესოდენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა და ასე ატკინა გული, ის ორ დღეს ბობოქრობდა და გულდამძიმებული დადიოდა. ვერც ის გადაეწყვიტა, მოეკლა კადნიერი მოხუცი, ვერც ის, ცოცხალი დაეტოვებინა. მთელ ღამეებს ტირილში ატარებდა. ბოლოს გადაწყვიტა, ერთადერთი მეგობრისათვის _ რანუჩოსათვის ეკითხა რჩევა. მაგრამ გაუგებდა კი ის მეგობარი? ამაოდ ეძება მთელ ფაჯოლის ტყეში ჯულიომ რანუჩო. მას ნეაპოლის გზაზე მოუხდა გასვლა ველეტრისაკენ, სადაც რანუჩო თავისი რაზმით იყო ჩასაფრებული: იქ თავისი დამქაშებით ესპანელ გენერალს, რუის დ’ავალოს ელოდა, რომელსაც განზრახული ჰქონდა რომში

ხმელეთის გზით წასულიყო, რადგანაც, როგორც ეტყობოდა, დავიწყნოდა, ოდესღაც რომ ფართო საზოგადოებაში ათვალწუნებით ეხსენებინა თავად კოლონას რაზმის ჯარისკაცები. მაგრამ ეს გარემოება მის მოძღვარს დროზე გაეხსენებინა და რუის დ'ავალოსაც გადაწყვეტილება შეეცვალა, ხომალდი აღეჭურვა და რომში ზღვით გამომგზავრებულიყო.

როცა კაპიტანმა რანუჩომ ჯულიოს ნაამბობი მოისმინა, უთხრა:

_ ზუსტად ამიწერე, როგორ გამოიყურება ეგ შენი სინიორ დე კამპირეალი, რომ მისი გაუფრთხილებლობა ალბანოს რომელიმე უდანაშაულო მცხოვრებს სიცოცხლის ფასად არ დაუჯდეს. როგორც კი საქმე, რომლისთვისაც აქა ვართ, ასე თუ ისე, დამთავრდება, რომს წადი, სადაც ხშირად უნდა გამოჩნდე სამიკიტნოებსა და საზოგადო ადგილებში დღის ყველა დროს. არ ივარგებს, რომ ეჭვი შენზე მიიტანონ, რაკი ის ქალიშვილი გიყვარს.

ჯულიომ რა არ იღონა, რომ თავისი მამის ძველი მეგობრის რისხვა დაეცხრო. ბოლოს გაჯავრდა კიდეც:

_ შენ რას ფიქრობ, ხმალსა გთხოვ თუ რა? _ უთხრა გაცხარებულმა, _ ხმალი თვითონაც მიჭრის! ჭკვიანურ რჩევასა გთხოვ, მეტს არაფერს.

მაგრამ რანუჩო ჯიუტად თავისას გაიძახოდა:

_ ახალგაზრდა ხარ, ჯერ ჭრილობები არ მიგიღია. შეურაცხყოფა სახალხოდ მოგაყენეს. ეს იცოდე, თავმოყვარეობაშელახული კაცი ქალებსაც კი ეჯავრებათ.

ჯულიომ უთხრა, ჯერ კიდევ მინდა ავწონ-დავწონო ჩემი გულისწადილი და, თუმც რანუჩო ჩააცივდა მონაწილეობა მიეღო ესპანელი გენერლის ესკორტზე თავდასხმაში, რაც მისი სიტყვით, თუ დუბლონებს არ ჩავთვლით, გვარიან სახელსაც ჰპირდებოდა, თავის პატარა სახლში დაბრუნდა.

სწორედ იმის წინადღე იყო, სინიორ დე კამპირეალიმ რომ არკებუზი ესროლა ჯულიოს, როცა ველეტრის მიდამოებიდან დაბრუნებული რანუჩო და მისი კაპრალი ჯულიოსთან მივიდნენ. რანუჩო იძულებული გახდა, ძალა ეხმარა, რათა პატარა რკინის ყუთი გაესინჯა, სადაც მისი უფროსი კაპიტანი ბრანჩიფორტე ოდესღაც ოქროს ძეწკვებსა და სხვა სამკაულებს ინახავდა და სხვადასხვა მოსაზრებების გამო იმ ხელსაყრელი ექსპედიციების შემდეგ მაშინვე ფულად არ აქცევდა.

რანუჩომ იქ ორ ეკიუზე მეტი ვერ იპოვა.

_ გირჩევ, ბერად შედგე, _ უთხრა ჯულიოს, _ ამისათვის შენ ყველა სათნოება გაგაჩნია: სიყვარული ღატაკი ცხოვრებისადმი _ დამტკიცებული საბუთიც აქვეა.

მორჩილება _ ვიღაც ალბანოელ სქელჯიბიანს ნებას აძლევ ხალხში გაგაბიაბრუოს; პირმოთნეობა და ღორმუცელობაღა გაკლია.

რანუჩომ ძალით ჩაუდო ჯულიოს ყუთში ორმოცდაათი დუბლონი.

_ სიტყვას გაძლევ, _ უთხრა მან ჯულიოს, _ რომ თუ ერთი თვის შემდეგ სინიორ კამპირეალი მისი მდგომარეობისა და სიმდიდრის შესაფერისი პატივით არ იქნა დაკრძალული, აი, ეს ჩემი კაპრალი ოცდაათი ჯარისკაცით მოვა, ამ სახლს დაგინგრევს და ამ ხაბახუბასაც დაგიწვავს. კაპიტან ბრანჩიფორტეს ვაჟს არ შეეფერება სიყვარულის გულისთვის ამ ქვეყანაზე გულდედლად იაროს.

როცა სინიორ კამპირეალიმ და მისმა ვაჟმა არკებუზები დასცალეს, რანუჩო და კაპრალი ქვის აივნის ქვეშ იდგნენ და ჯულიომ დიდის გაჭირვებით დააშლევინა მათ ფაბიოს მოკვლა, ან თუნდაც მისი გატაცება, როცა გაუფრთხილებლად გამოვიდა ბაღიდან, როგორც ჩვენ თავის ადგილზე უკვე ვთქვით. რანუჩო მხოლოდ ერთმა საბუთმა დააშოშმინა: არ ღირს მოკვლა ახალგაზრდა კაცისა, რომელიც კიდევ შეიძლება ადამიანი დადგეს და სარგებლობა მოიტანოს, როცა აქვეა ძველი ცოდვილი, მასზე უფრო დამნაშავე და მარტო იმისთვის გამოსადეგი, რომ მიწაში ჩაიდოსო.

ამ შემთხვევის მეორე დღესვე რანუჩო ისევ ტყეში გაიხიზნა, ჯულიო კი რომს წავიდა. სიხარული, რომელიც რანუჩოს ნაჩუქარი დუბლონებით შეძენილმა ტანისამოსმა მოჰგვარა, ერთმა, იმ დროისათვის ფრიად უცნაურმა აზრმა დაჩრდილა და შესაძლებელია, განაპირობა ის მაღალი მდგომარეობა, რომელსაც მან შემდგომში მიაღწია. ჯულიო თავის თავს ეუბნებოდა: «ელენმა უნდა იცოდეს, ვინა ვარ მე». მისი ხნისა და მისი დროის ყოველი სხვა ყმაწვილი კაცი მხოლოდ იმაზე იოცნებებდა, მოეტაცებინა ელენი და დამტკბარიყო მისი სიყვარულით; თავს არ შეიწუხებდა იმაზე ფიქრით, რა დაემართებოდა ქალს ნახევარი წლის შემდეგ, ან რა აზრისა დარჩებოდა ჯულიოზე.

ალბანოში დაბრუნებულმა ჯულიომ იმ დღის საღამოჟამს, რომის ქუჩებში რომ ახალნაყიდი ტანისამოსით კოხტაობდა, თავისი ძველი მეგობრის, სკოტისაგან შეიტყო, რომ ფაბიო ქალაქიდან ცხენით წასულიყო თავისი მამის ადგილ-მამულში, რომელიც ზღვის ნაპირას მდებარეობდა, ალბანოდან სამი ლიეს დაშორებით. მოგვიანებით მან დაინახა, რომ სინიორ კამპირეალიმ ორი მღვდლის თანხლებით ჩაიარა ამწვანებული მუხების საუცხოო ხეივანში, გარს რომ ერტყმის კრატერს, რომლის ძირშიც ალბანოს ტბა ძევს. ათი წუთიც არ გასულიყო, რომ კამპირეალის პალაცოში თამამად შეძვრა ერთი დედაბერი, ვითომდა ხილის გასაყიდად. პირველი, ვინც მას შეხვდა, იყო ელენის მოახლე

ქალი - პატარა მარიეტა, თავისი ქალბატონის ერთგული მეგობარი და მესაიდუმლე. ელენი ყურებამდე გაწითლდა, როცა გამყიდველმა ქალმა საუცხოო თაიგული გადასცა. შიგ ჩადებული იყო უგრძელესი უსტარი: ჯულიო აღწერდა, თუ რა განიცადა იმ ღამის შემდეგ, როცა არკებუზები დაახალეს. მაგრამ რაღაც უცნაური თავმდაბლობის გამო სიტყვაც არ დაუძრავს იმაზე, რაც მისი დროის ყოველი ყმაწვილი კაცისთვის საამაყო იქნებოდა: რომ ის იყო ვაჟიშვილი ფათერაკიანი ცხოვრებით სახელგანთქმული კაპიტნისა, და რომ მან თვითონაც უკვე გამოიჩინა თავი მრავალ შეტაკებაში. ჯულიოს ერთთავად ეჩვენებოდა, რომ მოხუცი კამპირეალი ამისთვის მას საყვედურებით აავსებდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ XVI საუკუნეში რესპუბლიკური საღი აზრით გამსჭვალული ახალგაზრდა ქალები ადამიანს უფრო მათი საკუთარი საგმირო საქმეების მიხედვით აფასებდნენ, ვიდრე მათი მამების მიერ დაგროვილი სიმდიდრისა ან ვაჟკაცობის მიხედვით, მაგრამ ასე მსჯელობდნენ უმთავრესად დაბალი წოდებიდან გამოსული ქალიშვილები. მდიდარი ან წარჩინებული კლასის ქალიშვილები კი ყაჩაღებისადმი შიშის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი და, რაც სრულიად ბუნებრივია, ფრიად დიდ პატივს სცემდნენ გვარიშვილობასა და საკუთრებას. ჯულიო თავის წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა:

«არ ვიცი, შეუძლია თუ არა ჩემს მიერ რომში ნაყიდ შესაფერის ტანსაცმელს დაგავიწყოთ ის სასტიკი შეურაცხყოფა, რომელიც თქვენგან პატივცემულმა პიროვნებამ მომაყენა ჩემი ესოდენ ბეჩავი შესახედაობის გამო. მე შემეძლო შური მეძია, მე ეს უნდა მექნა, ამას თხოულობდა ჩემი ღირსება. მაგრამ შურისძიებაზე ხელი ავიღე, რომ ჩემს სათაყვანებელ თვალებზე ცრემლი არ დამენახა. ამას შეუძლია დაგიმოწმოთ, თუ ჩემდა საუბედუროდ კიდევ ეჭვი გეპარებათ, რომ შეიძლება ღატაკი იყო, გრძნობები კი კეთილშობილი გქონდეს. მაგრამ ერთი საშინელი საიდუმლო უნდა გაგიმჟღავნოთ. ჩემთვის საძნელო არ იქნებოდა ყველა სხვა ქალისთვის ამის თქმა, მაგრამ თვითონაც არ ვიცი, რატომ არის, რომ მთლად ვცახცახებ, რაკი თქვენ უნდა გითხრათ. ჩემს გულახდილობას შეუძლია მყის დაანგრიოს სიყვარული, რომელსაც ჩემს მიმართ განიცდით. ბევრიც რომ ეცადოთ, ვერ დამარწმუნებთ, რომ ასე არ იქნება. მინდა პასუხი ჩემს გულისნადებზე თვითონ ამოვიკითხო თქვენს თვალებში. ამ რამდენიმე დღეში საღამოჟამს პალაცოს უკან ბაღში უნდა შეგხვდეთ. ამ დღეს ფაბიო და მამათქვენი შინ არ იქნებიან. როცა დავრწმუნდები, რომ თუმცა ათვალწუნებით უცქერიან ცუდად ჩაცმულ საცოდავ ყმაწვილ კაცს, მაინც ვერ მოახერხებენ წაგვართვან ერთი საათი პაემანი. თქვენი

პალაცოს ფანჯრებს ქვეშ გამოჩნდება კაცი, რომელიც ბავშვებს მოშინაურებულ მელას აჩვენებს. ცოტა უფრო გვიან, როცა მწუხრის ზარი დარეკავს, შორიდან არკებუზის გასროლის ხმას გაიგონებთ. იმ წუთსვე ბაღის კედელთან მოდით, და თუ მარტო არ იქნებით, იმღერეთ. თუ სიჩუმე იქნება, თქვენი მონა თქვენს ფერხთით გაჩნდება და გულის კანკალით გიამბობთ ისეთ რამეებს, რაც შესაძლებელია შიშის ძრწოლას მოგგვრით. ამ ჩემთვის გადამწყვეტი და საზარელი დღის მოლოდინში ღამღამობით თაიგულებს აღარ მოგიტანთ. მაგრამ ამაღამ ორ საათზე თქვენი სახლის წინ ჩავივლი და იქნებ ქვის აივნიდან თქვენს ბაღში მოწყვეტილი ყვავილი ჩამომიგდოთ. ვინ იცის, იქნებ ეს უკანასკნელი ნიშანი იყოს მეგობრული განწყობილებისა, უბედურ ჯულიოს რომ აჩუქებთ».

სამი დღის შემდეგ ელენის მამა და ძმა ცხენებით თავიანთ მამულში გაემგზავრნენ ზღვის სანაპიროზე. მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე გასულიყვნენ იმ ანგარიშით, რომ შინ ღამის ორი საათისათვის მობრუნებულიყვნენ. მაგრამ იმ წუთში, როცა უკან უნდა წამოსულიყვნენ, აღმოჩნდა, რომ მარტო მათი ორი ცხენი კი არა, ფერმის ყველა ცხენი გამქრალიყო. ამ თავხედური ქურდობით საშინლად გაკვირვებულებმა თავიანთი ცხენების ძებნა დაიწყეს და მხოლოდ მეორე დღეს იპოვეს ზღვის ნაპირზე, უღრან ტყეში. ორივე კამპირეალი, მამა და შვილი, იძულებული გახდნენ ალბანოში ხარებშებმული ფორნით დაბრუნებულიყვნენ.

იმ საღამოს, უფრო სწორად, როცა კარგად დაღამდა, ჯულიო ელენს ჩაუვარდა ფეხებში. საბრალო ქალიშვილს უხაროდა, ღამე რომ ბნელი იყო, რადგანაც ის პირველად ხვდებოდა პირისპირ ადამიანს, რომელიც ნაზად უყვარდა (ეს ყმაწვილმა კაცმაც კარგად იცოდა), მაგრამ ჯერ არასოდეს ხმა არ გაეცა მისთვის.

ქალმა ერთი რამ შენიშნა, რამაც გამბედაობა შესძინა: ჯულიო უფრო ფერმკრთალი იყო და მასზე უფრო ცახცახებდა. ელენი მას თავის ფეხებთან ხედავდა. «გარწმუნებთ, ენაც ვერ დამიძრავს», _ უთხრა ჯულიომ. რამდენიმე დიდად ბედნიერმა წამმა განვლო. ისინი ერთმანეთს შესცქეროდნენ, ხმას ვერ იღებდნენ, ცოცხალ სკულპტურულ ჯგუფს მოჰგავდნენ, უსიტყვოდაც ბევრ რასმე რომ გამოხატავს. მუხლმოდრეკილ ჯულიოს ელენის ერთი ხელი ეჭირა. თავდახრილი ქალი ყურადღებით აცქერდებოდა ვაჟს.

ჯულიომ კარგად იცოდა, რომ მისი მეგობრების, ახალგაზრდა რომაელი დარდიმანდების რჩევით, ფხიანობა უნდა გამოეჩინა. მაგრამ ამაზე ფიქრიც კი ძრწოლას ჰგვრიდა. ექსტაზისა და შესაძლოა, იმ უმაღლესი ნეტარებისგან, რაც სიყვარულს შეუძლია კაცს მიანიჭოს, ჯულიო შემდეგმა აზრმა გამოიყვანა: დრო სწრაფად გარბის და

კამპირეალები პალაცოს უახლოვდებიანო. მიხვდა, რომ მგრძნობიარე სულის პატრონი ვერ შეძლებდა ხანგრძლივი ბედნიერების მოპოვებას, თუ თავის შეყვარებულს არ გაანდობდა საშინელ საიდუმლოებას. თუმცა ამას მისი რომაელი მეგობრები, ალბათ, დიდ სისულელედ ჩაუთვლიდნენ.

_ ერთ საიდუმლოზე გწერდით, რაც, ალბათ, უკეთესი იყო, არ გამემჟღავნებინა თქვენთვის, _ უთხრა ბოლოს და ბოლოს ელენს.

ჯულიო საშინლად გაფითრდა და მღელვარებისაგან გულამომჯდარმა განაგრძო:

_ შეიძლება, ამან გააქროს თქვენი გრძნობა ჩემდამი, რაიც ჩემს ცხოვრებას აზრს აძლევს. თქვენა გგონიათ, რომ მე მხოლოდ ღარიბი ვარ, მაგრამ არის კიდევ სხვა რამეც: მე ვარ ყაჩაღი და ყაჩაღის შვილი.

ამ სიტყვებზე ელენმა, მდიდარი კაცის შვილმა, რომელიც თავისი კასტის ყველა ცრურწმენას იზიარებდა, კინაღამ გრძნობა დაკარგა. შეშინდა, არ დავეცეო. მაგრამ მაშინვე აზრმა გაუელვა: «როგორ შეწუხდება საწყალი ჯულიო! ეგონება, რომ შემზიზღდა». ჯულიო მის ფეხებთან იყო ჩაჩოქილი. ელენი დაეყრდნო ვაჟს, რომ არ დაცემულიყო და იმწამსვე მკლავებში ჩაუვარდა გულშეღონებული. როგორც ვხედავთ, XVI საუკუნეში სიზუსტე უყვარდათ სიყვარულის საქმეებში. ეს იმით აიხსნება, რომ სიყვარულის ამბები მიმართული იყო არა მკითხველის გონებისადმი, არამედ მისი ფანტაზიისადმი, რომელიც გულით და სულით იზიარებდა გმირთა გრძნობებს. ორივე ხელნაწერში, რომელთა მიხედვითაც ამ ამბავს მოგითხრობთ, და მეტადრე იმაში, რომელშიაც წინადადებები ფლორენციული დიალექტისათვის დამახასიათებელ წესზეა აგებული, მოყვანილია ზუსტი აღწერა ყველა პაემნისა, ამ შეხვედრას რომ მოჰყვა. ხიფათის მოლოდინი ახშობდა სინდისის ქენჯნას ახალგაზრდა ქალში. ხშირად მდგარან დიდი საფრთხის წინაშე, მაგრამ ეს კიდევ უფრო აღაგზნებდა მათ გულებს, რადგანაც სიყვარულთან დაკავშირებული ყოველგვარი შეგრძნება ბედნიერებად ეჩვენებოდათ. ფაბიო და მამამისი რამდენჯერმე კინაღამ თავს წაადგნენ. ფიქრობდნენ, არაფრად გვაგდებენო და ბრაზობდნენ. მათ ყურს აღწევდა ხმები, ჯულიო ელენის საყვარელიაო, მაგრამ თვითონ ვერაფრით რწმუნდებოდნენ ამაში. თავისი წარმოშობით მოამაყე ფაბიო დაუდგრომელი ბუნების ყმაწვილი იყო, მამას ურჩევდა, მოვკლათ ჯულიოო.

_ სანამ ეს ბიჭი ცოცხალი იქნება, ჩემი დის სიცოცხლე დიდ საფრთხეშია. დარწმუნებული არა ვართ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ პატივი და ღირსება არ გვაიძულებს ამ ჟინიანი გოგოს სისხლით გავისვაროთ ხელი. იქამდე გათავხედდა, რომ

აღარც უარჰყოფს, შეყვარებული ვარო. ხომ დაინახეთ, თქვენს საყვედურზე ხმაც არ ამოიღო და პირქუშად შემოგხედათ. ძალიან კარგი. ეგ დუმილი სიკვდილის განაჩენი იქნება ჯულიო ბრანჩიფორტესთვის.

_ ნუ გავიწყდება, ვინ იყო მაგისი მამა, _ მიუგო სინიორ კამპირეალიმ შვილს. _ ჩვენთვის, რასაკვირველია, ძნელი არ იქნება ნახევარი წლით აქედან რომში წასვლა. ამასობაში აქ ბრანჩიფორტეს გააქრობენ. მაგრამ ვინ გვითავმდებებს, რომ მამამისს, რომელიც მიუხედავად ყველა მისი ბოროტმოქმედებებისა, იმდენად მამაცი და სულგრძელი ადამიანი იყო, რომ ყველა თავისი ჯარისკაცი გაამდიდრა, თვითონ კი სიღარიბეში ამოხდა სული, _ ვინ გვითამდებებს, რომ არ დარჩენია მეგობრები დუკა მონტე-მარიანოს ჯარში, ანდა კოლონას რაზმებში, რომლებიც ხშირად იბანაკებენ ხოლმე ფაჯოლის ტყეში, სულ ნახევარ ლიეზე ჩვენგან? მაშინ ყველას შეუბრალებლად ამოგვჟლეტენ, შენ, მე და შესაძლოა, შენს უბედურ დედასაც.

ასეთი საუბარი მამა-შვილს შორის ხშირად მეორდებოდა და არ შეიძლებოდა არ გაეგონა ელენის დედას, ვიტორია კარაფას, რომელიც სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი. ფაბიომ და მამამისმა ბევრჯერ მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ოჯახის ღირსება არ გვაძლევს უფლებას კიდევ დიდხანს ვითმინოთ მითქმა-მოთქმა, ალბანოში ჩვენს ოჯახზე რომაა ატეხილიო. ვინაიდან გაუფრთხილებლობა იქნებოდა მოეკლათ ახალგაზრდა ბრანჩიფორტე, რომელიც დღითიდღე უფრო გაბედული ხდებოდა და საუცხოო ტანისამოსში გამოწყობილი იქამდეც გათავხედდა, რომ ხან ფაბიოს გამოელაპარაკებოდა ხალხში, ხან თვითონ სინიორ კამპირეალის, მეტი გზა აღარ ჰქონდათ, ორიდან ერთი გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ, ან ორივე გადაწყვეტილება ერთად: მთელი ოჯახი უნდა აყრილიყო და რომში გადაბარგებულიყო, ელენი კი ვიზიტაციონეს მონასტერში მიებარებინათ კასტროში და მანამდე დაეტოვებინათ, სანამ შესაფერის საქმროს მოუძებნიდნენ.

ელენს დედისთვის თავისი სიყვარული არ გაუმჟღავნებია. თუმცა დედა-შვილს ერთმანეთი ნაზი სიყვარულით უყვარდათ და სულ ერთად იყვნენ, მაინც ერთი სიტყვაც არ თქმულა მათ შორის ამ თემაზე, რომელიც ორივეს თითქმის ერთნაირად აღელვებდა. ამ საქმეზე, ორივეს რომ ერთნაირად აგდებდა საგონებელში, მხოლოდ მაშინ ამოიღეს ხმა, როცა დედამ ქალიშვილს უამბო, მამაშენმა რომს წასვლა გადაწყვიტა და უნდა შენ რამდენიმე წლით კასტროს მონასტერში დაგაბრუნოსო.

ეს საუბარი აშკარა გაუფრთხილებლობა იყო ვიტორია კარაფასაგან, რაც მხოლოდ ქალიშვილის მიმართ მისი თავდავიწყებული სიყვარულით აიხსნება. სიყვარულისგან თავდაკარგულმა ელენმა მოისურვა სატრფოსთვის დაემტკიცებინა, რომ არ ერცხვინებოდა მისი სიღატაკე და უსაზღვროდ სწამდა მისი კეთილშობილება. ვინ დაიჯერებდა, _ ამბობს გაოცებული ფლორენციელი ავტორი, _ რომ მას შემდეგ, რაც ამდენი გაბედული სახიფათო პაემანი ჰქონდათ ბაღში და ელენის ოთახშიც კი, ის უმწიკვლო დარჩებოდა! თავისი უბიწოებით ძლიერმა ქალმა შეყვარებულს უთხრა, რომ შუაღამისჟამს პალაცოდან გამოვიდოდა ბაღით და ღამის დანარჩენ ნაწილს მის პატარა სახლში გაატარებდა, პალაცოდან მეოთხედ ლიეზე რომ იდგა, ალბას ნანგრევებში. ქალ-ვაჟმა ფრანცისკანელი ბერების ტანსაცმელი გადაიცვა. ელენი ტანწერწეტი იყო და ოცი წლის მორჩილს ჰგავდა შავ სამოსელში. მაგრამ ერთი რამ დაუჯერებელია და გვაფიქრებინებს, რომ ამ საქმეში განგების ხელი ერია, რადგანაც კლდეში გაჭრილ ვიწრო ბილიკზე, რომელიც დღესაც კი მიიმართება კაპუცინთა მონასტრის კედლის გასწვრივ, გადაცმული ჯულიო და მისი შეყვარებული სინიორ კამპირეალის და ფაბიოს შეხვდნენ, ოთხი კარგად შეიარაღებული მსახურისა და ხელში ჩირაღდნიანი პაჟის თანხლებით, იქვე შორიახლოს, ტბის ნაპირას მდებარე დაბა კასტელ-განდოლფოდან შინ რომ ბრუნდებოდნენ. ბერები რომ გაეტარებინათ, მამა-შვილი კამპირეალები და მათი მსახურები აქეთ-იქით გადადგნენ გზაზე, რომელიც კლდეში რვა ფუტის სიგანითაა გაჭრილი. რამდენად უკეთესი იქნებოდა ელენისათვის, იმ წუთში რომ ეცნოთ! მას მამის ან ძმის ტყვია განგმირავდა და მისი ტანჯვა წამიერი იქნებოდა: მაგრამ ზეცამ სხვანაირად განსაჯა (Superis aliter visum).

ამ შეხვედრის თაობაზე კიდევ ერთ საკვირველ გარემოებას დასძენდნენ, რაც თითქმის ას წელიწადს მიღწეულ სინიორა კამპირეალის უამბნია მასავით მოხუცებული თავისი პატივსადები ნაცნობებისათვის რომში. მე ხომ ხშირად გამომიკითხავს მათთვის ეს ეპიზოდი და კიდევ სხვა მრავალი შემთხვევა ჩემი დაუოკებელი ცნობისმოყვარეობის გამო.

ფაბიო დე კამპირეალიმ, გულზვიადმა და ყოყლოჩინა ჭაბუკმა, როცა დაინახა, რომ უფროსმა ბერმა მასა და მამამისს მიუსალმებლად ჩაუარა, შესძახა:

_ ერთი დამიხედეთ ამ დიდგულა ბერის კუდაბზიკობას! ეშმაკმა უწყის, რას აკეთებდნენ ასე უდროო დროს მონასტერს გარეთ ეგა და მაგის თანამგზავრი! არ ვიცი, რა მაკავებს, რომ კაპიუშონები ავუწიო და სახეში შევხედო.

ამ სიტყვებზე ჯულიომ სამოსელს ქვეშ ხანჯალი მოიმარჯვა და ფაბიოსა და ელენს შუა ჩადგა. ამ წუთში ის ფაბიოსგან ერთი ფუტის მანძილზე თუ იმყოფებოდა. მაგრამ ზეცამ სხვანაირად ინება და რაღაც სასწაულმოქმედად დააცხრო ორივე ყმაწვილი კაცის სიშმაგე, რომელნიც სულ მალე ორთაბრძოლაში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

შემდგომში, ელენ დე კამპირეალის პროცესზე, ეს ღამის სეირნობა მოტანილი იყო, როგორც ახალგაზრდა ქალის გარყვნილების საბუთი; სინამდვილეში კი ეს გახლდათ უგუნურება ვნებით შეპყრობილი გულისა, - ეს გული კი სუფთა იყო.

III

მკითხველს უნდა მოვახსენოთ, რომ სწორედ ამ ხანებში თავად კოლონას მოსისხლე მტრებმა _ ორსინის გვარმა, რომელიც მაშინ ყოვლისშემძლე იყო რომის მიდამოებში, მთავრობის სასამართლო აიძულა სიკვდილის განაჩენი გამოეტანათ დაბა პეტრელას მკვიდრი ერთი მდიდარი გლეხის, სახელად ბალთაზარ ბანდინისათვის. აქ ძალიან გაგვიგრძელდებოდა ჩამოთვლა ყველა იმ საქმისა, რასაც ბანდინის მიაწერდნენ: ჩვენს დროში ისინი უმეტეს შემთხვევაში დანაშაულად ჩაითვლებოდა. მაგრამ 1559 წელს არ შეიძლებოდა ასეთი სისასტიკით მათი განხილვა. ბანდინი დამწყვდეული ჰყავდათ ერთ ციხესიმაგრეში, რომელიც ორსინის ეკუთვნოდა და მთებში მდებარეობდა ალბანოდან ექვს ლიეზე, ვალმონტონეს ახლოს. ბანდინის რომში ჰქონდა გასაჩივრებული სიკვდილის განაჩენი. მალე რომიდან გამოგზავნილმა barigello-მ ასორმოცდაათი სბირის თანხლებით ღამით დიდ გზაზე ჩაიარა. მას დავალებული ჰქონდა პატიმარი რომში გადმოეყვანა ტორდინონას სატუსაღოში. მაგრამ, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბანდინი პეტრელას მკვიდრი იყო, ეს ციხესიმაგრე კი კოლონას ეკუთვნოდა. ბანდინის ცოლმა საჯაროდ მიმართა დახმარებისათვის ფაბრიციო კოლონას, რომელიც მაშინ პეტრელაში იმყოფებოდა.

_ ნუთუ თქვენს ერთგულ მსახურს ასე გასწირავთ?

კოლონამ უპასუხა:

_ ღმერთი თავის წყალობას მომაკლებს, თუ პაპის, ჩემი მბრძანებლის ტრიბუნალის გადაწყვეტილებას სათანადო პატივით არ მოვეპყრობი!

მაგრამ იმწამსვე ყველა ჯარისკაცმა საჭირო განკარგულება მიიღო და ფაბრიციო კოლონას ყველა მომხრეს მისგან ბრძანება დაეგზავნა, მოემზადეთო. თავშეყრის ადგილად შერჩეული იქნა პაპის კუთვნილებაში მყოფი პატარა ქალაქის ვალმონტონეს მიდამოები,

რომელიც ერთ მომცრო ბორცვზეა შეფენილი და სამოცი თუ ოთხმოცი ფუტის სიღრმის უფსკრულითაა დაცული. ორსინის მომხრეებსა და მთავრობის ხალხს გადაწყვეტილი ჰქონდათ აქედან გადაეყვანათ პატიმარი. სინიორ კამპირეალი და მისი ვაჟიშვილი ფაბიო, რომლებიც ორსინის შორეულ ნათესავებად ერგებოდნენ, ყველაზე მხურვალე მომხრეები იყვნენ ხელისუფლებისა; ჯულიო ბრანჩიფორტე და მამამისი კი ყოველთვის თავად კოლონას უჭერდნენ მხარს.

იმ შემთხვევაში, როცა კოლონას ხალხს ვერ უხერხდებოდა აშკარად მოქმედება, ისინი ერთ ფრიად მარტივ ზომას მიმართავდნენ ხოლმე: რომაელ მდიდარ გლეხთა უმრავლესობა მაშინაც, როგორც ახლა, მომნანიებელთა სხვადასხვა ამხანაგობაში შედიოდა. მომნანიებლები ხალხში გამოდიოდნენ თავზე წამოცმული ტილოთი, რომელსაც თვალების ადგილი ამოჭრილი ჰქონდა. როცა კოლონას საიდუმლოდ უნდოდა შეენახა რომელიმე თავისი ექსპედიცია, თავის ჯარისკაცებს აფრთხილებდა, მომნანიებელთა ტანსაცმლით მოდით ჩემს ბანაკშიო.

ხანგრძლივი მზადების შემდეგ, ბანდინის გადაყვანა, რაზეც ორი კვირის განმავლობაში ხალხს ლაპარაკი არ შეუწყვეტია, კვირა დღისთვის გადაწყდა. იმ დღეს, ღამის ორ საათზე, ვალმონტონეს გუბერნატორის განკარგულებით ფაჯოლის ტყის გარშემო მდებარე სოფლებში ნაბათი დაჰკრეს. მრავალი გლეხი დაიძრა ყოველი სოფლიდან (შუა საუკუნეების რესპუბლიკებში მოქალაქენი ძალით იგდებდნენ ხელში უფლებებს და ამის წყალობა გახლდათ, რომ გლეხებიც სიმამაცით გამოირჩეოდნენ. ჩვენს დროში ერთი კაციც კი არ შეიბერტყავდა ყურს).

იმ დღეს ადამიანი ერთ საკმაოდ უცნაურ რამეს შეამჩნევდა. სოფლებიდან გამოსული შეიარაღებული გლეხების რაზმები როგორც კი ღრმად შედიოდნენ ტყეში, მაშინვე ნახევრდებოდნენ. ფაბრიციო კოლონას მომხრეები იმ ადგილისკენ მიეშურებოდნენ, რომელიც მას ჰქონდა დანიშნული. მათი უფროსები თითქოს დარწმუნებულები იყვნენ, რომ იმ დღეს შეტაკება არ მოხდებოდა: დილიდანვე ნაბრძანები ჰქონდათ ასეთი ხმის გავრცელება. ფაბრიციო ტყეში დაძრწოდა თავისი ყველაზე საიმედო კაცების თანხლებით, რომლებიც მისი საკუთარი რემის ნახევრადველურ ბედაურებზე ისხდნენ. მან გლეხთა რაზმების მზადყოფნა შეამოწმა, თქმით კი არაფერს ეუბნებოდა, რადგანაც ყოველ სიტყვას შეეძლო მისი გაცემა. ფაბრიციო მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, არაჩვეულებრივად ჩაუქი და ღონიერი. თუმცა მხოლოდ ორმოცდახუთი წლისათვის მიეღწია, თმა და წვერი გათეთრებული ჰქონდა, რითაც დიდად უკმაყოფილო

იყო, რადგანაც ამ ნიშნებით ადვილად შეიძლებოდა მისი ცნობა იქ, სადაც შეუმჩნეველი ერჩივნა დარჩენილიყო. გლეხები როგორც კი დაინახავდნენ, შესძახებდნენ - გაუმარჯოს კოლონასო! და თავზე ტილოს კაპიუშონებს ჩამოიცვამდნენ. თვითონ თავადსაც ეკიდა მკერდზე კაპიუშონი, რომელიც მაშინვე შეეძლო თავზე წამოეცვა, როგორც კი მტერს შეამჩნევდა.

მტერმაც არ დააყოვნა გამოჩენა. ჯერ მზე არ ამოწვერილიყო, რომ ვალმონტონეს მხრიდან მომავალი ორსინის მომხრეთა თითქმის ათასკაციანი რაზმი გამოჩნდა და ტყეში შევიდა. რაზმმა სამასი ნაბიჯის სიახლოვეს ჩაუარა ფაბრიციო კოლონას ჯარისკაცებს, თავიანთი მეთაურის ბრძანებით მიწაზე რომ გაწოლილიყვნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კი ორსინის ავანგარდის უკანასკნელმა მწკრივებმა ჩაიარეს, თავადმა თავის კაცებს უბრძანა ადგილიდან დაძრულიყვნენ: გადაწყვეტილი ჰქონდა, ბანდინის ესკორტს თავს დასხმოდა თხუთმეტი წუთის შემდეგ, როცა ტყეში ღრმად შევიდოდა. ამ ადგილებში ტყეში მიმობნეულია პატარ-პატარა, თხუთმეტი-ოცი ფუტის სიმაღლის ქარაფები. ესაა ძველ დროში ამოფრქვეული ლავის ნარჩენები, რომლებზეც უხვად იზრდებიან წაბლის ხეები და თითქმის მთლიანად ჩრდილავენ მზის შუქს. ეს ცოტად თუ ბევრად დროის მიერ დაზიანებული ქარაფები ნიადაგს ძალიან უსწორმასწოროს ხდიან და იმისათვის, რომ მგზავრებს არ გაძნელებოდათ აღმართ-დაღმართებზე სიარული, გზა თვით ლავაში გაჭრეს. ამიტომ ხშირად გზა ტყეზე სამი-ოთხი ფუტით უფრო დაბლა მიიმართება.

იმ ადგილას, სადაც ფაბრიციოს თავდასხმა ჰქონდა განზრახული, ამწვანებული ველი იყო, რომლის ერთ გვერდს დიდი გზა სჭრიდა. მერე ეს გზა ტყეში უხვევდა, ამ ადგილას ერთიანად ეკალნარითა და ჯაგნარით რომ იყო დაფარული. ფაბრიციომ თავისი ქვეითი ჯარისკაცები ამ გზის ორივე მხარეს ჩაასაფრა ტყის პირიდან ასი ნაბიჯის დაშორებით. თავადის ნიშანზე გლეხებმა კაპიუშონები წამოიცვეს და არკებუზებით შეიარაღებულები წაბლის ხეებს უკან ჩასაფრდნენ. ჯარისკაცები გზის პირას ჩაწვნენ ხეებს უკან. გლეხებს ნაბრძანები ჰქონდათ ჯარისკაცების მერე ესროლათ, ამ უკანასკნელთ კი მაშინ უნდა დაეშინათ ცეცხლი, როცა მტერი ოც ნაბიჯზე მოვიდოდა. ფაბრიციომ სახელდახელოდ ოციოდე ხე მოაჭრევინა და ტოტებიანად გარდიგარდმო დააწყობინა გზაზე, რომელიც იმ ადგილას საკმარისად ვიწრო იყო და ნიადაგის დონეზე სამი ფუტით დაბლა დაწეული. ამრიგად, ხეებმა ერთიანად გადახერგეს გზა. ავანგარდს უკან მისდევდა კაპიტანი რანუჩო ხუთასი კაცით. მას ნაბრძანები ჰქონდა მხოლოდ მაშინ გადასულიყო შეტევაზე, როცა არკებუზების პირველ გასროლას გაიგონებდა იმ ადგილიდან, სადაც გზა

ხეები იყო გადაჭრილი. როცა ფაბრიციო კოლონამ დაათვალიერა თავისი ჯარისკაცები და მომხრეები, რომლებიც საიმედოდ იყვნენ ჩასაფრებულნი ხეებს უკან და ბრძოლის დაწყების ნიშანსღა ელოდნენ, ცხენი დააოთხა დაახლოებულ პირთა ამალით, სადაც ჯულიო ბრანჩიფორტესაც შეამჩნევდით. თავადი დაადგა შარაგზის მარჯვნივ მიმავალ ბილიკს, რომელიც გზიდან დაშორებული მინდვრის მეორე ბოლოსკენ მიდიოდა.

ის იყო თავადი კოლონა ადგილიდან დაიძრა, რომ შორიდან გამოჩნდა ვალმონტონედან მომავალ მხედართა მრავალრიცხოვანი რაზმი. ესენი იყვნენ ბანდინის მცველები, სბირები თავიანთი barigello-თი და ორსინის კავალერია. შუაში მოჰყავდათ ხელფეხშებორკილი ბალთაზარ ბანდინი, რომელსაც ოთხივე მხრიდან წითლად შემოსილი ჯალათები მოსდევდნენ. მათ ნაბრძანები ჰქონდათ დაუყოვნებლივ აღესრულებინათ სასამართლოს განაჩენი და ბანდინი მოეკლათ, უკეთუ კოლონას რაზმი პატიმრის განთავისუფლებას დააპირებდა.

როგორც კი თავად კოლონას მხედრებმა მიაღწიეს მინდვრის ბოლოს, რომელიც ყველაზე დაშორებული იყო გზას, თავადს შემოესმა, რომ მისმა კაცებმა საფრებიდან ჩახერგილი გზის წინ არკებუზები ისროლეს. თავადმა იმწამსვე ჭენებით წამოიყვანა თავისი მხედრები და თავს დაესხა ოთხ წითლად შემოსილ ჯალათს, ბანდინის რომ იცავდნენ.

ჩვენ აღარ შევუდგებით ამ პატარა შეტაკების აღწერას, რომელიც ორმოცდახუთ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა. მოულოდნელი თავდასხმისაგან დაბნეული ორსინის მომხრეები აქეთ-იქით დაიფანტნენ, მაგრამ ავანგარდში მოკლულ იქნა მამაცი კაპიტანი რანუჩო და ამან ბრანჩიფორტეს ბედის ჩარხი უკუღმა დაატრიალა. როგორც კი რამდენჯერმე მოიქნია ხმალი ჯულიომ და ჯალათებს მიუახლოვდა, პირისპირ აღმოჩნდა ფაბიო კამპირეალისთან, რომელიც ფიცხელ რაშზე იჯდა და ოქროცურვილი ჯავშანი ეცვა.

_ ვინ არიან ეს ოხერი ნიღბოსნები? _ შეჰყვირა ფაბიომ, _ ვკრათ ხმლები და მოვაძროთ ნიღბები! აბა, მიყურეთ, მე გიჩვენებთ, როგორ უნდა!

თითქმის იმავე წუთში ჯულიო ბრანჩიფორტეს ისე მოხერხებულად დაჰკრა ხმალი შუბლზე, რომ მას ტილოს ნიღაბი ჩამოუვარდა და იგრძნო, როგორ ჩამოედინა თვალებზე სისხლი ჭრილობიდან, რომელიც კაცმა რომ თქვას, სულ არ იყო საშიში. ჯულიომ ცხენი გვერდზე მიაგდო, რათა ცოტათი სული მოეთქვა და სახე მოეწმინდა. მას არ უნდოდა ელენის ძმასთან შებრძოლება. მისი ცხენი უკვე ოთხ ნაბიჯზე იქნებოდა ფაბიოსგან, როცა

კვლავ ძლიერად დაჰკრეს ხმალი მკერდზე და giacco რომ არა, სულაც გააფრთხობდა. ჯულიოს სული შეუგუბდა. თითქმის მაშინვე შიგ ყურში ჩაჰყვირეს:

_ Ti conosco porco! გიცანი, ნაძირალავ! აი, თურმე რით შოულობ ფულს ბრანძების გამოსაცვლელად!

ღრმად შეურაცხყოფილ ჯულიოს თავისი გადაწყვეტილება დაავიწყდა და ფაბიოს მივარდა:

_ Ed in mal ponto tu venisti! აქ ცუდ დროს მობრძანებულხარ! _ შეჰყვირა მან.

მათ რამდენჯერმე შემოჰკრეს ერთმანეთს ხმალი და ტანსაცმელი, ჯავშნებზე რომ ეცვათ, მთლად დაეფლითათ. ფაბიოს საუცხოოდ მოოქრული ჯავშანი ეცვა, ჯულიოს კი _ ჩვეულებრივი.

_ რომელ სანაგვეზე გიპოვნია ეგ შენი giacco, _ დაუყვირა ფაბიომ.

იმავე წუთს ჯულიოს მიეცა შემთხვევა, რომელსაც რამდენიმე წამი იყო, ეძებდა. ფაბიოს მისი საუცხოო ჯაჭვის პერანგი ყელზე კარგად არ ჰქონდა მომდგარი და ჯულიომ ხმლის წვერი მოხერხებულად ატაკა კისერში. ხმალი ფაბიოს ნახევარი ფუტით ჩაესო კისერში, საიდანაც სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა.

_ თავხედო! _ შეჰყვირა ჯულიომ.

მერე ცხენი წითელ სამოსელიანი ჯალათებისკენ გააჭენა, რომელთაგან ორი ჯერ ისევ ცხენზე იჯდა მისგან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით. როცა უახლოვდებოდა, ერთი მათგანი ცხენიდან ჩამოვარდა განგმირული; მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ჯულიო მეოთხე ჯალათს ეწეოდა, ამ უკანასკნელმა დაინახა, რომ გარს ათი ჯარისკაცი დახვეოდა, საცოდავ ბალთაზარ ბანდინის ჯიქურ დაახალა ტყვია და მიწაზე დასცა.

_ ძვირფასო სინიორებო, _ შესძახა ჯულიო ბრანჩიფორტემ, _ ჩვენ აქ საქმე აღარა გვაქვს! დაჰკარით მაგ არამზადა სბირებს, აქეთ-იქით რომ გარბიან ცხვრებივით.

ყველამ მას მიჰბაძა.

როცა ნახევარი საათის შემდეგ ჯულიო ფაბრიციო კოლონასთან მივიდა, ის თავის სიცოცხლეში პირველად გამოელაპარაკა ჭაბუკს. კოლონა გაშმაგებული იყო. ჯულიო ელოდა, სიხარულისგან მეშვიდე ცაზე იქნება, ასე სახელოვნად მხოლოდ და მხოლოდ მისი კარგი სარდლობის წყალობით გავიმარჯვეთო. აკი ორსინის სამი ათას კაცამდე ჰყავდა, ფაბრიციომ კი ათას ხუთასიც ძლივს შეაგროვა.

- ჩვენ დავკარგეთ ჩვენი მამაცი რანუჩო, _ შესძახა ფაბრიციომ და ჯულიოს მიუბრუნდა, _ ამ წუთში მისი გვამი ვნახე, უკვე გაციებულია. საცოდავი ბალთაზარ

ბანდინიც სასიკვდილოდაა დაჭრილი. ერთი სიტყვით, ეს საქმე ჩაგვიფლავდა. მაგრამ დამაცადონ, რანუჩოს აჩრდილი პლუტონის წინაშე გვარიანი ამალით წარსდგება. ბრძანება გავეცი, რომ ყველა ეს არამზადა ტყვეები ხის ტოტებზე ჩამოჰკიდონ! არ დაგავიწყდეთ ჩემი სიტყვა! _ აუმაღლა მან ხმას და ცხენი იმ ადგილისკენ გააჭენა, სადაც ავანგარდს მოუხდა შეტაკება. ჯულიო რანუჩოს შემდეგ მეორე უფროსი იყო. ის უკან გაჰყვა თავადს, რომელიც ერთხელ კიდევ გადმოხტა ცხენიდან მამაცი მეომრის გვამთან, რომლის გარშემოც ორმოცდაათამდე დახოცილი მტრის ჯარისკაცი ეყარა, აიღო მისი ხელი და მაგრად მოუჭირა. ჯულიომ მის მაგალითს მიჰბაძა. ის ტიროდა.

_ შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, _ უთხრა თავადმა ჯულიოს, _ მაგრამ გხედავ, სისხლში ხარ მოსვრილი, მამაშენიც გულადი ჯარისკაცი იყო და მას ოცზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მიღებული კოლონას სამსახურში. რანუჩოს რაზმის უფროსობა თავს იდე და მისი გვამი პეტრელაში წაიღე ჩვენს ეკლესიაში. ოღონდ არ დაგავიწყდეს, რომ გზაზე შეიძლება თავს დაგესხან.

ჯულიოს თავს არ დასხმიან, მაგრამ მან ხმლის დარტყმით მოკლა ერთი თავისი ჯარისკაცი, რომელმაც შეჰბედა, მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ უფროსობისთვისო. ამ გაუფრთხილებელმა საქციელმა მშვიდობიანად ჩაუარა, რადგანაც ჯულიო ჯერ ისევ ფაბიოს სისხლში იყო მოსვრილი. მთელი გზის გაყოლებაზე ხის ტოტებზე ჩამოკიდებული გვამები ხვდებოდა. ეს საძაგელი სურათი, რანუჩოს დაღუპვა და მეტადრე ფაბიოს მოკვლა ჯულიოს ჭკუაზე შლიდა. ერთადერთი იმის იმედიღა ჰქონდა, რომ ფაბიოს მკვლელის სახელს ვერ გაიგებდნენ.

ჩვენ აქ უნდა გამოვტოვოთ სამხედრო წვრილმანები. მხოლოდ შეტაკებიდან მესამე დღეს მოახერხა ჯულიომ ალბანოში მისვლა რამდენიმე საათით. ნაცნობებს ეუბნებოდა, საშინელი ციებ-ცხელება დამემართა რომში და იძულებული ვიყავ, მთელი კვირა ლოგინი მელესაო.

მაგრამ მას ყველგან აშკარა პატივისცემით ხვდებოდნენ. ქალაქის ყველაზე ღირსეული ადამიანები პირველნი ესალმებოდნენ, ზოგიერთი წინდაუხედავი იქამდეც კი მიდიოდა, რომ «სინიორ კაპიტანოო», _ მიმართავდა. ჭაბუკმა რამდენჯერმე ჩაუარა კამპირეალის სასახლეს, რომელიც ერთიანად გამოკეტილი დახვდა, და რაკი ახალი კაპიტანი მეტისმეტად გაუბედავი იყო, როცა საქმე ზოგიერთ საკითხს ეხებოდა, მარტოღა შუადღის მერე ჰკითხა მოხუც სკოტის, რომელიც მუდამ კეთილი თვალით უცქეროდა:

_ კი მაგრამ, ეს კამპირეალები სად გაკრეფილან? ვხედავ, სასახლე ჩაკეტილია.

_ მეგობარო, _ მიუგო სკოტიმ სევდიანად, _ ამათი გვარი აღარასოდეს ახსენო. შენი მეგობრები დარწმუნებული არიან, რომ პირველად თვითონ დაგესხა თავს, და ამას ყველგან იტყვიან, მაგრამ თქვენი შეუღლების წინააღმდეგი ხომ უმთავრესად ის იყო. მისი სიკვდილის შემდეგ კი მთელი აურაცხელი სიმდიდრე დას რჩება, რომელსაც შენ უყვარხარ. ისიც კი შეიძლება დავძინოთ, და ამ შემთხვევაში მოურიდებლობა სათნოებად ჩაითვლება, ისიც კი შეიძლება დავძინოთ-მეთქი, ქალს იმდენად უყვარხარ, რომ ღამით შენთან მოვიდა ალბას პატარა სახლში. ამგვარად, ყველა იტყვის თქვენს სასარგებლოდ, რომ ცოლ-ქმარი იყავით ჩამპის იმ საბედისწერო შეტაკებამდე (ასე შეარქვეს იმ ოლქში ბრძოლას, რომელიც ზემოთ აღვწერეთ).

მოხუცმა ლაპარაკი შეწყვიტა, რაკი დაინახა, რომ ჯულიო ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

_ სამიკიტნოში შევიდეთ, _ უთხრა ჯულიომ.

სკოტი გაჰყვა. მათ ცალკე ოთახი მისცეს; კარი გასაღებით ჩაკეტეს და ჯულიომ მოხუცს სთხოვა, ნება მომეცი, ყოველივე გიამბო, რაც უკანასკნელ კვირაში მოხდაო. როცა მოყოლა დაასრულა, მოხუცმა უთხრა:

_ შენი ცრემლები მეუბნება, რომ ის კაცი წინასწარი განზრახვით არ მოგიკლავს. მაგრამ ფაბიოს სიკვდილი შენთვის მაინც ძალიან სავალალო საქმეა. ელენი აუცილებლად დედას უნდა გამოუტყდეს, რომ შენ უკვე დიდი ხანია, მისი ქმარი ხარ.

ჯულიომ არაფერი უპასუხა და მოხუცმა ეს დუმილი მის საქებურ თავდაჭერილობას მიაწერა. უღრმეს ფიქრებში ჩაძირული ჯულიო თავს ეკითხებოდა, ძმის დაღუპვით დამწუხრებული ელენი შეაფასებს თუ არა როგორც საჭიროა ამ სიკეთესო. ნანობდა მომხდარ ამბავს. მერე ჯულიოს თხოვნით მოხუცმა ყველაფერი უამბო, რაც შეტაკების დღეს ალბანოში მომხდარიყო. ფაბიო დილის შვიდის ნახევარზე იყო მოკლული ალბანოდან ექვსი ლიეს დაშორებით _ და გაუგონარი ამბავი მოხდა! ცხრა საათზე უკვე ხალხი მის სიკვდილზე ლაპარაკობდა. შუადღისას დაინახეს, რომ მოხუცი კამპირეალი კაპუცინების მონასტერში მიდიოდა ტირილით, მხარში მსახურები შესდგომოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კამპირეალის საუკეთესო ცხენებზე შემჯდარი სამი წმინდა მამა მრავალრიცხოვან მსახურთა თანხლებით სოფელ ჩამპისკენ გაემართა, სადაც შეტაკებას ჰქონდა ადგილი. მოხუც კამპირეალისაც უნდოდა მათ გაჰყოლოდა, მაგრამ გადაათქმევინეს იმ საბაბით, ფაბრიციო კოლონა გაშმაგებულია (არავინ კი იცოდა, რატომ), და თუ ხელში ჩაუვარდებით, ხეირს არ დაგაყრითო.

შუაღამემ რომ მოაღწია, გეგონებოდათ, ფაჯოლის ტყეს ცეცხლი უკიდიაო. ბერები და ალბანოს ღარიბ-ღატაკნი სულ ერთიანად გამოსულიყვნენ ანთებული კელაპტრებით ხელში ახალგაზრდა ფაბიოს ცხედრის შესახვედრად.

_ არ დაგიმალავ, _ განაგრძო მოხუცმა და ხმას დაუწია, თითქოს ეშინოდა, არავის გაეგონა მისი ლაპარაკი, _ რომ ამბობენ, თითქოს ვალმონტონედან ჩამპის გზაზე...

_ რაო, რას ამბობენ? _ შესძახა ჯულიომ.

_ ეს გზა ხომ შენი სახლის წინ გადის, და ამბობენ, თითქოს, როცა ფაბიოს ცხედარი იქ გაატარეს, ყელზე, მისი ჭრილობიდან სისხლმა ამოხეთქაო.

_ რა საშინელებაა! _ შეჰყვირა ჯულიომ და წამოხტა.

_ დამშვიდდი, ჩემო კარგო, _ განაგრძო მოხუცმა, _ ყველაფერი უნდა იცოდე. ჰოდა, ახლა, როგორც ხედავ, შენი დღეს აქ მოსვლა ცოტათი ნაადრევი იყო. თუ პატივს დამდებ და ჩემს აზრს იკითხავ, ამას დავძენ, კაპიტანო, რომ სჯობს ალბანოში ერთ თვეს მაინც არ გამოჩნდე. ზედმეტია იმის თქმა, რომ გაუფრთხილებელი ნაბიჯი იქნება შენი რომში გამოჩენაც. ჯერ არავინ იცის, რა თვალით შეხედავს ჩვენი წმინდა პაპი კოლონას ნამოქმედარს. ზოგი ფიქრობს, მისმა უწმინდესობამ შესაძლოა დაუჯეროს ფაბრიციოს განცხადებას, ჩამპისთან შეტაკებაზე არაფერი ვიცოდი და მხოლოდ სხვისგან შევიტყვე ეს ამბავიო. მაგრამ რომის გუბერნატორი, რომელიც ორსინის მომხრეა, გახელებულია და დიდი სიამოვნებით ჩამოახრჩობს ფაბრიციოს რომელიმე მამაც ჯარისკაცს, რაზეც, ცხადია, კოლონა ვერც კი დაიჩივლებს, რაკი ირწმუნება, შეტაკებაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. უფრო მეტსაც გეტყოდი, მართალია, შენ ჭკუას არ მეკითხები, მაგრამ მაინც გავბედავ და ერთ მხედრულ რჩევას მოგცემ: ალბანოში ხალხს უყვარხარ; ეს რომ არ იყოს, ასე უშიშრად აქ ვერ ივლიდი. მაგრამ, აბა იფიქრე, ამდენი საათია ქალაქში დასეირნობ, ორსინის რომელიმე მომხრემ კი შეიძლება წარმოიდგინოს, რომ თავი გამომწვევად გიჭირავს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვინმე დიდი ჯილდოს მიღების სურვილმა გააბრიყვოს. მოხუცმა კამპირეალიმ ერთი ათასჯერ მაინც თქვა, ჩემი მიწის საუკეთესო ნაკვეთს მივცემ იმას, ვინც ჯავრს ამომყრისო. ამიტომ, როცა ალბანოში ჩამოხვალ ხოლმე, თან რამდენიმე შეიარაღებული კაციც იახლე იმ რაზმიდან, შენთან რომ გყავს.

_ მე სახლში არა მყავს შეიარაღებული ხალხი.

_ ოო, ეგ ხომ უგუნურებაა, კაპიტანო. ამ ფუნდუკს ბაღი აკრავს; ამ ბაღით გავიდეთ და ვენახებით გავშორდეთ აქაურობას. მე თან გამოგყვებით. მართალია, ბებერი ვარ და არც

იარაღი მაქვს თან, მაგრამ თუ მტრულად განწყობილნი შეგხვდნენ, გამოველაპარაკები და დროს მაინც მოგაგებინებ.

ჯულიოს გული უღრმესმა სევდამ მოიცვა. როგორ გავამხილოთ მისი უგუნურება? როგორც კი გაიგო, რომ კამპირეალის სასახლე დაკეტილია და მისი ყველა ბინადარი რომშია წასულიო, განიზრახა მისულიყო და ენახა ბაღი, სადაც ასე ხშირად შეხვედრია ელენს. იმედი ჰქონდა მის ოთახსაც მოინახულებდა, სადაც ერთხელ დედამისის არყოფნის დროს ელენმა მიიღო. უნდოდა, თავისი აფორიაქებული სული ქალის წინაშე იმით გაემართლებინა, რომ ის ადგილები ენახა, სადაც ელენი ესოდენ ნაზად ეპყრობოდა.

ბრანჩიფორტე და სულგრძელი მოხუცი არავის შეხვედრიან ვენახებით ტბისკენ მიმავალ ბილიკებზე.

ჯულიომ მოხუცს სთხოვა, ერთხელ კიდევ დაწვრილებით ეამბნა ფაბიოს დაკრძალვის შესახებ. მამაცი ყმაწვილის ცხედარი, რომელსაც მღვდლების მრავალრიცხოვანი ჯგუფი აცილებდა, რომში წაიღეს და იქ წმ. ონოფრეს მონასტერში საგვარეულო აკლდამაში დაკრძალეს. იანიკულის ბორცვზე ხალხმა ერთი ფრიად უცნაური გარემოება შეამჩნია: დაკრძალვის ცერემონიის წინადღით ელენი მამამისმა ვიზიტაციონეს მონასტერში წაიყვანა კასტროში. ამან მხოლოდ დაადასტურა ხალხში დარხეული ხმა, რომ ის საიდუმლოდ იყო შეუღლებული დაქირავებულ ჯარისკაცთან, რომელმაც თავისდა ჭირად მის ძმას მოუსწრაფა სიცოცხლე.

როდესაც ჯულიო თავის სახლს მიუახლოვდა, დაინახა, რომ იქ კაპრალი და ოთხი ჯარისკაცი უცდიდნენ. მათ უთხრეს, ჩვენი წინანდელი კაპიტანი ტყიდან ისე არასოდეს გავიდოდა, თან რამდენიმე თავისი კაცი არ წაეყვანაო. თავადს ხშირად უთქვამს, თუ ვინმეს უნდა წინდაუხედაობით თავი გასწიროს, ჯერ სამსახურიდან გადადგომა ითხოვოს, რათა იძულებული არ გავხდეთ მოკლული ჯარისკაცისთვის შური ვიძიოთო.

ჯულიო ბრანჩიფორტემ იფიქრა, სწორი ნათქვამიაო, თუმცა უწინ სხვაგვარად სჯიდა ხოლმე. აქამდე ეგონა ისევე, როგორც გულუბრყვილო ხალხს ჰგონია, მხოლოდ იმაში მდგომარეობს ომი, რომ მამაცურად იბრძოლოო. მყის დაემორჩილა თავადის ბრძანებას და მხოლოდ ამისთვის შეჩერდა, რომ გადაეკოცნა ჭკვიანი მოხუცი, რომელმაც სულგრძელობა იქონია და სახლამდე მიაცილა.

მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კაეშნით გულდამძიმებული ჯულიო ისევ კამპირეალის სასახლის სანახავად დაბრუნდა. უკვე ღამე იყო, როცა ისა და ნეაპოლელ ვაჭრებად გადაცმული მისი სამი ჯარისკაცი ალბანოში შევიდნენ. სკოტისთან ჯულიო

მარტო მივიდა. გაიგო, რომ ელენი ჯერ კიდევ კასტროს მონასტერში იყო. მამამისი ფიქრობდა, რომ ელენმა საიდუმლოდ იქორწინა კაცთან, ვისაც ის თავისი ვაჟიშვილის მკვლელად თვლიდა და დაიფიცა, თვალით აღარ ვნახავ ჩემს ქალსო. მაშინაც კი არ შეუხედავს ელენისთვის, როცა მონასტერში მიჰყავდათ. სამაგიეროდ, დედამისმა გაორკეცა შვილის ალერსი და ხშირად ჩადიოდა რომიდან კასტროში, რათა ერთი-ორი დღე ქალიშვილის გვერდით გაეტარებინა.

IV

«თუ ელენის წინაშე თავი არ გავიმართლე, _ ფიქრობდა ჯულიო, როცა ღამით ტყეში ბრუნდებოდა, სადაც მისი რაზმი იყო დაბანაკებული, _ ბოლოს და ბოლოს დაიჯერებს, რომ მკვლელი ვარ. ღმერთმა იცის, რამდენი საშინელება უამბეს იმ ბედუკუღმართი ჩამპის ბრძოლაზე».

ჯულიო თავადთან მივიდა განკარგულების მისაღებად მის პეტრელას ციხე-სიმაგრეში და მას კასტროში წასვლის ნებართვა სთხოვა. ფაბრიციო კოლონამ წარბები შეიჭმუხნა:

_ იმ პატარა შეტაკების საქმე ჯერ მთლად არ არის მოგვარებული მის უწმინდესობასთან. იცოდე, რომ მე სრული სიმართლე ვთქვი, ამ ბრძოლაში არ გავრეულვარ-მეთქი, მხოლოდ მეორე დღეს შევიტყვე ყოველივე პეტრელაში. ვფიქრობ, მისი უწმინდესობა ბოლოს და ბოლოს შეისმენს ჩემს ალალ-მართალ ნაამბობს. მაგრამ ორსინის გვარი ძლიერია, ეგეც არ იყოს, ყველა ამბობს, რომ იმ ხმლების ტრიალში შენ კარგად გამოიჩინე თავი. ორსინი იმასაც ამტკიცებს, თითქოს ბევრი ხის ტოტებზეც ჩამოახრჩესო. კარგად იცი, თუ რა სიცრუეა ასეთი მტკიცება, მაგრამ ჩვენ მათი მხრიდან ყოველთვის უნდა ველოდოთ სამაგიეროს გადახდას.

უღრმესი განცვიფრება, რომელიც ახალგაზრდა კაცის მიამიტ მზერაში გამოიხატა, ართობდა თავადს. ასეთი გულუბრყვილობის შემხედვარემ საჭიროდ ჩათვალა, უფრო გარკვეულად ელაპარაკა:

_ მე ვხედავ, შენ დაჯილდოებული ხარ იმ დიდი სიმამაცით, რამაც ბრანჩიფორტეს მთელს იტალიაში გაუთქვა სახელი. იმედი მაქვს, შენც მამაშენივით უერთგულებ ჩემს სახლს. ამ ერთგულების გამო მსურს სამაგიერო მოგიზღო. ჩემს რაზმში წესადა აქვთ დადებული: არასოდეს არც ერთი სიტყვა მართალი არ თქვან ჩემზე და ჩემს ჯარისკაცებზე. თუ იძულებული ხარ ილაპარაკო და გრძნობ, რომ სიცრუე ამ შემთხვევაში სასარგებლოს

არაფერს მოგიტანს, მაინც იცრუე ყოველი შემთხვევისათვის და ერთი ბეწო სიმართლის თქმასაც კი ისე ერიდე, როგორც სასიკვდილო ცოდვას. უთუოდ ხვდები, რომ შენს ნაამბობს სხვისი ნათქვამით შეავსებენ, და ამას შეუძლია მთელი ჩემი გეგმები გახსნას. მე ვიცი, რომ კასტროს ვიზიტაციონეს მონასტერში ვიღაცას ეკურკურები. შეგიძლია ორ კვირას იყიალო იმ პატარა ქალაქში, სადაც ორსინის, თქმა არ უნდა, მეგობრებიცა და აგენტებიც ეყოლება. ჩემს მოურავთან მიდი, ორას ცეხინს მოგცემს. მეგობრობა, რომელიც მამაშენთან მაკავშირებდა, _ დასძინა თავადმა სიცილით, _ სურვილს მიღვიძებს რამდენიმე რჩევა მოგცე, თუ როგორ უნდა ჩაატარო წარმატებით ეს სამიჯნურო და ამავე დროს სამხედრო წამოწყება: შენ და შენი სამი ჯარისკაცი ვაჭრებად შეიმოსებით; თავი ყველგან ისე უნდა გეჭიროთ, თითქოს უკმაყოფილო ხართ ერთ-ერთი თქვენი ამხანაგისა, რომელიც ვითომდა დიდი ლოთია, და ბევრ ამხანაგს გაიჩენს იმით, რომ კასტროს ყველა მუქთახორას წამდაუწუმ ღვინით გაუმასპინძლდება... ხოლო თუ ორსინის კაცებმა დაგიჭირეს და სიკვდილი გადაგიწყვიტეს, _ განაგრძო თავადმა და კილო შეიცვალა, _ არავითარ შემთხვევაში არ გამოტყდე, ვინა ხარ; მეტადრე არ წამოგცდეს, თუ ჩემი მომხრე ხარ. ზედმეტი უნდა იყოს იმის თქმა, რომ ყველა პატარა ქალაქში აუცილებლად შემოვლით უნდა შეხვიდე, იმის საწინააღმდეგო მხრიდან, საიდანაც მიხვედი.

ჯულიოს გული აუჩუყა ამ მამობრივმა რჩევა-დარიგებამ ესოდენ მკაცრი ადამიანისაგან. თავადმა თავდაპირველად ჩაიცინა, როცა ყმაწვილი კაცის თვალებზე ცრემლები დაინახა, მაგრამ მერე მისი ხმაც შედრკა. მრავალ ბეჭედთაგან, თითებზე რომ ეკეთა, ერთ-ერთი წაიძრო. ჯულიომ ბეჭედი გამოართვა და სასოებით ეამბორა ესოდენ დიდი საქმეებით სახელმოხვეჭილ ხელს.

_ ჩემს ღვიძლ მამასაც კი არასოდეს ამდენი კეთილი სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის! – შესძახა აღტაცებით ყმაწვილმა კაცმა.

ორი დღის შემდეგ, გამთენიისას, ჯულიო პატარა ქალაქ კასტროში შევიდა. მას თან ახლდა მასავით გადაცმული ხუთი კაცი. ორნი ცალკე მიდიოდნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს არც დანარჩენ სამს იცნობდნენ, არც თვითონ ჯულიოს. ვიდრე ქალაქში შევიდოდნენ, ჯულიომ შორიდანვე დაინახა შავი კედლებით გარშემორტყმული დიდი შენობა ვიზიტაციონეს დედათა მონასტრისა, რომელიც ძალიან ჰგავდა ციხესიმაგრეს. ჭაბუკი ეკლესიისკენ გაეშურა. ჩინებული სანახავი იყო ეკლესია. აქაური მონაზვნები ყველანი კეთილშობილი და მდიდარი ოჯახიდან იყვნენ გამოსულნი და ერთმანეთს ექიშპებოდნენ იმაში, თუ ვინ უკეთ შეამკობდა ეკლესიას, მონასტრის ამ ერთადერთ

ნაწილს, რომლის ნახვაც ყველა უცხოსთვის მისაწვდომი იყო. აქ წესად ჰქონდათ დადებული, რომ მონაზონს, რომელსაც პაპი კარდინალის, ვიზიტაციონეს ორდენის მფარველის მიერ წარდგენილი სამი მონაზვნის რიცხვიდან წინამძღვრად დაადგენდა, მონასტრისთვის მდიდრული შესაწირავი უნდა მიეტანა და ამით თავისი თავი უკვდავეყო. იმ წინამძღვარს, რომლის საჩუქარიც მის წინამორბედისაზე ნაკლებად მდიდრული აღმოჩნდებოდა, ათვალწუნებით უყურებდნენ მთელი თავისი ოჯახიანად.

ჯულიომ თრთოლვით შედგა ფეხი ამ საუცხოო შენობაში, ერთიანად მარმარილოთი და ოქროს ვარაყით რომ ბრწყინავდა. მართალი მოგახსენოთ, ნაკლებად აინტერესებდა ეკლესიის თვალისმომჭრელი მორთულობა. ეგონა, ელენი უცქერდა საიდანღაც. როგორც უთხრეს, მთავარი საკურთხეველი რვაასი ათას ფრანკზე მეტი დამჯდარა, მაგრამ მისი მზერა არ შეჩერებულა საკურთხევლის მდიდრულ მორთულობაზე. იგი მიმართული იყო ორმოცი ფუტის სიმაღლის მოოქრულ გისოსზე, რომელსაც ორი მარმარილოს პილასტრი სამად ჰყოფდა. გისოსი თავისი სისქით მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი მთავარი საკურთხევლის უკან იყო აღმართული და მონოზონთა ქოროს ჰყოფდა ეკლესიის იმ ნაწილისაგან, სადაც ყველა მორწმუნეს შეეძლო შესვლა.

ჯულიომ გაიფიქრა, ალბათ, ამ გისოსს უკან იმყოფებიან წირვის დროს მონაზვნები და მონასტრის აღსაზრდელებიო. ეკლესიის ამ შიდა ნაწილში ყველა მონაზონსა და აღსაზრდელს დღის ყოველ საათზე შეეძლო მოსვლა სალოცავად. სწორედ ამ ყველასათვის ცნობილ გარემოებაზე ამყარებდა მთელ თავის იმედებს საცოდავი შეყვარებული.

მართალია, გისოსს შიგნიდან ვეებერთელა შავი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, «მაგრამ ეს ფარდა, _ ფიქრობდა ჯულიო, _ არ უნდა უშლიდეს აღსაზრდელებს ეკლესიაში მყოფი ადამიანების დანახვას, რაკი მე თვითონ, ამ სიშორიდან კარგად ვხედავ ფარდაში ფანჯრებს, საიდანაც ქოროში შუქი შემოდის და დაწვრილებით ვარჩევ ყოველ მათ არქიტექტურულ დეტალს». ამ საუცხოოდ მოვარაყებული გისოსის ყოველი კადონი ხალხისკენ მიმართული კარგა მოზრდილი წვეტით მთავრდებოდა.

ჯულიომ ყველაზე გამოსაჩენი ადგილი შეარჩია, გისოსის მარცხენა ნაწილის წინ, რომელიც სხვაზე უფრო განათებული იყო. აქ დილიდან საღამომდე წირვას უსმენდა და ვინაიდან მის გარშემო მხოლოდ გლეხები იყვნენ, იმედი ჰქონდა, შავ ფარდაშიც შემამჩნევენო. პირველად იყო თავის სიცოცხლეში, რომ ეს უბრალო კაცი ცდილობდა, შთაბეჭდილება მოეხდინა; ტანთ გემოვნებით ეცვა. ეკლესიაში შესვლისას და გამოსვლისას უხვად არიგებდა გასაკითხს. ჯულიო და მისი კაცები ყოველნაირად ცდილობდნენ

მოემადლიერებინათ ყველა, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა მონასტერთან. ამისდა მიუხედავად, მხოლოდ მესამე დღეს მიეცა ელენისათვის წერილის გადაცემის იმედი. ჯულიოს ბრძანებით მისმა კაცებმა თვალთვალი დაუწყეს ორ მორჩილ დას, რომელთაც მონასტრისათვის სანოვაგის შესყიდვა ჰქონდათ დავალებული. ერთ მათგანს წვრილ მოვაჭრესთან ჰქონდა კავშირი. ჯულიოს ერთი ჯარისკაცი, რომელიც უწინ ბერად ყოფილიყო, იმ ვაჭარს დაუმეგობრდა და თითო ცეხინს შეჰპირდა ყოველ წერილში, რომელსაც ის მონასტრის აღსაზრდელს, ელენ დე კამპირეალის გადასცემდა.

_ როგორ! _ შესძახა ვაჭარმა, როცა ამ საქმეში გარევა სთხოვეს, _ ყაჩაღის ცოლს გადავცე წერილი?

ეს სახელი უკვე დამკვიდრებული ჰქონდა კასტროში ელენს, თუმცა აქ მხოლოდ ორი კვირის მოსული იყო. ყოველივე, რაც კი ფანტაზიას საკვებს აძლევს, სწრაფად იპყრობს ამ ხალხის წვრილმანებს დახარბებულ გონებას.

ვაჭარმა დასძინა:

_ ეგ გათხოვილი მაინც არის! მაგრამ რამდენი ისეთი ქალბატონია მონასტერში, რომელთაც ეს გასამართლებელი საბუთიც არა აქვთ და გარედან წერილებს კი არა, ბევრ სხვა რამესაც ღებულობენ...

პირველ წერილში ჯულიო ელენს დაწვრილებით მოუთხრობდა, როგორ წარიმართა საქმე იმ საბედისწერო დღეს, რომელიც ფაბიოს დაღუპვით დამთავრდა. «ალბათ, გეზიზღებით არა?» _ ეკითხებოდა ელენს წერილის დასასრულს. ელენმა ორი პწკარით უპასუხა, არავისადმი სიძულვილი არა მაქვს, მაგრამ ვაპირებ ცხოვრების დანარჩენი იმას მოვახმარო, რომ დავივიწყო ადამიანი, ვინც ჩემი ძმის დაღუპვაშია დამნაშავეო.

ჯულიომ პასუხი არ დააყოვნა. წერილის შესავალში მან ქალს ბედის უკუღმართობა შესჩივლა პლატონისაგან დასესხებული მანერით, რაც იმ დროს მოდაში იყო. მერე კი განაგრძო:

«შენ, გეტყობა, გინდა დავიწყებას მისცე ღვთის სიტყვა, ჩვენთვის საღვთო წერილით გადმოცემული? უფალმა ბრძანა: «ქალმა დაუტევოს ოჯახი თვისი, მამა თვისი და დედა თვისი, და ქმარს გაჰყვეს». ნუთუ გაბედავ იმის მტკიცებას, რომ ჩემი ცოლი არა ხარ? აბა, მოიგონე წმინდა პეტრეს დღესასწაულის წინა ღამე. როგორც კი მონტე კავის მწვერვალზე ინათა, ჩემს წინ მუხლებზე დაემხე. გულმოწყალება გამოვიჩინე! მე რომ მდომოდა, ჩემი გახდებოდი, აკი შენც ვერ უწევდი წინააღმდეგობას სიყვარულს, მაშინ ჩემს მიმართ რომ განიცდიდი. უეცრად მომაგონდა ჩემი მრავალგზისი და დიდი ხნის ფიცი, სიცოცხლესა და

ყველაფერს შემოგწირავ, რაც კი ცხოვრებაში ჩემთვის უძვირფასესია-მეთქი. მართალია, ეს არასოდეს არ გიქნია, მაგრამ ამაზე შეგეძლო გეპასუხა, ყველა დაპირებული მსხვერპლი, თუკი სინამდვილეში არ გაიღე, სათვალავში არ ჩაიგდებაო. ერთმა, ჩემთვის სასტიკმა, მაგრამ არსებითად სწორმა აზრმა გამინათა გონება. გავიფიქრე, რომ ტყუილად არ მაძლევდა ჩემი ბედი შემთხვევას შემომეწირა უდიდესი ნეტარება, რაზეც კი მიოცნებია. გახსოვს, ჩემს მკლავებში იყავ მომწყვდეული, წინააღმდეგობას ვერ მიწევდი და შენი ტუჩებიც უარს ვერ მეუბნებოდნენ. ამ დროს დილის Ave Maria დარეკეს მონტე-კავის მონასტერში და რაღაც სასწაულით ჩვენამდე მოაღწია ამ ხმამ. შენ მითხარი: ეს მსხვერპლი ღვთისმშობელს მოუტანე, ყოველივე უმანკოების მფარველსო. მე უკვე აზრად მქონდა ეს უმაღლესი მსხვერპლი გამეღო, ერთადერთი რამ, რაც მართლაც შემეძლო შენთვის გამეკეთებინა. გავოცდი, როცა გავიგე, რომ იგივე აზრი შენც მოგსვლოდა. Ave Maria-ს შორეულმა ხმამ, უნდა გამოგიტყდე, ამაღელვა და თხოვნაზე უარი ვერ გითხარი. ეს მსხვერპლი მთლიანად მხოლოდ შენთვის არ იყო გაღებული. მე მეგონა, ამით ჩვენს მომავალ კავშირს ღვთისმშობელს ვანდობდი მფარველობისათვის. მაშინ ვფიქრობდი, რომ დაბრკოლებები შენგან კი არ წარმოსდგებიან, ორგულო, არამედ შენი მდიდარი და წარჩინებული ოჯახისაგან. განგების ხელი რომ არ ჩარეულიყო, რანაირად მოაღწევდა ეს შორეული ზარის რეკვა ჩვენს ყურამდე ამ ვეებერთელა ტყის ხის კენწეროებში, განთიადის ნიავზე რომ შრიალებდნენ? მაშინ, გახსოვს, ჩემს წინაშე მუხლებზე დაემხე, მე კი ავდექი, ყელიდან ჯვარი მოვიძრე და შენ შემომფიცე ამ ჯვარზე, რომელსაც ახლაც არ ვიცილებ თავიდან, შენი საუკუნო ხსნით შემომფიცე, რომ სადაც არ უნდა იყო და რაც არ უნდა მოგივიდეს, როგორც კი მოგიწოდებ, კვლავ ჩემი გახდები, ვითარცა მაშინ იყავ, ოდეს მონტე-კავიდან Ave Maria-ს ლოცვის ხმა შემოგვესმა. მერე ჩვენც მოწიწებით ორჯერ წავიკითხეთ «ღვთისმშობლის ლოცვა» და «მამაო ჩვენო». ჰოდა, ახლა იმ სიყვარულის სახელით, რომელიც მაშინ ჩემდამი გქონდა, ხოლო, თუ ჩემი შიში გამართლდა და ეს სიყვარული გულიდან ამოირეცხე, მაშინ შენი საუკუნო ხსნის სახელით მოვითხოვ, რომ ამაღამ ან შენს ოთახში, ან მაგ ვიზიტაციონეს მონასტრის ბაღში მიმიღო».

იტალიელ ავტორს ჯულიო ბრანჩიფორტეს უამრავი გრძელი წერილი მოაქვს, რომლებიც ამ წერილს მოაყოლა. ელენ კამპირეალის პასუხებიდან კი მხოლოდ ორიოდ ნაწყვეტს გვთავაზობს. ორას სამოცდათვრამეტი წლის შემდეგ ჩვენ იმდენად შორსა ვართ იმ სასიყვარულო და რელიგიური გრძნობებისაგან, რითაც ეს წერილებია აღსავსე, რომ მათი აქ მოტანა ზედმეტად მიმაჩნია; ვშიშობ, თხრობა არ გამიჭიანურდეს.

ამ წერილებიდან ჩანს, რომ ელენმა, ბოლოს და ბოლოს, შეასრულა იმ წერილში გამოთქმული ბრძანება, რომელიც ზემოთ შემოკლებით მოვიტანეთ. ჯულიომ მონასტერში შესვლის საშუალება გამოძებნა: წერილებში ნახსენები ერთი გადაკრული სიტყვის მიხედვით ვხვდებით, რომ ქალის ტანისამოსში გადაცმულა. ელენმა ჯულიო მიიღო, ოღონდ ქვედა სართულის ერთ გისოსიან ფანჯარასთან, რომელიც ბაღში გადიოდა. ჯულიო ენით აუწერელმა გულისტკივილმა შეიპყრო, როცა დარწმუნდა, რომ ოდესღაც ესოდენ ალერსიანი და ვნებიანი ქალიშვილი ახლა თითქოს უცხო გამხდარიყო მისთვის. ისე იქცეოდა, თითქოს ზრდილობის წესებს ასრულებდა. ბაღში შემოსვლის ნება უწინდელ მიჯნურს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის დართო, რომ ფიცი არ დაერღვია. პაემანი სწრაფად დასრულდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯულიოს თავმოყვარეობამ, უკანასკნელი ორი კვირის მოვლენებით რომ იყო შელახული, სძლია მის უღრმეს გულისტკივილს. «დღეს მხოლოდღა იმ ელენის აჩრდილს ვხედავ, _ გაიფიქრა მან, _ რომელმაც ალბანოში შემომფიცა, რომ საუკუნოდ ჩემი იქნებოდა».

ჯულიო, უპირველეს ყოვლისა, შეეცადა დაეფარა ცრემლები, უხვად რომ სდიოდა სახეზე ელენის ზრდილობიანი ლაპარაკის საპასუხოდ. როცა ქალმა დაასრულა საუბარი და თავიც იმართლა, ძმის სიკვდილის შემდეგ, ბუნებრივია, ასე რომ შევიცვალეო, ჯულიომ დინჯად უთხრა:

_ თქვენ ფიცი არ შეასრულეთ, არ გინდათ მიმიღოთ ბაღში, და არ იჩოქებთ ჩემს წინაშე, როგორც მაშინ, როცა მონტე-კავიდან ცისკრის ზარის რეკვა შემოგვესმა. დაივიწყეთ ეგ თქვენი ფიცი, თუ ძალგიძთ, ხოლო მე, მე არაფერს ვივიწყებ. ღმერთი გფარვიდეთ!

დაასრულა თუ არა ეს სიტყვები, ჯულიო გისოსიან ფანჯარას გაშორდა, სადაც მას კიდევ ერთი საათი შეეძლო დარჩენა. ვინ იფიქრებდა ერთი წუთის წინათ, რომ თავისი ნებით შეამცირებდა ესოდენ ნანატრ პაემანს! ასეთი მსხვერპლი გულს უფლეთდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ თვით ელენის ზიზღს დაიმსახურებდა, თუ მისი ზრდილობიანი შეხვედრის შემდეგ საკუთარი სინდისის ქენჯნასთან პირისპირ არ დატოვებდა.

ჯერ არ გათენებულიყო, რომ ჯულიო მონასტრიდან გამოვიდა. იმწამსვე ცხენს მოახტა და თავის კაცებს უბრძანა, ერთი კვირა კასტროში დალოდებოდნენ, მერე კი ტყეში წასულიყვნენ. სასოწარკვეთისაგან თავი აღარ ახსოვდა. ჯერ რომისკენ გასწია.

_ ვაი, რომ ვშორდები! _ ფიქრობდა ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე _ ვაგლახ! ახლა ერთმანეთისთვის უცხონი ვართ! ოო, ფაბიო, აი, როგორ იძიეს შური შენთვის!

რაც უფრო მეტი ადამიანი ხვდებოდა გზაზე, მით მით უფრო რისხვით ევსებოდა გული. ცხენი პირდაპირ მინდვრებზე გააჭენა და გეზი აიღო უკაცური და ველური ზღვის ნაპირისაკენ. ახლა აღარ ხვდებოდნენ გულარხეინი გლეხები, რომელთა ბედს შენატროდა, და შვებით ამოისუნთქა. ეს უკანასკნელი ადგილები კარგად ჰფერობდა მის უიმედო მდგომარეობას და რისხვას უნელებდა. მაშინ კი დაფიქრდა თავის სევდიან ბედზე. «ჩემი ხნის კაცისათვის, _ ფიქრობდა ჯულიო, კიდევ მოიძებნება გამოსავალი: სხვა ქალი უნდა შევიყვარო!»

მაგრამ ამ ნაღვლიან ფიქრზე იგრძნო, რომ სასოწარკვეთილება გაუორკეცდა. კარგად უწყოდა, რომ მისთვის მთელს დედამიწის ზურგზე მხოლოდ ერთი ქალი არსებობდა. წარმოდგენილი ჰქონდა, რა საშინელი წამება იქნებოდა ელენის გარდა სხვა ქალისთვის სამიჯნურო სიტყვების თქმა. ეს აზრი გულს უფლეთდა.

სიმწრის სიცილი აუტყდა. «მე არიოსტოს იმ გმირებს ვგავარ, _ გაიფიქრა გულში, _ რომლებიც მარტოდმარტო დაეხეტებიან უდაბურ ქვეყნებში, რათა დაივიწყონ, რომ თავიანთ ორგულ შეყვარებულებს სხვა რაინდის მკლავებში წაასწრეს... მაგრამ ელენი არც მაგდენად დამნაშავეა, _ გაიფიქრა მან და გიჟური სიცილი ცხარე ცრემლებმა შეცვალეს, _ მისი ორგულობა იქამდე არ მიდის, რომ სხვა შეიყვაროს. მე ულმობლობა შემწამეს და მისი ცოცხალი და უმანკო სული შეცდომაში შეიყვანეს. უეჭველია, საქმე ისე წარმოუსახეს, თითქოს იარაღი იმისთვის ავიღე ხელში იმ საბედისწერო ექსპედიციაში, რომ გუნებაში მისი ძმის მოკვლის შემთხვევას ვეძებდი. უფრო მეტსაც ეტყოდნენ: ვითომ საზიზღარი ანგარიშების გამო მოვკალი მისი ძმა, რადგანაც ძმის სიკვდილის შემდეგ ვეებერთელა ქონების მემკვიდრე ხდება... მე კი იმდენად სულელი ვიყავი, რომ ელენი მთელი ორი კვირა ჩემი მტრების ხელში დავტოვე, და აკი გამოუცვალეს აზრები! უნდა მართალი ვთქვა, თუ ასეთი უბედური ვარ, ეს იმიტომ, რომ უზენაესმა წამართვა გონება, რითაც ჩემი ცხოვრების წარმართვას შევძლებდი! ერთი უბედური, შესაბრალისი კაცი ვარ! არც სხვას ვარგივარ რამეში და ვაი რომ, არც ჩემს თავს».

ამ დროს ახალგაზრდა ბრანჩიფორტეს თავისი საუკუნისთვის მეტად უჩვეულო აზრმა გაუელვა. მისი ცხენი წყლის ნაპირზე მიდიოდა და ტალღა ხშირად უსველებდა ფეხებს. ჭაბუკს სურვილი დაებადა, ზღვაში შეეგდო ცხენი და ამგვარად დაესრულებინა თავისი ბედუკუღმართი სიცოცხლე. სხვა რა გზა მაქვს მას შემდეგ, რაც ერთადერთმა არსებამ ქვეყანაზე, რომელმაც ბედნიერება მაგრძნობინა, მიმატოვა? მაგრამ იმ წუთსავე სხვა აზრმა შეაჩერა:

«ეს ახლანდელი ჩემი ტანჯვა სად მოვა იმ წამებასთან, რომელსაც მაშინ ვიგრძნობ, როცა ამ უბედურ სიცოცხლეს მოვისპობ? ელენი მაშინ ჩემდამი მარტო გულგრილი კი აღარ იქნება, როგორიც ახლა არის, მას მეტოქის ხვევნაში ვიხილავ და ეს მეტოქე რომელიმე ახალგაზრდა რომაელი სინიორი იქნება, მდიდარი და პატივცემული. ვინაიდან, ჩემი სულის დასაფლეთად დემონები, როგორც სჩვევიათ, უსასტიკეს ხილვებს მომივლენენ, ამგვარად, ელენს სიკვდილის შემდეგაც ვერ დავივიწყებ; უფრო მეტიც, ჩემი ვნება მისადმი კიდევ უფრო გაძლიერდება; მამაზეციერი უკეთესს ვერაფერს მოიგონებს, რათა იმ საშინელი ცოდვისათვის დამსაჯოს, კინაღამ რომ ჩავიდინე».

ცდუნებას რომ გაქცეოდა, ჯულიომ ღვთისმშობლის ლოცვა აღავლინა. აკი ამ ლოცვის სიტყვებმა უკარნახეს ის სულგრძელი საქციელი ჩაედინა, რომელსაც ახლა თავისი ცხოვრების ყველაზე დიდ შეცდომად თვლიდა. მაგრამ ღვთისმშობლისადმი კრძალულების გამო ვერ ბედავდა უფრო შორს წასულიყო თავის მსჯელობაში და უფრო გარკვევით გამოეხატა აზრი, რომელმაც მთელი მისი არსება მოიცვა.

«თუ ღვთისმშობლის ჩაგონების შედეგად საბედისწერო შეცდომა ჩავიდინე, განა თვითონვე არ უნდა დამიბრუნოს ბედნიერება, როგორც მის უსაზღვრო სამართლიანობას ჰფერობს?»

ღვთისმშობლის სამართლიანობაზე ფიქრმა ნელ-ნელა განფანტა ჯულიოს სასოწარკვეთილება. ჭაბუკმა თავი ასწია და პირდაპირ, ალბანოსა და ტყის უკან, მოტე-კავის მუქ-მწვანე მწვერვალი და ზედ გაშენებული წმინდა მონასტერი დაინახა, საიდანაც მაშინ ცისკრის ზარების რეკვა შემოესმა და ის საქციელი ჩაადენინა, ახლა რომ უდიდეს შეცდომად თვლიდა. ამ წმინდა ადგილის მოულოდნელმა დანახვამ ჯულიოს ნუგეში სცა.

_ არა, _ შესძახა მან, _ შეუძლებელია, დედა ღვთისმშობელმა მიმატოვოს. ელენი რომ ჩემი მეუღლე ყოფილიყო, როგორც ამის უფლებას მისი სიყვარული აძლევდა და როგორც ამას ჩემი კაცური ღირსება მოითხოვდა, ძმის დაღუპვის ამბავს მის სულში წინ ჩვენი ცოლქმრობა აღუდგებოდა, გაიხსენებდა, რომ ბევრად უფრო ადრე მეკუთვნოდა მე, ვიდრე ის საბედისწერო შემთხვევა მოხდა, ბრძოლის ველზე მე და ფაბიო ერთმანეთს პირისპირ რომ შეგვახვედრა. ფაბიო ორი წლით ჩემზე უფროსი იყო, იარაღის ხმარებაშიც უფრო გაწაფული, ყველანაირად უფრო მოხერხებული და ღონიერი. ათასი საბუთი ექნებოდა იმის დამამტკიცებელი, რომ მე არ მდომებია ეს ორთაბრძოლა; გაიხსენებდა, რომ მისი ძმისადმი ერთი ბეწო სიძულვილის გრძნობა არა მქონია მას შემდეგაც კი, როცა არკებუზი მესროლა. მაგონდება, ჩვენი პირველი შეხვედრის დროს, ჩემი რომიდან დაბრუნების

შემდეგ ვუთხარი, რას იზამ, ამას სახელი მოითხოვდა, მაგისთვის ვერ გავკიცხავ შენს ძმას-მეთქი.

ღვთისმშობლისადმი რწმენამ ჯულიოს იმედი დაუბრუნა, ცხენი გაქუსლა და რამდენიმე საათში იმ ადგილს მიაღწია, სადაც მისი რაზმი იყო დაბანაკებული. კაცები იარაღს ისხამდნენ და ნეაპოლ-რომის გზაზე გასასვლელად ემზადებოდნენ მონტე-კასინოს გავლით. ახალგაზრდა კაპიტანმა ცხენი გამოიცვალა და რაზმს წაუძღვა. იმ დღეს არავითარი შეტაკება არ მომხდარა. ჯულიოს არც ის უკითხავს, რისთვის უნდა მომხდარიყო ეს ლაშქრობა, ეს სულერთი იყო მისთვის. იმ წუთიდან, როგორც კი თავის რაზმს სათავეში ჩაუდგა, სულ ახლებურად წარმოუდგა ცხოვრების მიზანი. «სულელი ვარ და ესაა, _ ფიქრობდა იგი, _ დავაშავე, რომ კასტროდან წამოვედი. ელენი, რასაკვირველია, იმდენად დამნაშავე არ არის, როგორც გულმოსულმა წარმოვიდგინე. არა, არ შეიძლება მე აღარ მეკუთვნოდეს ეს მიამიტი და სუფთა სულის ქალიშვილი, ვის გულშიაც მე გავაღვიძე სიყვარულის პირველი შეგრძნება. რა გულწრფელად მომენდო და შემიყვარა. განა ათჯერ მაინც არ შემომთავაზა მე, ღარიბ-ღატაკს, გავიქცეთ და მონტე-კავიში რომელიმე ბერთან ჯვარი დავიწეროთო? კასტროში კიდევ ერთხელ უნდა შევხვედროდი და ყველაფერი კარგად ამეხსნა. მაგრამ იმდენად ვარ ვნებით შეპყრობილი, რომ ბავშვურად ვიქცევი. ღმერთო! რატომ მეგობარი არა მყავს, ჭკვიანური რამე რომ მირჩიოს. ამ წუთში რომ სულელური მეგონა ჩემი ნაბიჯი, ცოტა ხნის შემდეგ გონივრული მგონია!

იმ დღეს, საღამო ჟამს, როცა დიდ გზას გადაუხვიეს, რათა ისევ ტყეში შესულიყვნენ, ჯულიო თავადს მიუახლოვდა და ჰკითხა, შეეძლო თუ არა კიდევ რამდენიმე დღეს დარჩენილიყო იქ, სადაც სურდა.

_ ჯანდაბამდე გზა გქონია! _ უყვირა ფაბრიციომ, _ იქნება ფიქრობ, იმის დრო მაქვს, მაგ სისულელეებზე თავი ვიმტვრიო!

ერთი საათის შემდეგ ჯულიო კასტროს გაემგზავრა. აქ თავისი კაცები დახვდნენ, მაგრამ არ იცოდა, როგორ მიეწერა ელენისთვის ბარათი მას შემდეგ, რაც ასე ქედმაღლურად დატოვა. მისი პირველი წერილი მხოლოდ შემდეგ სიტყვებს შეიცავდა: «თანახმა ხართ თუ არა, ამაღა მიმიღოთ?» «შეგიძლიათ მოხვიდეთ», _ უპასუხეს ასევე მოკლედ.

ჯულიოს წასვლის შემდეგ ელენმა გადაწყვიტა, უთუოდ საბოლოოდ მიმატოვაო. მაშინ კი მიხვდა უბედური ყმაწვილი კაცის მსჯელობის მთელ სამართლიანობას: მე ხომ

მანამდე გავხდი ჯულიოს ცოლი, სანამ, საუბედუროდ, ჩემს ძმას შეეყრებოდა ბრძოლის ველზეო.

ამჯერად ელენი აღარ შეხვდა ჯულიოს იმ გარეგნული ზრდილობიანობით, რამაც გული მოუკლა ჭაბუკს პირველი შეხვედრის დროს. ელენი, მართლაც, მხოლოდ გარეგნულად იცავდა თავს ფანჯრის გისოსით. თავით ფეხებამდე ცახცახებდა და რადგანაც ჯულიო ფრიად თავშეკავებული კილოთი ლაპარაკობდა და წინადადებებსაც ისეთს არჩევდა* [იტალიაში მიმართვა «შენ» და «თქვენ» მიანიშნებს, თუ რამდენად ინტიმურია ადამიანთა შორის დამოკიდებულება. მიმართვა «შენ» ლათინური ენიდან არის შემორჩენილი და ნაკლებადაა მიღებული, ვიდრე ჩვენში], თითქოს უცხო ქალს მიმართავდა. ელენიც მიხვდა, თუ რაოდენ ულმობელია ასეთი თითქმის ოფიციალური კილო, როცა ის უნაზეს ინტიმურობას შეცვლის. ჯულიოს იმის ეშინოდა, ელენის გულიდან აღმომხდარი რაიმე ცივი სიტყვა არ გავიგონოო და ნამდვილი ვექილის კილოთი უმტკიცებდა, ბევრად დიდი ხნის წინათ გახდი ჩემი ცოლი, ვიდრე ის საბედისწერო ჩამპის შეტაკება მოხდებოდაო. ელენი ჯულიოს ლაპარაკს არ უშლიდა და ფიქრობდა, უსათუოდ ცრემლები წამსკდება, თუ გრძლად დავიწყე საუბარიო. ბოლოს, როცა იგრძნო, რომ ადვილად შეეძლო თავისი თავის გაცემა, მეგობარს სთხოვა მეორე დღეს მისულიყო. ის ღამე დიდი უქმისძალი იყო, დილის წირვა ძალიან ადრე იწყებოდა და შეიძლება თავს წადგომოდნენ. ჯულიო ნამდვილი მიჯნურივით სჯიდა. ბაღიდან ღრმად დაფიქრებული გავიდა, ვერაფრით გაეგო, კარგად მიიღეს თუ ცუდად. და რაკი ყაჩაღებში ტრიალს დაჩვეულს სულ ბრძოლა და შეტევა აგონდებოდა, თანდათანობით ამ დასკვნამდე მივიდა: «ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, ელენის გატაცება მომიხდება».

ჯულიომ დაიწყო ფიქრი, თუ რა ხერხით შეძლებდნენ მონასტრის ბაღში ძალით შეღწევას. მონასტერი ძალიან მდიდარი იყო და გამოსაძალველიც ბევრი ჰქონდა. მის ჯამაგირზე იმყოფებოდა უამრავი მსახური, უმეტესწილად ყოფილი ჯარისკაცები. ისინი ცხოვრობდნენ ყაზარმის მაგვარ შენობაში, რომლის გისოსიანი ფანჯრებიც ვიწრო გასასვლელში გამოდიოდა. ეს გასასვლელი იწყებოდა შავ კედელში ოთხმოცი ფუტის სიმაღლეზე გაჭრილი ჭიშკრიდან და მიიმართებოდა შიგნითა ალაყაფისაკენ, რომელსაც მეკარე და იცავდა. გასასვლელის მარცხნივ აღმართული იყო ყაზარმის კედელი, მარჯვნივ კი _ ოცდაათი ფუტის სიმაღლის ბაღის გალავანი. მოედანზე გამავალი მონასტრის ფასადი წარმოადგენდა დროთა ვითარებაში ჩაშავებულ სქელ კედელს. მას მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა და ერთადერთი პატარა სარკმელი, საიდანაც ჯარისკაცები გარემოს

უთვალთვალებდნენ. წარმოდგენილი გექნებათ, რა პირქუში შესახედავი იყო ეს ვეებერთელა შავი კედელი, რომელსაც ორად ორი ნახვრეტი ჰქონდა, ერთი _ სქელი რკინის ფურცლებაკრული ვეებერთელა ლურსმნებით შეჭედილი კარი და მეორე _ ოთხი ფუტის სიმაღლისა და თვრამეტი გოჯის სიგანის სარკმელი.

ჩვენ ვეღარ გავყვებით დედნის ავტორს, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ ხვდებოდნენ ჯულიო და ელენი ერთმანეთს. ორივე შეყვარებულმა თანდათანობით ისევე ინტიმურად დაიწყო ლაპარაკი, როგორც ოდესღაც ალბანოს ბაღში ლაპარაკობდნენ. ოღონდ ეს იყო, ელენი ბაღში ჩასვლაზე ჯულიოს არ ეთანხმებოდა. ერთ ღამეს ელენი მიჯნურს ღრმად ჩაფიქრებული დახვდა: რომიდან მის სანახავად დედამისი ჩამოსულიყო და რამდენიმე დღით მონასტერში აპირებდა დარჩენას. ელენს დედა ისეთი ალერსით ეპყრობოდა, ისე ფაქიზად ექცეოდა მის გრძნობებს, რაზედაც დიდი ხანია ეჭვი ჰქონდა, რომ ქალიშვილი სასტიკ სინდისის ქენჯნას განიცდიდა, რაკი იძულებული იყო, მშობელი მოეტყუებინა. როგორ გაბედავდა დედისთვის გაემჟღავნებინა, რომ იმ კაცს ხვდებოდა, ვინც მას შვილი წაართვა? ბოლოს, ელენმა გულახდილად უთხრა ჯულიოს, ჩემი კეთილი დედა თუ ჩამომაცივდა, ძალა არ მეყოფა, სიმართლე დავუმალოო. ჯულიომ მაშინვე თავისი მდგომარეობის საშიშროება იგრძნო. მისი ბედი დამოკიდებული იყო შემთხვევაზე, რომელსაც შეეძლო სინიორა კამპირეალისათვის ესა თუ ის სიტყვები ეკარნახა. მომდევნო ღამეს ჯულიომ ელენს გადამწყვეტი კილოთი უთხრა:

_ ხვალ მე აქ ადრიანად მოვალ, ამ გისოსს ერთ კადონს მოვაძრობ, ბაღში ჩამოხვალთ და ქალაქის ერთ ეკლესიაში წაგიყვანთ, რომლის მღვდელიც მისანდო კაცია და ჯვარს დაგვწერს. ჯერ გათენებულიც არ იქნება, რომ ისევ მონასტერში დაბრუნდებით. როცა ჩემი ცოლი გახდებით, აღარაფრის შიში მექნება და თუ დედათქვენმა იმ საბედისწერო დანაშაულის გამოსყიდვა მოინდომა, ყველას ერთნაირად რომ გვაწუხებს, ყველაფერზე დავთანხმდები, იმაზეც კი, რომ რამდენიმე თვით განმავლობაში აღარ შეგხვდეთ.

ელენი საშინლად დააბნია ამ წინადადებამ, ჯულიო კი თავისას განაგრძობდა:

_ თავადი თავისთან მიხმობს. ჩემი ღირსება და კიდევ სხვა მრავალი გარემოება მაიძულებს წავიდე. ჩემი წინადადება ერთადერთი სწორი გამოსავალია ჩვენი მომავალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. თუ ამაზე თანახმა არა ხართ, მაშინ ახლავე სამუდამოდ დავშორდეთ ერთმანეთს. წავალ ჩემი გაუფრთხილებლობის გამო სინდისის ქენჯნით შეპყრობილი. მე თქვენს პატიოსან სიტყვას ვერწმუნე, მაგრამ თქვენ დაარღვიეთ ყველაზე უწმინდესი ფიცი და იმედი მაქვს, სიძულვილი, ჩემში თქვენმა ქარაფშუტობამ რომ უნდა

გამოიწვიოს, ადრე თუ გვიან განმკურნავს ამ სიყვარულისგან, რომელიც ამდენი ხანია ჩემი ცხოვრების უბედურებას წარმოადგენს.

ელენს ცრემლები წამოსცვივდა.

_ ღმერთო დიდებულო! _ შესძახა ტირილით, _ რა საშინელება იქნება ეს დედაჩემისთვის!

ბოლოს მაინც დათანხმდა ჯულიოს მოთხოვნაზე, მაგრამ ვაითუ ან აქედან გასვლისას დაგვინახონ, ან დაბრუნებისასო, დასძინა მან.

_ აბა, წარმოიდგინეთ, როგორ მოგვეჭრება თავი, რა საშინელ დღეში ჩავარდება დედაჩემი. რამდენიმე დღე დავიცადოთ, სანამ დედაჩემი არ წავა.

_ თქვენ იმდენი ქენით, რომ დამაეჭვეთ თქვენს პატიოსან სიტყვაში, ერთადერთ რამეში, რაც ჩემთვის ყველაზე წმინდა, ყველაზე ძვირფასი რამ იყო: ან ხვალ ღამით ჯვარს დავიწერთ, ან არადა, ამ წუთში ერთმანეთს ამქვეყნად უკანასკნელად ვხვდებით.

საცოდავმა ელენმა მხოლოდ ცრემლებითღა უპასუხა. მას განსაკუთრებით ტკივილს აყენებდა ჯულიოს გადამწყვეტი, ულმობელი კილო: ნუთუ მართლა დაიმსახურა მისი სიძულვილი, ნუთუ ეს მისი ოდესღაც ალერსიანი და დამყოლი შეყვარებული იყო? ბოლოს, ელენი დათანხმდა ყველაფერზე, რასაც მისგან მოითხოვდნენ. ჯულიო წავიდა. ამ წუთიდან ელენმა მეორე ღამის მოლოდინი საშინელ ყოყმანსა და წუხილში გაატარა. ნაღდი სიკვდილისათვის რომ ებრძანათ მომზადება, მაშინაც კი არ იქნებოდა მისი ტანჯვა ასეთი მწვავე. ცოტაოდენ ნუგეშს ჯულიოს ტრფიალზე ფიქრებში და დედის უნაზეს სიყვარულში ჰპოვებდა. იმ ღამეს ელენი ხან ერთ გადაწყვეტილებას ადგა და ხან მეორეს. იყო წუთები, როცა მზად იყო, დედისათვის გაენდო გულისნადები. მეორე დილას, როცა ელენი დედასთან მივიდა, ისეთი მკვდრისფერი ედო, რომ სინიორა კამპირეალის ყველა თავისი ბრძნული გადაწყვეტილებანი გადაავიწყდა და ქალს გადაეხვია შემახილით:

_ ღმერთო ჩემო, რა გემართება? მითხარი, რა ჩაიდინე, ან რის ჩადენას აპირებ. გულში რომ ხანჯალი ჩამცე, ნაკლებად დავიტანჯებოდი; ეგ შენი ულმობელი დუმილი პირდაპირ გულს მისერავს.

იმდენად აშკარა იყო დედის უდიდესი სინაზე, ისე ცხადად ხედავდა ელენი, რომ გაზვიადების მაგივრად დედა, პირიქით, ცდილობდა დაეოკებინა გრძნობები, რომ, ბოლოს და ბოლოს, გული აუჩუყდა, დედის ფეხთქვეშ დაეცა. დედა ცდილობდა საბედისწერო საიდუმლოება გამოეცნო და შეჰყვირა, თავს მარიდებ, არ გინდა ჩემთან ახლოს ყოფნაო,

რაზეც ელენმა მიუგო, ხვალ და ყველა მომდევნო დღეებში გვერდიდან არ მოგშორდები, ოღონდ გემუდარები, ახლა ნუღარაფერს შემეკითხებიო.

ამ დაუფიქრებლად ნათქვამ სიტყვებს მალე სრული გულის გადახსნა მოჰყვა. სინიორა კამპირეალის თავზარი დაეცა, როცა გაიგო, რა ახლოს იყო მისგან მისი შვილის მკვლელი, მაგრამ ეს ტკივილი მალე სუფთა და ცხოველმა სიხარულმა შეცვალა. წარმოდგენილი გექნებათ, რა შვებას იგრძნობდა, როცა გაიგო, რომ ქალს უმწიკვლოდ დაეცვა თავი.

ამ ამბავმა იმწამსვე შეცვალა წინდახედული დედის ყველა გეგმა. სინიორა კამპირეალიმ გადაწყვიტა, რომ თავისუფლად შეეძლო ეშმაკურად მოქცეოდა კაცს, რომელიც არაფერს წარმოადგენდა მისთვის. ელენს გულს უფლეთდა მტანჯველ ვნებათა ღელვა, მის გულწრფელობას არ ჰქონდა საზღვარი. ამ ქალის განაწამები სული გადახსნას მოითხოვდა. დედამისმა გადაწყვიტა, რომ არავითარ ხრიკს არ უნდა დარიდებოდა. ათასგვარი საბუთი მოიგონა, რისი აქ მოტანაც ძალიან გაგვიძნელდება. სულ ადვილად დაუმტკიცა თავის უბედურ ქალს, რომ საიდუმლო ქორწინების მაგივრად, რაც ყოველთვის ლაქას სცხებს ქალის ცხოვრებას, მას შეუძლია საჯაროდ პატიოსნად დაიწეროს ჯვარი, თუკი ერთი კვირით თავისი სულგრძელი მიჯნურის ნებას არ დაჰყვება. მე თვითონ რომში წავალ და ქმარს მოვახსენებ, ჩვენი ქალიშვილი ბევრად უფრო ადრე მისთხოვდა ჯულიო ბრანჩიფორტეს, ვიდრე საბედისწერო ჩამპის ბრძოლა მოხდებოდა-მეთქი. ჯვრისწერა ვითომდა სწორედ იმ ღამეს მოხდა, როცა ბერის სამოსელში გადაცმული ელენი მამას და ძმას ტბის ნაპირზე შეხვდა კლდეში გაჭრილ გზაზე, კაპუცინელთა მონასტრის კედლის გასწვრივ რომ მიიმართება. დედა, რასაკვირველია, მთელი დღის განმავლობაში არ მოშორებია ქალიშვილს, და ბოლოს, საღამოზე ელენმა, როგორც იქნა, თავის შეყვარებულს ფრიად მიამიტი და, ჩვენი აზრით, ფრიად მგრძნობიარე უსტარი მისწერა, რომელშიც აღუწერდა, თუ რა ბრძოლა ხდებოდა მის გულში. წერილის დასასრულს ეუბნებოდა, მუხლმოდრეკილი გევედრები, ერთი კვირით გადავდოთ ჯვრისწერაო.

«ამ წერილს რომ ვწერ, დედაჩემის მსახური მიცდის, ბარათს მას ვატან, _ დასძენდა ელენი, _ ახლა ვფიქრობ, დიდი შეცომა ჩავიდინე-მეთქი, დედას რომ ყველაფერი ვუამბე. მე ვხედავ, როგორ წყრები, როგორი ზიზღით მიყურებენ შენი თვალები. სასტიკი ეჭვები მიფლეთენ გულს. შენ იტყვი, რომ მე სუსტი, სულმოკლე ხასიათი მაქვს და ღირსი ვარ სიძულვილისა. გეთანხმები, ჩემო ანგელოზო, მაგრამ აბა, წარმოიდგინე ასეთი სანახაობა:

დედაჩემს თვალთაგან ცრემლები ღვარად სდის, ლამის ფეხებში ჩამივარდეს. შეუძლებელი იყო, არ მეთქვა მისთვის, რომ ზოგიერთი მიზეზი ხელს მიშლიდა მისი თხოვნა შემესრულებინა. და რაკი ერთხელ სისუსტე გამოვიჩინე და გაუფრთხილებლად წარმოვთქვი ეს სიტყვები, მე თვითონაც არ მესმის, რა დამემართა, _ ვეღარ მოვახერხე დამემალა ყველაფერი, რაც ჩვენს შორის მოხდა. რამდენადაც ახლა შემიძლია გავიხსენო, მგონია, მთლად დაუძლურებული ჩემი სული რჩევა-დარიგებას მოითხოვდა. იმედი მქონდა, ამ რჩევას დედის სიტყვებში ვპოვებდი... სულ დამავიწყდა, ჩემო კარგო, რომ დედის, ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ადამიანის ინტერესები შენსას ეწინააღმდეგება. მე დამავიწყდა ჩემი უპირველესი ვალდებულება _ შენ გმორჩილებდე. როგორც ჩანს, არა მაქვს იმის უნარი, რომ ჭეშმარიტი სიყვარული განვიცადო, რომელიც, როგორც ამბობენ, ყოველგვარ გამოცდაზე მაღლა დგას. შემიძულე, ჯულიო, მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ნუ მომაკლებ შენს სიყვარულს. თუ გინდა გამიტაცე, მაგრამ, მერწმუნე, დედაჩემი ამჟამად მონასტერში რომ არ ყოფილიყო, თვით უდიდესი საშიშროება, თვით სირცხვილიც კი ვერ შემიშლიდა ხელს შენს ბრძანებას დავმორჩილებოდი. მაგრამ დედაჩემს ისეთი კეთილი გული აქვს! ისეთი ჭკვიანია, ისეთი სულგრძელი! აბა, მოიგონე, რა გიამბე ერთხელ: როცა მამაჩემი ჩემს ოთახში შემოვიდა, მან გადამირჩინა შენი წერილები, რომლებიც აღარ ვიცოდი, სად დამემალა; მერე კი, როცა საშიშროებამ ჩაიარა, წერილები ისევ დამიბრუნა, - თვითონაც კი არ წაუკითხავს და საყვედურიც კი არ უთქვამს. იცი, რომ დედა მთელი ჩემი სიცოცხლე ასე მექცეოდა, როგორც იმ განსაცდელის წუთში მომექცა? ახლა ხომ გესმის, როგორ უნდა მიყვარდეს დედა. მე კი ამ წუთში, როცა წერილს გწერ, მეჩვენება (მეშინია კიდეც ამის წარმოთქმა), მძულს კიდეც. მან მითხრა, ოთახში ცხელა და ბაღში მინდა ღამე გავატარო ტილოს ფარდულის ქვეშო. ამ წუთში ჩაქუშის კაკუნიც მესმის. დედაჩემისთვის კარავს აკეთებენ. ამაღამ ჩვენი შეხვედრა შეუძლებელია. შესაძლებელია, მონასტრის აღსაზრდელთა საძინებელი ოთახიც გასაღებით ჩაკეტონ, როგორც ის ორივე კარი, ხვეულ კიბეზე რომ გადის, თუმცა ასეთი რამ უწინ არასოდეს გაუკეთებიათ. ამიტომ ბაღში ჩამოსვლას ვერ მოვახერხებ, თუმცა კარგად მესმის, რომ ეს აუცილებელი იქნებოდა შენი რისხვის შესასუსტებლად. აჰ, რა დიდი სიხარულით გავხდებოდი ამ წუთში შენი, ამის საშუალება რომ მქონდეს! როგორ გამოვიქცეოდი მაგ ეკლესიაში, სადაც ჯვარი უნდა დაგვწერონ!»

წერილი მთავრდებოდა გიჟური სიტყვებით სავსე ორი ფურცლით, რომელთა შორის გვხვდება თითქოს პლატონის ფილოსოფიიდან ნასესხები ვნებიანი მსჯელობები. ზემომოყვანილ თარგმნილ წერილში მრავალი ამ ყაიდის ნატიფი წინადადება გამოვტოვე.

ჯულიო ბრანჩიფორტე საშინლად განცვიფრდა, როცა საღამოს ლოცვის ჟამს ეს წერილი მიიღო. სწორედ იმ წუთში დაემთავრებინა მღვდელთან მოლაპარაკება. საშინლად განრისხდა: «იმ მხდალ და სულმდაბალ ქალს ახლა აღარც დავეკითხები, როგორ უნდა მოვიტაცო!»

და იმწამსვე ცხენი ფაჯოლის ტყისკენ გაქუსლა.

ახლა ვნახოთ, რა დღეში იმყოფებოდა სინიორა დე კამპირეალი: ლოგინად ჩავარდნილი მისი ქმარი ნელ-ნელა ილეოდა. მას ის კლავდა, რომ შურისძიებას ვერ ახერხებდა ბრანჩიფორტეზე. სულ ამაოდ სთავაზობდა მსხვილ თანხებს bravi-ებს: არც ერთი არ თანხმდებოდა თავს დასხმოდა თავად კოლონას ერთ-ერთ «კაპრალს» (როგორც მათ ეძახდნენ). დარწმუნებული იყვნენ, ამისთვის ცოლშვილიანად გამოგვასალმებენ წუთისოფელსო. ერთი წელიწადიც არ გასულა, რაც მთელი სოფელი გადაწვეს კოლონას ერთი მოკლული ჯარისკაცის სანაზღაუროდ. ქალი თუ კაცი, ვინც გაქცევა სცადა, დაიჭირეს, ხელ-ფეხი გაუბაწრეს და ცეცხლმოკიდებულ სახლებში ჩაჰყარეს.

სინიორა კამპირეალის ვრცელი მამულები ჰქონდა ნეაპოლის სამფლობელოში. ქმარმა უბრძანა, იქიდან მოეყვანა მკვლელები, მაგრამ სინიორა მხოლოდ მოჩვენებით დაემორჩილა ქმრის ბრძანებას. ფიქრობდა, ელენი საუკუნოდ არის დაკავშირებული ბრანჩიფორტესთანო, ამიტომ ვარაუდობდა ჯულიოსთვის მონაწილეობა მიეღებინებინა ესპანეთის ჯარის ერთ ან ორ ლაშქრობაში, ჯარისა, იმ ხანებში აჯანყებულ ფლანდრიაში რომ იბრძოდა. თუ ვაჟი ცოცხალი გადარჩებოდა, ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ღმერთმა არ დაჰგმო ელენის ქორწინება ჯულიოსთან. ასეთ შემთხვევაში ის ქალიშვილს ნეაპოლის სამფლობელოში მყოფ თავის მამულებს მისცემდა მზითევში. ჯულიო ბრანჩიფორტე დაირქმევდა ერთ-ერთი ამ მამულის სახელს და ცოლთან ერთად რამდენიმე წლით ესპანეთში გადაიხვეწებოდა. ასეთი გამოცდის მერე იქნებ თავს ძალა დავატანო და პირისპირ შევხვდეო, _ ფიქრობდა სინიორა კამპირეალი, მაგრამ ეს გეგმები სულ მთლად შეცვალა მისი ქალიშვილის გულახდილობამ. შეუღლება მას აღარ ეჩვენებოდა აუცილებელ საქმედ, პირიქით. და სწორედ იმ დროს, როცა ელენი მიჯნურს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ უსტარს წერდა, სინიორა კამპირეალი თავის მოიჯარადრეებს წერილს უგზავნიდა პესკარასა და კიეტიში ბრძანებით, მისთვის კასტროში კეთილსაიმედო და

მარჯვე კაცები გამოეგზავნათ. არც იმას უმალავდა, რომ საქმე ეხებოდა მათი ახალგაზრდა ბატონის, მისი შვილის _ ფაბიოს სიკვდილისთვის შურისძიებას. ამ წერილის წამღები შიკრიკი იმავე დღეს გაუდგა გზას.

V

ორი დღის შემდეგ ჯულიო ისევ კასტროში დაბრუნდა. მან ჩამოიყვანა რვა ჯარისკაცი თავისი რაზმიდან, რომლებიც დათანხმდნენ წამოჰყოლოდნენ, თუმცა კი მოსალოდნელი იყო თავად კოლონას რისხვა დასტყდომოდათ თავს. თავადი ხანდახან სიკვდილითაც კი სჯიდა ასეთი საქციელისათვის. ხუთი კაცი ჯულიოს კასტროში ჰყავდა, რვაც ჩამოიყვანა, მაგრამ ფიქრობდა, რომ თოთხმეტი თუნდაც ძალიან მამაცი კაცი არ კმაროდა მისი საქმისათვის, რადგანაც მონასტერი ნამდვილ ციხესიმაგრეს ჰგავდა.

თავდაპირველად ღონითა თუ ხერხით უნდა შეეღწიათ მონასტრის პირველ კარში, უნდა გაეარათ თითქმის ორმოცდაათი ფუტის სიგრძის გასასვლელი. მარცხნივ, როგორც უკვე ვთქვით, გამოდიოდა გისოსიანი ფანჯრები ყაზარმის მაგვარი შენობისა, სადაც იდგა ორმოცი თუ ორმოცდაათი მსახური, ყოფილი ჯარისკაცი. როგორც კი განგაშს ატეხდნენ, ამ ფანჯრებიდან წვიმასავით წამოვიდოდა ტყვიები.

წინამძღვარს, საკმაოდ ჭკვიან ქალს, შიში ჰქონდა ორსინის, თავად კოლონას, მარკო შარას და სხვა ბელადებისა, რომლებიც ამ მიდამოებში მბრძანებლობდნენ. ადვილი როდი არის წინააღმდეგობა გაუწიო რვაას თავზე ხელაღებულ კაცს, თუ ისინი მოულოდნელად თავს დაესხმიან ასეთ პატარა ქალაქს, როგორიც კასტროა, სადაც მათი აზრით, მონასტერი ოქროთია გატენილი.

ჩვეულებრივ, კასტროს ვიზიტაციონეს მონასტერს იცავდა თხუთმეტი კაცი თუ ოცი bravi, რომლებიც ყაზარმის შენობაში იდგნენ გასასვლელის მარცხენა მხარეს, მეორე ჭიშკრისაკენ რომ მოიმართებოდა. შეუძლებელი იყო იმ გალავნის შენგრევა, რომელიც მარჯვენა მხარეს დაჰყვებოდა გასასვლელს. გასასვლელს ბოლოში მეორე რკინის კარი ება, რომელიც სვეტებიან ვესტიბიულში შედიოდა, ვესტიბიულის იქით კი დიდი მონატრის კარი იყო, რომელსაც მარჯვენა მხარეზე ბაღი ემიჯნებოდა. რკინის კარს მეკარე და იცავდა.

სამი ლიეთი იყვნენ დაშორებული კასტროს, როცა ჯულიო თავის რვა ჯარისკაცით ერთ განმარტოებულ ფუნდუკში ჩამოხტა გადასაჩრდილებლად. მაშინღა აუხსნა თავის კაცებს გეგმა და ეზოს ქვიშაზე მოუხაზა განლაგება მონასტრისა, რომელსაც თავს უნდა დასხმოდნენ.

_ საღამოს ცხრა საათზე სადმე ქალაქგარეთ ვივახშმებთ, _ მიმართა მან თავის კაცებს, _ ღამის თორმეტ საათზე კი ქალაქში შევალთ. იქ შევუერთდებით ხუთ ამხანაგს, რომლებიც მონასტრის ახლოს გველიან. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ცხენზე იჯდება, შიკრიკად გაასაღებს თავს და იტყვის, ვითომდა რომიდან მოდის და სინიორა კამპირეალის უნდა გადასცეს, რომ მას რომში, მომაკვდავ ქმართან უხმობენ. ჩვენ შევეცდებით უხმაუროდ შევიდეთ მონასტრის პირველ ჭიშკარში აი აქ, ყაზარმის შენობის შუაზე, _ დასძინა მან და გეგმას დაადო თითი. _ თუ ამ პირველივე ჭიშკართან დავიწყეთ ბრძოლა, მონასტრის bravi-ები ადვილად ამოგვხოცავენ თავიანთი არკებუზებით, სანამ ამ მონასტრის წინა მოედანზე ან გასასვლელში ვიქნებით. მეორე კარი რკინისაა, მაგრამ მე მისი გასაღები მაქვს. ამ კარს ერთი ბოლოთი კედელში ჩამაგრებული დიდი ურდულები აქვს დატანებული და როცა ისინი თავიანთ ადგილზე არიან მიწეული, კარის გაღება შეუძლებელია. მაგრამ, რადგანაც ეს რკინის ძელები მეკარე დისთვის მეტისმეტად მძიმეა, კარი ჩემს დღეში არ მინახავს ჩარაზული, თუმცა იმ რკინის ჭიშკარში ერთი ათჯერ მაინც შევსულვარ. ვფიქრობ, ამაღამაც დაუბრკოლებლად შევალთ. ალბათ, ხვდებით, რომ მონასტერში ხელის გამმართავი ადამიანები მყავს. მე მონაზვნის მოტაცებას კი არ ვაპირებ, არამედ აღსაზრდელი ქალიშვილისა. იარაღს მხოლოდ მაშინ ვიხმართ, თუ ძალიან გაჭირდა. თუ მანამდე მოგვიხდა შეტაკება, სანამ ამ მეორე რკინის ურდულებიან კართან მივიდოდეთ, მეკარე და აუცილებლად საშველად უხმობს ორ სამოცდაათი წლის ბებერ მებაღეს, რომლებიც მონასტრის შიგნით ცხოვრობენ, და ისინი კი ჩაკეტავენ რკინის ურდულებს, რომლებზეც წეღან გელაპარაკეთ. თუ, საუბედუროდ, ასე მოხდა, მაშინ შიგნით შესასვლელად მოგვიხდება კედლის შენგრევა, რაც ათ წუთს წაგვართმევს. ყველა შემთხვევაში, მე პირველი მივადგები იმ კარს. ერთ-ერთი მებაღე მოსყიდული მყავს, მაგრამ ცხადია, არ მითქვამს ქალის მოტაცებას რომ ვაპირებ. როგორც კი ამ მეორე კარში შევალთ, მარჯვნივ უნდა მოვუხვით და ბაღში გავიდეთ. მოვხვდებით თუ არა ბაღში, ბრძოლას დავიწყებთ და გავანადგურებთ ყველას, ვინც კი ხელთ მოგვხვდება. თავისთავად ცხადია, მხოლოდ ხმლებითა და ხანჯლებით იმოქმედებთ. არკებუზის გასროლაზე მთელი ქალაქი ფეხზე დადგება და გამოსვლისას თავს დაგვესხმიან. ცამეტი თქვენისთანა ყოჩაღი ვაჟკაცით არ გამიჭირდება ამ მიყრუებული ქალაქიდან გასვლა: ვერც ერთი სულიერი ვერ გაბედავს შიგნიდან თავის გამოყოფას, მაგრამ ზოგიერთ აქაურ მცხოვრებს არკებუზები აქვს და ტყვიებს ფანჯრებიდან დაგვიშენენ. ამიტომ წესად დავდოთ, რომ კედელ-კედელ ვიაროთ. ბაღში რომ შევალთ, ყველას, ვინც შემოგვხვდება,

ჩუმად უნდა ვუთხრათ: «გაეცალეთ აქაურობას!» ვინც ბრძანებას მაშინვე არ შეასრულებს, ხანჯლით გავუგმირავთ გულს. მე მონასტერში ბაღის პატარა ჭიშკრით შევალ და თან იმათ შევიყვან, ვინც იმ წუთში ჩემს გვერდით აღმოჩნდება. სამი წუთის შემდეგ ერთი ან ორი ქალით გამოვალთ, რომლებიც ხელში გვეყოლებიან აყვანილი. სასწრაფოდ მონასტრიდან გავალთ და ქალაქსაც გავეცლებით. ორ თქვენგანს ჭიშკარში დავტოვებ, რათა რამდენჯერმე არკებუზები დაცალოთ მოქალაქეების დასაფრთხობად.

ჯულიომ ეს დარიგება ორჯერ გაიმეორა.

_ კარგად გაიგეთ თუ არა ყველაფერი? _ ჰკითხა თავის კაცებს, _ დერეფანში სიბნელე იქნება. მარჯვნივ ბაღია, მარცხნივ _ ეზო. იცოდეთ, არ შეგცდეთ.

_ ჩვენი იმედი იქონიეთ! _ შესძახეს ჯარისკაცებმა.

ამის შემდეგ დასალევად წავიდნენ, მაგრამ კაპრალი დარჩა და კაპიტანს სთხოვა, ნება მომეცით, ორი სიტყვა გითხრათო.

_ თქვენო მოწყალებავ, არაფერია ამ გეგმაზე უფრო მარტივი. ჩემს სიცოცხლეში უკვე ორჯერ თავს დავსხმივარ მონასტერს. ეს მესამე შემთხვევა იქნება, მაგრამ ჩვენ ძალიან ცოტანი ვართ. თუ კედლის განგრევა მოგვიხდა მეორე კარის ანჯამებთან, განა ყაზარმაში მყოფი bravi-ები ამ დროის განმავლობაში გულხელდაკრეფილები დასხდებიან? არკებუზებით შვიდ-რვა კაცს მოგვიკლავენ და გამოსვლისას ქალსაც წაგვართმევენ. ასე დაგვემართა ერთხელ, როცა ბოლონიის მახლობლად ერთ მონასტერს დავესხით თავს: ხუთი კაცი ჩვენ მოგვიკლეს, ჩვენ მოვუკალით რვა კაცი, მაგრამ ჩვენმა მეთაურმა მაინც ვერ მოახერხა ქალის მოტაცება. მე თქვენს მოწყალებას ორ რასმე ვურჩევ: ამ ჩვენი ფუნდუკის მიდამოებში ოთხ გლეხს ვიცნობ, რომლებიც შარას გულადად ემსახურებოდნენ, და ერთი ცეხინის ფასად მთელ ღამეს ლომებივით იბრძოლებენ. შეიძლება, ცოტა ვერცხლეული კი მოიპარონ მონასტერში, მაგრამ ეგ რა თქვენი საქმეა: მათვე დააწვებათ ცოდვად. თქვენ ხომ ქალის მოტაცებისთვის გაიღებთ ფულს, ეგ არის და ეგ. ჩემი მეორე რჩევა ეს არის: უგონე მოსაზრებული და ხელმარჯვე ბიჭია. უწინ მკურნალი იყო, მაგრამ ცოლისძმა შემოაკვდა და machia-ში (ტყეში) გამოიქცა. რომ დაღამდება, შეგიძლიათ მონასტერში გაგზავნოთ. ის სამსახურს მოითხოვს და იმდენს იზამს, რომ ყაზარმაში შეუშვებენ. იქ მონაზვნების მცველებს ერთი კარგად გამოათრობს, თანაც, ვფიქრობ, მათი არკებუზების აბედების დასველებასაც მოახერხებს.

ჯულიომ თავისდაუნებურად კაპრალის გეგმა მიიღო. ამ უკანასკნელმა წასვლის წინ დასძინა:

_ ჩვენ მონასტერზე ვაპირებთ თავდასხმას. ამისთვის ეკლესიისგან მოკვეთა გველის, მით უმეტეს, რომ ეს მონასტერი ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება...

_ მესმის თქვენი! _ შეჰყვირა ჯულიომ, თითქოს ამ სიტყვებმა გამოაფხიზლესო, _ ჩემთან დარჩით.

კაპრალმა კარი მიხურა და ჯულიოსთან ერთად ლოცვას შეუდგა. ლოცვა მთელ საათს გაგრძელდა. ღამით გზას გაუდგნენ.

როცა ღამის თორმეტმა საათმა დარეკა, ჯულიო, რომელიც თერთმეტ საათზე მარტო შემოვიდა კასტროში, ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდა თავის კაცებთან შესახვედრად; თან რვა კაცი ახლდა, რომელთაც სამი კარგად შეიარაღებული გლეხიც შეუერთდა. როცა ქალაქში დატოვებული ხუთი ჯარისკაციც მიემატათ, მის რაზმს თექვსმეტი მამაცი ვაჟკაცი შეადგენდა. ორი მათგანი მსახურებად იყო გადაცმული. ჯავშნის დასამალად შავი ტილოს ხალათები გადაიცვეს ხოლო ქუდებზე ფრთები არ გაიკეთეს.

ღამის პირველის ნახევარზე ჯულიომ, რომელმაც თვითონ იკისრა შიკრიკის როლი, ცხენი მონასტრის ჭიშკარს მიაგდო და დიდი ხმაური ატეხა, - ახლავე კარი გამიღეთ, კარდინალის გამოგზავნილი შიკრიკი ვარო. მან სიხარულით შენიშნა, რომ ჯარისკაცები, რომლებიც პირველ ჭიშკართან ახლო მყოფი ფანჯრებიდან პასუხობდნენ, უკვე გვარიანად გამობრუჟულიყვნენ. წესისამებრ, თავისი სახელი ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერა. ჯარისკაცმა ქაღალდი მეკარე დას მიუტანა, რომელსაც მეორე ჭიშკრის გასაღები ებარა და უფლება ჰქონდა, განსაკუთრებულ შემთხვევებში წინამძღვარი გაეღვიძებინა. პასუხს კარგი ორმოცდახუთი წუთი უცადა ჯულიომ. ამ დროის განმავლობაში ძლივს ახერხებდა სიჩუმის დაცვას თავის რაზმში. მოქალაქეებმა ფანჯრების გაღებაც კი დაიწყეს გაუბედავად. როცა წინამძღვრის თანხმობა მოვიდა, ჯულიო მცველთა შენობაში ხუთი-ექვსი წყრთის სიგრძის კიდული კიბით ავიდა, რომელიც პატარა სარკმლიდან გადმოუგდეს, რადგანაც მონასტრის bravi-ებმა თავი არ შეიწუხეს მისთვის დიდი ჭიშკარი გაეღოთ. ჯულიო კიბით შენობაში აძვრა ორი გადაცმული მსახურის თანხლებით. როცა ფანჯრიდან მცველთა ოთახში ჩახტა, მისი თვალები უგონეს თვალებს შეხვდა. უგონეს წყალობით მთელი მცველი რაზმი გალეშილი იყო. ჯულიომ მცველთა უფროსს უთხრა, აქ კიდევ სამი მსახურია კამპირეალის სახლიდან, რომლებიც შეიარაღებულნი ვიახელ, გზაზე თავს რომ არ დაგვსხმოდნენო. მათ კარგი არაყი უშოვიათ და შენობაში შემოსვლას თხოულობენ, მოსწყინდათ მოედანზე მარტო ლოდინიო. იმწამსვე ამის ნება მისცეს, ხოლო თვითონ ჯულიო თავისი ორი კაცით საყარაულოდან კიბით დერეფანში ჩამოვიდა.

_ ეცადე, დიდი ჭიშკარი გააღო, _ უთხრა მან უგონეს.

თვითონ დაუბრკოლებლად მივიდა რკინის ჭიშკართან. მეკარე დამ უთხრა, უკვე შუაღამე გადასულია და თუ მონასტერში შეხვედით, წინამძღვარი იძულებული გახდება ამის შესახებ ეპისკოპოსს აცნობოსო. ამიტომ გთხოვთ, თქვენი ქაღალდები გადასცეთ მონაზონს, რომელიც წინამძღვარმა მათ წასაღებად გამოგზავნაო. ამაზე ჯულიომ მიუგო, იმ ორომტრიალში, რაც სინიორ კამპირეალის მოულოდნელმა სულთმობრძაობამ გამოიწვია, მარტო ის მოვახერხე, რომ მკურნალის დაწერილი უბრალო ცნობა წამოვიღე და პირადად უნდა ვნახო და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბო მომაკვდავის ცოლსა და ქალიშვილს, თუკი ისინი ჯერ ისევ მონასტერში იმყოფებიან, თუ არადა, თვითონ ქალბატონ წინამძღვარს მაინცო. მეკარე და ისევ წავიდა მისი ნათქვამის გადასაცემად, კარებში კი მხოლოდ წინამძღვრის გამოგზავნილი ახალგაზრდა მონაზონი დარჩა. ჯულიო მასთან ლაქლაქსა და ცუღლუტობას მოჰყვა, თან შეუმჩნევლად ხელები კარების მსხვილ კადონებში შეჰყო და ვითომდა ხუმრობით, მის გაღებას შეეცადა. და, რომელიც მეტად მორცხვი ქალი იყო, შეშინდა და ცუდად მიიღო ეს ხუმრობა. მაშინ ჯულიომაც, რაკი დაინახა, რომ ძვირფასი დრო უქმად მიდიოდა, შეცდომა დაუშვა, ერთი მუჭა ცეხინი შეაძლია და სთხოვა, კარი გამიღე, ვინაიდან ძალიან დაღლილი ვარ და ლოდინი აღარ შემიძლიაო. ჭაბუკი მაშინვე მიხვდა, რომ სისულელე ჩაიდინა, გვეუბნება ხელნაწერის ავტორი, _ რკინით უნდა ემოქმედა და არა ოქროთიო. მაგრამ საამისოდ სითამამე არ ეყო. იმაზე ადვილი რა იქნებოდა, რომ ხელი ჩაევლო მონაზვნისათვის, რომელიც კარს იქით მისგან ერთ ნაბიჯზე იდგა. ცეხინები რომ შესთავაზა, ქალს ეჭვი აღეძრა. შემდგომში ამბობდა, ლაპარაკშიც შევატყვე, რომ უბრალო შიკრიკი არ იყო, ეს უსათუოდ რომელიმე მონაზვნის შეყვარებული იქნებოდაო და მასთან შესახვედრად უნდოდა შემოჭრა მონასტერშიო. ეს ქალი კი ღვთისმოსავი იყო. შიშით შეპყრობილმა მონაზონმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პატარა ზარის თოკს დაუწყო წევა, რომელიც დიდ ეზოში ეკიდა და ისეთი საშინელი ხმაური ატეხა, რომ მკვდარსაც კი გაეღვიძებოდა.

_ ბრძოლა გვექნება, _ შესძახა ჯულიომ თავის კაცებს, _ მზად იყავით!

მან მკლავი გისოსის კადონებში გაჰყო, თავისი გასაღებით კარი გააღო, რითაც საგონებელში ჩააგდო ახალგაზრდა მონაზონი, რომელიც მაშინვე მუხლებზე დაეცა და ღვთისმშობლის ლოცვას მოჰყვა, თან საშინლად გაჰკიოდა. ჯულიოს შეეძლო ჩაეჩუმებინა ახალგაზრდა ქალი, მაგრამ მას აქაც გამბედაობამ უმტყუნა. ერთ-ერთი მისი კაცი ქალიშვილს ეცა და პირი ხელით დაუცო.

ამავე წუთში ჯულიოს უკან გასასვლელში არკებუზი ისროლეს. უგონეს პირველი ჭიშკარი გაეღო: ჯულიოს დანარჩენი ჯარისკაცები უხმაუროდ შემოვიდნენ. მაგრამ ერთი მცველი, ღვინო სხვებზე ნაკლებად რომ მოჰკიდებოდა, ფანჯარას მიუახლოვდა და საშინლად განცვიფრდა, როცა გასასვლელში ამდენი ხალხი დაინახა. მცველმა ყვირილი ატეხა და ჯულიოს კაცების შეჩერებას ლამობდა. მათ არ უნდა ეპასუხათ და გზა უნდა განეგრძოთ რკინის კარისკენ. წინ მიმავალმა ჯარისკაცებმა ასეც გააკეთეს, მაგრამ ყველაზე ბოლოს მიმავალმა შეიარაღებულმა გლეხმა, რომელიც კაპრალის მიერ იყო დაქირავებული, ფანჯარაში მდგარ მონასტრის მცველს დამბაჩა ესროლა და მოკლა. ამ ღამეულმა გასროლამ და ყვირილმა, მთვრალმა მცველებმა რომ ატეხეს მოკლული ამხანაგის დანახვაზე, გააღვიძა მონასტრის დანარჩენი ჯარისკაცები, რომლებიც იმ ღამეს არ მორიგეობდნენ და უგონეს ღვინო არ უგემიათ. მონასტრის რვა თუ ათი bravi გასასვლელში გამოცვივდნენ ნახევრად შიშველნი და სასტიკად შეუტიეს ბრანჩიფორტეს ჯარისკაცებს.

როგორც მოგახსენეთ, აურზაური მაშინ ატყდა, როცა ჯულიომ რკინის კარი გააღო, ორი ჯარისკაცის თანხლებით ბაღში გავარდა და გაიქცა კიბის პატარა კარისკენ, რომელიც აღსაზრდელთა საძინებელ ოთახში ადიოდა. მაგრამ აქ მას დამბაჩის ხუთი-ექვსი გასროლით შეხვდნენ. მისი ორი ჯარისკაცი დაეცა, თვითონ კი მარჯვენა ხელში დაიჭრა. დამბაჩები სინიორა დე კამპირეალის კაცებმა ისროლეს, რომლებიც ქალბატონის სურვილისამებრ იმ Eღამეს ბაღში დარჩნენ სადარაჯოდ, თანახმად ეპისკოპოსის მიერ მიცემული ნებართვისა. ჯულიო მარტო გაიქცა მისთვის კარგად ნაცნობი პატარა შესასვლელისკენ, რომელიც აღსაზრდელთა ოთახისკენ მიუძღოდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაწვა, მაგრამ კარი მაგრად იყო ჩაკეტილი. მაშინ თავის კაცებს დაუწყო ძებნა, მაგრამ სულთმობრძავნი ხმას ვეღარ იღებდნენ. სიბნელეში დე კამპირეალის სამ მსახურს წააწყდა და ხანჯლით მოიგერია.

ჯულიო დერეფნისაკენ გაიქცა რკინის ჭიშკართან, თავისი ჯარისკაცების დასაძახებლად. ჭიშკარიც ჩაკეტილი დახვდა: რკინის ორი მძიმე ურდული ადგილზე ჩაესვათ და გადაერაზათ მოხუც მებაღეებს, რომლებიც ზარის რეკვას გაეღვიძებინა. «მახეში გავები», _ გაიფიქრა ჯულიომ.

ეს ამბავი თავის კაცებსაც უთხრა. შეეცადა, ერთ-ერთი ბოქლომი ხმლით გაეღო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ეს რომ მოეხერხებინა, ერთ-ერთი რკინის ძელს გამოაძრობდა და ჭიშკარს გახსნიდა, მაგრამ ხმალი კლიტის ნახვრეტში ჩაუტყდა. იმავე წუთში ბაღიდან

გამოვარდნილმა კამპირეალის მსახურმა მარცხენა მხარში დაჭრა. ჯულიო მოტრიალდა და რკინის ჭიშკარს მიეყრდნო. რამდენიმე კაცი უტევდა; ის მათ ხანჯლით იგერიებდა. საბედნიეროდ, ისეთი სიბნელე იყო, რომ ყველა დარტყმა ჯავშანში ხვდებოდა. მაგრამ მუხლში მაინც მწარედ დასჭრეს. მაშინ ჯულიო ეძგერა კაცს, რომელიც ძალიან წინ გამოხტა ხმლის დასაკრავად, სახეში ხანჯლის ჩაცემით მოკლა და, თავისდა საბედნიეროდ, მისი ხმალიც ხელთ იგდო. მაშინ გადარჩენილად ჩათვალა თავი და ჭიშკრის მარცხენა მხარეს დადგა ეზოში. ამასობაში მისმა კაცებმა მოირბინეს, რამდენჯერმე ისროლეს დამბაჩები რკინის რიკულებში და მონასტრის მსახურები გააქციეს. დერეფნის წყვდიადს მხოლოდ დამბაჩების ცეცხლი თუ ანათებდა.

_ ჩემკენ ნუ ისვრით! _ გასძახა ჯულიომ თავის კაცებს.

_ ხაფანგში მოვემწყვდიეთ და ეგ არის, _ უთხრა გისოსის მეორე მხარეზე მდგომმა კაპრალმა გულგრილად, _ სამი კაცი მოგვიკლეს. ახლა ჩვენ კარის წირთხლს გავანგრევთ, ოღონდ თქვენს მხარეს კი არა, მეორე მხარეს. ნუ მოგვიახლოვდებით, ტყვიებს დაგვიშენენ. ბაღში, ალბათ, მტერია.

_ ეგ ოხრები კამპირეალის მსახურები არიან, _ უთხრა ჯულიომ.

ჯერ არ გაეთავებინა კაპრალთან ლაპარაკი, რომ მათი ხმის გაგონებაზე მოწინააღმდეგემ დერეფნის იმ ნაწილიდან, ბაღს რომ ებჯინებოდა, ისევ აუტეხა სროლა. ჯულიომ მეკარის ოთახს შეაფარა თავი, რომელიც შესასვლელთან, მარცხენა მხარეზე იმყოფებოდა. მისდა სასიხარულოდ, ღვთისმშობლის ხატთან პატარა ბაზმა ბჟუტავდა. დიდი სიფრთხილით ხელში აიღო, რომ არ ჩაჰქრობოდა და სიმწრით შენიშნა, მთლად კანკალებდა. ფეხის ჭრილობა დაითვალიერა, რომელიც ძალიან აწუხებდა. სისხლი უხვად სდიოდა ჭრილობიდან.

როცა ოთახს თვალი მოავლო, გაკვირვებით შენიშნა, რომ სავარძელში უგონოდ გადასვენებული ქალი ელენის პირისფარეში და მესაიდუმლე პატარა მარიეტა იყო. მაშინვე გრძნობაზე მოიყვანა.

_ რაო, სინიორ ჯულიო! _ შესტირა მარიეტამ, _ ნუთუ თქვენ გინდათ მოკლათ თქვენი მეგობარი მარიეტა?

_ სრულიადაც არა! უთხარი ელენს, ვთხოვ, მომიტევოს, სიმშვიდე რომ დავურღვიე. მოიგონოს, დილით მონტე-კავიში ღვთისმშობლის ლოცვა რომ აღვავლინეთ. აი, თაიგული, ალბანოში, მის ბაღში დაკრეფილი ყვავილების კონა. ცოტა სისხლით დაისვარა. გადარეცხე ეს სისხლი, სანამ მიუტანდე.

ამ დროს გასასვლელიდან არკებუზების სროლა მოისმა. მონასტრის მცველები მის კაცებს უტევდნენ.

_ ერთი მითხარი, პატარა ჭიშკრის გასაღები სად არის? _ ჰკითხა ჯულიომ მარიეტას.

_ აქ არ არის. ჭიშკრის ბოქლომის გასაღები კი აი, ესაა. შეგიძლიათ გააღოთ და გახვიდეთ.

ჯულიომ გასაღებს ხელი დაავლო და ოთახიდან გავარდა.

_ კედელს ნუღარ შევანგრევთ, _ უთხრა მან თავის ჯარისკაცებს, _ ჭიშკრის გასაღები ხელთა მაქვს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ჯულიო ერთ-ერთი პატარა გასაღებით ბოქლომის გაღებას ცდილობდა, მაგრამ გასაღები ვერ მოარგო და მეორე მოსინჯა. როგორც იყო, მოხსნა ბოქლომი, მაგრამ სწორედ იმ წუთში, როცა რკინის საგდულიც უნდა მოეხსნა, ვიღაცამ თითქმის მიბრჯნით მარჯვენა ხელში დამბაჩა ესროლა. იმ წუთსავე იგრძნო, რომ ხელი აღარ ემორჩილებოდა.

_ ასწიეთ რკინის საგდული! _ დაუყვირა თავის კაცებს.

ამის თქმა არც იყო საჭირო. დამბაჩის გასროლის შუქზე მათ დაინახეს, რომ რკინის საგდულის მოღუნული ბოლო ნახევრად გამოვიდა ბუდიდან. მაშინვე სამმა თუ ოთხმა ღონიერმა მკლავმა საგდული ასწია, მისი ბოლო რგოლიდან გამოიღეს და ძირს დააგდეს. ამრიგად მოახერხეს ჭიშკრის ერთი კარის შეღება. კაპრალი შევიდა და ჯულიოს ძალიან ჩუმად უთხრა:

_ აქ ვეღარაფერს გავხდებით, სამი-ოთხი კაციღა დავრჩით უვნებელნი, ხუთი კაცი მოკლულია.

_ მე ბევრი სისხლი დავკარგე, _ თქვა ჯულიომ, _ საცაა, გულიც შემიღონდება. უთხარით, წამიღონ.

ჯულიო ამას რომ ამბობდა, დამცველი რაზმის ჯარისკაცებმა სამი თუ ოთხი ტყვია კიდევ ესროლეს არკებუზებიდან და მამაცი კაპრალი მოკლეს. საბედნიეროდ, უგონემ გაიგონა მეთაურის ბრძანება. მან ორ ჯარისკაცს დაუძახა, რომლებმაც ჯულიო ხელში აიყვანეს. ჭაბუკი ჯერ ისევ გონზე იყო და კაცებს უბრძანა, ბაღის სიღრმეში პატარა ჭიშკართან მიეყვანათ. ჯარისკაცები აბუზღუნდნენ, მაგრამ ბრძანება მაინც შეასრულეს.

_ ასი ცეხინი იმას, ვინც ამ ჭიშკარს გააღებს.

მაგრამ კარი არ ნებდებოდა სამი გააფთრებული ვაჟკაცის ღონეს. ერთ-ერთი ბებერი მებაღე მეორე სართულიდან ფანჯარაში იდგა და იქიდან განუწყვეტლივ დამბაჩას ისროდა, მაგრამ ამით მხოლოდ გზას უნათებდა მომხვდურებს.

ამაოდ ეცადნენ ჭიშკარის გაღებას, ვერ გახსნეს: ჯულიოს კი ბოლოს და ბოლოს გული გადაუფერდა. უგონემ ჯარისკაცებს უთხრა, კაპიტანი რაც შეიძლებოდა სწრაფად გაეშორებინათ იქაურობას, თვითონ კი მეკარე დის ოთახში შევიდა, იქიდან პატარა მარიეტა გამოაგდო და მრისხანე ხმით უბრძანა, ახლა აქედან მოუსვი და არსად წამოგცდეს, თუ ვინმე სახით იცანიო. მერე ლოგინის თივა ძირს გადმოყარა, რამდენიმე სკამი დაამტვრია და ოთახს ცეცხლი წაუკიდა. როცა დაინახა, რომ ცეცხლი კარგად მოედო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა მონასტრის მცველთა არკებუზების ცეცხლში.

მონასტრიდან მხოლოდ ასორმოცდაათამდე ნაბიჯზე წამოეწია ცნობამიხდილ კაპიტანს, რომელიც სულ სირბილ-სირბილით მიჰქონდათ მის კაცებს. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალაქს გასცდნენ და უგონემ შეჩერება მოითხოვა. ოთხი ჯარისკაციღა ჰყავდათ. ორი მათგანი ქალაქში გააბრუნა და უბრძანა, ყოველ ხუთ წუთში არკებუზები ისროლეთო.

_ ეცადეთ, თქვენი დაჭრილი ამხანაგები იპოვოთ, _ უთხრა მან, _ ქალაქიდან მზის ამოსვლამდე გამოდით. ჩვენ კროჩე როსასკენ გავემართებით ბილიკით. თუ მოახერხებთ, ქალაქს აუცილებლად ადგილ-ადგილ ცეცხლი წაუკიდეთ.

როცა ჯულიო გონს მოეგო, ქალაქიდან უკვე სამ ლიეზე იყვნენ დაშორებული და მზე შუბის ტარზე იდგა. უგონემ მოახსენა:

_ თქვენს რაზმში ხუთი კაციღა დარჩა, აქედან სამი დაჭრილია. ორმა ცოცხლად დარჩენილმა გლეხმა ორ-ორი ცეხინი მიიღო გასამრჯელოდ და გაიქცა. ორი გადარჩენილი კაცი მეზობელ დაბაში გავგზავნე დასტაქრის მოსაყვანად.

მალე ერთ მშვენიერ სახედარზე მჯდარი ბებერი დასტაქარი მოვიდა, შიშისაგან მთლად აკანკალებული. ვიდრე არ დაემუქრნენ, შენს სახლს ცეცხლს წავუკიდებთო, ადგილიდან არ დაიძრა. ისეთი დაშინებული იყო, სანამ არაყი არ გადაახუხეს, ხელი ვერ გაანძრია. როგორც იქნა, შეუდგა საქმეს. როცა ჯულიო გასინჯა, უთხრა: სასიკვდილო ჭრილობები არა გაქვსო.

_ მუხლის ჭრილობა სახიფათო არ არის, მაგრამ თუ ორ-სამ კვირას უმოძრაოდ არ იწექი, სამუდამოდ დაგაკოჭლებს.

დასტაქარმა ჯარისკაცებსაც შეუხვია ჭრილობები. უგონემ ჯულიოს თვალი ჩაუკრა. დასტაქარს ორი ცეხინი მისცეს და ისიც დიდად მადლიერი დარჩა. მერე ვითომდა

გაწეული სამსახურისათვის მადლობის ნიშნად იმოდენა არაყი ასვეს, რომ მაგრად ჩაეძინა. ამათაც მეტი არაფერი უნდოდათ. იქვე მინდორზე წაიღეს და ქაღალდში შეხვეული ოთხი ცეხინი ჯიბეში ჩაუდეს. ეს იყო საფასური სახედრისა, რომელზეც ჯულიო და ერთი ფეხში დაჭრილი ჯარისკაცი დასვეს. შუადღის სიცხეს ერთ ძველისძველ ნანგრევებში შეაფარეს თავი, რომელიღაც ტბორთან. მთელი ღამე იარეს, სოფლებში შესვლას თავს არიდებდნენ, თუმცა ამ გზაზე იშვიათად შეხვდებით სოფლებს. მესამე დღეს, მზის ამოსვლისას, ჯულიო ფაჯოლის ტყეში გამოფხიზლდა და მისმა კაცებმა ის მენახშირის ქოში მიიტანეს, სადაც მათი ბანაკი იყო.

VI

შეტაკების მეორე დღეს ვიზიტაციონეს მონაზვნები შეძრწუნდნენ, როცა თავიანთ ბაღში და პირველი ჭიშკრიდან რკინის კარამდე მიმავალ გზაზე ცხრა გვამი მოთვალეს. რვა მათი მცველი დაჭრილი იყო. პირველად ჭამეს ასეთი შიში მონასტერში. კანტიკუნტად სმენიათ არკებუზების სროლა მოედნიდან, მაგრამ ჯერ არასოდეს მომხდარა, რომ შიგ ბაღში, მონასტრის ყველა შენობათა შუაგულში, მონაზონთა სენაკების ფანჯრებს ქვეშ ასეთი ბრძოლა ატეხილიყოს. შეტაკება საათნახევარს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში შიგ მონასტერში საშინელი ორომტრიალი იდგა. ჯულიო ბრანჩიფორტეს ერთი მოკავშირე რომ მაინც ჰყოლოდა მონასტრის მონაზვნებს ან აღსაზრდელთა შორის, თავის მიზანს მიაღწევდა. საკმარისი იქნებოდა ბაღში გამავალ მრავალრიცხოვან კართაგან ერთ-ერთი მაინც გაეღოთ. მაგრამ ელენის მერყეობით გაგულისებულს მიზნისათვის საკუთარი მკლავის ძალით სურდა მიეღწია. ეგონა, საკუთარ ღირსებას შელახავდა, თუ თავის გეგმას ისეთ ვინმეს გაანდობდა, ვინც ელენს ყველაფერში გამოუტყდებოდა. პატარა მარიეტასთვის ერთი სიტყვაც რომ ეთქვა, ისიც კი საკმარისი იქნებოდა მისი საქმის წარმატებით დასაგვირგვინებლად: მოახლე გოგო ერთ-ერთ ბაღში გამავალ კარს გაუღებდა ჯულიოს, და საკმარისი იყო დორტუარში მხოლოდ ერთი კაცი გამოჩენილიყო გარედან შემოსული არკებუზების საზარელ სროლაში, რომ ის ყველაფერს მიაღწევდა. პირველსავე გასროლაზე ელენი შეშინდა, ჩემი მიჯნურის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო, და ერთთავად იმაზე ფიქრობდა, როგორ გაქცეულიყო მასთან ერთად.

ადვილი წარმოსადგენია, რა სასოწარკვეთილებაში ჩავარდა ელენი, როცა მარიეტამ უამბო, რა საშინლად დაჭრეს ჯულიო მუხლში და რამოდენა სისხლი სდიოდა. ელენს თავი სძულდა სიმხდალისა და სულმოკლეობისათვის. «სისუსტე გამოვიჩინე და დედაჩემს

გული გადავუშალე. ამ მიზეზით ჯულიოს სისხლი დაიღვარა. ხომ შეიძლებოდა, კიდევაც დაღუპულიყო ამ თავდასხმის დროს, სადაც დიდი ვაჟკაცობით გამოიჩინა თავი».

მონასტრის მისაღებ ოთახში შეხიზნული მცველები უამბობდნენ მონაზვნებს, რომლებიც მათ ხარბად უსმენდნენ, თავის დღეში არ შევსწრებივართ იმდაგვარ ვაჟკაცობას, შიკრიკად გადაცმულმა ყმაწვილმა კაცმა რომ გამოიჩინა, როცა ავაზაკთა მოქმედებას ხელმძღვანელობდაო. თუ დანარჩენი მონაზვნები ასეთი ცხოველი ინტერესით უსმენდნენ ამ ამბავს, ადვილი წარმოსადგენია, რა გატაცებით ეკითხებოდა ელენი მცველებს ავაზაკთა ბელადის შესახებ. იმ გრძელი ნაამბობის შთაბეჭდილებით, რაც ფრიად მიუკერძოებელი მოწმეების, მცველებისა და ბებერი მებაღეებისაგან გაიგონა, ელენს მოეჩვენა, რომ სრულიად აღარ გრძნობდა დედისადმი სიყვარულს. დედა-შვილს, რომელთაც ამ შეტაკებამდე ესოდენ ნაზი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა, ცხარე შელაპარაკებაც კი მოუვიდათ. სინიორა კამპირეალი ჯავრობდა, რაკიღა მისი ქალი ერთი წუთითაც გვერდიდან არ იშორებდა სისხლში მოსვრილ თაიგულს.

_ გადაყარე ეგ სისხლში ამოსვრილი ყვავილები!

_ ეგ კეთილშობილი სისხლი ჩემი გულისთვის დაიღვარა იმიტომ, რომ სისუსტე გამოვიჩინე და ის გითხარი, რაც არ უნდა მეთქვა.

_ თქვენ კიდევ გიყვართ თქვენი ძმის მკვლელი?

_ მე ჩემი მეუღლე მიყვარს, რომელსაც, ჩემდა საუბედუროდ, ჩემი ძმა დაესხა თავს.

ამ ლაპარაკის შემდეგ სინიორა კამპირეალის, რომელიც კიდევ სამ დღეს დარჩა მონასტერში, და მის ქალს ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის.

დედის წასვლის მეორე დღეს ელენმა მონასტრიდან გაქცევა მოახერხა. მონასტრის ორივე შესასვლელთან, ეზოში ბევრი კალატოზი მუშაობდა, რათა ბაღის ზღუდეები კიდევ უფრო გაემაგრებინათ, და ქალმაც ამ არეულ-დარეულობით ისარგებლა. ელენი და მარიეტა მუშების ტანსაცმლით შეიმოსნენ. მაგრამ მოქალაქეები ფხიზლად დარაჯობდნენ ქალაქის კარიბჭეს და ქალებმა ძლივძლივობით მოახერხეს ქალაქიდან გაპარვა.

ის მეწვრილმანე, რომელიც ბრანჩიფორტეს წერილებს აწვდიდა, როგორც იყო დაითანხმეს, ელენი თავის ქალიშვილად გაესაღებინა და ალბანომდე მიეცილებინა. იქ ელენმა თავშესაფარი ჰპოვა თავის ძიძასთან, მისი გულუხვობის წყალობით პატარა დუქანი რომ შეეძინა. ალბანოში მისვლისთანავე ელენმა ჯულიოს წერილი მისწერა და ძიძამაც გაჭირვებით იპოვა ისეთი კაცი, რომელიც დათანხმდა, თავი გადაედო და ფაჯოლის ტყეში შესულიყო, თუმცა კოლონას ჯარისკაცთა პაროლი არ იცოდა.

ელენის მიერ გაგზავნილი შიკრიკი სამი დღის მერე ძალზე შეშინებული დაბრუნდა. ჯერ ერთი, ვერსად მიეკვლია ბრანჩიფორტესთვის, თანაც ახალგაზრდა კაპიტნის ხშირმა ხსენებამ და გამოკითხვამ მის მსმენელთ ისეთი ეჭვები აღუძრა, რომ იძულებული გახდა, უკან გამოქცეულიყო.

«ეჭვი აღარ არის, _ გაიფიქრა ელენმა, _ საცოდავი ჯულიო დაიღუპა და მე ვარ მისი მკვლელი! ეს უნდა მოჰყოლოდა შედეგად ჩემს საზიზღარ უსუსურობას და სულმოკლეობას. მე კი არა, ერთი ძლიერი ხასიათის ქალი უნდა შეეყვარებინა. მაგალითად, თავად კოლონას რომელიმე კაპიტნის ქალიშვილი».

ძიძას შიში ჰქონდა, ელენი ვეღარ იცოცხლებსო. ყმაწვილი ქალი კაპუცინების მონასტერში გაიქცა, იმ კლდეში გაჭრილი გზის მახლობლად, ერთხელ ფაბიო და მამამისი შუაღამისას ორ გადაცმულ შეყვარებულს რომ შეეყარნენ. ძიძა დიდხანს ესაუბრა თავის მოძღვარს და აღსარებასავით დიდი საიდუმლოებით გაანდო, ელენ დე კამპირეალის სურს შეეყაროს თავის მეუღლეს, ჯულიო ბრანჩიფორტეს და განზრახული აქვს მონასტრის ეკლესიას ასი ესპანური პიასტრის ღირებულების ვერცხლის ლამპარი შესწიროსო.

_ ასი პიასტრისაო! _ შესძახა მწყრალად ბერმა, _ კი მაგრამ იცით, რა დღე დაადგება ჩვენს მონასტერს, თუ სინიორ კამპირეალის რისხვა თავს დავიტეხეთ? ასი კი არა და ათასი პიასტრი მოგვცა, თუ არ ჩავთვლით ცვილს, როცა ბრძოლის ველზე მისი ვაჟიშვილის გვამის მოსაძებნად ხალხი გავგზავნეთ ჩამპისთან.

მონასტრის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ როგორც კი ელენის ადგილსამყოფელი გაიგეს, ორი მოხუცებული ბერი ალბანოში ჩავიდა მის სანახავად. განზრახული ჰქონდათ, დაეყოლიებინათ ქალიშვილი ანდა ძალა ეხმარათ და მამის პალაცოში დაებრუნებინათ: იცოდნენ, რომ სინიორა კამპირეალი მათ უხვად დააჯილდოებდა. მთელი ალბანო ელენის გაქცევაზე ლაპარაკობდა, ყველას ის ეკერა პირზე, თუ რა უხვ ჯილდოს ჰპირდებოდა სინიორა კამპირეალი ყველას, ვინც მისი ქალის ამბავს შეატყობინებდა. მაგრამ ელენის სასოწარკვეთილმა მდგომარეობამ, რაკი ჯულიო ბრანჩიფორტე დაღუპული ეგონა, იმდენად აუჩუყა გული ბერებს, რომ მათ არამცთუ არ შეატყობინეს დედამისს ქალის სამყოფელი, არამედ იმასაც კი დათანხმდნენ, რომ ლტოლვილი პეტრელას ციხესიმაგრეში გაეცილებინათ. მუშებად გადაცმული ელენი და მარიეტა ღამით ფეხით გაემართნენ წყაროსკენ, რომელიც ფაჯოლის ტყეში დიოდა, ალბანოდან ერთი ლიეს დაშორებით. ბერებმა იქ ჯორები მოიყვანეს და გათენებისას პეტრელასკენ დაიძრნენ. გზაზე შემხვედრი ჯარისკაცები პატივისცემით ესალმებოდნენ ბერებს, რადგანაც იცოდნენ, რომ ისინი თავად

კოლონას მფარველობის ქვეშ იყვნენ. მაგრამ სულ სხვა თვალით უყურებდნენ ორ ყმაწვილ კაცს, რომლებიც მათ მისდევდნენ: ჯერ ალმაცერად შეხედავდნენ, მერე კი, როცა მიუახლოვდებოდნენ, ხარხარს იწყებდნენ და ბერებს ულოცავდნენ, ასეთი კოხტა მეჯორეები რომ ჰყავდათ.

_ დაჩუმდით, უღმერთოებო, და იცოდეთ, რომ ეს ყველაფერი თავად კოლონას ბრძანებით კეთდება, _ მიუგებდნენ ბერები და გზას განაგრძობდნენ.

მაგრამ საცოდავ ელენს იღბალი არა ჰქონდა. თავადი პეტრელაში არ დახვდათ. ხოლო როცა ჩამოვიდა, სამი დღის მერე მიიღო და ძალიან მკვახედაც ელაპარაკა:

_ რატომ ჩამობრძანდით აქ, სინიორინა? რას ნიშნავს ეს გაუფრთხილებელი საქციელი? თქვენი დედაკაცური ლაქლაქის გულისთვის იტალიის შვიდი უმამაცესი კაცი დაიღუპა, და ამას არც ერთი საღად განმსჯელი ადამიანი არ გაპატიებთ. ცხოვრებაში უნდა იცოდეთ, რა გინდათ და რა არ გინდათ. უეჭველია, თქვენი ლაქლაქის წყალობითაა, რომ ჯულიო ბრანჩიფორტე მკრეხელად არის გამოცხადებული და ამ საუკეთესო ქრისტიანს, რომელიც კი ოდესმე მცნობია, მისჯილი აქვს გავარვარებული შანთით წამება ორი საათის განმავლობაში, მერე კი ურიასავით კოცონზე დაწვა. თქვენი სულელური ლაყბობა რომ არა, ვის მოუვიდოდა თავში ასეთი ტყუილი, ვითომდა ჯულიო ბრანჩიფორტე მონასტერზე თავდასხმის დროს კასტროში იყო? აქ ყველა დაგიმოწმებთ, რომ იმ დღეს მას აქ, პეტრელაში ხედავდნენ, საღამოზე კი მე თვითონ გავგზავნე ველეტრიში.

_ ცოცხალი თუ არის მაინც? _ მეათეჯერ ჰკითხა ელენმა ცრემლის ფრქვევით.

_ თქვენთვის ის მოკვდა, _ მიუგო თავადმა, _ ვეღარასოდეს იხილავთ. გირჩევთ, დაბრუნდეთ თქვენს კასტროს მონასტერში. ეცადეთ, ზედმეტი აღარ ილაყბოთ. გიბრძანებთ, ერთ საათში დატოვოთ პეტრელა. მთავარია, არავის უამბოთ, რომ მნახეთ, თორემ თქვენ კი გადაგიხდით სამაგიეროს.

საბრალო ელენი გულმოკლული იყო, რაკი ასეთნაირად შეხვდა სახელოვანი თავადი კოლონა, რომელსაც ჯულიო უზომო პატივს სცემდა და ქალსაც გულით უყვარდა იმიტომ, რომ ჯულიოს უყვარდა.

თავად კოლონას რაც არ უნდა ეთქვა, ელენის საქციელი არაფრით ჩაითვლებოდა უგუნურებად. სამი დღით ადრე რომ ჩამოსულიყო პეტრელაში, ჯულიო აქ დახვდებოდა. ჭრილობა სიარულს უშლიდა ჯულიოს და თავადმა ბრძანა, ის ნეაპოლის სამფლობელოს პატარა ქალაქ ავეცანოში გადაეყვანათ. როგორც კი თავადმა გაიგო, ბრანჩიფორტე მკრეხელად და მონასტრის მძარცველად გამოაცხადეს და სინიორ დე კამპირეალის

მეცადინეობით საშინელი განაჩენიც გამოუტანესო, ის მიხვდა, ბრანჩიფორტეს თუ გამოვექომაგე, ჩემი კაცების ნახევარზე მეტი გადამიდგებაო. ბრანჩიფორტეს საქციელი შეცოდება იყო ღვთისმშობლის წინაშე, რომლის მფარველობის იმედიც ყოველ ყაჩაღს ჰქონდა გულში ჩამარხული. რომელიმე რომაელ ბარიჯელოს რომ გაებედა ფაჯოლის ტყეში მისვლა ჯულიოს დასაჭერად, საწადელს ადვილად მიაღწევდა. ავეცანოში რომ ჩავიდა, ჯულიომ ფონტანა დაირქვა. მისი თანმხლები კაცები ენაწყლიანობით არ გამოირჩეოდნენ. პეტრელაში დაბრუნებისას მათ მწუხარებით განაცხადეს, ჯულიო გზაში გარდაიცვალაო, და იმ წუთიდან თავადის ყოველმა ჯარისკაცმა კარგად იცოდა, რომ გულში ხანჯალს ჩასცემდნენ, თუ ამ ავბედით სახელს ახსენებდა.

ალბანოში დაბრუნებული ელენი კი სულ ტყუილუბრალოდ აგზავნიდა წერილს წერილზე და მთელი თავისი ცეხინები იმაზე დახარჯა, რომ ბრანჩიფორტეს ერთი ბარათი მაინც მიეღო. მაშინ ორმა მოხუცმა ბერმა, რომლებიც ელენს დაუმეგობრდნენ, _ რამეთუ სილამაზე, ამბობს ფლორენციელი მემატიანე, ისეთ გულებსაც კი იპყრობს, რომლებიც უმდაბლესი ეგოიზმისა და ფარისევლობისგან არის გაქვავებულიო, _ საცოდავ ქალიშვილს უთხრეს, ამაოდ ცდილობ ბრანჩიფორტესთვის წერილის გაგზავნას: კოლონამ გამოაცხადა, რომ ის მკვდარია, და მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ამქვეყნად, როცა თვითონ თავადი მოისურვებსო. ძიძამ ელენს ტირილით უთხრა, დედაშენმა ბოლოს და ბოლოს გაიგო, სად ხარ და ბრძანა, ძალით გადაგიყვანონ ალბანოს პალაცოშიო. ელენი მიხვდა, რომ პალაცო მისთვის უსასტიკესი სატუსაღო იქნებოდა და იქ ყოველგვარ კავშირს დაკარგავდა გარეშე სამყაროსთან; კასტროს მონასტერში კი ისევე შეძლებდა წერილების მიღებას და გაგზავნას, როგორც ყველა სხვა მონაზონი. ესეც არ ყოფილიყო, _ და ამან საბოლოოდ იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე, _ სწორედ იქ, მონასტრის ბაღში დაღვარა მისთვის სისხლი ჯულიომ. ელენი იქ მეკარე დის ოთახში ყოველდღე იმ ხის სავარძელს დაინახავდა, რომელზეც მუხლის ჭრილობის სანახავად ჩამოჯდა ჯულიო. მარიეტასაც იქ მისცა სისხლით მორწყული თაიგული, რომელსაც აღარ იშორებდა ელენი. სევდით აღსავსე გულით დაბრუნდა ელენ დე კამპირეალი მონასტერში და ამაზე შეიძლებოდა მისი ამბის დასრულება: ეს მისთვისაც და, შესაძლებელია, მკითხველისთვისაც უკეთესი ყოფილიყო, რადგანაც დროთა განმავლობაში ჩვენ მოწმენი გავხდებით ამ კეთილშობილი და სუფთა ქალიშვილის სულიერი დაცემისა. სიფრთხილის ზომები და ცივილიზაციის სიყალბე, ამის შემდეგ რომ ყოველი მხრიდან შებოჭავენ ქალს, მასში ძლიერი და ბუნებრივი ვნებების წრფელ გამოხატულებას შეცვლიან. რომაელი მემატიანე აქ თავის თხრობაში შემდეგ

მიამიტ მსჯელობას ურთავს: იმ საბუთით, რომ ქალმა ლამაზი შვილი გააჩინა, ჰგონია, საკმარისი ნიჭიც მოსდგამს, რათა შვილის მთელი ცხოვრება თვითონ წარმართოს. იმ მიზეზით, რომ ის ექვსი წლის გოგონას სამართლიანად ეტყოდა ხოლმე, საყელო გაისწორეო, მბრძანებლობას შეჩვეული დედა, თვრამეტი წლისაც რომ იყოს მისი ქალიშვილი, თვითონ კი ორმოცდაათისა, ფიქრობს, უფლება მაქვს წარვმართო ქალის ცხოვრება და სიცრუეც კი მოვიხმაროო, თუმცა ქალიშვილს დედამისზე მეტი თუ არა, ნაკლები ჭკუა როდი აქვს. ჩვენ დავინახავთ, რომ სწორედ ელენის დედამ, ვიტორია კარაფამ, ოსტატური, კარგად მოფიქრებული ფანდების წყალობით სასტიკი სიკვდილი შეუმზადა თავის საყვარელ ქალიშვილს მას შემდეგ, რაც თორმეტი წლის განმავლობაში მისი უბედურების მიზეზი გახლდათ. ასეთია სამწუხარო შედეგი ძალაუფლების უზომო სიყვარულისა.

სიკვდილის წინ სინიორ დე კამპირეალიმ სიამოვნებით წაიკითხა რომში გამოქვეყნებული განაჩენი, რომლის მიხედვითაც ჯულიო ბრანჩიფორტე ორი საათის განმავლობაში გახურებული შანთით უნდა ეწამებინათ რომის ყველაზე ხალხმრავალ გზაჯვარედინებზე, შემდეგ ნელ კოცონზე დაეწვათ და მისი ფერფლი ტიბრში გადაეყარათ. ფლორენციაში მონასტერ სანტა მარია-ნოველას ფრესკებზე დღესაც კარგად შეიძლება კაცმა დაინახოს, თუ როგორ მოჰყავდათ სისრულეში ეს სასტიკი განაჩენი, მკრეხელებს რომ უსჯიდნენ. მუდამ მრავალრიცხოვანი მცველები იყო საჭირო გააფთრებული ბრბოს შესაკავებლად, რათა ხალხს თვითონ არ გაეწია ჯალათთა მაგივრობა. თავი ყველას ღვთისმშობლის უახლოეს მეგობრად მოჰქონდა. სინიორ დე კამპირეალიმ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კიდევ მოითხოვა წაეკითხათ განაჩენი და ვექილს, რომელმაც ეს საქმე გაჩარხა, ალბანოსა და ზღვას შორის მდებარე საუცხოო მამული უბოძა, და არცთუ ტყუილად. ბრანჩიფორტეს სასტიკი სიკვდილი ისე მიუსაჯეს, რომ არ არსებობდა არც ერთი მოწმე, რომელსაც შეეძლო ის ეცნო შიკრიკად გადაცმულ ახალგაზრდა კაცში, ესოდენ დიდი ოსტატობით რომ ხელმძღვანელობდა მონასტერზე თავდამსხმელთ.

ასეთმა გულუხვმა ძღვენმა ყველა რომაელი ინტრიგანი ააღელვა. იმ ხანებში პაპის კარზე მოღვაწეობდა ერთი გამჭრიახი fratone (ბერი), ისეთი კაცი, რომელიც ყველაფერს გაბედავდა, იმასაც კი, რომ თვით კარდინალისთვის გამოერთმია მისი ვარშამანგი. ეს კაცი თავად კოლონას საქმეებს აწარმოებდა და ამ მრისხანე კლიენტის წყალობით დიდად იყო დაფასებული. როცა ელენი კასტროში დაბრუნდა, სინიორა დე კამპირეალიმ ეს ბერი თავისთან იხმო.

_ თქვენი მაღალღირსება უხვად დაჯილდოვდება, თუ მოისურვებს დამეხმაროს ერთ ფრიად ადვილ საქმეში, რასაც ამ წუთში მოგახსენებთ. რამდენიმე დღის შემდეგ აქ გამოქვეყნდება განაჩენი, რომლითაც ჯულიო ბრანჩიფორტეს წამებით სიკვდილი აქვს მისჯილი. განაჩენი კანონიერ ძალაში შევა აგრეთვე ნეაპოლის სამფლობელოშიც. მე გთხოვთ, თქვენო მაღალღირსებავ, წაიკითხოთ ეს წერილი, რომელშიც ჩემი შორეული ნათესავი, ნეაპოლის ვიცე-მეფე ამის შესახებ მატყობინებს. რომელ ქვეყანაში შეუძლია ბრანჩიფორტეს თავშესაფარი ჰპოვოს? თავად კოლონას მე ორმოცდაათ ათას პიასტრს გადავუგზავნი, რათა მან მთელი ეს ფული ან მისი ნაწილი ბრანჩიფორტეს გადასცეს იმ პირობით, რომ იგი ჩემი მბრძანებლის, ესპანეთის მეფის სამსახურში შევა, მის ჯარში ჩაირიცხება და მონაწილეობას მიიღებს ფლანდრიის აჯანყების ჩაქრობაში. ვიცე-მეფე ჯულიო ბრანჩიფორტეს კაპიტნის ხარისხს მისცემს, ხოლო იმ მიზნით, რომ მკრეხელობის განაჩენმა, _ და მე ვეცდები, რომ იგი ესპანეთშიც შევიდეს ძალაში, _ ხელი არ შეუშალოს მის კარიერას, ბრანჩიფორტე სახელს გამოიცვლის და დაირქმევს ბარონ ლიძარას. ასე ჰქვია ერთ პატარა მიწას, რომელიც აბრუცში მაქვს. ვფიქრობ, ფიქტიური გაყიდვით მოვახერხებ მისთვის ამ მამულის გადაცემას. ალბათ, თქვენს მაღალღირსებას არასოდეს უნახავს დედა, რომელიც ღვიძლი შვილის მკვლელს ასე ექცევა. ხუთასი პიასტრი რომ გაგვეღო, აქამდე ათასჯერ მოვიცილებდით იმ საძაგელ ადამიანს, მაგრამ თავად კოლონასთან ჩხუბი არ გვინდა. კეთილინებეთ, და გადაეცით, რომ მისი უფლებების პატივისცემა უკვე სამოცი თუ ოთხმოცი ათასი პიასტრი დამიჯდა. აღარ მსურს იმ ბრანჩიფორტეს სახელი კიდევ გავიგონო. ყოველივე ამასთან თავადს ჩემი პატივისცემა დაუმოწმეთ.

ბერმა სინიორა დე კამპირეალის უთხრა, სამი დღის შემდეგ ოსტიაში ჩავისეირნებო, და სინიორამაც მას ათას პიასტრად ღირებული ბეჭედი აჩუქა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბერი რომში დაბრუნდა და სინიორა დე კამპირეალის მოახსენა, თავად კოლონასთვის თქვენი წინადადება არ მითქვამს, მაგრამ ერთი თვეც არ იქნება გასული და ბრანჩიფორტე ბარსელონაში წავა, სადაც იმ ქალაქის რომელიმე ბანკირის შემწეობით შეგიძლიათ ათასი პიასტრი გადასცეთო.

თავადმა ადვილად ვერ დაიყოლია ჯულიო ამ პირობაზე. და თუმცა იტალიაში აღარ დაედგომებოდა, შეყვარებულ ყმაწვილ კაცს არა და არ უნდოდა თავისი ქვეყნის მიტოვება. ამაოდ არწმუნებდა თავადი, სინიორა კამპირეალი ამ დროის განმავლობაში შეიძლება მოკვდესო. ამაოდ ჰპირდებოდა, სამ წელიწადში, რაც არ უნდა მოხდეს, შესაძლებლობა გექნება სამშობლოში დაბრუნებისაო: ჯულიო ტიროდა და არ თანხმდებოდა. თავადი

იძულებული გახდა მისთვის ეთხოვა, ეს ისე შემისრულე, როგორც ჩემი პირადი სათხოვარიო. ჯულიოს არ შეეძლო თხოვნაზე უარი ეთქვა მამის მეგობრისთვის, მაგრამ უწინარეს ყოვლისა, თვითონ ელენის აზრი უნდოდა გაეგო. თავადმა იკისრა პირადად გადაეცა ქალისთვის უგრძელესი უსტარი, უფრო მეტიც, მან ჯულიოს ნება მისცა ფლანდრიიდან თვეში ერთხელ მოეწერა ელენისთვის წერილი. ბოლოს და ბოლოს, სასოწარკვეთილი შეყვარებული ბარსელონისკენ მიმავალ ხომალდში ჩაჯდა. თავადი ყველა მის წერილს წვავდა, რადგანაც არ უნდოდა, რომ ჯულიო ოდესმე იტალიაში დაბრუნებულიყო. ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ თავადმა, თუმცა თვითკმაყოფილება არ სჩვეოდა, ამ საქმის წარმატებისათვის საჭიროდ სცნო ჯულიოსთვის ეთქვა, პატარა თანხა, ხუთასი პიასტრის რაოდენობით, მსურს ძღვნად მივართვა კოლონას ოჯახის ერთ-ერთი უერთგულესი ადამიანის შვილსაო.

საცოდავ ელენს კი კასტროს მონასტერში ისე ელოლიავებოდნენ, როგორც დედოფალს. მამამისის სიკვდილის შემდეგ დიდძალი მემკვიდრეობა დარჩა და უზარმაზარი სიმდიდრის მფლობელი გახდა. მამის გარდაცვალების დღეებში ელენმა ხუთ-ხუთი წყრთა შავი მაუდი დაურიგა კასტროსა და მისი მიდამოების მცხოვრებთ, ვინც კი განაცხადა, რომ სინიორ დე კამპირეალზე ძაძებს ჩაიცვამდა. ელენს პირველსავე დღეებში, როცა ჯერ ისევ მამის გარდაცვალებით იყო დამწუხრებული, ვიღაც უცნობმა ჯულიოს წერილი გადასცა. ძნელია იმის აღწერა, თუ რა სიხარულმა მოიცვა ელენის გული წერილის გახსნისას და რაოდენ უღრმესმა სევდამ დაისადგურა მისი წაკითხვის შემდეგ. ნამდვილად ჯულიოს ხელწერა იყო, აკი იგი გულისყურით შეისწავლა. წერილში სიყვარულზე იყო ლაპარაკი, და მერე როგორ სიყვარულზე, ღმერთო დიდებულო! მაგრამ წერილი გამჭრიახი სინიორა დე კამპირეალის შეთხზული იყო. მას განზრახული ჰქონდა ელენთან ჯულიოს მაგივრად მიწერ-მოწერა დაეწყო შვიდი-რვა ვნებიანი სასიყვარულო წერილით, ხოლო შემდგომ წერილებში ეს სიყვარული თანდათანობით გაენელებინა.

ჩვენ გვინდა გადავახტეთ ელენის გაუხარელი ცხოვრების მომდევნო ათ წელიწადს. ქალიშვილი დარწმუნდა, სატრფომ დამივიწყაო, მაგრამ მაინც ქედმაღლობდა და უარს უთვლიდა რომის ყველაზე უფრო გამორჩეულ ახალგაზრდა სინიორებს, რომლებიც მის ხელს თხოულობდნენ. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, რომ ოდნავ შეყოყმანდა, როცა ახალგაზრდა ოტავიო კოლონა უხსენეს, ვაჟიშვილი სახელოვანი ფაბრიციო კოლონასი, რომელმაც ერთ დროს ის ასე მკაცრად მიიღო პეტრელაში. ელენი ფიქრობდა, რომ თუკი აუცილებლად უნდა აერჩია კაცი, რომელიც საჭირო იყო იმ ვრცელი მამულების

დასაცავად, რომის სახელმწიფოსა და ნეაპოლის სამფლობელოში რომ ჰქონდა, მაშინ მისთვის ნაკლებად შემზარავი იქნებოდა ისეთი კაცის სახელი ეტარებინა, ვინც ოდესღაც უყვარდა ჯულიოს. ელენი რომ ამ ქორწინებაზე დათანხმებულიყო, ძალიან მალე შეიტყობდა სიმართლეს ჯულიო ბრანჩიფორტეზე. მოხუცი თავადი ფაბრიციო ხშირად აღტაცებული ლაპარაკობდა პოლკოვნიკ ლიძარას (ჯულიო ბრანჩიფორტეს) გაუგონარ სიმამაცეზე, რომელიც მსგავსად ძველი რომანების გმირებისა, ცდილობდა ბრძოლის ველზე საგრობით ჩაეკლა უბედური სიყვარული, ცხოვრების ყველა სხვა სიამეთა მიმართ უგრძნობელს რომ ხდიდა. ის ფიქრობდა, ელენი უკვე დიდი ხნის გათხოვილიაო. სინიორა კამპირეალიმ ისიც სიცრუის ქსელში გაახვია.

ელენი თითქმის შეურიგდა თავის თვალთმაქც დედას. სინიორა დე კამპირეალის უზომო სურვილი ჰქონდა ქალიშვილი გაეთხოვებინა და თავის მეგობარს, მოხუც კარდინალ სანტი-კვატროს, ვიზიტაციონეს მონასტრის მფარველს სთხოვა, უფროს მონაზვნებში ხმა გაევრცელებინა, მორიგი სტუმრობა მონასტერში შეწყალების აქტის გამო დამიგვიანდაო. კეთილი პაპი გრიგოლ XIII სიბრალულით აღივსო ყაჩაღის, ვინმე ჯულიო ბრანჩიფორტეს სულის მიმართ, რომელმაც ოდესღაც სცადა მათი მონასტრის შებღალვაო. როცა პაპმა მისი სიკვდილი შეიტყო, კეთილინება მისთვის მკრეხელობის გამო დადებული სასჯელი მოეხსნა, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ესოდენ სასტიკი განაჩენის სიმძიმის ქვეშ სული მისი ვერასოდეს გამოაღწევს სალხინებლიდან, თუკი მექსიკაში ამბოხებულ ველურთა მიერ მოკლულ ბრანჩიფორტეს სული, მისდა საბედნიეროდ, სწორედ სალხინებელში მოხვდებაო. ამ ამბავმა მთელი ვიზიტაციონეს მონასტერი ააღელვა. ხმებმა ელენის ყურამდეც მიაღწია. ის კი ამ დროს თავს ირთობდა პატივმოყვარული გატაცებებით, რასაც დიდად მოწყენილ ადამიანში აურაცხელი ქონების მფლობელობა იწვევს. იმ დღიდან მოყოლებული ელენი თავისი სენაკიდან აღარ გამოდიოდა. აქვე უნდა მოვახსენოთ მკითხველს, რომ რათა თავისი სენაკი იქ გადაეტანა, სადაც მეკარე დის ოთახი იყო, რომელსაც ჯულიომ შეტაკების დროს ცოტა ხნით თავი შეაფარა, მას ნახევარი მონასტრის გადაკეთება მოუხდა. ელენმა იმას მიაღწია, რომ აპოვნინა და სამსახურში დაიყენა ბრანჩიფორტეს რაზმის სამი bravi იმ ხუთიდან, რომლებიც კასტროში შეტაკების დროს ცოცხლები გადარჩენილიყვნენ, მაგრამ ეს გახმაურდა და მას დიდად გაუჭირდა ამ საქმის მიფუჩეჩება. მათ შორის იმყოფებოდა უგონეც, ახლა უკვე მოხუცებული და მთლად ჭრილობებით დაფარული. ამ სამი კაცის შესახედაობა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევდა მონასტერში, მაგრამ ყველას შიშსა ჰგვრიდა ელენის გოროზი ხასიათი. ლივრეაში

გამოწყობილი ეს სამი კაცი ყოველდღე გარეთა გისოსთან მიდიოდა, ელენისგან განკარგულებებს იღებდა და დაწვრილებით უპასუხებდა გაუთავებელ კითხვებზე, რომლებიც მუდამ ერთსა და იმავე საგანს ეხებოდა.

ჯულიოს სიკვდილი რომ შეიტყო, ელენი ექვსი თვის განმავლობაში სრულიად განმარტოვდა და ყოველგვარი ამქვეყნიური საქმე აღიკვეთა. პირველი გრძნობა, რომელმაც გამოაფხიზლა ეს განუკურნებელი დარდითა და დაუსრულებელი მოწყენილობით გაბზარული სული, პატივმოყვარეობის გრძნობა იყო.

ცოტა ხნის წინათ მონასტრის წინამძღვარი გარდაიცვალა. ჩვეულების მიხედვით, კარდინალმა სანტი-კვატრომ, რომელიც მისი ოთხმოცდათორმეტი წლის ასაკის მიუხედავად, ისევ ვიზიტაციონეს მფარველი იყო, სამი მონაზვნის სია შეადგინა, რომელთაგან პაპს ერთ-ერთი წინამძღვრად უნდა დაედგინა. მეტად სერიოზული მიზეზები იყო საჭირო, რათა მის უწმინდესობას ორი უკანასკნელი სახელი წაეკითხა: ჩვეულებრივ, ის მათ ყოველთვის შლიდა. ასე ხდებოდა წინამძღვრის შერჩევა.

ერთ დღეს ელენი მეკარე დის ყოფილი ოთახის ფანჯარასთან იჯდა, რომელიც ახლა მისი სურვილის მიხედვით ახლად მიშენებული შენობის ბოლო ფრთაზე მდებარეობდა. ახლა ეს ფანჯარა მხოლოდ ორი ფუტით იყო მაღლა იმ გასასვლელზე, სადაც ოდესღაც ჯულიოს სისხლი დაიღვარა. გასასვლელი ბაღს შეუერთეს. ამ დროს ფანჯრის წინ იმ მონაზვნებმა გაიარეს, რომლებიც რამდენიმე საათის წინათ კარდინალის მიერ აწ გარდაცვლილი წინამძღვრის მემკვიდრეთა სიაში იყვნენ შეტანილი. ელენს ისინი არ დაუნახავს და, ცხადია, ვერც მიესალმებოდა. ერთი მათგანი შეურაცხყოფილი დარჩა და დანარჩენებს ხმამაღლა უთხრა:

_ სად გაგონილა, რომ აღსაზრდელმა თავისი სენაკი ასე საქვეყნოდ გამოჭიმოს!

ამ სიტყვებით თითქოს გამოფხიზლებულმა ელენმა თვალები ასწია და სამ გაბოროტებულ მზერას შეხვდა. «ძალიან კარგი! _ გაივლო გულში და ფანჯარა დახურა ისე, რომ მათ არ მისალმებია. _ საკმარისად დიდი ხანია, ამ მონასტერში კრავივით ვიქცევი; აქ მგელი უნდა იყო იმისათვის მაინც, რომ ამ ქალაქის ცნობისმოყვარე მოქალაქეებს ხანდახან სხვა გასართობიც მისცე».

ელენმა ერთი საათის შემდეგ ერთ-ერთი თავისი კაცი შიკრიკად აფრინა რომში და შემდეგი შინაარსის წერილი გაატანა დედასთან, რომელიც უკვე ათი წელიწადი იყო, იქ ცხოვრობდა და დიდი გავლენითაც სარგებლობდა:

«დიდად პატივცემულო დედა!

ყოველწლიურად ჩემს დღეობაზე სამასიათას ფრანკს მაძლევ საჩუქრად. ამ ფულს მე აქ ყოველგვარ სისულელეებზე ვხარჯავ; მართალია, სავსებით მისატავებელი სისულელეებია, მაგრამ მაინც... თუმცა უკვე დიდი ხანია, არაფერი გითხოვია ჩემთვის, მე მაინც ვიცი, არსებობს ორი ხერხი, რითაც შემიძლია მადლობა გადაგიხადო იმ კეთილი განზრახვისათვის, შენ რომ ჩემდამი გქონია. მე, რასაკვირველია, აღარ გავთხოვდები, მაგრამ დიდი სიხარულით გავხდებოდი ამ მონასტრის წინამძღვარი. ეს აზრი იქიდან დამებადა, რომ სამივე მონაზონი, რომლებიც კარდინალმა სანტი-კვატრომ ჩვენი წმინდა მამისთვის წარსადგენად სიაში შეიყვანა, ჩემი მტრები არიან, და რომელიც არ უნდა აირჩიონ, მათგან უსიამოვნების მეტს არაფერს უნდა მოველოდე. იმ ჩემი სადღეობო საჩუქრის თანხით საჩუქარი იმას მიართვი, ვისაც საქმის გაკეთება ეხება. უწინარეს ყოვლისა, ვეცადოთ ექვსი თვით გადავადებინოთ ახალი წინამძღვრის არჩევნები, რაც მეტად გაახარებს მონასტრის წინამძღვარ ქალს, ჩემს ახლო მეგობარს, რომელიც ამჟამად განაგებს მონასტრის საქმეებს. ეს უკვე ბედნიერების წყარო იქნება ჩემთვის, სიტყვა «ბედნიერი» კი, როგორც მოგეხსენება, იშვიათად იხმარება შენი ქალიშვილის მიმართ. ეს ჩემი აზრი თვითონვე უგუნურებად მიმაჩნია, მაგრამ თუკი შენ ფიქრობ, რომ საქმე შეიძლება წარმატებით დამთავრდეს, სამ დღეში მონაზვნად აღვიკვეცები. რვა წელი ვცხოვრობ მონასტერში ისე, რომ ერთი ღამეც არ გამითევია მის გარეთ. ეს უფლებას მაძლევს ექვსი თვით შემოვფარგლო ჩემი თავდახსნა. ამ შეღავათზე არავის უარს არ ეუბნებიან და ორმოც ეკიუზე მეტი არ ჯდება.

ისევ და ისევ შენი პატივისმცემელი...»

ამ წერილმა დიდი სიხარული მოჰგვარა სინიორა დე კამპირეალის. ის უკვე მწარედ ნანობდა, რომ შვილს შეატყობინა, თითქოს ჯულიო ფრანჩიფორტე მომკვდარიყო. დედამ არ იცოდა, რაში გამოვლინდებოდა ის შავი სევდა, ელენი რომ ამ ამბის შეტყობისას მოიცვა. ეშინოდა, რაიმე თავზე ხელაღებული საქციელი არ ჩაედინა; შიშობდა, ვაითუ მექსიკაში მოინდომოს წასვლა იმ ადგილების სანახავად, სადაც ვითომდა ბრანჩიფორტე მოკლესო. ასეთ შემთხვევაში, მადრიდში გავლისას, სრულიად შესაძლებელი იყო მას პოლკოვნიკ ლიძარას ნამდვილი სახელი შეეტყო. მეორე მხრივ ის, რასაც მისი ქალიშვილი მოითხოვდა, ყველაზე ძნელად შესასრულებელი და ყველაზე შეუძლებელი ამბავი იყო დედამიწის ზურგზე. ვინ დააყენებდა ასეთი მონასტრის სათავეში, სადაც ყველა რომაელ თავადს თავისი ნათესავები ჰყავდა, ასეთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც მონაზონიც კი არ იყო და მხოლოდ იმით გახდა ცნობილი, რომ ერთმა ყაჩაღმა შეიყვარა გაგიჟებით და ვინ

იცის, თვითონაც კი უთანაგრძნობდა. მაგრამო, _ ფიქრობდა სინიორა დე კამპირეალი, _ როგორც ამბობენ, ყველა საქმე შეიძლება დაიცვა და მაშასადამე, მოიგო კიდეცო. პასუხში ვიტორია კარაფამ შვილს იმედი მისცა, რადგანაც იცოდა, რომ მას მუდამ აღძვრია გიჟური სურვილები, მაგრამ სწრაფადვე გადუგდია გულიდან.

როცა საღამოთი სინიორა დე კამპირეალი ცნობებს აგროვებდა ყველაფერზე, რაც კი ცოტად თუ ბევრად კასტროს მონასტერთან იყო დაკავშირებული, გაიგო, რომ თურმე მისი მეგობარი კარდინალი სანტი-კვატრო, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, შეჭირვებულ მდგომარეობაშია: კარდინალს სდომებია თავისი ძმისშვილი მიეთხოვებინა თავად ფაბრიციო კოლონას უფროს ვაჟიშვილ დონ ოტავიოსთვის, რომელიც არაერთგზის ვახსენეთ ჩვენს მოთხრობაში; თავადი კი მას ურჩევდა თავის უმცროს შვილს, დონ ლორენცოს, იმიტომ რომ ფრიად შერყეული ფინანსური მდგომარეობა ჰქონდა ომით, რომელსაც ბოლოს და ბოლოს შეკავშირებული ნეაპოლის მეფე და პაპი ფაჯოლის ტყის ყაჩაღთა მიმართ აწარმოებდნენ. თავადს ოჯახის მდგომარეობის გამოსასწორებლად სურდა უფროს რძალს მზითვი ექვსასი ათასი პიასტრი შემოეტანა (სამი მილიონ ორას ათი ათასი ფრანკი). კარდინალი სანტი-კვატრო კი, იმ შემთხვევაშიც, თუ ყველა დანარჩენ ნათესავებს მემკვიდრეობას წაართმევდა, სამას ოთხმოცი ათას ან ოთხასი ათას ეკიუზე მეტს ვერ შეაგროვებდა.

ვიტორია კარაფამ მთელი საღამო და ღამის ნაწილი მოხუცი კარდინალის მეგობრებთან თათბირს მოანდომა, რომელთაც სავსებით დაუმოწმეს ეს ფაქტები. მეორე დილას შვიდ საათზე მან კარდინალს თავისი მისვლა აუწყა.

_ თქვენო უსამღვდელოესობავ! _ უთხრა მან კარდინალს, _ ორივენი უკვე მოხუცებულები ვართ, ამიტომ თავს ნუღარ მოვიტყუებთ და ლამაზ სახელებს ნუ დავარქმევთ იმას, რაც სინამდვილეში ლამაზი არ არის. ერთი ფრიად თამამი წინადადება მინდა მოგცეთ. ერთადერთი, რაც შემიძლია ამ საქმის სასარგებლოდ განვაცხადო, ის გახლავთ, რომ ეს არ არის სისაძაგლე. თუმცა ვაღიარებ, თავად მე ეს საქმე დიდ უაზრობად მიმაჩნია. მას შემდეგ, რაც დონ ოტავიო კოლონას და ჩემი ქალიშვილის შეუღლებაზე დაიწყო ლაპარაკი, იმ ყმაწვილი კაცის მიმართ მეგობრულად განვეწყვე, ამიტომ მისი ქორწინების დღეს მე თქვენ გადმოგცემთ ორასი ათას პიასტრს ადგილ-მამულისა თუ ფულადი თანხის სახით და გთხოვთ, მას გადასცეთ. მაგრამ ჩემისთანა საწყალმა ქვრივმა ამოდენა მსხვერპლი უნდა გაიღოს: ჩემი ქალიშვილი ელენი, რომელიც ამჟამად ოცდაშვიდი წლისაა და, რაც ცხრამეტი წელი შეუსრულდა, არც ერთი ღამე არ გაუტარებია

მონასტრის გარეთ, კასტროს წინამძღვრად უნდა იქნას დადგენილი. ამისათვის საჭიროა არჩევნები ნახევარი წლით გვიან მოხდეს. აქ უკანონობა არა არის რა.

_ რას ბრძანებთ, სინიორა! _ შეჰყვირა გაკვირვებისაგან თავგზააბნეულმა კარდინალმა, _ თვითონ მისი უწმინდესობაც კი ვერ მოახერხებდა იმის გაკეთებას, რასაც მე, საბრალო უძლურ ბერიკაცსა მთხოვთ.

_ მე წინასწარ მოვახსენე თქვენს უსამღვდელოესობას, ეს საქმე მთლად უბრალო არ არის-მეთქი, ზოგიერთმა უგუნურმა შეიძლება სიგიჟედაც ჩათვალოს; მაგრამ ადამიანები, რომლებიც კარგად არიან გარკვეულნი ყველაფერში, რაც პაპის კარზე ხდება, იფიქრებენ, თითქოს ჩვენმა კეთილმა მბრძანებელმა, პაპმა გრიგოლ XIII-მ მოისურვა თქვენი უსამღვდელოესობის დაჯილდოება ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისთვის იმ ქორწინების გაადვილებით, რომელიც, როგორც მთელმა რომმა იცის, მას თვითონაც ნებავს. ამასთან უნდა გითხრათ, რომ ეს საქმე სავსებით შესაძლებელია და კანონს არ არღვევს. ამაზე მე ვაგებ პასუხს. ჩემი ქალიშვილი ხვალვე მონაზვნად აღიკვეცება.

_ კი მაგრამ, ეს ხომ სიმონიაა, სინიორა! _ შესძახა ბერიკაცმა საშინელი ხმით.

სინიორა დე კამპირეალი წამოდგა და წასვლა დააპირა.

_ რაღაც ქაღალდი დაგრჩათ?

_ ეს არის მამულების სია, რომელთა ღირებულება ორასი ათასი პიასტრია. თუ თავადი ნაღდ ფულს არ მოისურვებს, შეგვიძლია ეს შევთავაზოთ. მიწების ერთი მფლობელის ხელიდან მეორის ხელში გადასვლა შეიძლება კიდევ დიდხანს საიდუმლოდ დარჩეს. მაგალითად, კოლონას ოჯახს შეუძლია ჩემს წინააღმდეგ სასამართლო პროცესი აღძრას, რომელსაც მე წავაგებ...

_ კი მაგრამ, ეს ხომ სიმონია იქნება, სინიორა, საზარელი სიმონია!

_ უპირველეს ყოვლისა, არჩევნები უნდა ექვსი თვით გადავდოთ. ხვალ, თქვენო უსამღვდელოესობავ, შემდგომი განკარგულებებისთვის მოვალ თქვენთან.

აქ ვგრძნობ, რომ მკითხველს, რომელიც ალპების ჩრდილოეთით არის დაბადებული, უნდა განემარტოს ამ დიალოგის ზოგიერთი ადგილის თითქმის ოფიციალური კილო. მინდა შეგახსენოთ, რომ კათოლიკურ ქვეყნებში საჩოთირო თემაზე საუბარი უმეტესწილად სააღმსარებლოში გადააქვთ და ამიტომ მოსაუბრენი თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ მაინცდამაინც მოწიწებით ილაპარაკონ და ხშირად ირონიულ გამოთქმებსაც ხმარობენ.

მეორე დღეს ვიტორია კარაფამ შეიტყო, რომ წინამძღვრის არჩევა ვიზიტაციონეს მონასტერში ნახევარი წლით გადაედოთ, ვინაიდან სიაში, სადაც სამი მონაზონი იყო წარდგენილი, დიდი შეცდომა ყოფილა დაშვებული: სიით მეორე მონაზონს გვარში რენეგატი ჰყოლოდა, მისი პაპის ერთ-ერთ ძმას უდინოში პროტესტანტობა მიეღო.

სინიორა დე კამპირეალიმ საჭიროდ ჩათვალა თავადი ფაბრიციო კოლონა მოენახულებინა, ვისი ოჯახისთვისაც ესოდენ მნიშვნელოვანი ქონების გადაცემას აპირებდა. ორი დღის წვალების შემდეგ, როგორც იყო, მიაღწია აუდიენციას რომის მეზობელ რომელიღაც პატარა დაბაში, მაგრამ მისგან საშინლად შეშფოთებული დაბრუნდა. თავადი, რომელიც, ჩვეულებრივ, ესოდენ მშვიდი იყო, იმ დღეს იმდენად შეფიქრიანებული დახვდა პოლკოვნიკ ლიძარას (ჯულიო ბრანჩიფორტეს) მხედრული გმირობით, რომ ქალმა სრულიად ამაოდ ჩათვალა მისთვის ეთხოვა, საიდუმლოდ შეენახა ეს ამბავი. პოლკოვნიკი თავადს შვილივით უყვარდა, უფრო მეტიც, მას უსაყვარლეს მოწაფედ თვლიდა. თავადი მთელ თავის დროს ფლანდრიიდან მიღებული რაღაც წერილების კითხვასა და გადაკითხვაში ატარებდა. რა ეშველებოდა სინიორა დე კამპირეალის ნალოლიავებ გეგმას, რასაც მან ათი წლის განმავლობაში ამოდენა ძალ-ღონე შეალია, თუ მისი ქალიშვილი გაიგებდა, რომ პოლკოვნიკი ლიძარა ცოცხალი იყო და სახელიც დიდი მოეხვეჭა?

ვფიქრობ, არ ღირს შეჩერება იმ მრავალრიცხოვან გარემოებებზე, რომლებიც, მართალია, შესანიშნავად აღწერენ იმ ეპოქის ჩვეულებებს, მაგრამ მე სავალალო ამბებად მეჩვენება. რომაული ხელნაწერის ავტორი დიდად გარჯილა, რათა იმ მოვლენათა ზუსტი თარიღები დაედგინა, რომელნიც მე აქ არ მომყავს.

გავიდა ორი წელიწადი, რაც სინიორა დე კამპირეალიმ თავადი კოლონა ინახულა. ელენი კასტროს მონასტრის წინამძღვარი გახდა. მაგრამ მოხუცი კარდინალი სანტა-კვატრო გარდაიცვალა და თან დარდი ჩაჰყვა, რომ სიმონიის ესოდენ საზარელი აქტი ჩაიდინა. იმ ხანებში კასტროს ეპისკოპოსად დაინიშნა პაპის კარის ყველაზე ლამაზი კაცი, ქალაქ მილანის წარჩინებული მონსინიორ ფრანჩესკო ჩიტადინი. ამ ყმაწვილკაცს, რომელიც თავისი სადა, მაგრამ ღირსებით აღსავსე ქცევით გამოირჩეოდა, ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდა ვიზიტაციონეს წინამძღვართან. მეტადრე მას შემდეგ მოუხშირა სტუმრობას, რაც ახალი ეკლესიის აგება დააპირეს, წინამძღვრის მონასტრის დასამშვენებლად რომ ჰქონდა განზრახული. ოცდაცხრა წლის ეპისკოპოს ჩიტადინის გაგიჟებამდე შეუყვარდა მშვენიერი წინამძღვარი. ერთი წლის შემდეგ გამართულ

სასამართლო პროცესზე მრავალმა მონაზონმა, რომლებიც მოწმეებად იყვნენ გამოძახებულნი, აჩვენეს, რომ ეპისკოპოსი ყოველი შემთხვევით სარგებლობდა, რათა მონასტერში მისულიყო და ხშირად ეუბნებოდა წინამძღვარს: «სხვაგან ბრძანებებს ვიძლევი და, ჩემდა სასირცხვილოდ, უნდა გამოვტყდე, რომ ეს მსიამოვნებს; თქვენს წინაშე კი მონასავით მორჩილი ვარ და ეს ბევრად უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე სხვაგან საკუთარი ძალაუფლების გრძნობა. აქ მე უმაღლესი არსების გავლენის ქვეშ ვიმყოფები. ძალიანაც რომ ვეცადო, მაინც ვერ შევძლებ, არ დავმორჩილდე თქვენს ნებასა და ბევრად უფრო მირჩევნია, თქვენი უკანასკნელი მონა ვიყო, ვიდრე ხელმწიფის ტახტზე ვიჯდე თქვენგან მოშორებით».

მოწაფეებმა ისიც თქვეს, როცა ეპისკოპოსი წინამძღვარს ამ ნატიფ ფრაზებს ეუბნებოდა, ქალი ხშირად უკმეხად იცინოდა და ათვალწუნებით უწყვეტდა სიტყვასო.

_ მართალი უნდა ითქვას, _ განაგრძობდა ერთი მოწმე, _ რომ ქალბატონი წინამძღვარი მას ისე ეპყრობოდა, როგორც მსახურს. მაშინ საცოდავი ეპისკოპოსი თვალებს ხრიდა და ტირილს იწყებდა, მაგრამ მაინც არ მიდიოდა. გამუდმებით ახალ-ახალ საბაბს პოულობდა მონასტერში მოსასვლელად, რაც დიდ აღშფოთებას იწვევდა მონაზონთა აღმსარებლებსა და წინამძღვრის მტრებში. მაგრამ წინამძღვარს მხურვალედ ესარჩლებოდა მისი ახლო მეგობარი და თანაშემწე ქალი, რომელიც მისი უშუალო ხელმძღვანელობით მონასტრის შინაურ საქმეებს განაგებდა.

_ უნდა იცოდეთ, კეთილშობილო დებო, _ ამბობდა იგი, _ რომ მას შემდეგ, რაც თავის ადრეულ სიყმაწვილეში ჩვენმა წინამძღვარმა ერთი კონდოტიერის მიმართ უბედური სიყვარული განიცადა, ბევრ რამეში უცნაურობა დასჩემდა. მაგრამ თქვენ ისიც კარგად უწყით, რომ მას კიდევ ერთი ზნეცა სჭირს: თუ ერთხელ ვინმე მოიძულა, გული აღარ მოუბრუნდება მასზე. ჰოდა, ალბათ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში არ წარმოუთქვამს იმდენი შეურაცხმყოფელი სიტყვა, რამდენიც ჩვენი თანდასწრებით საცოდავ მონსინიორ ჩიტადინის უთხრა. ყოველდღე მოწმე ვართ ასეთი ცუდი მოპყრობისა, და სირცხვილით ვიწვით მონსინიორის უმაღლესი ღირსებების შელახვის გამო.

_ დიახ, მართალია, _ მიუგებდნენ აღშფოთებული მონაზვნები, _ მაგრამ ის ხომ ყოველდღე მოდის. ესე იგი, აქ არც ისე ცუდად ექცევიან. ყოველ შემთხვევაში, ეს სამიჯნურო კავშირის მსგავსი დამოკიდებულება ლაქას სცხებს ჩვენი ვიზიტაციონეს ორდენის კეთილ სახელს.

ყველაზე მკაცრი ბატონი იმის მეათედსაც კი არ ლანძღავს თავის ჩერჩეტ მსახურს, რამდენსაც ქედმაღალი წინამძღვარი თათხავდა ესოდენ ტკბილმოუბარ ახალგაზრდა ეპისკოპოსს. მაგრამ ის შეყვარებული იყო და თავისი ქვეყნის უპირველეს ადათს მისდევდა: თუ კაცმა რაიმე საქმე წამოიწყო, მას ბოლომდე უნდა მიჰყვეს, სულერთია, როგორი ხერხებითო.

_ ბოლოს და ბოლოს, _ ეუბნებოდა ეპისკოპოსი თავის მესაიდუმლე ჩეზარე დელ ბენეს, _ ზიზღის ღირსი მხოლოდ ის შეყვარებულია, ვინც მიზნის მიღწევაზე ფიქრს თავს მანამ ანებებს, სანამ განსაკუთრებულად დაუძლეველ გარემოებას წააწყდება.

ახლა ჩემი სავალალო ამოცანა ის არის, რომ გადავიდე სასამართლო პროცესის აღწერაზე, რომელიც აუცილებლობის გამო მოკლე და მშრალი იქნება. მას ელენის სიკვდილი მოჰყვა შედეგად. ეს პროცესი, რომელიც შეიცავს რვა ტომს in folio, ერთ წიგნთსაცავში წავიკითხე, ოღონდ მისი სახელწოდება აქ არ უნდა ვახსენო. დაკითხვა და მსჯელობა მოცემულია ლათინურ ენაზე, პასუხები _ იტალიურზე.

საბუთებიდან ჩანს, რომ 1572 წელს, ასე, საღამოს თერთმეტ საათზე, ახალგაზრდა ეპისკოპოსი მარტო მივიდა ეკლესიის კართან, რომელიც მთელი დღე ღია იყო მორწმუნეთათვის. წინამძღვარმა თვითონვე გაუღო კარი და ნება მისცა, მას გაჰყოლოდა. ქალმა ეპისკოპოსი მიიღო ოთახში, სადაც ხშირად იმყოფებოდა ხოლმე. ეს ოთახი საიდუმლო კარით გადიოდა ქანდარაზე, რომელიც ეკლესიის კარიბჭეს გადმოჰყურებს. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ სახტად დარჩენილი ეპისკოპოსი დაითხოვეს. წინამძღვარმა თვითონვე მიაცილა ეკლესიის კარამდე და შემდეგი სიტყვები უთხრა:

_ ახლავე დამტოვეთ და თქვენს სასახლეში დაბრუნდით. მშვიდობით, მონსინიორ, ზიზღის გრძნობას მგვრით: ასე მგონია, თითქოს ლაქიას დავნებდი.

სამი თვის შემდეგ კარნავალის დროც მოვიდა. კასტროს მცხოვრებლებს ბადალი არ ჰყავდათ საკარნავალო დღესასწაულების მოწყობაში. ამ დღეებში მთელ ქალაქში სამასკარადო ფუსფუსი იდგა, ყველას უნდოდა გავლა პატარა სარკმლის წინ, რომელიც სუსტი შუქით ანათებდა მონასტრის საჯინიბოს. სამი თვით ადრე, ვიდრე კარნავალი დაიწყებოდა, ეს საჯინიბო დარბაზად გადააკეთეს და მასკარადის დღეებში ხალხით იყო გაჭედილი. ერთ ასეთ დღეს, როცა ქუჩებში მხიარული ბრბო ირეოდა, ეპისკოპოსმა გაიარა თავისი კარეტით. წინამძღვარმა მას ნიშანი მისცა და მეორე ღამეს პირველ საათზე ეპისკოპოსი ეკლესიის შესასვლელთან გაჩნდა. ის შევიდა, მაგრამ ორმოცდახუთი წუთიც არ გასულიყო, რომ წყრომით უკან გამოაგდეს. მოყოლებული პირველი პაემნიდან,

რომელიც ნოემბრის თვეში მოხდა, ეპისკოპოსი კვირაში ერთხელ მაინც მოდიოდა მონასტერში. მის სახეზე შეიძლებოდა ამოგეკითხათ თვითკმაყოფილება და სულელური გამომეტყველება, რაც არავის თვალს არ ეპარებოდა და მეტად შეურაცხყოფდა ამპარტავანი ხასიათის ახალგაზრდა წინამძღვარს. აღდგომის ორშაბათს ის ეპისკოპოსს ისე მოექცა, როგორც უკანასკნელ ადამიანს და ისეთი სიტყვები მიახალა, რომელთაც მონასტრის ყველაზე უბადრუკი დღიური მუშაც კი არ მოითმენდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე დღის შემდეგ წინამძღვარმა ლამაზ-ლამაზ ეპისკოპოსს ისევ ნიშანი მისცა და მანაც არ დააყოვნა შუაღამისას ეკლესიის კართან მისვლა. ქალმა იმისთვის დაუძახა, რომ შეეტყობინებინა, ორსულად ვარო. ამ ცნობაზე, როგორც პროცესშია ნათქვამი, ეპისკოპოსს შიშისგან ფერი ეცვალა და ყოველგვარი მოსაზრების უნარი დაკარგა. წინამძღვარს ციებ-ცხელება დაეწყო; მკურნალს დაუძახა და თავისი მდგომარეობა გაუმხილა. ამ კაცმა იცოდა, თუ რა ხელგაშლილი ადამიანი იყო წინამძღვარი და შეჰპირდა, გიხსნი ამ გასაჭირიდანო. ექიმმა თავდაპირველად ერთი ახალგაზრდა და ლამაზი გლეხის ქალი გაუგზავნა, რომელიც, მართალია, ხელობით ბებიაქალი არ იყო, მაგრამ საკმარისად დაოსტატებული გახლდათ ამ საქმეში. მისი ქმარი მეფუნთუშე იყო. ელენი კმაყოფილი დარჩა ამ ქალთან მოლაპარაკების შედეგად. მოსულმა უთხრა, იმ გეგმის შესასრულებლად, რომლის შემწეობითაც თქვენი გადარჩენა მწადია, საჭიროა მონასტერში ორი კეთილსაიმედო ქალი ვიპოვნოთო.

_ თუ ესენი თქვენი წოდების ქალები იქნებიან, დიდი სიამოვნებით, მაგრამ ჩემისთანებს კი არასოდეს ვენდობი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

ბებიაქალი წავიდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ელენმა გადაწყვიტა, რომ ამ ქალს თავისი ლაქლაქით შეეძლო საქმე გაეფუჭებინა. ექიმს დაუძახა, რომელმაც ისევ გაუგზავნა ბებიაქალი მონასტერში, სადაც ის უხვად დააჯილდოვეს. ქალმა დაიფიცა, მეორედაც რომ არ გეხმეთ, მაინც არ გავთქვამდი ჩემთვის მონდობილ საიდუმლოსო, მაგრამ ხელახლა დასძინა, თუ შიგ მონასტერში ვერ იპოვით ორ ისეთ ქალს, რომლებიც წინამძღვრის ერთგულნი არიან და ყველაფერი იციან, ამ საქმეში ვერ გავერევიო (აშკარად იყო, ეშინოდა ბავშვის მკვლელობაში არ დაედოთ ბრალი). დიდი ხნის ფიქრის შემდეგ წინამძღვარმა გადაწყვიტა შემზარავი საიდუმლო თავისი თანაშემწისათვის _ სინიორა ვიტორიასთვის გაენდო, რომელიც დუკა დე კ.-ს კეთილშობილი გვარის შთამომავალი იყო. უნდა გაემხილა სინიორა ბერნარდასთვისაც, მარკიზ პ.-ს ქალიშვილისთვის. წინამძღვარმა ისინი სახარებაზე დააფიცა, რომ ეკლესიის სასამართლოზეც კი სიტყვა არ

წამოსცდებოდათ იმაზე, რასაც ახლა მათ შეატყობინებდა. ეს ქალბატონები შიშისაგან გაქვავდნენ. მათ დაკითხვაზე აჩვენეს, რაკი ვიცოდით წინამძღვრის ამპარტავანი ხასიათი, ველოდით, რომ მკვლელობაში გამოგვიტყდებოდაო. ქალმა მათ ცივად და უბრალოდ უთხრა:

_ ჩემი აღთქმა დავარღვიე. ორსულადა ვარ.

სინიორა ვიტორია საშინლად აღელვებული იყო. მის გრძნობებს ამოძრავებდა მეგობრობა, რომელიც ამდენი წლის განმავლობაში აკავშირებდა ელენთან და არა უბრალო ცნობისმოყვარეობა. თვალზე ცრემლმორეულმა შესძახა:

_ კი მაგრამ, ვინ არის ის უტიფარი, რომელმაც ეს ბოროტმოქმედება ჩაიდინა?

_ ეგ ჩემი მოძღვრისთვისაც არ გამიმჟღავნებია. თვითონვე განსაჯეთ, როგორ შემიძლია თქვენ გითხრათ?

მონაზვნებმა მაშინვე იმაზე დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ მოეხერხებინათ, რომ ეს საშინელი საიდუმლო მთელ მონასტერს არ გაეგო. გადაწყვიტეს, რომ უწინარეს ყოვლისა, წინამძღვრის საწოლი მისი ახლანდელი სენაკიდან, რომელიც მონასტრის ცენტრალურ ადგილას მდებარეობდა, აფთიაქში გადაეტანათ, მონასტრის ყველაზე დაშორებულ ადგილას, ვეებერთელა შენობის მეოთხე სართულზე, ელენის სახსრებით რომ იყო აგებული. სწორედ აქ გააჩინა ელენმა პატარა ბიჭი. მეფუნთუშის ცოლი სამი კვირის განმავლობაში სინიორა ვიტორიას ოთახებში იმალებოდა. როცა ქალს ბავშვი მონასტრის ეზოში სირბილით მიჰყავდა, მან ტირილი მორთო და შეშინებული ბებიაქალი სარდაფში დაიმალა. ერთი საათის შემდეგ სინიორა ბერნარდამ ექიმის დახმარებით ბაღის პატარა ჭიშკრის გაღება მოახერხა. მეფუნთუშის ცოლი საჩქაროდ მონასტრიდან გავიდა და მალე მთლად დატოვა ქალაქი. როცა ქალი ტრიალ მინდორში გავიდა, საშინელმა შიშმა მოიცვა და კლდეში გამოჭრილ ერთ მღვიმეს შეაფარა თავი. წინამძღვარმა ეს ამბავი ეპისკოპოსის კამერდინერს და მესაიდუმლეს, ჩეზარე დელ ბენეს მისწერა და ისიც მინიშნებული ადგილისკენ გაეშურა. დელ ბენე ცხენზე იჯდა; ბავშვი აიყვანა და მონტეფიასკონესკენ გააჭენა. ბავშვი წმინდა მარგარიტას ეკლესიაში მონათლეს და სახელად ალექსანდრო დაარქვეს. დიასახლისმა, ვისთანაც გაჩერდნენ, ძიძა იშოვა, რომელსაც ჩეზარემ რვა ეკიუ მისცა. ეკლესიის გარშემო ქალები იყვნენ შეკრებილნი ნათლობის დროს. ისინი ხმამაღლა ყვიროდნენ და მოითხოვდნენ, ჩეზარეს მათთვის ბავშვის მამის სახელი ეთქვა.

_ ეს ერთი რომაელი დიდებულია, თქვენისთანა გლეხის ქალი შეაცდინა, _ მიუგო მან და გაქრა.

VII

ერთხანს სიმშვიდე სუფევდა უზარმაზარ მონასტერში, სადაც სამასი ცნობისმოყვარე ქალი ცხოვრობდა. არავის არაფერი დაუნახავს, არაფერი გაუგონია. მაგრამ წინამძღვარმა ექიმს რამდენიმე მუჭა რომში ახლადმოჭრილი ცეხინი მისცა, ექიმმა კი რამდენიმე ცეხინი მეფუნთუშის ცოლს გადაუხადა. ეს ქალი ლამაზი იყო, ქმარი კი ეჭვიანი ჰყავდა. ერთხელ, როცა მის სკივრში იქექებოდა, ბრჭყვიალა ოქროს მონეტები იპოვა, წარმოიდგინა, რომ ეს მისი შემარცხვენელის გასამრჯელო იყო, ცოლს ყელზე დანა მიაბჯინა და ჰკითხა, საიდანა გაქვს ეს ფულიო. ქალმა ცოტა ხანს სცადა თავის დაძვრენა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი დაფქვა და მშვიდობაც დამყარდა. ცოლ-ქმარმა თათბირი დაიწყეს, თუ რაზე მოეხმარათ ეს თანხა. ცოლს უნდოდა ვალები გადაეხადა, ქმარმა კი ჯორის ყიდვა ამჯობინა. ასეც მოიქცნენ. იმ ჯორმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მათი უბნის მცხოვრებთა შორის, რადგანაც კარგად იცოდნენ, რა ხელმოკლედ ცხოვრობდა ცოლ-ქმარი. ქალაქის ყველა მეჭორე, მტერი თუ მოყვარე, მეფუნთუშის ცოლთან მოდიოდა და ცდილობდა გაეგო, თუ ვინ იყო ის გულუხვი საყვარელი, ჯორი რომ აჩუქა. მოთმინებიდან გამოსული ქალი ხანდახან პატარა სიმართლესაც კი ჩაურევდა ხოლმე პასუხში. ერთხელ, როცა ჩეზარე ბენემ ბავშვი მოინახულა და მერე წინამძღვართან მივიდა მისი ამბის მოსათხრობლად, ქალი მეტად შეუძლოდ დახვდა, მაგრამ მაინც მილასლასდა ღობესთან და ჩეზარე მწარედ დატუქსა მისი კაცების თავშეუკავებელი ყბედობისათვის. ეპისკოპოსი შიშისაგან ლოგინად ჩავარდა. მილანში ძმებს მისწერა, უსამართლოდ წამიყენეს ბრალდებაო და სთხოვდა, ჩამოდით, მომეშველეთო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ავად იყო, გადაწყვიტა, კასტროდან წასულიყო, მაგრამ წასვლის წინ წინამძღვარს შემდეგი წერილი მისწერა:

«თქვენ იცით, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, საქვეყნოდაა გამოაშკარავებული. ამიტომ, თუ გინდათ გადაარჩინოთ არა მარტო ჩემი კეთილი სახელი, არამედ შესაძლებელია, ჩემი სიცოცხლეც, უფრო დიდი სირცხვილის თავიდან ასაცილებლად, ყველაფერი ორი დღის წინათ გარდაცვლილ ჯოვანი-ბატისტა დოლერის უნდა გადააბრალოთ. უკეთუ ამ საშუალებით საკუთარ პატივს ვერ აღიდგენთ, ჩემს პატივს მაინც არავითარი საფრთხე აღარ დაემუქრება».

ეპისკოპოსმა კასტროს მონასტრის აღმსარებელი დონ ლუიჯი მოიხმო:

_ ეს პირადად სინიორა წინამძღვარს გადაეცით.

როგორც კი წინამძღვარმა ეს სამარცხვინო ბარათი წაიკითხა, ყველა დამსწრეთა წინაშე შესძახა:

_ ასეთ მოპყრობას იმსახურებს ყველა სულელი ქალწული, ვინც სულიერ სილამაზეს ხორციელ სილამაზეს ამჯობინებს!

კასტროს მონასტერში მომხდარმა ამბავმა სწრაფად მიაღწია მრისხანე კარდინალ ფარნეზეს ყურამდე (ის უკვე რამდენიმე წელი იყო, ყველაფრით ცდილობდა ეს სახელი დაემსახურებინა იმისთვის, რომ იმედი ჰქონდა, მომავალ კონკლავზე zelanti კარდინალთა დახმარებას მოიპოვებდა). მან მყისვე ბრძანება მისცა კასტროს პოდესტას, ეპისკოპოსი ჩიტადინი დაეჭირათ. ეპისკოპოსის მსახურთ შეეშინდათ, არ დაგვკითხონო და ყველანი გაიქც-გამოიქცნენ, მარტო ჩეზარე დელ ბენე დარჩა თავისი ბატონის ერთგული და შეჰფიცა, გინდაც მაწამონ, უმალ მოვკვდები და ერთი სიტყვითაც არ გაგცემო. როცა ჩიტადინიმ დაინახა, რომ მის სასახლეს მცველებმა ალყა შემოარტყეს, ისევ მისწერა თავის ძმებს და ისინიც მაშინვე ჩამოვიდნენ მილანიდან, მაგრამ მათი ძმა უკვე რონჩილიონეს სატუსაღოში იჯდა.

პროცესის საბუთებში წავიკითხე, რომ პირველ დაკითხვაზე წინამძღვარმა აღიარა თავისი დანაშაული, მაგრამ უარი თქვა, მონსინიორ ეპისკოპოსთან არ შემიცოდავსო. მან აჩვენა, რომ მისი საყვარელი იყო მონასტრის ვექილი ჯოვანი-ბატისტა დოლერი.

1573 წლის 9 სექტემბერს გრიგოლ XIII-მ ბრძანება გასცა, პროცესი რაც შეიძლება, ჩქარა დაეწყოთ და რაც შეიძლება, მკაცრად ჩაეტარებინათ. სისხლის სამართლის მოსამართლე, ფისკალი და კომისარი კასტროსა და რონჩილიონეში გამოემგზავრნენ. ეპისკოპოსის სახლთუხუცესი ჩეზარე დელ ბენე მხოლოდ იმაში გამოტყდა, რომ ჩვილი ბავშვი ძიძასთან წაიყვანა. იგი დაჰკითხეს მონაზვნების, ვიტორიასა და ბერნარდას თანდასწრებით. ორი დღე სასტიკად აწამეს. საშინლად დაიტანჯა, მაგრამ თავისი სიტყვის ერთგული დარჩა და მხოლოდ იმაში გამოტყდა, რისი უარყოფაც შეუძლებელი იყო. ფისკალმა ამის მეტი ერთი სიტყვაც ვერ ამოგლიჯა.

როცა ჯერი მონაზვნებზე _ ვიტორიასა და ბერნარდაზე მიდგა, რომლებმაც ჩეზარეს წამებას ესწრებოდნენ, ესენი მაშინვე ყველაფერში გამოტყდნენ. ყველა მონაზონი დაჰკითხეს, რომ შეეტყოთ დამნაშავის ვინაობა. უმრავლესობამ უპასუხა, ხმები დადიოდა, რომ ეს მონსინიორ ეპისკოპოსი იყოო. ერთ-ერთმა მეკარე დამ მოიგონა შეურაცხმყოფელი სიტყვები, წინამძღვარმა ეპისკოპოსს გასტუმრებისას რომ უთხრა ეკლესიის შესასვლელში, თან დასძინა: როცა ქალი და კაცი ერთმანეთს ასეთნაირად ელაპარაკებიან, ეს იმას ნიშნავს,

დიდი ხანია, ერთმანეთს ეკურკურებიანო. მართლაც, მონსინიორ ეპისკოპოსი, ვისაც სახეზე მუდამ კმაყოფილება ეხატა, ეკლესიიდან გასვლისას გაცბუნებულს ჰგავდაო.

ერთმა მონაზონმა, რომელიც წამების იარაღებთან დაჰკითხეს, უპასუხა, დანაშაულის ჩამდენი კატა უნდა იყოს, რადგანაც წინამძღვარს ის გამუდმებით მუხლებზე უზის და ბევრს ეალერსებაო. მეორე მონაზონმა განაცხადა, დამნაშავე უთუოდ ქარია, რადგან იმ დღეებში, როცა ქარი ქროდა, წინამძღვარი კარგ გუნებაზე იყო ხოლმეო. ამ დროს ის აივანზე გადიოდა, რომელიც საგანგებოდ მისთვის ააგესო, და როცა იმ ადგილს რაიმე წყალობისთვის მიმართავდით, არასდროს უარს არ გეტყოდათო. ჩეზარეს წამებით დაშინებულმა მეფუნთუშის ცოლმა, ძიძამ, მონტე-ფიასკონეს დედაკაცებმა, ყოველივე აღიარეს.

რონჩილიონეში დამწყვდეული ახალგაზრდა ეპისკოპოსი ავად იყო, ან თავს იკატუნებდა. ამან მის ძმებს საბაბი მისცა სინიორა დე კამპირეალის დიდი დახმარებითა და გავლენიანობით რამდენჯერმე ჩავარდნოდნენ პაპს ფეხებში და ეთხოვათ, სასამართლო პროცესი ეპისკოპოსის გამოჯანმრთელებამდე გადაედოთ. ამის საპასუხოდ მრისხანე კარდინალმა ფარნეზემ დარაჯები გაამრავლა სატუსაღოში, სადაც ეპისკოპოსი იმყოფებოდა, ვინაიდან ჩიტადინის დაკითხვა შეუძლებელი იყო. კომისრები სასამართლოს ყოველ სხდომას წინამძღვრის ხელახალი დაკითხვით იწყებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, როცა დედამ თხოვნა გადასცა, თავი მაგრად დაეჭირა და უარყოფა განეგრძო, ელენი ყველაფერში გამოტყდა.

_ რატომ დააბრალეთ თავდაპირველად ყველაფერი ჯოვანი-ბატისტა დოლერის?

_ სულმდაბალი ეპისკოპოსი შევიცოდე. ეგეც არ იყოს, თუ მან თავისი ძვირფასი სიცოხლის გადარჩენა მოახერხა, ჩემი ვაჟიშვილის პატრონობას შეძლებს.

ამ აღიარების შემდეგ წინამძღვარი კასტროს მონასტრის ერთ საკანში ჩაკეტეს. კედლებსა და თაღებს რვა ფუტის სისქე ჰქონდა. მონაზვნები იმ კარცერს ძრწოლვით ახსენებდნენ და «ბერების საკანს» ეძახდნენ. წინამძღვარს იქ დღედაღამ სამი მონაზონი დარაჯობდა.

როგორც კი ეპისკოპოსმა მოიკეთა, ის სამასი სბირის თანხლებით რონჩილიონეს საპყრობილედან რომში გადაიტანეს საკაცით. ჩიტადინი კორტე საველას საპყრობილეში ჩასვეს. რამდენიმე დღის შემდეგ მონაზვნებიც გადაიყვანეს რომში. წინამძღვარი სანტა-მართას მონასტერში მოათავსეს. კიდევ ოთხ მონაზონს ედებოდა ბრალი: სინიორა ვიტორიას და სინიორა ბერნარდას, მეკარე დას და ეკლესიის მეეზოვე ქალს, რომელმაც

თავისი ყურით გაიგონა შეურაცხმყოფელი სიტყვები, რითაც წინამძღვარმა ეპისკოპოსს მიმართა.

ეპისკოპოსი დაჰკითხა პალატის აუდიტორმა, რომის სასამართლოს ერთ-ერთმა უზენაესმა პიროვნებამ. უბედური ჩეზარე დელ ბენე ისევ აწამეს, რომელიც არამცთუ არ გამოტყდა არაფერში, ხელისუფლების საგინებელ სიტყვებსაც კი ამბობდა, რის გამოც კიდევ ერთხელ აწამეს. წინასწარი წამება მიაყენეს აგრეთვე მონაზვნებს - ვიტორიასა და ბერნარდას. ეპისკოპოსი სულელურად, მაგრამ შეუპოვრად უარყოფდა ყოველივეს. ის ძალიან დაწვრილებით ჰყვებოდა, თუ რას აკეთებდა იმ სამი საღამოს განმავლობაში, რომლებიც, როგორც ცნობილი იყო, წინამძღვართან გაატარა.

ბოლოს, წინამძღვარი და ეპისკოპოსი ერთმანეთს პირში წაუყენეს და თუმცა ელენი ერთთავად სიმართლეს ლაპარაკობდა, ის მაინც აწამეს. რაკი ქალი დაწყებული პირველი აღიარებიდან სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა, თავისი როლის ერთგული ეპისკოპოსი მას ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდა.

მრავალ სხვა ღონისძიებათა შემდეგ, რომელნიც არსებითად სამართლიანნი იყვნენ, მაგრამ სისასტიკის ის დაღი ესვათ, რაც კარლოს V-ისა და ფილიპე II-ის მეფობის შემდეგ ხშირად ჭარბობდა იტალიის ტრიბუნალებში, ეპისკოპოსს მისჯილ ექნა სამიდღემჩიო პატიმრობა წმ. ანგელოზის ციხესიმაგრეში, ხოლო წინამძღვარს მიესაჯა მთელი თავისი ცხოვრება წმ. მართას მონასტერში გაეტარებინა, სადაც ის იმხანად იმყოფებოდა. მაგრამ სინიორა დე კამპირეალიმ ქალიშვილის გადასარჩენად დაუყოვნებლივ მიწისქვეშა გვირაბის გათხრა დააწყებინა. ეს გასასვლელი იწყებოდა ერთ-ერთ ჩასადენ მილთან, რაც ანტიკური რომის ბრწყინვალების ნაშთი იყო, ხოლო მისი ბოლო უნდა მისულიყო ღრმა აკლდამასთან, სადაც წმ. მართას მონაზონთა ნეშტს დებდნენ ხოლმე. ამ ორი ფუტის სიგანის გვირაბს ორივე მხრიდან ფიცრებს აყოლებდნენ, რომ მარჯვნივ და მარცხნივ მიწა არ ჩაშლილიყო, ხოლო თაღი კეთდებოდა A ასოს მსგავსად დაწყობილი ფიცრის ბიჯგებით.

ეს გვირაბი მიწისქვეშ დაახლოებით ოცდაათი ფუტის სიღრმეზე ითხრებოდა. ყველაზე ძნელი იყო მისთვის საჭირო მიმართულების მიცემა. ყოველ ნაბიჯზე ძველი ჭები და ძველისძველ ნაგებობათა საძირკვლები ხვდებოდათ და მიწის მთხრელები იძულებული იყვნენ, პირდაპირი ხაზიდან გადაეხვიათ. მეორე დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ამონათხარი მიწა, რომელიც არ იცოდნენ, სად წაეღოთ. ღამღამობით მიწას რომის ქუჩებში

ყრიდნენ. ხალხი გაკვირვებული იყო ამოდენა მიწით, რომელიც თითქოს ზეციდან ცვიოდა.

რაოდენ დიდი ხარჯებიც უნდა გაეღო სინიორა დე კამპირეალის თავისი ქალიშვილის გამოსახსნელად, მის მიწისქვეშა გასასვლელს მაინც აუცილებლად აღმოაჩენდნენ, მაგრამ 1585 წელს პაპი გრიგოლ XIII გარდაიცვალა და ვიდრე ახალ პაპს აირჩევდნენ, რომში უწესრიგობა გამეფდა.

ელენი თავს ძალიან ცუდად გრძნობდა წმ. მართას მონასტერში. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ცდილობდნენ უბრალო, ღარიბი მონაზვნები დაემცირებინათ მდიდარი წინამძღვარი, რომელიც ესოდენ დიდ დანაშაულში იყო მხილებული. ელენი მოუთმენლად ელოდა, როდის დამთავრდებოდა დედამისის მიერ წამოწყებული სამუშაოები. მაგრამ მისი გული მოულოდნელმა განცდებმა დაფლითა. უკვე ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ფაბრიციო კოლონამ, რაკი იცოდა გრიგოლ XIII-ის ჯანმრთელობა შერყეული იყო, ხოლო უმეფობის დროს საკუთარი გეგმების შესრულება უნდოდა, ერთ-ერთი თავისი კაცი ჯულიო ბრანჩიფორტესთან გაგზავნა, რომელიც ახლა ესპანეთის არმიაში დიდად ცნობილი იყო პოლკოვნიკ ლიძარას სახელით. კოლონა მას იტალიაში დაბრუნებას უთვლიდა. ჯულიოს გაგიჟებამდე უნდოდა თავისი ქვეყნის ნახვა. ის გამოცვლილი სახელით ჩამოვიდა პესკარაში, ადრიატიკის ზღვის პატარა პორტში, რომელიც კიეტას ახლოს, აბრუცის ოლქში მდებარეობდა, და მთების გზით პეტრელაში მივიდა. თავადის სიხარულმა ყველა განცვიფრებაში მოიყვანა. მან ჯულიოს უთხრა, იმისთვის გამოგიძახე, რომ ჩემს მემკვიდრედ გამოგაცხადო და ჩემი ჯარისკაცების უფროსობა დაგაკისროო. ბრანჩიფორტემ ამაზე მიუგო, თუ სამხედრო თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ეგ გეგმა არაფრად არ ვარგაო, და ეს შემდეგი მოსაზრებით დაამოწმა: თუკი ესპანეთი ამას მოინდომებს, ექვს თვეში სულ იოლად გაანადგურებს იტალიის ყველა დაქირავებულ ჯარებსო.

_ მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, _ დაუმატა ბრანჩიფორტემ, _ თუ თქვენ გსურთ, თავადო, მზად ვარ დაგემორჩილოთ. თქვენ ჩემი სახით მუდამ გეყოლებათ ჩამპისთან მოკლული მამაცი რანუჩოს მემკვიდრე.

ჯულიოს ჩამოსვლის წინ თავადმა კოლონამ ბრძანება გასცა ისე, როგორც მხოლოდ მან იცოდა ბრძანების გაცემა: არც ერთმა კაცმა არ გაბედოს პეტრელაში რამის თქმა კასტროზე და წინამძღვრის პროცესზეო. ერთ სიტყვაზეც ყბედს ყოველგვარი შეწყალების გარეშე სიკვდილით დასჯა ელოდა. გულმხურვალე მეგობრულ საუბარში მან ჯულიოს

უთხრა, უჩემოდ ალბანოში ნუ წახვალ, მეც გამოგყვებიო; იქ კი ასეთი ღონისძიებები მიიღო: ქალაქი ათასი თავისი კაცით დაიკავა, ხოლო რომის გზაზე ათას ორას კაციანი ავანგარდი დააყენა. ადვილი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა საწყალ ჯულიოს, როცა თავადმა მოხუცი სკოტი, რომელიც ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მათ ბანაკში მოაყვანინა და იმ ოთახში იხმო, სადაც ისა და ბრანჩიფორტე იმყოფებოდნენ. როგორც კი მეგობრები ერთმანეთს მივარდნენ და გადაეხვივნენ, თავადმა თქვა:

_ ახლა კი, ჩემო საბრალო პოლკოვნიკო, ცუდი ამბების მოსასმენად შეემზადე.

თქვა ესა და სანთელი ჩააქრო. მერე ოთახიდან გავიდა და ორი მეგობარი გასაღებით ჩაკეტა.

მეორე დღეს ჯულიომ, რომელსაც ოთახიდან გამოსვლა აღარ უნდოდა, თავადს შეუთვალა, ნება მომეცით პეტრელაში დავბრუნდე და რამდენიმე ხანს თქვენთან აღარ გამოვჩნდეო. მაგრამ მას შეატყობინეს, რომ თავადი თავისი ჯარით ალბანოდან გამქრალიყო: მას იმ ღამით გრიგოლ XIII-ის სიკვდილი გაეგო, თავისი მეგობარი ჯულიო მიეტოვებინა და სალაშქროდ წასულიყო. ჯულიოს გვერდით ოცდაათიოდე კაციღა აღმოჩნდა რანუჩოს ძველი რაზმელებიდან. ცნობილია, რომ იმ ხანებში, სანამ პაპის ტახტი ცარიელი იყო, კანონები არ მოქმედებდნენ, ყველა ცდილობდა თავისი ვნებები დაეკმაყოფილებინა და მარტო მკლავის ძალა სჭრიდა. ამის გამო თავადმა მზის ჩასვლამდე მოასწრო თავისი ორმოცდაათი მტერი ჩამოეხრჩო; ჯულიო კი, თუმცა მას ორმოცი კაციც კი არა ჰყავდა გვერდით, რომისკენ დაიძრა.

კასტროს წინამძღვრის ყველა მსახური მისი ერთგული დარჩა. ყველანი წმინდა მართას მონასტრის მეზობელ ქოხმახებში დაბინავდნენ საცხოვრებლად. გრიგოლ XIII ერთ კვირას სულთმობრძავი იყო. სინიორა დე კამპირეალი პაპის სიკვდილს მოუთმენლად ელოდა, რათა საერთო არევ-დარევით ესარგებლა და უკანასკნელი ორმოცდაათი ფუტი გაეთხარათ მიწაში. ძალიან შიშობდა, განზრახვა არ გამომჟღავნდესო, რაკი რამდენიმე საცხოვრებელი სახლის სარდაფი უნდა გაეჭრათ.

ბრანჩიფორტეს პეტრელაში ჩამოსვლის ორი დღის შემდეგ ჯულიოს სამი ძველი bravi, რომლებიც ელენმა სამსახურში დაიყენა, თითქოს სიგიჟემ შეიპყრო. მართალია, ყველამ იცოდა, რომ ელენს გაძლიერებული მეთვალყურეობა ჰქონდა და ისეთი მონაზვნები დარაჯობდნენ, რომელთაც ის სძულდათ, ერთ-ერთი bravi _ უგონე, მონასტრის შესასვლელთან მივიდა და დაბეჯითებით მოითხოვა, დაუყოვნებლად ქალბატონთან შემიშვითო, მაგრამ ის გამოაგდეს. სასოწარკვეთილი უგონე კარში ჩადგა,

ყველა მონასტრის მსახურს, ვინც შიგ შედიდა და იქიდან გამოდიოდა, თითო bajoco (სუ) მისცა და ზუსტად შემდეგი სიტყვები უთხრა: «გაიხარეთ ჩემსავით: სინიორ ჯულიო ბრანჩიფორტე დაბრუნდა! ის ცოცხალია, გადაეცით ეს თქვენს მეგობრებს».

ორი ამხანაგი მთელი დღე ამარაგებდა უგონეს ბაიოკოებით და სამივენი მთელი დღე და მთელი ღამე ფულს არიგებდნენ, თან განუწყვეტლივ ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდნენ, სანამ ფული მთლად არ შემოელიათ. მაგრამ ამის შემდეგაც დიდხანს ერთმანეთს ცვლიდნენ, წმინდა მართას მონასტრის ჭიშკარს დარაჯობდნენ, ყოველ გამვლელს ესალმებოდნენ და განუწყვეტლივ იმეორებდნენ: «სინიორ ჯულიო დაბრუნდა»... და სხვა.

ამ მამაცი ვაჟკაცების ჩანაფიქრი კარგად გამართლდა. პირველი ბაიოკოს გაცემიდან ოცდათექვსმეტ საათსაც არ გაუვლია, საბრალო ელენმა თავის დილეგში უკვე იცოდა, რომ ჯულიო ცოცხალი იყო. ამ ცნობამ ელენი კინაღამ ჭკუაზე შეშალა.

_ ო, დედაჩემო! _ შესძახა მან, _ რაოდენ დიდი უბედურება დამატეხეთ თავს!

რამდენიმე საათის შემდეგ გასაკვირველი ამბავი ელენს პატარა მარიეტამაც დაუმოწმა, რომელმაც მთელი თავისი ძვირფასი სამკაულები შესწირა, რათა ნებართვა მიეღო მეკარე დას შეჰყოლოდა საკანში, როცა მას პატიმარ ელენთან საჭმელი შეჰქონდა.

ელენი სიხარულისაგან ცრემლს ღვრიდა და მარიეტას ეხვეოდა.

_ ეს ყველაფერი კარგია, _ უთხრა ელენმა მას, _ მაგრამ აქ დიდხანს ვერ დავრჩები შენთან.

_ თავისთავად ცხადია, _ მიუგო მარიეტამ, _ დარწმუნებული ვარ, როცა ახალი კონკლავი შედგება, პატიმრობას ჩვეულებრივი გადასახლებით შეგიცვლიან.

_ აჰ, ჩემო კარგო, როგორღა შევხვდე ჯულიოს ახლა, როცა ასეთი დანაშაული ჩავიდინე!

ამ ლაპარაკიდან მესამე ღამეს ეკლესიის იატაკის ერთი ნაწილი საშინელი გრუხუნით ჩაინგრა. წმინდა მართას მონაზვნებს ეგონათ, მონასტერი ქვესკნელში ჩაიქცაო. საშინელი ორომტრიალი ატყდა, ყველა ყვიროდა, მიწისძვრააო. ეკლესიის მარმარილოს იატაკის ჩანგრევიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მიწისქვეშა გვირაბიდან ელენის საკანში სამი bravi შემოვიდა, რომელთაც სინიორა დე კამპირეალი მოჰყვებოდა.

_ გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ! _ ყვიროდნენ ისინი.

ელენს თავზარი დაეცა. ეგონა, მათ ჯულიო ბრანჩიფორტე მოჰყვებოდა. მალე დამშვიდდა და მისმა სახემ ჩვეულებისამებრ კუშტი გამომეტყველება მიიღო, როცა

უთხრეს, ჩვენ სინიორა დე კამპირეალის ვახლავართ, ჯულიო კი ჯერ მხოლოდ ალბანოშია, რამდენიმე ათასი ჯარისკაცით რომ დაიკავაო.

ცოტა ხნის შემდეგ თვითონ სინიორა კამპირეალიც გამოჩნდა. დიდის ვაი-ვაგლახით მოდიოდა, თავისი მეჯინიბეთუხუცესის მკლავს ეყრდნობოდა, რომელიც საზეიმო ლივრეაში იყო გამოწყობილი და გვერდზე ხმალი ეკიდა, მაგრამ მისი ტანისამოსი მთლად მიწით იყო ამოსვრილი.

_ ო, ჩემო ძვირფასო ელენ! შენს გადასარჩენად მოვედი! _ შეჰყვირა სინიორა დე კამპირეალიმ.

_ ვინ გითხრათ, თითქოს გადარჩენას ვნატრობდე?

სინიორა დე კამპირეალის თავზარი დაეცა.

საშინლად აღელვებული იდგა და გაშტერებული შესცქეროდა ქალიშვილს.

_ ჩემო ძვირფასო, _ უთხრა ელენს, _ წერა მიკარნახებს ვაღიარო ჩემს მიერ ჩადენილი საქციელი, რაც შესაძლებელია, ბუნებრივია ყველა იმ უბედურებათა შემდეგ, ჩვენს ოჯახს რომ თავს დაატყდა; მაგრამ ახლა ვნანობ და გთხოვ, მაპატიო: ჯულიო... ბრანჩიფორტე... ცოცხალია...

_ სწორედ მაგიტომ არ მინდა სიცოცხლე, ის რომ ცოცხალია.

სინიორა დე კამპირეალი ჯერ ვერ მიხვდა ქალიშვილის სიტყვებს; მერე მას უნაზესი ხვეწნა-ვედრება დაუწყო, მაგრამ ელენისგან პასუხს ვერ ეღირსა: ელენს პირი ჯვარცმისკენ ჰქონდა მიქცეული, ლოცულობდა და დედას არ უსმენდა. მთელი ერთი საათი ეხვეწებოდა სინიორა დე კამპირეალი ელენს, მისთვის ყურადღება მიექცია და რამე ეთქვა, მაგრამ ამაოდ დაშვრა. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა ელენმა უთხრა:

_ სწორედ ამ ჯვარცმის მარმარილოს ქვეშ იყო დამალული მისი წერილები ალბანოში, ჩემს პატარა ოთახში. მერჩივნა, მამაჩემს მაშინ დაერტყა ჩემთვის ხანჯალი! ოქრო დამიტოვეთ და აქედან წადით!

სინიორა დე კამპირეალი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, თუმცა შეშინებული მეჯინიბეთუხუცესი ნიშანს აძლევდა, მაგრამ ელენმა წყრომით შეჰყვირა:

_ ერთი საათით მაინც მომეცით თავისუფლება! სიცოცხლე ხომ მომიწამლეთ, ახლა სიკვდილიც გინდათ მომიშხამოთ?

_ მიწისქვეშა გზა ორ-სამ საათს კიდევ ჩვენს ხელთ იქნება. იმედი მაქვს, ამ დროში აზრს გამოიცვლი! _ შესძახა სინიორა დე კამპირეალიმ ცრემლის ფრქვევით. მერე ისევ მიწისქვეშა გზით წავიდა.

_ უგონე, დარჩი ჩემთან, _ უთხრა ელენმა ერთ-ერთ თავის bravi-ს, _ და კარგად შეიარაღდი, ჩემო ბიჭო; შესაძლებელია, ჩემი დაცვა მოგიხდეს. აბა, მაჩვენე შენი ხმალი, დაშნა და ხანჯალი!

ძველმა მეომარმა თავისი იარაღი აჩვენა: ყველა საგულდაგულოდ იყო ალესილი.

_ ახლა კი აქ დადექი, ჩემი დილეგის შესასვლელში. მე ახლა ჯულიოს დაწვრილებით წერილს მივწერ, რომელიც საკუთარი ხელით უნდა გადასცე. არ მინდა, წერილი შენს გარდა სხვა ვინმეს ჩაუვარდეს ხელში, რადგანაც არაფერი მაქვს, რომ ბეჭედი დავადო. თვითონ შენ შეგიძლია წაიკითხო ყველაფერი, რაც ამ წერილში ეწერება. ეს ოქრო, დედაჩემმა რომ დამიტოვა, ჯიბეში ჩაიწყე, მე თვითონ ორმოცდაათი ცეხინის მეტი არა მჭირდება. აგერ, აქ, ჩემს ლოგინზე დააწყვე.

ამის შემდეგ ელენი წერას შეუდგა:

«მე შენში სრულიადაც ეჭვი არ მეპარება, ჩემო ჯულიო. თუ ამ ქვეყანას მინდა გავცილდე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენს მკლავებში დარდით მოვკვდებოდი, როცა ვიგრძნობდი, თუ რა დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ბედნიერება, ეს შეცდომა რომ არ ჩამედინა. ერთი წუთითაც არ იფიქრო, რომ შენს შემდეგ ქვეყანაზე ვინმე შემყვარებოდეს. პირიქით, ჩემი გული აღსავსე იყო ზიზღით იმ კაცის მიმართ, რომელსაც ჩემს ოთახში ვუშვებდი. ჩემი შეცდომა მხოლოდ და მხოლოდ მოწყენილობითა და კიდევ, შეიძლება, ჩემი თავაშვებულობით აიხსნებოდეს. ნუ დაგავიწყდება, რომ ჩემი გონება დიდად დაუძლურდა მას შემდეგ, რაც ამაოდ ჩაიარა ჩემმა ცდამ პეტრელაში, სადაც თავადი, რომელსაც თაყვანს ვცემდი იმიტომ, რომ შენ გიყვარდა, ასე მკაცრად მომეპყრა. აბა, წარმოიდგინე, თუ რაოდენ დაძაბუნდებოდა ჩემი გონება, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში სიცრუის ქსელში იყო გაბმული. ყველაფერი, რაც გარს მერტყა, იყო სიყალბე და სიცრუე, და მე ეს ვიცოდი. თავდაპირველად, ოცდაათიოდე წერილი მივიღე შენგან: წარმოდგენილი გაქვს, როგორ აღტაცებით ვხსნიდი მათ, მაგრამ როცა წავიკითხავდი, სული მეყინებოდა. კარგად ვაკვირდებოდი შენს ხელწერას, ვცნობდი შენს ხელს, მაგრამ ვეღარ ვცნობდი შენს გულს. გარწმუნებ, ამ პირველმა ტყუილმა იმდენად შესძრა ჩემი ცხოვრების არსი, რომ უკვე არავითარ სიამოვნებას აღარ განვიცდიდი შენი ხელით დაწერილი წერილების გახსნისას! შენი სიკვდილის საზარელმა ცნობამ საბოლოოდ ჩაკლა ჩემში ყველაფერი, რაც კი ჩვენი სიყმაწვილის ბედნიერი დღეებიდან კიდევ მქონდა შემორჩენილი. ჩემი პირველი განზრახვა, თავადაც მიხვდები, ის იყო, რომ მექსიკაში წამოვსულიყავი და საკუთარი ხელით შევხებოდი ზღვის ნაპირს, სადაც, როგორც

მარწმუნებდნენ, ველურებმა მოგკლეს. ნეტავი ეს განზრახვა შემესრულებინა... დღეს ბედნიერები ვიქნებოდით, რადგანაც მადრიდში, რაოდენ მრავალრიცხოვანი და ოსტატური ჯაშუშებიც არ უნდა დაესია ჩემთვის ჩემს გონებაფხიზელ დედას, იქნებ, მაინც გამეგო სიმართლე. ეჭვი არ მეპარება, რომ ბევრია ისეთი კეთილი და გულშემატკივარი ადამიანი, ვის გულშიც შევძლებდი სიბრალულის გაღვიძებას. ჩემო ჯულიო, შენმა საგმირო საქმეებმა საქვეყნოდ გაგითქვეს სახელი და შესაძლებელია, მადრიდში ვინმეს სცოდნოდა, რომ შენ ბრანჩიფორტე იყავი. გინდა იცოდე, ვინ შეუშალა ხელი ჩვენს ბედნიერებას? უწინარეს ყოვლისა, თავადის მკაცრმა და დამამცირებელმა მიღებამ პეტრელაში. რამდენი დაბრკოლების გადალახვა მომიხდებოდა კასტროდან მექსიკაში მოგზაურობის დროს! როგორც ხედავ, ჩემი სულიერი ძალების დიდი ნაწილი დაიშრიტა. შემდეგ პატივმოყვარეობის გრძნობამ მომიცვა. მონასტერში ბევრი დიდი შენობა ავაგებინე, რათა შესაძლებლობა მქონოდა მეკარე დის ოთახი დამეკავებინა, სადაც იმ შეტაკების ღამეს შენ შეაფარე თავი. ერთ დღეს მე ჩავყურებდი იმ მიწას, რომელსაც ოდესღაც ჩემი გულისთვის ასვი შენი სისხლი. უეცრად მძულვარების სიტყვები გამაგონეს. თავი ავწიე და გაბოროტებული სახეები დავინახე. შურის საძიებლად გადავწყვიტე წინამძღვარი გავმხდარიყავი. დედაჩემმა, რომელმაც შესანიშნავად იცოდა, რომ ცოცხალი იყავი, რა არ იღონა, რომ ეს ახირებული დანიშნულება მოეპოვებინა ჩემთვის. ეს ადგილი ჩემთვის მხოლოდ უსიამოვნებების წყარო შეიქნა: მან საბოლოოდ გახრწნა ჩემი სული. მე სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა ძალაუფლების გამოყენებით სხვებს ვაუბედურებდი, უსამართლობას ჩავდიოდი. ოცდაათი წლისა საზოგადოების თვალში სათნო, მდიდარი, ყველასათვის პატივსაცემი ადამიანი ვიყავი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან უბედურიც. და მაშინ გამოჩნდა ეს საცოდავი კაცი, რომელიც თუმცა გულით კეთილი იყო, მაგრამ ამასთანავე სისულელის განსახიერება გახლდათ. მისი სისულელის გამო იყო, რომ როცა პირველად გამიმჟღავნა სიყვარული, არ შევრისხე. შენი წასვლის დროიდან იმდენად მეზიზღებოდა ყველაფერი, რაც გარს მეხვია, რომ სულ მცირე ცთუნებასაც კი ვერ გავუძელი. როგორ გაგიმხილო ერთი საკმაოდ სათაკილო ამბავი? მაგრამ, ვფიქრობ, როცა ადამიანი ცოცხალი აღარ არის, მისთვის ყველაფერი საპატიებელია. როცა ამ სიტყვებს წაიკითხავ, ეს ჩემი ეგრეთწოდებული სილამაზე, რომელიც მარტოოდენ შენი კუთვნილება უნდა ყოფილიყო, მატლების კერძი იქნება. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გამოგიტყდე ჩემს დიდ დანაშაულში? ვერ ვხედავდი მიზეზს, რატომ არ უნდა მეგემნა ხორციელი სიყვარული, როგორც ამას რომაელი მანდილოსნები სჩადიან. დიახ, ეს აზრები

სიმრუშე იყო, მაგრამ ყოველთვის, როცა იმ კაცს ვნებდებოდი, ზიზღის გრძნობას განვიცდიდი, რაც ყოველგვარ სიამოვნებას სპობდა. სულ მუდამ ჩემს გვერდით გხედავდი, ჩვენი ალბანოს პალაცოს ბაღში, სადაც ღვთისმშობელმა ის თითქოს კეთილშობილი აზრი ჩაგინერგა, რამაც შემდგომში დედაჩემის წყალობით აგრერიგად გააუბედურა ჩვენი ცხოვრება. როცა თვალწინ წარმომიდგებოდი ხოლმე, აღარ მემუქრებოდი, ნაზი და კეთილი იყავი, როგორც ყოველთვის. შენ მიყურებდი. მაშინ საშინელი გულისწყრომა შემიპყრობდა ხოლმე იმ კაცის მიმართ და რაც ძალა და ღონე მქონდა, ვურტყამდი. აი, მთელი სიმართლე, ჩემო ძვირფასო ჯულიო. არ მინდოდა ისე მოვმკვდარიყავი, შენთვის ეს არ მეთქვა. იმასაც ვფიქრობდი, ეგების ამ გასაუბრებამ ჯულიოსთან სიკვდილის განზრახვაზე ხელი ამაღებინოს-მეთქი. მაგრამ ახლა უკეთესად დავინახე, რაოდენ უსაზღვრო იქნებოდა ჩემი სიხარული ჩვენი შეხვედრისას, შენი ღირსი რომ დავრჩენილიყავი. გიბრძანებ, იცოცხლო და სამხედრო კარიერა განაგრძო; შენი გმირობის ამბავმა დიდი სიხარული მომგვარა. რა მოხდებოდა, ღმერთო დიდებულო, შენგან წერილები რომ მიმეღო, მეტადრე ახენის ბრძოლის შემდეგ! იცოცხლე და ხშირად მოიგონე ჩამპისთან დაღუპული რანუჩო და ელენი, რომელიც წმ. მართას მონასტერში მოკვდა, რათა შენს თვალებში საყვედური არ ამოეკითხა».

როცა წერა დაამთავრა, ელენი ჯარისკაცს მიუახლოვდა; მას ჩასძინებოდა. ელენმა ხანჯალი ფრთხილად მოხსნა ისე, რომ სტუმარს არც კი შეუმჩნევია, და მერე გააღვიძა:

_ წერილი დავამთავრე, _ უთხრა ელენმა უგონეს, _ მეშინია, ჩვენმა მტრებმა მიწისქვეშა გზა არ დაიკავონ. ეს წერილი აიღე, ჩქარა წადი და ჯულიოს შენი ხელით გადაეცი, საკუთარი ხელით, გესმის? აი, ეს ცხვირსახოციც მიეცი ჩემგან და უთხარი, რომ ამ წუთშიც ისევე მიყვარს, როგორც უწინ მიყვარდა, რომ ყოველთვის მიყვარდა, გესმის, ყოველთვის!

უგონე იდგა და ადგილიდან არ იძვროდა.

_ გასწი, რაღას უყურებ!

_ სინიორა, კარგად მოიფიქრეთ ყველაფერი? სინიორ ჯულიოს ისე უყვარხართ!

_ მეც მიყვარს იგი, წერილი წაიღე და საკუთარი ხელით გადაეცი.

_ გწყალობდეთ ღმერთი თქვენი სიკეთისათვის!

უგონე წავიდა, მაგრამ უმალვე უკან შემობრუნდა: ელენი უკვე მკვდარი იყო, მას ხანჯალი ჰქონდა გულში გაყრილი.

შენიშვნები

იტალიური ქრონიკები

ვანინა ვანინი

გვ. 611. კარბონაროები _ წევრები საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციისა, რომელიც XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოქმედებდა.

გვ. 612. წმინდა ანგელოზის ციხე _ ასე ეწოდებოდა რომის სახელმწიფო სატუსაღოს, რომელიც ვატიკანის სასახლეს ემიჯნებოდა.

გვ. 613. სულა (136-78 ძვ. წ.) _ რომაელი დიქტატორი, არისტოკრატიული პარტიის მეთაური, რომელმაც საშინელი სისასტიკით დააცხრო დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგობა, მაგრამ სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მოულოდნელად უარი თქვა ხელისუფლებაზე.

გვ. 624. ცეხინი _ ოქროს მონეტა, რომელიც ხმარებაში იყო იტალიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

გვ. 630. ვატიკანი – ვატიკანის სასახლე, რომის პაპის რეზიდენცია.

ჩენჩი

გვ. 641. პაპი კლემენტ VIII, ალდობრანდინი _ იპოლიტო ალდობრანდინი პაპად იყო 1592-1605 წლებში. ცნობილი იყო თავისი მზაკვრული ხასიათით და უპრინციპობით. მის დროს ნეპოტიზმს უდიდესი გასავალი ჰქონდა და ალდობრანდინის გვარს დიდძალ შემოსავალს აძლევდა.

გვიდო რენი (1575-1642) _ გამოჩენილი იტალიელი მხატვარი, ავტორი მითოლოგიურ და რელიგიურ სიუჟეტებზე დახატული სურათებისა.

გვ. 643. გრიგოლ XIII, ბუონკომპანი _ უგო ბუონკომპანი პაპად იყო 1572-1582 წლებში. მისდევდა უკიდურესად რეაქციულ პოლიტიკას, ყოველი ღონით ცდილობდა სხვა ქვეყნებშიაც გაევრცელებინა კათოლიციზმი.

სიქსტე V _ რომის პაპი (1585-1590), პერეტის გაღარიბებული გვარის წარმომადგენელი. 1570 წელს კარდინალის წოდება მიიღო. გრიგოლ XIII-ის სიკვდილის

შემდეგ 1585 წელს მედიჩთა შემწეობით პაპის ტახტზე იქნა აყვანილი. ეს ფანატიკურად განწყობილი კაცი სასტიკად სდევნიდა ერეტიკოსებსა და ცდილობდა თავისი ძალაუფლება მთელ ქრისტიანულ სამყაროში გაევრცელებინა.

ვიოლანტე პალიანო

გვ. 668. პავლე IV_ რომის პაპი (1555-1559), საფრანგეთის მოკავშირე ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის წინააღმდეგ.

გვ. 670. Seggio di nido_ სეჯო, ქალაქის აზნაურობა. მის წარმომადგენლებს დიდ-დიდი თანამდებობანი ეკავათ სახელმწიფო დაწესებულებებში ან მეფის კარზე.

წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია

გვ. 690. წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია _ ტრასტევერში, რომის ერთ-ერთ რაიონში, ტიბრის ნაპირას მდგარი პატარა ეკლესია.

ნეპოტიზმი_ ნათლიმამობა, მოყვრობა.

გვ. 692. ფილიპე ორლეანელი (1674-1723) _ საფრანგეთის სამეფოს მმართველი ლუი XV-ის მცირეწლოვანების დროს. დიდი არევ-დარევა შეიტანა საფრანგეთის როგორც ეკონომიურ, ისე ზნეობრივ ცხოვრებაში.

გვ. 694. ჩელინი, ბენვენუტო (1500-1571) _ იტალიელი მოქანდაკე, ოქრომჭედელი, ავტორი ცნობილი მემუარებისა.

გვ. 704. კორსო _ რომის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა, რომაელთა უსაყვარლესი სასეირნო ადგილი.

მეტისმეტი კეთილგანწყობილება დამღუპველია

გვ. 711. Via larga (იტალ.) _ ფართო გზა.

გვ. 745. ოცდაათის კრება _ კათოლიკური ეკლესიის კრება, რომელზეც მებრძოლმა კათოლიკურმა რეაქციამ მოახერხა გადაწყვეტილება გამოეტანა კათოლიციზმის ყველა საშუალო საუკუნეებრივი დოგმატების აღდგენისა.

გვ. 749. In folio (იტალ.) _ ნახევარფურცლიანი ფორმატი.

გვ. 755. კონსისტორია _ კათოლიკურ ეკლესიაში კარდინალთა თათბირი რომის პაპის მეთაურობით.

გვ. 757. გრეგორიო ლეტი (1630-1701) _ იტალიელი ისტორიკოსი და ლიტერატორი, ავტორი მრავალრიცხოვანი ისტორიული ნაშრომისა, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: «ნეპოტიზმისათვის რომში», «სიქსტე V-ის, რომის პაპის ცხოვრება» და სხვა.

გვ. 760. ...ძნელი დასაჯერებელია, რომ ასე თვალის დახამხამებაში შეიძლებოდეს მოკლე დაშნებზე გადასვლა, როცა ჯერ გრძელი ხანჯალი არ გიხმარია _ ავტორი ნართაულად მიგვითითებს სატევრითა და ხანჯლით ბრძოლის ჩვეულებაზე.

Cameriera (იტალ.) _ პირისფარეში.

გვ. 769. პოდესტა _ შუა საუკუნეებში ასე ეძახდნენ ქალაქის თავს, იტალიის ქალაქების უმაღლეს ადმინისტრაციულ მოხელეს.

გვ. 774. Condottieri (იტალ.) _ დაქირავებული სამხედრო რაზმების უფროსები.

Mგვ. 777.MMaestro di casa (იტალ.) _ მოურავი.

SUORA SCOLASTICA

გვ. 778. Suora Scolastica (იტალ.) _ და¡ სქოლასტიკა.

გვ. 788. Mezzo termine (იტალ.) _ დათმობის სახით.

გვ. 793. Francese (იტალ.) _ ფრანგი.

გვ. 814. In pace (იტალ.) _ სიტყვასიტყვით: «სამშვიდობოში». მონასტრის მიწისქვეშა საპატიმროს სახელწოდება.

გვ. 823. Veni, Creator (ლათ.) _ მოვედ, შემოქმედო.

გვ. 831. სიროკო _ ცხელი ქარი, რომელიც იცის სამხრეთ ევროპაში.

გვ. 837. სტროცი, ფილიპო (1488-1538) _ ფლორენციის ძველთაძველი პატრიციული გვარის წარმომადგენელი. მან აჯანყება მოუწყო კოზიმო I-ს, როცა ეს უკანასკნელი ტოსკანის დუკა გახდა. სასტიკად დამარცხდა, ტყვედ ჩავარდა და სატუსაღოში მოიკლა თავი.

გვ. 838. რაფაელი, სანტი (1483-1520) _ აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი და ხუროთმოძღვარი. მას ეკუთვნის ვატიკანის დარბაზების მოხატულობა, ცნობილი «სიქსტეს მადონა» და სხვა. მონაწილეობდა რომის წმინდა პეტრეს ტაძრის აგებაში.

ჯორჯონე, ჯორჯო ბარბარელი და კასტელფრანკო (დაახლ. 1478-1510) _ აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი. მისი მთავარი ნაწარმოებებია: «ივდითი», «მძინარე მზეთუნახავი», «სოფლის კონცერტი» და სხვა.

ციტიანი, ვეჩელიო (1477-1576) _ გამოჩენილი მხატვარი აღორძინების ეპოქისა, ვენეციური სკოლის უდიდესი წარმომადგენელი. მისთვის დამახასიათებელია რეალისტური, სიცოცხლის მოყვარული სტილი. შემოქმედების გვიან პერიოდში მისი ტექნიკა აღწევს სრულყოფილებას და განსაკუთრებულ კოლორიტულობას. მისი ნაწარმოებებია: «დანაე», «ნიმფა და მწყემსი», «წმ. სებასტიანე», «ქრისტეს დატირება» და სხვა.

კორეჯო, ანტონიო-ალეგრი (1489-1534) _ აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი. მისთვის დამახასიათებელია მსუბუქი, სიცოცხლით სავსე სახეები. მოხატული აქვს ეკლესიების პლაფონები პარიზში. მისი სურათებია «დანაე», «წმ. ღამე» და სხვა.

გვ. 859. Giacco (იტალ.) _ ჯავშანი.

გვ. 871. Barigello (იტალ.) _ სბირების მეთაური.

გვ. 886. Ave Maria (ლათ.) _ ღვთისმშობლის ლოცვა.

გვ. 925. სიმონია _ საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა. ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.

გვ. 933. Zelanti (იტალ.) _ ქომაგნი. ასე ეწოდებოდა XVI საუკუნეში უკიდურეს მემარჯვენეთა პარტიის მომხრეებს რომში.

<u>**სარჩევი**</u>

მიხეილ კვესელავა _ ანრი ბეილიდან სტენდალამდე…;
წითელი და შავი (თარგმანი გერონტი ქიქოძისა);

იტალიური ქრონიკები

ვანინა ვანინი (თარგმანი გერონტი ქიქოძისა);
ჩენჩი (თარგმანი მისივე);
ვიოლანტე პალიანო (თარგმანი მისივე);
წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია (თარგმანი მისივე);
მეტისმეტი კეთილგანწყობილება დამღუპველია (თარგმანი თინათინ ქიქოძისა);
ვიტორია აკორამბონი (თარგმანი მისივე);
Suora Scolastica (თარგმანი მისივე);
კასტროელი წინამძღვარი (თარგმანი მისივე);
შენიშვნები.